

ალეკო ნაჭყებია

სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში

(2015-2019)



გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH

ალეკო ნაჭყებია

სამოქალაქოსამართლებრივი
ნორმების განმარტებები
უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში

(2015-2019)

წინამდებარე გამოცემა შექმნილია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით. 1993 წლიდან GIZ-ი საქართველოში ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას. სხვა ღონისძიებებთან ერთად GIZ-ი ზრუნავს იურიდიული ლიტერატურის შექმნასა და სამართლის პოპულარიზაციაზე. GIZ-ი არ იღებს პასუხისმგებლობას ნაშრომის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.



© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019

© ალექო ნაჭყებია, 2019

ტექნიკური უზრუნველყოფა: გვანცა მახათაძე

გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: lawlibrary.info/ge

ISBN 978-9941-8-1948-3

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
1. სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი	6
1.1. შესავალი დებულებანი	6
1.2. ფიზიკური პირები / პირადი არაქონებრივი უფლებები	7
1.3. იურიდიული პირი	24
1.4. გარიგებანი	27
1.5. წარმომადგენლობა გარიგებებში	39
1.6. უფლების განხორციელება	41
1.7. ხანდამულობა	45
2. სანივთო სამართალი	52
2.1. მფლობელობა	52
2.2. საკუთრება	53
2.3. სამემობლო სამართალი	56
2.4. საკუთრების შექმნა უფლებებსა და მოთხოვნებზე	59
2.5. იპოთეკა	60
2.6. უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნა	61
2.7. აღნაგობა	62
3. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	64
3.1. სახელშეკრულებო სამართალი	64
3.2. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა	73
3.3. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი	88
3.4. ვალდებულების შეწყვეტა	93
4. სახელშეკრულებო სამართლის კერძო ნაწილი	95
4.1. ნასყიდობა	95
4.2. ჩუქება	101
4.3. ქირავნობა	103
4.4. იჯარა	108
4.5. სესხი	109
4.6. ნარდობა	114
4.7. დავალება	119
4.8. დაზღვევა	120
4.9. საბანკო გარანტია	125
4.10. თავდებობა	131
4.11. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)	134
5. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი	136
5.1. საზიარო უფლებები	136
5.2. უსაფუძვლო გამდიდრება	137
5.3. დელიქტური ვალდებულება	143

6. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	163
7. საოჯახო სამართალი	167
8. მემკვიდრეობითი სამართალი	170
9. შრომის სამართალი	178
10. სამეწარმეო სამართალი	199
11. სამოქალაქო პროცესი	215
12. სხვადასხვა	235

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს ამონარიდებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2015 წლის იანვრიდან 2019 წლის ოქტომბრის ჩათვლით არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებებიდან და განჩინებებიდან, რომლებშიც მოცემულია უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული ყველა მნიშვნელოვანი განმარტება. აღნიშნული განმარტებები ეხება როგორც ცალკეულ სამართლებრივი აქტების ნორმებს, ისე ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთაც განსაკუთრებული დატვირთვა აქვთ სამოქალაქო საქმეთა განხილვის პროცესში. ნაშრომის სისტემური შემადგენლობა ეყრდნობა სამოქალაქო კოდექსისა და სხვა განმარტებული ნორმატიული აქტების სტრუქტურას.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ), რომლის მხარდაჭერითაც უკვე მესამედ ხდება მსგავსი ტიპის პუბლიკაციის გამოცემა.

ა. ნაჭყებია

1. სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი

1.1. შესავალი დებულებანი

საქმე №ას-254-241-2015

06 მაისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უფლების კეთილსინდისიერად განხორციელება (სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი)

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორი სადავოდ ხდის მასსა და მოსარჩელეს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობისა და მისგან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას და საკასაციო საჩივრის ძირითად პოზიციას იმ გარემოებას აფუძნებს, რომ სს „ქ. ლ. კ.-ასა“ და შპს „პ. დ.-ს“ შორის ხელშეკრულება მომსახურების გაწევის შესახებ არ გაფორმებულა.

კასატორის ზემოთ მითითებულ პოზიციას საკასაციო პალატა არ იზიარებს და მიუთითებს მოცემულ საქმეზე დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ 31.05.2012წ.-ს შპს „პ. დ.-მა“ სს „ქ. ლ. კ.-ის“ მარკეტინგის მენეჯერ ზ. შ.-ეს ელექტრონული წერილით აცნობა, რომ 2012 წლის 02 და 03 ივნისს დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისათვის კ.-ას ესაჭიროებოდა ხელმოწერილი კონტრაქტი. ამასთან, განუმარტა, რომ თუ კონტრაქტის ხელმოწერა ფიზიკურად ვერ ხერხდებოდა, კ.-ის ოფიციალურ წარმომადგენელს უნდა დაედასტურებინა თანხმობა გადმოგზავნილი შეთავაზებისა და ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე. ელექტრონული წერილით შპს „პ. დ.-მა“ მოითხოვა კონტრაქტზე ხელმოწერა განხორციელებულიყო არაუგვიანეს 2012 წლის 05 ივნისისა და ამასთან, მოპასუხე კ.-ას უნდა დაედასტურებინა ის ფაქტი, რომ ელექტრონულ მიმოწერას გააჩნდა მოქმედი იურიდიული ძალა.

უდავო გარემოებაა, რომ 31.05.2012წ.-ს შპს „პ. დ.-ის“ ელექტრონული წერილის პასუხად ზ. შ.-ემ, როგორც სს „ქ. ლ. კ.-ის“ მარკეტინგის სამსახურის უფროსმა დაადასტურა თანხმობა შპს „პ. დ.-ის“ მიერ მიწოდებული აქტივობების განხორციელებაზე, მანვე მიაწოდა შპს „პ. დ.-ს“ კ.-ის ლ. ეტიკეტის ვექტორი, რაც საჭირო იყო საბეჭდი მასალის შეფუთვისათვის.

საქმის მასალებში წარმოდგენილია შპს „პ. დ.-ის“ მიერ სხვადასხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებთან გაფორმებული მთელი რიგი ხელშეკრულებები და ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შესრულების მიღების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტები, რომლითაც დადასტურებულია, რომ 2012 წლის 02 და 03 ივნისს Tbilisi Open-Air-ის ფარგლებში ორგანიზებული „ზ.-ის“ BTL ღონისძიების უზრუნველსაყოფად სს „გ. ც.-თან“, შპს „ზ. გ.-თან“, შპს „შ.-თან“, ა. შ.-თან, მ. კ.-ესთან შპს „პ. დ.-მა“ გააფორმა ხელშეკრულებები ტრანსპორტირების, სარეკლამო პროდუქციის გავრცელების, მიმებითა და მსახიობ-ანიმატორითა და სხვა სახის მომსახურების უზრუნველსაყოფად.

ასევე დადგენილია, რომ შპს „პ. დ.-ის“ მიერ ჩატარებული სარეკლამო აქტივობის ღირებულებამ მთლიანობაში შეადგინა 11 242.50 ლარი.

იმ პირობებში, როდესაც დადასტურებულია ზემოთ დასახელებული მომსახურების რეალურად მიღების ფაქტი, კასატორი სადავოდ ხდის აღნიშნული მომსახურების გაწევაზე მხარეთა ორმხრივი შეთანხმების არსებობას და განმარტავს, რომ სს „ქ. ლ. კ.-ას“ მომსახურების მიღებაზე ნება არ გამოუვლენია, ხოლო ზ.შ.-ის მიერ გაგზავნილი ელექტრონული წერილით კი, სადავო გარემოება არ შეიძლება დადასტურებულიყო, რამდენადაც იგი არ იყო სათანადოდ უფლებამოსილი პირი საზოგადოების სახელით გამოსულიყო შესამე პირებთან ურთიერთობაში.

როგორც ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით ირკვევა შპს „პ. დ.-ი“ მომსახურების გაწევაზე მოლაპარაკებას აწარმოებდა ელექტრონულ ფოსტის მეშვეობით სს „ქ. ლ. კ.-ის“ მარკეტინგის სამსახურის უფროსთან.

დადგენილია, ისიც, რომ მომსახურების მიზანს წარმოადგენდა 2012 წლის 02 და 03 ივნისს დაგეგმილი ღონისძიების უზრუნველყოფა, ხოლო უშუალოდ ელექტრონული კომუნიკაცია მხარეებს შორის შედგა 31.05.2012წ.-ს ანუ, ზუსტად ერთი კალენდარული დღით ადრე.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მართალია კ.-ის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს სამეწარმეო ურთიერთობის მიზნებისათვის წარმოადგენენ დირექტორები, თუმცა, მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მეწარმეთა შესახებ კანონის ეს ჩანაწერი არ შეიძლება იმგვარად იქნეს განმარტებული, რომ ზიანი მიადგეს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის კანონიერ უფლებებსა და ინტერესს და არაკეთილსინდისიერად წახალისდეს სახელშეკრულებო ურთიერთობის ნამდვილი მონაწილე, საზოგადოების დირექტორის სახელით გარიგების დადების ნების არარსებობაზე მანიპულირებით. საკასაციო პალატის განმარტებით, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. გარდა აღნიშნულისა, კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულებას, სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა ზოგჯერ პირდაპირ ადგენს, ხოლო ნორმათა უმრავლესობა, მართალია, პირდაპირ არ უთითებს მასზე, მაგრამ მაინც მას ეფუძნება. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავდროულად, აშკარად უსამართლო შედეგების თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სატაბილურობასა და სიმყარეს.

1.2. ფიზიკური პირები / პირადი არაქონებრივი უფლებები

საქმე №ას-1179-1124-2013

30 აპრილი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: განსხვავება ფაქტსა და შეფასებით მსჯელობას შორის

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარი იმ საფუძველით განაცხადა, რომ სარჩელში (სააპელაციო საჩივარში) მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიული თვალსაზრისით არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას, ამასთან, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო დადგენილად მიიჩნია სააპელაციო საჩივარში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე ჟურნალისტებთან შეხვედრისას დაბა ჩაქვში, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მოსარჩელის მიერ გაზეთ „გ.ნ.ში“ გამოქვეყნებული სტატია – „დანიშნები აჭარის მთავრობაში მ.დ.ის ნათესავების თამადაობით“ რამდენიმეჯერ მოიხსენია ტყუილად და არაერთგზის აღნიშნა, რომ ჟურნალისტი წერდა ტყუილს.

თავის მხრივ, საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილებით დადგენილად ცნო და აპელანტს სადავო არ გაუხდია ის გარემოება, რომ მოპასუხე ა.ბ. არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

2013 წლის 21 იანვარს აჭარის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში გამართულ ბრიფინგს ესწრებოდა რეგიონში მოღვაწე თითქმის ყველა ჟურნალისტი, მათ შორის მოსარჩელე ტ.ც., რომელიც იმ დროისათვის იყო „გ.ნ.ის“ ჟურნალისტი.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, გავრცელებული ინფორმაცია არ წარმოადგენდა ცილისწამებას, შესაბამისად, არ არსებობდა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის წინაპირობები.

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მსჯელობას და სარჩელის დაკმაყოფილებას, ძირითადად, ორი საფუძველით მოითხოვს: ა) სასამართლომ არააწორად განმარტა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტა-

ნის მარეგულირებელი ნორმები და არასწორად არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი; ბ) სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა გავრცელებულ ინფორმაციას, მოპასუხის გამონათქვამი არასწორად არ მიიჩნია მოსარჩელის რეპუტაციის შემლახველ ინფორმაციად – ცილისწამებად, ამასთან, არასრულყოფილად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ დაადგინა მოდავე სუბიექტი იყო კერძო თუ საჯარო პირი, შესაბამისად, არასწორად ეთქვა უარი მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

კასატორის პრეტენზიების დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, უპირველესად, იმსჯელოს გავრცელებული ინფორმაციის მატერიალურ-სამართლებრივ კვალიფიკაციაზე, კერძოდ, იგი წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას თუ ფაქტებს, რაც თავისთავად გავლენას იქონიებს კასატორის მიერ საპროცესო დარღვევების კუთხით წარმოდგენილ პრეტენზიაზე.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება. **საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული ნორმის ჩანაწერი – „კანონით დადგენილი წესით“ გულისხმობს, როგორც საკუთრივ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლს, ასევე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ სპეციალურ კანონს, რომელიც საქართველოში ძალაშია 2004 წლის 16 ივლისიდან.** აღნიშნულ კანონთან მიმართებაში სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, მასში მოცემულია, როგორც პასუხისმგებლობის დამდგენი, ასევე პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ნორმები (მაგ. 4.1. მუხლის მიხედვით აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით).

როგორც აღინიშნა, კასატორი სადავოდ ხდის იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია მოპასუხე კერძო პირია თუ საჯარო პირი, რაც გავლენას ახდენს პასუხისმგებლობის ზომაზე. **საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის ამ არგუმენტს და განმარტავს, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 და მე-14 მუხლები ერთმანეთისაგან მიჯნავს კერძო პირისა და საჯარო პირის ცილისწამების ცნებას და პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის მნიშვნელობას ანიჭებს არა იმას, თუ ვინაა განცხადების ავტორი, არამედ განცხადების ადრესატს, უფრო კონკრეტულად, ცილისწამების გამო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის გადამწყვეტია არა ის, საჯარო პირმა გაავრცელა განცხადება თუ კერძო პირმა, არამედ ის, ამ სუბიექტთაგან თუ რომელია გავრცელებული განცხადების ადრესატი.**

გავრცელებული განცხადების სამართლებრივი შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით, რომლითაც რეგულირებულია კერძო პირის ცილისწამების საკითხი, ანუ მოსარჩელე მიიჩნია კერძო პირად. ამ შეფასების თაობაზე კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია, ამდენად, წინამდებარე გადაწყვეტილებით სავალდებულო ძალის მატარებელია.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა)გავრცელებული ინფორმაცია უნდა ეხებოდეს მოსარჩელეს; ბ)გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი; გ)გავრცელებული ინფორმაცია ზიანს უნდა აყენებდეს პირის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას.

გემოთ ვახსენეთ, რომ აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც ნიშნავს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო განთავისუფლებას.

საკასაციო საჩივრის ფარგლებში, მხარის მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისათვის უპირველესად უნდა შემოწმდეს ბრიფინგზე, ჟურნალისტებთან შეხვედრისას, დაბა ჩაქვში, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ გაზეთ „გ.ნ.ში“ მოსარჩელის გამოქვეყნებული სტატიის ტყუილად რამდენიმეჯერ მოხსენიება და იმის არაერთგზის აღნიშვნა, რომ ჟურნალისტი წერდა ტყუილს, წარმოადგენს აზრს თუ ფაქტს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სტარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალიბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში. აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი. ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე (ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ). იმ დროს, როდესაც შესაძლებელია ფაქტების არსებობის დემონსტრირება, სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცების მოთხოვნა შეუსრულებელია და ეს მოთხოვნა არღვევს თვით აზრის თავისუფლებას. როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამონათქვამისათვის (დიჩანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ).

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ არ გაუვრცელებია ფაქტების შემცველი განცხადებები, კერძოდ, სარჩელის საფუძველად მითითებული გამონათქვამები: „აი ეს არის ტყუილი, იმიტომ, რომ ჯ.კ. მ.ის მამის დის შვილი არ არის“; „ეს არის ტყუილი და მეოთხე, ნ.კ. არ არის ა.ბ.ის ქვისლი“; „ის ქალბატონი არის ლ., ჩემი მეუღლე არის ბ. სასაცილოა უბრალოდ, ეს არის ტყუილი“; „არც ერთი ჟურნალისტი მე იქ არ დამინახავს. თქვენ იყავით? მე მითხარით? ტყუილი, მომატყუა“; „არ გრცხვენია იმის რომ ტყუილებს წერთ?“ არ ქმნის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ცილისწამების შემადგენლობას, არამედ წარმოადგენს მოპასუხის შეფასებით მსჯელობას, მის შეხედულებას, დამოკიდებულებას პიროვნებისა და მოვლენის მიმართ, რაც სავსებით თავსდება ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში გადმოცემულ „აზრის“ კატეგორიაში, თავის მხრივ, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების

შესახებ“ საქართველოს კანონის 4.1 მუხლის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულად გათავისუფლების საფუძველია (ამავე კანონის პირველი მუხლის „ფ“ ქვეპუნქტი).

საქმე №ას-962-920-2013

7 მაისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ცილისწამება

შპს „H.T.C.“ დაფუძნდა 2011 წელს ეგვიპტის მოქალაქეების მიერ. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებს წარმოადგენენ რ.ა.ჰ.მ., ს.რ.ა.ჰ. და მ.ბ.თ.ბ.

მოსარჩელებს და შპს „H.T.C.“-ის წარმომადგენლებს შორის 2012 წლის თებერვალში შედგა საქმიანი შეხვედრა, სადაც შპს „H.T.C.“-ის პარტნიორებმა მოიწონეს მოსარჩელეთა მიერ შემუშავებული ბიზნეს გეგმა. 2012 წლის 5 მარტს, შპს „H.T.C.“-ის დირექტორს და მოსარჩელებს შორის ზეპირი ფორმით, განუსაზღვრელი ვადით დაიდო შრომითი ხელშეკრულება. მოსარჩელები შრომით საქმიანობას ფაქტიურად შეუდგნენ მოპასუხე კომპანიასთან შეთანხმების მეორე დღეს, 2012 წლის 6 მარტს.

რესტორანი გაიხსნა 2012 წლის 14 მაისს. ჩატარდა რესტორნის გახსნასთან დაკავშირებული წვეულება, მოწვეული სტუმრების მონაწილეობით. რესტორნის პირველი ერთი თვის ნავაჭრმა შეადგინა 44800.2 ლარი. 2012 წლის 18 ივნისს მოპასუხე ს.რ.ა.ჰ-მა მოსარჩელებს განუცხადა, რომ აღარ სურს მათთან თანამშრომლობა და მოითხოვა დაეტოვებინათ რესტორანი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

მხარეებს შორის მომხდარ უთანხმოებასთან დაკავშირებით, მედიით გავრცელდა სიუჟეტი, კერძოდ, პალიტრა ტვ-რადიოს ტელეთერით გადაიყვანა ვიდეო ინტერვიუ ს.რ.ა.ჰ-თან, როგორც რესტორან „ბ-ს“ მფლობელთან. მისი განმარტებით, „ბიზნეს-გეგმა არ იყო შესრულებული, რამაც განაპირობა მოსარჩელების დათხოვნა სამსახურიდან.“ ინტერვიუს დროს კადრში ჩანს, რესტორანში, დაფაზე ცარცით ქართულ ენაზე შესრულებული უხამსობის შემცველი წარწერა ეგვიპტელების მისამართით, რომელზეც მოპასუხე მიუთითებს, როგორც მოსარჩელების ნამოქმედარზე. მოპასუხე, ასევე, მიუთითებს, რომ „დათხოვნის შემდეგ, მოსარჩელებმა ეს ადგილი ფაქტიურად გაანადგურეს, ყვავილებიც კი მოგლიჯეს და მიწაზე დაყარეს.“ ტელეკომპანია „მაესტროს“ გადაცემა „ახალ ამბებში“ მომზადებულ სიუჟეტში წარმოდგენილი იქნა ორივე მხარის პოზიცია მომხდართან დაკავშირებით. მოპასუხე ს.რ.ა.ჰ. განმარტავს, რომ „მოსარჩელების გათავისუფლება მოხდა მათ მიერ ბიზნეს გეგმის შეუსრულებლობის გამო, ამასთან, მან გამოთქვა უკმაყოფილება, რომ მოსარჩელები საქმის დეტალებში არ ახედებდნენ, არ აძლევდნენ გადაწყვეტილების მიღების უფლებას.“

მოსარჩელები არიან მეუღლეები. მ.ს. არის საქართველოში ცნობილი ტელესახე, ტელეწამყვანი, ტელეგადაცემათა და სატელევიზიო პროექტის ავტორი. აქვს სხვადასხვა ტელეკომპანიაში მენეჯერად მუშაობის გამოცდილება. ზ.მ. არის ცნობილი პიანისტი, კომპოზიტორი, მუშაობდა სხვადასხვა მუსიკალური პროექტების თუ სტუდიების მენეჯერად და პროდიუსერად. აქვს სარესტორნო ბიზნესში მუშაობის 14-წლიანი გამოცდილება. გავლილი აქვს შოუბიზნესის მენეჯმენტის კურსები ლოიოლას უნივერსიტეტში (ნიუ ორლეანი, აშშ).

ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მოპასუხე ცილისმწამებლური (უხამსობის შემცველი) განცხადებების გავრცელებისას მოქმედებდა ბრალეულად. სასამართლომ მორალური ზიანის გონივრული ოდენობად მ.ს-თან მიმართებაში დაადგინა 9000 ლარი, ხოლო ზ.მ-თან მიმართებაში – 3000 ლარი.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადებები, სადაც ის აცხადებს, რომ: „ბიზნეს-გეგმა არ იყო შესრულებული, რამაც განაპირობა მოსარჩელების დათხოვნა სამსახურიდან.“, „დათხოვნის შემდეგ, მოსარჩელებმა ეს ადგილი ფაქტიურად გაანადგურეს, ყვავილებიც კი მოგლიჯეს და მიწაზე დაყარეს.“, „მოსარჩელების გათავისუფლება მოხდა მათ მიერ ბიზნეს გეგმის შეუსრულებლობის გამო“, „მოსარჩელები საქმის დეტალებში არ ახედებდნენ, არ აძლევდნენ გადაწყვეტილების მიღების უფლებას.“, არ შეიძლება განვიხილოთ შეფასებით მსჯელობად, თვალსაზრისად, კომენტარად, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვად, რომელიც ასახავს მოპასუხის დამოკიდებულებას მოსარჩელეთა მიმართ. ყველა ჩამოთვლილი გამონათქვამი მხარეთა შორის წარსულში არსებული ურთიერთობის

კონტექსტიდან გამომდინარე, ფაქტების შემცველია, რომელთა იდენტიფიცირება და ჭეშმარიტება-მცდარობის დადგენა შესაძლებელია. ამ თვალსაზრისით ვერ იქნება გაზიარებული კასატორის პოზიცია, რომლის თანახმადაც, პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დამდგარიყო, თუ მოპასუხე იტყოდა, რომ მოსარჩელეები არიან „ცუდი მენეჯერები“. საკასაციო პალატის შეფასებით, მსგავსი გამონათქვამის გავრცელების შემთხვევაში, მას ვერ მივაკუთვნებდით ფაქტის კატეგორიას, ვინაიდან ასეთი გამონათქვამი პიროვნებისადმი (მენეჯერისადმი) სუბიექტურ დამოკიდებულებას (შეფასებას) ასახავს. ის გარემოება, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მცდარია, დადგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერ, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით არ დადასტურდა მოსარჩელეთა მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ფაქტი. საკასაციო საჩივარი არც ამ კუთხით შეიცავს დასაბუთებულ პრეტენზიას.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია და არც საკასაციო საჩივარი შეიცავს ამ თვალსაზრისით პრეტენზიას იმის შესახებ, რომ გავრცელებული განცხადება საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს შეეხებოდა ან ინფორმაცია გავრცელდა საჯარო დისკუსიის ფარგლებში. ამდენად კასატორი (მოპასუხე) ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც კონკრეტული სადავო ურთიერთობიდან გამომდინარე, გააქარწყლებდა გამოხატვის თავისუფლების შემზღვევის აუცილებლობას. შესაბამისად, კასატორს არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველია.

საქმე №ას-1052-1007-2014

30 სექტემბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: იურიდიული პირის მიმართ დიფამაციური განცხადების გავრცელების გამო პასუხისმგებლობის დაკისრება

სს „ბ.ბ-ის საქართველოს ფილიალმა“ მოითხოვა ნ. გ-ის, ნ. და ნ. ლ-ეების დავალდებულება, უარყონ სიმართლესთან შეუსაბამო, ცილისმწამებლური განცხადებები იმავე მასობრივი საშუალებებით, რომლითაც გავრცელდა განცხადებები, ასევე მოითხოვა მოპასუხეებისათვის სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნების დავალდებულება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დადგინდა, რომ მოპასუხეების მიერ გავრცელებული ცნობები იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე საზოგადოების ადმინისტრაცია ახდენდა თანამშრომლების დისკრიმინაციას რელიგიური და ეთნიკური ნიშნით, არის ცილისწამება, დაევალიათ მოპასუხეებს გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა.

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს მოპასუხეების მიერ გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს თუ არა მოსარჩელის სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ სფეროში იმგვარ ჩარევას, რასაც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოჰყვება. ამ თვალსაზრისით კი, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე წარმოადგენს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კერძო პირს. მხარეთა შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ სს „ბ.ბ-ის საქართველოს ფილიალი“ კერძო სამართლის იურიდიული პირია.

მოპასუხე ნ. გ-ე 2012 წლის 1 დეკემბრის შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული იყო მოსარჩელე საზოგადოებაში მხარეულის თანამდებობაზე და შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 13 ივლისის ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

2013 წლის 17 ივნისს ნ. გ-ე მოინათლა მართლმადიდებლურად.

გაზეთ „ბ-ის“ 2013 წლის 11-17 ნოემბრის №... გამოშვების თანახმად, ნ.გ-ემ საჯაროდ გავრცელა შემდეგი განცხადებები:

- ა) რადგან მუსლიმანი იყო და შემდეგ მონათლა, ამიტომ დასაჯა ადმინისტრაციამ და სამსახურიდან გაათავისუფლა; სხვა ქრისტიანები არ აინტერესებთ;
- ბ) ადმინისტრაცია უკრძალავდა მას მონათვლას და აფრთხილებდა, რომ პრობლემები შეექმნებოდა;
- გ) სხვა თანამშრომლებიც ვერ ინათლებოდნენ, ადმინისტრაციის შიშით;
- დ) თანამშრომლებს ადმინისტრაცია ურიგებდა მუსლიმანურ ლიტერატურას, რათა ისინი დაეინტერესებინათ ამ სარწმუნოებით.

საქმეში წარმოდგენილი DVD დისკის ჩანაწერის თანახმად, მოპასუხე ნ. ლ-ემ ხ-ის უნივერსიტეტის ფართო აუდიტორიასთან საჯაროდ გაავრცელა შემდეგი შინაარსის განცხადებები:

- ა) მისი და მისი მეუღლის მონათვლის შემდგომ დაიწყო „ბ.ს“ ადმინისტრაციამ მათი შევიწროება;
- ბ) კომპანიაში დასაქმებულია თითო-ორი ქართველი, რომლებიც მუშაობენ შავ მუშებად;
- გ) ზეგანაკვეთური მუშაობა კომპანიის მიერ არ ანაზღაურდება;
- დ) თანამშრომლებს არც ერთ ქრისტიანულ დღესასწაულზე არ ასვენებენ და მხოლოდ ბაირამს აღნიშნავენ.

მოპასუხე ნ. ლ-ემ ასევე საჯაროდ გაავრცელა შემდეგი ინფორმაცია: დედას – ნ. გ-ეს უთხრეს, რომ თუ მონათლებოდა, დატოვებდა სამსახურს; როცა კომპანიის წარმომადგენლებმა ნახეს ნათლობის კადრები, ამის შემდეგ დაიწყო დაპირისპირება დედასთან.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ გავრცელებული განცხადებები იყო ფაქტის შემცველი, რომელთა რეალობასთან შეუსაბამობა დასტურდებოდა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით. სადავო განცხადებებით, სულ მცირე, ხ-ის უნივერსიტეტში შეკრებილი ადამიანების თვალში შეილახა მოსარჩელის პატივი და საქმიანი რეპუტაცია, რის გამოც არსებობდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 და მე-17 მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები.

კასატორები გადაწყვეტილების გაუქმებას ძირითადად იმ საფუძვლით მოითხოვენ, რომ სადავო განცხადებები ნ. და ნ. ლ-ეებს საჯაროდ არ გავრცელებიათ, მათი კერძო საუბრები კი, თუ მასობრივი საშუალებით არაა გავრცელებული, სამოქალაქო პასუხისმგებლობას არ იწვევს. რაც შეეხება ნ. გ-ის მიერ გავრცელებულ განცხადებებს, იგი აღნიშნავს, რომ ეს განცხადებები წარმოდგენდა შეფასებით მსჯელობას, აზრს, ამასთანავე, სასამართლომ ისე დააკმაყოფილა სარჩელი, რომ არ დაუსაბუთებია გავრცელებული განცხადებების შედეგად მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტი.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორთა პრეტენზიას იმის შესახებ, რომ ნ. და ნ. ლ-ეებს არ შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა, რადგანაც მათ მიერ გავრცელებული განცხადებები მასობრივ საშუალებებში არ ასახულა, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი DVD დისკზე არსებული ინფორმაციით დასტურდება განცხადებების გავრცელება ხ-ის უნივერსიტეტში შეკრებილ ფართო აუდიტორიასთან. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განცხადება განიხილება ინფორმაციად, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან მესამე პირს გააცნო. მოცემულ შემთხვევაში, აუდიოჩანაწერის შესწავლით უტყუარად დასტურდება ამ კანონის მიზნებისათვის „განცხადების გავრცელების“ იურიდიული შემადგენლობა. ამასთანავე, უდავოა, რომ მოპასუხე ნ. გ-ემ, გარდა ხ-ის უნივერსიტეტის აუდიტორიაში შეკრებილი ფართო საზოგადოებისა, განცხადება გაავრცელა გაზეთ „ბ-ის“ ერთ-ერთ ნომერშიც. ამდენად, განცხადებათა საჯაროდ გავრცელების ნაწილში კასატორებს დასაბუთებული შედაგვა არ წარმოუდგენიათ.

საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხეების მიერ გავრცელებული განცხადებები შეიცავდა ფაქტებს, რომელთა ობიექტურ რეალობასთან შეუსაბამობის დამტკიცება სიტყვის თავისუფლების შემლუდვის ინიციატორმა უზრუნველყო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მოწმეთა ჩვენებები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, სახალ-

ხო დამცველის მიწერილობა, ნ.გ-ის სააპელაციო საჩივარი და სხვა), რომელთა გაქარწყლება მოპასუხეებმა სათანადო მტკიცებულებების წარდგენით ვერ შეძლეს, არამედ შემოიფარგლნენ მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ ისინი გამოხატავდნენ მათ შეფასებით მსჯელობას, ამრს, რომელიც დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. შესაბამისად, პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად დააკვალიფიცირა სადავო განცხადებები „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ცილისწამებად.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სიტყვის თავისუფლების შემზღვევის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის მხოლოდ ცილისწამებლური განცხადების გავრცელების ფაქტის დადგენა არ არის საკმარისი. გამოხატვის შემზღვევის აუცილებლობის ხასიათი განისაზღვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული სტანდარტით. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, შემზღვევა უნდა წარმოადგენდეს მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას. გამოხატვის შემზღვევის საკითხის გადაწყვეტისას წარმოიშობა კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსების პრობლემა. გამოხატვის თავისუფლებასა და სხვა პირთა უფლებებსა და რეპუტაციას შორის ბალანსი უნდა გადაწყდეს კონკრეტული დავის თავისებურებების გათვალისწინებით, თუმცა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დასაშვები კრიტიკის ფარგლები; პრესის თავისუფლების ინსტიტუტი; საზოგადოებრივი ინტერესი.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-1 ნაწილიდან, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას (პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ბრალეული შელახვა), მართალია, გამომდინარეობს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუმცა იურიდიული პირის სარჩელთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკით დადგენილია დამატებითი შემზღვევები.

იურიდიული პირის მიმართ დიფამაციური განცხადების გავრცელების საკითხის შეფასებისას უნდა გაიმიჯნოს მოდავე სუბიექტის კანონით დაცული ის არაქონებრივი უფლებები, რომელთა ხელყოფამაც შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ პირთან ყველა იმ უფლებაში, რომელიც თვისობრივად არ უკავშირდება ადამიანს. პიროვნულ უფლებათაგან ნაწილი იურიდიულ პირს შეიძლება მხოლოდ მოდიფიცირებული ფორმით გააჩნდეს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ 2001 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით (*იხ. სუსგ N3კ/924-01*) განმარტა შემდეგი: „იურიდიულ პირს არ გააჩნია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული ისეთი სიკეთე, როგორცაა პირადი ხელშეუხებლობა, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, ასევე, მორალურ განცდებთან დაკავშირებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანი არ შეიძლება მიადგეს იურიდიულ პირს, რადგან მორალური ზიანის შინაარსში იგულისხმება სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფა, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია (სულიერი ან ფიზიკური ტკივილი, განცდა, და სხვა). ამდენად, იურიდიული პირის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ იურიდიულად უსაფუძვლოა“.

ამ თვალსაზრისით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ მოსარჩელეს საზოგადოებაში შეელახა პატივი, დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გამიარებული საკასაციო პალატის მიერ. უდავოა, რომ იურიდიული პირის დაცულ არაქონებრივ უფლებას წარმოადგენს საქმიანი რეპუტაცია, რომლის შელახვის გამო, შესაძლოა, განხილულ იქნას მოპასუხის პასუხისმგებლობის საკითხი. იმისათვის, რათა გადაწყდეს საქმიანი რეპუტაციის შელახვის შესახებ სარჩელის საფუძვლიანობა, პასუხი უნდა გაეცეს მთავარ კითხვას: რა არის საქმიანი რეპუტაცია?

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ „საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება. პროფესია არის ხელობა, საქმიანობა, სპეციალობა, რომელსაც გარკვეული მომზადება სჭირდება და რომლითაც ადამიანი თავს ირჩენს, ხოლო საქმიანი თვისებები, რომელთაც საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს, გააჩნიათ მათ, ვინც მონაწილეობს ეკონომიკურ (კომერციულ) საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, საქმიანი რეპუტაციის შე-

ლახვა, რასაც სსკ-ის მე-18 მუხლი ითვალისწინებს, მიმართული უნდა იყოს პირის მიერ განხორციელებული (ან განსახორციელებელი) საქმიანი ოპერაციებისათვის. ასეთი ხელყოფით პირს შეიძლება მიადგეს მატერიალური ზიანიც, ე.ი ხელიდან გაუშვას მოგება, დაკარგოს კლიენტი და სხვა“ (იხ. სუსგ N3/კ376-01, 18 ივლისი, 2001 წელი). მითითებული განმარტების იურიდიული პირის მიმართ მოდიფიცირებისას შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმიანი რეპუტაციის შელახვა სახეზეა მაშინ, თუ გავრცელებული ცნობები გეგავლენას ახდენს და ეწინააღმდეგება პირის მიერ შერჩეულ საკუთარ „საბაზრო სახეს“, ანუ კომერციულ შეხედულებას, რომლის დამკვიდრებაც იურიდიულ პირს სურს საზოგადოებაში და გავრცელებული ინფორმაცია მას შესაძლოა პირებთან საქმიან ურთიერთობებში განაცდევინებს მარცხს.

სს „ბ.ბ-ის საქართველოს ფილიალის“ სარჩელის შესწავლით დასტურდება, რომ მას ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელების შედეგად ზიანის მიყენების ფაქტზე ფორმალურადაც არ მიუთითებია და არც ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები მოიპოვება საქმის მასალებში. ზიანის მიყენების ფაქტზე მოსარჩელის წარმომადგენელმა მიუთითა რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 მარტის სხდომაზე, რეპლიკის უფლებით სარგებლობისას და აქვე განმარტა, რომ ზიანის მიყენება მხოლოდ მატერიალურ ზიანს არ წარმოადგენს, არამედ ცილისმწამებლური განცხადების გავრცელებისას ზიანის მიყენების ფაქტი სასამართლოს შეფასების საგანია. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდგომ ახალ ფაქტზე მითითება ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს, თუმცა ამ გარემოების საპატიოდ მიჩნევის შემთხვევაშიც კი, **პალატა თვლის, რომ ზიანის მიყენების ფაქტის შესაბამისი მტკიცებულებებით დაუდასტურებლობა დიფამაციიდან გამომდინარე სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას გამორიცხავს.**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც მოსარჩელეს ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების იურიდიული შემადგენლობის ერთ-ერთი წინაპირობის არსებობა (ზიანის მიყენების ფაქტი) არ დაუდასტურებია სათანადოდ, რის თაობაზეც კასატორებმა დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინეს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს. ამასთანავე, ვინაიდან არ არსებობს საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი (სსსკ 412-ე მუხლი), სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. ნ. გ-ის, ნ. და ნ. ლ-ეების საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების გზით სს „ბ.ბ-ის საქართველოს ფილიალს“ უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე დაუსაბუთებლობის გამო.

საქმე №ას-625-593-2014

20 მაისი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ცილისწამება

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია ადვოკატის მიერ სატელევიზიო ბრიფინგის დროს საჯაროდ გავრცელებული განცხადება იურიდიული კომპანიის შესახებ, რომელიც წარსულში მომსახურებას უწევდა მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს, წარმოადგენს თუ არა მოსარჩელის სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცულ სფეროში იმგვარ ჩარევას, რასაც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოჰყვება. სხვაგვარად, წარმოადგენს თუ არა ადვოკატის განცხადება ცილისწამებას, რომელმაც შელახა იურიდიული კომპანიის საქმიანი რეპუტაცია. შესაბამისად, მოპასუხის გამონათქვამის თავისუფლების შეზღუდვა აუცილებელია თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის დასაცავად.

„ეს თანხაც გაქრა“, „გამოსძალეს 10 000 დოლარი“ და „ჩაიდეს ეს 10 000 დოლარი ჯიბეში“ – ამ გამოთქმების შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ მოპასუხე ადვოკატი არ არის ამ გამოთქმების პირველადი წყარო. ინფორმაცია მომდინარეობს მოწმის განმარტებიდან, რომელიც წარმოადგენს სწორედ ინფორმაციის პირველად წყაროს. შესაბამისად, მოპასუხის გამონათქვამების შესაფასებლად უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია, რამდენად ზუსტად იმეორებს იგი მოწმის გამონათქვამებს.

საკასაციო სასამართლო აქვე აუცილებლად მიიჩნევს დამატებითი განმარტება გააკეთოს კასატორის მი-
თითებაზე, რომ მოპასუხის მიერ ბრიფინგის დროს მოსარჩელის მიმართ გამოყენებული გამონათქვამი „გა-
მოსძალა“ აუცილებლად უნდა შეფასდეს, როგორც ცილისწამება, რადგან ის დანაშაულის აღმნიშვნელი სიტყ-
ვა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას წარმოადგენს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8.1 მუხლის შესაბამისად, პირი უდანა-
შაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული
გამამტყუნებელი განაჩენით. ეს პრინციპი ავალდებულებს საქმის განმხილველ სასამართლოს ან საჯარო
თანამდებობის ნებისმიერ პირს არ გამოხატოს წინასწარი მოსაზრებები იმ პირის ბრალეულობასთან და-
კავშირებით, ვის მიმართაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ეს მოსაზრებები სხვადასხვაგვარად
შეიძლება იქნას გამოხატული. ამიტომ უდანაშაულობის პრეზუმფცია ავალდებულებს არა მხოლოდ იმას,
რომ სასამართლომ ან საჯარო თანამდებობის პირმა ასეთი პირის მიმართ არ გამოიყენოს უშუალოდ დანა-
შაულის აღმნიშვნელი სიტყვა (მაგ., სიტყვა „გამოსძალა“), არამედ იმასაც, რომ არც სხვა სიტყვებით გამო-
ხატოს წინასწარი აზრი (მოსაზრება, თვალსაზრისი, შეფასება, კომენტარი) მის ბრალეულობასთან დაკავში-
რებით. მთავარია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ან საჯარო თანამდებობის პირის მიერ გაკეთებული
განცხადება ასეთ პირთან მიმართებაში არ გამოხატავდეს მოსაზრებას, რომ ის დამნაშავეა, იქამდე ვიდრე
ამ პირის დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. უდანაშა-
ულობის პრეზუმფციის ასეთი განმარტება მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს
არაერთ გადაწყვეტილებაში (იხ. მათ შორის, *Karaman v. Germany, no. 17103/10, § 40, 27 February 2014*). ამი-
ტომ, **არგუმენტი, რომ რომელიმე სიტყვა, რომელიც სხვა კონტექსტში შეიძლება დანაშაულის აღმნიშვნ-
ნელი სიტყვა იყოს და პირის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას წარმოადგენდეს, ყოველგვარი
კონტექსტის გათვალისწინების გარეშე აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ფაქტის შემცველ განცხადებად
[და შესაბამისად, ცილისწამებად], და არა შეფასებით მსჯელობად, საკასაციო სასამართლოს მიერ ვერ
იქნება გაზიარებული.**

საქმე №ას-928-868-2017

17 იანვარი, 2018 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ცილისწამება

კახეთის გუბერნატორმა ი. შ-მა 2015 წლის 4 თებერვალს სატელეფონო ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია
„გ-ას“. გუბერნატორი იმ დროს სოციალურ ქსელში გავრცელებულ და მის მიმართ გამოთქმულ ბრალდებას
გამოეხმაურა და უარყო, რომ იგი თვითმმართველი ორგანოების მუშაობაში ერეოდა, რაც საკრებულოში
ოპოზიციური ფრაქციის შექმნაზე უარის თქმაში გამოიხატებოდა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდზე, 2014 წლის 3 ივნისს, გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „ქე-
იფი ბიუჯეტის ხარჯზე-თ. თ-ის დასახვედრად რესტორანში 2 350 ლარი დაიხარჯა“, რომელშიც აღნიშნულია,
რომ თანხა ახმეტის გამგეობის ბიუჯეტიდან გამოიყო.

შპს „კ-ის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის, [რომ გუბერნატორად დანიშნის შემდეგ მოპასუხის ოჯახი
უსასყიდლოდ იყენებდა მუნიციპალურ სპეცტექნიკას და მუშებს, ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს მუშაც კი
დაიღუპა, თუმცა გამოძიება არ დაწყებულა] საპასუხოდ, 2015 წლის 24 აპრილს, გავრცელდა ვიდეო-ინტერვიუ
გუბერნატორთან. მოპასუხემ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ასეთი სახის ინფორმაციის გავრცელება დაკავშირე-
ბულია პიროვნულ კონფლიქტთან მასსა და გ. მ-ს (მოსარჩელე) შორის, რომელიც ზემოხსენებული საინფორ-
მაციო ცენტრის მესაკუთრე და დირექტორია.

აღნიშნული კონფლიქტის საფუძვლად მოპასუხე მიიჩნევს გუბერნატორის, მუნიციპალიტეტების გამგებ-
ლებისა და საკრებულოების თავჯდომარეების უარს შპს საინფორმაციო ცენტრთან საინფორმაციო სახის მომ-
სახურების ხელშეკრულების გაფორმებაზე. ხელშეკრულებები გაფორმებული იყო 2011, 2012 და 2013 წლებ-
ში, საიდანაც 2011 წელს საინფორმაციო ქსელის შემოსავალი შეადგენდა 8 800 (რვა ათას რვაას) ლარს, 2012
წელს – 9 680 (ცხრა ათას ექვსას ოთხმოც) ლარს და 2013 წელს–10 080 (ათი ათას ოთხმოც) ლარს.

2015 წლის 24 აპრილის ვიდეო – ინტერვიუში მოპასუხე აცხადებს: „ხელშეკრულებები ყველა მუნიციპალიტეტში იყო ცალკე გაფორმებული, ყველა საკრებულოში იყო ცალკე გაფორმებული და საერთო ჯამში ეს თანხა შეადგენდა და ბატონი მოსარჩელე ღებულობდა იმაზე თითქმის ორჯერ მეტ შემოსავალს, ვიდრე დღეს ღებულობს მოქმედი გუბერნატორი. სწორედ ყოველთვის ურად ამ თანხის დაკარგვის გამო იყო რამდენჯერ მუქარა, იყო რამდენჯერ შემოთვლა, იყო რამდენჯერ თქმა იმისა, რომ ეს თუ ესე არ იქნება, მაშინ მოიძებნება ალტერნატიული შემოსავლის წყარო, რომელიც იქნება მთლიანად აგებული გუბერნატორის დისკრედიტაციაზე“.

საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებასა და დასკვნებს, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადება ქმნის ცილისწამების ნორმატიულ შემადგენლობას მოსარჩელის მიმართ, კერძოდ, უდავოა, რომ შურნალისტის კუთვნილი საინფორმაციო ცენტრის შემოსავალი მთლიანად 28 560 ლარს შეადგენდა, რომელიც ცენტრმა ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, სამი წლის განმავლობაში. უდავოა ის ფაქტიც, რომ გუბერნატორის წლიური შემოსავლის ორმაგი ოდენობა /129 800 ლარი/ გაცილებით აღემატება საინფორმაციო ცენტრის მიერ მიღებულ ზემოხსენებულ თანხას. შესაბამისად, მოპასუხის (გუბერნატორის) განცხადება, რომ მის მიერ მითითებულ თანხასთან დაკავშირებით არსებული შეცდომა მხოლოდ მათემატიკური ხასიათისაა, დაუსაბუთებელია, მით უფრო იმ კონტექსტში, რომ მისი მითითებით შურნალისტის მხრიდან იყო შანტაჟის მცდელობა, იმის შემთავლა, რომ ხელშეკრულებების დადებაზე უარი გუბერნატორის დისკრედიტაციას გამოიწვევდა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს მოპასუხის (გუბერნატორის) მითითებაზე, რომ მის მიერ გაკეთებული განცხადება იყო პასუხი მოსარჩელის (შურნალისტის) მხრიდან მანამდე გავრცელებულ ინფორმაციაზე და განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეები სპეციალური კანონის მიხედვით საჯარო პირებს წარმოადგენენ (იხ. სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტი), და დასაშვები კრიტიკის (მათ შორის ურთიერთკრიტიკის) ფარგლები მათ მიმართ გაცილებით ფართოა, მით უფრო მაშინ, როდესაც კრიტიკის ობიექტი ისეთი საჯარო პირია, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენელია.

საქმე №ას-790-739-2017

17 იანვარი, 2018 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ცილისწამება

ქალაქ ახალციხის ადგილობრივი ტელევიზიის შპს ტელერადიო კომპანია „ი-ის“ მე-9 არხის პირდაპირ ეთერში გადაცემა „დ-ის“ მსვლელობის დროს 2015 წლის 10 დეკემბერს ქალაქ ახალციხის მერმა გ. კ-ემ (მოპასუხე), საკრებულოს წევრს, ჯ. გ-ს (მოსარჩელე), მიმართა სიტყვებით: „პატიმრები, რომლებსაც შენ ბოთლებზე სვამდი და ფანჯრებიდან ყრიდი, რისთვისაც პოლიციიდან გამოგადგეს“.

საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობასა და დასკვნებს, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადებით, რომლითაც ის კონკრეტულ დანაშაულებრივ ფაქტებზე მიუთითებდა, მტკიცებულებების გარეშე, ზიანი მიადგა ადრესატის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას და დამატებით კასატორის საკასაციო პრეტენზიის პასუხად მიუთითებს, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის მიზნებისათვის „საჯარო პირს“.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად „საჯარო პირი“ არის – „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადაწყვეტილება ან ამრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება“. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტი მიუთითებს, რომ ტერმინში „თანამდებობის პირი“ იგულისხმება – საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის პირები, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებელი, მისი მოადგილე და რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, თავის მხრივ ხსენებული ორგანული კანონის 32-ე მუხლის (მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირები არიან: ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე; ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე; დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე; ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე;) მიხედვით მოსარჩელე ვერ ჩაითვლება სპეციალური კანონის მიზნებისათვის „საჯარო პირად“, ვინაიდან კასატორი თავადაც უთითებს, რომ მოსარჩელე უბრალოდ საკრებულოს წევრია, შესაბამისად ის არ წარმოადგენს ზემოთჩამოთვლილ არც ერთი თანამდებობის პირს, რაც გამორიცხავს მისთვის „საჯარო პირის“ სტატუსის მინიჭებას, ამასთანავე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ სპეციალური კანონის მიზნებისათვის მოსარჩელე ჩაითვლებოდა „საჯარო პირად“, არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარის საფუძველს ქმნის საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად, მით უფრო მაშინ, როდესაც კასატორს საწინააღმდეგოდ რაიმე გამომრიცხავი მტკიცებულება არ წარუდგენია.

საქმე №ას-53-49-2017

07 აპრილი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ცილისწამება

სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ შეისწავლა მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულება – სა-მუსიკო სკოლის თანამშრომლების (მოპასუხეების) ერთობლივი წერილი, რომელიც მოპასუხეთა მიერ გაგზავნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და რომლის შინაარსიც მოსარჩელის მოსამრებით, ლახავს მის პატივსა და ღირსებას.

სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მოსარჩელე მისი პატივისა და ღირსების შელახვად მიიჩნევს წერილში აღნიშნულ ცილისმწამებლურ შემდეგ გამონათქვამებს : 1) „მან თავიდანვე აიღო გეზი, რომ კოლეჯი გამოეყენებინა პირადი მიზნებისათვის“; „საინტერესოა, რომ მან ეს აპარატურა 2007 წლის 05 მაისს გადაიტანა თავის საცხოვრებელ ბინაში, სადაც ინახებოდა 2007 წლის 10 დეკემბრამდე. როდესაც თანამშრომლების მხრიდან გამოითქვა პროტესტი, რადგანაც ამ აპარატურის შეძენის გამო ეჭვქვეშ დადგა საშვებულებოს ანაზღაურება, დირექტორის მხრიდან კოლეჯის მიმართ დაიწყო რეპრესიები“; 3) „საგუნდო კაპელა, რომელიც წლების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა სასწავლებელს, კ---ის უკანონო ქმედებების გამო გადავიდა თ-ის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში“; 4) „ყველა „სიკეთესთან“ ერთად ყოფილი დირექტორი შეურაცხყოფას გვაყენებდა თანამშრომლებს, გვიწოდებდა „დაქირავებულებს“ და ხმის ამოღების შემთხვევაში გვემუქრებოდა სამსახურიდან გათავისუფლებით“; 5) „ცალკე შესწავლის საგანია მისი ამორალური ქმედებები კოლეჯის მოსწავლეებთან“; „ეს არის მხოლოდ მოკლე ჩამონათვალი იმ დანაშაულებრივი ქმედებებისა, რომლებიც მოსარჩელის დირექტორობის წლებში ხდებოდა“.

სადავო შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შეფასდა რა მოსარჩელის მიერ პატივისა და ღირსების შელახვად მიჩნეული გამონათქვამები, მიჩნეული იქნა, რომ ისინი განეკუთვნებოდნენ „აზრის“ „შეფასებითი მსჯელობის“ სფეროს, რაც დაცვის აბსოლუტური პრივილეგიით სარგებლობდა.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას და მიაჩნია, რომ თანამშრომელთა ერთობლივი წერილში მითითებული ინფორმაცია არ შეიცავს კონკრეტული ფაქტების მტკიცების პრეტენზიას, მასში ასახულია მხოლოდ მოპასუხეთა აზრი (მსჯელობა, თვალსაზრისი) მოსარჩელის სამსახურეობრივი საქმიანობის, მისი კომუნიკაციის უნარ-ჩვევებისა და ქცევის შესახებ და არა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ფაქტების დამტკიცების მცდელობა. ამასთან, მხედველობაშია მისაღები მიზანი, რომელმაც განაპირობა ამგვარი შინაარსის წერილის შედგენა და გაგზავნა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსადმი, რასაც ამ კონკრეტულ საქმეზე წარმოადგენდა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს რეაგირება მისდამი დაქვემდებარებული სსიპ-ის ხელმძღვანელის საქმიანობაზე და არა მოსარჩელის პიროვნების, ინდივიდის დისკრედიტაცია და შეურაცხყოფა.

საგულისხმოა რომ მოპასუხეების მიერ გამოხატული მოსაზრებები, მათ მიერ გამოყენებული ენა და აღწერები უნდა შეფასდეს არა აბსტრაქტულად, არამედ იმ მონაცემების კუთხით, რომლებიც საქმის არსს წვდება. შესაფასებელ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სადავო წერილის შინაარსი იძლევა არგუმენტირებული, ლოგიკური და თანმიმდევრული მსჯელობის საფუძველს მასზე, რომ სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელობასა და დასაქმებულებს შორის არსებობდა დაძაბული ურთიერთობა, და წერილის შინაარსში გამოთქმული მოსაზრებები აშკარად ასახავს დასაქმებულების არაპოზიტიურ დამოკიდებულებას მათი ყოფილი დირექტორის (ხელმძღვანელის) მიმართ. იმავდროულად, წერილში მითითებული დასაქმებულების პოზიცია ყოფილ დირექტორზე ძნელია შეფასდეს ფაქტის დამტკიცების მცდელობად, არამედ აღნიშნული შეიძლება აღქმული იქნეს მხოლოდ, როგორც მის ავტორთა სუბიექტური დამოკიდებულება, რეაგირება სკოლის მართვის საკითხთან დაკავშირებით.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ამ წერილით მისი შემდგენელი პირები მიზნად ისახავდნენ მისი პიროვნების დისკრედიტაციას განათლების სამინისტროში, მის საქციელს ამორალურად მიიჩნევდნენ, რაც მისთვის მიუღებელი და ცილისმწამებლურია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელის ეს პოზიცია პატივსაცემი და გასაზიარებელია იმ თვალსაზრისით, რომ არ არის პიროვნებისათვის, მით უფრო, სამსახურის ხელმძღვანელისათვის სასიამოვნო. თუმცა, როდესაც საკითხი შეეხება პატივისა და ღირსების, როგორც კანონით დაცული სიკეთის ხელყოფის ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევას, მაშინ კანონმდებელი აბსოლუტური სიზუსტის დაცვას მოითხოვს. ეს მიდგომები გამოიყენება განსაკუთრებით კონვენციის მე-10 მუხლის მიმართ. ჰენდისაიდის საქმეში ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მოსაზრებები „მორალის“ მოთხოვნის შესახებ განსხვავებულია სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა დროს და ხასიათდება სწრაფი ცვალებადობით, ამიტომ მათი შეფასება ეროვნულ სასამართლოებს უკეთ ხელეწიფებათ თავიანთ ქვეყანასთან უწყვეტი კონტაქტის წყალობით (Handyside v. The UK. 07 დეკემბერი, 1976 წელი. განაცხადის N 5493/72). ასეთ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებების წრე (მტკიცების საგანი) და იმის მიხედვით შეიცავენ ისინი ფაქტის დამტკიცების პრეტენზიას თუ წარმოადგენენ მხოლოდ მის ავტორთა დამოკიდებულებას, მიეცეს კვლევის შესაბამისი მიმართულება. კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო წერილის შინაარსის შესწავლის შედეგად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ მასში მითითებული ინფორმაცია საფუძვლად ვერ დაედება მის გაიგივებას „ფაქტის“ საკითხთან. ვინაიდან, როგორც აღინიშნა, იგი წარმოადგენს დასაქმებული პირების, კოლექტივის წევრების დამოკიდებულებას ყოფილი დირექტორის მიმართ. აღნიშნული ვერ იქნება აღქმული ვერც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში სსიპ-ის ყოფილ დირექტორზე ინფორმაციული თავდასხმის მცდელობად, რადგან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს თავადაც ევალება კონტროლი და ზედამხედველობა მისდამი დაქვემდებარებული სსიპ-ისა და მისი ხელმძღვანელობის საქმიანობაზე. შესაბამისად, მხოლოდ სხვა პირთა მიერ ამა თუ იმ წერილში გამოთქმულ მოსაზრებებს დირექტორის საქმიანობის შეფასებისათვის იურიდიული მნიშვნელობა ვერ მიენიჭება.

საქმე №ას-1011-972-2016

26 ივლისი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: შურნალისტის ცილისმწამებლური განცხადებები

მოცემულ შემთხვევაში, სადავო სტატიების მოპასუხის მიერ გავრცელების ფაქტი სადავო არაა. კასატორები მიიჩნევენ, რომ გამოქვეყნებული სტატიები დაფუძნებულია რესპოდენტთა გამონათქვამებსა და შურნალისტთა შეფასებებზე, რაც მოპასუხეთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი. მოცემულ შემთხვევაში, სადავო სტატიებში ინფორმაცია და გამონათქვამები მტკიცებითი და არა შეფასებითი ფორმისაა – „როგორც ვაგეტმა ვამოარკვია, ჩამოთვლილი ფირმებისა და ბანკის მემწეობით, ცრუ მეწარმეობით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზებით, სხვისი ქონების მითვისება – გაფლანგვით პირველმა მოსარჩელემ და მისმა „თიბისი ბანდამ“ ს-ის ყოფილ ლუბერნატორსა და ელჩს ...

არაპირდაპირი ფორმით 4 მილიონი დოლარი გადაუხადა და ხელში ჩაიგდო 20-30 მილიონის ქონება. ცხადია შენობის კანონიერ მესაკუთრეს არაფერი ჰკითხეს და ერთი თეთრიც არ გადაუხადეს.“ სტატია ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ მკითხველზე დადასტურებული ფაქტის შთაბეჭდილებას ტოვებს. რაიმე მსჯელობა ან იმაზე მინიშნება, რომ ეს მხოლოდ სტატიის ავტორის მოსაზრებაა, არ გვხვდება, პირიქით, ავტორი ირწმუნება, რომ ამგვარი ფაქტები „გაზეთმა გამოარკვია“.

ასევე, დადასტურებულ ფაქტად არის მოხსენიებული და სუბიექტურ შეფასებად ვერ მიიჩნევა პირველი მოსარჩელის მიერ მ. კ-ას ცემის შემთხვევა, – „ან კი, რას იფიქრებდა პირველი მოსარჩელე, რომ გაზეთი და მკითხველი მ. კ-ას მისამართით მოქნეულ ხელკეტს ცხვირში ძმრად ამოადენდა?“ მიმანიშნებელი კითხვა – „გ-ის“ შექცევს კორპუსთან მ. ხ-ემ მ. კ-ას მიტინგის ჩატარების საშუალება მართლა არ მისცა, ხელი დაარტყა და მერე მ.მ მართლა სასტიკად სცემა „თ-ის“ ახლანდელი უსტაბაში?“, – აღწერს ობიექტურად არსებულ გარემოებას და მასზე ვრცელდება სისწორისა და ნამდვილობის მტკიცების კრიტერიუმები. ამდენად, კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ სადავო სტატია შეიცავდა მხოლოდ ჟურნალისტის შეფასებას (აზრს) და არა ფაქტებზე მითითებას, გაზიარებული ვერ იქნება.

ასევე, 21.04.2014 წლის სადავო სტატიაში მოპასუხე პირველ მოსარჩელეს პირის თვითმკვლელობამდე მიყვანაში ადანაშაულებს და გადმოსცემს კონკრეტულ ფაქტებს, თუ რომელი ადამიანის თვითმკვლელობასთან არის დაკავშირებული, რა ფორმით არის დაკავშირებული და რა ვითარებაში მკვლელობასთან – „პირველ მოსარჩელეს ... თვითმკვლელობამდე მიჰყავს ქართველი მამა-ახალგაზრდა კაცი, რადგან მას შვილის ოპერაციის 2 ათასი ლარით დაფინანსებაზე უარს ეუბნება...“.

რაც შეეხება საკასაციო საჩივრებში მითითებულ პრეტენზიას, რომ სტატიებში ნახსენები ფრაზები „ფინანსური ჟანდარმი“, „ყაჩაღ ბანკირი“, „სულით კომსომოლა“ ჟურნალისტის პირადი შეფასებაა, სასამართლო განმარტავს შემდეგს: ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე – ფაქტობრივი ელემენტები. მოცემულ შემთხვევაში, სადავო სტატიებში, ბუნებრივია, მხოლოდ ფაქტები არ არის გადმოცემული და ჟურნალისტთა მოსაზრებასა თუ შეფასებასაც შეიცავს, თუმცა აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალიბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. მოცემულ შემთხვევაში, დასახელებული გამონათქვამები არც მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით და არც იზოლირებულად განხილვის შემთხვევაში არ იძლევა მათი ფაქტის კატეგორიისადმი მიკუთვნების საკმარის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორთა პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი და მათ მოსთხოვა გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტების დადასტურება. სპეციალური კანონის მე-14 მუხლიდან გამომდინარე, მოსარჩელეს ეკისრება ვალდებულება, დაადასტუროს გავრცელებული ინფორმაციის მცდარობა.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო 21.04.2014 წლის სტატიის ავტორი ირწმუნება, რომ პირველმა მოსარჩელემ დანაშაული ჩაიდინა – პირი თვითმკვლელობამდე მიიყვანა. პირველი კასატორი საკასაციო საჩივარშიც ადასტურებს, რომ პირველი მოსარჩელე სოფელ გ-ში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებულია, ვინაიდან მისი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფმა კომპანიამ სამსახურებრივი დაუდევრობისა თუ ზნეობრივი დანაშაულის გამო ადამიანი თვითმკვლელობამდე მიიყვანა. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ამ ფაქტების ჭეშმარიტების დადასტურება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენითაა შესაძლებელი. ევროსასამართლოს განმარტებითაც რამდენადაც სერიოზულია ბრალდება, იმდენად სერიოზული უნდა იყოს ფაქტობრივი საფუძველი (*Abeberry v France*). შეუძლებელია,

თუნდაც სამოქალაქო საქმეზე, პირს იმის მტკიცება მოეთხოვებოდა, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია და, ამდენად, ამ ინფორმაციის შემცველი განცხადება ცილისმწამებლურია. ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციას. გარდა ამისა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ სადაზღვევო კომპანიის წესდების თანახმად, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საკითხს სამეთვალყურეო საბჭო არ წყვეტს. შესაბამისად, პირველი მოსარჩელის, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების ფაქტი არ დგინდება, რის გამოც არ დგინდება ხსენებულ ტრაგედიასთან მისი კავშირი.

რაც შეეხება კასატორთა აპელირებას, რომ სტატიათა ნაწილი რესპონდენტთა გამონათქვამებია, რომლებიც სამართლებრივად სათანადოდ არ შეფასდა, საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს: გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული დავების განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს გამავრცელებლის მიმართებას მის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მცდარობა-ჭეშმარიტებასთან. დაუშვებელია, მედიის წარმომადგენლებს მოეთხოვოთ ასი პროცენტით გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელება, თუმცა გონივრულ ფარგლებში გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელების სტანდარტის დაცვა აუცილებელია, რომ არ გაუფასურდეს დემოკრატიული ფასეულობები. ქვეყნის ამგვარი სტანდარტის დაწესება სრულად შეესაბამება სამოქალაქო უფლებათა კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პრესის თავისუფლებისაგან განუყოფელია ჟურნალისტის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“, მათ შორის მნიშვნელოვანია, ჟურნალისტი, საჭიროების შემთხვევაში, გაემიჯნოს რესპონდენტების მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და იზრუნოს იმისათვის, რათა ნებისთნეულ შემთხვევაში არ გადაიქცეს სიძულვილის მომწოდებელი განცხადებების გამავრცელებლად. სადავო სტატიებში ჟურნალისტები არათუ გაემიჯნენ რესპონდენტთა შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, არამედ თავადაც გამოთქვამდნენ ამგვარ ფრაზებს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მოსარჩელეთა მტკიცებას, რომ მოპასუხეთა ქმედება მიზანმიმართული იყო და განცხადებული ფაქტების მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი.

როდესაც სტატია ფაქტებს ეხება, მნიშვნელოვანია, დასტურდებოდეს ჟურნალისტის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულება: მისი მხრიდან ფაქტების გადამოწმება და კრიტიკის ობიექტისათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ პრესის მეშვეობით პასუხი გასცეს მის მიმართ წარდგენილ ბრალდებებს. მათი შეუსრულებლობა ბადებს საფუძვლიან ეჭვს ჟურნალისტის განზრახვასთან მიმართებით, მას ამოძრავებს საზოგადოების ინფორმირების სურვილი თუ თავს ესხმის ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომლის მიზანი შეურაცხყოფა და რეპუტაციის შელახვაა.

საკასაციო პალატა იზიარებს ევროსასამართლოს მიდგომას, რომ, როდესაც ჟურნალისტი „არაკეთილსინდისიერად“ მოქმედებს, მისი (ჟურნალისტის) დაცვის ხარისხი გაცილებით დაბალია, ვიდრე სხვა შემთხვევაში. კონვენციის მეათე მუხლი ითვალისწინებს როგორც უფლებებს, ასევე – ვალდებულებებს, რომლებიც უნდა დაიცვას პირმა, თუკი იგი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობს. ეს მოვალეობები პრესაზე ვრცელდება და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე ეხება პირის რეპუტაციის შელახვას. მეათე მუხლის თანახმადვე, ჟურნალისტები კეთილსინდისიერად უნდა მოქმედებდნენ და უზრუნველყოფდნენ ზუსტი და სანდო ინფორმაციის მიწოდებას ჟურნალისტური ეთიკის საფუძველზე. საქმეზე დადგენილი გარემოებები ჟურნალისტის მხრიდან ამ მოვალეობათა დარღვევაზე მიუთითებენ. საკასაციო საჩივრები კი არ შეიცავს დასაბუთებულ პრეტენზიას მათ მიერ პროფესიულ მოვალეობათა დაცვასთან დაკავშირებით. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, თუ დადასტურდებოდა, რომ ჟურნალისტმა ინფორმაცია მიიღო ოფიციალური წყაროებიდან, იგი დარწმუნებული იყო გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტებაში, ჟურნალისტმა გონივრულ ფარგლებში გადაამოწმა გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება ან გადამოწმება დაუძლეველ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, შესაძლებელია, გამოირიცხულიყო სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ, თუ პრესას ინფორმაციის გავრცელების ამოცანა აკისრია, საზოგადოებას, თავის მხრივ, უფლება აქვს, მიიღოს სულ მცირე, გადამოწმებული ინფორმაცია.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეთა ინტერესი – საკუთარი რეპუტაციის დაცვისა, უპირატესია გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით. დარღვეულია ჟურნალისტის „მოვალეობანი და პასუხისმგებლობა“, სტატიებში მოცემული გამონათქვამები მისაღები კრიტიკის ფარგლებსა და ინფორმირების უფლებას სცილდება. როგორც გამონათქვამები, ისე სტატიათა შინაარსი მოსარჩელეთა პირად უფლებებზე თავდასხმას წარმოადგენს. ამდენად, სახეზეა კანონიერი ინტერესის მიზანმიმართული დაზიანება. აღნიშნული გარემოებები კი, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობას ამართლებენ.

საქმე №ას-591-591-2018

16 აპრილი, 2019 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოსამართლის მიმართ ცილისმწამებლური განცხადების გაკეთება

მოსარჩელე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეა, რომელმაც განიხილა ორი სამოქალაქო საქმე კომპანიებს: „ფ-სა“ და „თ-ოს“, ასევე, კომპანიებს: „ო-სა“ და „ბ-ოს“ შორის. მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად, კომპანია „ფ-ს“ დაეკისრა „თ-ოს“ სასარგებლოდ 92 000 000 ლარის, ხოლო, კომპანია „ბ-ოს“ კომპანია „ო-ის“ სასარგებლოდ 270 000 000 ლარის გადახდა. მოპასუხე ს-ის თავმჯდომარეა.

2017 წლის 27 მარტს ტელეკომპანია „რ-ის“ ეთერში, 18:00 საათიან საინფორმაციო გამოშვება „კ-ში“ გავიდა სიუჟეტი, რომელშიც „რ-ის“ ჟურნალისტი აცხადებს:

„დავა რომელზეც გადაწყვეტილება მოსამართლე ვ. კ-ემ მიიღო, ინვესტორებს მილიონობით ლარის ჯარიმას აკისრებს. სავაჭრო პალატაში მიაჩნიათ, რომ გადაწყვეტილებები კორუფციული გარიგების შედეგია. საუბარი არის სამ სამართლებრივ დავაზე, სამივე შემთხვევაში საქმე მიჰყავს ერთი და იგივე მოსამართლეს – ვ. კ-ეს. პირველ შემთხვევაში საუბარია „თ-ოსა“ და „ფ-ს“ შორის მიმდინარე სამართლებრივ დავაზე, რომლის შედეგადაც პირველი ინსტანციის სასამართლომ, კერძოდ მოსამართლე ვ. კ-ემ 92 000 000 ლარის გადახდა დააკისრა „ფ-ს“. მეორე შემთხვევაში კი, „ო-სა“ და „ბ-ოს“ შორის მიმდინარე დავაზე, ამ უკანასკნელს დაეკისრა 270 000 000 ლარის გადახდა. მესამე დავა მიმდინარეობს უკვე „ტ-ის“ წინააღმდეგ და როგორც ფ. ა-ი, ს-ის ხელმძღვანელი აცხადებს, იმ შემთხვევაში, თუ დავა ამ საქმეშიც „ტ-ის“ საწინააღმდეგოდ გადაწყდება, არაბი ინვესტორი ქვეყნის დატოვებას აპირებს. როგორც ფ. ა-ი აცხადებს, ის დარწმუნებულია რომ სახეზეა კორუფციული გარიგება და ის ამბობს, რომ სასამართლოში კორუფცია არ არის ლოკალური, არამედ ეს ფუნდამენტური პრობლემაა...“.

ამავე გადაცემის ეთერში გამოქვეყნდა ს-ის პრეზიდენტ ფ. ა-ის კომენტარიც, რომელიც აცხადებს:

„განვიხილავთ გზებს, თუ როგორ უნდა გაიწმინდოს მართლმსაჯულება კორუმპირებული მოსამართლეებისგან, რომლებიც ძირს უთხრიან სასამართლო სისტემის სანდოობასა და იმიჯს. ასევე, ძირს უთხრიან საინვესტიციო კლიმატს საქართველოში. მოსამართლე ვ. კ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ჩვენ პარიზში სამ ყველაზე ცნობილ მოსამართლეს გადაუვგზავნეთ და როდესაც ისინი საქმეებს გაეცნენ, ეს მათთვის შოკი იყო. საკუთარ თავს არ უჯერებდნენ და გვითხრეს, როგორ აღწევენ თავს მოსამართლეები როდესაც მსგავს რამეს აკეთებენ, ჩვენთვის სავსებით ნათელია რომ ვ. კ-ე არის კორუმპირებული მოსამართლე და არაფერი შეგვაცვლევინებს ამ მოსაზრებას, არც მუქარა, არც გასამართლება და არც დაჯარიმება. როდესაც მეუბნებიან კორუფციის რა მტკიცებულება გაქვს, ჩემი პასუხია, რომ როდესაც ვხედავ და ვგრძნობ ნაგვის სუნს, არ მჭირდება ვინმემ დამიდასტუროს რომ ეს ნაგავია. რაც ვ. კ-ემ გააკეთა ეს სირცხვილია, ის არცხვენს საკუთარ თავს, სასამართლოსა და საქართველოს. ვიბრძოლებთ და არ შეგვეშინდება, ჩემი აზრით სასამართლოსთან მიმართებაში არსებობს ფუნდამენტური პრობლემა რადგან მოსამართლეების ნაწილს დაუსჯელობის განცდა აქვთ, მათ ჰგონიათ, რომ ვერავინ შეეხებათ და რაც უნდათ იმას გააკეთებენ...“.

განსახილველ შემთხვევაში, დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოსარჩელე სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საჯარო პირია, რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებით უკმაყოფილო მოპასუხემ მედიასაშუალებებით საჯაროდ გაავრცელა განცხადებები. სარჩელით სადავოდაა გამხდარი განცხადებათა ის შინაარსი, სადაც მოპასუხე მოსარჩელეს უწოდებს „კორუმპირებულს“,

შესაბამისად, უნდა შეფასდეს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმების წინაპირობების არსებობა, კერძოდ, სახეზე ხომ არ არის სპეციალური კანონის მე-14 და მე-17 (1), (3) მუხლებით, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 413-ე (1) მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოპასუხის მიერ მედიასაშუალებებში გავრცელებული ინფორმაცია შეეხებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, შესაბამისად, შეფასების საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ ინდივიდუალური მოსამართლის, არამედ, ზოგადად სასამართლოს ავტორიტეტის საკითხი. ამ მხრივ, მართალია, ქვემდგომმა სასამართლოებმა ყურადღება გაამახვილეს პრეცედენტულ სამართალზე, სადაც შეფასებულია მოსამართლის პირადი უფლებები და რეპუტაცია და სასამართლოს ავტორიტეტი საზოგადოებაში (**საქმეები: KINCSES V. HUNGARY; Meister v. Germany; W.R. v. Austria და სხვა**), თუმცა, შეილახა თუ არა გავრცელებული განცხადებით მოსამართლის და/ან სასამართლოს ავტორიტეტი, კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა გადაწყდეს პროპორციულობის ტესტის გამოყენებით მთლიანი განცხადების კონტექსტიდან გამომდინარე (**განისაზღვროს უფლებით დაცული სფერო, მოხდა თუ არა ჩარევა უფლებაში, არსებობს თუ არა შეზღუდვის საფუძველი, რომელიც პროპორციულია ლეგიტიმური მიზნის მიღწევას**). ერთ-ერთ საქმეზე (**Marian Maciejewski v Poland №34447/05, 13 იანვარი, 2015**), სადაც ფაქტობრივი გარემოებები შეეხებოდა მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომლების წინააღმდეგ ჟურნალისტის კრიტიკულ სტატიას, სათაურით – „ქურდები მართლმსაჯულების სისტემაში“, სტატიის ავტორი აღნიშნავდა, რომ სახეზე იყო „მაფიის მსგავსი მოსამართლე-პროკურორების ასოციაცია“. ცილისწამებისთვის ჟურნალისტს შიდა კანონმდებლობით დაეკისრა ჯარიმა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კი, ამ საქმეზე დადგინდა პოლონეთის სახელმწიფოს მიერ გამოხატვის თავისუფლების დარღვევა. გადაწყვეტილებაში ხაზი გაესვა, რომ ევროპული სასამართლო მკაცრი ტესტით შეამოწმებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას იმ შემთხვევებში, როცა სანქცია ხელს უშლის მედიას, გააშუქოს დებატები, რომელზეც საჯარო ინტერესი არსებობს. ევროპული სასამართლოს შეფასებით, მედია არის ერთ-ერთი შესაძლებლობა, იმისთვის, რათა საზოგადოების მხრიდან გადამოწმდეს თუ რამდენად კეთილსინდისიერად ახორციელებენ მოსამართლეები კანონით დადგენილ მათ უმნიშვნელოვანეს უფლებამოსილებებს. მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ხარვეზები არის საკითხი, რომელზეც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, შესაბამისად, ლეგიტიმურია, რომ ეს საკითხები ჟურნალისტებმა და სხვა პირებმა განიხილონ საჯარო დებატებში. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში გადმოცემული ფრაზები ჩანდა მკაცრი და მწვავე, ამგვარი გაზვიადებული ან თუნდაც მაპროვოცირებელი განცხადებები საჯარო დებატებში დასაშვებია და დაცული იყო კონვენციის მე-10 მუხლით.

საკასაციო სასამართლო, ვიდრე სადავო განცხადების შინაარსს შეამოწმებდეს, მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ხაზი გაუსვას საქართველოში მიმდინარე მოვლენებს: იმ ვითარებაში, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს მართლმსაჯულების რეფორმა და სასამართლო ხელისუფლება ფართო საზოგადოების ინტერესშია მოქცეული, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ განსაკუთრებულ, სასამართლო ხელისუფლებაზე/მოსამართლეზე აშკარა და ნეგატიური თავდასხმის შემთხვევაში დაიშვება, რომელიც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების როლის შესუსტებას, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფას და მხოლოდ აღნიშნული უნდა წარმოადგენდეს განცხადების გამავრცელებლის მიზანს. სხვა შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევამ შეიძლება დააზარალოს ქვეყნის ინტერესები, შეუძლებელი გახადოს საზოგადოების მხრიდან რეფორმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, რაც, ბუნებრივია, უარყოფითად აისახება ქვეყნის ინტერესებსა და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე. პრეცედენტული სამართლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვან ინსტიტუციას წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებისათვის, ექცევა საზოგადოებრივ ინტერესში. ამ მხრივ, აუცილებელია საზოგადოებაში სასამართლოს განსაკუთრებული როლის გათვალისწინება. ქვეყანაში, რომელიც იმართება კანონის უზენაესობის პრინციპით, სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების გარანტი, უნდა სარგებლობდეს საზოგადოების ნდობით, იმისათვის, რომ წარმატებით შეძლოს საკუთარი მოვალეობების შესრულება. ამდენად,

შესაძლოა, აუცილებელი იყოს აღნიშნული ნდობის დაცვა მეტად საზიანო თავდასხმებისაგან, რომლებიც არსებითად უსაფუძვლოა, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კრიტიკის ადრესატ მოსამართლეებს აკისრიათ წინდახედულების ვალდებულება, შესაბამისად, მათ ეკრძალებათ კრიტიკაზე საპასუხო რეაგირება (იხ. *„პრაგერი და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ“*, 26 აპრილი, 1995 წელი, §34, სერია A, N 313; *„კარპეტასი საბერძნეთის წინააღმდეგ“*, N6086/10, §68, 30 ოქტომბერი, 2012 წელი და დი *„ჯოვანი იტალიის წინააღმდეგ“*, N 51160/06, §71, 9 ივლისი, 2013 წელი, ასევე, *„მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ“*, N29369/10, 23 აპრილი, 2015 წელი). ფრაზა „სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი“ მოიცავს იმ ცნებას, რომ სასამართლოები არიან და საზოგადოების მიერ ზოგადად მიიჩნევიან, როგორც სათანადო ორგანოები სამართლებრივი დავების გადასაჭრელად და ადამიანის ბრალეულობის ან უდანაშაულობის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებად სისხლის სამართლის საქმეებზე. აქ ასევე იგულისხმება საზოგადოების მხრიდან პატივისცემის მაღალი ხარისხი და რწმენა, რომ სასამართლოს შესწევს ამ ფუნქციის შესრულების უნარი (იხ. *„ვორმი ავსტრიის წინააღმდეგ“*, 29 აგვისტო, 1997, § 40, ანგარიშები 1997-V). საქმე ეხება ნდობას, რომელიც სასამართლოებმა დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა აღძრან არა მხოლოდ ბრალდებულში სისხლის სამართალწარმოებისას, არამედ, ფართო საზოგადოებაშიც (იხ. *„კუდუშკინა რუსეთის წინააღმდეგ“*, N 29492/05, § 86, 2009 წლის 26 თებერვალი და დი *ჯოვანი*). თუ არ ჩავთვლით ისეთ შემთხვევებს, როდესაც ხდება მეტად საზიანო და უსაფუძვლო თავდასხმა, მოსამართლეები წარმოადგენენ სახელმწიფოს ფუნდამენტური ინსტიტუციის ნაწილს და შეიძლება დაექვემდებარონ პირად კრიტიკას დასაშვებ ფარგლებში (იხ. *ჟული და SARL Libération*, § 74). ამდენად, თანამდებობრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებისას, მათზე ვრცელდება დასაშვები კრიტიკის უფრო ფართო ფარგლები, ვიდრე რიგითი მოქალაქის შემთხვევაში (იხ. *ჟული და SARL Libération*, § 74). სასამართლოს ავტორიტეტის, ასევე, ინდივიდუალური მოსამართლის უფლებებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია გარკვეული რეგულაციები, რათა გატარდეს პრევენციული ზომები საფრთხის თავიდან ასარიდებლად. როდესაც არასათანადო ქცევა ან გარკვეული განცხადების გაკეთება ხდება სასამართლო სხდომის დარბაზში, საპროცესო კანონმდებლობა (იხ. *მაგ: სსსკ-ის 211-ე და 212-ე მუხლები*) ადგენს წესრიგის დამრღვევის პასუხისმგებლობის წესსა და შესაბამისი სანქციის შეფარდების შესაძლებლობას. სასამართლო სხდომის დარბაზის გარეთ გავრცელებული ინფორმაციის ნეგატიური შედეგების თავიდან ასარიდებლად კი, პირს, რომლის მიმართაც გავრცელდა ინფორმაცია, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გააჩნია უფლება, საპასუხო ცნობები გამოაქვეყნოს იმავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რომელშიც გავრცელდა განცხადება.

განსახილველ შემთხვევაში, სადავო განცხადებების შინაარსისა და კონტექსტის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ ისინი განმცხადებლის აზრს, მის შეფასებით მსჯელობას წარმოადგენენ, რადგანაც განცხადებათა მთლიანი კონტექსტი (სადავო გადაწყვეტილებები ჩვენ პარიზში სამ ყველაზე ცნობილ მოსამართლეს გადავუგზავნეთ და როდესაც ისინი საქმეებს გაეცნენ, ეს მათთვის შოკი იყო... ჩვენთვის სავსებით ნათელია, რომ ვ. კ-ე არის კორუმპირებული მოსამართლე... როდესაც მეუბნებიან კორუფციის რა მტკიცებულება გაქვს, ჩემი პასუხია, რომ როდესაც ვხედავ და ვგრძნობ ნავის სუნს, არ მჭირდება ვინმემ დამიდასტუროს რომ ეს ნავავია) იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ მოპასუხე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან, ასევე, ამ გადაწყვეტილებათა შინაარსზე სხვა, მისთვის ავტორიტეტული პირების მიერ გამოთქმული აზრიდან გამომდინარე, აყალიბებს საკუთარ დამოკიდებულებას მოვლენის მიმართ და გულის ტკივილს გამოთქვამს სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობის გამო (მაგ: ვიცნობ რამდენიმე ძალიან მაღალი დონის მოსამართლეს, პატიოსანს, მაგრამ მათ სახელსაც ჩირქი მოეხბო იმ მოსამართლეების მხრიდან რომლებიც ასეთ გადაწყვეტილებებს იღებენ... აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება არ ერევა სასამართლოს საქმიანობაში და ეს ასე უნდა იყოს... უნდა გავაჯანსაღოთ სასამართლო...). რაც შეეხება უშუალოდ გამოყენებულ ტერმინს – „კორუმპირებული“, სარჩელის თანახმად, იგი არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას და ზიანს აყენებს მოსარჩელის ავტორიტეტს. საკასაციო პალატა არ იზიარებს ამ მოსაზრებას და განმარტავს, რომ სამოქალაქო განათლების ლექსიკონის

თანახმად, სიტყვა „კორუმპირებული“ განიმარტება, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ქცევის სტანდარტების უარყოფა არაკანონიერი პირადი სარგებლის მიღების მიზნით, ანუ ქმედების კორუმპირებულად შეფასებისა და მისი ნამდვილობა-მცდარობის შესაფასებლად, განცხადების გამავრცელებელი ფაქტის დონეზე უნდა მიუთითებდეს მტკიცებას დაქვემდებარებულ ისეთ გარემოებებზე, რომლებიც თეორიულად დაადასტურებდა ხელისუფლების წარმომადგენლის მხრიდან პირადი სარგებლის მიღების მიზნით მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სპეციალური კანონის 7.5. მუხლის შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია უნდა შეფასდეს „აზრად“, რომელიც, ამავე კანონის 4.1. მუხლის შესაბამისად, დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც იწვევს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო გათავისუფლებას. ერთ-ერთ საქმეზე ევროსასამართლომ არასწორ ფაქტად მიიჩნია პოლიტიკური თანამდებობის პირის – მინისტრის საჯარო განცხადება, რომლითაც მან სასჯელალსრულების დაწესებულებაში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, საზოგადოებრივი მონიტორინგის კომისიის წევრი ფულის მიღების სანაცვლოდ, პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არასწორი სამედიცინო დასკვნის გაცემაში დაადანაშაულა. მოცემულ საქმეზე ევროსასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განცხადება შეიცავდა დადასტურებად ფაქტებს (*თანხის მიღება არასწორი სამედიცინო დასკვნის გაცემის მიზნით*) და აღნიშნა, რომ კონვენცია არ მოითხოვდა პირებისაგან მე-8 მუხლით დაცული უფლებების დარღვევის მოთმენას და საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე სისხლისსამართლებრივ ქმედებებში საჯაროდ დადანაშაულებას ... როდესაც საზოგადოება მოელის გადამოწმებულ ინფორმაციას ამ ბრალდებებთან დაკავშირებით და არა ფაქტებით გაუმყარებელ განცხადებებს (*იხ. „ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი №18925/09, 20 სექტემბერი, 2018 წელი*).

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განცხადებებში მოპასუხის მიერ გამოთქმული სადავო ფრაზა არ არის საკმარისად კონკრეტული, მასში არ არის გადმოცემული ფაქტები, არამედ, გამოთქმათა მთლიანი კონტექსტის შესაბამისად, უფრო მეტად განცხადების გამავრცელებლის აზრს, მოვლენის მიმართ მის პირად დამოკიდებულებასა და კომენტარს წარმოადგენს, რაც ამ გამონათქვამის აზრად და არა ფაქტად მიჩნევას განაპირობებს, შესაბამისად, პალატა აღარ მსჯელობს მოსარჩელის მე-8 მუხლით დაცული უფლების დარღვევის საკითხზე. **მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე კი, იმგვარი დებატი, რომლის ერთადერთი მიზანი სასამართლოს/მოსამართლის დისკრედიტაცია არ არის, მიუხედავად გამოთქმის მკვეთრად უარყოფითი და არასასურველი კონტექსტისა, არ შეიძლება უპირობოდ დაექვემდებაროს შეზღუდვას.**

1.3. იურიდიული პირი

საქმე №ას-302-287-2016

15 ივლისი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება*

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ცნებას სამოქალაქო კოდექსი დამოუკიდებლად არ გვთავაზობს და მისი არსი ასახულია იურიდიული პირის განმსაზღვრელ ზოგად დეფინიციასში, რომელიც არის შესაბამისი მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, იგი თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ (სკ-ის 24.1 მუხლი). სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები ადგენენ იურიდიული პირის რეგისტრაციის წესსა და პირობებს

* ანალოგიურად განიმარტება მეწარმე სუბიექტის დირექტორთან დადებული ხელშეკრულებაც (*იხ. სუსგ, №ას-895-845-2015, 29 იანვარი, 2016 წელი*).

და მიუთითებენ მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციისათვის სპეციალური კანონით („მეწარმეთა შესახებ“) განსაზღვრულ მოთხოვნებზე, თუმცა, ამავე კოდექსის 24-ე მუხლის მე-6 ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ იურიდიული პირი, რომლის მიზანია არასამეწარმეო საქმიანობა, უნდა დარეგისტრირდეს ამ კოდექსით დადგენილი წესით. არასამეწარმეო იურიდიული პირის ორგანიზაციული მოწყობის დეტალური პირობები არ არის კოდექსში მოცემული და ის მთლიანად დისპოზიციურ მოწესრიგებას ექვემდებარება, რამდენადაც კანონის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამ საკითხის რეგულაციას დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმებას – წესდებას უკავშირებს, თავის მხრივ, ბუნებრივია, დაცულია იურიდიული პირის რეალური ფუნქციონირებისათვის სავალდებულო ნიშანიც – ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე სუბიექტის არსებობა. დამფუძნებელს (წევრს) შეუძლია ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება ან/და დააწესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა (სკ-ის 35.1 მუხლი), რომლის ნამდვილობაც დამოკიდებულია იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციაზე, ანუ ამ შემთხვევაშიც, რეგისტრაცია კონსტიტუციური მნიშვნელობის მატარებელია და წარმოადგენს მესამე პირთა უფლებადამცავ დანაწესს.

სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მეწარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისთვის განსაზღვრული წესები. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით რეგულირებულია სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხები. ნორმის მე-7 პუნქტი ადგენს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის მოწესრიგების სამართლებრივ საფუძვლებს, კერძოდ, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე სამეთვალყურეო საბჭოსა და საწარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკორპორაციო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს საწარმოს დირექტორის დანიშვნასა და მის შრომით თანამდებობაზე გამწესებას. პირის დანიშვნის ცნება მოიაზრებს დირექტორის დანიშვნას მის ორგანულ თანამდებობაზე, რაც ამ აქტის კორპორაციულსამართლებრივ და ცალმხრივ ხასიათზე მიუთითებს. იგი დირექტორის დანიშვნის ფაქტის მარეგისტრირებელი ორგანოს მეშვეობით გასაჯაროებისა და შესაბამისად, დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის ნების სისრულეში მოყვანის საფუძველია. სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან ხდება დირექტორი უფლებამოსილი, განახორციელოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი, რაც შეეხება შრომით თანამდებობაზე გამწესების აქტს, იგი წარმოადგენს იურიდიულ პირსა და დირექტორს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეებს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა და რომლის თაობაზეც ქვემოთ იმსჯელებს სასამართლო.

დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის წესის რეგულაციასთან დაკავშირებით ზემოთ მოხმობილი ნორმებიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7¹ მუხლი აბუსტებს უფლებამოსილების შეწყვეტის პირობებს, რომლებიც უკავშირდება ამ ნების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციას. კანონი ადგენს სამ შემთხვევას: ა) დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის მიერ ნების გამოვლენა; ბ) თავად რეგისტრირებული პირის მიერ ნების გამოვლენა; გ) რეგისტრირებული პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება, მხარდაჭერის დანიშვნა. პირველ ორ შემთხვევასთან მიმართებით (მარეგისტრირებელი ორგანოს მიმართ ცალმხრივი ნების გამოვლენა) კანონი მოითხოვს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით (შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი) დადგენილი წესით შეტყობინების გაგზავნის აუცილებლობას (კანონის მე-9 მუხლის 7² პუნქტი). კანონის ეს უკანასკნელი დათქმა დღის წესრიგში აყენებს იმ კითხვაზე პასუხის გაცემის აუცილებლობას, ა(ა)იპ-ის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებისათვის

გამოიყენება თუ არა შრომის კოდექსის ნორმები. პალატის მოსაზრებით, მიუხედავად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შრომით-სამართლებრივი ელემენტების შემოღებისა, **ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკავალიფიცირდეს შრომით-სამართლებრივ ხელშეკრულებად, არამედ, იგი პირობითად შეიძლება სასამსახურო ხელშეკრულებად მოვისხენიოთ, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და სავსებით განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან.**

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც სამოქალაქო კოდექსის იურიდიული პირის მომწესრიგებელი ნორმები და სპეციალური კანონი – „მეწარმეთა შესახებ“ არ შეიცავს პირდაპირ დათქმას საწარმოს დირექტორთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების თაობაზე, დგება საკითხი იმის შესახებ, თუ ყველაზე უფრო რომელ სამართლებრივ ინსტიტუტთან არის ეს ურთიერთობა ახლოს. მსგავს მოწესრიგებას შეიცავს ამ კუთხით სამოქალაქო კოდექსის 35.2 და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.2 მუხლები. თუ გადავავლებთ თვალს სამოქალაქო კოდექსით დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს, არა ერთ მსგავსებას ვნახავთ, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულება შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დავალება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგის დადგომას და როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთნდობას, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი. საგულისხმოა, რომ დავალების ხელშეკრულების ვადასთან მიმართებით სამოქალაქო კოდექსი რაიმე მოწესრიგებას არ ითვალისწინებს, არამედ, მისი განსაზღვრა მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, ამასთანავე, 710-ე მუხლის ძალით, დავალება შეიძლება იყოს სასყიდლიანი, ხოლო, ამავე კოდექსის 720-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს. შეთანხმება ამ უფლებაზე უარის შესახებ ბათილია. მითითებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ **ა(ა)იპ-ის დამფუძნებელს (წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს) შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.**

საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ არასამეწარმეო იურიდიულ პირსა და მის წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულების დავალების სამართლებრივ ურთიერთობად მიჩნევის მიუხედავად, ამ ურთიერთობას ასევე გააჩნია დასაქმებული დირექტორის მინიმალური სოციალური დაცვის გარანტიებით უზრუნველყოფი მოთხოვნები, რაც დამახასიათებელია შრომითი ურთიერთობისათვის. „ევროპის სოციალური ქარტია“ აღიარებს დასაქმებულის დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტს, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებებიდან გამომდინარეობს და შეეხება ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებებს, როგორცაა შრომის უფლება, რომელიც თავის თავში მოიცავს შრომის თავისუფლებას, უფლებას შრომის სამართლიან პირობებზე, სამართლიანი ანაზღაურების უფლებას, უფლებას შვებულებაზე და სხვა, რაც, სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, შესაძლოა, უფრო დეტალურად იქნას მოწესრიგებული არასამეწარმეო იურიდიული პირის წესდებითა და მასთან დადებული ხელშეკრულებით.

1.4. ბარიუმბანი

საქმე №ას-663-629-2015

28 ივლისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ამორალური გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი)

ნებისმიერი დავის გადაწყვეტისას, სასამართლო ხელმძღვანელობს დავის სამართლიანად გადაწყვეტისა და მონაწილეთა ინტერესების დაცვის პრინციპით. სამოქალაქო სამართალში ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერი ქცევაა პრეზუმირებული, რაც იმთავითვე გულისხმობს იმის ვარაუდს, რომ ისინი თავიანთ უფლებებს კეთილსინდისიერად ახორციელებენ [სსკ-ის 8.3 მუხლი]. „უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონის იმპერატიული ნორმები“ [სსკ-ის 10-ე მუხლის მესამე ნაწილი]. შესაბამისად, მხარეთა უფლება თავისუფლად დადონ ხელშეკრულება და ასევე თავისუფლად განსაზღვრონ მისი შინაარსი, აბსოლუტური არ არის. სახელშეკრულებო დებულებების განსაზღვრის დროს ისინი ვალდებული არიან გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კასატორი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, ეკონომიკურად უფრო ძლიერი მხარეა და უდავოა, რომ სწორედ მის მიერ იქნა განსაზღვრული სესხის სარგებელი – ყოველთვიური 6%. მართალია, ამ შეთავაზებას გ--ა ს--ე დაეთანხმა, მაგრამ ამით სამართლებრივი სურათი არ იცვლება, რადგანაც კასატორი მოქმედებდა სსკ-ის 325-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ქცევის წესის საწინააღმდეგოდ: „თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საექსპოზიციოს ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე.“

ამ შემთხვევაში, შესრულებასა და საპირისპირო შესრულებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და კასატორი [სარგებლის მიმღები] მოქმედებდა ცალსახად არაკეთილსინდისიერად: მის მიერ არ იქნა გათვალისწინებული ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთი და მოსალოდნელი რისკები და მან ბოროტად გამოიყენა საბაზრო ძალაუფლება. ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი სესხის წლიური სარგებლის 72%-ით განსაზღვრას საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად შეაფასებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარგებლის მართლზომიერების მტკიცების ტვირთი კასატორს აწევს სსკ-ის 325-ე მუხლის პირველი და სსსკ 102-ე მუხლის პირველი ნაწილების თანახმად, რაც მან ვერ დაამტკიცა. ამრიგად, **მხარეთა შორის დადებული 2010 წლის 2 ნოემბრის ხელშეკრულების დებულება [1.3 პუნქტი], რომლითაც კასატორმა სესხისათვის შეუსაბამოდ მაღალი სარგებელი განსაზღვრა, მაშინ როდესაც არ არსებობდა ასეთი მოქმედების ლეგიტიმური მიზანი, ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ღირებულებებს და სსკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით უცილოდ ბათილია, რაც ამ შემთხვევაში არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას სსკ-ის 62-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე.**

უცილოდ ბათილ გარიგებას სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება. მის ასეთად აღიარებას არ სჭირდება არც მხარის შეცვლა და არც მისი ბათილობის მოთხოვნა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გალინა სხილაძემ შეცვლიდა გააკეთა, იგი სწორედ ამ ფაქტობრივ გარემოებაზე ამყარებდა სარჩელს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა და შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები, როდესაც სარგებლის ოდენობა შეამცირა წლიურ 48%-მდე, როგორც ამას მოითხოვდა გ. მსხილაძე.

საქმე №ას-1470-2018

15 თებერვალი, 2019 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოჩვენებით დადებული გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი (სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილი)

მოჩვენებითი გარიგება, როცა ნების გამომვლენი და ნების მიმღები თანხმდებიან იმაზე (მოქმედებდნენ შეთანხმებით), რომ მათ მიერ გამოვლენილ ნებას არ მიეცეს მსვლელობა და არ მოჰყვეს ამ გარიგებისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი შედეგი. აქედან კი, გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა, იმის თაობაზე, რომ ამ საფუძველით გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლების მქონეა არა თავად გარიგებაში ნების გამომვლენი მხარე ანუ, ის პირი, რომელიც გარიგების მონაწილე მეორე მხარეს თავიდანვე

შეთანხმდა და რომელთან ერთადაც განიზრახავდა სამართლებრივი შედეგის დაუდგომლობას (სიმულაცია), არამედ სხვა პირი, რომლის უფლებაც ირღვევა ამგვარი ნების შეთანხმებული გამოვლენის შედეგად.

განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ მოსარჩელემ მხოლოდ იმიტომ გააფორმა მოჩვენებითი გარიგება, რომ თავი აერიდებინა ვადამოსული საკრედიტო ვალდებულების შესრულებისა და მეუღლესთან არსებული დავის გამო, სადავო ქონების წილზე უფლების შემცირებისთვის, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მოსარჩელეს არ გააჩნია ამ გარიგების ბათილობის მართლზომიერი ინტერესი. ცალკე მსჯელობის საგანია, დასტურდებოდა თუ არა რელევანტური მტკიცებულებებით ბათილობის საფუძველად მითითებული გარემოებები, თუმცა, ნიშანდობლივია, რომ სსკ-ის 5ნ-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმატიულ მიზანს, სხვათა უფლებების დაცვა, მათი იურდიული ინტერესის განხორციელებადობა წარმოადგენს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არა ყოველგვარი საფუძველითაა შესაძლებელი გარიგების ბათილად ცნობა. სამოქალაქო ბრუნვის ინტერესი მოითხოვს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.

საქმე №ას-1504-1424-2017

09 თებერვალი, 2018 წელი ქ. თბილისი

განმარტების საგანი: შეცდომა გარიგების საფუძველში (სამოქალაქო კოდექსის 72-ე და 73-ე (გ) მუხლები)

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა თ-ც-ის განცხადება და აღნაგობის უფლებით გადაეცა ქ. თბილისში, გ-ის გამზირზე, ა-ის სახლის მოპირდაპირედ არსებული 703 კვ.მ. მიწის ნაკვეთი აღნაგობის ვადა განისაზღვრა 15 წლით, ხოლო სხვა პირობები – გადაწყვეტილების დანართით, რომლის 2.1 პუნქტის თანახმად, აღნაგობის უფლების მქონე უფლებამოსილია, მიწის ნაკვეთზე განახორციელოს მხოლოდ ქ. თბილისის მერიის სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტით ან/და სხვა ფორმის თანხმობით გათვალისწინებულ ნაგებობის მშენებლობა/მონტაჟი; ხოლო, 3.1 პუნქტის თანახმად, ყოველწლიური აღნაგობის ქირის ოდენობა განისაზღვრა 24 000 ლარით დღგ-ის გარეშე.

აღნაგობის უფლების მქონემ რამდენჯერმე მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის მოთხოვნით.

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 დეკემბრის (№1.), 2015 წლის 09 იანვრის (N16...) და 2015 წლის 9 თებერვლის (N171..) ბრძანებებით აღნაგობის უფლების მქონეს უარი ეთქვა ხელშეკრულების საგნის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე. მოთხოვნის უარყოფას განაპირობებდა ის გარემოება, რომ აღნაგობის საგნი წარმოადგენდა გზისპირა გამწვანებულ ზოლს და მიზანშეწონილი იყო მისი სარეკრეაციოდ განვითარება. შესაბამისად, გამოირიცხა სავაჭრო ობიექტის განთავსების მიზნით აღნაგობის საგნის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება.

2015 წლის 02 აპრილს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ, რომლითაც მოითხოვა 2014 წლის 28 თებერვლის აღნაგობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი გარიგების შეცდომით და/ან მოტყუებით დადებაში მდგომარეობდა. ამასთან, მოსარჩელის მითითებით, სადავო გარიგების დადებაზე მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ ქონდა გამოკვლეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილია. სარჩელის უარყოფა დაეფუძნა სასამართლოს იმგვარ მოსაზრებას, რომ აღნაგობის უფლების მქონემ გამოხატა ნება მსგავსი შინაარსის ხელშეკრულების დადებაზე, ხოლო მიზნის განუხორციელებლობა, რომელიც აღნაგობის საგნის სავაჭრო ობიექტის მშენებლობისთვის გამოყენებაში მდგომარეობდა და ვეღარ მიიღწეოდა, არ წარმოუშობდა ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველს, რამდენადაც თავიდანვე უნდა ყოფილიყო განჭვრეტადი აღნაგობის უფლების მქონის მხრიდან. თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 01 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატა საგულისხმოდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს თავად მხარეთა შორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობის საგანზე, რომელსაც აღნაგობის უფლებით მიწის ნაკვეთის გრძელვადიან სარგებლობაში სასყიდლიანი გადაცემა წარმოადგენდა [სსკ-ის 233-ე მუხლი]. მხარეთა შორის წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმის მიზანიც მიწის ნაკვეთის ვადიან სარგებლობაში იმგვარად გადაცემაა, რომ უფლებამოსილ პირს ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება... ამ უფლების ძალით მიწის ნაკვეთი განსაზღვრული ვადით იტვირთება იმგვარად, რომ უფლებამოსილ პირს-მეაღნაგეს აქვს უფლება, იქონიოს მიწის ნაკვეთის ზედაპირზე ან მის ქვეშ შენობა-ნაგებობა. ამ უფლების იმგვარად გამოყენების შესაძლებლობა, რომ მისი მეშვეობით კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ აიშენონ საცხოვრებელი სახლი ან სხვა შენობა-ნაგებობა მიწის ნაკვეთის შეძენის გარეშე, განაპირობებს აღნაგობის სოციალურ მნიშვნელობას. თუმცა, განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნაგობის უფლების ამგვარი ნორმატიული მიზანი აღნაგობის უფლების მქონისაგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ მიიღწეოდა.

საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია რამდენად სწორად შეფასდა 2014 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულების ბათილობის საკითხი სააპელაციო პალატის მიერ და განხორციელებულია თუ არა მოცემულ საქმეზე სსკ-ის 72-ე და 73-ე მუხლების სამართლებრივი საფუძვლის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი გარემოებები. მით უმეტეს, საგულისხმოა ისიც, რომ ყოველგვარი სახელშეკრულებო ინტერესის და მიზნის რეალიზების შეუძლებლობა როდი წარმოუშობს ხელშეკრულების მხარეს გარიგების ბათილობის საფუძველს.

საქმეზე დადგენილად მიჩნეული აღნაგობის უფლების მქონის (მოსარჩელის) მიერ გამოვლენილ ნებაში ცდომილების არსებობა. აღნიშნული კი, გულისხმობს შეცდომას თავად გარიგების საფუძველში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გარიგების საფუძველი უნდა გაიმიჯნოს ხელშეკრულების შინაარსისაგან. იგი არ უნდა იყოს ხელშეკრულების შინაარსი, რომელსაც მხარეები შესაბამისი სახელშეკრულებო პირობით დებენ [სსკ-ის 319-ე და 327-ე მუხლები]. გარიგების საფუძველი არის ხელშეკრულების გარეთ არსებული, თუმცა მასთან დაკავშირებული გარემოება ან წარმოდგენა. იმ შემთხვევაში, თუ გარიგების საფუძველი ხელშეკრულების შინაარსშია შეტანილი და მხარეები მასთან დაკავშირებით შეცდომას უშვებენ, სახეზე იქნება შინაარსში დაშვებული შეცდომის ფაქტი. შესაბამისად, ძირითად შემთხვევებში, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული არც ცალმხრივი მოტივი ან მოლოდინები ჩაითვლება გარიგების საფუძველად.

გარიგების საფუძველში შეცდომას კი, აქვს ადგილი მაშინ, როდესაც პირის რეალური და გამოხატული ნება ერთმანეთს არ ემთხვევა. სხვანაირად რომ ვთქვათ, შეცდომა არის მხარის მცდარი წარმოდგენა შემთხვევის შემადგენლობაზე. ერთ-ერთ საქმეში გარიგების ბათილობის მოთხოვნის უარყოფისას საკასაციო პალატა დაეყრდნო იმ გარემოებას, რომ „საქმეში არ არსებობდა არც სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, რადგან საქმის გარემოებებით არ დგინდება გარიგების დადებისას არსებითი შეცდომის დაშვების ფაქტი. მაშინ როდესაც შეცდომისას პირის ნება ემთხვევა მის მიერ გამოვლენილ ნებას, მას ნამდვილად სურს არსებული გარიგება, ოღონდ არა იმ შინაარსით რა სახითაც იგი არსებობს. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეს არასოდეს არ გაუხდია სადავოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მას გარიგების დადების ნება არ ჰქონდა“ (იხ., 14.06.2010 წელი Nას-385-358-2010). გარიგების საფუძველებში დაშვებული არსებითი შეცდომის მოწესრიგებაა მოცემული სწორედ სსკ-ის 73-ე მუხლის „გ“ პუნქტში. შეცდომის ამ სახეს მაშინ ააქვს ადგილი, როდესაც სახეზე არ არის ის გარემოებები, რასაც მხარეები კეთილსინდისიერების პრინციპის ფარგლებში გარიგების საფუძველად განიხილავენ. შესაბამისად, მოცემული უნდა იყოს მხარეთა (ორივე მხარის) ერთობლივი მცდარი წარმოდგენა იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც ისინი დებენ გარიგებას და განიხილავენ მას გარიგების საფუძველად.

ნიშანდობლივია მიზეზობრივი კავშირის არსებობაც, რამდენადაც შეცდომა უნდა იყოს ნების გამოვლენის განმსაზღვრელი, იგი უნდა იმყოფებოდეს მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან (ნების გამოვლენას-

თან). ეს კი მოცემულია მაშინ, როდესაც შეცდომის შედეგად პირი ავლენს ისეთ ნებას, რომელსაც შეცდომის გარეშე ამ კონკრეტული ფორმით არ გამოავლენდა, ანუ, როდესაც შეცდომა არის შედეგის განმსაზღვრელი.

ამდენად, კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ ბათილობის საფუძველი შეიძლება იყოს სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლისას ხელშეკრულების მხარის მიერ დაშვებული არსებითი ხასიათის შეცდომა, რასაც ადგილი არ ჰქონია განსახილველ საქმეში, არ გააჩნია გაზიარების ვარგისი ფაქტობრივსამართლებრივი საფუძველი. კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე კი, სააპელაციო სასამართლო მსჯელობა სსკ-ის 72-ე მუხლის და 73-ე მუხლის „გ“ პუნქტის სამართლებრივი საფუძველის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის შესახებ მართებულად უნდა შეფასდეს, ვინაიდან აშკარაა მხარეთა ერთობლივი მცდარი წარმოდგენა იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც, ისინი დებენ გარიგებას და განიხილავენ მას გარიგების საფუძველად. სახელდობრ, უდავოა, რომ მეაღნაგეს ადმინისტრაციულმა ორგანომ გადასცა ისეთი მიწის ნაკვეთი, რომელზეც, ნაკვეთის დანიშნულებიდან გამომდინარე, შეუძლებელი გახდა ნაგებობის აღმართვა. მაშინ როდესაც მეაღნაგის წარმოდგენა და მოლოდინი უკავშირდებოდა ხელშეკრულების დადების შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის მოპოვებას. თუმცა, მისი წარმოდგენა მცდარი აღმოჩნდა. მოსარჩელეს, რომ ევარაუდა მოვლენათა ასეთი განვითარება, არ დადებდა სადავო ხელშეკრულებას, რადგან ასეთი გარიგების დადების არანაირი ეკონომიკური ინტერესი არ ექნებოდა. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საქმე შეეხებოდა გრძელვადიან, სასყიდლიან ხელშეკრულებას. ამ მოცემულობის პირობებში, მეაღნაგის ასეთი მცდარი წარმოდგენა და მოლოდინი უნდა შეფასებულიყო არსებით შეცდომად, რაც მისი ბათილობის საფუძველს წარმოშობდა სსკ-ის 72-ე და 73 „გ“ მუხლების სამართლებრივი საფუძველით.

საქმე №ას-688-654-2015

21 ივლისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: იძულებით დადებული გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი)

სსკ-ის 184-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი, უძრავ ნივთზე საკუთრების მიტოვება, განხორციელებულად ჩაითვლებოდა იმ შემთხვევაში, როცა უფლებამოსილი პირის, ალექსანდრე ბაგრატიონის მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნება, სამართლებრივად ნამდვილი იქნებოდა, რაც თავისთავად გულისხმობს ნების გამოვლენის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი პირობების დაცვას. მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ეტაპზე ა.ბ--ის მიერ გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ასახავდა მის ნამდვილ შინაგან ნებას და ცალსახად ნაკლის მქონედ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იგი გამოვლენილი იყო არა საკუთრების მიტოვების, არამედ მოსალოდნელი სასჯელის შემსუბუქების მიზნით. ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ის, რომ იგი 2011 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებით იქნა ბრალდებულად ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და აღკვეთის ღონისძიების სახით მის მიმართ გამოყენებული იქნა შეუსაბამოდ მაღალი გირაო, 100 000 ლარი, რომელიც თითქმის 10-ჯერ აღემატებოდა ამ დანაშაულისათვის სხვა შემთხვევებში გამოყენებული გირაოს საშუალო ოდენობას, 10085 ლარს.

გარდა ამისა, ამ ნორმის სანქციით სასჯელის ერთ-ერთ სახედ გათვალისწინებულია ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. სწორედ პატიმრობის შეფარდების შიში იყო ის ფსიქოლოგიური ფაქტორი [მის წინააღმდეგ იყო სახელმწიფო თავისი იძულებითი ძალაუფლებით], რომელმაც ა. ბ--ი აიძულა მიეღო ქონების მიტოვების გადაწყვეტილება. ამ დასკვნას ამყარებს ის გარემოებაც, რომ ქონების მიტოვებისა და ამ ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში აღრიცხვის შემდეგ, 2011 წლის 30 დეკემბერს, განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ბრალდებულ ა--ე ბ--ს შორის. ეს უკანასკნელი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 381-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი. ამავე განაჩენით გაუქმდა გირაო. ამრიგად, სახეზე იყო სსკ 86-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იძულება, რაც ანიჭებდა ბ--ს მის მიერ გამოვლენილი ნების ბათილობის მოთხოვნის უფლებას [სსკ 85-ე მუხლი]. შეცდომის უფლება მან კანონით დადგენილ ვადაში, 2011 წლის 21 ნოემბერს სარჩელის წარდგენით განახორციელა [სსკ 89-ე, 138-ე, 140.2 მუხლები].

რასაკვირველია, გარიგების დადების მიზნით პირის იძულება იმავდროულად მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაცაა, რადგანაც ამ დროს ირღვევა საჯარო წესრიგი [სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, სსკ 54-ე მუხლი]. მოცემულ შემთხვევაში, შეილახა ა--ე ბ--ს საკუთრების უფლება – მისი კუთვნილი, ქ. თბილისში მდებარე უძრავი ქონება, 16.24 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, გადავიდა სახელმწიფო საკუთრებაში. ამდენად, მართალია, სსკ 54-ე და 85-86 (1)-ე მუხლებით გათვალისწინებული ორივე შემადგენლობა განხორციელებულია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ სპეციალური შემადგენლობით, სსკ 85-86(1) მუხლებით, გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი.

შეცვლების განხორციელების მომენტიდან, ა. ბ--ის მიერ 2011 წლის 21 ნოემბერს გამოვლენილი ცალმხრივი ნების გამოვლენა [ცალმხრივი გარიგება] ითვლება ბათილად, რაც გულისხმობს იმ სამართლებრივი შედეგის გაუქმებას, რაც ამ გარიგებას მოჰყვა. შესაბამისად, მიტოვებულ ქონებაზე ა--ე ბ--ის საკუთრების უფლების აღდგენა უნდა დაეფუძნოს სსკ 978 მუხლსა [„პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იძულების ან მუქარის საფუძველზე, შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღებს უფლება ჰქონდა გადაცემულზე“] და 979-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებას [„უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე..“].

საქმე №ას-692-662-2014

24 სექტემბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: იძულებით დადებული გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი)

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნაა, იძულებით დადებული ჩუქების ხელშეკრულებების საფუძველზე, მოპასუხისათვის გადაცემული ქონების უკან დაბრუნება. ასეთი სამართლებრივი შედეგი გამომდინარეობს უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის მარეგულირებელი ნორმებიდან, კერძოდ, სსკ-ის 978-ე მუხლიდან („პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იძულების ან მუქარის საფუძველზე, შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღებს უფლება ჰქონდა გადაცემულზე“) და 979-ე მუხლის პირველი ნაწილიდან („უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე...“). სსკ-ის 978-ე მუხლის მიხედვით, კონდიციური ვალდებულების საფუძველია ქონების მიმღების არამართლზომიერი ქცევა, რაც უფლებას ანიჭებს უფლებამოსილ პირს, მოითხოვოს გადაცემული ქონების უკან დაბრუნება. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც მიმღებს უფლება ჰქონდა გადაცემულზე.

სსკ-ის 978-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად, აუცილებელია, რომ დაზარალებულმა რაიმე გადასცეს მიმღებს, ამ უკანასკნელის არამართლზომიერი ქცევის, კერძოდ, იძულების ან მუქარის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მიმღების (დასაჩუქრებულის) მხრიდან მოსარჩელეზე (დაზარალებულზე) იძულებას, ქონების გადაცემის მიზნით, ადგილი არ ჰქონია, თუმცა, მიუხედავად ამისა, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სადავო ჩუქების ხელშეკრულებები ბათილი იყო სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე („ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს“) და, შესაბამისად, გადაცემული ქონება უკან დაბრუნებას ექვემდებარებოდა.

საკასაციო პალატა, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევაც, მოცემულ შემთხვევაში, სურს მოსარჩელეს, არ გამომდინარეობს სსკ-ის 54-ე მუხლიდან, ვინაიდან იგი არ არის მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა. ზოგადად, შესრულების კონდიციის დროს გადაცემულის უკან დაბრუნების შესაძლებლობას ითვალისწინებს სსკ-ის 976-ე და 978-ე მუხლები, 979-ე მუხლის პირველ ნაწილთან ერთად, მაგრამ, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მოპასუხის მხრიდან იძულებაზე და მუქარაზე მიუთითებს, თავდაპირველად, უნდა შემოწმდეს, განხორციელებულია თუ არა სსკ-ის 978-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სარჩელში მითითებული გარემოებებითა და ამ გარემოებების დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, სადავო გარიგებების დადების

მიზნით, მოსარჩელის იძულების ფაქტი. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას და ყურადღებას მიაქცევს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელის შვილი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში იყო მიცემული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი დიდი ოდენობით); ამ ნორმის სანქცია სასჯელის სახედ ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ექვსიდან ათ წლამდე; სადავო ჩუქების ხელშეკრულებებიდან ერთ-ერთი დაიდო მოსარჩელის შვილთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების დღეს, ხოლო დანარჩენი ორი – მომდევნო რამდენიმე დღეში; მოსარჩელის შვილთან დადებული საპროცესო შეთანხმების შესაბამისად, ამ უკანასკნელს საპატიმრო სასჯელი არ შეფარდება, მას დაენიშნა პირობითი სასჯელი; საპროცესო შეთანხმება ჯარიმის გარეშე დამტკიცდა, ამასთან, დანაშაულის საგანი – 97 900 ლარად ღირებული რკინის კონცენტრატი, როგორც ნივთმტკიცება, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ კასატორს არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), შესაბამისად, ეს ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის (სსკ-ის 407.2 მუხლი). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წინამდებარე განჩინების 23.5. პუნქტში მითითებული გარემოებები ქმნიან სადავო ჩუქების ხელშეკრულებების იძულებისა და მუქარის საფუძველზე დადების ვარაუდს. აღნიშნული მოსაზრება ეფუძნება **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას, საქმეზე – გუზინსკი რუსეთის წინააღმდეგ**, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ეტაპზე სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების დადება, რომელიც დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას არ ემსახურება, მაღალი ალბათობით, ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგს არ წარმოადგენს, რადგან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება გარიგების გაფორმების მაპროვოცირებელი გარემოებაა, რაც ნების გამოვლენის თავისუფლებას იმთავითვე გამორიცხავს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ დაშვებული ზემოხსენებული პრეზუმფიციის გაქარწყლების მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრებოდა. მას შეეძლო მიეთითებინა ისეთ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც გააქარწყლებდნენ სადავო გარიგებების იძულებისა და მუქარის საფუძველზე დადების ვარაუდს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხემ ამ ვარაუდის გაქარწყლება ვერ შეძლო, შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ სადავო გარიგებების დადებისას, მოსარჩელის მიერ გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ასახავდა მის ნამდვილ შინაგან ნებას და ცალსახად ნაკლის მქონედ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იგი გამოვლენილი იყო არა სადავო ქონების მოპასუხისათვის ჩუქების, არამედ მისი შვილისათვის მოსალოდნელი სასჯელის შემსუბუქების მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზეა სსკ 86-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იძულება („გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება“), რაც მოსარჩელეს ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს მის მიერ გამოვლენილი ნების ბათილობა (სსკ 85-ე მუხლი) და მოპასუხისათვის გადაცემული ქონების უკან დაბრუნება (სსკ-ის 978-ე და 979.1 მუხლები).

საქმე №ას-664-635-2016

2 მარტი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: იძულებით დადებული გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლი)

დიდი პალატა იზიარებს კასატორების პრეტენზიას სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში მოსარჩელეთა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად კონდიქციური (უსაფუძვლო გამდიდრება) სამართლის ნორმების გამოყენების უსაფუძვლობასთან დაკავშირებით, მაგრამ არ იზიარებს მათ მოსაზრებას, რომ წილებზე საკუთრების აღდგენის (დაბრუნების) მოთხოვნას საერთოდ არ გააჩნია საფუძველი.

დიდი პალატა განმარტავს, რომ ის სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევაც სურს მოსარჩელეს (ტელეკომპანიის წილებზე საკუთრების უფლების აღდგენა/დაბრუნება), ამ უკანასკნელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სსკ-ის 992-ე, 998-ე და 408.1-ე მუხლების შემადგენლობიდან გამომდინარეობს.

დიდი პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა და მტკიცების ტვირთი არასწორად გამიჯნა და გაანაწილა. მტკიცების ტვირთის სწორად განაწილების შემთხვევაში მას შესაძლებლობა ექნებოდა, განხორციელებულად ჩაეთვალა სსკ-ის 992-ე, 998-ე მუხლებისა და 408-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი წინამძღვრები და გასაჩივრებულ ნაწილში სარჩელის საფუძვლიანობასთან მიმართებით შესაბამისი სამართლებრივი დასკვნებიც გამოეტანა.

დიდი პალატის შეფასებით, პირის იძულება, ნების საწინააღმდეგოდ დათმოს საკუთრება მესამე პირის/პირების სასარგებლოდ, თავისი ხსიათით, წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ვინაიდან ასეთი ქმედება არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლითა და სსკ-ის 170-ე მუხლით გარანტირებულ მესაკუთრის უფლებას, თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთრებას.

მოსარჩელე ქ.ბ-ის განმარტებით, 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის გარიგებების დადების დროს იძულება (მუქარა) მომდინარეობდა მესამე პირებისაგან (სახელმწიფოს ყოფილი მაღალჩინოსნები) და იძულების ადრესატი, როგორც თვითონ, ისე მისი ოჯახის წევრებიც იყვნენ, რამაც მას აფიქრებინა, რომ საფრთხე რეალური და მომავალში განხორციელებადი შეიძლება ყოფილიყო, რასაც შედეგად, როგორც მისი პიროვნების, ისე ოჯახის, ასევე სხვა ქონებისათვის ზიანის მიყენება მოჰყვებოდა.

მოსარჩელე ქ.ბ-ის მტკიცებით, რასაც საკასაციო სასამართლოც იზიარებს, მის მიმართ განხორციელებული იძულება საყოველთაოდ ცნობილია. აღნიშნული საჯაროდ არაერთხელ გაცხადდა, მათ შორის, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2009 წლის ანგარიშშიც აისახა. 2009 წლის 21 აპრილს მოსარჩელეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისგან პოლიტიკური თავშესაფარი მიენიჭა, ხოლო 2012 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ის პოლიტიკური ნიშნით დევნილად ცნო.

მოსარჩელები ასევე მიუთითებენ მოპასუხეთა თანამონაწილეობაზე იძულებაში, რაც გამოიხატა იმაში, რომ სადავო გარიგებები ფორმალურად იდებოდა, რასაც მოპასუხეები თავიანთი მოქმედებებით უწყობდნენ ხელს, რათა მოსარჩელებს გაძნელებოდათ ხელყოფილი საკუთრების დაბრუნება, შესაბამისად, მათ (მოპასუხეებს) კეთილსინდისიერი შემძენის სტატუსი ჰქონოდათ და წილები ნატურით არ დაებრუნებინათ.

დიდი პალატის მოსაზრებით, სსკ-ის 992-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს ამავე კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე (პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა), ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, ტელეკომპანიის წილებზე საკუთრების უფლების აღდგენა (დაბრუნება) შესაძლებელია.

მოსარჩელის მიერ მითითებული და მოპასუხის მიერ, ერთ შემთხვევაში, შეუდავებელი, ხოლო, მეორე შემთხვევაში, არაკვალიფიციურად შედავებული გარემოებები სამართლებრივად ქმნიან იმის პრეზუმფციას, რომ მოსარჩელის საკუთრების უფლება ხელყვეს იძულების გზით. პრეზუმირებული ფაქტები ისეთი ფაქტებია, რომელთა გაქარწყლების ტვირთი მოპასუხეს აწევს. შპს „ჯ. ჯ-ს“ შესაგებელი კი ამ ფაქტებს ვერ აბათილებს.

დიდი პალატა განმარტავს, რომ იძულება არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საკითხია. აქედან გამომდინარე, დიდი პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის განმარტება იძულების ფაქტობრივი აღწერილობის ნაწილში ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სამართლებრივად არასწორად შეაფასეს. სსკ-ის 407.1-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, მხარის ახსნა-განმარტება სამართლებრივად თვითონ შეაფასოს. **დიდი პალატა იზიარებს კასატორთა პრეტენზიებს სსკ-ის 54-ე მუხლის, როგორც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის გამოყენების დაუშვებლობაზე. ამ ნორმას ავტონომიური ფუნქცია არ გააჩნია, ის დეფინიციურია და კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს არ ითვალისწინებს.**

გასაჩივრებული განჩინებით, სასამართლომ მწიგნობის საწინააღმდეგოდ, გასაკიცხ ქმედებად მიიჩნია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებები ნასყიდობის ფასის არაადეკვატურობის გამო. **მარტოდენ გარბების ამორალურობის ზოგადი ნორმის გამოყენებას, დიდი პალატა არასაკმარისად მიიჩნევს და, აქედან გამომდინარე, ამ ნორმის სააპელაციო სასამართლოსეული ინტერპრეტაცია არადაამაჯერებელია, რადგანაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის პრინციპებს.** სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ სსკ-ის 54-ე მუხლი, ამორალურ გარიგებებთან მიმართებით, შეიცავს მხოლოდ იმ დათქმას, რომ იგი არის გარიგება, რომელიც არღვევს მწიგნობის ნორმებს და გავლენის ბოროტად გამოყენების შედეგად ან იძულებით დადებული გარიგებებისაგან (სსკ-ის 55-ე და 85-ე მუხლებისაგან) განსხვავებით, მისი ამორალურად მიჩნევისათვის აუცილებელი არ არის იმ გარემოებათა დადგენა-დადასტურება, რამაც განაპირობა მისი დადება, ეს კი იმთავითვე მცდარია. ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება ხელშეკრულების დადებისა და მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების პრინციპს.

განსახილველი დავა ეხება იძულებით დადებული საცილო გარიგებების ბათილობას, შესაბამისად, უნდა შემოწმდეს, განხორციელებულია თუ არა სსკ-ის 85-89-ე მუხლების წინაპირობები. სსკ-ის 85-ე მუხლის მიხედვით, *„გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან“.* ამდენად, საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუ გარიგება დადებულია მხოლოდ იძულების წყალობით. იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში საქმე გვაქვს ნების ნაკლის საფუძველზე დადებულ გარიგებასთან, სადაც ნების თავისუფლება აშკარად არის ხელყოფილი. ამ დროს ადგილი აქვს დაზარალებულის თავისუფალი ნების აშკარა მოძრევას.

კასატორებს მიაჩნიათ, რომ მოსარჩელებმა გაუშვეს შეცილებისათვის სსკ-ის 89-ე მუხლით დადგენილი სპეციალური ვადა, რაც, მათი მტკიცებით, გამორიცხავს სადავო გარიგებებით მიღებული იურიდიული შედეგის უკუქცევას, დიდმა პალატამ შეამოწმა მოსარჩელის მიერ კანონით დადგენილ ვადაში შეცილების განხორციელების საკითხიც. პალატამ დაასკვნა, რომ მოსარჩელის მიმართ იძულება სულ მცირე 2012 წლის არჩევნებამდე მაინც გრძელდებოდა, ვინაიდან ახლადარჩეულმა პარლამენტმა 2012 წლის 5 დეკემბრის აქტით იგი პოლიტიკურ დევნილად ცნო. აქედან გამომდინარე, სსკ-ით 89-ე მუხლით დადგენილი შეცილების ერთწლიანი ვადის დენის დაწყებამდე, საქართველოს პროკურატურაში 2008 წლის 1 დეკემბერს წარდგენილი საჩივრით მოსარჩელე შეეცილა იმ სადავო გარიგებების ნამდვილობას, რამაც განაპირობა ტელეკომპანიაში წილების გასხვისება.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მოსარჩელემ განახორციელა ნამდვილი შეცილება, სადავო გარიგებები ბათილია მათი დადების მომენტიდან, მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით. დიდი პალატა იშველიებს იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმულ იმ მოსაზრებასაც, რომ: *„თუკი იძულებისა და მოტყუების საფუძველზე, შემცილებელ პირს ადგება ზიანი, ასეთ შემთხვევაში, როგორც იძულება, ისე, მოტყუება უნდა განვიხილოთ არა მარტო, როგორც გარიგების ბათილობის სახელშეკრულებო გარემოებანი, არამედ, როგორც დაუშვებელი მოქმედებანიც...“*, *„იძულება იმდენად აშკარად და უხეშად ხელყოფს ნების თავისუფლების მდგომარეობას, რომ ზოგჯერ იგი დელიქტის სახესაც ღებულობს“*, *„...შესაბამისად, უნდა გამოვიყენოთ 408-ე და 992-ე მუხლების წესები. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მისგან დამოუკიდებლად, ნების გამოვლენა შეცილებულია თუ არა. ამდენად, მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება წარდგენილი იქნეს ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგაც“.*

აღნიშნულიდან გამომდინარე, **დიდი პალატა მიიჩნევს, რომ კანონით დადგენილ ვადაში შეცილების განუხორციელებლობის შემთხვევაშიც, თუკი იკვეთება პირის ნების თავისუფალ ფორმირებაში აშკარა და უხეში ჩარევა, დაზარალებულს უფლება აქვს, ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა დააფუძნოს დელიქტურ ნორმებს.**

დიდი პალატა არ იზიარებს კასატორების პრეტენზიას მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. განსახილველ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა 2008 წლის 1 დეკემბრიდან სსკ-ის 1008-ე მუხლის

საფუძველზე შეწყდა, ვინაიდან მოსარჩელემ თავისი დარღვეული უფლების დასაცავად მიმართა იმ სახელმწიფო ორგანოს (პროკურატურას), რომელსაც ხელეწიფებოდა ამ უფლების აღდგენა (სსკ-ის 138-ე მუხლის მესამე წინადადება – „ხანდამშულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად გამოიყენება 139-ე და 140-ე მუხლები“). მოსარჩელემ, როგორც უფლებამოსილმა პირმა, 2008 წლის 1 დეკემბერს (შემდეგ განმეორებითაც – 2009 წლის 29 იანვარს და 12 მარტს) საქართველოს პროკურატურას საჩივრით მიმართა იძულებით ჩამორთმეული ქონების გამო, საკუთრების ხელყოფილი უფლების დასაცავად, რაც სამართლებრივად ვარგისი საშუალებაა. შესაბამისად, ამ განცხადებით, სარჩელის სასამართლოში შეტანამდე, უკვე შეწყვეტილი იყო ხანდამშულობის სამწლიანი ვადის დენა. საქართველოს პროკურატურისადმი მიმართული საჩივრით ქ.ბ.კუთვნილი ქონების დასაბრუნებლად, როგორც დაზარალებულად, ასევე მოსარჩელედ ცნობასაც ითხოვდა. იმ დროს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის რედაქცია ამის შესაძლებლობას იძლეოდა. იმავე კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად კი, სამოქალაქო სარჩელი წარედგინებოდა იმ მომკვლევს, გამოძიებელს ან პროკურორს, რომლის წარმომებაშიც იყო სისხლის სამართლის საქმე. ის ფაქტი, რომ პროკურატურას აღნიშნულ საქმეზე დღემდე არა აქვს მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება, დიდ პალატას დავის გადაწყვეტაში ხელს ვერ შეუშლის, რადგანაც სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა.

დიდი პალატა ტელეკომპანიის წილებზე საკუთრების უფლების აღდგენის (დაბრუნების) თაობაზე მოსარჩელეთა მოთხოვნას სანივთო სამართლის ნორმების გამოყენებითაც შესაძლებლად მიიჩნევს. მხედველობაშია სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილი, კერძოდ, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

ვინდიკაციური სარჩელის არსი გამომდინარეობს საკუთრების აბსოლუტური ბუნებიდან და სავინდიკაციო მოთხოვნის უფლებასთან მიმართებაში უპირატესობა ენიჭება საკუთრების კეთილსინდისიერად მოპოვების წესებს. არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე (არასხეულებრივი ნივთი) სამართლებრივი სტატუსის ცვლილება ისევე ხორციელდება, როგორც ნივთებზე შესაბამისად, სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის განვრცობითი განმარტების შედეგად მოსარჩელეთა კუთვნილი წილების უკანონო მფლობელებისაგან ვინდიცირება (გამოთხოვა) შესაძლებელია, რადგანაც 2005 წლის 26 დეკემბრისა და 2006 წლის 17 ნოემბრის იძულებით დადებული გარიგებების საფუძველზე მათ არ დაუკარგავთ წილებზე საკუთრება და ისინი საქმის განხილვის დროსაც მესაკუთრეებად რჩებიან. ამასთან, დიდი პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების წინაპირობას, საცილო გარიგებებთან მიმართებით, წარმოადგენს კანონით დადგენილი შეცვლების სპეციალური ვადის დაცვა.

საქმე №ას-1013-2018

12 ნოემბერი, 2018 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: იძულებით დადებული გარიგება

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სამინისტროს და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ და მოითხოვა მესაკუთრის მიერ სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვების, სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობა და საკუთრების უფლების აღდგენა.

მოსარჩელე, 1997-2012 წლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში მუშაობდა, კერძოდ, აჭარასა და გურიაში. მოსარჩელეს 2010 წლის 14 სექტემბერს მობილურ ტელეფონზე გ.გ. დაუკავშირდა, რომელიც გენერალური ინსპექციის თანამშრომლად გაეცნო, თუმცა მოგვიანებით, პროკურატურის თანამშრომელი აღმოჩნდა. ამ პირმა, მოსარჩელეს საჯარო რეესტრში წასვლა და ბ-ში მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების დათმობა მოსთხოვა. მოსარჩელემ განუმარტა, რომ ქონება სამსახურს არ

უკავშირდებოდა და მამაპაპისეული იყო. მიუხედავად ამისა, მოხელემ, მისი მითითების შესრულება მკაცრად მოითხოვა და მოსარჩელეს განუცხადა, რომ, თუ ასე არ მოიქცეოდა, პრობლემები არა მარტო მას, არამედ მის მეუღლესაც შეექმნებოდა, რომელიც პოლიციის თანამშრომელი იყო. მოსარჩელის განმარტებით, ზეწოლის შედეგად იძულებული გახდა, საჯარო რეესტრში წასულიყო და მითითება შესრულებინა. მან ქონებაზე საკუთრების უფლება მიატოვა.

წინამდებარე შემთხვევაში, საკასაციო პრეტენზია უმთავრესად აგებულია იმ მსჯელობაზე, რომ არ იკვეთება იძულების ანდა მუქარის ფაქტობრივი გარემოებები, რაც აუცილებელი, განმაპირობებელი ფაქტორია სსკ-ის 85-86-ე მუხლებით კვალიფიკაციისათვის, მით უფრო, იმ ვითარებაში, როდესაც სსკ-ის 54-ე მუხლი, როგორც გარიგების ბათილობის ერთადერთი და დამოუკიდებელი სამართლებრივი საფუძველი არ არის რელევანტური.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო გარიგების კონტრაქტის სახელმწიფო, რომლის მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებების მიმართ იმთავითვე ნავარაუდევია კანონშესაბამისობის, ანუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სსკ-ის 54-ე მუხლით დადგენილი სამი დამოუკიდებელი წინაპირობის დაცვის მოლოდინი იმ მხარის მიერ, რომელიც ძლიერ მხარესთან შედის სახელშეკრულებო ბოჭვაში. მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 319-ე მუხლი ადგენს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ კერძოსამართლებრივი გარიგების მონაწილეები კანონის ფარგლებში უფლებამოსილი არიან, თავისუფლად დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას ანუ მოქმედებს პრინციპი ნებადართულია, რაც აკრძალული არ არის. დასახელებული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო თავისუფლება კანონისმიერ ჩარჩოშია მოქცეული და აქედან გამომდინარე, როდესაც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მხარეა სახელმწიფო, განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით უნდა შემოწმდეს და შეფასდეს გარიგების „ძლიერი“ კონტრაქტის ქცევა/ქმედება რამდენად შეესაბამება სსკ-ის 54-ე მუხლის წინაპირობათაგან ისეთ სპეციფიკურ დანაწესს, როგორცაა – ზნეობის ნორმები. ასეთ ვითარებაში სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანია, თუ რამდენად მორალურად შეიძლება იქნეს მიჩნეული ისეთი გარიგება, როდესაც სახელმწიფო უსასყიდლოდ ლეგულობს გარკვეულ მომსახურებას, ქონებას საკუთრებაში და ა.შ. ანუ პრაქტიკულად რატომ შეიძლება კერძო სამართლის პირმა მიატოვოს ქონება და „დაასაჩუქროს“ სახელმწიფო, რამდენად შეესაბამება აღნიშნული იმ ზოგად მორალურ კატეგორიას, რომ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს ვალდებულება საკუთარი რესურსებით თითოეული პირის უფლება და ინტერესი დაიცვას, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა აჩუქოს რაიმე ქონება.

სსკ-ის 54-ე მუხლის თაობაზე მსჯელობისას, დოქტრინაში გამოთქმული არაერთი მოსაზრებისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ნორმა ზოგადდეფინიციური ხასიათისაა, ბლანკეტური, მითითებით მოწესრიგებას წარმოადგენს და მარტოდენ 54-ე მუხლი სხვა ნორმების, რომლებიც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს შეიცავენ, მითითების გარეშე არ უნდა იქნეს გამოყენებული, ხოლო ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ გარიგების შინაარსის შესაფასებლად, შესაძლებელია დამოუკიდებლად იქნეს გამოყენებული დასახელებული მუხლი, როდესაც გარიგების ამორალურობას უკავშირდება სადავო საკითხი, თუმცა, ასეთ ვითარებაში, დამატებით შესაძლოა კონტრაქტის ქმედებების შეფასება მოხდეს სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილით განმტკიცებული კეთილსინდისიერების მასშტაბითაც, რათა დადგინდეს არა მხარეების სუბიექტური დამოკიდებულება გარიგებისდმი (მისი კონკრეტული პირობისადმი), არამედ ობიექტური გარემოებების შეფასების საფუძველზე, რაც გარიგების შინაარსის ზნეობის ნორმებთან შესატყვისობას ეხება, გაირკვეს ამორალურია თუ არა მხარეთა შეთანხმება.

სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე გარიგების ზნეობის საწინააღმდეგოდ მიჩნევის შემთხვევაში, გარიგებით მიღებული სარგებლის დაბრუნება კრედიტორმა მოვალეს შესაძლებელია მოსთხოვოს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე.

განსახილველ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ მესაკუთრეზე განხორციელდა იძულება, არ ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომ ასევე გამოვლენილია გარიგების ბათილობის ისეთი სამართლებრივი წინაპირობა, რო-

გორიცაა გარიგების შინაარსის ამორალურობა, რადგან იძულება, თანაც სახელმწიფოს მხრიდან, თავისთავად ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს და მართლსაწინააღმდეგოა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება სამართლებრივად მართებულია.

გასაზიარებელია კასატორთა მითითება, რომ სსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე გარიგების საცილობისას, სასამართლო ამოწმებს სსკ-ის 89-ე მუხლით დადგენილი წინაპირობის არსებობას, რომელიც კასატორის მოსაზრების საწინააღმდეგოდ არა ხანდაზმულობის, არამედ შეცილების ვადაა. საკასაციო სასამართლოს მიერ ანალოგიური შინაარსის სხვა დავაზე განმარტებულია, რომ მატერიალური უფლების შეცილების ვადა ვრცელდება მხოლოდ საცილო გარიგებებზე. მოცემულ შემთხვევაში კი, ვინაიდან სახეზეა უცილოდ ბათილი გარიგება, მისი ამორალურობის გამო, რომელზეც შეცილების ვადა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი არაა, მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ხანდაზმულობის საერთო – ათწლიანი ვადა. ამდენად, ხანდაზმულობაზე კასატორის შედავებას სამართლებრივად ვარგისი საფუძველი არც ამ თვალსაზრისით გააჩნია და იგი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა. მოსარჩელის მოთხოვნა წარმოშობილია სსკ-ის 54-ე, 978-979-ე მუხლების საფუძველზე, იგი განხორციელებადია (არ არის ხანდაზმული) და მართებულად დააკმაყოფილა სასამართლომ.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის მიმართ იძულებას შეეძლო, გავლენა მოეხდინა მასზე, რადგან იძულებას წინ უსწრებდა საგაზეთო სტატიები მაღალჩინოსნების მიერ უკანონოდ მითვისებული ქონების მისაკუთრებასთან დაკავშირებით, გარდა ამისა, მისი და მეუღლის სამსახურიდან გათავისუფლების მუქარა, რაც ყოველთვის შემოსავალს უკავშირდებოდა და მოსარჩელეს აფიქრებინებდა, რომ მის ქონებას (შემოსავალს) რეალური საფრთხე ემუქრებოდა, ამას დაემატა სახელმწიფო მოხელის მიერ განხორციელებული სატელეფონო ზარები კონკრეტული ქმედების – სახელმწიფოს სასარგებლოდ საკუთრების მიტოვების მოთხოვნით. შესაბამისად, მოსარჩელემ როგორც ფაქტების მითითების, ისე მტკიცებულებების წარდგენის თვალსაზრისით კუთვნილი მტკიცების ტვირთი წარმატებით დაძლია, რასაც სარწმუნო და მყარი არგუმენტებით ვერ დაუპირისპირდა მოპასუხე მხარემ, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანოების სახით მონაწილეობს დავაში და მოსარჩელის მიერ დასახელებული ფაქტებისა და წარდგენილი მტკიცებულებების დამაჯერებლად გაქარწყლების ვალდებულება ამ უკანასკნელს ეკისრებოდა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიას, რომ საკუთრების უფლების მიტოვების განცხადება ცალმხრივი ნების გამოვლენაა და ამ გარიგებაში სამინისტროს ან/და სახელმწიფოს ნება არ იკვეთება. სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში შემოწმების საგანი არის არა გარიგების მონაწილეთა ქცევა ზნეობასთან მიმართებით, არამედ მოწმდება გარიგების შინაარსის მიმართება ზნეობასთან. შეიძლება დავასკვნათ, რომ **გარიგების ზნეობის საწინააღმდეგოდ მისაჩნევად სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაკვლევი და სამართლებრივად უნდა შეფასდეს არა გარიგების მონაწილეთა სუბიექტური ქცევა/ქმედება, არამედ თავად გარიგების შინაარსი ობიექტურად რამდენად შეესაბამება ზნეობის ნორმებს.**

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიასაც მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული კერძოსამართლებრივი გარიგებების სადავობის დროს, მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე გადადის. სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული გარიგებების მიმართ, თუკი მოსარჩელე კონკრეტულ ფაქტებზე მითითებით აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა იძულება (ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად), პრეზუმირებულია, რომ იძულება განხორციელდა და სახელმწიფოს უბრუნდება მტკიცების ტვირთი, რომ იძულებას ადგილი არ ჰქონია, მანვე უნდა დაამტკიცოს, რატომ არის შეუძლებელი ამგვარი პრეზუმფციის დაშვება, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარიგების შინაარსის დეტალურ კვლევასა და გაანალიზებას მოითხოვს.

განმარტების საგანი: განსხვავება შეცილებას და ხანდაზმულობას შორის

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეცილების კანონით დადგენილ ვადაში განხორციელება სასამართლოს მხრიდან სავალდებულო შემოწმებას დაქვემდებარებული საკითხია და სამართლის თეორიაში ე.წ. სასამართლო შესაგებლის სახელითაა ცნობილი. შეცილების სამართლებრივი ბუნება კარგად ჩანს მისი ხანდაზმულობის სამართლებრივ ინსტიტუტთან შედარებისას. შეცილება და ხანდაზმულობა განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტებია, სხვადასხვა სამართლებრივი შედეგებით. ხანდაზმულობა სამართალში ფაქტის საკითხია და მასზე მითითება მოპასუხის ვალდებულებაა, განსხვავებით შეცილების ინსტიტუტისგან. საცილო გარიგებებში, შეცილების ვადა სარჩელის მატერიალური დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილების წინაპირობაა, რომლის შეცილების განხორციელება ვადაში მუხლის ნორმატიული შემადგენლობის კომპონენტია. **არ აქვს მნიშვნელობა, მოპასუხე უთითებს თუ არა მოსარჩელის მიერ გამოყენებულ გარიგების შეცილების ვადაზე, მოსამართლემ თავად უნდა გამოარკვიოს, თუ როდის და რა მეთოდით გახადა საცილო მოსარჩელემ სადავო გარიგება.** თუკი სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ არ გამოიყენა შეცილების ვადა, იმისდა მიუხედავად, მოპასუხე უთითებს თუ არა ამ გარემოებაზე, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, განსხვავებით ხანდაზმულობის ინსტიტუტისგან, როცა ხანდაზმული სარჩელის დაკმაყოფილებაა შესაძლებელი, თუკი მოპასუხე არ უთითებს ხანდაზმულობასთან დაკავშირებულ ფაქტებზე.

საქმე №ას-1192-1134-2014

ნ თებერვალი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ნებაზე დამოკიდებული პირობა (სამოქალაქო კოდექსის 92-ე მუხლი)

სასამართლოს მითითებით, სადავო არ არის, რომ შპს „ა-ის“ მიერ ნაკისრი ვალდებულება მოსარჩელისთვის დათქმულ ვადაში საცხოვრებელი ფართის გადაცემის შესახებ შესრულებული ვერ იქნა. ვალდებულება არც დღევანდელ დღემდე შესრულებულია. შესაბამისად, მოსარჩელეს გააჩნია კანონიერი საფუძველი, უარი თქვას მოპასუხესთან დადებულ ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გადახდილი თანხის დაბრუნება.

განსახილველ შემთხვევაში თავად მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებაც ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის დებულებას, კერძოდ ხელშეკრულების 8.6. პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია შპს „ა-ის“ მიერ მშენებლობის დასრულების ვადის 12 თვეზე მეტი ხნით გადაცილება, რა დროსაც მყიდველს შეტანილი თანხა სრულად უბრუნდება.

რაც შეეხება აპელანტის მითითებას ხელშეკრულების 8.2. მუხლზე, რომლის თანახმადაც მყიდველის ან გამყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში მყიდველს გადახდილი თანხა აუნაზღაურდება მხოლოდ მისი ბინის ხელახლა გაყიდვის შემდეგ, ახალი მყიდველის გადახდის გრაფიკის შესაბამისად ან მანამდე გამყიდველის გადაწყვეტილებით, სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოცემული დებულება მხარეთა შორის სადავო სამართლებრივ ურთიერთობას არ ესადაგება, ვინაიდან განსახილველ დავაში არსებობს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მოსარჩელის მხრიდან გამოვლენილი ნება არა მისგან გამომდინარე მიზეზით, არამედ მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო. ამასთან, როგორც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მართებულადაა აღნიშნული, ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატივა კიდევ რომ გამომდინარეობდეს მოპასუხესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირისაგან, სახელშეკრულებო შეთანხმება თანხის შპს „ა-ის“ მიერ ბინის გასხვისების შემდგომ დაბრუნების თაობაზე არ არის ნამდვილი, რადგან სამოქალაქო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, ნებაზე დამოკიდებულად ითვლება ისეთი პირობა, რომლის დადგომაც ან დაუდგომლობა დამოკიდებულია მხოლოდ გარიგების მხარეებზე. ასეთი პირობით დადებული გარიგება ბათილია.

1.5. წარმომადგენლობა გარიგებებში

საქმე №ას-411-388-2014

22 აპრილი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: გარიგების დადება წარმომადგენლის მეშვეობით (სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლი)

დადგენილია, რომ 2009 წლის 10 აგვისტოს რწმუნებულების გამოყენებით 2011 წლის 23 სექტემბერს მ. ნ-მა გააფორმა სანოტარო აქტი „სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება“ ფიზიკურ პირებთან: ი. კ-ესა და მ. შ-ასთან, როგორც „გამსესხებლელთან“/„იპოთეკარებთან“. ამ ხელშეკრულების თანახმად, გამსესხებელმა მსესხებელს ასესხა ფული, ხოლო მსესხებელმა მიიღო ნასესხები თანხა, კერძოდ, მ. შ-ასაგან 50 000 აშშ დოლარი, ხოლო ი. კ-ისაგან 70 000 აშშ დოლარი და იკისრა მისი დაბრუნების ვალდებულება სამი თვის ვადაში. სესხი იყო სარგებლიანი, რომლის ოდენობა ყოველთვიურად შეადგენდა სესხის ძირითადი თანხის 4 პროცენტს. სესხის დაბრუნების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ქ.მცხეთაში, ქ. N14-ში მდებარე მ. ბ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ძირითადი პრეტენზიის (კასაციის საფუძვლების) კანონიერების შემოწმებისათვის უნდა შეფასდეს მ. ბ-ესა და მ. ნ-ს შორის 2009 წლის 10 აგვისტოს გაფორმებული სანოტარო აქტით – რწმუნებულებით მ. ნ-სათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები, სადავო სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად მ. ბ-ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ქ.მცხეთაში, ქ. N14-ში მდებარე უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის კანონიერებასთან მიმართებით, რისთვისაც, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს 2009 წლის 10 აგვისტოს სანოტარო აქტით – რწმუნებულებით მესაკუთრე მ. ბ-ის მიერ გამოვლენილი ნება მის საკუთრებაში არსებული სადავო უძრავი ქონების მიმართ.

დადგენილია, რომ 2011 წლის 23 სექტემბრის სანოტარო აქტი „სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება“ სესხის აღების ნაწილში გაფორმებულია მ. ნ-ის მიერ, რომელიც სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე პირადი მოვალეცაა. ხოლო იგივე ხელშეკრულება იპოთეკის ნაწილში გაფორმებულია მ. ნ-ის, როგორც მ. ბ-ის წარმომადგენლის მიერ.

საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის განმარტოს ზოგადად საკუთრების უფლების შინაარსი, ვინაიდან წარმომადგენლის (მ. ნ-ი) მიერ სწორედ ამ უფლების მართლზომიერი თუ არამართლზომიერი გამოყენება გახდა მხარეთა შორის დავის წარმოშობის საფუძველი.

საკუთრების უფლების შინაარსი, რომელიც მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლში მოიცავს სამი კომპონენტის ერთობლიობას: მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა. დასახელებული სამი კომპონენტიდან უკანასკნელი გულისხმობს ნივთის (საკუთრების ობიექტის) სამართლებრივი ბედის გადაწყვეტის უპირატეს უფლებას, რომლის ნაირსახეობას მესაკუთრეს სთავაზობს კერძო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც გაბნეულია სამოქალაქო კოდექსში, ასე მაგალითად, განგარკვა შესაძლოა გამოიხატოს, ნივთის გასხვისებაში (ნასყიდობა); ამ ნივთის სანაცვლოდ სხვა ნივთის მიღებაში (გაცვლა); ამ ნივთით შემოსავლის მიღებაში (იჯარით გაცემა); ამ ნივთით სარგებლობის უფლების გადაცემაში (ქირავნობა); ნივთის უსასყიდლოდ გადაცემაში (ჩუქება); სხვისთვის შესანახად გადაცემაში (მიბარება) და სხვ. შესაბამისად, საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტია, რომ „განკარგვის“ ცნება თავისთავში მოიცავს ყველა დასახელებული ქმედების განხორციელების უფლებამოსილებას.

განსახილველი სადავო სამართალურთიერთობის სწორად კვალიფიკაციისათვის ამოსავალი უნდა ვეძებოთ არა მხოლოდ საკუთრების უფლების ამ უკანასკნელი კომპონენტის („განკარგვა“) სამართლებრივ რეგულამენტაციაში, არამედ მასთან ერთად უნდა შევისწავლოთ სადავო გარიგების შინაარსიც, დავადგინოთ მასში გამოვლენილი მესაკუთრის ნამდვილი ნება, რომელმაც ნივთის სამართლებრივი ბედის გადაწყვეტის უფლებამოსილება მიანდო გარიგების მონაწილე მეორე მხარეს (მ. ნ-ს).

2009 წლის 10 აგვისტოს მინდობილობით დადგენილია, რომ მ. ბ-ემ მ. ნ-ს მართვისა და განკარგვის უფლებით მიიღო მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები, მიწა, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, წილები სამეწარმეო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში...) (მუხლი მე-2). ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, სადავო გარიგების მონაწილე მხარის – მ. ნ-ის ქმედების, კერძოდ, 2011 წლის 23 სექტემბრის სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად მ. ბ-ის კუთვნილი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის შესაბამისობა მესაკუთრის ნამდვილ ნებასთან, განმარტებას საჭიროებს გარიგების შინაარსი მასში გამოვლენილი მესაკუთრის ნების დასადგენად.

ამ მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო გარიგებით მესაკუთრე მ. ბ-ემ მ. ნ-ს მიანიჭა რა თავისი უძრავ-მოძრავი ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება, იქვე დააბუხა, რომელ სამართლებრივ მოქმედებებს გულისხმობდა თითოეულ მათგანში. „მართვაში“ იგულისხმებოდა ყველა ის მოქმედება, რაც აუცილებელი იყო მინდობილი ქონების ჯეროვანი მოვლისა და დაცვისათვის ან სასარგებლო იყო საკუთრების მიმდობისათვის ნაყოფის მიღების (შემოსავლის) თვალსაზრისით (გაქირავება, იჯარა, აღნაგობა, უზუფრუქტი...), ხოლო „განკარგვაში“ კი, – მინდობილი ქონების გასხვისება ნებისმიერი ფორმით (ჩუქება. გაცვლა, ყიდვა, გაყიდვა...). ამავე ხელშეკრულებით მ. ბ-ემ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიანიჭა მ. ნ-ს, საქართველოს ნებისმერ ბანკში ეწარმოებინა ყველა სახის საბანკო ოპერაცია, ხელი მოეწერა საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული დოკუმენტაციისათვის, იპოთეკური და სადაზღვევო ხელშეკრულებებისათვის... (მუხლი მე-2.).

ამდენად, სანოტარო აქტის პირველი მუხლის შინაარსობრივი ანალიზიდან გამომდინარეობს ლოგიკური, თანმიმდევრული და დასაბუთებული მსჯელობის საფუძველი, რომ მარწმუნებელმა, მესაკუთრე მ. ბ-ემ რწმუნებულ მ. ნ-ს მიანიჭა არა მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება მათი კლასიკური გაგებით (ნივთის სამართლებრივი ბედის გადაწყვეტა), არამედ მიიღო მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული უფლებები, რაც გარიგების შინაარსიდან გამომდინარე „მართვის“ კონტექსტში გულისხმობდა მხოლოდ გაქირავებას (იჯარით გაცემას), აღნაგობითა და უზუფრუქტით დატვირთვას, ხოლო „განკარგვის“ კონტექსტში კი – გასხვისებას, რაც თავის მხრივ, გამოიხატებოდა ჩუქებაში, გაცვლასა და ნასყიდობაში.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო რა ქ.მცხეთაში, ქ. N14-ში მდებარე უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვა ფიზიკური პირებისაგან აღებული სასესხო ვალდებულების უზრუნველსაყოფად, იმ დასკვნის გამოტანა, რომ უფრო მეტი უფლების გადაცემის ასე ვთქვათ, გასხვისების ან თუნდაც მისი მესამე პირისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის, ჩუქების პირობებში, იარსებებდა უფრო ნაკლები უფლების იპოთეკით დატვირთვის უფლებაც, შესაძლოა ლოგიკურია, თუმცა, ამ კონკრეტული სანოტარო აქტის (რწმუნებულების) ერთიანად შეფასებიდან გამომდინარე, უმართებულოა და არ გვაძლევს სადავო სამართალურთიერთობის სწორი კვალიფიკაციის საშუალებას. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გარიგებაში გამოვლენილი ნების განმარტების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი – ნების გამოვლენის განმარტებისას გონივრული განსჯის კრიტერიუმით და არა მარტოდენ გარიგების ტექსტით ხელმძღვანელობა (სკ-ის 52-ე მუხ.), ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, გარიგების განმარტებისას მთლიანობაში უნდა იქნეს შესწავლილი გარიგების შინაარსი მასში გამოვლენილი მიზნის (ნების) დასადგენად.

ვინაიდან ამ შემთხვევაში, სადავო ნივთის „განკარგვაში“ ნაგულისხმევი მესაკუთრის ნება, ყურადღება მისაქცევი იმ საკითხზე, რომ მესაკუთრე მ. ბ-ე მითითებულ სანოტარო აქტში სპეციალურად აღნიშნავს იმ უფლებამოსილებებს, რომელსაც ანიჭებს წარმომადგენელს (მ.ნ-ს), სახელდობრ, ტერმინ „განკარგვაში“ გულისხმობს მინდობილი ქონების გასხვისებას ნებისმიერი ფორმით – ჩუქებას, გაცვლას, ყიდვას, გაყიდვას, რაც პრაქტიკულად მესაკუთრის ნამდვილი ნების დასადგენად გვაიძულებს „განკარგვის“ ცნება განვმარტოთ ვიწროდ, მხოლოდ მინდობილობის შინაარსიდან გამომდინარე და არა ისე, როგორც ეს მოცემულია სამოქალაქო კოდექსში, რომელიც სამართლებრივი ბედის გადაწყვეტას მოიცავს ფართო გაგებით. კერძო სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურება და ნების გამოვლენის ავტონომიაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კერძო სამართლის სუბიექტები უფლებამოსილი არიან დადონ ისეთი გარიგებებიც და იმგვარად განსაზღვრონ მათი

შინაარსი, რომელიც არ არის მოცემული სამოქალაქო კოდექსით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება ზოგადად საჯარო წესრიგსა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს (სკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწ.).

ამდენად, მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის მინდობილობაში ჩამოთვლილ უფლებამოსილებათა დიფერენციაცია გარიგებაში გამოვლენილი მესაკუთრის ნამდვილი ნების განმარტებისათვის საგულისხმო მინიშნებას გვაძლევს. ის გარემოება, რომ მესაკუთრე კონკრეტულად ჩამოთვლის უფლებამოსილებათა ნუსხას, როგორცაა ჩუქება, გაქირავება, იჯარით გაცემა, მიგვითითებს სწორედ იმ გარემოებაზე, რომ „განკარგვის“ ცნების მიღმა ვიგულისხმობთ არა ყველა ის უფლებამოსილებები, რაც ნივთის სამართლებრივი ბედის გადაწყვეტის სამოქალაქო კოდექსისეულ საშუალებას გვაძლევს, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად მესაკუთრემ განსაზღვრა, როდესაც მ. ნ-ზე გაცემულ მინდობილობაში პირდაპირ მიუთითა არ დაეტვირთა მისი საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება იპოთეკით ფიზიკური პირის სასარგებლოდ, რადგან „გასხვისება“ და „იპოთეკით“ დატვირთვა განსხვავებული სამართლებრივი ცნებებია.

1.6. უფლების განხორციელება

საქმე №ას-1338-1376-2014

29 ივნისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უფლების ბოროტად გამოყენება (სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი)

კასატორების ძირითადი პრეტენზია იმ ზიანის ანაზღაურებაში მდგომარეობს, რომელიც კასატორების მოსაზრებით, გამოიწვია აუქციონზე გაყიდული უძრავი ქონების რეალიზაციის ფასსა და ამავე უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას შორის მნიშვნელოვანმა სხვაობამ, სახელდობრ, კასატორების მოსაზრებით, კრედიტორმა რეაგირება არ მოახდინა მესამე პირისგან ვალდებულების შესრულების შეთავაზებაზე და ბოროტად გამოიყენა მის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის უფლება, რამაც მოსარჩელებს მიაყენა მნიშვნელოვანი ქონებრივი დანაკლისი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ:

2012 წლის 29 ივლისს, მას შემდეგ, რაც სს „ს. ბ-სა“ და ინდ. მეწარმე შ. ხ-ეს შორის დადებული „საკრედიტო ხელშეკრულების“ საფუძველზე გაცემულმა კრედიტმა 2012 წლის 18 მაისს შეიძინა „პრობლემურის“ სტატუსი და ბანკმა დაიწყო სააღსრულებო მოქმედებები, სს „ს. ბ-ს“ წერილობით მიმართა სს „ქ. ბ-მა“, რომლითაც აცნობა, რომ მოვალე ინდ. მეწარმე შ. ხ-ეს სხვა პირებთან ერთად სს „ბ. ქ-უს“ ქუთაისის ფილიალში დაუმტკიცდა სესხი, რომლითაც გათვალისწინებულ იქნა 2010 წლის 16 დეკემბერს სს „ს. ბ-სა“ და ინდივიდუალურ მეწარმე შ. ხ-ეს შორის გაფორმებული „გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ“ ხელშეკრულების ფარგლებში, შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებების საფუძველზე გაცემული კრედიტების დაფარვა.

წერილში აღნიშნული იყო, რომ სესხის გაცემის წინაპირობას წარმოადგენდა იმჟამად სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთების: ქ. თბილისში, ყ-ის ქუჩა №...-ში მდებარე N.. ბინისა (ს/კ: ...) და ქ.ქუთაისში, კ.გ-ას ქ.№...-ში მდებარე №2 ნაკვეთის (ს/კ:...) მეორადი იპოთეკით დატვირთვა.

ამავე წერილით სს „ს. ბ-ს“ ეთხოვა სს „ბ. ქ-უსათვის“ ეცნობებინა რამდენს შეადგენდა ინდივიდუალური მეწარმის შ. ხ-ის ჯამური საკრედიტო დავალიანება სს „ს. ბ-ის“ მიმართ და განემარტა, რომ სს „ს. ბ-ის“ წინაშე სს „ბ. ქ-ს“ იღებდა ვალდებულებას, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მეორადი იპოთეკით დატვირთვის შემდგომ, განხორციელებინა ინდივიდუალური მეწარმის, შ. ხ-ის საკრედიტო დავალიანების – დაახლოებით 314 000 აშშ დოლარის (რომელიც ექვემდებარებოდა დაზუსტებას სს „ს. ბ-ის“ მიერ დავალიანების ზუსტი ოდენობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ) სრულად დაფარვა.

ამასთან, სს „ს. ბ-ს“ ეთხოვა მიეწოდებინა სს „ბ. ქ-უსათვის“ ინდ. მეწარმე შ. ხ-ის ანგარიშის ნომერი და წერილობითი დადასტურება იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ ანგარიშზე ჩარიცხული თანხით მთლიანად დაიფარებოდა დავალიანება და იპოთეკისაგან გათავისუფლებოდა უძრავი ქონება.

უდავო გარემოებაა, რომ 2012 წლის 29 ივლისის წერილზე სს „ბ. ქ-უს“ სს „ს. ბ-ისაგან“ პასუხი არ მიუღია.

პრაქტიკულად, ორ საკრედიტო დაწესებულებას შორის კომუნიკაცია, რომელიც მიზნად ისახავდა სს „ს. ბ-ის“ წინაშე ინდ. მეწარმე შ. ხ-ის ფულადი ვალდებულების შესრულებას და, შესაბამისად, მოსარჩევეების ქონების იპოთეკისაგან გათავისუფლებას, არ შედგა.

აღნიშნულის სანაცვლოდ გაგრძელდა იძულებითი აღსრულების პროცესი, რომელიც დაწყებული იყო ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლების საფუძველზე, და რომლის შედეგადაც აუქციონში გამარჯვებულმა სს „ს. ბ-მა“ ქ. თბილისში, ყ-ის ქუჩა №..-ში მდებარე N.. ბინა შეიძინა 127 020 ლარად, ხოლო ქ.ქუთაისში, კ.გ-ას ქ.№..-ში მდებარე №2 ნაკვეთი – 486 600 ლარად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია.

კეთილსინდისიერების პრინციპი სათავეს იღებს რომის სამართლიდან. პრინციპი “bona fides“, რომელიც კეთილსინდისიერებას ნიშნავს, მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა „ius civile“-სა და რომაულ სამართლებრივ აზროვნებაში. ტერმინ “bona fide“-ს (“fides“) საქმიან ურთიერთობებში გამოყენება ნიშნავდა, რომ მხარეები საკუთარ პირობას თუ მიცემულ სიტყვას იცავდნენ და დაიცავდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაზარალებული მხარე უფლებამოსილი იყო წარედგინა საჩივარი, ე.წ. პრეტენზია (“ex fide bona“) და, მოცემული პრეტენზიის საფუძველზე, კონტრაჰენტისაგან ვალდებულების იძულებითი აღსრულება მოეთხოვა.

თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში კეთილსინდისიერება მატერიალურ სამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ფართო დაცვითაა შეიძინა. კეთილსინდისიერების პრინციპი თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას.

კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კოდექსის ეს დანაწესი, რომელსაც ავსებს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი, მოიცავს მთელ კერძო სამართალს. აღნიშნული მუხლების მოქმედება ცალსახა და იმპერატიულია, ამიტომაც მხარეებს არ აქვთ უფლება ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გამორიცხოთ მათი მოქმედება. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც ვალდებულების ძირითად და აუცილებელ კომპონენტს და მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებით არ შემოიფარგლება, ხოლო 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი იმის შესახებ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, წარმოადგენს კანონისმიერ მოთხოვნას და გულისხმობს, ზოგადად, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი მუხლი მთელი სამოქალაქო ბრუნვის ქვაკუთხედიანია. აღნიშნული ნორმები საშუალებას იძლევა ნებისმიერი ურთიერთობა სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასდეს. გარდა აღნიშნულისა, კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულებას სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა ზოგჯერ პირდაპირ ადგენს, ხოლო ნორმათა უმრავლესობა, მართალია, პირდაპირ არ უთითებს მასზე, მაგრამ მაინც მას ეფუძნება. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების არა დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა, რაც ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა.

კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალუა ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაქტის პატივსადები ინტერესების გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს.

იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, კეთილსინდისიერების პრინციპს სამი ფუნქცია ეკისრება:

- 1) ყველა ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე;
- 2) კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს ხარვეზის (სამართლის ნორმის ხარვეზის) შემავსებელი ფუნქცია, ასევე ხელშეკრულების პირობათა (რომლებიც მხარეთა მიერ ან/და კანონით არ იყო გათვალისწინებულნი) დამატების ფუნქცია;
- 3) გამაუქმებელი, შემზღუდავი და „მაკორექტირებელი“ ფუნქცია.

კეთილსინდისიერების ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან გამომდინარობს, რომ ნებისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში, კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობაზე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის.

სადავო შემთხვევაში, მოპასუხის ქმედება იმითაა მოტივირებული, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია განაპირობა მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევამ და სესხის გადაუხდელობამ, რაც გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებების არსებობას, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და განმარტავს, რომ ის ვითარება, რომ მესამე პირმა კრედიტორს შესთავაზა დავალიანების სრულად დაფარვა, რაც თავის მხრივ, გამორიცხავდა უძრავი ქონების რეალიზაციის გზით კრედიტორის დაკმაყოფილების უკიდურესი ზომის გამოყენებას, თეორიულადაც კი, გამორიცხავს მოპასუხის პოზიციის მართებულობას.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა (სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარე იქნება კმაყოფილი: კრედიტორი – ვალდებულების შესრულების მიღებით, ხოლო მოვალე – ვალდებულებისაგან გათავისუფლებით.

ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება, მიუხედავად ვალდებულების წარმოშობის საფუძველისა, წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. როგორც წესი, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარეები მხედველობაში იღებენ კონტრაქტის პიროვნებას. კრედიტორი ვარაუდობს, რომ მოვალე ვალდებულებას შეასრულებს ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად. უმრავლეს შემთხვევაში, ვალდებულების შესრულება ხდება პირადად მოვალის მიერ – მყიდველი თვითონ იხდის ნაყიდი საქონლის ფასს; მსესხებელი აბრუნებს სესხის საგანს და ა.შ.

ვალდებულების შესრულების სუბიექტები არიან ის პირები, რომლებიც ასრულებენ ვალდებულებას ან იღებენ შესრულებას. ზოგიერთ შემთხვევაში კი, ვალდებულების შესრულების სუბიექტები შეიძლება არ ემთხვეოდნენ ვალდებულების სუბიექტებს. ვალდებულების სუბიექტები ყოველთვის არიან კრედიტორი და

მოვალე, ვალდებულება კი მოვალის ნაცვლად შეიძლება შეასრულოს სხვა პირმაც და შესრულება მიიღოს არა კრედიტორმა, არამედ სხვამ. აქ მთავარია, დაცულ იქნას ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულებისადმი ინტერესი, რაც, თავის მხრივ, შეიცავს რამდენიმე მოთხოვნის დაცვის აუცილებლობას, რომლებიც განსაზღვრავენ ვინ ვის წინაშე უნდა განახორციელოს შესრულება, რომელი საგნით, სად, როდის და რა გზით უნდა განხორციელდეს იგი. ბრუნვის მონაწილის მოვალეობა ჯეროვნად შეასრულოს ვალდებულება, ემყარება იმ სინამდვილეს, რომელიც მისთვის ცნობილია და მას ამ სინამდვილისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება მოეთხოვება.

შეიძლება ითქვას, რომ შესრულება ჯეროვანია, როცა შესრულება ხდება დათქმულ დროს, დათქმულ ადგილას, უფლებამოსილი პირის მიმართ, ვალდებული და უფლებამოსილი პირის მიერ და ვალდებულების შესრულების საგნით ანუ, ვალდებულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების საგნისათვის წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად, შეთანხმებული ხარისხის ნივთის გადაცემით, მომსახურების გაწევით, სამუშაოს შესრულებით და სხვა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ისეთ პირობებში, როდესაც კრედიტორი ქონების აუქციონზე რეალიზაციის განმაპირობებელ გარემოებად მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევასა და შესაბამისად, სესხის გადაუხდელობას მიიჩნევს, ხოლო თავის მხრივ, მოვალე კრედიტორის ამ გადაწყვეტილებით მიღებულ ზიანზე აპელირებს, სასამართლოს შეფასების საგანია იყო თუ არა კონკრეტულ სიტუაციაში კრედიტორის ქმედება ნაკარნახევი ობიექტური აუცილებლობით და თუ არ იყო, მიადგა თუ არა ზიანი მოვალეს კრედიტორის ამგვარი ქმედებით.

ფაქტია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაირღვა, ხოლო ბანკის მოლოდინი ხელშეკრულების გაფორმების მიმართ მდგომარეობდა მის ჯეროვან შესრულებაში, თუმცა საქმის გარემოებათა ერთობლიობაში შეფასებით ბანკის ქმედება ვერ იქნება მიჩნეული კეთილსინდისიერ ქმედებად, რამეთუ ბანკის ინტერესი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულების შესრულებაში მდგომარეობდა და იმ პირობებში, როდესაც ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ მას წერილობით მიეწოდა შეთავაზება, იმის მიუხედავად, იქნებოდა იგი წარმოდგენილი საბანკო გარანტიის თუ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა ფორმით, ბანკს, როგორც საკრედიტო დაწესებულებას, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ევალეობდა გულისხმიერი დამოკიდებულება გამოეჩინა და საბანკო დავალიანების დაფარვის რამოდენიმე ვარიანტიდან ამოერჩია ყველაზე ხელსაყრელი და ამავდროულად, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი. კრედიტორის ეს ვალდებულება განპირობებულია როგორც ზოგადად საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკსა და კლიენტს შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის შენარჩუნებისათვის, ასევე სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე.

სს „ბ. ქ-უს“ 2012 წლის 29 ივნისის წერილი, მართალია, პირდაპირ არ ავალდებულებდა სს „ს. ბ-ს“ შეეწყვიტა მოვალე ინდ. მეწარმე შ. ხ-ის მიერ საკრედიტო ვალდებულების დარღვევის გამო დაწყებული, კანონითა და მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული სააღსრულებო პროცედურები, თუმცა მოცემულ შემთხვევაში საკრედიტო დაწესებულების მართლზომიერი ქცევის განმსაზღვრელი იყო სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის კეთილსინდისიერებისა და მეორე მონაწილის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება და არა მართოდენ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის უფლება. მით უფრო, რომ იპოთეკის საგნების რეალიზაციით მოთხოვნის დაკმაყოფილების მიმართ კრედიტორის უპირატესი ინტერესი გამოკვეთილი არ იყო, რადგანაც მას შეეძლო რეალიზაციისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი პროცედურებისა და დამატებითი ხარჯების გვერდის ავლით, უფრო მოკლე დროში დაეკმაყოფილებინა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირისაგან ფულადი ვალდებულების შესრულებაზე შეთავაზების მიღებით.

ამდენად, მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო პალატას აძლევს იმისი ლოგიკური და თანმიმდევრული ვარაუდის საფუძველს, რომ სს „ს. ბ-ის“ მხრიდან უძრავი ნივ-

თების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის, როგორც კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უკიდურესი ფორმის, გამოყენება შეფასდეს უფლების ბოროტად გამოყენებად, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლთან.

1.7. ხანდაზმულობა

საქმე №ას-594-562-2014

13 ნოემბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: იჯარის სახით გადაცემულ უძრავ ნივთზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი)

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის არგუმენტს სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე, რამდენადაც, ქ. თბილისის მერიისადმი წარდგენილი მოთხოვნის ნაწილში დავის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს, როგორც არაერთხელ აღინიშნა, წარმოადგენს „იჯარის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი და მხარეთა სახელშეკრულებო პირობა, კაპიტალური გაუმჯობესებების ანაზღაურების შესახებ (18.10.1994წ. ხელშეკრულების მე-6 პუნქტი), რაც გამორიცხავს დავალების გარეშე სხვისის საქმეების შესრულების საფუძვლების გამოყენებას. რადგანაც ვიზიარებთ იმ პოზიციას, რომ სასარჩელო მოთხოვნა უძრავ ნივთზე გაწეული ხარჯების კომპენსაციიდან გამომდინარეობს და იგი არ არის მიმართული ამ ხელშეკრულების ფარგლებში უძრავი ქონების თაობაზე დადებული გარიგების ბათილობის, უძრავი ნივთის დაბრუნებისა თუ სხვათა მიმართ, პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის დადგენილი ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა უნდა იქნას გამოყენებული.

საქმე №ას-383-364-2015

27 მაისი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოთხოვნის არსებობის აღიარება (სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი)

სამართლის თეორიაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, ერთმანეთისაგან განსხვავდება მარტივი, კაუზალური და აბსტრაქტული აღიარება. მათი საერთო ნიშანი ისაა, რომ ისინი ადასტურებენ/წარმოშობენ მოთხოვნის არსებობას, თუმცა, იურიდიული თვალსაზრისით გააჩნიათ განმასხვავებელი ნიშან-თვისებები. მარტივი აღიარება სახეზეა მაშინ, როდესაც მოვალე ცალმხრივად ადასტურებს არსებულ ვალდებულებით ურთიერთობას და გაცნობიერებულად გამოთქვამს მზაობას, შესარულოს იგი (დაპირება). კაუზალური ვალის აღიარება ასევე მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებისაკენ და ბუნებრივია უნდა შეიცავდეს დაპირების ელემენტს, ამასთან იგი შეიძლება არ იყოს ცალმხრივი (მხარეთა ორმხრივი შეთანხმება არსებული ვალდებულების შესრულების დამატებით ვადაზე, სხვა შესრულების მიღებაზე და სხვა). როგორც მარტივი, ისე – კაუზალური აღიარება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის კერძო შემთხვევას წარმოადგენს და შედეგად, ამავე კოდექსის 141-ე მუხლის ძალით, შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება, არამედ, ვადა დაიწყება თავიდან. სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის მიზნებისათვის მოვალის აღიარება სამართლებრივი ძალის მატარებელი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუკი აღიარება ხანდაზმულობის ვადაში განხორციელდა, რადგანაც საფუძველს მოკლებული იქნება მსჯელობა იმაზე, რომ მოვალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებას შედეგად მოჰყვება უკვე გასული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა. **საინტერესოა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ ვალის მარტივ ან კაუზალურ აღიარებას გააჩნია თუ არა იურიდიული ძალა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამ საკითხის რეგულირებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც ამავე მუხლის მე-2 ნაწილთან ერთობლიობაში განიმარტება, კერძოდ, 144.2 მუხლის თანახმად, თუკი მოვალე ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ შესარულებს ვალდებულებას, იგი შესრულების დაბრუნების მოთხოვნის უფლებას კარგავს, ასეთ შემთხვევაში მისი შესაგებელი არ შეიძლება იყოს მათ შორის იმაზე მითითება, რომ შესრუ-**

ლების მომენტში არ იცოდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის ფაქტი, ანალოგიური ძალის მატარებელია მოვალის მიერ ვალდებულების აღიარება მოთხოვნის იძულებითი განხორციელების ვადის გასვლის შემდეგ, თუკი ეს აღიარება შეიცავს პირის გაცნობიერებულ ნებას, რომ იგი ვალდებულებას შეასრულებს. ეს რეგულაცია ვრცელდება ვალის როგორც მარტივ, ისე – კაუზალურ აღიარებაზე.

საქმე №ას-384-358-2017

30 აპრილი, 2018 წელი ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოთხოვნის არსებობის აღიარება (სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი)

2015 წლის 22 დეკემბერს კრედიტორმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოვალის მიმართ და მოითხოვა საბანკო კრედიტის ხელშეკრულების დარღვევიდან გამომდინარე თანხის – 2000 ლარის, ასევე დავალიანების ცნობის გაცემიდან – 2015 წლის 12 ნოემბრიდან 6 თვის განმავლობაში საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირ თანხაზე – 1476.94 ლარზე წლიური 27.61%-ის მოპასუხისათვის გადახდის დაკისრება.

მოპასუხემ მოთხოვნა სადავოდ გახადა ხანდაზმულობაზე მითითებით, რაც წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილების შემაფერხებელ შესაგებელს და ასეთ დროს, მოსარჩელეს ეკისრება მტკიცების ტვირთი იმისა, რომ არ არსებობს ამ ინსტიტუტის გამოყენების წინაპირობები (მან უნდა ამტკიცოს ხანდაზმულობის ვადის შეჩერება, შეწყვეტა და სხვა). კასატორი (მოსარჩელე) ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტაზე მიუთითებს და აღნიშნულ გარემოებას იმ ფაქტებზე მითითებით ასაბუთებს, რომ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმებულნი იყვნენ სესხის დაფარვის იმგვარ წესზე, რაც ბანკს აძლევდა შესაძლებლობას კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე – უაქცეპტოდ ჩამოეჭრა სესხის დასაფარად ანგარიშზე შეტანილი თანხა მიუხედავად თანხის შეტანის დანიშნულებისა. ხოლო ვინაიდან ბოლო შესატანი მოვალემ განახორციელა 2012 წლის 27 დეკემბერს, ხოლო სარჩელი სასამართლოში წარდგენილია 2015 წლის 22 დეკემბერს, კრედიტორის მიერ დაცულია სასამართლოსთვის მიმართვის კანონით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო სასამართლო კასატორის აღნიშნული პრეტენზიის შემოწმების მიზნით, უპირველესად ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის 2008 წლის 15 აპრილს გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ვადა იწურებოდა 2011 წლის 20 აპრილს. კრედიტი უნდა დაფარულიყო ყოველი თვის 20 რიცხვში, ხოლო ყოველთვიურად გადასახდელი თანხის ოდენობა შეადგენდა 147.26 ლარს.

სადავო არ არის, რომ 2008 წლის მაისიდან 2011 წლის აგვისტოს ჩათვლით მოპასუხე ასრულებდა საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, ხოლო 2012 წლის თებერვლიდან 2012 წლის დეკემბრის ჩათვლით იგი TBC Pay-ს ტერმინალის მეშვეობით საკუთარ მიმდინარე ანგარიშზე რიცხავდა თანხას 10-10 ლარის ოდენობით, რომელიც უაქცეპტო წესით იჭრებოდა კრედიტორის მიერ.

მოცემულ შემთხვევაში, სადავოა სწორედ ის გარემოება, მოვალის მიერ ყოველთვიურად საბანკო ანგარიშზე 10 ლარის განთავსება მიჩნეული უნდა იქნეს თუ არა კრედიტორის წინაშე სასესხო ვალდებულების შესრულებად (მოვალის მიერ ვალდებულების აღიარებად), რაც, კასატორის მოსაზრებით, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველს ქმნიდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის საფუძველზე, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებულები პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. ვალდებულების სხვაგვარად აღიარების საკითხი შეფასებითი კატეგორიაა და კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა სრული ანალიზით უნდა დადგინდეს. მოვალის ასეთ ქმედებად – სხვაგვარ აღიარებად უნდა ჩაითვალოს მოვალის ისეთი ქმედება, რომელშიც აშკარად გამოკვეთილია პირის ნება ვალდებულების არსებობასთან მიმართებით. მოვალის ქმედებიდან, რომელიც კრედიტორის მიმართ არსებული დავალიანების შესრულებას ეხება, ნათლად და არაორაზროვნად უნდა დგინდებოდეს მოვალის მხრიდან ვალდებულების აღიარება და მოვალის მზაობა აღნიშნული ვალდებულების შესრულების თაობაზე.

ზემოაღნიშნული განმარტებებისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი შეფასებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მოვალეს ბანკის მიმართ გააჩნდა მნიშვნელოვანი დავალიანება (მხოლოდ სესხის ძირითადი თანხის სახით მას დასაფარი ჰქონდა 1476.94 ლარი), ხოლო მას დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში საბანკო ანგარიშზე ყოველთვიურად შეჰქონდა თანხა მხოლოდ 10 ლარის ოდენობით, აღნიშნული არ წარმოადგენს ვალდებულების დაფარვისაკენ მიმართულ მოვალის ნებელობით ქმედებას. შესაბამისად, აღნიშნული გადახდები და ბანკის მიერ ამ თანხის უაქცეპტო წესით ანგარიშიდან ჩამოჭრა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მოვალის მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების „სხვაგვარ აღიარებად“, რაც ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას გამოიწვევდა.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ საქმის მასალებით არ ირკვევა საკრედიტო დავალიანების შესახებ ბანკის მიერ მოვალისათვის შეტყობინების გაგზავნის ან/და მხარეთა შორის აღნიშნული დავალიანების განაწილვადების თაობაზე რაიმე სახის შეთანხმების არსებობის ფაქტი, ასევე სახეზეა თანხის (10-10 ლარის) ანგარიშზე განთავსებისას გადახდის დანიშნულების მიუთითებლობაც. ეს გარემოებები კი, ერთობლიობაში ასევე იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ არ დგინდება მოპასუხის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის დაფარვა.

საქმე №ას-196-187-2016

12 ივლისი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა არბიტრაჟისთვის მიმართვით (სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი)

საქმის მასალებით დადგენილია, რომ კასატორმა არბიტრაჟს მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე კანონით დადგენილ ვადაში მიმართა. მის სასარგებლოდ მიღებული 2010 წლის 15 თებერვლის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომ გააუქმა 2013 წლის 18 ივლისს, 2014 წლის 20 იანვარს კი კასატორმა მოპასუხეების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი წარადგინა.

კასატორის ძირითადი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლომ ისე გაიზიარა მოპასუხის შესაგებელი მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, რომ არ მიიღო მხედველობაში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენით წყდება ხანდაზმულობის ვადა: „სამოქალაქო სარჩელის განხილვისათვის კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს როგორც სასამართლო, ისე კერძო არბიტრაჟი მხარეთა მიერ ასეთი ნების არსებობის შემთხვევაში. მართალია, სამართალწარმოება საქართველოში ხორციელდება საერთო სასამართლოების მეშვეობით, მაგრამ სახელმწიფო “არბიტრაჟის შესახებ” კანონის შემოღებით უზრუნველყოფს სამართალწარმოების ალტერნატიულ საშუალებას. ამავე დროს, სასამართლო, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელი ერთ-ერთი შტო, უფლებამოსილია, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გადასინჯოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და შეამოწმოს პირის უფლების ხელყოფის ფარგლები. საკითხის სადავოობა, ვარგისია თუ არა ერთ-ერთი მხარის მიერ გამოხატული ნება საარბიტრაჟო განხილვისათვის, არ შეიძლება შეფასდეს იმგვარად, რომ არბიტრაჟი არ წარმოადგენს სამოქალაქო უფლების დაცვისათვის კომპეტენტურ ორგანოს, მით უფრო, ისეთ პირობებში, როდესაც სარჩელი განხილულია არბიტრაჟის მიერ და არსებობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე. საარბიტრაჟო შეთანხმებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სადავოობა წარმოადგენს სასამართლოში დამოუკიდებელი განხილვის საგანს. მასთან დამოკიდებული გარემოებების შეფასება მოითხოვს სპეციალურ გამოკვლევას. ასეთი სახის პრეტენზიის არსებობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ ვერ გახდება არბიტრაჟის არაკომპეტენტურობის ცალსახად დადგენის საფუძველი. ასეთი დასკვნის საარბიტრაჟო განხილვის ეტაპზე გამოტანის შეუძლებლობა კი გამორიცხავს სარჩელის განხილვისათვის არბიტრაჟის არაკომპეტენტურ ორგანოდ მიჩნევას. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას უკავშირებს სარჩელის შეტანას. სარჩელის განხილვისათვის კი, როგორც აღინიშნა, კომპეტენტური შეიძლება იყოს როგორც სასამართლო, ასევე კერძო არბიტრაჟი“. სამოქალაქო კოდექ-

სის 129-ე, 130-ე, 138-ე მუხლებზე დაყრდნობით უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენით შეწყდა შესაბამისი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა, სასამართლოს გადაწყვეტილებით საარბიტრაჟო განხილვის შედეგის ბათილობა კი წარმოადგენდა ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლის თანახმად ხანდაზმულობის ვადის დენის ხელახლა ათვის საფუძველს (*№ას-1728-1710-2011, 23 იანვარი, 2012 წელი*)*.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე სამართლებრივად დაუსაბუთებელია, რადგანაც ის არ შეესაბამება სსკ-ის 138-ე მუხლის პირველი წინადადებას: „ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად“, და 139-ე მუხლის პირველი ნაწილს: „ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება“. შესაბამისად, სასამართლოს არ უნდა მიეღო მხედველობაში შეწყვეტამდე განვლილი დრო და სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაეწყო თავიდან, ანუ 2013 წლის 18 ივლისიდან [სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი და 141-ე მუხლი].

საქმე №ას-52-2019

11 ივნისი, 2019 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა (სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი და 140-ე მუხლები)

განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის ძირითადი საკასაციო პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად მიიჩნიეს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილად და აქედან გამომდინარე, არასწორად დაასკვნეს, რომ სარჩელი ხანდაზმული არ იყო.

საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას, რომ მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დროს მოქმედი შრომის კოდექსი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გასაჩივრების ხანდაზმულობის რაიმე სპეციალურ ვადას არ ითვალისწინებდა, შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნებზე ვრცელდება სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა (სსკ-ის 129-ე მუხლი).

განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან (10.10.2011 წ.) სარჩელის აღძვრამდე (11.03.2015 წ.) გასულია სამ წელზე მეტი დრო (3 წელი და 7 თვე).

დადგენილია, რომ მოსარჩელემ წარმოდგენილი სარჩელით აღძრული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, 2012 წლის 28 ნოემბერს, განცხადებით მინისტრს მიმართა.

შემდეგში, აღნიშნული განცხადება განსახილველად კომისიას გადაეცა, რომელიც 2012 წლის 14 დეკემბერს შეიქმნა. კომისიამ 2013 წლის 7 მარტს დაასკვნა, რომ მოსარჩელის განცხადება და თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამებოდა კომისიის დებულებას, რის გამოც, განმცხადებელს დაუდგინდა ხარვეზი, რომლის შევსების მიზნით დაევალა დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა და ხარვეზის გამოსასწორებლად 10 დღის ვადა მიეცა.

რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა, რომ მოსარჩელემ ხარვეზი შეავსო და კომისიამ მის განცხადებაზე არსებითად იმსჯელა, საქმეში წარმოდგენილი არ არის.

უდავოა, რომ განათლების სამინისტროს 2014 წლის 28 მაისისა და 2014 წლის 22 აგვისტოს წერილებით მოსარჩელეს ეცნობა, რომ მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება სამინისტროს კომპეტენციას სცილდებოდა.

სსკ-ის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად, გამოიყენება 139-ე და 140-ე მუხლები.

* საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით **№ ას-1586-1489-2012** საქმეზე, არბიტრაჟისთვის მიმართვა არ იქნა მიჩნეული ხანდაზმულობის შეწყვეტის საფუძველად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული ნორმის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტისათვის აუცილებელია, რომ მხარის მიერ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად არჩეული საშუალება ვარგისი იყოს შესაბამისი შედეგის მისაღწევად. სახელმწიფო ორგანოსათვის მიმართვისას აუცილებელია, რომ აღნიშნული ორგანო კომპეტენტური იყოს, ანუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ამ ორგანოსადმი მიმართვის გზით უნდა შეიძლებოდეს. თითოეულმა მხარემ თავად უნდა შეარჩიოს საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სწორი და ეფექტური საშუალება, ამ პირობის დარღვევით გამოწვეული შედეგები კი თავად მხარის რისკია.

განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო (მინისტრი), რომელსაც მოსარჩელემ სარჩელის აღძვრამდე მიმართა, საკასაციო პალატის შეფასებით, წარმოადგენს არაუფლებამოსილ ორგანოს, მოსარჩელის მოთხოვნებზე მსჯელობისა და დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

სკოლიდან გათავისუფლებული მასწავლებლის სამსახურში აღდგენასა და განაცდური ხელფასის ანაზღაურებაზე უფლებამოსილ ორგანოებს სკოლა და სასამართლო წარმოადგენს.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყვეტილა.

გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სააპელაციო სასამართლო მიიჩნევდა, რომ კომისიისადმი მოსარჩელის განცხადების გადაცემა კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვას წარმოადგენდა, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული, სსკ-ის 140-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას მაინც არ გამოიწვევდა.

მითითებული ნორმის მიხედვით, სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული. თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მხრიდან მის განცხადებაზე კომისიის მიერ დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის ფაქტობრივი გარემოება საქმის მასალებით არ დასტურდება. ასევე, არ დასტურდება კომისიის მიერ მოსარჩელის განცხადების არსებითად განხილვის ფაქტიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის 2012 წლის 28 ნოემბრის განცხადება კომისიის მიერ 2013 წლის მარტ-აპრილში განუხილველად იქნა დატოვებული, რასაც ადასტურებს ასევე სამინისტროს 2014 წლის 28 მაისისა და 2014 წლის 22 აგვისტოს წერილებიც.

მართალია, სსკ-ის 140-ე მუხლში მითითებულია სასამართლოს მხრიდან სარჩელის განუხილველად დატოვებისა და არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, თუმცა საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნორმის დებულება უნდა განიმარტოს მისი ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით, იმავე კოდექსის 138-ე მუხლთან ერთობლივად, სახელდობრ, ამ უკანასკნელი სამართლებრივი ნორმით, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის მიზნებისათვის მოთხოვნის არსებობის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოსთვის განცხადებით მიმართვა გაიგივებულია სარჩელის შეტანასთან. შესაბამისად, სსკ-ის 140-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას, პალატის მოსაზრებით, ასევე უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოთხოვნის არსებობის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების შემთხვევაზეც.

ვინაიდან 2013 წლის აპრილიდან მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრამდე, 2015 წლის 11 მარტამდე, გასულია 6 თვეზე გაცილებით მეტი დრო, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილად არ უნდა ჩაითვალოს.

სწორედ ასეთი შემთხვევისათვის ადგენს სსკ-ის 140-ე მუხლი, რომ სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყდება, მაგრამ, თუ პირი განუხილველად დატოვებიდან

ნ თვის განმავლობაში აღძრავს ახალ სარჩელს, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს და განიხილავს, ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის წარდგენის მომენტიდან.

საქმე №ას-1133-1079-2014

30 სექტემბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ვალის აღიარება (სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 341-ე მუხლი)

მოცემულ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ არ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მაგრამ მიიჩნევს, რომ სასამართლომ სამართლებრივად არასწორად შეაფასა ეს გარემოებები, კერძოდ, არასწორად მიიჩნია, რომ მოპასუხეს არ უღიარებია ვალის არსებობა.

კასატორის ზემოხსენებული პრეტენზიის მართებულობის შესამოწმებლად, საკასაციო პალატა მიუთითებს სსკ-ის 341-ე მუხლის განმარტების თაობაზე არსებულ სასამართლოს პრაქტიკაზე, კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „ვალის აღიარების ხელშეკრულების სამართლებრივი განმარტება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლში, რომელიც თავისი შინაარსითა და გამოხატვის ფორმით შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, კერძოდ, კონსტიტუციური ან დეკლარაციული ხასიათის. კონსტიტუციური ხასიათის ვალის არსებობის აღიარებით იდება ახალი ხელშეკრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებით დგინდება ახალი, დამოუკიდებელი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, წარმოიშობა ახალი მოთხოვნა, მიუხედავად ძველი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ ნამდვილობისა. ახალი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი ძალა არ არის დამოკიდებული ძველი, ასეთივე ურთიერთობის სამართლებრივ ძალასა თუ შინაარსზე. სწორედ ამ სახის ვალის არსებობის აღიარებას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის პირველი ნაწილი. **ვალის არსებობის აღიარება, როგორც ვალდებულების არსებობის დამოუკიდებელი კომპონენტი, ხელწერილის შინაარსიდან უნდა მომდინარეობდეს, კერძოდ, ხელწერილით პირი უნდა აღიარებდეს გარკვეულ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას და კისრულობდეს მისი შესრულების ვალდებულებას. ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულების თავისებურება სწორედ ისაა, რომ მასში ვალდებულების შესრულების მზაობა იკვეთება (იხ., სუსგ, 08.11.2011წ., №ას-839-890-2011; სუსგ, 18.05.2015წ., №ას-226-213-2015).**

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხის 2011 წლის 6 სექტემბრის, 2012 წლის 13 აგვისტოსა და 2012 წლის 26 ოქტომბრის წერილები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლებელია, მივიჩნიოთ სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალის არსებობის აღიარებად, ვინაიდან მათში მოპასუხე ნათლად და გარკვევით აღიარებს 17 717.93 ლარის დავალიანების არსებობის ფაქტს და, ამასთან, სრულიად გაცნობიერებულად კისრულობს ამ თანხის გადახდის ვალდებულებას.

მოპასუხის მოსაზრებით, ზემოხსენებული წერილები ვერ მიიჩნევა ვალის არსებობის აღიარებად, ვინაიდან მათ ხელს არ აწერს მინისტრი (უფლებამოსილი პირი), ამასთან, ამ უკანასკნელს არ გადაუცია უფლებამოსილების დელეგირება იმ პირებზე, რომლებიც სადავო წერილებს ხელს მოპასუხის სახელით აწერენ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხის ზემოხსენებულ მოსაზრებას, ვინაიდან კანონიერი ნდობის უფლების პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელეს გააჩნია კანონიერი მოლოდინი ადმინისტრაციული ორგანოს (მოპასუხის) მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, რაც, განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ქმნის პრეზუმფციას (ვარაუდს) იმის შესახებ, რომ მინისტრის მოადგილეს, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელისგან (მინისტრისგან), მინიჭებული (დელეგირებული) ჰქონდა უფლებამოსილება, სამინისტროს სახელით ეკისრა პასუხისმგებლობა ზემოხსენებულ წერილებში მითითებული ვალდებულების შესრულებაზე.

ზემოხსენებული პრეზუმფციის გაქარწყლების მტკიცების ტვირთი, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ეკისრებოდა მოპასუხეს, რომელმაც ვერ უზრუნველყო მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზება სსკ-ის 102.1 და 103.1 მუხლების საფუძველზე.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, თუნდაც მივიჩნიოთ, რომ ზემოხსენებული წერილები არ წარმოადგენენ ვალის არსებობის აღიარებას სსკ-ის 341-ე მუხლის გაგებით (ვალის აბსტრაქტული აღიარება), მოპასუხის უარი ზემოხსენებული წერილებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე მაინც დაუსაბუთებელია.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსარჩელის მოთხოვნა, მართალია, ხანდაზმულია, მაგრამ ამავე ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების გადახდის თაობაზე მოპასუხის მიერ გამოვლენილი ნება (კაუზალური აღიარება) მოსარჩელეს ანიჭებს მისი შესრულების მოთხოვნის უფლებას სსკ-ის 144.3 მუხლის საფუძველზე (*იგივე წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც*). მითითებული ნორმა უნდა განიმარტოს ამავე მუხლის მე-2 ნაწილთან ერთობლიობაში, კერძოდ, 144.2 მუხლის თანახმად, თუკი მოვალე ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ შეასრულებს ვალდებულებას, იგი შესრულების დაბრუნების მოთხოვნის უფლებას კარგავს. ასეთ შემთხვევაში მოვალის შესაგებელი არ შეიძლება იყოს, მათ შორის, იმაზე მითითება, რომ შესრულების მომენტში მან არ იცოდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შესახებ. ანალოგიური ძალის მატარებელია მოვალის მიერ ვალდებულების აღიარება მოთხოვნის იძულებითი განხორციელების ვადის გასვლის შემდეგ, თუკი ეს აღიარება შეიცავს პირის გაცნობიერებულ ნებას, რომ იგი ვალდებულებას შეასრულებს. ეს რეგულაცია ვრცელდება ვალის როგორც მარტივ, ისე – კაუზალურ აღიარებაზე. საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ **„სამოქალაქო კოდექსის როგორც 137-ე, ისე 144.3 მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი უკავშირდება მოვალის მიერ ვალდებულების აღიარებას, სადაც მოვალე გამოხატავს ნებას, იძლევა დაპირებას ვალდებულების შესრულების თაობაზე და არა ფაქტის აღიარებას, სადაც მოვალე ახდენს მართოდენ ვალდებულების ფაქტის კონსტატაციას“** (*იხ. სუსგ საქმეზე №ას-374-347-2010, 09.11.2010წ.*).

განსახილველ შემთხვევაში, ზემოხსენებული წერილებით, როგორც უკვე ითქვა, მოპასუხე აღიარებს არა მარტო დავალიანების არსებობის ფაქტს, არამედ იძლევა, ასევე, დაპირებას ვალდებულების შესრულების თაობაზე, შესაბამისად, ასეთ აღიარებას უნდა მოჰყვეს ის სამართლებრივი შედეგი, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 144.3 მუხლით.

2. სანივთო სამართალი

2.1. მფლობელობა

საქმე №ას-1042-962-2017

26 მარტი, 2018 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ნივთზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 163-ე და 987-ე მუხლები)

2014 წლის 30 ოქტომბერს, ძირითადად მოსარჩელემ (მ.ი-მა) სარჩელი აღძრა მესაკუთრის (დ.გ.ძის) წინააღმდეგ, 287 000 ლარის დაკისრების მოთხოვნით. მისი მტკიცებით, მან და მისმა ყოფილმა მეუღლემ პ.4-ში აღნიშნული მიწის ნაკვეთი 2003 წელს საერთო სახსრებით შეიძინეს, თუმცა, საჯარო რეესტრში უძრავი ქონება ძირითადი მოპასუხის (დ.გ.ძის) საკუთრებად დარეგისტრირდა იმის გამო, რომ ძირითადი მოსარჩელე სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა და მის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემთხვევაში, არსებობდა ქონების იძულებითი წესით ჩამორთმევის რეალური საფრთხე. მოსარჩელის განმარტებით, მან საკუთარი და მეუღლის ფინანსებით სადავო მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები ჩაატარა, რის შემდგომაც, ნივთით სარგებლობას შეუდგა. იგი მეუღლესთან 2007 წელს განქორწინდა, ამჟამად კი, ყოფილი მეუღლე დედის (ძირითადი მოპასუხის) მეშვეობით, მისი და მათი საერთო შვილების სახლიდან გამოსახლებას მოითხოვს. მოსარჩელემ მიუთითა, რომ სადავო უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობის) თვითღირებულება 530 000 ლარია (300 000 აშშ დოლარი), შესაბამისად, რადგანაც აღნიშნული ქონება შეძენილი და აშენებული იყო, როგორც მისი, ისე მისი ყოფილი მეუღლის საერთო სახსრებით, მან სარჩელით მხოლოდ ქონების ღირებულების ნახევარი – 265 000 ლარი, ასევე, მის მიერ ნივთის მოვლა-პატრონობასა და აღჭურვაზე გაწეული ხარჯი – 22 000 ლარი მოითხოვა.

როგორც ცნობილია, შედეგის განმაპირობებელი ფაქტების კვლევისა და დადგენის პროცესს სასამართლო ვერ დაიწყებს მანამ სანამ, ზუსტად და სწორად არ განსაზღვრავს იმ სამართლის ნორმას (ან ნორმებს), საიდანაც ეს შედეგი შეიძლება გამომდინარეობდეს. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ძირითადი მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურსამართლებრივი საფუძველი სსკ-ის 987-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარეობს, რადგანაც უსაფუძვლო გამდიდრება სუბსიდიური ხასიათისაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეთა შორის არ უნდა არსებობდეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი, ამდენად, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება მხოლოდ მოთხოვნის სხვა სამართლებრივი საფუძველების არარსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი. განსახილველ შემთხვევაში, ძირითადი მოსარჩელის მოთხოვნა შეიძლება, დაეფუძნოს სსკ-ის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილს.

ძირითადი მოსარჩელის სანივთო მოთხოვნა ამ შემთხვევაში მიზნად ისახავს გაწეული ხარჯების ანაზღაურებას და შესაბამისად, სსკ-ის 163-ე მუხლი უფრო მეტად იცავს კეთილსინდისიერი მფლობელის ინტერესებს სსკ-ის 987-ე მუხლთან შედარებით, რადგანაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში, კრედიტორს მხოლოდ იმ დანახარჯების მოთხოვნა შეუძლია, რითაც გამდიდრდა ნივთის მესაკუთრე. ამდენად, იგი უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნის საფუძველად უნდა იქნეს მიჩნეული. ამასთან, სსკ-ის 163-ე მუხლის სპეციალური ბუნება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებთან მიმართებით უდავოა, ვინაიდან იგი კეთილსინდისიერი არამართლზომიერი მფლობელის სამართლებრივ სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს ამომწურავად აწესრიგებს. **სსკ-ის 163-ე მუხლის გამოყენების სფეროს ავიწროებს ამ ნორმის საგამონაკლისო წინაპირობა – არაუფლებამოსილი მფლობელის კეთილსინდისიერების ფაქტი. სწორედ ამ წინაპირობის გათვალისწინებით, უდავოდ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ სსკ-ის 163-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა უსაფუძვლო გამდიდრების გამოყენების სფეროს გამოირიცხავს. ამ შემთხვევაში იკვეთება განმდევნი თუ გამომრიცხველი კონკურენცია, რომლის შესაბამისად, სსკ-ის 163-ე მუხლით უნდა გამოირიცხოს კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ სსკ-ის 976-ე და შემდგომი მუხლების გამოყენება.**

ძირითადი მოსარჩელის მხრიდან სადავო უძრავ ქონებაზე გარკვეული გაუმჯობესებებისა და ხარჯების გაწევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს კვლევის საგანი უნდა გახდეს ის სარგებელი (ნაყოფი), რაც ძირითადად მოსარჩელემ მიიღო ნივთის ფლობის შედეგად, მესაკუთრის მიერ ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის წარდგენის, ანუ 2016 წლის 22 ივნისის, შემდეგ. აღნიშნულის დადგენის შემდგომ კი, სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს, ძირითადი მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯები, ხომ არ გამოიქვითება (კომპენსირდება) ნივთის სარგებლობიდან მიღებული ნაყოფით. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ გაწეული ხარჯები აღემატება უძრავი ქონებით სარგებლობიდან მიღებულ ნაყოფს, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა გამოაკლდეს გაწეულ ხარჯებს და მიღებული სხვაობის ანაზღაურება უნდა დაეკისროს მესაკუთრეს. ამასთან, პალატამ უნდა გაითვალისწინოს სსკ-ის 163-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ძირითადი მოსარჩელის კანონისმიერი უფლება – გაწეული ხარჯების ანაზღაურებამდე უარი განაცხადოს ნივთის მესაკუთრისთვის დაბრუნებაზე. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ ნივთით სარგებლობის ნაყოფი ტოლია ან აღემატება ძირითადი მოსარჩელის მიერ გაწეულ ხარჯებს, მესაკუთრის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ძირითადი მოსარჩელის მოთხოვნა – უარყოფილ იქნეს.

საქმე №ას-838-796-2013

25 მაისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ნივთის ფლობის უწყვეტობის ვარაუდი (სამოქალაქო კოდექსის 166-ე მუხლი)

კასატორ ლ.ქ.-ის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოპასუხე 1998 წლიდან 2012 წლის 7 ივნისამდე უკანონოდ ფლობდა სადავო ფართს. კასატორი აღნიშნავს, რომ არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის მიერ სადავო ფართის ფლობას 2001 წლიდან 2012 წლამდე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 166-ე მუხლი, რომლის მიხედვით, თუ პირი ნივთს ფლობდა დროის გარკვეული მონაკვეთის დასაწყისში და ბოლოს, ივარაუდება, რომ იგი ფლობდა ამ ნივთს დროის შუა პერიოდშიც.

განსახილველ შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოპასუხე სადავო უძრავ ნივთს ფლობდა 1998-2001 წლებში. დადგენილია ასევე, რომ მოპასუხე სააღსრულებო წარმოების შედეგად იქნა გამოსახლებული სადავო უძრავი ქონებიდან 2012 წლის 7 ივნისს. ასეთ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ მოპასუხე სადავო უძრავ ნივთს ფლობდა დროის გარკვეული მონაკვეთის დასაწყისში – 1998-2001 წლებში და ბოლოს – 2012 წლის 7 ივნისს, მოსარჩელის სასარგებლოდ მოქმედებს ნივთის ფლობის უწყვეტობის ვარაუდი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოპასუხე სადავო უძრავ ქონებას ფლობდა 1998 წლიდან 2012 წლის 7 ივნისამდე. აღნიშნული ვარაუდის გაქარწყლების ტვირთი ეკისრებოდა მოპასუხეს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკისრა მას იმ ვარაუდების დამტკიცების ტვირთი, რომ სადავო პერიოდში იგი მოსარჩელის კუთვნილ უძრავ ქონებას არ ფლობდა.

2.2. საპუტრება

საქმე №ას-463-439-2012

27 აპრილი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა ზედდების დროს (სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი)

საკასაციო პალატა მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის საკუთრებაში რეგისტრირებულ 38 კვ.მ სარდაფსა და მოპასუხის საკუთრებაში რეგისტრირებული 55 კვ.მ სარდაფს შორის არსებობს ზედდება ანუ ერთსა და

იმავე უძრავ ნივთზე ორი სხვადასხვა საკადასტრო კოდით რეგისტრირებულია ორი მესაკუთრე, შესაბამისად, სახეზეა ერთი და იგივე ობიექტზე ორი ჩანაწერის კონკურენცია, რომლის პირობებშიც უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ უფლებას, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო ადრე არის რეგისტრირებული, ვინაიდან წინმსწრები რეგისტრაციის ჩანაწერის მოქმედება გამორიცხავს შემდეგი ჩანაწერის კანონიერებას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია სარდაფზე მოპასუხის საკუთრების უფლების საფუძველი, ამიტომ ამ უკანასკნელის მფლობელობიდან სადავო ნივთის გამოთხოვა დაუშვებელია.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ მოსაზრებას, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, **იმ პირობებში, როდესაც სახეზეა ერთი და იგივე უძრავ ნივთზე ორი ჩანაწერის კონკურენცია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ უფლებას, რომელიც ქრონოლოგიურად უფრო ადრე არის რეგისტრირებული, ვინაიდან წინმსწრები რეგისტრაციის ჩანაწერის მოქმედება გამორიცხავს შემდეგი ჩანაწერის კანონიერებას.** სხვა საკითხია, როდესაც ბოლო ჩანაწერი ძალას უკარგავს ადრინდელ ჩანაწერს ანუ, როდესაც უძრავ ნივთზე არსებობს მხოლოდ ერთი სარეგისტრაციო ჩანაწერი. ასეთ დროს იმ პირს, რომლის სარეგისტრაციო ჩანაწერი გაუქმებულია ახალი სარეგისტრაციო ჩანაწერით, შეუძლია დაიბრუნოს საკუთრების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სადავოდ გახდის ახალ შემძენზე საკუთრების გადასვლის საფუძველს (*იხ. სუსგ, 10.12.2013წ., საქმე №ას-340-325-2012*).

საქმე №ას-454-426-2017

05 მაისი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი)

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ, რომლითაც მოითხოვა, მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან სადავო ბინის გამოთხოვა და მოპასუხისათვის უძრავი ნივთით სარგებლობის აკრძალვა.

სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მოპასუხე დაუფლებულია მოსარჩელის კუთვნილ უძრავ ნივთს, რომელიც პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე ეკუთვნის მოსარჩელეს და არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად არ ათავისუფლებს მას.

მოთხოვნის განხორციელების შემწყვეტ შედეგებაში, მოპასუხემ მიუთითა უძრავი ქონებით სარგებლობის მართლზომიერ საფუძველზე, სახელდობრ, აღნიშნა, რომ იგი არის მოსარჩელის რძალი (ვაჟიშვილის მეუღლე) და არასრულწლოვან შვილთან, ერთად ცხოვრობს ბინაში, თავის დროზე, მოსარჩელის მიერ გამოვლენილი ნების შესაბამისად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ, რომელიც დაკმაყოფილდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით.

კასატორი არ ეთანხმება დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას და სამართლებრივ ასპექტში მისი საკასაციო პრეტენზია შემდეგ ძირითად საკითხებადაა ჩამოყალიბებული: (1) სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს და იმსჯელა არასრულწლოვანი ბავშვის საცხოვრებელი გარემოთი უზრუნველყოფის საკითხზე; (2) სასამართლო გასცდა მოთხოვნის ფარგლებს და სავინდიკაციო სარჩელთან ერთდ განიხილა ბების საალიმენტო ვალდებულება [სსკ-ის 1225-ე მუხლი]; (3) სასამართლომ უგულვებელყო სსკ-ის 170-172-ე მუხლით დაცული სიკეთე – მესაკუთრის უფლება თავისუფლად ისარგებლოს საკუთრებით და არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ხელშეშლა საკუთრებით შეუზღუდავად სარგებლობაში.

პირველი ორი საკასაციო პერეტენზია საქმის განხილვის პროცედურული წესების დარღვევას შეეხება, რასთან დაკავშირებითაც, არ იკვეთება სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევა. არასრულწლოვანი ბავშვის საცხოვრებელი გარემოთი უზრუნველყოფისა და მისი აუცილებლობით ნაკარნახევ მწვავე სოციალურ საჭიროებაზე სააპელაციო პალატამ იმსჯელა სწორედ მოპასუხის მოთხოვნის შემწყ-

ვეტი შესაგებლის შინაარსიდან გამომდინარე, რომელშიც მოპასუხე მიუთითებდა, რომ იგი არის მოსარჩელის რძალი (ვაჟიშვილის რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლე) და არასრულწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს ბინაში, საიდანაც გამოსახლების მოთხოვნა მიმართული იყო მისკენ.

მაშასადამე, საქმის წარმოება წარმართა მხარეთა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების სრული დაცვით და სასამართლომ საპროცესო ნორმების დაცვით შეამოწმა მოპასუხის სტადია (მოპასუხის მატერიალური შედაგება) [სსკ-ის მე-3, მე-4, 102-ე 105-ე მუხლები]. რაც შეეხება, სასამართლოს მხრიდან ბე-ბიის საალიმენტო ვალდებულებაზე მსჯელობას, რაც კასატორის მოსაზრებით, არ იყო დავის საგანი, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლომ იმსჯელა სავინდიკაციო სარჩელზე, რომლის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 170-ე-172-ე მუხლები, ხოლო ბებიის მხრიდან კანონისმიერი ვალდებულების შესრულების აუცილებლობაზე [სსკ-ის 1225-ე მუხლი] მსჯელობა იქონია სწორედ მოთხოვნის შემწყვეტი შედაგების ფარგ-ლებში. მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, მათ შორის, მოპა-სუხის სტადიაზე განხორციელებული მატერიალური თუ საპროცესო შედაგების კვალიფიკაცია სასამართლოს ვალდებულებაა.

რაც შეეხება შედაგებულ იურიდიულ შედეგს – უარყოფილი სასარჩელო მოთხოვნა, რაშიც, კასატორი სსკ-ის 170-172-ე მუხლებით უზრუნველყოფილი სიკეთის (მესაკუთრის უფლება) უგულვებელყოფას ხედავს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, არასწორი კვალიფიკაცია განხორციელებული არ არის და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ამ კონკრეტულ ვითარებაში, იძლეოდა სწორედ იმ იურიდიულად განმაპირობებელ შედეგს, რომლის მიხედვითაც, არ იყო გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელი იყო. მოპასუხეს არ გააჩნია სხვა საცხოვრებელი ბინა და ის თავის არასრულწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს სადავო ბი-ნაში, რომელითაც მესაკუთრე არ სარგებლობს. ამასთან, ბებიის არამხოლოდ კანონისმიერი, არამედ, მნობ-რივი მოვალეობა იზრუნოს არასრულწლოვან შვილიშვილზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სწო-რად მიიჩნია, რომ მოსარჩელე არამართლზომიერად იყენებდა მესაკუთრის უფლებებს, რის გამოც, სარჩელი წარუმატებელი აღმოჩნდა.

საქმე № ას-1041-998-2014

12 თებერვალი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ნეგატორული სარჩელის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი)

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ნეგატორუ-ლი სარჩელზე ხანდაზმულობის გავრცელება დაუშვებელია და მესაკუთრის უფლება, მოითხოვოს ხელშემ-ლის აღკვეთა, არ შეიძლება იყოს ხანდაზმული, ვინაიდან მესაკუთრის აღნიშნული თავისუფლების ხანდაზ-მულობის შემზღუდავი დანაწესისადმი დაქვემდებარება ეწინააღმდეგება საკუთრების უფლების აბსოლუტურ ბუნებას, საქართველოს კონსტიტუციასა და სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ხანდაზმულობის ვადები არ უნდა გავრცელდეს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ხელშემლის აღკვეთის მოთხოვნაზე. თუმ-ცა, აქვე აღნიშნავს, რომ ნეგატორულ სარჩელთან მიმართებით, ხანდაზმულობის ვადები გარკვეული თავისე-ბურებებით ხასიათდება, კერძოდ, **მესაკუთრეს საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშემლის აღკვეთის მოთხოვნით სარჩელის აღძვრის უფლება აქვს იქამდე, სანამ ხელშემლა გრძელდება, თუნდაც ხელშემლა უსასრულოდ გრძელდებოდეს, ხოლო ხელშემლის აღკვეთის შემდეგ ნეგატორული სარჩელის წარდგენა შეუძლებელია.**

2.3. სამეზობლო სამართალი

საქმე №ას-122-116-2014

25 მაისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დაუშვებელი ხელყოფა (სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლი)

წარმოდგენილი სარჩელის თანახმად, მ.თ. მოითხოვდა უკანონო ხელშეშლის აღკვეთას, რასაც ამყარებდა შემდეგ გარემოებებზე: მოსარჩელის საცხოვრებელი სახლის ეზოს ემიჯნება მოპასუხის საკუთრებაში არსებული სასტუმროს შენობა. შენობის საანგარიშო ზედაპირი მდებარეობს მოსარჩელის მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში. სამეზობლო საზღვრის მხარეს, კედელში მოწყობილია ფანჯრის ღიობები და ვენტილაციის ხვრეტები. მემობელი ნაკვეთის შენობა წარმოადგენს სასტუმროს. კლიენტები ანაგვიანებენ მოსარჩელის კუთვნილ ტერიტორიას, ფანჯრიდან ყრიან ნაგავს, მათ შორის ჰიგიენური მოხმარების ნარჩენებს. ამდენად, ხდება საკუთრების დაუშვებელი ხელყოფა, რისი გაკონტროლებაც, სასტუმროს სპეციფიკის გათვალისწინებით, შეუძლებელია. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სასტუმრო აშენდა და ექსპლუატაცია ხორციელდება კანონმდებლობის დარღვევით.

მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელე ვერ ადასტურებს თუ რაში გამოიხატება ხელშეშლა, ამასთანავე, შენობა ექსპლუატაციაშია მიღებული და აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს.

გასაჩივრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ:

საჯარო რეესტრში მოსარჩელე მ.თ.ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება მდებარეობს ქ. თბილისში,.... ხოლო მოპასუხე ნ.ს.ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონება –

მხარეთა უძრავი ქონებები განთავსებულია ერთმანეთის მომიჯნავედ;

მოპასუხე ნ.ს.ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონების – სასტუმროს დანიშნულების მქონე შენობის იმ კედელს, რომელიც განთავსებულია მოსარჩელე მ.თ.ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავ ქონების მხარეს, აქვს 11 ფანჯრის ღიობი, რომელთაგან 9 ასრულებს ფუნქციურ დანიშნულებას, ერთი ამოშენებულია, ხოლო მეორეში ჩაშენებულია კონდიციონერი. ასევე დამონტაჟებულია სავენტილაციო ხვრეტები და სამტრედეები;

პალატის შეფასებით, ხელშეშლის ფაქტს მოსარჩელე ამყარებდა ნ.ს.ის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული შენობის მშენებლობის პროექტისა და ნებართვის შეუსაბამობაზე სამშენებლო წესების შესახებ არსებულ მატერიალურ კანონმდებლობასთან, სახელდობრ, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2001 წლის 18 სექტემბრის №..ბრძანებით დამტკიცებულ „ნაკვეთების საზღვარზე, საზღვართან საცხოვრებელი სახლების, დამხმარე და სხვა ნაგებობების მშენებლობის წესებთან“ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის №... ბრძანებით დამტკიცებულ „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითად დებულებებთან“. მოსარჩელე ამ შეუსაბამობას ადასტურებდა საინჟინრო ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით.

სააპელაციო პალატამ სარჩელის უსაფუძვლობა დაასაბუთა კრწანისის რაიონის გამგეობის არქმშენკონტროლის ინსპექციის 1995 წლის 15 დეკემბრის აქტით, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ნ.ს.ის მიერ აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში, ხოლო თბილისის კრწანისის გამგეობის 1995 წლის 25 დეკემბრის №...განკარგულებით დამტკიცდა არქმშენინსპექციის აღნიშნული აქტი. ფანჯრის ღიობები, სავენტილაციო ხვრეტები და სამტრედეები თავიდანვე განთავსებული იყო ზუსტად იმ ადგილებზე, სადაც ისინი ამჟამადაა განლაგებული და სწორედ ამ ფორმით მოხდა შენობის ექსპლუატაციაში მიღება. პალატის დასკვნით, ვინაიდან შენობა ექსპლუატაციაშია მიღებული, სამოქალაქო დავის ფარგლებში სადავოდ გამხდარი სამშენებლო წესების დაცვის მარეგულირებელი ნორმების გამოყენების კანონიერება ვერ შემოწმდებოდა, ამასთანავე, რადგანაც მოსარჩელემ, გარდა ახსნა-განმარტებისა, ვერ წარადგინა კონკრეტული მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა სასტუმროს დანიშნულების მქონე შენობიდან (იმ ნაწილიდან, სადაც მოწყობილია ფანჯრის ღიობები და სავენტილაციო ხვრეტები) კლიენტების მიერ სხვადასხვა მოხმარების საგნების ნარჩენების გადმოყრა მოსარჩელის ეზოში, სასამართლომ სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ურთიერთობის რეგულირება სრულად ექცევა სამოქალაქო სამართლით მოწესრიგებული საკუთრების უფლების ფარგლებში. ამ თვალსაზრისით პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლითაც განმტკიცებულია საკუთრების უფლების არსი და ნორმაში გადმოცემულია ის ელემენტები, რომელთა ერთობლიობაც ქმნის საკუთრების სოციალური უფლების შინაარსს. კანონის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

საკუთრების აბსოლუტური უფლების არსის გამოხატულებაა მესამე პირისათვის საკუთრების ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის წარდგენა, სწორედ ამგვარი ვითარებაში შეძლებს მესაკუთრე ნივთზე იმგვარი ბატონობის განხორციელებას, როგორც ეს ზემოაღნიშნულ ნორმაშია გადმოცემული. საკუთრების ინსტიტუტის არსის გარკვევას მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სამეზობლო სამართლებრივ ურთიერთობაში, როდესაც შეიძლება სახეზე გვექნოდეს მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეთა უფლებების კონკურენცია.

სამოქალაქო კოდექსის 174-ე მუხლით დამკვიდრებულია მეზობელთა ურთიერთპატივისცემის პრინციპი და დადგენილია, რომ მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი, გარდა კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისა, ვალდებული არიან პატივი სცენ ერთმანეთს. მეზობლად მიიჩნევა ყველა ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება, საიდანაც შესაძლებელია გამომდინარეობდეს ორმხრივი ზემოქმედება. ნორმის აღწერილობითი ნაწილი სამეზობლო ურთიერთპატივისცემის შემდეგი ელემენტების კლასიფიკაციას იძლევა: მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეები ვალდებული არიან: ა) დაიცვან კანონით დადგენილი წესი და აკრძალვები; ბ) პატივი სცენ ერთმანეთს. ჩამოთვლილთაგან პირველი ობიექტურ ფაქტორს წარმოადგენს და მის დარღვევად შეიძლება ყოველთვის მივიჩნიოთ მატერიალური კანონმდებლობით დადგენილი კონკრეტული აკრძალვები, რაც შეეხება მეორე ელემენტს, ის შეფასების საგანს წარმოადგენს და საქმის გარემოების გათვალისწინებით იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება მსჯელობის საგნად იქცეს.

როგორც აღინიშნა, სარჩელით მოთხოვნილია კანონით დადგენილი წესის დარღვევიდან გამომდინარე ხელშეშლის აღკვეთა. სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოსარჩელე და მოპასუხე არიან მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეები, კერძოდ, ქ. თბილისში, მდებარე უძრავი ნივთის მესაკუთრეა მოსარჩელე, ხოლო მდებარე ქონებისა – მოპასუხე.

მოპასუხის კუთვნილი ქონების (სასტუმროს დანიშნულების შენობის) კედელს, რომელიც მოსარჩელის ნაკვეთის მხარესაა განთავსებული, აქვს 11 ფანჯრის ღიობი, რომელთაგან 9 ასრულებს ფუნქციურ დანიშნულებას, ერთი ამოშენებულია, ხოლო ერთში ჩაშენებულია კონდიციონერი, დამონტაჟებულია სავენტილაციო ხვრეტები და სამტრედები.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი გარემოება, რომ შენობის ექსპლუატაციაში მიღებისას სადავო ღიობები, სავენტილაციო ხვრეტები და სამტრედები თავიდანვე იმ ადგილას იყო, სადაც ისინი ამჟამადაა განლაგებული, არ შეიძება გახდეს საკუთრებით სარგებლობის დაუშვებელი ხელყოფის აღკვეთის შემაფერხებელი წინაპირობა.

საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, რომელთა საფუძვლიანობა სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ გამოუკვლევიან, ირკვევა, რომ მოპასუხის შენობა აგებულია სამეზობლო მიჯნის ზონაში.

უდავოა, რომ ნაგებობის მშენებლობა მოპასუხემ დაიწყო 1991 წელს გაცემული ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე და შენობა ექსპლუატაციაში შევიდა 1995 წლის განკარგულებით.

მშენებლობის ნებართვის მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცემის დროს მოქმედი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა კომიტეტის 1966 წლის 7 თებერვლის №.. გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს სსრ ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში საკარმიდამო განაშენიანების ზონაში ნაკვეთების საზღვარზე (მიჯნაზე) მშენებლობის წესების“ თანახმად, ნებადართულია საცხოვრებელი სახლის

(შენობის) მოთავსება ნაკვეთების საზღვრიდან (მიჯნიდან) არა უმცირეს 5 მეტრისა. გამონაკლის შემთხვევაში, ნაკვეთების საზღვრიდან (მიჯნიდან) 5 მეტრზე ნაკლებ მანძილზე, მეზობლის მხარეს შეიძლება გაჭრილ იქნას ფანჯრები თუ ამაზე იქნება თანხმობა, ნოტარიული წესით დამოწმებული. ამასთან, ასეთი წესით გაჭრილი ფანჯრები არ შეიძლება ჩაითვალოს წინააღმდეგობად იმავე მეზობლის მიერ საზღვარზე (მიჯნაზე) შემდგომი მშენებლობის დროს. სამშენებლო საქმიანობის მომწესრიგებელ ნორმატიულ აქტებში მოგვიანებით განხორციელებული ცვლილებებით (საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 18.09.2001წ. №.. ბრძანებით დამტკიცებული „ნაკვეთების საზღვარზე, საზღვართან საცხოვრებელი სახლების, დამხმარე და სხვა ნაგებობების მშენებლობის წესით“, ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის №... ბრძანებით დამტკიცებული „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებით“) რაიმე არსებითად განსხვავებული რეგულაცია არ დადგენილა, შეიცვალა მხოლოდ ნაკვეთის მიჯნიდან შენობამდე არსებული დასაშვები მანძილის პარამეტრები.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, სამეზობლო მიჯნის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა სწორედ სამოქალაქო კოდექსის 174-ე მუხლით გათვალისწინებულ „კანონით დადგენილი აკრძალვის“ დეფინიციის ქვეშ მოიაზრება და მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ ამ წესის დარღვევა დაუშვებელ ხელყოფად უნდა იქნას განხილული.

ამ კუთხით საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სადავო შემთხვევაში, მიჯნის ზონაში არსებული ნაგებობის საანგარიშო ზედაპირზე ფანჯრის ღიობების, სავენტილაციო ხვრეტებისა და სამტრედების მოწყობა არღვევს ე.წ. „ჩაუხედაობის პრინციპს“.

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებათა შორისაა მე-20 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. ამ კონსტიტუციური უფლების სამოქალაქო-სამართლებრივ რეალიზაციას წარმოადგენს მესაკუთრისათვის საკუთრებით სარგებლობის იმგვარი უფლების მინიჭება, როდესაც უფლების მქონე ამ უფლების ობიექტს მხოლოდ საკუთარი შეხედულებით, მესამე პირთა ჩარევის გარეშე განკარგავს. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ამ უფლების დარღვევა კი, სწორედ საკუთრებით სარგებლობის დაუშვებელ ხელყოფას წარმოადგენს.

სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომლებიც დაუშვებლად ხელყოფენ ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე აშკარაა. მითითებული მუხლი პრევენციული ხასიათის მატარებელია და დაუშვებელი ხელყოფისას, ნორმით დაცული მესაკუთრის ინტერესებიდან გამომდინარე, ხელშეშლის აღკვეთას ექვემდებარება მეზობელ ნაკვეთზე თუნდაც მშენებლობის წესების შესაბამისად განხორციელებული ნაგებობიდან გამომდინარე ზემოქმედება.

საქმე №ას-368-352-2016

21 ოქტომბერი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დაუშვებელი ხელყოფა (სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლი)

სსკ-ის 176-ე მუხლით დადგენილ „დაუშვებელ ხელყოფაში“ იგულისხმება ნაგებობის იმგვარი ექსპლუატაცია, რომელიც სამეზობლო ზემოქმედების თმენის ვალდებულების კანონით დადგენილ ფარგლებს სცილდება და მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის უფლებებს ხელყოფს, რაც იმთავითვე აშკარაა. საკუთრების უფლების შემზღუდველი დასახელებული ნორმით, რომელიც როგორც ზემოთ აღინიშნა სამეზობლო სამართლის მომწერიგებელ ნორმათა შორის ყველაზე იმპერატიულია და იურიდიული შედეგის მიხედვით 175-ე მუხლზე მაღლაც დგას მესაკუთრისაგან ითხოვს ორი წინაპირობის არსებობის დამტკიცებას: „დაუშვებელი ხელყოფა“ და „ეს იმთავითვე აშკარაა“, ამდენად, კანონმდებელმა იმ დაშვებით, რომ საკუთრების უფლების შემზღუდვა შესაძლებელია მოხდეს მეზობელ მიწის ნაკვეთებზე ისეთი შენობების აშენების ან უკვე აშენებულის აკრძალვა, მესაკუთრეს დააკისრა ტვირთი, ხოლო ეს უკანასკნელი უნდა უთითებდეს არა ზემოქმედების შესახებ (რაც სსკ-ის 175-ე მუხლით დადგენილ შემთხვევებს მოიცავს), არამედ ისეთ აშკარა და დაუშვებელ ხელყოფაზე, რომელიც იმთავითვე თვალსაჩინო, აშკარაა და მისი დამტკიცება რეალურად შესაძლებელია ჯეროვანი მტკი-

ცებულების წარდგენის ან მყარი პრეზუმფციის საფუძველზე. რაც თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს კვლევისა და შეფასების საგანია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 176-ე მუხლზე, მსგავსად 170-ე და 172-ე მუხლებისა, არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა, რადგან ერთი მესაკუთრის მიერ მეზობელი მესაკუთრის უფლების დაუშვებელი ხელყოფა, რომელიც იმთავითვე აშკარაა და პრეტენზიის ავტორის მტკიცების საგანია, საკუთრების ხელყოფის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე დაუშვებელია ხანდაზმულობის ვადით შემოიფარგლოს.

2.4. საკუთრების შექმნა უფლებებსა და მოთხოვნებზე

საქმე №ას-229-216-2015

8 ივნისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მოთხოვნის დათმობა (სამოქალაქო კოდექსის 198-ე და 199-ე მუხლები)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ.

ამავე კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მოთხოვნის დათმობა ხდება მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაში თავდაპირველი მფლობელის ადგილს იკავებს მესამე პირი.

ზემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, მოთხოვნის დათმობა ხდება გარიგების ძალით. მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი შედეგია ის, რომ მოთხოვნა გადადის ახალ კრედიტორზე, რითაც ეს უკანასკნელი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაში იკავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს. მოთხოვნის დათმობით არ ხდება არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის შეცვლა, არ იცვლება არც მოთხოვნა, რომელიც შესაბამისი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობს. მოთხოვნა ისეთივე მდგომარეობაში გადადის ახალ კრედიტორზე, როგორც იყო თავდაპირველი კრედიტორის ხელში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალ კრედიტორს შეუძლია, თავდაპირველი კრედიტორის კუთვნილი მოთხოვნა წაუყენოს მოვალეს, ხოლო, მოვალე უფლებამოსილია ახალ კრედიტორს წაუყენოს ყველა ის შესაგებელი, რაც მას გააჩნდა თავდაპირველი კრედიტორის მიმართ. აღნიშნული ეხება ასევე მოვალის შესაგებელს კრედიტორის მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, კერძოდ, ვალდებულებაში კრედიტორის ან მოვალის შეცვლის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია მოთხოვოს ხანდაზმულობის ვადის გამოყენება ვალდებულებაში პირთა შეცვლის მიუხედავად. ამასთან, პირთა შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადისა და მისი გამოთვლის წესის შეცვლას. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლის შემთხვევაში, ახალი კრედიტორის მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის ის ვადა და მისი გამოთვლის ის წესი, რაც თავდაპირველი (ჩანაცვლებული) კრედიტორის მიმართ მოქმედებდა, ამიტომ, თუ ამ უკანასკნელის მოთხოვნა ხანდაზმულია, მაშინ ხანდაზმული იქნება ასევე ახალი კრედიტორის მოთხოვნაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში, ამ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა ახალი კრედიტორისათვის თავიდან კი არ იწყება, არამედ იგი განაგრძობს დენას ისე, როგორც ეს თავდაპირველი (ჩანაცვლებული) კრედიტორის მიმართ მოქმედებდა.

2.5. იპოთეკა

საქმე №ას-1498-1418-2017

8 ივნისი, 2018 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: არასრულწლოვნის თანასაკუთრებაში არსებული ქონების იპოთეკის საგნად გამოყენება

2014 წლის 02 ივნისს, ბანკსა და მოვალეს შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება 16500 ლარის სესხებაზე. ბანკის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, იპოთეკით დაიტვირთა ლ---ის მუნიციპალიტეტში, სოფელ ღ-ში მდებარე, უძრავი ქონება. უძრავი ქონების ერთ-ერთ თანამესაკუთრეს მოვალის არასრულწლოვანი შვილი 10.11.2003წ.-ს დაბადებული ლ-- ჟ--ი წარმოადგენს.

მოვალემ არაერთხელ დაარღვია საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. დავალიანებამ შეადგინა 16219,76 ლარი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ იპოთეკის საგნის რეალიზაციის ნაწილში, ბანკის მოთხოვნა უარყო, როგორც შიდა ეროვნულ კანონმდებლობაზე [სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი, სსკ-ის 115-ე მუხლი, სსკ-ის 54-ე მუხლი, სსკ-ის 1198-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილები], აგრეთვე, საერთაშორისო ნორმატიულ აქტზე „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციაზე (საქართველოში ძალაშია 1994 წლის 21 აპრილიდან) დაყრდნობით. პირველი ინსტანციის სასამართლოს ძირითადი არგუმენტი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვის კანონიერ წარმომადგენლებს ეკრძალებოდათ ბავშვის ქონებით არამიზნობრივად, ბავშვის ინტერესების საზიანოდ სარგებლობა, ბავშვის ქონების ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ განკარგვა.

სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ბანკის მოთხოვნა იპოთეკის საგნის რეალიზაციის ნაწილში დაკმაყოფილდა. მართალია, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით გაზიარებულია არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელთა მოვალეობის ნაწილში, პირველი ინსტანციის მსჯელობა, თუმცა, საგულისხმოა, რომ სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეზე დადგენილ სხვა გარემოებებზეც, სახელდობრ, მასზე, რომ კრედიტის აღების მიზანს ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა. ამასთან, სესხის აღების დროს, მსესხებელი – მოვალე დასაქმებული იყო საჯარო სამსახურში-პოლიციის უფროსის თანამდებობაზე, გააჩნდა დამოუკიდებელი შემოსავალი ხელფასის სახით, თვეში 2000 ლარამდე, რაც ადასტურებდა, რომ გამსესხებელი, მხოლოდ იპოთეკის საგნის იმედად არ იმყოფებოდა, მის (გამსესხებლის) მოქმედებას ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი, საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად არ შეაფასებდა, ვინაიდან, არ არსებობდა ვარაუდი სესხის დაუბრუნებლობისა და არასრულწლოვნის თანასაკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული ქონების გასხვისებისა. შესაბამისად, 2014 წლის 02 ივნისის იპოთეკის ხელშეკრულება არ წარმოადგენდა საჯარო წესრიგისა და ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებას.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის ზემოთდასახელებულ არგუმენტს და მიაჩნია, რომ ამ არგუმენტის გასაქარწყლებლად კასატორმა ვერ წარმოადგინა დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმეზე იმგვარი ფაქტობრივი გარემოებები იქნა დადგენილი, რომლებმაც არასრულწლოვნის წარმომადგენელთა მხრიდან ქონების განკარგვის შესახებ გარიგების ბათილობის წინაპირობები ვერ წარმოშვეს.

ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებაზე, რომელშიც შედავებული იყო ბანკსა და არასრულწლოვანთა კანონიერ წარმომადგენლებს (მშობლებს) შორის დადებული სესხის უზრუნველყოფის შესახებ გარიგება (იპოთეკის ხელშეკრულება), როგორც მართლსაწინააღმდეგო გარიგება [1198-ე მუხლის მეექვსე ნაწილი, 289-ე მუხლის პირველი ნაწილი, 3111-ე მუხლი, 54-ე მუხლი]. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში, საკასაციო პალატამ სადავო გარიგებათა მართლზომიერების შემოწმების კრიტერიუმად კრედიტის გამცემის კეთილსინდისიერად მოქმედების აუცილებლობა მიიჩნია. კერძოდ, მხედველობაში მიიღო რა სესხის გაცემის წინაპირობების (მიკროკრედიტი არის მიკროსა-

ფინანსო ორგანიზაციის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადიანობის, დაბრუნებადობის, ფასიანობის და მიზნობრიობის პირობების შესაბამისად მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული თანხა. კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ, მუხლი 5.1.) დაცულობის აუცილებლობა, აღნიშნა, რომ დასადგენ გარემოებათა წრეს (მტკიცების საგანი) სესხის მიღების დროს მსესხებლის დამოუკიდებელი შემოსავლების (ხელფასის ან სხვა შემოსავლების სახით) არსებობა წარმოადგენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქმნებოდა ისეთი ვითარება, რომ გამსესხებელი მხოლოდ იპოთეკის საგნის იმედად რჩებოდა და, შესაბამისად, მის მოქმედებას ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად შეაფასებდა (შდრ: სუსგ №ას-1221-1146-2015 , 20 მაისი, 2016 წელი).

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეაფასებას, რომ კრედიტის აღების მიზანს ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა. იპოთეკის საგანში (უძრავი ქონება) არასრულწლოვნის კუთვნილი 1/6 წილის იპოთეკით დატვირთვაზე წერილობითი ფორმით განაცხადეს თანხმობა მისმა კანონიერმა წარმომადგენლებმა: მშობლებმა, მოვალემ და თ-ჟ-მა (ფორმალური წინაპირობები).

იმავდროულად, გასაზიარებელია, რომ გამსესხებელი, მხოლოდ იპოთეკის საგნის იმედად არ იმყოფებოდა, მის (გამსესხებლის) მოქმედებას ყველა კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი, საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად არ შეაფასებდა, ვინაიდან, არ არსებობდა ვარაუდი სესხის დაუბრუნებლობისა და არასრულწლოვანის თანასაკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული ქონების გასხვისებისა.

2.6. უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნა

საქმე №ას-1298-1236-2014

6 მარტი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შექმენი (სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლები)

სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეესტრის ჩანაწერების მიმართ მოქმედებს სისრულისა და სიზუსტის პრეზუმფცია. რაც მითითებულია რეესტრში ითვლება სწორად და სრულად. ჩანაწერის უსწორობა ან უსრულობა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შექმენის წინააღმდეგ, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ისეთ შემთხვევებში, თუ შექმენი ინფორმირებულია, რომ გამსხვისებელი არ არის მესაკუთრე (სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი) ან თუ მისთვის ცნობილია, რომ ჩანაწერი უსწოროა ან საჯარო რეესტრში ამ ჩანაწერის მიმართ შეტანილია საჩივარი (სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი), საჯარო რეესტრის მიმართ არსებული პრეზუმფცია ძალას კარგავს და შექმენი არ შეიძლება კეთილსინდისიერად იქნეს მიჩნეული.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შექმენი კეთილსინდისიერია იმ შემთხვევაში, თუ იგი გამსხვისებელს მიიჩნევს მის მიერ შექმნილი ქონების მესაკუთრედ და ეს უკანასკნელი ასეთად არის რეგისტრირებული რეესტრში. აღნიშნულის საწინააღმდეგო ინფორმაცია მას არ გააჩნია, თუნდაც რეესტრის ჩანაწერის მიმართ შეტანილი საჩივრის თაობაზე.

2.7. აღნაგობა

საქმე №ას-957-915-2013

25 მაისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: აღნაგობის უფლებით დატვირთულ ნაკვეთზე აღმართული ნაგებობის ღირებულების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 239-ე მუხლის პირველი ნაწილი)

საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობას მასზე, რომ სახელშეკრულებო თავისუფლების რეალიზებას ხელს უწყობს თვით საკანონმდებლო ნორმების თავისებურებები, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, დისპოზიციურია. შესაბამისად, მხარეებს სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში შეუძლიათ დადონ ნებისმიერი, მათ შორის, კანონით გაუთვალისწინებელი გარიგებები. რაც შეეხება სანივთო გარიგებას, ამ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის ზოგადი პრინციპი – ნების ავტონომიურობა, შეზღუდულია და იგი შემოიფარგლება სანივთო გარიგების დადების ნების გამოვლენით, ასევე გარიგების არსებითი პირობების იმ ფარგლებში განსაზღვრით, რაც პირდაპირაა გათვალისწინებული კანონით. სანივთო სამართლის აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარე, განსხვავებულია გარიგების შეწყვეტის საფუძვლებიც.

სანივთო სამართალში აღნაგობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები ამომწურავადაა განსაზღვრული და შესაძლებელია შემდეგი კლასიფიკაციის გაკეთება: ა) აღნაგობის შეწყვეტა ვადის გასვლის გამო; ბ) აღნაგობის შეწყვეტა უფლების მქონე პირის მოთხოვნით, რა დროსაც საჭიროა მესაკუთრის თანხმობა (სკ 238.1 მუხლი); გ) მესაკუთრის მიერ აღნაგობის ცალმხრივად შეწყვეტა ორი წლის საზღაურის გადაუხდელობის გამო (სკ 236.2). რაიმე დამატებით დათქმას კანონი არ ითვალისწინებს.

საქმეში წარმოდგენილი შესაგებლით შპს „მ.პ-მა“ მიუთითა მხოლოდ ის, რომ მხარეთა მიერ 4.1 პუნქტით შეთანხმებული საზღაურის სტრუქტურა ორკომპონენტანია და მხარეები თავისუფალი არიან აღნაგობის სტრუქტურის განსაზღვრაში, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, რადგანაც სადავო პირობის თანახმად, მესაკუთრე მეაღნაგეს უდგენს მასთან დამოუკიდებელი ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების – მომსახურების (ნარდობის) ხელშეკრულების დადების ვალდებულებას, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც, იგი იტოვებს სანივთო გარიგების ცალმხრივად შეწყვეტის უფლებას. ამგვარი დათქმა ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოყალიბებულ აღნაგობის ხელშეკრულების შეწყვეტის არც ერთ პირობას არ მიესადაგება, მით უფრო, აღნაგობის ნამდვილობა არ შეიძლება ვალდებულებულებით-სამართლებრივი გარიგების შესრულებაზე იყოს დამოკიდებული, რადგანაც გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდა სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის სანივთო უფლების არსიდან არ გამომდინარეობს, შესაბამისად, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებას, რომ გარიგების ამგვარი პირობა ეწინააღმდეგება აღნაგობის მარეგულირებელ წესსა და აკრძალვებს, რაც, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, გარიგების ამ პირობის ბათილად ცნობის საფუძველია.

საქმე №ას-938-903-2016

5 მაისი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: აღნაგობის ხელშეკრულებიდან გასვლა

სამოქალაქო კოდექსის 233-ე (1) მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს ვადიან სარგებლობაში ისე, რომ მას ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება, ასევე, ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვების, გაქირავების უფლება (აღნაგობის უფლება). დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, დებულება – „პირს შესაძლოა ჰქონდეს“, არ უნდა იქნას გაგებული სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, რამდენადაც იგი აღნაგობის ინსტიტუტს დააკარგინებდა არსს. ნორმის ნამდვილი არსის დასადგენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ განმარტება უნდა განხორციელდეს ტელეოლოგიური მეთოდით. სამოქალაქო კოდექსის 233-ე-241-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აღნაგობა წარმოადგენს სანივთო გარიგების სპეციალურ სახეს, რომლის მიზანი მიწაზე ან მის ქვეშ ნაგებობის აღმართვაა. ამგვარი შეთანხმებისას მესაკუთრისა და მოაღნაგის მიზანი შემდეგია: მოაღნა-

გეს, რომელსაც არ გააჩნია უძრავი ქონება საკუთრებაში, სურს მიწის ნაკვეთი შენობის ასაშენებლად, რათა გარკვეული დროის განმავლობაში საკუთარი შეხედულებით ისარგებლოს მისით, ხოლო მიწის მესაკუთრის ინტერესი ამ სარგებლობის შედეგად გარკვეული საზღაურის მიღება/არმიღება და ვადის ამოწურვის შემდგომ შენობის საკუთრებაში დატოვებაა. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნაგობის უფლების არსებით პირობას წარმოადგენს მიწის ზედაპირზე ან მის ქვეშ შენობის აშენება, რაც აღნაგობის განმავლობაში ამ უფლების, ხოლო აღნაგობის უფლების შეწყვეტის შემდგომ – მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელს წარმოადგენს.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია აღნაგობიდან, როგორც სანივთო-სამართლებრივი გარიგებიდან გასვლის შესაძლებლობა მოაღნაგის მხრიდან ვალდებულების დარღვევისას (როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მესაკუთრე ქ. თბილისის მერიამ ხელშეკრულებაზე უარის თქმას საფუძვლად დაუდო მოაღნაგის მხრიდან შენობა-ნაგებობის აშენების ვადის დარღვევა, ასევე აღნაგობის საზღაურის გადაუხდელობა) და გასვლის სამართლებრივი შედეგების გამოყენება (სკ-ის 352-ე მუხლი) აღნაგობის სამართლებრივი ინსტიტუტის მიმართ. აღნაგობის მარეგულირებელი ნორმები არ იძლევა პასუხს კითხვაზე, შეუძლია თუ არა მესაკუთრეს სამოქალაქო კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, სხვა ვითარებაში გავიდეს ხელშეკრულებიდან ან ამ ურთიერთობის მიმართ გამოიყენება თუ არა გარიგების შეწყვეტის ზოგადი წესები, ასევე, რა უფლება გააჩნია მესაკუთრეს, თუ მოაღნაგე არღვევს მაგალითად ნაგებობის აშენების პირობას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, **მიუხედავად იმისა, რომ აღნაგობის მომწესრიგებელი ნორმები ითვალისწინებენ აღნაგობის ხელშეკრულებიდან გასვლის სპეციალურ წესებს, ეს არ უნდა იქნას გაგებული იმგვარად, რომ აღნაგობა, როგორც გარიგება არ ექვემდებარება გარიგების შეწყვეტის მარეგულირებელი იმ ნორმებით მოწესრიგებას, რომლებიც ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილშია მოცემული, რადგანაც აღნაგობის სანივთო ხასიათის მიუხედავად, მასზე, როგორც გარიგებაზე, ვრცელდება ვალდებულებითი სამართლის ის დანაწესები, რომლებიც აბსოლუტური მოწესრიგების (სანივთო) იმპერატიულ დებულებებს არ ეწინააღმდეგებიან.** შესაბამისად, აღნაგობის უფლებასთან მიმართებაში სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული, ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის თქმის) მომწესრიგებელი გენერალური ნორმების (სკ-ის 352-ე და 405-ე მუხლები) გამოყენება დასაშვებია, თუკი სახეზეა ისეთი წინაპირობები, როგორიცაა ვალდებულების დარღვევა და გასვლის ნების ნამდვილობა, თუმცა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სპეციალური ნორმები, რომლებიც აღნაგობის თავშია მოცემული (*საზღაურის გადაუხდელობის გამო აღნაგობის უფლება მესაკუთრის მხრიდან შეიძლება ცალმხრივად შეწყდეს ამ ვალდებულების 2 წლის განმავლობაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (სკ-ის 236.2 მუხლი)*).

3. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი

3.1. სახელშეკრულებო სამართალი

საქმე №ას-898-848-2015

09 მარტი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ოფერტი; აუქციონის გზით გასხვისებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობა (სამოქალაქო კოდექსის 329-ე მუხლი)

2013 წლის 08 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონულ აუქციონზე გასაყიდად გატანილ იქნა სადავო ქონება (ს/კ: №..; აუქციონი №.., ლოტი №..), რომლის საწყის ფასს წარმოადგენდა 4,858,800 ლარი, გასაყიდ ფასს კი, – 4,908,800 ლარი. საგარანტიო თანხის ოდენობა – 50,000 ლარს. განაცხადს ერთვოდა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლითაც აუქციონზე გატანილი სადავო ქონება დატვირთული იყო იპოთეკით სს „პ.-ის“ სასარგებლოდ.

უდავოა, რომ ქონების აუქციონზე რეალიზაცია განხორციელდა ნებაყოფლობით, ხოლო აუქციონზე მისი გატანის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო საამისოდ უფლებამოსილმა პირმა. ამასთან, უძრავი ქონების გასხვისების დამაბრკოლებელი რაიმე ობიექტური გარემოების არსებობა არ დადასტურდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 01 ნოემბრის წერილის თანახმად, №.. აუქციონის №.. ლოტის გამარჯვებულად გამოვლინდა მოსარჩელე, რომელმაც სრულად შეასრულა აუქციონის პირობები: 2013 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ანგარიშზე შეიტანა საგარანტიო თანხა – 50,000 ლარი. 2013 წლის 22 ოქტომბერს 10:06:00 საათზე აუქციონზე დაფიქსირა ბიჯი (4, 908,800 ლარი), შემდეგ, გადაიხდა დარჩენილი ღირებულება – 4,858,800 ლარი.

აუქციონის ვებ-გვერდზე განთავსებული წესების თანახმად, ურთიერთობა გამყიდველსა და მყიდველს შორის რეგულირდება დამოუკიდებლად და სააგენტო იხსნის პასუხისმგებლობას მხარეებს შორის წარმოქმნილი ნებისმიერი უთანხმოების შემთხვევაში.

კასატორის პრეტენზია სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობას უკავშირდება, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან მიაჩნია, რომ მხოლოდ სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა აუქციონში მოსარჩელის გამარჯვების შესახებ, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვერ შეფასდება.

საკასაციო პალატას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ-ის) 323-ე და 327-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე მიაჩნია, რომ უძრავი ქონების თაობაზე დადებული გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელია – მხარეთა ნამდვილი ნება, არსებით პირობებზე შეთანხმება და გარიგების წერილობითი ფორმით შედგენა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნამდვილი ნაცდობის ხელშეკრულება მაშინ არსებობს, თუ სახეზეა კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვით განხორციელებული ნამდვილი ოფერტი და ნამდვილი აქცეპტი. გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს სულ ცოტა, ორი მხარის ნებათა თანხვედრის (კონსენსუსს) ლოგიკურ შედეგს, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები ურთიერთმობლავ შეთანხმებას მიღწევენ. აღნიშნული სახელშეკრულებო კონსენსუსი მიიღწევა ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ხელშეკრულების დადების შეთავაზებით და შეთავაზებაზე თანხმობის მიღებით; თეორიულად, აღნიშნულ შემთხვევაში მიზანშეწონილია ე.წ. ოფერტისა (ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადების) და აქცეპტის (ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადების მიღების) გამოყოფა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 329.2 მუხლის თანახმად, წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, წარმოადგენს მოწვევას ოფერტზე, თუ ამ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული (Invitacio ad Oferendum). ოფერტზე მოწვევით წინადადების მიმცემი იწვევს პირთა განუსაზღვრელი წრეს, რათა მსურველებმა მას მიმართონ ოფერტით. თუ აღნიშნული ოფერტებიდან ერთი ან

რამდენიმე მისთვის მისაღები იქნება, მაშინ უკვე ოფერტზე მომწვევი იქცევა აქცეპტანტად და თანხმობის განცხადებით დადებს სასურველ ხელშეკრულებას/ხელშეკრულებებს.

საჭიროა პასუხი გაეცეს შეკითხვას: ონლაინ/ინტერნეტ-აუქციონისას გამყიდველის მიერ გასაცემი ნივთის შესახებ ინფორმაციის ინტერნეტ აუქციონში განთავსება წარმოადგენს (1) მოწვევას ოფერტზე თუ (2) ოფერტს, რომელიც შესაბამის პირობას/დათქმას შეიცავს: კერძოდ, შესაბამის მყიდველს შეუძლია შესასყიდი ფასის წარმოდგენა და ხელშეკრულებაც მასთან დაიდება, ვინც ყველაზე მაღალ შესასყიდი ფასს შესთავაზებს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ონლაინ/ინტერნეტ-აუქციონისას გამყიდველის მიერ გასაცემი ნივთის შესახებ ინფორმაციის ინტერნეტ აუქციონში განთავსება განხილული იქნეს, როგორც ოფერტი შესაბამისი ზემოაღნიშნული დათქმით.

ერთმნიშვნელოვანია, რომ ყველა არსებითი პირობა განთავსებული იყო ვებ-გვერდზე და შესაბამისად ეს განცხადება ოფერტის ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდა. ერთადერთი გამოსარიცხი ფაქტორია სკ-ის 329-ეს მეორე ნაწილი, კერძოდ, წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, წარმოადგენს მოწვევას ოფერტზე, თუ ამ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს შემდეგზე: დაინტერესებულმა პირმა მონაწილეობა, რომ მიიღოს ინტერნეტ-აუქციონში, აუცილებელია შესაბამისი რეგისტრაცია და ავტორიზაცია. შესაბამისად, ინტერნეტ-აუქციონში გაკეთებული წინადადება წარმოადგენს არა პირთა განუსაზღვრელი წრისადმი გაკეთებულ შეთავაზებას, არამედ პირთა განსაზღვრული წრისადმი, კერძოდ, ავტორიზებული და რეგისტრაცია გავლილი პირებისადმი გაკეთებულ შეთავაზებას, ვინაიდან, შემთავაზებლისათვის ცნობილია, რომ მის შეთავაზებაზე რეაგირების მოხდენა შესაბამისი ავტორიზაციისა და რეგისტრაციის მქონე კონკრეტულ პირთა წრეს შეუძლია.

(მუხლი 5. ინტერნეტ-აუქციონში მონაწილეობის მიღება: ავტორიზაციის შემდგომ, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს ინტერნეტ-აუქციონის გზით შეიძინოს/ლიზინგის ფორმით სარგებლობაში მიიღოს სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონება და/ან შეიძინოს სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონება, კონკრეტული ლოტის შესაბამისად). უფრო მეტიც, სსკ-ის 329-ეს მეორე ნაწილი მიუთითებს, რომ განუსაზღვრელ პირთა მიმართ შეთავაზება მაშინ არის ოფერტი, თუ ამ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული. აქ კი მნიშვნელოვანია ინტერნეტ-აუქციონის ძირითად პირობაზე აქცენტის გაკეთება. კერძოდ, აუქციონის წესების შესაბამისად იმარჯვებს ის, ვინც ყველაზე მაღალ თანხაზე გააკეთებს შეთავაზებას. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ის სხვა პირდაპირ განსაზღვრული პირობაა, რაც აქვს ოფერტს (სკ-ის 329 (1)) და აღარ ტოვებს მის ოფერტზე მოწვევად (სკ-ის 329 (2)) კვალიფიკაციის საშუალებას.

ყოველივე ზემოაღნიშნული, საკასაციო პალატას აძლევს იმგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მოპასუხის მიერ 2013 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონულ აუქციონზე განთავსებული შეთავაზება სადავო უძრავი ქონების გაყიდვის შესახებ, წარმოადგენს ოფერტს. შესაბამისად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავო ქონების აუქციონზე განთავსება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მოწვევა ოფერტზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თავისთავად მხოლოდ ოფერტი არაა საკმარისი ხელშეკრულების დასადებად; საჭიროა აგრეთვე ოფერტის აქცეპტიც. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ განსახილველ შემთხვევაში, მყიდველის მიერ უმაღლესი ფასის შეთავაზების გზით გამარჯვება, წარმოადგენს მყიდველის აქცეპტს. თუმცა საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესზეც, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულების დასადებად საკმარისი არ არის მხოლოდ მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობებზე, არამედ საჭიროა ასევე, რომ ეს შეთანხმება მოხდეს საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

სსკ-ის 323-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის აუცილებელი ყველა არსებითი პირობის წე-

რილობითი ფორმით ასახვა და ხელმოწერით დადასტურება მხარეებს წარმოუშობს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებსა და მოვალეობებს, კერძოდ, მყიდველს თანხის გადახდის, ხოლო გამყიდველს კი თანხის მიღებისა და ქონების გადაცემის ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უძრავი ნივთის ნასყიდობაზე შეთანხმება სანივთო გარიგებაა, რომლის ნამდვილობისთვის კანონმა იმპერატიულად დაადგინა კონკრეტული ფორმა, კერძოდ, სსკ-ის 183-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისთვის აუცილებელია წერილობითი ფორმა. იმავე შინაარსისაა 323-ე მუხლი. როგორც ყველა გარიგებისთვის, უძრავი ნივთის ნასყიდობისთვისაც გადამწყვეტია ნების გამოვლენის სამართლებრივი ვარგისიანობა. კანონით დადგენილი წესის თანახმად, თუ ნება გამოვლენილია სამართლებრივი ფორმის დაუცველად, სამართლებრივი შედეგი არ მიიღწევა. (სსკ-ის 59-ე მუხლი).

მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის სადავოა, დადებულია თუ არა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება. განსახილველ შემთხვევაში საქმე ეხება ელექტრონულ აუქციონს და აუქციონზე გასაყიდად განთავსებულ ქონებაზე ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმისადმი შესაბამისობის საკითხს. უდავოა, რომ მხარეთა შორის მატერიალური დოკუმენტი უძრავი ქონების ნასყიდობასთან დაკავშირებით, არ შექმნილა. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ გასხვისების მსურველის მიერ ელექტრონული ფორმით განხორციელებული ოფერტით და პოტენციური მყიდველის მიერ მისი აქცეპტირებით, მხარეებს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება ითვლება დადებულად.

განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ ელექტრონულ აუქციონზე შესაბამისი მოქმედებების განხორციელების დროს გასხვისების მსურველისა და პოტენციური მყიდველის მიერ არ მომხდარა ელექტრონული ხელმოწერების გამოყენება, რისი არსებობის პირობებშიც იგი გაუთანაბრდებოდა მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერას და ამ სახით, ნასყიდობის ხელშეკრულების წერილობით დადებას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო საშუალებას აძლევს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ელექტრონული აუქციონის ვებ გვერდზე სარეალიზაციოდ განათავსოს თავისი ქონება. ეს ხდება მომხმარებლის ხელშეწყობისთვის, გამოავლინოს პოტენციური მყიდველი, რომელიც ყველაზე მაღალ ფასად შეიძენს სარეალიზაციოდ გამოტანილ ქონებას, ხოლო ქონების ნასყიდობის შესახებ შეთანხმება უნდა განხორციელდეს აუქციონში გამარჯვებულ პირსა და უძრავი/მოძრავი ქონების ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შორის ხელშეკრულების გაფორმებით.

საქმე №ას-1144-1090-2014

23 თებერვალი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ოფერენტის თანხმობის ვარაუდი (სამოქალაქო კოდექსის 334-ე მუხლი)

საკასაციო პალატა ყურადღებას გამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ, დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

2007 წლის 20 დეკემბრის საიჯარო ხელშეკრულების თანახმად, შპს „ს. ს.-მა“ (ამჟამად უფლებამონაცვლეა შპს „ა. ს.“) იჯარით გადასცა სს „ს. ბ.-ს“ ქალაქ ქ.-ში, რ.-ის გამზირსა და წ.-ის ქუჩის №1/2-ში მდებარე 106 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი 5 წლის ვადით ყოველთვიურად იჯარის ქირის სახით 3715 აშშ დოლარის გადახდის პირობით. საიჯარო ქირა უნდა გადახდილიყო შესაბამისი საანგარიშო თვის დაწყებიდან 10 დღეში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოიჯარეს ეკისრებოდა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.04%-ის ოდენობით. თუ რომელიმე მხარე ვადამდე შეწყვეტდა იჯარის ხელშეკრულებას, მას დაეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა მეორე მხარის სასარგებლოდ ნ თვის საიჯარო ქირის ოდენობით.

2009 წლის 1 აპრილის შეთანხმებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე პალატამ დაადგინა, რომ 2009 წლის 1 აპრილს ცვლილება შევიდა ზემოთ აღნიშნულ იჯარის ხელშეკრულებაში, კერძოდ, საიჯარო გადასახადი 2009 წლის 1 აპრილიდან 1 წლის ვადით განისაზღვრა 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. ერთი წლის შემდეგ, მოხდებოდა საიჯარო ქირის გადახედვა, თუმცა 2010 წლის 1 აპრილს ახალი შეთანხმება

არ დადებულა. სს „ს. ბ.-ი“ მოსარჩელეს 2010 წლის 1 აპრილის შემდეგაც 2011 წლის 1 მაისამდე, ანუ ხელშეკრულების შეწყვეტამდე ყოველთვიურად უხდიდა 3000 აშშ დოლარს.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ არასწორია განსახილველი შემთხვევის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 334-ე მუხლის გამოყენება.

როგორც საქმის მასალებით დგინდება, მოდავე მხარეთა შორის დადებულია მხოლოდ ერთადერთი საიჯარო ხელშეკრულება 2007 წლის 20 დეკემბერს, მაშინ როდესაც **სამოქალაქო კოდექსის 334-ე მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა ხელშეკრულების მხარეებს შორის არსებობს საქმიანი ურთიერთობა, ანუ მათ შორის რამდენჯერმე (თუნდაც ერთხელ მაინც) უკვე იყო დადებული ხელშეკრულება მსგავს ურთიერთობებზე და ბოლო ხელშეკრულება იდება განსხვავებული (შეცვლილი) პირობებით აქცეპტანტის მხრიდან და ამას მეორე მხარე (ოფერენტი) ეთანხმება იმგვარად, რომ ამის თაობაზე დაუყოვნებლივ არ განაცხადებს უარს.**

საქმის მასალებით დგინდება, რომ მხარეები საიჯარო ქირის ოდენობის 715 აშშ დოლარით შემცირების შესახებ შეთანხმდნენ მხოლოდ ერთი წლის ვადით, კერძოდ, 2009 წლის 1-ლი აპრილიდან 2010 წლის 1-ელ აპრილამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ეს შეთანხმება ძალას კარგავდა.

მოდავე მხარეთა შორის 2007 წლის 20 დეკემბერს დადებული იჯარის ხელშეკრულების 11.4 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების დანართ(ებ)ი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაში და/ან დანართ(ებ)ში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შევა თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან.

საკასაციო პალატა, გამომდინარე იქედან, რომ მხარეთა შორის 2009 წლის 1-ლი აპრილის შეთანხმებამ შეწყვიტა მოქმედება 2010 წლის 1-ლი აპრილიდან და ამის შემდეგ არ მოხდა მხარეთა შორის საიჯარო ქირის ოდენობის თაობაზე წერილობითი ფორმით რაიმე ახალი შეთანხმების მიღწევა, მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 52-ე, 338-ე მუხლების საფუძველზე მოიჯარეს წარმოეშვა თავდაპირველად შეთანხმებული ოდენობის საიჯარო ქირის – 3715 (სამი ათასს შვიდას თხუთმეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში გადახდის ვალდებულება, რაც საქმეში არსებული მასალების მიხედვით არაჯეროვნად განხორციელდა, კერძოდ, მოიჯარემ 2010 წლის 1-ლი აპრილიდან იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტამდე ანუ 2011 წლის 1-ელ მაისამდე, გადაიხადა ყოველთვიურად შეთანხმებულ ოდენობაზე 715 აშშ დოლარით ნაკლები თანხა.

საქმე №ას-860-826-2016

20 იანვარი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ხელშეკრულების სტანდარტული პირობა (სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლი)

შპს „ო-ი“ რეგისტრირებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი და სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ტოტალიტატორის „კ-ის“ მოწყობის პირობების საფუძველზე.

2014 წლის 22 თებერვალს მოსარჩელემ (კასატორმა) მონაწილეობა მიიღო კომპანიის მიერ მოწყობილ თამაშობაში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, 952-ე მუხლი). მოსარჩელის მიერ დადებული ფსონის ოდენობა იყო 70 ლარი, ხოლო შესაძლო მოგების ოდენობა განისაზღვრა 36 716.4 ლარით. გათამაშების ბილეთი დამოწმდა კომპანიის ბეჭდითა და მოლარის ხელმოწერით. მითითებული თამაშობიდან და მოგებული ფსონიდან გამომდინარე მოპასუხემ მოსარჩელეს 10 000 ლარი გადაუხადა.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მტკიცების ტვირთი მოსარჩელეზე გადადის, შესაბამისად მან უნდა ამტკიცოს, რომ სადავო ბილეთი შეთანხმებული იყო კომპანიის ადმინისტრაციასთან, რისი დამტკიცებაც კასატორმა მოცემულ შემთხვევაში ვერ შეძლო.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე თავად შევიდა სამართალურთიერთობაში კომპანიასთან, რომელიც მოქმედებს რეგლამენტით და ამ რეგლამენტის თანახმად, ბილეთი, რომლის შესაძლო მოგე-

ბის თანხა აღემატება 10 000 ლარს, წინასწარ უნდა შეთანხმდეს ორგანიზაციის დირექციასთან და დადასტურდეს ორგანიზაციის „შეთანხმების ბეჭდით“ და მენეჯერის ხელმოწერით. თუ მოგებული თანხა აღემატება 10 000 ლარს და ფსონი დადებულია ამ შეთანხმების დარღვევით, პროგნოზის გამართლების შემთხვევაში თანხა გაიცემა მხოლოდ 10 000 ლარის ოდენობით. დებულების მერვე თავის მიხედვით, კომპანია პასუხს არ აგებს იმ ბილეთზე (შესაბამისად არ გასცემს მოგებას), რომელიც არ ჩაბარდა წინამდებარე წესების დაცვით. ეს პირობა მიიჩნევა სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სტანდარტულ პირობად, ამდენად, მოსარჩელე ვალდებული იყო, სრულად გასცნობოდა თამაშის წესებს, ფსონი გაეკეთებინა ხელშეკრულებით და რეგლამენტით გათვალისწინებული ქცევის წესების შესაბამისად.

საქმე №ას-779-746-2014

30 აპრილი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ხელშეკრულებიდან გასვლა (სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მოცემული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ფაქტებზე: შპს „ფ-სა“ და ბ. ტ-ს შორის 2010 წლის 23 დეკემბერს დაიდო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შპს „ფ-მ“ ბ. ტ-ს მიჰყიდა შპს „ფ-ს“ კუთვნილი, ქ. თბილისში, რ-ს გზატკეცილზე პურის ქარხნისა და არსებულ სახლს შორის /ქ. თბილისში, გ-ს ქუჩა №113-თან მდებარე უძრავი ქონების 1/2 ნაწილი. ნასყიდობის ფასი, 50 000 ლარი, მოპასუხეს არ გადაუხდია, რის გამოც, მოსარჩელე ხელშეკრულებიდან გასვლას მოითხოვს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ორმხრივი ხელშეკრულების მოშლა შეიძლება, განხორციელდეს ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და იმ მომენტამდე, სანამ ორმხრივი ხელშეკრულების მხარეები ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთმოთხოვნებს ერთმანეთის მიმართ ინარჩუნებენ. იმისათვის, რომ ხელშეკრულება მოიშალოს და წარმოიშვას უკვე განხორციელებული შესრულების უკან დაბრუნების (ნატურით) ვალდებულება, აუცილებელია ორმხრივი ვალდებულების არსებობა, როდესაც ხელშეკრულების ორივე მხარეს ერთმანეთის მიმართ ერთდროულად გააჩნიათ უფლებებიც და მოვალეობებიც. პალატის მოსაზრებით, სწორედ ამით აიხსნება ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტის ფუნქციაც, რომელიც ძირითადად მიმართულია არა შესრულების შედეგად მიღებული შედეგების უკან დაბრუნების, არამედ ხელშეკრულების შესრულებაზე მომავალში უარის თქმაზე. პალატის მოსაზრებით, თუკი ერთ-ერთი მხარე ხელშეკრულების ბოლომდე შეასრულებს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას კონტრაქტის მიმართ და ამ შესრულებით დადგება ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული შედეგი, მიიღწევა ხელშეკრულების სამართლებრივი მიზანი და ფაქტობრივად ამოიწურება ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ასეთ შემთხვევაში ვალდებულების დამრღვევი კონტრაქტის მიერ დარჩენილი ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს ვალდებულების შემსრულებელი მხარის მხრიდან ვალდებულების შესრულების შესახებ, ასევე ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის და არა ხელშეკრულების მოშლის მოთხოვნის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს აზრით, მხარეთა შორის 2010 წლის 23 დეკემბერს კანონით დადგენილი წესით გაფორმებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლა იმ დროისათვის, როდესაც ერთი მხარის მიერ სრულად შესრულებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება და, ფაქტობრივად, უკვე მიღებულია სამართლებრივი შედეგი, არ არის მართლზომიერი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე არ არსებობს მტკიცებულებათა გამოკვლევისა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენის აუცილებლობა, ამდენად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

როგორც საკასაციო სასამართლომ უკვე განმარტა, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლებელია, მაგრამ ცალკე შეფასების საგანია, მოცემულ საქმეზე მოსარჩელეს აქვს თუ არა ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლება და შესაძლებელია თუ არა, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯერონად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას, რაც გულისხმობს ხელშეკრულების პირველადი მოთხოვნების შესრულებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის თანახმად ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. სწორედ ეს ორი ვალდებულებაა ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებისათვის პირველადი ინტერესის საგანი.

განსახილველ შემთხვევაში, დარღვეულია ხელშეკრულების პირველადი მოთხოვნა – შემძენს არ გადაუხდია ნასყიდობის ფასი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ ნასყიდობის ფასის გადახდა მოპასუხეს უნდა დაედასტურებინა სათანადო მტკიცებულებებით. თავად ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, რომ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის თანხა გადახდილი არ იყო. იმის დამდასტურებელი მტკიცებულება, რომ ბ. ტ-ემ ნივთის საფასური შემდგომში გადაიხადა, საქმეში წარმოდგენილი არ არის. ხელშეკრულების თანახმად, შემძენს ნასყიდობის ფასი ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე უნდა გადაეხადა, ამდენად, შესრულების ვადის დარღვევა სახეზეა.

ხელშეკრულების პირველადი მოთხოვნის დარღვევა წარმოშობს მეორად მოთხოვნებს, ამასთან სავალდებულო წინაპირობაა ვალდებულების შესრულებისათვის დამატებით ვადის დაწესება.

სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, ნათელია, რომ დამატებითი ვადის განსაზღვრის ვალდებულების დარღვევა კრედიტორს შემდგომში ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას უკარგავს.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დასტურდება, მოვალისათვის შესრულების დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე. მოსარჩელე ზოგადად მიუთითებს, რომ ხელშეკრულების დადებიდან სამ წელზე მეტია გასული, ფასი კი, კვლავ არ არის გადახდილი, მაგრამ არსად მიუთითებს, რამე მოქმედება განხორციელდა თუ არა თანხის მისაღებად. მხარე მიუთითებს ჯ. მ-ს მოქმედებებზე, რომელიც შპს „ფ-ს“ წილის დათმობის საფასურის მიღებას ცდილობს, ამდენად, ნასყიდობასთან კავშირი არ აქვს და არ ადასტურებს შპს „ფ-ს“ მიერ დამატებით ვადის განსაზღვრას ან მოვალის გაფრთხილებას.

მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის საფუძვლიანობა დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა, სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც დამატებითი ვადის განსაზღვრა საჭირო არ არის.

აღნიშნული ნორმის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება.

მოცემულ შემთხვევაში, შემძენის მიერ ვალდებულების შესრულების ვადა იყო 2010 წლის 23 დეკემბერი – ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების თარიღი. ვალდებულების შესრულების ვადა რამდენიმე წლის წინ ამოიწურა, თანხა გადახდილი არ არის, ამასთან მოპასუხე დავალიანებას უარყოფს, ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში დამატებითი ვადის დაწესება უშედეგოა, გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ უძრავი ქონების გასხვისებას კონკრეტული მიზანი ჰქონდა: მიღებული თანხით საზოგადოებას უნდა გაესტუმრებინა ჯ. მ-ე, დარჩენილი თანხა კი, საზოგადოების საქმიანობის აღდგენას მოხმარდებოდა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს აზრით, კრედიტორისათვის ვალდებულების დროულ შესრულებას ჰქონდა მნიშვნელობა. ამჟამად კი, როგორც კასატორი

მიუთითებს, შპს „ფ-მ“ ფინანსური სირთულეები დაძლია და შესრულებამ ინტერესი დაკარგა. ამ გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს დამატებითი ვადის დაწესების გარეშე შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, ამდენად, სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საქმე №ას-938-903-2016

5 მაისი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კრედიტორის უარი ხელშეკრულებაზე (სამოქალაქო კოდექსი 359-ე მუხლი)

2011 წლის 20 სექტემბერს ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს მიერ გამოიცა №01-4/419 ბრძანება ქ. თბილისში, „მ-ის“ პარკში არსებული 2457 კვ.მ მიწის ნაკვეთის სს „მ-ასათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით გადაცემის შესახებ. მითითებული ბრძანების დანართს წარმოადგენს ქ. თბილისის მერიასა და სს „მ-ას“ შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების პირობები, რომლებიც ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

ხელშეკრულების 10.4 მუხლის თანახმად, საიჯარო პირობების შეუსრულებლობის (დარღვევის) განმეორებით გამოვლენის შემთხვევა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა მეიჯარის მიერ მიიჩნეოდა საიჯარო ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის საფუძვლად. ქონების მიმღებ პირს უკან არ უბრუნდებოდა გადახდილი თანხა და არ აუნაზღაურდებოდა გაწეული ნებისმიერი ხარჯი.

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 25 ნოემბრის ბრძანებით ვალდებულებების დარღვევის მოტივით შეწყდა ქ. თბილისის მერიასა და სს „მ-ას“ შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება, რის შესახებაც ელექტრონული ფოსტით სს „მ-ას“ გაეგზავნა შეტყობინება 5 დღის ვადაში მიწის ნაკვეთების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანისა და მესაკუთრისათვის დაბრუნების შესახებ.

საკასაციო პალატა უსაფუძვლოდ მიიჩნევს მხარის პოზიციას, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულების სადავოდ ქვეული დებულება შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 359-ე მუხლის დანაწესს, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს ამავე კოდექსის 352-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობას და განმარტავს, რომ **სამოქალაქო კოდექსის 359-ე მუხლი არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლების შეთანხმებას გაუქმების პირობით (სკ-ის 97-ე მუხლი), არამედ, წარმოადგენს გასვლის დათქმას – ხელშეკრულებით შეთანხმებულ გასვლის უფლებას, რომელიც იმეორებს კანონისმიერი გასვლის უფლების წინაპირობას (ვალდებულების დარღვევას), მაგრამ უფლებას აძლევს მხარეს, გავიდეს ხელშეკრულებიდან დამატებითი ვადის დაწესების ან გაფრთხილების გარეშე.** ეს დანაწესი ითვალისწინებს ორივე მხარის ინტერესებს. კრედიტორისათვის ის ხელსაყრელია იმდენად, რამდენადაც მას ეძლევა არჩევანი ხელშეკრულების შენარჩუნებასა და გასვლას შორის. გაუქმების პირობის შემთხვევაში ხელშეკრულების შენარჩუნება მის ნებაზე აღარ იქნებოდა დამოკიდებული და მოვალეს შეეძლებოდა, ვალდებულების შეუსრულებლობით უარი ეთქვა სამართლებრივ ურთიერთობაზე. მოვალისათვის ეს დანაწესი ხელსაყრელია იმდენად, რამდენადაც გასვლის შემთხვევაში ის ინარჩუნებს საპირისპირო მოთხოვნის უფლებებს სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 353-ე მუხლების შესაბამისად. 359-ე მუხლი წარმოადგენს მხოლოდ განმარტების წესს, რომელიც მოქმედებს საეჭვობისას, ის არ უზღუდავს მხარეებს თავისუფლებას, შეთანხმონ პირგასამტეხლო ან ცალსახად დადონ ხელშეკრულება გაუქმების პირობით.

ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ შეგებებული მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ხელშეკრულებების დებულებები სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, უცილოდ ბათილია (ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს), ამასთანავე, რომც გავიზიაროთ კანონის იმგვარი განმარტება (სკ-ის 359-ე მუხლი), როგორც ამას კასატორი მიიჩნევს, გასათვალისწინებელია, რომ ამ პირობით მხოლოდ კასატორი ნახულობს სარგებელს და იგი მოვალის უფლებების, ასევე, ქონებრივი მდგომარეობის არსებითად გაუარესებას იწვევს. სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე კი, თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის

საფუძველზე. სამართლიანობის კონცეფცია, სამოქალაქო კოდექსის უმთავრესი ქვაკუთხედი, რამეთუ აქსიომატური დებულება კერძო სამართლისათვის არის ის, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი (სკ-ის მ.3. მუხლი). პალატა დამატებით განმარტავს, რომ ნების კანონშესაბამისობის საკითხი წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან შემოწმების აუცილებლობას, განსხვავებით საცილო გარიგებებისაგან, რომელთა ვადაში შეუცილებლობა გარიგების ნამდვილობას და შესაბამისად, ვალდებულების წარმოშობას იწვევს (იხ. სკ-ის 72-ე-89-ე მუხლები), უცილოდ ბათილი გარიგება არწარმოშობილად მიიჩნევა და მას სამართლებრივი შედეგი არ მოსდევს. იმ პირობებშიც კი, თუ სს „მ-ა“ შეგებებული სარჩელით ქონებრივ რესტიტუციასთან ერთად არ მოითხოვდა ამ რესტიტუციის საწინააღმდეგო შეთანხმების ბათილობას, სასამართლო მაინც შემოწმებდა რესტიტუციის სამართლებრივ წინაპირობებს.

საქმე №ას-130-122-2017

24 მარტი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას (სამოქალაქო კოდექსი 389-ე მუხლი)*

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი მოიჯარის ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად მოიჯარესა და დამზღვევს შორის დაიდო ხელშეკრულება ფინანსური რისკის დაზღვევის შესახებ, რის საფუძველზეც გაფორმდა სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების საბანკო გარანტია [სსკ-ის 879-ე მუხლი]. საგარანტიო თანხა განისაზღვრა 25 000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო საბანკო გარანტიის ვადა 05.03.2014 წლიდან 30.10.2014 წლის ჩათვლით. 2014 წლის 15 ოქტომბერს, ბენეფიციარმა წერილობით აცნობა გარანტორს პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის შესახებ და მოითხოვა საგარანტიო თანხის ანაზღაურება. ბენეფიციარის მოთხოვნა გარანტორს ჩაბარდა 2014 წლის 17 ოქტომბერს [სსკ-ის 880-ე მუხლი]. გარანტორმა ბენეფიციარს ორ ეტაპად ჩაურიცხა საგარანტიო თანხა: 2015 წლის 19 მარტს – 20 000 ლარი; ხოლო 2015 წლის 01 აპრილს – 23 675 ლარი.

საგულისხმოა, რომ საგარანტიო თანხა განისაზღვრა უცხოურ ვალუტაში (ამერიკული დოლარი), ხოლო საგარანტიო თანხის დაფარვა განხორციელდა ერთეულ ვალუტაში. ამ თვალსაზრისით, ბენეფიციარი სადავოდ მიიჩნევს ჩარიცხული ფულის ერთეულის (ლარი) გაცვლითი კურსის შესაბამისობას უცხოურ ვალუტასთან (ამერიკული დოლარი).

შესაბამისად, დავის გადაწყვეტის საკვანძო საკითხი იმაში მდგომარეობს შეესაბამებოდა თუ არა ბენეფიციარისათვის ჩარიცხული ფულის ერთეული (ლარი) ჩარიცხვის მომენტისათვის არსებულ გაცვლით კურსს ამერიკულ დოლართან მიმართებით.

საკითხის ამგვარი დასმა განპირობებულია არა ვალდებულების შესრულების მარეგულირებელი ერთ-ერთი ნორმის – სსკ-ის 389-ე მუხლის დანაწესით, როგორც ამაზე მიუთითებს კასატორი და დავის არასწორ სამართლებრივ შეფასებას ნორმის არასწორ განმარტებას უკავშირებს, არამედ, ხელშემკვრელ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების პირობებით, რომელსაც უპირატესი მნიშვნელობა გააჩნია ვალდებულების შესრულების მარეგულირებელ ზოგად ნორმებთან მიმართებით, ვინაიდან ხელშეკრულება მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებას წარმოადგენს და მას ურთიერთობის სამართლებრივ მოწესრიგებაში უპირატესი ძალა გააჩნია.

ამ მსჯელობიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეზე სსკ-ის 389-ე მუხლის გამოყენება რელევანტური არ არის, შესაბამისად, არც აღნიშნული ნორმის არასწორი განმარტების საფუძველითაა დასაშვები საკასაციო საჩივარი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 389-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი აწესრიგებს ისეთ სამართალურთიერთობას, როდესაც სახეზეა ფულადი ვალდებულება, რა დროსაც, ფულადი ვალდებულების ოდენობა განსაზღვრულია, თუმცა, ვალდებულების წარმოშობის დღიდან ვალდებულების შესრულების

* მსგავსი კატეგორიის საქმეზე იხ. სუსგ საქმე №ას-1298-2018, 22.03.2019 წელი.

დღემდე ვალუტის კურსი ან ფულის ერთეული შეიცვალა. ნორმის მიზანი საბაზრო ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, ნორმის განმარტება, როგორც სიტყვა-სიტყვითი, ასევე ლოგიკური და შინაარსობრივი, სწორედ აღნიშნული მიზნის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ნორმის სწორი ინტერპრეტაციისათვის კი დადგენილ უნდა იქნეს ნორმაში გამოყენებულ ტერმინთა ზუსტი მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის ურთიერთშეუსაბამობა. „ნომინალიზმის პრინციპის“ მიხედვით, მოვალე ვალდებულია ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით (ნომინალით), რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს შეესაბამებოდა. მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს ქვეყნების კანონმდებლობაში ასახული ეს პრინციპი, ვალის გადახდისას ყურადღებას უთმობს არა გადასახდელი ნომინალის მსყიდველობაუნარიანობას, არამედ თავად ნომინალს და ფულადი ნიშნების რაოდენობას. **ნომინალიზმის პრინციპის შესაბამისად, ვალდებულების საგანი ფულადი ერთეულების რაოდენობაა და არა ფულის მსყიდველობაუნარიანობა.**

ნიშანდობლივია, რომ სასამართლო პრაქტიკაში 389-ე მუხლის შინაარსი განსხვავებული პრეცედენტის წყარო გახდა. **სასამართლოს განმარტებით, 389-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას, ანუ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას. ასევე, ვალუტის შეცვლას და ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაციას.** ვინაიდან, ქართული ეროვნული ვალუტის – ლარის მიმართ ზემოთმითითებულ პროცესებს არ ჰქონია ადგილი, ფულადი ვალდებულებების შესრულების დროს დაუშვებელია სსკ-ის 389-ე მუხლის გამოყენება. **ამ მუხლის გამოყენება დაუშვებელია ასევე, ფულის კურსის ნორმალური გაზარდების დროსაც, რადგანაც აღნიშნული პროცესი ყველა ქვეყანაში აღინიშნება.** შესაბამისად, ნორმის ფუნქციური დანიშნულება მდგომარეობს შემდეგში: იგი გამოიყენება მაშინ, როდესაც სახელმწიფო ფულის ნომინალს ცვლის ან კიდევ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ჰიპერინფლაციას (ძალიან მაღალი ინფლაცია, რომელიც ხშირად განისაზღვრება, როგორც ინფლაცია, რომლის ყოველთვიური დონე, დროის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში აღემატება 50 პროცენტს. თუ სახელმწიფოს მიერ ნომინალის შეცვლას ან ჰიპერინფლაციას არ ექნება ადგილი, 389-ე მუხლის გამოყენება დაუშვებელია

გადაანგარიშების ვალდებულება კი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას, თუ ვადამოსული ვალდებულების წარმოშობის დღე და ვალდებულების ფაქტობრივად შესრულების დღე ერთმანეთს არ ემთხვევა, ანუ როდესაც, ადგილი აქვს ვადაგადაცილებას. ასეთ შემთხვევაში, კონტრაგენტს კურსთაშორის სხვაობის სახით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს. კონტრაგენტისათვის მიყენებული ზიანი იმ დანაკლისში გამოიხატება, რაც მან ვალდებულების წარმოშობის დროიდან, ანუ იმ დღიდან როდესაც ვალდებულება უნდა შესრულებულიყო, ფაქტობრივ შესრულებამდე, ფულის ერთეულის (კურსის) მისთვის საუარესო ცვლილებით განიცადა. ასეთ შემთხვევაში, კურსთაშორის სხვაობა, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, ანაზღაურებას ექვემდებარება [სსკ-ის 408-ე მუხლი], რაც დადგენილი იქნა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით.

საქმე №ას-616-586-2013

24 დეკემბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: შპს-ს პარტნიორის პასუხისმგებლობა მის მიერ დანიშნული ლიკვიდატორის ქმედების გამო (სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლი)

ლიკვიდაციის პროცესის დაწყების დროისათვის კასატორს (მოსარჩელეს) კომპანიის მიმართ 12 940 ლარის ნამდვილი და ვადამოსული სახელმეკრულებო მოთხოვნა გააჩნდა, რომელიც მან, როგორც კრედიტორმა, ლიკვიდაციის პროცესის კანონის დარღვევით ჩატარების გამო ვერ დაიკმაყოფილა.

გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში გამოტანილი დასკვნა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3.4 და 44.1 მუხლებით განმტკიცებული შპს-ს პარტნიორის პასუხისმგებლობის შეზღუდვის მიზნიდან გამომდინარე, პარტნიორისათვის (კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფო) საწარმოს მიერ ნაკისრი ვალდებულების ანაზღაურების დაკისრება დაუშვებელია, რადგანაც საზოგადოების პარტნიორთა პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპს ეწინააღმდეგება, დაუსაბუთებელია. განსახილველ შემთხვევაში კომპანიის პარტნიორის – სახელმწიფოს

მიერ დანიშნული ლიკვიდატორი არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა, რასაც შედეგად მენარდისათვის ზიანის მიყენება მოჰყვა. ლიკვიდაციის პროცესი ისე დაიწყო და დამთავრდა 5 დღეში, რომ ამის შესახებ ამ უკანასკნელს კანონით დადგენილი წესით არ ეცნობა, რითაც დარღვეულია მეწარმეთა მე-14.4 მუხლის მოთხოვნები. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №1-1/2044 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ლიკვიდაციის წესის შესახებ“ დებულებაც.

მოსარჩელესთან (კრედიტორთან) საბოლოო ანგარიშსწორების გარეშე, 2012 წლის 15 ოქტომბერს, ლიკვიდატორმა ლიკვიდაციის პროცესი დასრულებულად გამოაცხადა, რასაც შედეგად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით საწარმოს რეგისტრაციის გაუქმება მოჰყვა. მან კომპანიის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება პარტნიორს, ანუ სახელმწიფოს, ისე გადასცა, რომ არ გაითვალისწინა კანონის მოთხოვნა ამ ქონების სამი თვის განმავლობაში საწარმოს იმ კრედიტორების სასარგებლოდ დეპონირების თაობაზე, რომლებმაც ვერ დაიკმაყოფილეს მოთხოვნები. ამრიგად, მოპასუხის მიერ დანიშნული ლიკვიდატორის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ მოქმედებას მენარდის ქონებრივი უფლების შელახვა, ანუ ზიანი მოჰყვა. ამ ზიანისათვის პასუხისმგებლობა კი, მოპასუხეს ეკისრება სსკ-ის 396-ე, 992-ე, 408-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 409-ე მუხლების საფუძველზე იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნა ნამდვილია და მენარდემ სარჩელი კანონით გათვალისწინებულ სამთვიან ვადაში წარადგინა.

საქმე №ას-1189-1119-2015

23 მარტი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი)

საკასაციო პალატა სამოქალაქო კოდექსის 405-ე და 352-ე მუხლების გაანალიზების საფუძველზე განმარტავს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონმდებლის მიერ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის მინიჭებული უფლებაა და მისი თავისებურება იმაშია, რომ ამისთვის არ არის აუცილებელი მეორე მხარის თანხმობა. ეს თავისებურება განაპირობებს იმასაც, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არის აღმჭურაველი უფლება და მოთხოვნის უფლებებისაგან განსხვავებით მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა. იგი შეიძლება ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნებისმიერ დროს იქნეს გამოყენებული, თუკი, არსებობს კანონით ამომწურავად განსაზღვრული ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველები და წესები (სამოქალაქო კოდექსის 405-ე, 352-359-ე მუხლები).

3.2. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

საქმე №ას-802-767-2014

10 თებერვალი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩოს გადაანგარიშება სხვა საწარმოში დასაქმებულ პირთა ხელფასის მიხედვით (სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 412-ე მუხლები)

საქმეში წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე მოითხოვს საწარმოო ტრავმის გამო მისთვის დანიშნული სარჩოს ოდენობის გაზრდას (გადაანგარიშებას). მოსარჩელის მოსაზრებით, მართალია, მოპასუხე საწარმოში აღარ არსებობს ხარატის შტატი, რომელზედაც იგი მუშაობდა საწარმოო ტრავმის მიღების დროს, მაგრამ ასეთი შტატი არსებობს სხვა საწარმოში, კერძოდ, სს „მ-ში“, სადაც ხარატის ხელფასი შეადგენს 318.93 ლარს. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სწორედ სხვა საწარმოში არსებული ხარატის შტატით გათვალისწინებული ხელფასის მიხედვით უნდა მოხდეს მისი სარჩოს გადაანგარიშება.

გემოსენებული სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას: დასაშვებია თუ არა სარჩოს გადაანგარიშება სხვა საწარმოში დასაქმებულ პირთა ხელფასის მიხედვით, თუ

სარჩოს ანაზღაურებაზე ვალდებულ საწარმოში აღარ არსებობს სარჩოს მიმღები პირის მიერ დაკავებული თანამდებობა?

ამ კითხვას სააპელაციო სასამართლომ დადებითი პასუხი გასცა, რაც იმით დაასაბუთა, რომ სარჩო არ უნდა იქნეს გაგებული იმ შრომის ანაზღაურებაზე უცხოვრობად დამოკიდებულად, რაც პირს დამქირავებელ საწარმოში გააჩნია. პროფესიული შრომის უნარის დაკარგვა გულისხმობს ზოგადად ამ პროფესიით საქმიანობის შეუძლებლობას და არა ამა თუ იმ საწარმოში მუშაობის შეუძლებლობას. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საწარმოო ტრავმის არქონის შემთხვევაში მოსარჩელე შეძლებდა ხარატად მუშაობას სხვა საწარმოში და ხელფასსაც მიიღებდა, რაც, პალატის მოსაზრებით, ნიშნავს სწორედ სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ისეთ „მდგომარეობას, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ მსჯელობას, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლით დადგენილი მოვალის პასუხისმგებლობის საკითხი არ შეიძლება განვიხილოთ ამავე კოდექსის 412-ე მუხლის შინაარსის გათვალისწინებულად.

სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამოშვები მოქმედების უშუალო შედეგს.

ზემოხსენებული ნორმა გამოხატავს მოვალის ინტერესებს და ათავისუფლებს მას ისეთი რისკისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეული პრინციპებისათვის. ამიტომაც, აღნიშნული მუხლი, უპირველესად ადგენს, რომ ანაზღაურება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო. მოვალისათვის სავარაუდო ზიანი – ეს ისეთი ზიანია, რომელიც სავარაუდო იქნებოდა სამოქალაქო ბრუნვის საშუალო მონაწილისათვის. მოვალეს არ შეიძლება დაეკისროს იმის ანაზღაურება, რისი გათვალისწინებაც მას არ შეეძლო. ამ კრიტერიუმით დგინდება პასუხისმგებლობის მაქსიმუმი. აქედან გამომდინარე, ანაზღაურებას ექვემდებარება პირდაპირი და არა არაპირდაპირი ზიანი. არაპირდაპირი ზიანი ისეთი ზიანია, რომელიც ზემოხსენებული გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, ვერ იქნებოდა სავარაუდო მოვალისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოვალეს (მოპასუხეს), რომელთანაც მოსარჩელე იმყოფებოდა შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში, შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ საწარმოო ტრავმის შემთხვევაში შესაძლებელია მოსარჩელეს მთლიანად ან ნაწილობრივ დაეკარგა შრომის უნარი და ვეღარ გაეგრძელებინა მუშაობა ამავე საწარმოში, შესაბამისად – ვეღარ მიეღო ხელფასი. ეს არის სწორედ ის პირდაპირი ზიანი, რომელიც მისაღებია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეული პრინციპებისათვის და შესაბამისად, ექვემდებარება ანაზღაურებას სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მიხედვით.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, შეუძლებელია მოპასუხეს წინასწარ გაეთვალისწინებინა, რომ საწარმოო ტრავმის არარსებობის შემთხვევაში მოსარჩელე ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სხვა საწარმოში შეძლებდა თავისი პროფესიით მუშაობის დაწყებას და თანაც იმაზე უკეთეს ხელფასს მიიღებდა, ვიდრე ეს თავდაპირველ დამსაქმებელთან ჰქონდა. პალატა მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, ასეთ რამ ვერ იქნებოდა სავარაუდო მოპასუხისათვის.

საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: ყოველი საწარმო დასაქმებულთა ანაზღაურებას ადგენს თავისი ეკონომიკური შესაძლებლობების ფარგლებში და დაუშვებელია კონკრეტული საწარმოსათვის მუშაკის სასარგებლოდ იმ ოდენობის სარჩოს დაკისრება, რაც სხვა – მეტი ან ნაკლები რესურსების მქონე საწარმოს მიერაა განსაზღვრული (*იხ. სუსგ, 21.06.2010წ., საქმე №ას-288-237-2010*).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ დასაწყისში დასმულ კითხვას, რაც გამორიცხავს მ. გ-ის სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

განმარტების საგანი: საწარმოო ტრავმის გამო დანიშნული სარჩოს გადახდის ხანგრძლივობა (სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

განსახილველ შემთხვევაში, გადაუხდელი სარჩოს ანაზღაურებისა და მისი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ოდენობის გადაანგარიშების მოთხოვნა სსკ-ის 992-ე და 408-ე მუხლის მეორე ნაწილს შეიძლება დაეფუძნოს. მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების შედეგად, რომ მოსარჩელის ჯანმრთელობას მიაღდა ზიანი, დადასტურებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. თუმცა ის შედეგი, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს, წარმატებული ვერ იქნება, რადგანაც არ არის დასაბუთებული ის ფაქტობრივი წინაპირობები, რომლებიც ამ შედეგს განაპირობებენ. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე სარჩელით მიუღებელი სარჩოს ანაზღაურებასა და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი სარჩოს ოდენობის გადაანგარიშებას, წინა დამსაქმებელთან (ელექტრომომარაგების დეპარტამენტში) დასაქმებული პირების ამჟამინდელი ხელფასის მიხედვით ითხოვს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამგვარ მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია, რადგანაც არ არის შესრულებული სსკ-ის 408-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობა.

საკასაციო პალატა კასატორის ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ სარჩოს მიღების უფლების ხანგრძლივობა პირდაპირ, პროპორციულად დაკავშირებულია დაზარალებულის მხრიდან ხელფასის მიღების შესაძლებლობასთან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩოს ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომა, პირს ართმევს შესაძლებლობას, ჰქონდეს სამუშაო და იღებდეს შესაბამის შრომით ანაზღაურებას. სარჩოს მიღებით ხდება პირისათვის შემოსავლის მიღების უზრუნველყოფა ზიანის არარსებობის პირობებში შესაძლო შრომის ანაზღაურების შესაბამისად. თავად ის გარემოება, რომ, ჯანმრთელობის დაზიანების გამო მოსარჩელემ დაკარგა სამუშაო და შესაბამისი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა, თავის მხრივ, წარმოშობს საფუძვლიან და კანონიერ ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ ზიანის არარსებობის პირობებში, მუშაკი განაგრძობდა მუშაობას და მიიღებდა ხელფასს. თუმცა **განუსაზღვრელი ვადით სარჩოს დაწესება, თავისთავად არ გულისხმობს სარჩოს უვადოდ გადახდის ვალდებულებას. სარჩოს ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც სარჩოს მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი მიიღებდა ხელფასს ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო.**

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საპენსიო ასაკს წარმოადგენს 65 წელი, რაც პენსიის დანიშვნის საფუძველია. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელე 1932 წლის 15 ივლისს დაიბადა, შესაბამისად, მას საპენსიო ასაკი 1997 წლის 15 ივლისს შეუსრულდა, ასევე დადგენილია, რომ, მოპასუხე მოსარჩელეს სარჩოს უხდიდა 2003 წლამდე, ანუ 70 წლის ასაკამდე. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას, რომ ერთ შემთხვევაში, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ 65 წლამდე დაზარალებული იმუშავებდა და ზიანის მიმყენებელი ვალდებულია, სარჩოს სახით აუნაზღაუროს მას ზიანი. საპენსიო ასაკის მიღწევისას კი, იცვლება პრეზუმფციის შინაარსი და იგი მოქმედებს საწინააღმდეგო მნიშვნელობით. ვარაუდის ტრილში, უკვე განიხილება დაზარალებულის მუშაობის პერსპექტივა და ამგვარი, საგამონაკლისო შემთხვევების დადასტურების მოვალეობა დაზარალებულის პროცესუალურ ვალდებულებას წარმოადგენს. აღნიშნულის დადასტურება შესაძლებელია მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც გონივრულად არის მოსალოდნელი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, იმისათვის, რომ 70 წელს მიღწეული პირის სასარგებლოდ სარჩოს გადახდა განხორციელდეს, ასეთმა პირმა უნდა ამტკიცოს, რომ მის ასაკში მყოფი პირები დასაქმებულნი არიან კონკრეტულ დარგში და რომ ხანდაზმული ასაკი დაბრკოლებას არ წარმოადგენს კონკრეტულ სფეროში საქმიანობისთვის. მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, რომ მას ზიანის არარსებობის პირობებში შეეძლო, შეესრულებინა ელექტრომომარაგების დისტანციების ელექტრომონტიორის სპეციფიკური ფუნქციები იმგვარად, რომ დამსაქმებელთან შეენარჩუნებინა მისთვის ამ მიმართულებით სამუშაო ადგილი საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგაც. ამრიგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და ის მართებულად არ დაკმაყოფილდა.

საქმე №ას-1280-1220-2014

19 თებერვალი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პოსტრავმული დაზიანების გამო მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსი 408-ე მუხლი)

სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი ადგენს ქცევის შემდეგ წესს: 1. იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. 2. თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუძმირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. 3. დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება. 4. სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის მიღება, თუ არსებობს საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი.

აღნიშნული ნორმის განმარტების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების დროს მას აქვს ჯანმრთელობის აღდგენისათვის საჭირო მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მათ შორის წინასწარ, და კანონი არ კრძალავს ასეთი ხარჯების პერიოდულად (საჭიროების წარმოშობის მიხედვით) ანაზღაურებას.

სააპელაციო პალატის განმარტებით, მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მოპასუხე უთითებდა არა პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში, არამედ სააპელაციო საჩივარში, სადაც განმარტა, რომ აღნიშნულ გარემოებაზე აპელირებდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას. პალატამ მიიჩნია, რომ წინამდებარე სარჩელის თავისებურებიდან გამომდინარე (მოსარჩელე ითხოვს, პოსტრავმული დაზიანების გამო, ამ ეტაპზე საჭირო მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას წინასწარ), გასაწევი ხარჯების ხანდაზმულობაზე აპელანტის მითითება დაუსაბუთებელია.

საქმე №ას-389-366-2014

20 მაისი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობა (სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 409-ე მუხლები)

მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის 10 630 ლარის დაკისრების თაობაზე ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: მოპასუხემ, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანა დააზიანა. მხარეები დაზიანებული ავტომანქანის, თავდაპირველ მდგომარეობაში არსებული სახით, აღდგენაზე შეთანხმდნენ. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ნივთის აღდგენის ღირებულება შესაბამისი თანხით განისაზღვრა. სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, დადგინდა, რომ აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა უხარისხოდ, ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე, რის გამოც მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მას მიყენებული ზიანი სრულად უნდა აუნაზღაურდეს.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორის (მოპასუხის) პრეტენზია ისაა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ზიანის მოცულობა, რაც უხარისხო შესრულებასა და ზიანის სრულად აღმოსაფხვრელად საჭირო თანხას შორის განსხვავება უნდა ყოფილიყო და არა – ავტოსაგზაო შემთხვევით წარმოშობილი, ავტომანქანის შეკეთებამდე არსებული, ზიანის ოდენობა სრულად. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მითითებულ არგუმენტს და განმარტავს, რომ ზიანის ოდენობის დადგენას არ უნდა მოჰყვეს რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება, არამედ გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ ის ხარჯი, რომელიც აუცილებელია ზიანის ანაზღაურების საკომპენსაციოდ.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ავტომანქანის შეკეთების შედეგად, ზიანი სრულად არ არის აღმოფხვრილი, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ რადგან ავტომანქანა პირვანდელ მდგომარეობაში ვერ აღდგა და ექსპერტიზის პირველი დასკვნის შესაბამისად ვერ შეკეთდა, მიყენებული ზიანი სრულად თანხით უნდა ანაზღაურდეს. რადგან ზიანი ნატურით ნაწილობრივ უკვე

ანაზღაურებულია, მას სრული კომპენსაცია ვეღარ ჩაანაცვლებს, არამედ, კომპენსაცია, ნატურით ანაზღაურების არასაკმარისობის გამო, ამ უკანასკნელთან ერთად უნდა დაეკისროს მოპასუხეს, რაც იმას გულისხმობს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება სწორედ ის სხვაობა, რომელიც ზიანის სრულად აღმოსაფხვრელად საჭირო თანხასა და შეკეთებით აღმოფხვრილი ზიანის თანხას შორის არსებობს. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი შემცირდა იმ სამუშაოთა ღირებულებით, რომელიც სათანადოდაა ჩატარებული და ამ თანხის მოპასუხისათვის დაკისრება გამოიწვევს მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრებას. ზიანის ანაზღაურების მიზანი კი, როგორც აღინიშნა, არა დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება, არამედ მისთვის ქონებრივი დანაკლისის შესაბამისი ეკვივალენტის გადახდაა.

საქმე №ას-406-383-2014

17 აპრილი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის (სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი)

მოცემული დავის საგანია შპს „ა-ის“ შემდეგი დასახელების ნივთების: ჭურჭლის სარეცხი მანქანა (ერთი ცალი); ნავის კონტეინერი (ერთი ცალი), ჭურჭლის მისაწოდებელი ელევატორი (ერთი ცალი); საკვების მისაწოდებელი ელევატორი (ერთი ცალი); ბარის ბოთლების სადგომი (ორი ცალი); უჟანგო ჭურჭელი (სამასორი ცალი); ფოდნოსი (ორი ცალი); სამზარეულოს ჭურჭელი (ორას თექვსმეტი ცალი); სკამი (ას ოცი ცალი); მაგიდა (ოცდაათი ცალი); თერმობლოკი (ორი ცალი); მაგიდა (სამი ცალი), დაუბრუნებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელე ზიანს ითხოვს არა ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვის.

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგინა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2002 წლის 02 აპრილს შპს „ჯ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, შპს „ა-მა“ აიღო ვალდებულება, ჩამოეყალიბებინა და ემუშავებინა შპს „ჯ-ში“ დასაქმებული 100 პირისათვის კაფეტერია. კაფეტერიის მოწყობა უნდა განხორციელებულიყო შპს „ჯ-ის“ ტერიტორიაზე შპს „ა-ის“ ინვენტარითა და ხარჯებით. ხელშეკრულების თანახმად, შპს „ა-ის“ ვალდებულებას წარმოადგენდა დამკვეთის შენობის გარეთ, საკუთარ ტერიტორიაზე ცხელი საკვების მომზადება და კაფეტერიისათვის მიწოდება. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2005 წლის 31 დეკემბრამდე. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, შპს „ა-ს“ უნდა გადასცემოდა მის მიერ შპს „ჯ-ში“ განთავსებული ინვენტარი.

ამდენად, დადგენილ იქნა, რომ მხარეთა შორის არსებობდა არა ქირა-იჯარის ურთიერთობა, როგორც ამაზე უთითებდა შპს „ა-ი“, არამედ წერილობითი ხელშეკრულება მომსახურების შესახებ, რომლითაც განსაზღვრული იყო გაწეული მომსახურების ანაზღაურების სახე და ფორმა.

პრეიუდიციული მნიშვნელობა მიენიჭა იმ გარემოებას, რომ შპს „ა-ის“ მიერ 2002 წლის 02 აპრილის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ჯ-ის“ ტერიტორიაზე კაფეტერიის მოსაწყობად შეტანილი ინვენტარი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ შპს „ა-ს“ არ დაბრუნებია. სასამართლო გადაწყვეტილებით შპს „ჯ-ს“, შპს „ა-ის“ სასარგებლოდ, დაეკისრა კვების ბლოკის დანადგარების, ინვენტარისა და მოწყობილობების დაბრუნება ან შესაბამისი საფასურის გადახდა. შესაბამისად, დადგენილ იქნა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ შპს „ჯ-ი“ 2006 წლის 01 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე პერიოდში უკანონოდ ფლობდა შპს „ა-ის“ კუთვნილ ინვენტარს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ზემოაღნიშნულ გარემოებებს კასატორი სადავოდ არ ხდის და წინამდებარე საქმის გადაწყვეტისას ისინი საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულო ძალის მქონეა.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ ასევე დაადგინა, რომ შპს „ჯ-ის“ მხრიდან 2006 წლის 01 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე პერიოდში შპს „ა-ისათვის“ კუთვნილი ინვენტარით სარგებლობის უფლების წართმევით, ამ უკანასკნელმა დაკარგა გარკვეული შემოსავალი, რომელსაც ის მიიღებდა შპს „ჯ-ის“ მხრიდან ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ზიანის დასადასტურებლად შპს „ა-მა“ სასამართლოში წა-

რადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 08 აგვისტოს ექსპერტიზის დასკვნა.

მიყენებული ზიანის ოდენობის დაანგარიშების მიზნით ექსპერტიზის დასკვნის შეფასებისათვის, კერძოდ, მასში მოყვანილი რიცხობრივი და ფაქტობრივი მაჩვენებლების განსაზღვრის, ხანდამზული და არახანდამზული მოთხოვნების მოცულობის დადგენის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ მიღებულიყო წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება და დადგენილიყო ფაქტობრივი გარემოება ზიანის მიყენების შესახებ. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული უნდა განსაზღვრულიყო წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

კასატორის მთავარი პრეტენზია სასამართლოს მხრიდან ზიანის არსებობის არასწორად დადგენას ეხება. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს განმარტება მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული განმარტებისაგან, ამასთან, სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 08 აგვისტოს ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მხოლოდ ვარაუდია გამოთქმული იმის თაობაზე, რომ იმ შემთხვევაში თუ, 2006 წლის იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე შპს „ა-ის“ მფლობელობაში იქნებოდა დანადგარები, ინვენტარი და მოწყობილობები, საზოგადოება მათი ქირა-იჯარის სახით მიიღებდა ყოველთვიურად, 17 172,54 ლარს, საორიენტაციოდ სულ მიიღებდა 1 058 816,34 ლარის შემოსავალს“. საკასაციო საჩივრის საფუძვლების (კასაციის მიზეზები) საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. ამდენად, კანონმდებელი დაზარალებულს (კრედიტორს) უფლებას აძლევს ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ იმ ანაცდენი სარგებლისათვის, რომელსაც დაზარალებული მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად. მთავარი წინაპირობა მოცემული მუხლის გამოყენებისათვის არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რასაც შედეგად მოჰყვა ზიანის დადგომა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადი პრინციპის თანახმად, განსახილველი კატეგორიის დავაში, მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების (მტკიცების საგანი), ასევე მათი დამტკიცების ტვირთი (მტკიცების ტვირთი). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე იყო ვალდებული მიეთითებინა და სარწმუნოდ დაემტკიცებინა, რომ მოპასუხის ქმედება იყო არამართლზომიერი, ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანი, მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ასევე ის თუ რას შეადგენს ზიანის ოდენობა. ამასთან, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის სახით, მოსარჩელეს იმგვარი მტკიცებულებები უნდა წარედგინა, რომელიც შექმნიდა ობიექტურ, რეალურ სურათს ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით და არა ვარაუდს, ალბათობას შემოსავლის მიღების თაობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი მხოლოდ იმ შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას აკისრებს ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც ობიექტური მოცემულობითაა ნაკარნახევი და არა კრედიტორის სუბიექტური შეფასებით. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მეორე წინადადებას, რომლის თანახმად, „მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო“. საგულისხმოა უშუალოდ ტერმინი „მიუღებელი შემოსავალი“, სახელდობრ შინაარსი, რომელიც მის მიღმა დგას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მიუღებელი შემოსავალი ეს არის ანაცდენი სარგებელი (მოგება), რომელიც არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე და რო-

მელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად“ (იხ. სუსგ, საქმე №ას-218-210-2013, 10 მარტი, 2014წ.).

მოცემულ შემთხვევაში, მიუღებელ შემოსავლად არ შეიძლება განხილულ იქნეს კაფეტერიის ინვენტარი-სა და მოწყობილობების, როგორცაა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სკამების, მაგიდის, უჟანგავი ჭურჭლის, ნავის კონტეინერისა და სხვა ნივთების იჯარა-გაქირავებით სავარაუდოდ მისაღები შემოსავალი იმ თვალ-საზრისით, რომ მიუღებელი შემოსავალი, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, რომელიც შეიძლება დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში. აქვე გა-სათვალისწინებელია ბუნებრივი ცვლათა, რაც კაფეტერიის ინვენტარისა და მოწყობილობების ინდივიდუალური მახასიათებლებიდან გამომდინარე იყო მოსალოდნელი, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც საუბარია ყო-ველდღიური მოხმარების საგნებზე, როგორცაა ჭურჭლის სარეცხი მანქანა, ფოდნოსი, უჟანგავი ჭურჭელი, ნავის კონტეინერი და სხვ. ასევე მხედველობაშია მისაღები ამგვარი დანიშნულების ნივთების ვარგისიანობა მათი ხანგრძლივი გამოყენებისათვის და რაც მთავარია, გასათვალისწინებელია მათი სამოქალაქო ბრუნვაში გაშვების რეალური შესაძლებლობა.

მოცემულ შემთხვევაში, ისეა დადგენილი ფაქტობრივი გარემოება ზიანის ფაქტის არსებობის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება არ შეიცავს მითითებებს იმ გარემოებებთან დაკავშირებით, თუ რა მდგომარეობაში იყო ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულების დროისათვის – 2006 წლის იანვრისათვის ანუ, ზუსტად ოთხი წლის (2002 წლის 02 აპრილიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი) ინტენსიური სარგებლობის შედეგად კაფეტერიის სადავო მოწყობილობა, როგორცაა ჭურჭლის სარეცხი მანქანა, ფოდნოსი, უჟანგავი ჭურჭელი, ნავის კონტეინერი და სხვ. მათი ინტენსიური მოხმარების შედეგად. არ არის დადგენილი სადავო ინვენტარის ინდივიდუალური მახასიათებლებისა და მათი რეალური მდგომარეობის შესაბამისობა მათი ექსპლოატაციის კომერციულ მიზანთან, მათ ვარგისიანობასთან. აგრეთვე, არ არის დადგენილი თუ, რა ღირებულება ექნებოდა მათ ქსპლოატაციას მომდევნო ექვსი წლის (2006 წლის 01 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე პერიოდი) განმავლობაში.

კასატორის ძირითადი პრეტენზიაც იმას ემყარება, რომ „საქმეში წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარა-ულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 08 აგვისტოს ექსპერტიზის დასკ-ვნაში, რომელსაც დაეყრდნო სააპელაციო სასამართლო ზიანის არსებობის ფაქტის დასადასტურებლად, სა-უბარია სავარაუდო შემოსავალზე და არა ობიექტურ, რეალურ შემოსავალზე, ამასთან, დასკვნა გაცემულია ინ-ვენტარის იჯარა ქირაზე, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია, რაც გამორიცხავს მიუღებელი შემოსავლის არსებობის ფაქტის დადასტურებას“. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ არგუმენტს და მიიჩნია, რომ ამ ნაწილში, წარმოდგენილია დასაბუთებული შედა-ვება (საკასაციო პრეტენზია).

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩე-ლის მიერ სასამართლოში წარდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 08 აგვისტოს ექსპერტიზის დასკვნით შეუძლებელია მიუღებელი შემოსავლის განსაზღვრა. კასატორის ამ მოსაზრებას ასაბუთებს როგორც ექსპერტის წინაშე დასმული კითხვა, ისე მასში მოცემული დასკვნის შინაარსი, კერძოდ, დასკვნაში არ არის მოყვანილი რომელიმე კონკრეტული ბენეფიცი-არი ან რომელიმე ხელშეკრულება, რომლის დადების შესაძლებლობა ამ პერიოდის მანძილზე წაერთვა შპს „ა-ს“, როგორც მეწარმეს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს იმაზე, რომ საქმის მასალებით არ არის სა-თანადოდ დასაბუთებული და სარწმუნოდ დადასტურებული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2006 წლის 01 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე პერიოდში შპს „ა-ი“ ნამდვილად მიიღებდა შემოსავალს კაფეტერიის სადავო ინვენტარითა და მოწყობილობებით სარგებლობის ხელშეშლის არარსებობის პირობებში. შესაბამი-სად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა ზიანის ფაქტთან დაკავშირებით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განმარტების საგანი: ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის (სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი)

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი და საქმის მასალებით დასტურდება დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

07.12.2007 წ.-ს გ. ნ.-სა და ე. ჩ.-ს შორის გაფორმდა სანოტარო აქტი „ამხანაგობის წინარე ხელშეკრულება“, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, ერთობლივად ემოქმედათ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად და ამ მიზნით, შეექმნათ ამხანაგობა. ხელშეკრულებით ე. ჩ.-მა იკისრა ვალდებულება, ამხანაგობისათვის, შენატანის სახით, გადაეცა ქ. თბილისში, ქ.-ის ქ. №3-ში მდებარე უძრავი ქონება, რომელიც საკუთრების უფლებით რეგისტრირებული იყო მის სახელზე, აღნიშნულის სანაცვლოდ, გ. ნ.-მა იკისრა ვალდებულება ე. ჩ.-ისათვის გადაეცა ქ. თბილისში, ლ.-ის ქ. №3ა-ში მდებარე 180მ2 საცხოვრებელი ფართი, 30მ2 კომერციული ფართი, ავტოსადგომი და 35,000 აშშ დოლარი.

09.05.2009 წ.-ს შედგა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „+ უ.-ნის“ დამფუძნებელთა კრება და შეიქმნა ამხანაგობა „უ“.

24.12.2010 წ.-ს ერთი მხრივ, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „+ უ.-ნის“ თავმჯდომარე გ. ნ.-სა და მეორე მხრივ, ამხანაგობის წევრ ე. ჩ.-ის წარმომადგენელ ნინო ისაკაძეს შორის გაფორმდა სანოტარო აქტი „ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობაში „უ“-ნის“ შენატანის ნატურით დაბრუნების შესახებ“, რომლის საფუძველზე ე. ჩ.-ი გავიდა ამხანაგობიდან და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „უ“-ნიდან დაიბრუნა შენატანი – ქ. თბილისში, ქ.-ის ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთი შესაბამისად, უძრავი ქონება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში კვლავ აღირიცხა ე. ჩ.-ის საკუთრების უფლებით.

დადგენილია, რომ 19.12.2013 წ.-ს ამხანაგობა იბა „უ“-ნის“ სახელით სარჩელი აღიძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე ე. ჩ.-ის მიმართ გ. ნ.-ის მიერ ამხანაგობის სახელით ე. ჩ.-ისათვის გადაცემული 10,000 აშშ დოლარისა და მისი დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო, ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მოსარჩელის მეორე მოთხოვნას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენდა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე, მათ შორის: უნდა მოიძებნოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას; მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებს (შემადგენლობას).

მოცემულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ე. ჩ.-ის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი ზიანის ანაზღაურების ნაწილში, ემყარება სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევას. ამ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილებისათვის პირველ რიგში, უნდა გაირკვეს მიყენებული ზიანის შინაარსი და მისი ანაზღაურებისათვის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წინაპირობების არსებობა.

სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ვალდებულების დარღვევა ზოგადი ფორმულირებაა და იგი შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, მათ შორის არაჯეროვან შესრულებაში. მტკიცების ტვირთის ობიექტურად და სამართლიანად განაწილების პირობებში, როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი მოსარჩელის (კრედიტორის) მხარეზეა.

ზიანი ობიექტური მოცემულობით უნდა შეფასდეს და არა სუბიექტური დამოკიდებულებით, სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. ამავე მუხლითაა განმარტე-

ბული მიუღებელი შემოსავალი, კერძოდ, მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო დავის სწორად გადაწყვეტას მნიშვნელოვნად განაპირობებს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის ზუსტად განსაზღვრა, რაც განეკუთვნება სასამართლოს ულებამოსილების სფეროს, თუმცა, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლომ მართებულად დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების (მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების) ამომწურავი ჩამონათვალი, იმისათვის, რომ სასამართლოს არ მოუწიოს იმ გარემოებათა დადგენა, რომლებსაც საქმისათვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვთ, და პირიქით, მთელი სამართალწარმოება საძიებელ ფაქტებზე უნდა იქნეს აგებული. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ზიანის არსებობის ფაქტის დასადასტურებლად იმ გარემოებაზე აპელირებს, რომ 10,000 აშშ დოლარის დადგენილ ვადაში დაბრუნების შემთხვევაში, ამხანაგობა ამ თანხას განათავსებდა საკრედიტო დაწესებულებაში ანაბარზე და მიიღებდა შემოსავალს. მოსარჩელის მხოლოდ ეს არგუმენტი, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკმარის საფუძველს, კერძოდ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე, 412-ე მუხლების ამოსავალი წერტილი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ანაზღაურდება მხოლოდ მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი. ხოლო ამავე კოდექსის მე-8 მუხლის შესამე ნაწილის მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. იგივე ამრია გატარებული სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლში, რომელიც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად სარგებლობაში მდგომარეობს. როგორც მოცემული საქმის მასალებით დგინდება პარტნიორს ამხანაგობისათვის თანხის დაკისრების ვალდებულება წარმოეშვა 24.12.2010წ.-ს შენატანის ნატურით დაბრუნების შესახებ გაფორმებული გარიგების საფუძველზე. თანხის დაკისრების მოთხოვნით კი, სასამართლოში ამხანაგობის სახელით სარჩელი აღიძრა თითქმის სამი წლის შემდეგ და ამხანაგობამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესრულებასთან ერთად მოითხოვა თანხის გადაუხდელობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც. აღნიშნულს საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და მიიჩნია, რომ მიუღებელი შემოსავალი, რომელზედაც კონკრეტულ შემთხვევაში, აპელირებს ამხანაგობა პრაქტიკულად დადგა მისივე უმოქმედობის შედეგად, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებით ირკვევა მთელი ამ წლების მანძილზე ადგილი არ ჰქონია არც ამხანაგობის მხრიდან თანხის დაბრუნების მოთხოვნას და არც ე. ჩ.-ის მხრიდან თანხის უკან დაბრუნების დაპირებას. პირიქით, იგი სადავოდაც კი მიიჩნევდა ამხანაგობისაგან 10,000 აშშ დოლარის მიღებას. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიიჩნია, რომ მიუღებელი შემოსავალი, რომელზედაც აპელირებს ამხანაგობა და რომელიც მათი მოსაზრებით, წარმოადგენდა მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანს სახეზე არ გვაქვს.

საქმე № ას-374-355-2015

25 მარტი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის (სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი)

კასატორი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ბოლო საფუძველად უთითებს იმ არგუმენტს, რომ სასამართლომ მოახდინა მოსარჩელის მოთხოვნის ტრანსფორმაცია და მოსარჩელეს მიაკუთვნა ის, რაც მას არ მოუთხოვია. კერძოდ, მოსარჩელე უთითებდა ბინის შესაძენად მის მიერ გადახდილი თანხის გასესხების შემთხვევაში მისაღებ შემოსავალზე, ხოლო სასამართლომ მიაკუთვნა აღნიშნული თანხის ანაბარზე განთავსების შემთხვევაში მისაღებ შემოსავალი. ამავე დროს, სასამართლოს უნდა მიეკუთვნებინა მხარისათვის მხოლოდ ბინის ვერგადაცემის და არა თანხის ვერგასესხების შედეგად მიუღებელი შემოსავალი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელე ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის სახით. მიუღებელ შემოსავლად კი იგი მიიჩნევდა 75 793 აშშ დოლარის გასესხების შემთხვევაში მისაღებ (მაგრამ ვერმიღებულ) შემოსავალს. ანაბარზე თანხის განთავსება თავისი არსით არ განსხვავდება თანხის სხვაგვარი გასესხებით წარმოშობილი ურთიერთობიდან. ორივე შემთხვევაში

ხდება თანხის განკარგვა პროცენტის სახით შემოსავლის მიღების მიზნით. ამიტომ საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ უშუალოდ ანაბარზე თანხის განთავსების შესაძლებლობაზე მოსარჩელის მითითების არარსებობის გამო, სასამართლოს უარი უნდა ეთქვა მიუღებელი შემოსავლის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომ კრედიტორს უნდა აუნაზღაურდეს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით და მიიჩნევს, რომ ზიანის ანაზღაურებით აღდგენილ უნდა იქნას ის ვითარება, რაც იარსებებდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების (ანუ ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობების არარსებობის) შემთხვევაში. **საკასაციო სასამართლო ასევე ეთანხმება კასატორს, რომ როცა ხელშეკრულების საგანია ბინის აშენება და საკუთრებაში გადაცემა, ბინის ნასყიდობის თანხის სხვაგვარი გამოყენებით მიუღებელი შემოსავალი ვერ იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბინის გადაცემის ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული შედეგი.** თუმცა აღნიშნავს, რომ როცა ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო ერთ-ერთი მხარე უარს ამბობს ხელშეკრულებაზე, სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის შესაბამისად, დგება ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები, კერძოდ, მხარეებს წარმოეშობათ ერთმანეთისათვის მიღებული შესრულებისა და სარგებელის დაბრუნების ვალდებულება, რომლის დარღვევა იმავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ასევე ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას წარმოშობს. საკასაციო საჩივარში კასატორი უთითებს, რომ 2011 წლის 21 დეკემბერს მან უარი თქვა ხელშეკრულებაზე. აღნიშნულის შედეგად კი მას მოსარჩელისათვის 75 793 აშშ დოლარის (მიღებული შესრულების) უკან დაბრუნების ვალდებულება წარმოეშვა, რასაც კასატორი არამართლზომიერად არ ასრულებს დღემდე. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია სახეზე გვექნოდეს როგორც ხელშეკრულების შეუსრულებლობით, ისე შესრულების დროულად დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანი, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ასევე შესაძლებელია მიუღებელი შემოსავლის სახით გამოიხატოს.

საქმე №ას-356-332-2017

15 თებერვალი, 2018 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უკანონო ხელშეშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი)

2015 წლის 11 სექტემბერს გ. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. გ-ის მიმართ და მოითხოვა სიღნაღის რაიონის სოფ. ბ-ში მდებარე, მის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა და საკუთრების უფლების ხელშეშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხე ფლობს მოსარჩელის კუთვნილ უძრავ ქონებას, ხოლო მოსარჩელის საკუთრების უფლება სადავო მიწის ნაკვეთზე წარმოიშვა 2014 წლის 25 ნოემბრიდან, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ მოსარჩელეს სწორედ ამ დროიდან გააჩნდა არამართლზომიერი მფლობელისათვის სადავო უძრავ ქონებაზე დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენის უფლება, ხოლო იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული პრეტენზიით მოპასუხეს მოსარჩელემ მიმართა 2015 წლის გაზაფხულზე, საკუთრების უკანონო ხელყოფით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) ოდენობა სასამართლომ მართებულად განსაზღვრა სწორედ ამ პერიოდიდან.

საქმე №ას-403-403-2018

18 ივლისი, 2018 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის დაგვიანებით გადახდის გამო ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი)

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1 750 აშშ დოლარისა და 2001 წლის 15 ოქტომბრიდან 2010 წლის 6 დეკემბრამდე 1 750 აშშ დოლარის წლიური 8%-ის – 1 312.50 აშშ დო-

ლარის, ჯამში – 3062.50 აშშ დოლარის გადახდა. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით დაკისრებული 3 062.50 აშშ დოლარი მოპასუხემ გადაიხადა 2016 წლის 7 დეკემბერს.

კასატორმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. კ-ის მიმართ მიუღებელი შემოსავლის – 3 062,50 აშშ დოლარის 3%-ის 2010 წლის 7 დეკემბრიდან 2016 წლის 24 ნოემბრამდე ყოველთვიურად დაკისრების მოთხოვნით.

საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის პრეტენზიებს სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლების, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 412-ე მუხლების დარღვევის თაობაზე და განმარტავს, რომ სააპელაციო პალატის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას წინამდებარე დავის მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლით დადგენილი სავალდებულო ძალა გააჩნია, ასევე, უდავოა, რომ მოვალემ გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულება შეასრულა რამდენიმე წლის დავიანებით, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სწორად მოიძია მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა – სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი და სწორად განმარტა იგი, რომლის ფარგლებშიც მოსარჩელეს მართებდა მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის მიღების ელემენტების მტკიცება, რომელიც არა აბსტრაქტული, არამედ, სავარაუდო, კონკრეტული ზიანია. ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით ზიანის მოსარჩელისათვის მიყენების კონკრეტული გარემოებები არ დასტურდება, გარდა ამისა, მისი მტკიცების გაზიარების შემთხვევაშიც კი, სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის ფარგლებში დამატებით შეფასებას საჭიროებს ის გარემოება, მოსარჩელემ, როგორც კრედიტორმა, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე რატომ არ მიმართა გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების მექანიზმს, ამ მხრივ საკასაციო საჩივარი არ შეიცავს რაიმე არსებით შედავებას.

საქმე №ას-593-568-2016

14 ივლისი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ოჯახის წევრის გარდაცვალების შედეგად ჯანმრთელობის დაზიანების გამო მორალური ზიანის ანაზღაურების (სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი)*

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ოჯახის წევრის გარდაცვალებით გამოწვეული დარდი, გულისტკივილი, შინაგანი ცხოვრების რიტმის დარღვევა, გლოვა და დეპრესია, საკმარისი წინაპირობა არაა გარდაცვლილის ოჯახის ახლობელი ადამიანებისათვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. მსგავს შემთხვევებში, მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დასაშვებია გამონაკლისის სახით, მხოლოდ მაშინ, როდესაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს მძიმე ფსიქოპათოლოგიური დარღვევები, რომლებიც არსებითად სცილდება, უბედური შემთხვევის გამო, ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის მიმართ სულიერი ტკივილით მიყენებულ ზიანს (ვნებებს) და, რომელიც, ამის გამო, შეიძლება, გავიგივოთ სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებასთან. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია მორალური ზიანის ანაზღაურების საკმარის საფუძვლად მხოლოდ მოსარჩელის სულიერი ტკივილი და ტანჯვა (ფსიქოლოგიური ზიანი), ისე, რომ ამას არ გამოუწვევია მოსარჩელის ავადმყოფობა (ჯანმრთელობის დაზიანება). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია ავადმყოფობის (ჯანმრთელობის დაზიანების) დამადასტურებელი მტკიცებულება, ამასთან, ასეთი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაშიც, მას უნდა წარმოედგინა, ასევე, მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და მოსარჩელის ავადმყოფობას შორის ადეკვატური მიზეზობრივი კავშირის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებაც.

* აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.07.2018წ. N58240/08 გადაწყვეტილების საფუძველზე, უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ შეცვალა პრაქტიკა ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით (იხ., №ბს-327-309(2კ-07); 16.05.2019 წელი).

განმარტების საგანი: არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი)

2013 წლის 12 ივლისს, 10:20 საათზე ავიაკომპანია თ-ს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკიდან საქართველოში სანკტ-პეტერბურგი-სტამბოლი-თბილისის ტრანზიტული რეისით უნდა ჩამოესვენებინა დ. კ-ას შვილის, მ. ნ-ის ცხედარი.

2013 წლის 13 ივლისს, 10:20 საათზე სტამბოლიდან თბილისში ჩამოფრენილ ავიაკომპანია თ-ის თვითმფრინავში მ. ნ-ის ცხედარი არ აღმოჩნდა, რადგანაც ავიაკომპანიამ ცხედარი შეცდომით სამხრეთ კორეაში გააგზავნა.

მ. ნ-ის ცხედარი მოპასუხემ საქართველოში 2013 წლის 14 ივლისს, 17:20 საათზე ჩამოასვენა, რის გამოც, მოსარჩელეს, 2013 წლის 14 ივლისსაც შეეზღუდა შვილის სათანადო პატივით დაკრძალვის შესაძლებლობა.

მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას იმ გარემოებაზე ამყარებდა, რომ დათქმულ დროს, 2013 წლის 13 ივლისს, 10:20 საათისათვის იგი გამოცხადდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, თუმცა, რადგანაც ავიაკომპანიის მითითებულ რეისზე მ.ნ-ის ცხედარი არ აღმოჩნდა, ინფორმაციისათვის მიაკითხა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში არსებულ ავიაკომპანია თ-ის წარმომადგენლობას, მაგრამ მოპასუხემ მისი შვილის ცხედრის ადგილსამყოფელი არ შეატყობინა, შესაბამისად, მან დახმარებისათვის მიმართა, როგორც პოლიციას, ისე ტელევიზიას. ავიაკომპანიამ მოსარჩელე შეგნებულად არ ჩააყენა საქმის კურსში, რამაც დიდი დაღი დაასვა მოსარჩელეს, მის ფსიქიკურ და ემოციურ მდგარდობას. დ.კ-ამ განიცადა წარმოდგენილი ფსიქიკური და ემოციური სტრესი, რომელიც ცხოვრების ბოლომდე დაღს დაასვამს მის ჯანმრთელობას.

განსახილველი სამართალურთიერთობა გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევით გამოწვეულ მორალური ზიანის ანაზღაურებას შეეხება. გადაზიდვის სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი არც ერთი ნორმა, გადაზიდვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო, მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. სამოქალაქო კოდექსის 688-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია გადაზიდველის პასუხისმგებლობის საფუძვლები და დადგენილია, რომ იგი პასუხს აგებს ტვირთის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვისა და დაზიანებისათვის, თუ ტვირთი დაზიანდა ან დაიკარგა მისი მიღებიდან ჩაბარებამდე დროის შუალედში, ასევე – მიტანის ვადის გადაცილებისათვის. საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს ასევე საქართველოს საჰაერო კოდექსის 78-ე მუხლს, რომლის პირველი ნაწილი ტვირთის დაგვიანებით გადაზიდვისათვის გადაზიდვის პასუხისმგებლობას ადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო ნორმის მე-2 ნაწილით მოწესრიგებულია ამგვარ შემთხვევაში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესი და დადგენილია, რომ გადამყვან-გადაზიდველის პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ იგი ვერ დაამტკიცებს, რომ ყველა ზომა მიიღო ზარალის თავიდან ასაცილებლად ან მისი თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. ასეთ მტკიცებულებათა წარდგენამდე მიიჩნევა, რომ ტვირთის, ბარგის ან მგზავრის პირადი ნივთების მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვა, დაზიანება ან დაგვიანებით გადაზიდვა მოხდა გადამყვან-გადაზიდველის მიზებით.

ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის (მორალური ზიანის ანაზღაურება) მარეგულირებელ სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი წარმოადგენს, თუმცა უნდა შემოწმდეს ის წინაპირობები, რომელთა არსებობასაც უკავშირებს კანონი ნორმით გათვალისწინებული შედეგის დადგომას, კერძოდ, მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა გააჩნია მოცემული ნორმით გათვალისწინებული მიზნის სწორად დადგენას. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს ჩვეულებრივ, შესაძლოა, თან

ახლდეს მორალური, სულიერი განცდები, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ე.ი კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეუძლია დაზარალებულს, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. განსახილველი ნორმის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი ფართობი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამართლის მიერ დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულმა შეიძლება მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანისათვის ანაზღაურება, წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობა. სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ადამიანის სიცოცხლის იმგვარი ხელყოფაა, რომელიც დაზარალებულს არასრულფასოვნად და ზოგ შემთხვევაში, არაშრომისუნარიანად აქცევს, სხეულის და/ან ჯანმრთელობის ხელყოფით გამოწვეული მორალური ზიანი უშუალოდ სამართალდარღვევიდან შეიძლება არც გამომდინარეობდეს, არამედ მისი თანმდევი შედეგი იყოს (როგორცაა უმედეგო მკურნალობა, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობა, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობა, ცხოვრების წესისა და რითმის შეცვლა, მკურნალობის უშედეგობის გამო ცხოვრების ხალისის დაქვეითება, ნერვული დაძაბულობა, რაც პირს არასრულფასოვნების კომპლექსსა თუ სხვა ნეგატიურ განცდებს უყალიბებს), თუმცა, ასეთ დროს, სავალდებულოა, დასტურდებოდეს, რომ დაზარალებულის მორალური განცდები და სულიერი ტანჯვა სხეულისა თუ ჯანმრთელობის ხელყოფის შედეგია.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული მორალური ზიანის მახასიათებელი თვისება არის ადამიანის ფსიქური და სულიერი ბუნების სფეროში ნეგატიური ზემოქმედების მოხდენა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში.

განსახილველ შემთხვევაში, უდავოდაა დადგენილი მოპასუხის მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის ფაქტი, კერძოდ ის, რომ სს თ-ს უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად მოხდა ტვირთის სამხრეთ კორეაში გადაზიდვა. ასევე დადგენილია და კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია იმ გარემოების თაობაზე, რომ ვალდებულების დარღვევისთანავე მან მოსარჩელეს არ აცნობა მიზეზი, თუ რამ განაპირობა მ.ნ-ის ნეშტის კონკრეტული რეისით ჩამოუსვენებლობა, სად იმყოფებოდა იგი და როდის მოხდებოდა ნეშტის დანიშნულების ადგილას გადატანა. კასატორს არც იმის მტკიცება შემოუთავაზებია სასამართლოსათვის, რომ ვალდებულების დარღვევა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით ან სხვა საპატიო მიზეზით. პალატა ვერ გაიზიარებს ავიაკომპანიის მსჯელობას ინფორმაციის მოძიებისათვის საჭირო დროის თაობაზე, ვინაიდან ეს მოსაზრება ვერ აქარწყლებს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (პოლიციის შესაბამისი სამსახურის აქტები) დადასტურებულ გარემოებას დახმარების აღმოჩენის მიზნით მოსარჩელის მიერ პოლიციისა და ტელევიზიისათვის მიმართვის შესახებ.

გასათვალისწინებელია, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გადაზიდვის ტიპიურ, სამოქალაქო ურთიერთობის ფარგლებს სცდება და მისი სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მხარეთა განსაკუთრებულ გულისხმიერებას საჭიროებდა, რაც, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ ფაქტია, რომ დარღვეულია.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დ.კ-ას მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებაზე, რომ შვილის ცხედრის შეთანხმებულ დროს ჩამოუსვენებლობის, ასევე ინფორმაციის არადროული მიწოდების შედეგად მან ძლიერი სულიერი სტრესი განიცადა, ამ გარემოებამ მის ფსიქიკას დაღი დაასვა და გავლენა იქონია ემოციურ მდგომარეობაზე. პალატა დამატებით მოიხმობს დ.კ-ას განმარტებას, რომელიც მან სააპელაციო სასამართლოში წერილობით წარადგინა და განმარტა, რომ გარდაცვლილი შვილის ცხედარი, შორ მანძილზე გადაადგილების გამო, ცუდ მდგომარეობაში იყო და არ მიეცა მისი ნახვის, ასევე ჩასასვენებლით დაკრძალვის შესაძლებლობა, აღნიშნულმა კი, მძიმედ იმოქმედა მოსარჩელის ჯანმრთელობაზე. ამ განცხადებაში მოყვანილი გარემოებები სააპელაციო პალატას დაუშვებლად არ უცვნიან, კასატორს კი, სადავოდ არ გაუხდია გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება ჩამოსვენების დღეს მ.ნ-ის დაკრძალვის შეუძლებლობის შესახებ. გარდა აღნიშნულისა, გასათვალისწინებელია სარჩელზე

დართული სს თ-ს თბილისის ფილიალის დირექტორის წერილი, სადაც მოპასუხე მწუხარებას გამოთქვამს მ.ნ-ის გარდაცვალების გამო, განუმარტავს დ.კ-ას, რომ ვალდებულების დარღვევის გამო, მას რაიმე პასუხისმგებლობა არ დაეკისრება და, ჰუმანურობიდან გამომდინარე, ადამიანური ტკივილის შესამსუბუქებლად, სთავაზობს ერთი წლის განმავლობაში ევროპის მიმართულებით სამი უფასო ბილეთით სარგებლობას. რაიმე მტკიცებულება, რაც, მომხდარი შემთხვევის გამო, ავიაკომპანიის მხრიდან მოსარჩელის მიმართ ფსიქოლოგიური თუ სხვა მორალური დახმარების გაწევას დაადასტურებდა, საქმეში არ მოიპოვება.

საკასაციო სასამართლო მტკიცების საგნად არ მიიჩნევს და სრულად ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში გადმოცემულ შეფასებებს საქართველოში დამკვიდრებული მიცვალებულის უკანასკნელ გზაზე სათანადო პატივით გაცილების, ასევე დედის მიერ შვილის ცხედრის პირველად ნახვასთან დაკავშირებული სულიერი ტკივილის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამგვარ ვითარებაში მყოფი პირისათვის შვილის ცხედრის ადგილსამყოფელის, ასევე იმის დროულად შეუტყობინებლობა, თუ რა მიზეზით არ აღმოჩნდა ნეშტი კონკრეტულ რეისზე, იძლევა პრეზუმფციის დაშვების შესაძლებლობას, რომ ავიაკომპანიის მხრიდან ვალდებულების დარღვევით განცდილი ზემოაღნიშნული ნეგატიური ფაქტორებიდან გამომდინარე, მოსარჩელის ჯანმრთელობას მიაღდა იმგვარი ზიანი, რასაც შედეგად პირის სულიერი ტანჯვა, ძლიერი ემოციური სტრესი მოჰყვა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პრეზუმირებული ფაქტი ისეთი ფაქტია, რომელიც არ შედის მტკიცების საგანში, ხოლო პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომლის საწინააღმდეგოდაც მოქმედებს პრეზუმფცია (ვისთვისაც არახელსაყრელი შედეგის მომტანია). ამგვარი მტკიცებულება მოპასუხის მხრიდან არ წარმოდგენილა, საკასაციო საჩივარში აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ ავიაკომპანია ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედებდა და მას მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება განზრახული არ ჰქონია.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით კი, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დადგენილად მიჩნეული ფაქტები (მოპასუხის მხრიდან ვალდებულების დარღვევა, ზიანის დადგომა, მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის) იძლევა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით გათვალისწინებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემადგენლობას.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მიყენებული მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა 10 000 ლარის გადახდა. საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობას მორალური ზიანის ფუნქციის, მისი პრევენციული ბუნებისა და მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ოდენობის სასამართლოს მიერ განსაზღვრის თაობაზე, თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, რადგანაც კასატორს დაკისრებული კომპენსაციის ოდენობა სადავოდ არ გაუხდია, მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს დაკისრებული თანხის პროპორციულობაზე.

საქმე №ას-543-518-2016

23 დეკემბერი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი)

ქ. თბილისში, ქ-ის ქუჩაზე №12 მდებარე ა-242 ტიპის სატრანსფორმატორო ელექტროქვესადგურში სხვა არასრულწლოვნებთან ერთად, შევიდა 13 წლის კასატორი, რომელმაც მაღალი ძაბვის ელექტროდენის დარტყმის შედეგად მიიღო ელექტროთერმული ტრავმა სხეულის 17%-ზე, მე-3, მე-4 ხარისხის დამწვრობა. არასრულწლოვანს ჩაუტარდა ორივე ხელის ამპუტაცია, დაკარგა შრომისუნარიანობა 2/3-ზე მეტი ნიშნით.

კასატორი ახალი გადაწყვეტილების მიღებით ითხოვს პროტეზების ცვეთის ან მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, მათი აღდგენის ან შეცვლის პერიოდულად წარმოშობადი ვალდებულების ანუ გასაწევი მატერიალური ხარჯებისა და განცდილი მორალური ზიანის (3 300 000 ლარის ოდენობით) კომპენსაციას, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის დაკისრებული 100 000 ლარიანი კომპენსაცია არ არის მოსარჩელის მიერ განცდილი სულიერი და მორალური ტანჯვის ადეკვატური.

საკასაციო სასამართლოს ნაწილობრივ დასაბუთებულად მიაჩნია პირველი კასატორის (დამარალებულის) საკასაციო პრეტენზია მის სასარგებლოდ დაკისრებული მორალური ზიანის საკომპენსაციო თანხის სიმ-

ცირის ნაწილში; მოსარჩელის მიერ თერმული დაზიანების შედეგად განცდილი ფიზიკური და სულიერი ტკივილი, როგორც დაზიანების დროს, ისე, შემდეგ, ოპერაციისა და მკურნალობის გაწევამდე და თვით ოპერაციის ჩატარების შემდეგაც, როდესაც დაზარალებულს ორივე ხელი ამპუტირებული აქვს, დაკარგული აქვს შრომის უნარი, დამოუკიდებლად საკუთარ თავზე მზრუნველობა და ყოფითი საკითხების, სხვადასხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უჭირს სხვისი დახმარების გარეშე, ბუნებრივია, რომ მას წარმოუშობს არა მხოლოდ უბედური შემთხვევის დროს, დაზარალებულის არასრულწლოვანებისას, არამედ – შემდეგ პერიოდში განცდილი ფიზიკური და სულიერი ტკივილისა და ტანჯვის კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას, რაც, ცხადია, რთული წარმოსადგენია, რომ ფულადი თანხით იმგვარად განისაზღვროს, რომ სამართლიანად და განცდილი მორალური ზიანის (რომელიც როგორც უშუალოდ ზიანის მიყენების დროს განცდილი ემოციური და ფიზიკური ტანჯვისა და ტკივილის, ისე – დაზიანების შემდეგ, ასევე, ოპერაციის შემდეგ, არა მხოლოდ პოსტოპერაციული თანმდევი შესაძლო გართულებების მაქსიმალურად მაკომპენსირებელი, არამედ – დამდგარი მძიმე შედეგის მიხედვით) ადეკვატურ კომპენსაციად იქნეს მიჩნეული. თუმცა, შესაძლო საკომპენსაციო თანხის განსაზღვრისას, საკასაციო სასამართლო, უწინარესად, ყურადღებას გაამახვილებს უმეტადად ყურადღებულ და ჩამოქცეული ნაგებობიდან მომდინარე მომეტებული საფრთხის წყაროთი მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის სიმძიმესა და ხასიათზე და მისი წარუხოცელი სახით მოსარჩელის არა მხოლოდ ფიზიკურ ნაკლად დარჩენაზე, არამედ – იმ ფიზიკურ ტანჯვასა და ტკივილზე, სულიერ განცდებზე, რაც დაზარალებულმა უნდა განიცადოს პრაქტიკულად მუდმივად, მისი ცხოვრების ბოლომდე, თუნდაც პროთეზირების შემთხვევაში, იმგვარი შეზღუდვების სახით, რაც გამოწვეულია თერმული დაზიანებითა და მისი ნაკვალევით, როგორც ფიზიკური ნაკლოვანების, ისე, ემოციური ტანჯვისა და სიმძიმის წარუშლელად დარჩენით.

განსახილველ შემთხვევაში, დაზარალებულისათვის თერმული დაზიანების შედეგად დამდგარი ფიზიკური შედეგის, განცდილი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სულიერი ტრავმის, მისი მუდმივი ხასიათისა და თანმდევი შედეგების გათვალისწინებით (პროთეზირების გარეშე, რაც დამოკიდებულია ინდივიდუალურ შეფასებაზე თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, დამოუკიდებლად პირადი საჭიროებების დაკმაყოფილების შეუძლებლობის, საზოგადო ცხოვრებაში ინტეგრაციის შესაძლო პრობლემების, მათ შორის, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ბარიერების გადალახვის სირთულეების), ამასთან, იმ დათქმით, რომ მატერიალურად ვერ მოხდება დაზარალებულის მიერ განცდილი ზიანისა და ტკივილის ადეკვატური კომპენსაცია, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა იქნეს გაზიარებული და, მის სასარგებლოდ, მოპასუხისათვის (მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელი) უკვე დაკისრებული 100 000 (ასი ათასი) ლარის გარდა, ამ უკანასკნელს დაზარალებულის მორალური ზიანის საკომპენსაციოდ, უნდა დაეკისროს დამატებით 200 000 (ორასი ათასი) ლარის გადახდა.

კასატორის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება პროთეზების ცვეთის ან მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, მათი აღდგენის ან შეცვლის საჭიროებას, რაც, როგორც თვითონ კასატორი მართებულად უთითებს, პერიოდულად წარმოშობადი ვალდებულებაა მოპასუხე საწარმოსათვის, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დაზარალებული უფლებამოსილია შესაბამისი გაანგარიშება პერიოდულად (მისი საჭიროებიდან გამომდინარე) წარუდგინოს მოვალეს (მოპასუხე საწარმოს), რაც ამ უკანასკნელს წარმოუშობს ვალდებულებას, სრულად აუნაზღაუროს პირველ კასატორს მის მიერ გაწეული პროთეზირების, მისი ცვეთის ან მწყობრიდან გამოსვლის, ან პროთეზების აღდგენის ან შეცვლის საჭიროების გამო გაწეული ხარჯები. მოვალის (მოპასუხე საწარმოს, მეორე კასატორის) აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს იმ დელიქტური პასუხისმგებლობიდან, რომლის გამოც ვერ კიდევ მოზარდობის პერიოდში ფიზიკური დანაკარგი-კიდურების ამპუტაციის სახით და მორალურ-ფსიქოლოგიური ტანჯვა განიცადა დაზარალებულმა, რაც მისთვის მიყენებული დაზიანებების ფიზიკურად გამობატული სახისა და ემოციურად (ფსიქოლოგიურად) მუდმივად გადასალახი დაბრკოლებებიდან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და პერიოდულად წარმოუშობს პირველ კასატორს (დაზარალებულს) ზემოხსენებულ ნაწილში მოთხოვნის უფლებას, რაც შესაბამისად – მოვალეს წარმოუშობს ვალდებულებას დააკმაყოფილოს დაზარალებულის კანონიერი მოთხოვნა და ინტერესი.

ამ შემთხვევაში პირველი კასატორის მოთხოვნის ამ ნაწილში, რომელიც, როგორც თვითონვე უთითებს, პერიოდულად წარმოშობადი საჭიროებაა და ამ ეტაპზე არაა გამოხატული კონკრეტული მონეტარული სახით, საკასაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა და დასკვნები, ვერ იქნება ასახული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში.

3.3. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი

საქმე №ას-164-160-2016

28 ივლისი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლოს დაანგარიშების წესი

შემკვეთის საკასაციო პრეტენზია, რომელიც ეხება სამუშაოების ღირებულების დარჩენილი ნაწილის, 230 000 ლარის, მენარდისათვის 22 დღის ვადაგადაცილებით გადახდის გამო, შემკვეთისათვის პირგასამტეხლოს დაკისრებას ნაწილობრივ დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს.

განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან – 4 850 000 ლარი – დაანგარიშებით, მხარეებს შორის შეთანხმდა პირგასამტეხლო ერთ ვადაგადაცილებულ დღეზე – 0,04 %, რაც შეადგენს 1940 ლარს. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 18 დეკემბრის განჩინებით, უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე, მენარდის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ შესრულებული სამუშაოების დარჩენილი ნაწილის ღირებულების – 230 000 ლარის 22 დღის ვადაგადაცილებით, გადახდისათვის შემკვეთს დაეკისრა პირგასამტეხლო 42 680 ლარი (22 X 1940 ლარი), სწორედ ეს არის სააგენტოს საკასაციო პრეტენზიის საგანი.

საკასაციო სასამართლო, სსკ-ის 417-418 მუხლებით დადგენილი პირგასამტეხლოს ფუნქციისა და მიზნიდან გამომდინარე, განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი გადაწყვეტილება/განჩინება არსებობს პირგასამტეხლოს ოდენობის თაობაზე, „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის საფუძველების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმება სასამართლოს კომპეტენციაა“ (იხ. სუსგ №ას-654-620-2015, 17.12.2015წ.). განსახილველ საქმეზე და ანალოგიურ სხვა შემთხვევებში, პირგასამტეხლოს, როგორც მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში (სსკ-ის 319-ე მუხლი) დათქმული პირობის მიუხედავად, **საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს გათვალისწინება, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და კეთილსინდისიერების მინიმალურ სტანდარტს, რადგან რამდენიმე დღის ვადაგადაცილებისათვის, ხელშეკრულების საერთო თანხის გათვალისწინებით, პირგასამტეხლოს დაკისრება, როგორც კრედიტორის დარღვეული უფლებების და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთგვარი სანქცია, თავის ნორმატიულ დანიშნულებას ვერ შეასრულებს. საკასაციო სასამართლო მხარს უჭერს მიდგომას, რომ პირგასამტეხლო დაანგარიშებული იქნეს არა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, არამედ მხარის მიერ ფაქტობრივად შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულებიდან.** განსახილველ შემთხვევაში, შემკვეთი ვალდებული იყო, 230 000 ლარი გადაეხადა მენარდისათვის, თუმცა, მან 22 დღის ვადაგადაცილებით შეასრულა ვალდებულება, მიუხედავად ამისა, ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან პირგასამტეხლოს დაანგარიშება არაგონივრული და შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია,

* აღნიშნულისგან განსხვავებული განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ №ას-1555-1475-2017 საქმეზე, 9.03.2018, კერძოდ: „რაც შეეხება მხარის განმარტებას, რომ პირგასამტეხლო სასამართლოს უნდა ეანგარიშა არა ხელშეკრულების ღირებულებიდან, არამედ შესრულებელი ვალდებულების ღირებულებიდან, აღნიშნული რომც გავიზიაროთ, მაინც არ იარსებებს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიზანს წარმოადგენს არა პირგასამტეხლოს კალკულაციის, არამედ ამ თანხის შესაბამისობის დადგენა ვალდებულების დარღვევის, კრედიტორის მოლოდინისა და მოვალის ინტერესებთან“.

იხელმძღვანელოს სსკ-ის 420-ე მუხლით დადგენილი დისკრეციით და, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში კი, 22 დღის დაგვიანებით სამუშაოების ღირებულების ჩარიცხვისათვის ქვემდგომი სასამართლოების მიერ განსაზღვრული პირგასამტეხლო, როგორც შეუსაბამოდ მაღალი, შეამციროს.

საქმე №ას-2-2-2017

14 ივლისი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დროს პირგასამტეხლოს შემცირება (სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას ერთჯერადი პირგასამტეხლოს 100-100 ლარის მოპასუხისათვის (მოიჯარისათვის) დაკისრების ნაწილში და მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი ამ ნაწილშიც უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან სსსკ-ის 387-ე, 230-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი ამ ნაწილში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარი ეთქვა, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის მიზნიდან გამომდინარე, განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო წარმოების ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 420-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებით ისარგებლოს და პირგასამტეხლოს ოდენობა შეამციროს იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეს (მოიჯარეს) არც სააპელაციო საჩივარი წარუდგენია და არც მის წინააღმდეგ მეიჯარის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრის განსახილველად დანიშნულ სხდომაზე არ გამოცხადდა, არასაპატიო მიზეზით (სსსკ-ის 215.3-ე მუხლი). ამასთან, მოიჯარისათვის ორი ხელშეკრულების დარღვევისათვის გათვალისწინებული ერთჯერადი პირგასამტეხლოს 100-100 ლარის დაკისრება, არ არის შეუსაბამოდ მაღალი.

საქმე №ას-523-496-2014

30 აპრილი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ბე (სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლი)

კასატორის მოსაზრებით, ბეს გადახდის 08.02.2013 წლის ხელშეკრულება ბათილია, ვინაიდან იგი არ არის დადებული კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 311¹ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბე წარმოადგენს ხელშეკრულების დადების ფაქტის მტკიცებულებას (სკ-ის 421-ე მუხლი) და იმავდროულად ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას (სკ-ის 416-ე, 422-ე და 423-ე მუხლები). საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ფაქტის დასადასტურებლად ბეს გადაცემის ხელშეკრულების ფორმა უნდა შეესაბამებოდეს უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის ხელშეკრულების ფორმას, თუმცა პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის იმ მოსაზრებას, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ფორმას, წერილობით ფორმასთან ერთად, წარმოადგენს ასევე ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ფორმას განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი, რომლის მიხედვით, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლს, ეს ნორმა წერილობით ფორმასთან ერთად განამტკიცებს უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის აუცილებელ წინაპირობასა და საკუთრების გადასვლის მომენტს – რეგისტრაციას საჯარო რეესტრში. უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტს ის დანიშნულება გააჩნია, რომ შემძენი მესამე პირების წინაშე მესაკუთრის სტატუსით აღიჭურვება, ვინაიდან უძრავი ქონების შემძენის საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაციამდე, ერთადერთ მესაკუთრედ ითვლება გამსხვისებელი (სკ-ის 312-ე მუხლი). როგორც აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი განსაზღვრავს უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ფორმას, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ფორმის დაცვით

დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, რეგისტრირებულია თუ არა იგი საჯარო რეესტრში, წარმოშობს ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმებით გათვალისწინებულ მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

ბემოალნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია არის არა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა, არამედ უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის აუცილებელი წინაპირობა, შესაბამისად, მისი დაუცველობა იწვევს არა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას, არამედ იმას, რომ შემძენი არ მიიჩნევა შეძენილი უძრავი ქონების მესაკუთრედ და კარგავს ამ ქონების კეთილსინდისიერ შემძენთან შედავების უფლებას (სკ-ის 185-ე მუხლი).

არასწორია ასევე კასატორის მითითება სამოქალაქო კოდექსის 311¹ მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის მიხედვით, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე დადებული გარიგებები ძალაში შედის ამ გარიგებებით განსაზღვრული უფლებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი, რომელზედაც უთითებს კასატორი, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ძალაში შესვლას, ანუ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების წარმოშობას არ უკავშირებს საჯარო რეესტრში ხელშეკრულების რეგისტრაციის ფაქტს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 311¹ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს არა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, არამედ ამავე კოდექსის 289-ე მუხლის (იპოთეკის რეგისტრაცია) პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით, იპოთეკა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ბეს გადახდის 08.02.2013 წლის ხელშეკრულება დადებულია წერილობით და მხარეთა ხელმოწერები დამოწმებულია სანოტარო წესით, შესაბამისად, სწორია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველობის მოტივით ამ ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამსხვისებლისათვის გადაცემული ბეს (10000 აშშ დოლარის) მყიდველისათვის დაბრუნების საფუძველი არ არსებობს.

საქმე №ას-376-360-2016

17 თებერვალი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ბეს ორმაგად დაბრუნება (სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

2015 წლის 26 მარტს მოპასუხემ გამოაცხადა ელექტრონული აუქციონი და გასაყიდად გაიტანა გამოუსადეგარი სამგზავრო ვაგონები, ელმატარებლის ვაგონები და ელმავლები. გამყიდველის მიერ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ იქნა საჯარო ხელშეკრულება, რომელშიც აისახა ინტერნეტაუქციონში მონაწილეობის, აუქციონში გამარჯვებულთან გარიგების გაფორმების წესი და პირობები, მხარეთა უფლება-მოვალეობები, ანგარიშსწორების წესი.

საჯარო ხელშეკრულების მიხედვით, მხარეებს წარმოადგენდნენ მოპასუხე და ნებისმიერი პირი, რომელიც დაეთანხმებოდა ვებგვერდზე საწარმოს მიერ გამოქვეყნებულ ხელშეკრულებას. ამასთან, მონაწილეობის სურვილი და ხელშეკრულების პირობების მოწონება დასტურდებოდა ვებგვერდზე განთავსებული რეგისტრაციის ლილაკზე ხელის დაჭერით.

რეგისტრაციის (ავტორიზაციის) შემდგომ, მონაწილეს ეძლეოდა შესაძლებლობა, ინტერნეტაუქციონის გზით შეეძინა, სარგებლობის ან მართვის უფლებით მიეღო საწარმოს ქონება კონკრეტული ლოტის შესაბამისად. სავალდებულო პირობად განისაზღვრა საწარმოს მიერ დადგენილი საგარანტიო თანხის გადახდა, რომლის წარმოადგენაც შესაძლებელი იყო უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის ან/და ბეს გადახდის გზით.

მომხმარებელს, რომელსაც სურდა მონაწილეობა მიეღო ინტერნეტაუქციონში, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია უნდა წარედგინა ან/და ბე უნდა გადაეხადა თითოეულ ლოტზე. ინტერნეტაუქციონის დასრულების შემდეგ დამარცხებულს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე დაუბრუნდებოდა ინტერნეტაუქციონის დასრულებიდან არა უგვიანეს 7 კალენდარულ დღეში.

ხელშეკრულების 4.13. მუხლის თანახმად, თუ ინტერნეტაუქციონი არ შედგებოდა იმ მიზეზით, რომ აუქციონში რეგისტრირებული პირი არ მიიღებდა მონაწილეობას სააუქციონო ვაჭრობაში, მის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა სრულად ჩაირიცხებოდა საწარმოს ანგარიშზე, ხოლო, 4.14. მუხლის მიხედვით, ინტერნეტაუქციონის შედეგები უქმდებოდა და გამარჯვებული მონაწილის მიერ წარდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა სრულად ირიცხებოდა საწარმოს ანგარიშზე თუ:

- ა) ინტერნეტაუქციონში მონაწილე გამარჯვებული ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარს განაცხადებდა;
- ბ) საწარმოს მიერ განსაზღვრულ ვადაში იგი სრულად არ გადაიხდიდა საფასურს;
- გ) დაარღვევდა ინტერნეტაუქციონში მონაწილეობის მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

მხარეებს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დადებულიყო ინტერნეტაუქციონის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში.

მოპასუხემ მონაწილეობა მიიღო გამყიდველის მიერ 2015 წლის 26 მარტს გამოცხადებულ ინტერნეტაუქციონში და გამარჯვებულად გამოცხადდა ცხრა ლოტზე. აუქციონში მონაწილეობის მიღების მიზნით კი, საჯარო ხელშეკრულების პირობების მიხედვით, საერთო ჯამში გადაიხადა 152 531,43 ლარი;

იმ საფუძველით, რომ აუქციონში გაყიდული ქონების (ელმატარებლის ვაგონები და ელმავლები) ტექნიკური მდგომარეობის აღწერის აქტებში წონის განსაზღვრისას დაშვებულ იქნა ხარვეზები, რაც ზეგავლენას ახდენდა ნასყიდობის საგნის თვითღირებულებაზე, გამყიდველმა უარი განაცხადა ხელშეკრულების დადებაზე, ამასთან, მყიდველს დაუბრუნა ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი 152 531,43 ლარი.

ინტერნეტაუქციონის მეშვეობით ქონების გასხვისების თაობაზე გამყიდველის ქვევის სამართლებრივი შეფასების შედეგად საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ ეს ქმედება წარმოადგენდა მოწვევას ოფერტზე (სკ-ის 329.2 მუხლი). ამ მხრივ სასამართლო მხედველობაში იღებს საქმეში წარმოდგენილი საჯარო ხელშეკრულების შესავალ ნაწილს, სადაც ოფერენტი ხელშეკრულების არსებით პირობებზე იწვევს ნებისმიერ პირს, რომელიც დაეთანხმება ვებგვერდზე, www.eauction.ge-ზე საწარმოს მიერ გამოქვეყნებულ ხელშეკრულებას. ოფერენტი საჯარო ხელშეკრულების შემდეგი დებულებით აზუსტებს პირთა წრეს, რომელთა მიმართაც ახორციელებს შეთავაზებას – ესენი არიან პირები, რომლებიც გაივლიან რეგისტრაციას და გახდებიან ავტორიზებული მომხმარებლები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით გარიგების დადების ფაქტი დგინდება ნების გამოვლენისა და ამ ნების ადრესატის/ადრესატების ქმედების განმარტების ობიექტური შესაძლებლობით, კერძოდ, შეთავაზების ნამდვილობა განისაზღვრება მისი შინაარსით, ოფერტში უნდა იყოს იურიდიული ბოჭვისკენ მიმართული ოფერენტის ნება, რომლის გამოთქმული პირობით აქცეპტირების შემთხვევაში წარმოიშობა ვალდებულება. სწორედ იურიდიულად განსაზღვრული, კონკრეტული პირის/პირთა ჯგუფის მიმართ გამოვლენილი ოფერენტის თვითბოჭავი ნება განასხვავებს ოფერტს (სკ-ის 329.1 მუხლი) ოფერტზე მოწვევისაგან (სკ-ის 329.2 მუხლი). ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ინტერნეტაუქციონის შემთხვევაში, გამყიდველის მიერ საქონლის სარეალიზაციოდ გამოყენებული ვებსაიტის აქტივაცია, განიხილება ნამდვილი ნების გამოვლენად და არა მოწვევად ოფერტზე. თავის მხრივ, ოფერტის იურიდიულ ბუნებას არ ეწინააღმდეგება სპეციალური დათქმები, როგორცაა, მაგალითად: ფასები საბოლოო არ არის, მიწოდება ექვემდებარება დამატებით შეთანხმებას და ა.შ. ამდენად, კასატორის პოზიცია, რომ საჯარო ხელშეკრულება წარმოადგენს მოწვევას ოფერტზე, რაც ასევე დასტურდება ხელშეკრულების 6.1. მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (ოფერენტის უფლება, შეცვალოს ინტერნეტაუქციონის წესი და პირობები, ასევე, შეწყვიტოს იგი ტექნი-

კური თუ სხვა პრობლემის გამო), არასწორია, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 329-ე და 330-ე მუხლების კონტექსტში, ოფერტი ხელშეკრულებად განიხილება აქცეპტირების ეტაპიდან, წინადადების დადასტურებამდე ოფერენტს ნებისმიერ დროს შეუძლია გამოირიცხოს სახელშეკრულებო თვითბოჭვა.

განსახილველ საკითხს თუ მივუბრუნდებით, უნდა აღინიშნოს, რომ გამყიდველის საჯარო ხელშეკრულება წარმოადგენს სწორედ ოფერტს – მოპასუხის მზაობას, შეთავაზებაში გამოთქმული პირობით შევიდეს ნასყიდობის სამართლებრივ ურთიერთობაში აუქციონში გამარჯვებულ პირთან, თუმცა, უნდა შეფასდეს თვითონ საჯარო ხელშეკრულება რა სამართლებრივი დატვირთვის მატარებელია. ამ შემთხვევაში, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ ეს ხელშეკრულება არასწორად მიიჩნია წინარე ხელშეკრულებად, რომელთან მიმართებაშიც, იურიდიულად არათავსებადია ბეზე შეთანხმების დაშვება, რამეთუ წინარე ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, წარმოშობს ძირითადი ხელშეკრულების დადების და არა ძირითადი ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ვალდებულებას, ხოლო, სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლის შესაბამისად, ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი. თავის მხრივ, სააპელაციო სასამართლომ საჯარო ხელშეკრულების წინარედ მიჩნევის საფუძვლად დაუდო თავად ამ ხელშეკრულების 5.2. მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმადაც, აუქციონის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში გამყიდველსა და მყიდველს შორის ფორმდებოდა ხელშეკრულება ვებგვერდზე გამოქვეყნებული შესაბამისი ლოტის საინფორმაციო ველში მითითებული პირობებით, რაც შემძენს საფასურის სრულად გადახდის ვალდებულებას წარმოუშობდა და სწორედ საფასურის სრულად გადახდას უკავშირებდა გამყიდველი ხელშეკრულების საგანზე მყიდველის საკუთრების უფლების წარმოშობას.

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საჯარო ხელშეკრულება წარმოადგენდა მოპასუხის მხრიდან ოფერტის გაკეთებას ელექტრონული აუქციონის ვებგვერდზე რეგისტრირებული/ავტორიზებული მომხმარებლისათვის და ამ ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება იდებოდა იმ მომხმარებელთან, რომელიც აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდებოდა, ანუ უმაღლესი ფასის წარდგენით ახორციელებდა გამსხვისებლის შეთავაზების აქცეპტირებას გადადების პირობით ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლების წარმოშობის თაობაზე, თავის მხრივ, გადადების პირობა ითვალისწინებდა ფასის გადახდის ვადას, რაც წერილობით უნდა გაფორმებულიყო და აქცეპტანტს ამ მომენტიდან წარმოეშობოდა ქონებაზე საკუთრების უფლება.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ საჯარო ხელშეკრულების ის დებულებები, რომლებიც საგარანტიო თანხის გადახდის ვალდებულებას ადგენენ (4.2.; 4.11.; 4.12. პუნქტები), ერთად მოიხსენიებიან აუქციონში მონაწილეობის მსურველის მიერ გადასახდელ ბედ და საბანკო გარანტიად, რაც, სამართლებრივად გადახდილი თანხის არა ბედ, არამედ, აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლების მოსაპოვებელ საგარანტიო თანხად მიიჩნევა. **პალატის მოსაზრებით, პირობადებული საკუთრების შემთხვევაში (განსხვავებით წინარე ხელშეკრულებისაგან), როდესაც სახეზეა ნამდვილი სახელშეკრულებო ურთიერთობა, სავსებით დასაშვებია გამოყენებულ იქნას მხარეთა მიერ მოთხოვნის უზრუნველყოფის, როგორც სანივთო, ისე – ვალდებულებითი საშუალება.** ვალდებულებით-სამართლებრივ საშუალებათაგან ერთ-ერთს კი, წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლით გათვალისწინებული ბე, რომელსაც ორმაგი ბუნება აქვს: ერთი მხრივ, ადასტურებს ხელშეკრულების დადებას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნას.

საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების დასკვნებს ბეს სამართლებრივი ბუნების თაობაზე და წინამდებარე განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.2.4.-1.2.5. პუნქტების გათვალისწინებით, თვლის, რომ აუქციონში მონაწილე პირის მხრიდან ვებგვერდზე ავტორიზაციით/რეგისტრაციით, ბეს გადახდით, აუქციონში მონაწილეობითა და ცხრა ლოტზე უმაღლესი ფასის შეთავაზებით მხარეთა შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც გამყიდველის ბრალით იქნა დარღვეული (ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილი ეს გარემოება საკასაციო საჩივრით შედავებული არ არის), ეს გარემოება კი, გამყიდველს, რო-

გორც ბეს მიმღებს წარმოუშობს მის ორმაგად დაბრუნების ვალდებულებას, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილისა. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს გამყიდველის მიერ მოსარჩელისათვის გადახდილი ბეს სრულად დაბრუნების ფაქტი, პალატა თვლის, რომ სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოპასუხისათვის დამატებით 152 531,43 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი მართებულად იქნა მიჩნეული საფუძვლიანად.

3.4. ვალდებულების შეწყვეტა

საქმე №ას-546-514-2012

24 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ვალდებულების შესრულების მიღება (სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შემოხსენებულ მსჯელობას, ვინაიდან იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს არ დაუდგენია, არსებობდა თუ არა მხარეთა შეთანხმება ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების, ანუ ნასყიდობის ფასის ნაწილ-ნაწილ გადახდის თაობაზე, შეუძლებელია განსახილველი ურთიერთობის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად შესრულების პრეზუმფციის გამოყენება.

საქმე №ას-708-678-2016

27 იანვარი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა (სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლი)

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა შემკვეთის ის მოსაზრებაც, რომ 2013 წლის 12 დეკემბრის წერილობითი პრეტენზიის მიღების დღიდან მას არ გააჩნდა მენარდისათვის 7132 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება, რადგანაც ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით შეწყდა ვალდებულება. სააკასაციო სასამართლომ სსკ-ის 442-ე მუხლის პირველ ნაწილი ამგვარად განმარტა: „ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რა დროსაც სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის სავალდებულოა ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა, ხოლო მეორე პირის მიერ მისი მიღება... მისი ქმედითობა დამოკიდებულია მეორე პირის მიერ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ნების მიღებასა და გასაქვითი ვალდებულების არასადავოობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ გარიგების დადება შესაძლებელია მაშინ, როდესაც მხარეების მიერ აღიარებულია და სადავოდ არ არის გამხდარი ვალდებულება და მისი მოცულობა. განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება, რომ მენარდემ აღიარა შემკვეთის მიმართ ვალდებულების არსებობა...“ პალატამ დაასკვნა, რომ სსსკ-ის 102.1-ე მუხლის მიხედვით, ამ გარემოებათა დადასტურება შემკვეთის ვალდებულებას წარმოადგენდა და მხოლოდ მისი ნების არსებობა მოთხოვნის გაქვითვის თაობაზე საკმარისი არ იყო გაქვითვის სამართლებრივი შედეგის განსახორციელებლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გაქვითვა წარმოადგენს პირის მატერიალურ-სამართლებრივ აღმჭურველ უფლებას და ამ უფლების რეალიზაციას ერთ-ერთი მხარე მეორე მხარისათვის შეტყობინებით ახდენს. შესაბამისად, მხარეს ამ უფლების განსახორციელებლად არ სჭირდება სასამართლოსათვის დამოუკიდებელი სარჩელით მიმართვა ან დაწყებულ პროცესში შეგებებული სარჩელის აღძვრა და ზედმეტი სასამართლო ხარჯების გაწევა. პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მას შეუძლია, წარადგინოს მოთხოვნის მომსაზრებელი შესაგებელი. ის, რომ განსახილველ საქმეში შეტყობინების მიმღები მხარე (მენარდე) არ დაეთანხმა გაქვითვას, ვერ შეცვლის სამართლებრივ სურათს. აღნიშნული დასკვნა შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარეა: მენარდის ძირითად ფულად მოთხოვნას შემკვეთმა დაუპირისპირა პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება, რომელიც ვადამოსული და შესაგებლისაგან თავისუფალი იყო. სააკასაციო სასამართლო 7 132 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულების შეწყვეტას უკავშირებს მეორე კასატორის მიერ

პირველი კასატორისათვის შეტყობინების გაგზავნის მომენტს. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სსკ-ის 442-ე მუხლის პირველი ნაწილის სააპელაციო სასამართლოსეულ განმარტებას. აღნიშნული ნორმა შემკვეთს ანიჭებდა უფლებას, შესაბამისი წინაპირობების განხორციელების შემთხვევაში, მთლიანად ან ნაწილობრივ შეეცვალა მენარდის უფლებრივი მდგომარეობა და ამ უკანასკნელის სასარგებლოდ 7 132 აშშ დოლარის გადახდისაგან გათავისუფლებულიყო, მიუხედავად იმისა, ეთანხმებოდა თუ არა ამას მეორე მხარე. მენარდის თანხმობის საჭიროება მხოლოდ მაშინ იარსებებდა, თუ გასაქვითი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ დამდგარი არ იქნებოდა (სსკ-ის 442-ე მუხლის მეორე ნაწილი). მოცემულ შემთხვევაში, შემკვეთმა 2013 წლის 27 დეკემბრის წერილით წარადგინა მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი. მის მიერ გამოვლენილ ცალმხრივ ნებას (სსკ-ის 51-ე მუხლი) შესაბამისი სამართლებრივი შედეგი მოჰყვა, რადგანაც სახეზე იყო გარიგების ნამდვილობის ყველა წინაპირობა: უფლებამოსილი პირის მიერ გაქვითვაზე გამოვლენილი ნება, რომელიც ადრესატს მიუვიდა, გასაქვითი მოთხოვნების ერთგვაროვნება (ორივე მათგანი ფულადი ხასიათისაა), ურთიერთმოთხოვნათა შესრულების ვადის დადგომა და სსკ-ის 447-ე მუხლით გათვალისწინებული გაქვითვის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობა.

4. სახელშეკრულებო სამართლის კერძო ნაწილი

4.1. ნასყიდობა

საქმე №ას-381-381-2018

04 მაისი, 2018 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობის დადასტურება ანგარიშფაქტურით

მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მოსაზრება, რომ არარსებული მტკიცების მოვალეობა დაეკისრა მყიდველს (მოპასუხეს) გაზიარებული ვერ იქნება, გამომდინარე იქიდან, რომ გამყიდველისათვის დაკისრებული საპროცესო მოვალეობის შესრულების მიზნით, საქმეში წარმოდგენილ ანგარიშფაქტურებს, რაც გამყიდველის მითითებით ადასტურებდა საქონლის მიწოდების შესახებ სადავო გარემოებას და წარმოუშობდა მყიდველს საფასურის გადახდის მოვალეობას, სწორად მიენიჭა მტკიცებულების მნიშვნელობა სსკ-ის 477-ე მუხლის მიზნებისათვის. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისათვის უნდა დადგინდეს მატერიალურ სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული გარკვეული იურიდიული ფაქტების (იურიდიული შემადგენლობის) უტყუარად არსებობა, რაც შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დაშვებული მტკიცებულებებით. ამასთან, ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად მტკიცებულებათა მიღება და შეგროვება უნდა განხორციელდეს განსკუთვნილობისა და დასაშვებობის პრინციპების მოთხოვნათა გათვალისწინებით. კანონი დაუშვებელ მტკიცებულებათა რიგს, გარდა კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებებისა, მიაკუთვნებს ასევე ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც, მიუხედავად მათი შინაარსისა, არ არის ვარგისი ამა თუ იმ გარემოების სამტკიცებლად, ვინაიდან ამ გარემოების დამამტკიცებელი დოკუმენტის სახე თვითონ კანონმა – კონკრეტულმა ნორმამ განსაზღვრა, ანუ ეს ის შემთხვევაა, როდესაც კანონი ითვალისწინებს გარკვეული გარემოების გარკვეული მტკიცებულებებით დამტკიცებას. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა მტკიცებულებებით (სსკ-ის 102-ე მუხლის მესამე ნაწილი). მოცემული შემთხვევა განსხვავდება მტკიცების სპეციალური სტანდარტის არსებობის აუცილებლობისაგან [სსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი], გამომდინარე იქიდან, რომ ნასყიდობის მარეგულირებელი ნორმები მოძრავ ნივთებთან (განსახილველ შემთხვევაში, პროდუქცია) რაიმე მითითებას სპეციალური მტკიცებულების არსებობაზე არ შეიცავს. მაშასადამე, რელევანტურ მტკიცებულებად უნდა იქნეს მიჩნული გამყიდველის მიერ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურები. იმავდროულად, გასათვალისწინებელია ანგარიშფაქტურების, როგორც ვარგისი მტკიცებულების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა (იხ., სუსგ №ას-599-574-2016, 23 სექტემბერი, 2016 წელი), რომელშიც საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 175-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა წარმოადგენს ჩათვლის დოკუმენტს. მისი ფორმები, შევსებისა და წარდგენის წესი რეგულირდება კანონით. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, რომლის გამოწერისა და წარდგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. ამასთან, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი უფლებამოსილია, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოიწეროს და საქონლის/მომსახურების მიმღებს წარუდგინოს მხოლოდ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებისას. ანგარიშ-ფაქტურა საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობებში ცვლის როგორც სასაქონლო ზედნადებს, ისე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (მათ შორის, სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებს) და მისი გამოწერის/გამოუწერლობის შემთხვევაში დგება ყველა ის სამართლებრივი შედეგი, რომლებიც სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების) გამოწერისას/გამოუწერლობისას. იმ პირობებში, როდესაც მოპასუხემ დაადასტურა მოსარჩელის მიერ გამოწერილი ანგარიშფაქტურა, იგულისხმება, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების სერვისის მოიცავს საქონლისა და მომსახურების მიწოდების რთული პროცესების ერთობ-

ლიობას, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკური ჯაჭვით. აღნიშნულ პროცესებში მონაწილეობას იღებს, როგორც სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამომწერი (გამყიდველი), ასევე, მიმღები (მყიდველი) და შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი. ანგარიშ-ფაქტურის მყიდველის მიერ დადასტურებისას, უტყუარად ივარაუდება, რომ მან მიწოდებული საქონელი შეიძინა, ვინაიდან ანგარიშ-ფაქტურა იგზავნება უშუალოდ მყიდველთან და მის დადასტურებაზე ხელი არ მიუწვედება სხვა მესამე პირს. ანგარიშ-ფაქტურის გამომწერისა და დადასტურებისას, მხარეები განსაზღვრავენ საქონლის ტრანსპორტირების დაწყების თარიღს, აღიარებენ საქონლის მიწოდებასა და მის მიღებას.

საქმე №ას-515-515-2018

6 ივლისი, 2018 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნის ხანდაზმულობა

შპს „ლ.-ამ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ 74 554 ლარის დაკისრების შესახებ.

მოსარჩელის განმარტებით, 2010-2011 წლებში მოპასუხეს მიაწოდა სხვადასხვა სახის კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე საქონელი. თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქონლის მიწოდებაზე ფორმდებოდა მიღება-ჩაბარების აქტები, რომელთაც ხელს აწერდნენ სამინისტროს სხვადასხვა წარმომადგენლები. 2012 წლის 27 და 28 დეკემბერს სამინისტრომ გადმოირიცხა მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ნაწილი და გადასახდელი დარჩა 74 554 ლარი, რომელიც არ დაუფარავს. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სარჩელი ხანდაზმულია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 74 554 ლარის გადახდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 73 770 ლარის გადახდა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, სსკ-ის 477-ე მუხლის თანახმად მოქმედებს პრეზუმცია, რომ მყიდველის მიერ გამყიდველისათვის შეთანხმებული ფასის გადახდა ხდება ნაყიდი ქონების მიღებისას, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს კასატორის (მოპასუხის) პრეტენზიას იმ ნაწილში, რომ სააპელაციო პალატას მოთხოვნის ხანდაზმულობის შემოწმებისას არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 365-ე მუხლი, თუმცა ამის მიუხედავად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოთხოვნა მაინც არ არის ხანდაზმული შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე:

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს გამყიდველის 2012 წლის 01-10-12 საპრეტენზიო წერილზე მყიდველის მიმართ, რომლითაც გამყიდველმა მოითხოვა 2010-2011 წლებში განხორციელებული შესყიდვებიდან გამომდინარე, ნასყიდობის საფასურის გადახდა. 2012 წლის 26-28 დეკემბერს მყიდველმა გამყიდველს საბანკო გადარიცხვების გზით აუნაზღაურა მიწოდებული საქონლის ღირებულების ნაწილი, ხოლო ნასყიდობის საფასურის დარჩენილი ოდენობის ანაზღაურებაზე უარი განუცხადა იმ საფუძველით, რომ წარდგენილი დოკუმენტაცია ფინანსების მართვის დეპარტამენტისათვის არ არის საკმარისი თანხის ასანაზღაურებლად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე აღიარებს მოთხოვნის არსებობას, ხოლო სსკ-ის 141-ე მუხლის თანახმად კი, თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, გამყიდველისათვის (მოწინააღმდეგე მხარე) ნასყიდობის საგნის დარჩენილი საფასურის – 73770 ლარის გადახდის მოთხოვნის ხანდაზმულობის

ვადა დაიწყო 2012 წლის 29 დეკემბრიდან, სარჩელი კი აღძრულია 2015 წლის 8 ივლისს, აქედან გამომდინარე, სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნა არ არის ხანდაზმული.

საქმე №ას-708-674-2015

28 სექტემბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგარანტიო ვადაში ნასყიდობის საგანზე გამოვლენილი ნაკლის საგარანტიო პირობებთან შესაბამისობის მტკიცების ტვირთი

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ ნასყიდობის საგანი – მობილური ტელეფონი 2014 წლის 19 თებერვალს – საგარანტიო ფურცლით განსაზღვრული ნივთის ვარგისიანობის ვადაში გამოირთო და შეწყვიტა ფუნქციონირება. ბ. უ.-ამ შპს “ი.-“ს 2014 წლის 21 თებერვალს პრეტენზიით მიმართა და მოითხოვა, ნივთის ნაკლის გამოსწორება საგარანტიო ფურცლის პირობათა შესაბამისად. დადგენილია ისიც, რომ შპს “ი.-“ის განმარტებით, მას არ გააჩნდა ნასყიდობის საგნის შეკეთების ვალდებულება, ვინაიდან დაზიანება არ შეესაბამებოდა გარანტიის პირობებს, დაზიანება გამოწვეული იყო დენის ცვალებადობით, რაც გამყიდველის ამრით, საგარანტიო მომსახურებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

ამდენად, კვლევის საგანს წარმოადგენდა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ გამოწვეული იყო თუ არა ტელეფონის დაზიანება გამყიდველის ბრალით და შედიოდა თუ არა ნაკლის გამოსწორება გარანტიის პირობებში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში არსებობს მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური და ზოგადი წესები. ზოგიერთ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის განაწილების წესები ჩამოყალიბებულია მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებში და გამოხატულია იმპერატიული ფორმით. მატერიალური კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზოგიერთ საგამონაკლისო შემთხვევებში, ფაქტების მითითების ტვირთი და დამტკიცების ტვირთი ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს. ეს ის საგამონაკლისო შემთხვევებია, როდესაც სამართალწარმოება ძირითადად მოწინააღმდეგე მხარის მტკიცების ტვირთი უნდა იყოს. **საკასაციო პალატის მითითებით, ამ შემთხვევაში, სწორედ გამყიდველი იყო ვალდებული ემტკიცებინა, რომ მობილურ ტელეფონზე წარმოშობილი დაზიანება არ შეესაბამებოდა გარანტიის პირობებს და გარანტიის გამცემს არ გააჩნდა დაზიანების აღმოფხვრის შესაბამისი ვალდებულება, რაც შპს “ი.-“მა ვერ განახორციელა.**

დაზიანების გამომწვევი მიზეზის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულების წარმოდგენლობა კი, სწორად იქნა შეფასებული შპს “ი.-“ის პროცესუალური ვალდებულების სათანადოდ შეუსრულებლობად, რამაც საბოლოოდ მის მიმართ არახელსაყრელი მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის დადგომა განაპირობა.

კასატორის მიერ წარმოდგენილი ცნობა კი, რომლის თანახმად, მოდელ I.- 5s Space Gray-ზე არ იკითხება საიდენტიფიკაციო ინფორმაცია, დაზიანებულია დედადაფა (motherboard) კერძოდ, პროცესორი და დაზიანება გამოწვეულია ექსპლოატაციის პირობებში (მაგ: მექანიკური ზემოქმედებით, დენის ცვალებადობით) და აპარატი საჭიროებს დედადაფის შეცვლას, არ იქნა მიჩნეული ამ ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებად. რადგანაც, სასამართლოს მითითებით, აღნიშნული ცნობა მიუთითებდა ექსპლოატაციის პირობებში ანუ, მობილური ტელეფონებით სარგებლობისას მის დაზიანებაზე. აღნიშნული დასკვნა არ შეიცავდა მსჯელობას მყიდველის მიერ ნასყიდობის საგნის არასწორი ექსპლოატაციისა და ამდენად, დაზიანების მყიდველის ბრალით გამოწვევის შესახებ. ამასთან, აღნიშნული დასკვნის გამცემი სპეციალისტი მაგალითისათვის, საგარაუდოდ მიუთითებდა, თუ რას შეიძლებოდა გამოეწვია დაზიანება, კერძოდ, მისი მითითებით „დაზიანება გამოწვეულია ექსპლოატაციის პირობებში (მაგ: მექანიკური ზემოქმედებით, დენის ცვალებადობით)“. შესაბამისად, მითითებული ცნობით შპს შპს “ი.-“ ვერ ასახულებდა, რომ დაზიანება მართლაც დენის ძაბვის ცვალებადობის შედეგი იყო, რაც ამ საფუძველით, მისი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად ვერ იქნებოდა მიჩნეული.

განმარტების საგანი: ნაკლის მქონე ნივთის მიღება მყიდველის მიერ (სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო უთითებს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მყიდველმა გადაიხადა ნასყიდობის საგნის ღირებულების მხოლოდ ნაწილი – 50 000 აშშ დოლარი, დარჩენილი 950 000 აშშ დოლარი მას არ გადაუხდია. გამყიდველმა მყიდველის სარჩელისგან თავის დასაცავად აღძრა შეგებებული სარჩელი, რომლის დაკმაყოფილება მთლიანად გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. კერძოდ, მყიდველმა მიუთითა უძრავი ქონების უფლებრივ ნაკლზე.

მაშასადამე, საქმეში წარმოდგენილია ორი სარჩელი: უძრავი ქონების გამყიდველის პირვანდელი სარჩელი, რომლითაც იგი ითხოვს ნასყიდობის საგნის ღირებულების მეორე ნაწილის – 950 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრებას მყიდველისთვის და მყიდველის შეგებებული სარჩელი, რომლითაც იგი, უთითებს რა უფლებრივ ნაკლზე, ითხოვს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლით, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენასა და მოსარჩელისთვის 50 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრებას.

დადგენილია, რომ 2013 წლის 31 მაისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით შექმნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №--) შპს „ს-ის“ სასარგებლოდ 2000 წლის 13 ოქტომბერს 20 წლის ვადით გაცემულია წიაღით სარგებლობის შესახებ ლიცენზია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლის თანახმად, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. ამავე კოდექსის 489-ე მუხლის თანახმად, ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო. მოცემული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, კანონმდებელი ნივთის უფლებრივი ნაკლის არსებობას უკავშირებს ისეთ გარემოებას, როდესაც მესამე პირს გასასხვისებელი ნივთის მიმართ თავისი სანივთო ან ვალდებულებითი სახის უფლება გააჩნია. შესაბამისად, მესამე პირის უფლების რეალიზაცია იწვევს შემქმნის უფლებათა შეზღუდვას, თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს შექმნილ ნივთს და იმავდროულად წარმოშობს გამყიდველის პასუხისმგებლობის საფუძვლებს.

უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულების დარღვევა მყიდველს წარმოუშობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 490-ე-492-ე მუხლებით გათვალისწინებულ ნაკლის გამოსწორების, ფასის შემცირების ან ხელშეკრულების მოშლის უფლებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსხვავებულ მოწესრიგებას გვთავაზობს მეწარმე სუბიექტებთან მიმართებით. კერძოდ, 495-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მყიდველი მეწარმეა, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი; თუკი იგი ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა, არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას, მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება.

საკასაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებას, რომ კანონმდებლის მიერ საკითხის მსგავსი მოწესრიგება განპირობებულია იმით, რომ მეწარმე კერძო-სამართლებრივი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელ რისკებს უკეთ აღიქვამს. ის ფაქტი, რომ სამოქალაქო ბრუნვაში მეწარმის მიერ განხორციელებული ქმედება გონივრული და კონსტრუქციული უნდა იყოს, წარმოადგენს პრეზუმფციას, რომელიც თავისი ბუნებით იურიდიული ფიქციაა და ამ ვარაუდს არ აუქმებს შემდგომში მეწარმე პირის მიერ გამოჩენილი წინდაუხედაობა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას, რომ ზემოაღნიშნული მუხლი მისი გამოყენების წინაპირობად ერთმნიშვნელოვნად მყიდველის მეწარმეობას ადგენს. თუმცა, მისი გამოყენება შესაძლებელია არამხოლოდ მაშინ, როდესაც გარიგების ერთ-ერთი ან ორივე მხარე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სუბიექტია, არამედ – მაშინაც, როდესაც ნივთის შექმნას სამეწარმეო მიზანი გააჩნია. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის განმარტებისას მხარის სტატუსს განსაზღვრავს სწორედ მის მიერ დადებული ხელშეკრულების მიზანი.

საკასაციო სასამართლო უთითებს მყიდველის მიერ წარდგენილ შეგებებულ სარჩელზე, რომლის თანახმად, მიწის შეძენის საფუძველს წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ მიწიდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება კლინკერის სახით, რომელიც გამოიყენება ცემენტის წარმოებისათვის და იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების შეფასებას, რომ მყიდველს მიწის ნაკვეთის შეძენასთან მიმართებით გააჩნდა სწორედ სამეწარმეო მიზანი.

საკასაციო პალატა უთითებს ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ გამყიდველი ხელშეკრულების დადებისას შეგნებულად დუმდა ნივთის ნაკლზე, რაც გამორიცხავს სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას და, რასთან დაკავშირებითაც კასატორს (მოსარჩელეს) წარმოდგენილი აქვს დასაბუთებული შედაგება.

სააპელაციო სასამართლომ სადავო ფაქტობრივი გარემოება დაადგინა თავად მოსარჩელის ახსნა-განმარტებით, რომ მოპასუხე (შეგებებული სარჩელის მოსარჩელე) არ დაინტერესებულა და ამის შესახებ მოსარჩელისთვის (შეგებებული სარჩელის მოპასუხისთვის) ცნობილი არ იყო. სააპელაციო პალატა მოცემულ ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელისთვის ცნობილი იყო მიწის ნაკვეთზე წიაღით სარგებლობის შესახებ ლიცენზიის არსებობის თაობაზე, თუმცა, მას აღნიშნული ფაქტის შესახებ მყიდველისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია, ვინაიდან მყიდველი მოცემული საკითხით არ დაინტერესებულა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის ზემოაღნიშნული ახსნა-განმარტება არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ იგი შეგნებულად დუმდა ლიცენზიის არსებობის თაობაზე, ზემოაღნიშნული განმარტება მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ მისთვის ცნობილი არ იყო მოპასუხის სამეწარმეო მიზნების თაობაზე, რადგან თავად მყიდველი არ დაინტერესებულა აღნიშნული საკითხით.

საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს სააპელაციო სასამართლოს მეორე არგუმენტზეც. სახელდობრ, სააპელაციო პალატა უთითებს, რომ, რადგან ნაცდობის საგნის გამოყენება შესაძლებელია სპეციფიკური ფუნქციური დანიშნულებით, როგორცაა მიწიდან წიაღისეულის მოპოვება და რის თაობაზეც გაცემულია გრძელვადიანი ლიცენზია, გამყიდველი მოვალეა აღნიშნული გარემოების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მყიდველს იმისდა მიუხედავად, თუ რა დანიშნულებით და რა მიზნით ყიდულობს მყიდველი უძრავ ქონებას. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ მყიდველის შეგებებულ სარჩელს, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ მიწის ნაკვეთს სხვა დანიშნულება არ გააჩნია და მისი შეძენის ერთადერთი საფუძველი იყო სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს. საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის პოზიციას, რომ მიწის ნაკვეთის მხოლოდ სპეციფიკური დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობა საქმის მასალებით არ დასტურდება, პირიქით, საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ მიწის ნაკვეთი არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში არ მოიპოვება სხვა რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა იმ ფაქტს, რომ გამყიდველი შეგნებულად დუმდა ნივთის უფლებრივ ნაკლზე. ამასთან, სადავო ფაქტობრივი გარემოების მტკიცების ტვირთი იყო მოპასუხის მხარეზე, რომლის რეალიზება მან ვერ განახორციელა შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის გზით.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს კასატორის მიერ მითითებულ იმ გარემოებაზეც, რომ მყიდველი გარიგების დადებიდან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეგნებულად დუმდა ლიცენზიის საკითხთან დაკავშირებით, არ გამოუთქვამს პრეტენზია. მოსარჩელე თუ არ დაყენებდა ფასის გადახდის მოთხოვნას, მოპასუხე არ მიუთითებდა უფლებრივ ნაკლზე და სავარაუდოდ განუსაზღვრელი ვადით გადაიწვედა ვალდებულების შესრულებაც, რაც დამატებით ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ მან დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა ნივთის დაუყოვნებლივ

შემოწმებისა და შესაბამის ვადაში გამყიდველისთვის პრეტენზიის წარდგენის თაობაზე. აღნიშნული ვალდებულების დარღვევა კი მყიდველს ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლებას უკარგავს.

მოცემულ შემთხვევაში კასატორის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზიის განხილვის შედეგად არ დადასტურდა სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის პირველი ნაწილის გამომრიცხველი მე-2 ნაწილის შემადგენლობის არსებობა, რაც მოსარჩელის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

საქმე №ას-1069-1028-2016

7 ივლისი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ნასყიდობის საგნის ნაკლის გამო ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში ორმხრივი რესტიტუციის წესი (სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს, რომ მხარეთა შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება. სსკ-ის 477-ე მუხლის თანახმად გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს ნასყიდობის საგანი, ხოლო მყიდველი მოვალეა გადაიხადოს შეთანხმებული ფასი. სსკ-ის 487-ე და 488-ე მუხლების თანახმად ნივთი უნდა იყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს ნივთობრივ ნაკლზე, რადგან საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნასყიდობის საგანი – ნახატი არ აღმოჩნდა ელენე ახვლედიანის მიერ შესრულებული, როგორც ეს ნასყიდობის ხელშეკრულებით იყო შეთანხმებული.

საქმის მასალებიდან გამომდინარე უდავოა, რომ გამყიდველმა ისარგებლა სსკ-ის 405.1-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებით და უარი თქვა ხელშეკრულებაზე (ხელშეკრულებიდან გავიდა). შესაბამისად, სსკ-ის 352.1-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა – ნატურით დაბრუნების ვალდებულება წარმოიშვა. მხარეები ვალდებული არიან, ერთმანეთს დაუბრუნონ მიღებული შესრულება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 352-ე მუხლი, რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმას, ანუ ურთიერთობიდან გასვლას ეხება, სამართლებრივი შედეგის სახით იწვევს ორმხრივ რესტიტუციას. ამისგან განსხვავებით, ხელშეკრულების შეწყვეტა სამართლებრივად არ წარმოშობს მხარეთა რესტიტუციას. საგულისხმოა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ, მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი პირველადი ვალდებულების შესრულებისაგან და გარდაიქმნებიან რესტიტუციის კრედიტორად, რომელიც ამ შემთხვევაში, მოსარჩელეა, და რესტიტუციის მოვალეა (მოპასუხე).

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სსკ-ის 354-ე მუხლზე (*ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები მხარეებმა უნდა შეასრულონ ერთდროულად*) და აღნიშნავს, რომ გამყიდველის ვალდებულებაა დააბრუნოს ნასყიდობის საფასური – 13 000 აშშ დოლარი, ხოლო მყიდველის ვალდებულებაა დააბრუნოს ნასყიდობის საგანი – ნახატი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ორმხრივი რესტიტუცია უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად: მოპასუხემ/გამყიდველმა მოსარჩელეს/მყიდველს უნდა გაუხადოს ნასყიდობის საფასური – 13 000 (ცამეტი ათასი) აშშ დოლარი მას შემდეგ, რაც მყიდველი/მოსარჩელე გამყიდველს/მოპასუხეს დაუბრუნებს ნასყიდობის საგანს – ნახატს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში თუ გამყიდველი არ მიიღებს შესრულებას – არ დაიბრუნებს ნახატს, მოსარჩელეს შეუძლია იხელმძღვანელოს სსკ-ის 434-ე მუხლის დანაწესით და შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოსა ან ნოტარიატში/დეპონირება. დეპონირებით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან (*სსკ-ის 434.2-ე მუხლი*).

მას შემდეგ, რაც მოსარჩელე მოპასუხეს გადასცემს ნახატს ან მოახდენს მის დეპონირებას და ამის დამადასტურებელ მტკიცებულებას მოიპოვებს, მას შეეძლება მოპასუხეს მოსთხოვოს ნასყიდობის საფასურის – 13 000 აშშ დოლარის უკან დაბრუნება. იმ შემთხვევაში თუ მოპასუხე ნებაყოფლობით არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, მოსარჩელეს შეეძლება იხელმძღვანელოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით იძულებითი აღსრულების შესახებ.

4.2. ჩუქმბა

საქმე №ას-728-696-2014

27 იანვარი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ჩუქმების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო (სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლი)

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2012 წლის აგვისტოში ნ. ბ-სა და ჯ. ო-ს შორის დაიდო ზეპირი ხელშეკრულება ჰასკის ჯიშის ძაღლის ლეკვის ჩუქმების თაობაზე;

ჰასკის ჯიშის ლეკვი „ლულუ“ იმყოფება ჯ. ო-ის მფლობელობაში;

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება იმის შესახებ, რომ ჯ. ო-ე სათანადოდ უვლიდა ნაჩუქარ ძაღლს. ამასთან, მას არ გამოუვლენია უმადურობა ნ. ბ-ის მიმართ.

განსახილველ შემთხვევაში, რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებას, რომ მოპასუხე სათანადოდ არ უვლის ძაღლს, მის მიერ დადასტურებული ვერ იქნა. მოსარჩელემ ასევე ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ მოპასუხემ მას მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა ან დიდი უმადურობა გამოავლინა. რაც შეეხება მოსარჩელის პრეტენზიას, ძაღლის ნახვასთან ან ინფორმაციის მიუწოდებლობასთან მიმართებაში, სასამართლომ აღნიშნა, რომ არც აღნიშნული გარემოებები იქნა დადასტურებული, თუმცა მათი დადასტურების შემთხვევაშიც, ისინი ვერ იქნებოდა უმადურობის იმ ხარისხის გამოვლენა, რაც ხელშეკრულების გაუქმებას გამოიწვევდა.

საქმე №ას-887-848-2014

24 ივლისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ჩუქმების გაუქმება მძიმე შეურაცხყოფის მიყენების გამო (სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლი)

გასაჩივრებული განჩინების დასკვნები ძირითადად ეფუძნება იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ: 1995 წლიდან დღემდე თ.ჯ. და ი.ჯ. იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. მოდავე მხარეებს თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ შვილები. 2011 წლის 4 იანვრიდან 2013 წლის 7 ოქტომბრამდე თ.ჯ. ი.ჯ-სა და შვილის – გ.ჯ-ს სახელზე აგზავნიდა თანხებს. 2012 წლის 4 აგვისტოს მინდობილობის საფუძველზე, ი.ჯ-ს, სხვადასხვა უფლებებთან ერთად, უფლებამოსილება მიენიჭა, რომ გადაეფორმებინა საკუთარ სახელზე თ.ჯ-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება; 2013 წლის 2 ოქტომბერს ი.ჯ-მ, როგორც თ.ჯ-ს წარმომადგენელმა, თავის თავთან დადო უძრავი ნივთის ჩუქმების ხელშეკრულება, ანუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში საკუთრებაში მიიღო სადავო უძრავი ქონება; 2013 წლის სექტემბერში, უძრავი ნივთის ჩუქმების ხელშეკრულების გაფორმებამდე რამდენიმე ხნით ადრე, მხარეთა შორის ურთიერთობა დაიძაბა. თ.ჯ-თვის ცნობილი გახდა, ჩუქმების ხელშეკრულების გაფორმებამდე ი.ჯ-ს სხვასთან ცხოვრების თაობაზე; 2013 წლის 16 ოქტომბრის სანოტარო აქტით გაუქმდა 2012 წლის 4 აგვისტოს მოსარჩელე თ.ჯ-ს მიერ გაცემული მინდობილობა.

საკასაციო პალატა უპირველესად ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარზე, რომლითაც აპელანტმა სადავოდ გახადა მძიმე შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, ასევე დაუსაბუთებლობის მოტივით არ დაეთანხმა მხარე საქალაქო სასამართლოს მსჯელობას გარიგების ამორალურად მიჩნევის თაობაზე. რაც შეეხება გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში წარდგენილ მოსაზრებებს, სააპელაციო საჩივარში მხარემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლების ციტირებით წარმოადგინა ზოგადი ხასიათის შედავება, რომ სასამართლომ უანგარიშგებო დასკვნები გააკეთა საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლი საჩუქრის გამოთხოვას მხოლოდ მძიმე შეურაცხყოფის მიყენების ან დიდი უმადურობის გამოჩენისას ითვალისწინებს.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას მოსარჩელისათვის მძიმე შეურაცხყოფის მიყენების თაობაზე და განმარტავს, რომ სახელშეკრულებო სამართლით მოწესრიგებულ ურ-

თიერთობებში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია ჩუქების ხელშეკრულებას, რომელიც, სხვა ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით, ემყარება სუბიექტურ, მორალურ შეფასებებს. ჩუქება, როგორც უსასყიდლო გარიგება, როგორც წესი, მოტივირებულია მხარეთა ურთიერთპატივისცემით, შესაბამისად, საჩუქრის გამოთხოვის საკითხი დგება, როდესაც ადგილი აქვს ამორალურ, მნიშვნელოვანად გასაკიცხ ქმედებას, რომლის ნორმასთან შესაბამისობის დადგენა სასამართლოს კომპეტენციაა.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების შეფასებას სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის განმარტების თაობაზე და თვლის, რომ მოპასუხის ქმედება სასამართლომ მართებულად მიიჩნია მითითებული ნორმით განსაზღვრულ მძიმე შეურაცხყოფად. **ამასთანავე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ საჩუქრის გამოთხოვისათვის სავალდებულო იყო მძიმე შეურაცხყოფის მიყენება ჩუქების დადების შემდეგ განხორციელებულიყო, რადგანაც, სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად განმარტა, რომ გარიგების დადებამდე ამ ფაქტის ცოდნის შემთხვევაში მოსარჩელე ჩუქების ხელშეკრულებას აღარ გააფორმებდა, რაც დასტურდება ი.ჯ-ს სახელზე გაცემული მინდობილობის დაუყოვნებლივ გაუქმებითაც.**

საქმე №ას-710-676-2015

22 სექტემბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ჩუქების გაუქმება (სამოქალაქო კოდექსის 529-ე და 530-ე მუხლები)

2012 წლის 2 ნოემბერს მოსარჩელემ ბინა აჩუქა შვილიშვილს (მოპასუხეს). გამჩუქებელი სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთ საფუძვლად სსკ-ის 529-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი წანამძღვრების განხორციელებას მიიჩნევდა („ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩინებს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ“). იგი მიუთითებდა, რომ დასაჩუქრებული აღარ ზრუნავდა მასზე, გათხოვების შემდეგ გამოხატავდა ზიზღს, თავს არიდებდა მასთან შეხვედრას, რითაც იჩენდა დიდ უმადურობას და მძიმე შეურაცხყოფას აყენებდა მას. მართალია, დასაჩუქრებული, ჩუქების უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე, ვალდებულია, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდეს გამჩუქებლის მიმართ, მით უფრო მაშინ, როცა მათ შორის ახლო ნათესაური კავშირია, მაგრამ ამგვარი ვალდებულება, სულაც არ გულისხმობს დასაჩუქრებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას მხოლოდ გამჩუქებლის სუბიექტური დამოკიდებულებისა და მისი ნება-სურვილის გათვალისწინებით.

საკასაციო პალატა იზიარებს ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს და განმარტავს, რომ, როგორც წესი, ქონების უსასყიდლოდ გადაცემის (ჩუქების) დროს, დასაჩუქრებულის ქონება გაზრდა ხდება მისი მხრიდან საპასუხო შესრულების გარეშე. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მოპასუხე სათანადო მზრუნველობას არ იჩენს და ყურადღებას არ აქცევს მოსარჩელეს, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს დასკვნას იმის შესახებ, რომ მოპასუხემ მოსარჩელის მიმართ დიდი უმადურობა გამოიჩინა ან ამით აყენებს მას მძიმე შეურაცხყოფას.

რაც შეეხება სარჩელის მეორე საფუძველს, ერთადერთი საცხოვრისის გასხვისების გამო კასატორის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნას, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოსეულ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში იკვეთებოდა სსკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმსაზღვრელი წინაპირობები, კერძოდ, დადგენილია, რომ გაჩუქებული ქონება წარმოადგენდა გამჩუქებლის ერთადერთ საცხოვრისს. ეს უკანასკნელი ხანდაზმულია, საჭიროებს მოვლას და სხვა აუცილებელ დახმარებას. დასაჩუქრებულს ობიექტურად არა აქვს შესაძლებლობა, მატერიალური და სხვა სახის დახმარება გაუწიოს ბებიას. ქონების გასხვისებით კასატორი უდავოდ ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში, მას მოესპო იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი შეხედულებით განკარგოს ქონება, მაგალითად, გააქირაოს [სსკ-ის 531-ე მუხლი] და მიიღოს სარგებელი ან მთელი სიცოცხლის მანძილზე მისთვის მისაღებ პირს (მარჩენალს) სარჩოს გადახდის პირობით, გადასცეს უძრავ ნივთზე საკუთრება [სსკ-ის 941-942-ე მუხლი] და ა.შ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ: „სადავო ბინის გაჩუქებით მოსარჩელისათვის არაფერი შეცვლილა მატერიალური მდგომარეობისა“

რეობის გაუარესების კუთხით“, იმის გამო, რომ ის დღესაც ინარჩუნებს გაჩუქებული ბინის მფლობელობას, სამართლებრივად დაუსაბუთებელია.

4.3. ქირავნობა

საქმე № ას-706-676-2016

13 მარტი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ქირავნობის ხელშეკრულება

შ. ბ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „რ-ის“ მიმართ და მოითხოვა მატერიალური ზარალის ანაზღაურება 10 000 ლარის ოდენობით. მოსარჩელის განმარტებით, 2015 წლის 4 აპრილს კუთვნილი ავტომობილი Range Rover, გამოშვების წელი 2007, სახელმწიფო სარეგისტრაციო №...; VIN: SALME15417A256665 დააყენა მოპასუხის ტერიტორიაზე (რ-ა, პავილიონი №3). 2015 წლის 12 აპრილს ავტომანქანა დახვდა დაზიანებული, ბაზრობის ტერიტორიაზე სარეკლამო ბანერის ჩამოვარდის შედეგად.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის ავტორი (მოპასუხე) გასაჩივრებულ განჩინებას ძირითადად სადავოდ ხდის იმ საფუძვლით, რომ სასამართლომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა არასწორად მიიჩნია ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობად მაშინ, როდესაც იგი რეალურად წარმოადგენდა ნარდობის ხელშეკრულებას.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კასატორის აღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობის ძირითადი პრინციპი – მენარდის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარკვეული სამუშაოს შესრულება. კერძოდ, ნორმის პირველი ნაწილის შესაბამისად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანა განთავსდა მოპასუხის ტერიტორიაზე პარკირების მომსახურების გაწევის მიზნით და მხარეთა შორის ურთიერთობა დარეგულირდა „პარკირების მომსახურების გაწევის შესახებ წესებით“ (ხელშეკრულებით). აღნიშნული წესების მიხედვით განისაზღვრა, რომ „შემსრულებელი“ – რ-ა უწევს, ხოლო „დამკვეთი“ – შ. ბ-ი იღებს და დროულად იხდის პარკირების მომსახურების საფასურს ტარიფების შესაბამისად. ამასთან, ხელშეკრულებაში ტერმინი „პარკირების მომსახურება“ განმარტებულია, როგორც დამკვეთისთვის პარკირების დანომრილი ადგილის გამოყოფა მიზარების ან შენახვის მომსახურების გარეშე. ამრიგად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მიზანს დღიური ქირის სანაცვლოდ ავტომანქანის განთავსებისთვის ადგილის გადაცემა წარმოადგენს, რაც ქირავნობის ხელშეკრულებად განიხილება. ზემოაღნიშნულ წესებში არ იკვეთება ნარდობისთვის დამახასიათებელი ისეთი უმთავრესი წინაპირობა, როგორცაა მენარდის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება და მისი მიღება შემკვეთის მიერ. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალებით დადგენილია, რომ მხარეთა შორის არსებობდა ქირავნობის ურთიერთობა, რაც მოპასუხეს აკისრებდა ავტოსადგომზე განთავსებული ქონებისადმი გულისხმიერებას, მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანა დაზიანდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე დგომისას და საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა „პარკირების მომსახურების გაწევის წესებით“ გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის გამომრიცხველ რაიმე გარემოების არსებობას, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ქვედა ინსტანციების სასამართლოებმა მართებულად მიიჩნიეს საფუძვლიანად მოსარჩელის მოთხოვნა მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

განმარტების საგანი: ქირავნობის საგანზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლი)

განსახილველი დავის საგანია ქირავნობის საგანზე დამქირავებლის მიერ გაწეული აუცილებელი ხარჯების გამქირავებლისათვის დაკისრება. სარჩელის ფაქტობრივ დასაბუთებაში მოსარჩელე მიუთითებს, რომ მხარეებს შორის დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დამქირავებელს მფლობელობაში გადაეცა ქ.რუსთავში, მიკრო რაიონში მდებარე N... ბაგა-ბაღის შენობაში 135 კვ.მ ფართი. ქირავნობის საგანი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის გამოუსადეგარი იყო, რის გამოც მოსარჩელემ გასწია გარკვეული ხარჯები, რათა ნივთი ვარგისი ყოფილიყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისთვის. სამუშაოების ჩატარების თაობაზე ცნობილი იყო მოპასუხისათვის, თუმცა, მოპასუხე უარს აცხადებს ხარჯების ანაზღაურებაზე.

ამდენად, განსახილველი დავა წარმოადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, კერძოდ, ქირავნობის ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას. შესაბამისად, პირველ რიგში უნდა შემოწმდეს მოთხოვნის საფუძველიანობა სახელშეკრულებო (ქირავნობის) ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებაში.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლი, რომელიც ადგენს გამქირავებლის ვალდებულებას დამქირავებელს აუნაზღაუროს ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯები. ვიდრე შევამოწმებდით კასატორის პრეტენზიის საფუძვლიანობას და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს გააკეთოს აუცილებელი ხარჯების განმარტება, ხოლო შემდეგ პასუხი გასცეს მთავარ კითხვას: რა წინაპირობები უნდა არსებობდეს, რათა დადებითად გადაწყდეს აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების საკითხი?

სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლი არ შეიცავს რაიმე დათქმას აუცილებელ ხარჯებთან დაკავშირებით, ამიტომ საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამგვარი ხარჯების განმარტება უნდა მოხდეს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის სხვა ნორმების ანალიზის საფუძველზე.

სამოქალაქო კოდექსის 532-ე, 533-ე და 537-ე მუხლებით განსაზღვრულია გამქირავებლის ვალდებულებები: გადასცეს დამქირავებელს გაქირავებული ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა; გადასცეს დამქირავებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი; გამოასწოროს ნაკლი, რომელიც ნივთის ვარგისიანობას ამცირებს და რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებობს ან შემდგომში აღმოჩნდება. ამავე კოდექსის 543-ე და 548-ე მუხლების მიხედვით განსაზღვრულია დამქირავებლის ვალდებულებები: გაქირავებული ნივთის ნაკლის აღმოჩენისას ან წინასწარ გაუთვალისწინებელი საფრთხის დადგომისას დაუყოვნებლივ აცნობოს დამქირავებელს; საკუთარი ხარჯებით ჩაატაროს მიმდინარე რემონტი, ხოლო დამქირავებლის თანხმობით განახორციელოს საცხოვრებელი სადგომის გადაკეთება ან რეკონსტრუქცია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ჩამოთვლილ ვალდებულებათა დაცვა მნიშვნელოვანია ურთიერთობის თითოეული მონაწილისათვის იმდენად, რამდენადაც ამ ვალდებულებათა დარღვევა დაკავშირებულია მოთხოვნის წარმოშობასთან. მაგალითად: თუ დამქირავებელი დააყოვნებს ნივთის ნაკლის გამოსწორებას, დამქირავებელს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას იგი და მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება (537.2 მუხლი); თუ დამქირავებელი გასცდება მიმდინარე რემონტის ჩატარებას და დამქირავებლის თანხმობის გარეშე მოახდენს ნივთის გადაკეთების ან რეკონსტრუქციას, დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (548.3 მუხლი).

როგორც წესი, მხარეები ხელშეკრულების დადების დროს იშვიათად თანხმდებიან თუ რა თვისებების მატარებელი უნდა იყოს ქირავნობის საგანი, რათა იგი ჩაითვალოს ნივთობრივად უნაკლოდ, თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 535-ე მუხლის თანახმად, თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, მაშინ გაქირავებული ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვე-

უღებრივი გამოყენებისათვის. უნდა ვივარაუდოთ, რომ დამქირავებლის მიერ ნივთის მიღებისა და პრეტენზიის განუცხადებლობის შემთხვევაში, დამქირავებელს გადაეცა ნივთობრივად უნაკლო ნივთი. შესაბამისად, დამქირავებელი ვერ მიუთითებს იმ ნაკლზე, რომლის თაობაზეც მან იცოდა დამქირავებელთან შეთანხმების საფუძველზე ან ნაკლი აშკარად შესამჩნევი იყო ნივთის გადაცემის მომენტში და მიუხედავად ამისა, მიიღო სარგებლობაში, როგორც უნაკლო. ამგვარი მოცემულობის არსებობისას ნაკლის გამოსწორება არ უნდა დაეკისროს დამქირავებელს და იგი უნდა განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. ნივთობრივი ნაკლის არარსებობისას, როგორც ზემოთ განვმარტეთ, დამქირავებელი ვალდებულია ჩაატაროს მიმდინარე რემონტი საკუთარი ხარჯებით, ამასთან, გაქირავებული ნივთის ცვლილებების ან გაუარესებისათვის, რაც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობით, იგი პასუხს არ აგებს (547-ე მუხლი).

ამდენად, თუკი ზემოაღნიშნული დასკვნა ემყარება იმ მსჯელობას, რომ დამქირავებლის მიერ საკუთარი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისას (დამქირავებლისათვის უნაკლო ნივთის გადაცემა) დამქირავებელს ეკისრება ნივთზე ზრუნვა, საპირისპირო მსჯელობა საპირისპირო დასკვნამდე მიგვიყვანს, რაც იმას ნიშნავს, რომ დამქირავებელს ნივთზე ხარჯების გაღება ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებობდა ან შემდგომში აღმოჩნდება ნაკლი, რომელიც ნივთის ვარგისიანობას ამცირებს. სწორედ ის ხარჯები, რომელიც ნაკლის აღმოსაფხვრელად და ნივთის ვარგისიანობის აღსადგენად იქნება გაღებული, უნდა მივაკუთვნოთ აუცილებელი ხარჯების კატეგორიას. აუცილებლობა კი გამომდინარეობს ორივე მხარის ინტერესებიდან, ერთის მხრივ დამქირავებელმა ისარგებლოს ნივთით, ხოლო მეორეს მხრივ დამქირავებელმა მიიღოს სარგებელი.

ისმის კითხვა: აუცილებელი ხარჯების გაღება (ნაკლის აღმოფხვრა) დამქირავებელს შეუძლია თავისი ინიციატივით, ხარჯების შემდგომში ანაზღაურების მოთხოვნის პირობით, თუ დამქირავებლის სასარგებლოდ მოქმედებს ნაკლის გამოსწორების უპირატესობა?

სამოქალაქო კოდექსის 537-ე და 543-ე მუხლებით აღიარებულია ნაკლის არსებობის შესახებ დამქირავებლის წინასწარ შეტყობინების ვალდებულება. ამასთან, დამქირავებლის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა, თუკი დამქირავებელი ნაკლის გამოსწორების ვადას გადააცილებს. როგორც ვხედავთ, ნაკლის გამოსწორება მოქმედებს დამქირავებლის სასარგებლოდ. საკითხის ასე გადაწყვეტა მიზნად ისახავს დამქირავებლის ინტერესების დაცვას, რათა მან თავიდან აიცილოს დამქირავებლის მიერ ქირის შემცირების ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. გარდა ამისა, დამქირავებელს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, შეამოწმოს ნივთი და დაადგინოს, რეალურად არსებობს თუ არა ნაკლი, და თუ არ არის, შემდგომში ამის დამტკიცება შეძლოს.

სამოქალაქო კოდექსის 545-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ასევე იმ აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც გაწეულია არაუფლებამოსილი შესრულების (დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების) ფარგლებში. ამ შემთხვევაში, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს 545-ე მუხლის მე-2 ნაწილთან ერთად წარმოადგენს 973-ე მუხლი. აღნიშნული ნორმა უნდა განიმარტოს სამოქალაქო კოდექსის 974-ე მუხლთან ერთად, რომელიც 973-ე მუხლიდან საგამონაკლისო წესს ადგენს, კერძოდ, შემსრულებელს არ შეუძლია მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს.

ამდენად, იმისათვის, რათა დადებითად გადაწყდეს აუცილებელი ხარჯების დაკისრების საკითხი, უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: სახეზე უნდა იყოს ნივთობრივი ნაკლი და დამქირავებელი უნდა იმყოფებოდეს ნაკლის გამოსწორების ვადის გადაცილებაში, ან დამქირავებლის მიერ არაუფლებამოსილი შესრულების ფარგლებში განხორციელებული აუცილებელი შესრულება უნდა შეესაბამებოდეს დაინტერესებული პირის (მეპატრონის) ინტერესსა და ნებას.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ:

2008 წლის 15 ოქტომბერს შპს „ნ-ს“ (ამჟამად შპს „რ-ი“) და თვითმმართველ ქალაქ რუსთავის მერიას შორის 2009 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება. დამქირავებელს მფლობელობაში გადაეცა ქ.რუსთავში, მე-... მ/რ N... ბაგა-ბაღის შენობაში არსებული 135 კვ.მ ფართი.

მხარეებს შორის ანალოგიური ხელშეკრულება გაფორმდა 2009 წლის 28 სექტემბერს, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2010 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით. ამასთან, მხარეებმა ხელშეკრულებით დაადგინეს, რომ ფართი განკუთვნილი იქნებოდა არასახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განსათავსებლად.

შპს „რ-ის“ მიერ 2009 წლის მესამე კვარტლის დონეზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოების საორიენტაციო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 13704,12 ლარს, ხოლო იმ სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება, რომლებიც დემონტირებულია – 7958,25 ლარს.

სარემონტო სამუშაოების აღწერა შემდეგია: დაცვის მიზნით, პირველ სართულზე ამოშენებულ იქნა ფანჯრები და კარები; ჩატარდა სამღებრო სამუშაოები სკოლის შემოსასვლელ ფოიეში და ერთ საკლასო ოთახში; შეყვანილ და დამონტაჟებულ იქნა წყლისა და საკანალიზაციო სისტემა; განხორციელდა სანტექნიკის სამუშაოები; მეორე სართულზე ამოშენებულ იქნა კედლები და ფანჯრები; გამაგრებულ და შეღებილ იქნა კარებები; კარებებს დაუყენდა საკეტები; რვა საკლასო ოთახში შეყვანილ იქნა ელექტრო სადენები და დამონტაჟებულ იქნა მრიცხველი; დამონტაჟებულ იქნა რკინის კარი და ფანჯრის გისოსი; ორ საკლასო ოთახში დაიგო იატაკი, ხოლო რვა საკლასო ოთახსა და დერეფანში ჩატარდა სამალიარო სამუშაოები.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელის მიერ შესრულებული სარემონტო სამუშაოების გამო გაწეული ხარჯები, მათი ხასიათის, ფუნქციური დანიშნულებისა და დაქირავებული ფართის მიზნობრიობიდან გამომდინარე, წარმოადგენდა იმ აუცილებელ ხარჯებს, რაც ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად იყო საჭირო. მოცემული დასკვნით ცალსახად დასტურდება ის გარემოება, რომ დამქირავებელს გამქირავებელმა გადასცა ნაკლიანი ნივთი.

კასატორი არ ეთანხმება მოსარჩელისათვის ნაკლიანი ნივთის გადაცემის საკითხს და მიიჩნევს, რომ ამგვარი დასკვნა არ გამომდინარეობს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან, კერძოდ, კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტებზე, რომლის თანახმადაც, შპს „რ-ი“ ქირავნობის საგანს განკარგავდა ჯერ კიდევ 2008 წლის 28 სექტემბრიდან, მას არ გამოუთქვამს პრეტენზია ნივთის ვარგისიანობის შესახებ, ხოლო სარემონტო სამუშაოები ჩაატარა 2009 წლის მესამე კვარტალში. აქედან გამომდინარე, ჩატარებული სამუშაოები წარმოადგენს მიმდინარე რემონტზე გაწეულ ხარჯებს და არა აუცილებელ ხარჯებს.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, კასატორის პრეტენზია დასაბუთებულია და გაზიარებულ უნდა იქნეს, ვინაიდან, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი გარემოებებიდან ცალსახად არ დგინდება, რომ მოსარჩელეს გადაეცა ნივთობრივად ნაკლიანი ნივთი. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა საქმეში წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა, საიდანაც ირკვევა, რომ ძირითადი სამუშაოები შესრულებულ იქნა 2009 წლის მე-3 კვარტალში.

კასატორის მოწინააღმდეგე მხარის შეპასუხება, სადაც ეს უკანაკნელი განმარტავს, რომ ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნები საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციისათვის და ბუნებრივია, როდესაც დამქირავებელი ქირაობს ფართს ამ დანიშნულებით და დამქირავებლისთვისაც კარგად არის ცნობილი მისი კეთილმოწყობა, მიზნობრიობიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება სარემონტო სამუშაოების წარმოება, ვერ გამოდგება ნივთობრივი ნაკლის არარსებობის გასაქარწყლებლად.

საკასაციო პალატის შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე არ არის დადგენილი დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება (მაგალითად: იცოდა თუ არა ნაკლის თაობაზე ნივთის გადაცემისას მოსარჩელემ და შეატყობინა თუ არა ამის თაობაზე მოპასუხეს; არსებობდა თუ არა მხარეთა შორის შეთანხმება ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით; მოსარჩელის მიერ განხორციელებული მოქმედებები შეესაბამებოდა თუ არა მოპასუხის ინტერესსა და ნებას), რის გამოც შეუძლებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის სააპელაციო წესით ხელახლა განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს სახეზე თუ არა აუცილებელი ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების ყველა ის წინაპირობა, რომელთა შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწვიტოს დავა.

განმარტების საგანი: განუსაზღვრელი ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა

2010 წლის 19 ნოემბერს ნ. ბ-ესა (თავდაპირველი მესაკუთრე) და მოპასუხეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მფლობელს სარგებლობაში გადაეცა 42 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. ხელშეკრულება დაიდო მინიმუმ – 1 და მაქსიმუმ – 20 წლის ვადით.

2011 წლის 27 აპრილს თავდაპირველმა მესაკუთრემ სადავო ქონება აჩუქა შვილს – მოსარჩელეს, რის შედეგადაც, სამოქალაქო კოდექსის 572-ე მუხლის შესაბამისად, სახელშეკრულებო ურთიერთობა გაგრძელდა მოდავე მხარეთა შორის.

2015 წლის 8 აპრილს მესაკუთრემ მფლობელთან მოშალა ხელშეკრულება, ხოლო მის მიერ სარჩელი სასამართლოში წარდგენილია 2015 წლის 22 ივლისს, მოშლის შესახებ ნების გამოვლენიდან სამთვიანი ვადის დაცვით.

დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია შეფასება მიეცეს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის საკითხს. უდავოა, რომ მხარეთა შეთანხმებით იგი განსაზღვრულია „არანაკლებ ერთი და არაუმეტეს ოცი წლის ვადით“. პალატა ზოგადად იზიარებს მხარის მოსაზრებას სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპთან მიმართებით (სკ-ის 319-ე (1) მუხლის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვას სწორედ ამ პრინციპის განსაზღვრელი ნორმა ადგენს და იგი დასაშვებად მიიჩნევს კანონისაგან იმგვარ გადახვევას, როდესაც: ა) თავად საკითხი არაა კანონით მოწესრიგებული; ბ) კანონისმიერი რეგულაცია დისპოზიციურია. როგორც ერთ, ისე – მეორე შემთხვევაში, გამოვლენილი ნება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს თავად კანონს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თუნდაც სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში შეთანხმებული ნება, როდესაც იგი არ არის ცალსახა, ხოლო მოდავე მხარეებს განსხვავებული მოლოდინები აქვთ მის მიმართ, მოითხოვს სასამართლოს მხრიდან განმარტებას (სკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან). საკასაციო სასამართლო ხელშეკრულებაში ვადასთან მიმართებით გამოვლენილი ნების გონივრული განსჯის შედეგად ასკვნის, რომ ქირავნობა დადებულია არა ოცი წლით, როგორც ამას კასატორი მიიჩნევს, არამედ განუსაზღვრელი ვადით.

აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ უდავო გარემოებას, რომ მესაკუთრემ ხელშეკრულების მოშლის შესახებ მიღებასავალდებულო ცალმხრივი ნება გამოავლინა, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 51-ე (1) მუხლის შესაბამისად, მეორე მხარეს 2015 წლის 8 აპრილს მიუვიდა. სამოქალაქო კოდექსის 559-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ ქირავნობის ხელშეკრულების ვადა არ არის განსაზღვრული, ქირავნობის ურთიერთობა შეწყდება ხელშეკრულების მოშლის შესახებ განცხადების გაკეთებით. მოცემულ შემთხვევაში უდავოა ისიც, რომ სარჩელი სასამართლოში წარდგენილია ქირავნობის შეწყვეტის შესახებ განცხადების გაკეთებიდან სამი თვის ვადაში (სკ-ის 561-ე მუხლი), ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 564-ე მუხლის შესაბამისად, დამქირავებლებს წარმოეჭვა ნივთის დაბრუნების ვალდებულება.

საქმე №ას-172-161-2017

29 ივნისი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: გაქირავებული ნივთის გასხვისების მიუხედავად დამქირავებლის მიერ ძველი დამქირავებლის წინაშე ქირის გადახდის ვალდებულების შესრულება (სამოქალაქო კოდექსის 572-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიიჩნია, მოიხმოს სსკ-ის 572-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ დამქირავებელი გაქირავებულ ნივთს მესამე პირზე გასხვისებს დამქირავებლისათვის მისი გადაცემის შემდეგ, შემძენი იკავებს დამქირავებლის ადგილს და მასზე გადადის ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები. დამქირავებელსა და დამქირავებელს შორის დადებული 2010 წლის 1 ოქტომბრის ხელშეკრულება, რომელსაც კონსტიტუციური მნიშვნელობა ჰქონდა კონტრაჰენტი მხარეებისათვის, ითვალისწინებდა დათქმას, რომლის თანახმად, შენობასა და/ან სათავსოზე საკუთრების უფლების გადაცემა მეიჯარისგან მესამე პირისათვის, არ წარმოადგენდა ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს. დადგენილია, რომ პირდაპირი წესით მიყიდვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, დამქირავებელმა ქირავნობის საგანზე დაკარგა საკუთრების უფლება და სადავო ფართი მოსარჩელის საკუთრებად აღირიცხა, რაც ვადიანი ქირავნობის ხელშეკრულების მიზნებისათვის, სსკ-ის 572-ე მუხლის საფუძველზე დამქირავებლის უფლებამონაცვლეობის ფაქტზე მიანიშნებდა. საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის პრეტენზიას, რომ სწორედ საკუთრების უფლების გადაცემის (მესაკუთრედ აღრიცხვის) მომენტიდან წარმოეშვა მესაკუთრეს ფინანსური სარგებლის მოთხოვნის უფლება, კერძოდ, ქირავნობის ხელშეკრულებაში კანონისმიერი ჩანაცვლების საფუძველზე, ვინაიდან ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის საფუძველად ქონების მესაკუთრის ცვლილება არ განიხილებოდა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ კონკრეტულ სიტუაციაში თავს იჩენს კეთილსინდისიერი მოვალის ინტერესები, რომელიც ქირის გადახდას განაგრძობდა ძველი დამქირავებლის წინაშე და მისთვის უცნობი იყო ქონების მესაკუთრის ცვლილების ფაქტი. **მართალია, არაუფლებამოსილი პირის მიმართ ვალდებულების შესრულებით ვალდებულება არ წყდება და მოვალეს უფლებამოსილი კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულების მოვალეობა უნარჩუნდება, თუმცა, ნიშანდობლივია, რომ უფლებამოსილი კრედიტორის უფლება დაცულია იმდენად, რამდენადაც მოვალისათვის ცნობილია ან ობიექტურ გარემოებათა ურთიერთშეჯერების პირობებში ცნობილი უნდა იყოს უფლებამოსილი კრედიტორის ვინაობა. იმ შემთხვევაში, თუ მოვალემ არ იცოდა და არც შეიძლებოდა, სცოდნოდა, უფრო მეტიც, კეთილსინდისიერად ვარაუდობდა, რომ იგი ვალდებულებას უფლებამოსილი კრედიტორის წინაშე ასრულებდა, ასეთ შემთხვევაში, მოვალე დაცული უნდა იყოს და მის მიერ ვალდებულების შესრულება ვალდებულების შეწყვეტის საფუძველი უნდა გახდეს.**

4.4. იჭარბ

საქმე №ას-738-700-2015

18 დეკემბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საიჯარო ქონების ვადამდე დაბრუნება (სამოქალაქო კოდექსის 588-ე მუხლი)

2012 წლის 18 დეკემბრის შეთანხმების საფუძველზე, ნ-უ გ-ქმ სს „კ-ს-ტ ბ-ს“ სასყიდლით, თვეში 6 250 აშშ დოლარად, 10 წლით სარგებლობაში გადასცა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (არასაცხოვრებელი ფართი), მდებარე ქ. თბილისში, შ-ის/ც-ის ქ. №2-ში, ს/კ 01.17.1-.0-.0-.

ხელშეკრულების 2.2. პუნქტის შესაბამისად, დამქირავებელს მიენიჭა უფლებამოსილება, ცალმხრივად მოეშალა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა დამქირავებლებისათვის ორი თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

2013 წლის 6 ივნისს დამქირავებელმა წერილი გაუგზავნა დამქირავებლებს, რითაც ატყობინებდა, რომ ცალმხრივად წყვეტდა ხელშეკრულებას.

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის ხელშეკრულების დარჩენილი ვადის – 2013 წლის 7 აგვისტოდან 2022 წლის 18 დეკემბრამდე – გადაუხდელი ქირის 702 291,74 აშშ დოლარის დაკისრება. ამ მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მან მიუთითა სსკ-ის 588-ე მუხლზე.

სსკ-ის 588-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი, საიჯარო ქირის გადახდა საიჯარო ურთიერთობის დამთავრებამდე, ნორმით გათვალისწინებული ყველა წინაპირობის შესრულების (განხორციელების) შემთხვევაში, გულისხმობს საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდას და არა მთელი დარჩენილი პერიოდის ქირის ზიანის სახით ერთდროულად დაკისრებას, როგორც ამას მოსარჩელე მოითხოვს. შესაბამისად, რომც იყოს შესრულებული ამ ნორმით გათვალისწინებული ყველა სამართლებრივი წინამძღვარი: (ა) მხარეთა შორის განსაზღვრული ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულება, ბ) ხელშეკრულების ვადამდე მოშლაზე შეთანხმების არარსებობა, გ) მოიჯარის მიერ ხელშეკრულების ვადამდე მოშლა, დ) მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების მეიჯარისათვის მფლობელობაში დაბრუნება, ე) ამ უკანასკნელის მიერ მეიჯარისათვის თავის სანაცვლოდ ახალი, გადახდისუნარიანი და მისაღები მოიჯარის შეუთავაზებლობა, ის სამართლებრივი შედეგი, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, მაინც ვერ მიიღწევა.

სსკ-ის 588-ე მუხლის დაცვითი ფუნქცია ისაა, რომ ხელშეკრულების მოშლის შემდეგ ამ ნორმამ მეიჯარე საიჯარო შემოსავლებით უნდა უზრუნველყოს საიჯარო ქონების ახალი მოიჯარისათვის (მინიმუმ ადრინდელ მოიჯარესთან არსებული პირობებით) გადაცემამდე. მოსარჩელის პოზიციის გაზიარება ცალსახად გულისხმობდა მოიჯარისათვის ზედმეტად მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრებას, რადგანაც მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მეიჯარეს შეეძლო 2023 წლის იანვრამდე მისაღები ქირა, 702 291,74 აშშ დოლარი, ერთდროულად მიეღო და იმავდროულად, იმავე ქონების ახალი მოიჯარისათვის გადაცემით კიდევ მიეღო სარგებელი, რასაც შედეგად უდავოა მისი უსაფუძვლო გამდიდრება მოჰყვებოდა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული დავის გადასაწყვეტად სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონდა, რადგანაც იჯარა იქნებოდა თუ ქირავნობა (ხელშეკრულების იურიდიული შინაარსის მიუხედავად), ხელშეკრულება დამქირავებელს აძლევდა უფლებას, ვადის გასვლამდე, ცალმხრივად მოეშალა იგი. სააპელაციო სასამართლომ სწორად არ გაიზიარა მოსარჩელის შეფასება დამქირავებლის არაკეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით და მართებულად დაასკვნა, რომ ხელშეკრულების მოშლის თაობაზე მხარეთა შეთანხმება სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში იყო მიღწეული და, შესაბამისად, მოპასუხეს უფლება ჰქონდა, ორთვიანი ვადის დაცვით ცალმხრივად მოეშალა ხელშეკრულება. ბუნებრივია, მოსარჩელეს, როცა ის ხელშეკრულების მოშლის ამგვარ უფლებას ანიჭებდა მოპასუხეს, უნდა ჰქონოდა იმის მოლოდინი, რომ ეს უკანასკნელი ამ უფლებას გამოიყენებდა. შესაბამისად, იმის მტკიცება, რომ მოპასუხეს ეკრძალებოდა ხელშეკრულებაზე უარის თქმა, რადგანაც ეს მოსარჩელისათვის ზიანის მომტანი იყო, სამართლებრივად დაუსაბუთებელია.

4.5. სსსხი

საქმე №ას-938-888-2015

27 მაისი, 2016 წელი, თბილისი

განმარტების საგანი: სესხის ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი)

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სესხის წერილობითი ხელშეკრულება დადებულად უნდა მივიჩნიოთ, თუ ამ ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა შეთანხმება სესხის საგანზე და მსესხებლისათვის მის გადაცემამდე. მართალია, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, ასევე, სესხის პროცენტზე და ვადაზე, თუმცა ხელშეკრულებაში მათი მიუთითებლობა გავლენას ვერ მოახდენს სესხის ნამდვილობაზე. ასეთ დროს მიიჩნევა, რომ სესხი დადებულია უვადოდ და სასყიდლის გარეშე.

განმარტების საგანი: ზეპირი ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულების მტკიცება (სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლი)

დადგენილია, რომ მოსარჩელე – ე. შ.-მა, რომელიც რამდენიმე წელი ცხოვრობდა და მუშაობდა იტალიაში, 2010 წელს სოციალური ქსელის („სკაიპი“) მეშვეობით გაიცნო ა.-ის რაიონის, სოფელ ა.-ში მცხოვრები მოპასუხე – ს. მ.-ე.

დადგენილია, რომ ს. მ.-ე გაემგზავრა და გარკვეული პერიოდით იმყოფებოდა იტალიაში.

მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოსარჩელე ე. შ.-ს მოპასუხე ს. მ.-ისათვის სხვადასხვა დროს გაგზავნილი აქვს თანხები, სახელდობრ, 2010 წლის 05 აგვისტოს გააგზავნა 104,5 ევრო, 16 სექტემბერს – 54,5 ევრო, 30 სექტემბერს – 1524 ევრო, 07 ოქტომბერს – 613 ევრო, 14 ოქტომბერს კი, – 2031 ევრო. მთლიანობაში, გაგზავნილი თანხის ოდენობამ შეადგინა 4327 ევრო. აღნიშნული ასევე დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი ფულადი გზავნილის გადარიცხვის ამსახველი ამონაწერებით. მითითებული თანხების მიღების ფაქტი მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ს. მ.-ე გაემგზავრა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა იტალიაში.

დადგენილია, რომ ე. შ.-მა ს. მ.-ეს 2013 წლის 18 დეკემბერს სასარჩელო წარმოების წესით მოსთხოვა მის მიერ სხვადასხვა დროს გაგზავნილი თანხების უკან დაბრუნება და სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მიუთითა მხარეებს შორის არსებული სასესხო ურთიერთობა, რომლის შესრულების (თანხის დაბრუნება) ვალდებულება მოპასუხეს ჰქონდა 2011 წლის ბოლომდე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე არ მიუთითებია, რომ იგი უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის გამოყენებამდე რაიმე ფორმით შეეცადა მოპასუხის მხრიდან სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების (თანხის დაბრუნების) შესრულებას.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ს. მ.-ე არ უარყოფს ე. შ.-ისაგან სხვადასხვა დროს თანხის მიღების (იტალიიდან გამოგზავნის) შესახებ ფაქტობრივ გარემოებას, თუმცა საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს კასატორის იმ პოზიციაზე, რომლითაც იგი სადავოდ ხდის ე. შ.-ის მიერ მისთვის გადაცემული (იტალიიდან გამოგზავნილი) თანხების (4,327 ევროს) მიზნობრიობას და განმარტავს, რომ „მხარეთა შორის არსებული ახლო (თითქმის ცოლ-ქმრული) ურთიერთობიდან გამომდინარე დაუშვებელი იყო სადავო ურთიერთობის სესხად კვალიფიკაცია, მით უფრო, იმ სამართლებრივი მოცემულობიდან გამომდინარე, რომ სადავო სასესხო ურთიერთობის დასადგენად საკმარისი არ არის მხოლოდ თანხის გადაცემის (გამოგზავნის) ფაქტის დადგენა, არამედ ამასთან ერთად ერთმნიშვნელოვნად უნდა დგინდებოდეს გადაცემული (გაგზავნილი) თანხის უკან დაბრუნების შესახებ დაპირება, რასაც მოცემულ შემთხვევაში, არც ადგილი ჰქონია და ამაზე არცერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია“.

მხარეთა შორის არსებული სადავო ურთიერთობის კვალიფიკაციის მიზნებისათვის პირველ რიგში, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე ე. შ.-ის მოთხოვნა ეფუძნება სესხის ზეპირ ხელშეკრულებას, რომლის არსებობას მოპასუხე სადავოდ ხდის.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის, სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ სადავოდ ქცეული სასესხო ურთიერთობის დადგენისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც ზეპირი ასევე, წერილობითი მტკიცებულებების ესა თუ ის სახე. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ნებისმიერ დოკუმენტი თუ, მოწმის სტატუსით დაკითხულ პირთა ნებისმიერი შინაარსის ჩვენება დაედოს საფუძვლად საქმეზე სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებას. ამ თვალსაზრით, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ „ვინაიდან სადავო

სასესხო ურთიერთობის დასადასტურებლად ე. შ.-მა მიუთითა არამხოლოდ მოწმეთა ჩვენებებზე, არამედ ამავდროულად, წარმოადგინა ფულადი თანხის იტალიიდან გამოგზავნისა და ამ თანხის ს. შ.-ის მიერ მიღების ამსახველი საბანკო ამონაწერები, მოსარჩელემ შეასრულა მტკიცების ტვირთის ის მინიმალური სტანდარტი, რაც სამოქალაქო კოდექსის 624-ე და 361-ე მუხლებით დადგენილი წესით ევალეობდა კრედიტორს“.

საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სასესხო ვალდებულების თავისებურებებზე, რომელიც მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის დანაწესში, რომლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვარონულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნორმის სამართლებრივი აღწერილობა თავადვე მიუთითებს, თუ რომელი კომპონენტების არსებობის შემთხვევაშია სახეზე სასესხო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა და ამ დანაწესით გამორიცხავს სამართლებრივ კვალიფიკაციაში ცდომილების აღბათობასაც, სახელდობრ, კანონმდებელი ზეპირი ფორმით დადებული სასესხო ვალდებულების ნამდვილობისათვის საკმარის მტკიცებულებად არ მიიჩნევს მოწმეთა ჩვენებებს. თუმცა არც გამორიცხავს ამგვარი მტკიცებულების არსებობასაც, არამედ სავალდებულოდ ადგენს მოწმეთა ჩვენებებთან ერთად სხვა ისეთი მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულებას, რომელიც მოწმეთა ჩვენებასთან ერთობლივად, მაღალი აღბათობით დადასტურებდა სადავო ფაქტს სასესხო ურთიერთობის შესახებ (მტკიცების საგანი).

ამდენად, სასესხო ვალდებულებების თაობაზე წერილობითი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, მოწმეების ჩვენება დასაშვებია მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთად და სამართალწარმოების ეს თავისებურება განპირობებულია მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის აღწერილობით (ნორმატიული შემადგენლობით): „სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება, გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება, დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით“. განსახილველი ნორმის დანაწესი სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის ითვალისწინებს როგორც ზეპირ, ასევე, წერილობით ფორმის დაცვას, რომლის არჩევა მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, მაგრამ მითითებული მუხლის მეორე წინადადების თანახმად, ყურადღებაა გამახვილებული იმ რისკებზე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს სესხის ზეპირ ხელშეკრულებას. ამგვარად, განხილული ნორმით განსაზღვრულია მტკიცების საგანი ანუ, იმ მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც სადავო ურთიერთობის სესხად კვალიფიკაციისათვის უნდა არსებობდეს და თავის მხრივ, წარმოგვიდგება, როგორც სამართალურთიერთობის კვალიფიკაციის პირველი ეტაპი, რა დროსაც მხარეები იზღუდებიან არა თავად გარიგების ფორმის, არამედ მტკიცებითი საშუალებების არჩევანში.

რაც შეეხება სამართალურთიერთობის კვალიფიკაციის მომდევნო ეტაპს, აღნიშნული მდგომარეობის მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაში. მოდავე მხარეთა შორის ამ საპროცესო ვალდებულების გამიჯვნის მიზნით, საკასაციო პალატა მიუთითებს სადავო ურთიერთობის მარეგულირებელ როგორც მატერიალურ ისე, საპროცესო სამართლებრივ ნორმაზე, სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის მე-2 წინადადებაზე, რომელშიც სწორედ ამ საპროცესო ვალდებულების შესრულების თავისებურებებზეა ყურადღება გამახვილებული და დადგენილია ქცევის იმგვარი წესი, რომლის თანახმად, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია (გამსესხებელს), ხოლო ვალდებულების შესრულების ტვირთი კი, მსესხებელს. იმავე საპროცესო ვალდებულებას აკისრებს მოსარჩელეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლიც, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესს, რომელსაც მიმართავენ იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა მტკიცების ტვირთის განსხვავებულ განაწილებას არ გვთავაზობს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, მატერიალური და საპროცესო ნორმები თანხვედრაშია, რადგან განსახილველ დავაში ისინი მტკიცების ტვირთის განაწილების განსხვავებულ წესს არ გვიდგენენ, რაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სწორედ მოსარჩელე – ე.შ.-ი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს მოპასუხე – ს.შ.-ესთან სასესხო ურთიერთობის (ზეპირი ხელშეკრულების პირობებში) არსებობაზე, ვალდებულია მიუთითოს (მტკიცების საგანი) და წარმოად-

გინოს ამ ურთიერთობის სესხად კვალიფიკაციისათვის აუცილებელი მტკიცებულებებიც (მტკიცების ტვირთი).

ამდენად, როგორც აღინიშნა მოპასუხე ს. მ.-ესთან სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა, მით უფრო, რომ იმ პირობებში, როდესაც მოპასუხემ დაადასტურა თანხის სარჩელში მითითებული ოდენობით მიღების ფაქტი და სადავოდ გახადა მხოლოდ თანხის გადაცემის მიზნობრიობა (სასესხო ურთიერთობის არსებობა). სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, მიუთითებს სწორედ იმაზე, მოცემული ნორმით არ არის გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის კონკრეტული სამართლებრივი მექანიზმი და დასადგენი გარემოებების თავისებურების გათვალისწინებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა პროცესუალური მტკიცებულებების სახე. მართალია მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ წარმოადგინა სადავო თანხის იტალიიდან გადმოგზავნის გზით ს. მ.-ისათვის თანხის გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულება (ფულადი გზავნილის გადარიცხვის ამსახველი ამონაწერი), თუმცა მასში რაიმე მინიშნება/მითითება არ არის მხარეთა შორის სასესხო ვალდებულების არსებობაზე. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სადავო თანხის გადაცემის დანიშნულება (სამართალურთიერთობის კვალიფიკაციისათვის) მხოლოდ ს. მ.-ის სახელზე სადავო თანხის გადმოგზავნა და ს. მ.-ის მიერ ამ თანხის მიღების ფაქტით, არ შეიძლებოდა დადასტურებულიყო მხარეთა შორის სასესხო ვალდებულების არსებობა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სესხის ზეპირი ხელშეკრულების არსებობაზე მითითებისას სახეზე უნდა იყოს არა მხოლოდ თანხის გადაცემა, არამედ, ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ თანხის მიმღებმა მისი დაბრუნების ვალდებულება იკისრა. სწორედ ამ გარემოების არსებობა განაპირობებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე საპირისპირო ვალდებულების – სესხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ამდენად, სასესხო ურთიერთობის სადავობის შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს არა მხოლოდ თანხის გადაცემა, არამედ, ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ თანხის მიმღებმა მისი დაბრუნების ვალდებულება იკისრა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მტკიცების ტვირთს შეადგენდა მოპასუხისათვის თანხის გადაცემის დადასტურება, რაც თავად ვალდებულების არსებობას გულისხმობს (სკ-ის 361-ე მუხლის პირველი ნაწილი) უმართებულოა.

განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ჩუქების სამართალურთიერთობის თავისებურებებზე:

ჩუქების ხელშეკრულებით წარმოშობილი მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი თავისებურება მისი უსასყიდლო ხასიათია, რაც ნიშნავს იმას, რომ მჩუქებელს არა აქვს უფლება, მოითხოვოს სამაგიერო დაკმაყოფილება მის მიერ გაცემული საჩუქრის გამო. იურიდიული თვალსაზრისით კი, უსასყიდლოა იმაში ვლინდება, რომ საჩუქარი არ არის განსაზღვრული ეკვივალენტურობის მატარებელი და იგი მისი ძირითადი მაკვალიფიცირებელი წინაპირობაა.

ჩუქების მოტივს, რომელიც ზოგჯერ შეიძლება ანგარებითაც იყოს განპირობებული, იურიდიული თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ჩუქების მოტივი ძირითადად გამომდინარეობს გამჩუქებლის მხრიდან დასაჩუქრებულის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულებიდან. ამიტომ, იგი შესაძლებელია, სხვადასხვა მოტივებით იყოს განპირობებული. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩუქების მოტივი ყოველთვის გამომდინარეობს გამჩუქებლის მხრიდან დასაჩუქრებულის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულებიდან.

ჩუქება ისეთი გარიგებაა, რომელიც ეფუძნება მხარეთა ურთიერთთანხმობას და არა მხოლოდ მჩუქებლის ნებას. დასაჩუქრებულის მიერ საჩუქრის მიღებამდე ჩუქება არ ჩაითვლება ძალაში შესულად, რადგან სამართლებრივი ურთიერთობა ორი ურთიერთგანპირობებული ნების საფუძველზე წარმოიშობა. თითოეული ადამიანი თავისი სამართლებრივი სივრცის გამგებელია და მისი თანხმობის გარეშე არავის აქვს ამ სივრცეში შეღწევის უფლება. ჩუქების შემთხვევაშიც მხარეთა მიერ გამომხდული სამართლებრივი შედეგების მისაღწევად, ადგილი უნდა ჰქონდეს მხარეთა კონსენსუსს. მართალია, ჩუქება მიმართულია ერთი პირიდან მეორეზე სა-

კუთრების უფლების გადაცემისაკენ და ეს ხდება მათ შორის შეთანხმების მიღწევის მომენტიდან, რაც საკუთრების შექმნის საშუალებად აქცევს მას.

განსახილველი დავის არსის შეფასებისას საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ მოსარჩელეს კეთილგანწყობილი ურთიერთობა გააჩნდა მოპასუხესთან. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ს. მ.-ე გაემგზავრა და გარკვეული პერიოდი იმყოფებოდა იტალიაში. ასევე დადასტურებულია, რომ სადავო თანხები ს. მ.-ეს პერიოდულად ეგზავნებოდა რაიმე საპირისპირო ვალდებულების შესრულების მინიშნების გარეშე. ყოველივე აღნიშნული საკასაციო პალატას აძლევს ლოგიკური, თანმიმდევრული და დასაბუთებული დასკვნის საფუძველს მასზე, რომ ე. შთირიშვილს გააჩნდა საკმარისი მორალური მოტივები, გამოეხატა ს. მ.-ის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და აღნიშნული აესახა თუნდაც ჩუქების ხელშეკრულების დადებაში (სკ-ის 524-ე მუხ.), რაც გამოიწვევს საპასუხო შესრულების ვალდებულებას და თავისთავად მისი უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებასაც.

საქმე № ას-1062-1022-2016

19 თებერვალი, 2018 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მტკიცების ტვირთი სესხის ხელშეკრულების არსებობის თაობაზე

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სესხის ხელშეკრულება (სკ-ის 623-ე მუხლი), რომელიც შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობით, რეალური ხელშეკრულებაა და დადებულად ითვლება მსესხებლის საკუთრებაში ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის გადაცემის მომენტიდან. მიუხედავად აღნიშნულისა, ერთი პირის მიერ მეორე პირისაგან მხოლოდ თანხის ან სხვა გვაროვნული ნივთის მიღების ფაქტი არ არის საკმარისი მათ შორის სასესხო ურთიერთობის დასადგენად, რადგან თანხის ან სხვა გვაროვნული ნივთის მიღების სხვა საფუძველიც შეიძლება არსებობდეს.

სწორედ ამიტომ, თუ სარჩელში მითითებული გარემოებებიდან დასტურდება თანხის გადაცემის ფაქტი, მაგრამ სადავო საფუძველი (სესხი თუ სხვა ხელშეკრულება), მაშინ იმ ფაქტის დადგენა – თანხის მიღების საფუძველს წარმოადგენდა თუ არა სესხის ხელშეკრულება, განპირობებულია მოპასუხის შედავებით. უფრო ზუსტად, მნიშვნელობა ენიჭება იმას, მოპასუხე რამდენად აქარწყლებს მოსარჩელის მითითებას სესხის ხელშეკრულების არსებობაზე. მოპასუხის მარტივი შედავება „არ ვეთანხმები“ არ არის საკმარისი სარჩელის უარყოფისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიშობა ვითარება, როცა მოპასუხის შედავების არსი მიუთითებს იმაზე, რომ მან თანხები მიიღო, მაგრამ არ სურს ამ თანხების დაბრუნება და არც უთითებს ჰქონდა თუ არა მათი მიღების რაიმე საფუძველი.

ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში მტკიცების ტვირთის განაწილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წესია, რომ მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს თავისი უფლება და მას არ მოეთხოვება მოპასუხის უფლების დადასტურება.

განსახილველ მოცემულობაში (როცა მოპასუხე არ უარყოფს სადავო თანხების მიღების ფაქტს და არც ის არის სადავო რომ მან ეს თანხები მოსარჩელეს არ დაუბრუნა) მოპასუხის მიერ თანხების მიღების ფაქტი, როგორც ასეთი, თავისთავად უკვე წარმოშობს ორ სავარაუდო შემთხვევას: ა. მოპასუხემ ეს თანხები მიიღო სამართლებრივი საფუძველით; ბ. მოპასუხემ ეს თანხები მიიღო სამართლებრივი საფუძველის გარეშე.

ბოგადად, მტკიცების ტვირთი სესხის ხელშეკრულების არსებობის თაობაზე ეკისრება მოსარჩელეს. თუმცა იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე უთითებს სესხზე, როგორც მოპასუხისათვის თანხების გადაცემის საფუძველზე, მოპასუხის მხრიდან სასესხო ურთიერთობის მხოლოდ უარყოფა არ არის საკმარისი მის საწინააღმდეგოდ ამოქმედებული პრეზუმციის გასაქარწყლებლად, რომ მან ეს თანხები მიიღო სამართლებრივი საფუძველით.

ამრიგად, იმ პირობებში, როდესაც მხარის მიერ არაკვალიფიციური შესაგებლის წარდგენის გამო, ვერ იქნა გაქარწყლებული მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობების არსებობის პრეზუმცია, სარჩელი სასესხო ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ საფუძველიანია. შესაბამისად, აღარ არსებობს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებიდან გამომდინარე სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობაზე მსჯელობის საჭიროება.

4.6. ნარდობა

საქმე №ას-629-588-2017

10 ნოემბერი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ნარდობის ხელშეკრულება (სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლი)

ქ. გორში შპს „ჩ-ს“ და შპს „ს-ას“ შორის 2012 წლის 10 ივნისს დაიდო ხელშეკრულება N10/06/2012. ხელშეკრულების თანახმად, მყიდველს გამყიდველისგან უნდა შეეძინა ამ უკანასკნელის მიერ წარმოებული ქვანახშირის ზეთით (კრეოზოტით) გაჟღენთილი წიწვოვანი ჯიშის ხის შპალები, ხიდის კოჭები და ხის კოჭები საისრე გადამყვანისათვის.

საქალაქო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ განსახილველი დავა შეიცავს, როგორც ნარდობის, ისე ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობების ელემენტებს სააპელაციო სასამართლოც დაეთანხმა, თუმცა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება ნასყიდობის წესები (სსკ-ის 629.1-ე მუხლი), ვინაიდან გამყიდველმა (რომელიც ამ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის ავტორია) საკუთარი მასალებით იკისრა მყიდველისათვის 10.06.2012წ. ხელშეკრულების საფუძველზე საქონლის დამზადება და მიწოდება, ამ ვითარებაში გამყიდველი, როგორც მენარდე ამზადებს კონკრეტულ პროდუქციას, რასაც ყიდულობს შემკვეთი, რომელიც თავის მხრივ, სხვა მესამე პირებთან იმყოფება სახელშეკრულებო ურთიერთობაში, ამასთან, დამზადებულია გვაროვნული ნივთი.

საქმე №ას-1100-1057-2016

9 ივნისი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დადასტურება

საქმეში წარმოდგენილი ნარდობის ხელშეკრულების თანახმად, სამუშაოს მოცულობა და ხარისხი მენარდეს სსიპ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის წარდგენით უნდა დაედასტურებინა. ხელშეკრულების ეს დებულება, სასამართლოს მოსაზრებით, უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მხედველობაში იქნას მიღებული მისი დანიშნულება და ის, თუ რა შედეგის მიღწევას ისახავდნენ მიზნად მხარეები არსებით პირობებზე შეთანხმებისას, რადგანაც ხელშეკრულების დებულების უკრიტიკოდ გაზიარება ეწინააღმდეგება სამართლის პრინციპებს, რამდენადაც, სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვისიტყვითი აზრიდან. უდავოა ის ფაქტი, რომ შეთანხმებული მტკიცებულების წარდგენა სამუშაოს ხარისხის განსაზღვრის მიზანს ემსახურება, თავის მხრივ, ნარდობის ხელშეკრულების სპეციფიკას წარმოადგენს უნაკლო ნივთის დამზადების ვალდებულება, თუ ხელშეკრულების საგანს ნაკეთობის დამზადება წარმოადგენს (სკ-ის 639-ე მუხლი). კანონმდებელი გვთავაზობს ნივთობრივი ნაკლის არაპირდაპირ დეფინიციას და 641-ე მუხლით ადგენს, რომ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს; ხოლო, თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოდ მიიჩნევა, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ მენარდე დაამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ ან უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობას. ამდენად, **საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კონკრეტულ საქსპერტო დაწესებულების კვლევის შედეგებისადმი კონტრაქტენტის მაღალი სანდოობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, მხარეთა წინასწარი შეთანხმება სრულად ექცეოდეს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპით დაცულ სფეროში (სკ-ის 327-ე მუხლი), თუმცა, იმ ვითარებაში, როდესაც კვლევის ჩატარებას ვერ ახერხებს ექსპერტი გარკვეული მიზეზით, ეს გარემოება არ შეიძლება ბრალად შეერაცხოს მენარდეს და წაერთვას შესაძლებლობა, სხვა სპეციალისტის/ექსპერტის მიერ ნაწარმოებ კვლევაზე დაყრდნობით ადასტუროს მოვალეობის ჯეროვანი შესრულების ფაქტი. კანონის სხვაგვარი განმარტება მიგვიყვანდა სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლით გარანტირებული კერძო ხასიათის ურთიერთობაში დამკვიდრებულ „პირთა თანასწორობის“ პრინციპის უარყოფამდე.**

განმარტების საგანი: ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შემკვეთის მიერ შესრულების მიუღებლობის შემთხვევაში (სამოქალაქო კოდექსის 633-ე მუხლი)

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის ივნისში შპს „ბ.რ.მა“ დაამზადა სარეკლამო ვიდეორგოლი – „მატარებელი“;

აღნიშნული ვიდეორგოლი 2012 წლის 29 ივნისს გადაიგა ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ეთერში;

ვიდეორგოლის დამზადების შესახებ წერილობითი ხელშეკრულება მხარეთა შორის არ გაფორმებულა;

სარეკლამო მუსიკალური ვიდეორგოლის შინაარსიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ ყურადღება გამახვილებული იყო გაუმჯობესებულ სარკინიგზო მომსახურებაზე, რასაც სთავაზობდა სს „ს.რ.“ მომხმარებელს, შესაბამისად, სარეკლამო რგოლი მიზნად ისახავდა საბოლოო ჯამში სს „ს.რ.ის“ პოპულარიზაციასა და მის რეკლამირებას;

დადასტურებულ გარემოებას წარმოადგენდა, როგორც ვიდეორგოლ „მატარებლის“ დამზადების, ისე, ამ ვიდეორგოლის გადასაღებად მოპასუხის კუთვნილი მატარებლისა (რომელიც მოსამსახურე პერსონალთან ერთად გამოიყო გადაღები ჯგუფისთვის) და სარკინიგზო მაგისტრალის (თბილისიდან ბათუმისა და ბათუმიდან თბილისის მიმართულებით) გამოყენების ფაქტი, რომელიც სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად ქმნიდა საკმარის საფუძველს სარეკლამო ვიდეორგოლის სს „ს.რ.ის“ მიზნებისათვის და მისივე ნების საფუძველზე დამზადებულად მიჩნევისათვის. სასამართლოს შეფასებით, სს „ს.რ.ის“ ნების არარსებობის პირობებში აღნიშნული სარეკლამო რგოლის დამზადებისათვის და კლიპში გამოყენებული ვიდეო კადრების გადაღებისათვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას მოსარჩელე ვერ მიიღებდა. ამასთან, კლიპის შინაარსიდან გამომდინარე, სარეკლამო რგოლი სწორედ „ს.რ.ის“ რეკლამირებას ისახავდა მიზნად და ამ კლიპის დამზადებასთან დაკავშირებული პროცესები გაშუქდა ტელევიზიით, რაც მიანიშნებდა მხარეთა ნების არსებობაზე.

ამდენად, პალატამ დადგენილად მიიჩნია სარეკლამო მუსიკალური ვიდეორგოლის გადაღება სს „ს.რ.ის“ მხრიდან ნების გამოვლენისა და შპს „ბ.რ.თან“ ზეპირი შეთანხმების საფუძველზე.

ამ გარემოების გათვალისწინებით, პალატამ არ გაიზიარა მხარეთა შორის ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისა და, აქედან გამომდინარე, უფლება-მოვალეობათა არსებობის შესახებ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 630-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და ნარდობის ხელშეკრულების დეფინიციიდან, ასევე მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნა, რომ იგი ფორმასავალდებულო გარიგებათა კატეგორიას არ განეკუთვნებოდა, რომლის ნამდვილობასაც სამოქალაქო კოდექსი დაუკავშირებდა რაიმე ფორმის დაცვის აუცილებლობას, შესაბამისად, არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შინაარსიდან გამომდინარე, სავალდებულო იყო წერილობითი ფორმის დაცვა და სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება იყო ბათილი.

სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მიზანზე – მოხდეს სახელმწიფო შესყიდვისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა. სასამართლოს განმარტებით, ამგვარი ვალდებულების დაკისრება სპეციალური სუბიექტებისათვის არ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების ფორმაზე, შესაბამისად, თუკი სპეციალური სუბიექტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დარღვევით, წერილობითი ფორმის გარეშე შევა ურთიერთობაში კონტრაქტთან, აღნიშნული დარღვევა ვერ იმოქმედებს რეალურად არსებული სამოქალაქო ურთიერთობის ნამდვილობაზე, თუკი თავად სამოქალაქო კოდექსით არ არის დადგენილი რაიმე სპეციალური ფორმა.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მხარეთა შორის ნარდობის ხელშეკრულების ზეპირად დადების ფაქტი განაპირობებდა სადავო საკითხის – 41 604 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების საკითხის ნარდობის ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით გადაწყვეტის აუცილებლობას.

სამოქალაქო კოდექსის 629-ე და 630-ე მუხლების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნარდობის ხელშეკრულების არსებით პირობად საზღაურზე შეთანხმება არ უნდა განხილულიყო, ვინაიდან ამგვარი შეთანხმების არარსებობისას მოქმედებდა სატარიფო განაკვეთი, ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი, ჩვეულებრივი ანაზღაურების პრინციპი.

პალატამ გაიზიარა აპელანტის მტკიცება მხარეთა შორის საზღაურის შესახებ შეთანხმების არარსებობის თაობაზე, ამასთანავე, საპირისპირო გარემოების დამტკიცება მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო, თუმცა, ვინაიდან საზღაური არ წარმოადგენდა ნარდობის არსებით პირობას, ხელშეკრულების ბათილობის საფუძველიც არ არსებობდა.

სასამართლო არ დაეთანხმა მოსარჩელის მტკიცებას სარეკლამო რგოლის ღირებულების თაობაზე, ვინაიდან შპს „ბ.რ.“ შიდა ბრძანებით სარეკლამო რგოლის ბიუჯეტის დამტკიცება არ შეიძლებოდა შეფასებულიყო მხარეთა შეთანხმებად საზღაურის თაობაზე, ვინაიდან ამ გარემოების შესახებ ორმხრივი ნების გამოვლენა არ დგინდებოდა. საზღაურის შეთანხმების თაობაზე მონაცემებს არ შეიცავდა არც ელექტრონული მიმოწერა ზ. შ.სა და ი. ს.ს შორის, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლომ ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება საზღაურის ოდენობასთან დაკავშირებით და უსაფუძვლოდ დააკისრა საპირისპიროს მტკიცების ტვირთი მოპასუხეს.

სააპელაციო პალატამ, მოცემულ შემთხვევაში, შეუძლებლად მიიჩნია სატარიფო განაკვეთის გამოყენება, ვინაიდან საკითხი სპეციფიკურ სფეროს განეკუთვნებოდა და ამ სფეროში მოქმედი სატარიფო განაკვეთების არსებობა დასაბუთებული არ ყოფილა. გარდა აღნიშნულისა, მოსარჩელემ ვერც ჩვეულებრივი ანაზღაურების თაობაზე კანონით გათვალისწინებული პირობის გამოყენების შესაძლებლობა დაასაბუთა. მან, მართალია წარადგინა მსგავსი ხელშეკრულება სარეკლამო ვიდეორგოლის დამზადების შესახებ, დადებული სს „ს.რ.სა“ და შპს „ნ. ს.-ს“ შორის, თუმცა ამ ორი კომპანიის მიერ დამზადებული რგოლის იდენტურობა მოსარჩელეს არ დაუსაბუთებია და არც შესაბამისი სპეციალური ცოდნის გამოყენებით ჩატარებული კვლევა წარუდგენია.

სასამართლოს მითითებით, მიუხედავად მხარეთა შორის საზღაურის შესახებ შეთანხმების არარსებობისა, სს „ს.რ.“, როგორც დამკვეთი, მაინც წარმოადგენდა პასუხისმგებელ პირს შპს „ბ.რ.“ მიმართ. ამასთან, მოპასუხის პოზიცია, რომ წერილობითი ხელშეკრულების არარსებობა გამორიცხავდა მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობას, სასამართლომ დამკვეთის მიერ შესრულებულ სამუშაოს მიღებაზე უარად მიიჩნია. სამოქალაქო კოდექსის 633-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მენარდე უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება, რომლის ოდენობაც ამავე 633-ე მუხლის მე-2 ნაწილით ვერ იქნებოდა გამოანგარიშებული.

სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მენარდის მიერ ნარდობის საგნის დამზადებისათვის გათვალისწინებული აუცილებელი ხარჯები, პალატის შეფასებით, მენარდისათვის მიყენებულ ზიანს წარმოადგენდა, რომლის ოდენობის განსაზღვრისათვის მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული მხარის მიერ სარეკლამო რგოლის დასამზადებლად გაწეული ხარჯები.

საქმე № ას-319-304-2016

2 ივნისი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დამკვეთის მიერ ნარდობის ხელშეკრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლი)

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შემოწმების საგანია ნარდობის ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით მიუღებელი შემოსავლის დაკისრების კანონიერება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა არ იყო განპირობებული მოსარჩელის (მენარდის) ბრალეული მოქმედებით. მხარეთა შორის ხელშეკრულება შეწყდა იმ მოტივით, რომ დამკვეთმა გადაწყვიტა ავტოდრომზე, ნაცვლად ხელშეკრულებითა და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ცემენტობეტონის საფარისა, მოეწყო ასფალტო-ბეტონის საფარი, რის შედეგადაც 2011 წლის თებერვალში მხარეთა

შორის დადებული ხელშეკრულება შეწყვიტა ცალმხრივად, რაც მოსარჩელეს ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას აძლევდა მიუღებელი შემოსავლის სახით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგინდა ზიანის ანაზღაურების (მიუღებელი შემოსავლის) დაკისრებისათვის გათვალისწინებული კანონისმიერი წინაპირობა, კერძოდ, დადგინდა, რომ 2010 წლის 30 ივნისის ხელშეკრულება შეწყდა შემკვეთის (მოპასუხის) ინიციატივით, ცალმხრივად. კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა განსაზღვრულიყო ის სარგებელი, რასაც მიიღებდა მოსარჩელე ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რის შედეგად მივიდა საქმის არასწორ გადაწყვეტამდე. სახელდობრ, სააპელაციო სასამართლომ ნარდობის ხელშეკრულების მოშლით მიყენებულ ზიანში გაითვალისწინა ის სარგებელი, რასაც მიიღებდა მოსარჩელე ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ანუ მიუღებელი შემოსავალი (სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნარდობის ხელშეკრულების მოშლისრიგებელი ნორმები ხელშეკრულების მოშლისა და ზიანის ანაზღაურების სპეციფიკურ რეგულაციებს ადგენს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 636-ე მუხლის თანახმად, შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოხმობილი ნორმის დეფინიციით, ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში უპირატესობა ენიჭება შემკვეთს, რომელსაც უპირობოდ, სამუშაოს დასრულებამდე, ნებისმიერ დროს, შეუძლია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. მენარდის ინტერესების დასაცავად და მხარეთა შორის უფლებებისა და მოვალეობების გონივრული ბალანსის შესანარჩუნებლად, შემკვეთს ეკისრება ვალდებულება, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მენარდეს აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაო, ის, რაც ფაქტობრივად შესრულდა და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მენარდეს ეკისრება ტვირთი, ამტკიცოს, თუ რა ზიანი მიადგა მას ხელშეკრულების მოშლით. სსკ-ის 636-ე მუხლში მითითებული ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი არის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო, რომელიც უნდა აუნაზღაუროს შემკვეთმა მენარდეს და, ასევე, დანახარჯები, რომელიც მოიცავს მენარდის მიერ გაწეულ ისეთ ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულების მიზნებისათვის ადამიანური, თუ ფინანსური რესურსების მოზიდვას, მაგ., ისეთი სპეციფიკური მასალებისა და მოწყობილობების შეძენას, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამუშაოებისთვისაა აუცილებელი და შეუძლებელია მათი სხვაგან გამოყენება, მანქანა-დანადგარებისა და ტექნიკური საშუალებების, შესასრულებელი სამუშაო იარაღის დაქირავება, კონკრეტული სპეციალისტების მოწვევა, რაც ნარდობის სამუშაოებისათვის გაწეულ ფაქტობრივ და იმ დანახარჯებს მოიცავს, რომელსაც, სავარაუდოა მიიღებდა მენარდე, რადგან საამისოდ განახორციელა გარკვეული ქმედებები.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სახელშეკრულებო სამართლის ფარგლებში მოწესრიგებულ ურთიერთობათა ცალკეულ ნორმებზე: მაგ. ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი (სსკ-ის 484-ე მუხლი), რომელიც გარიგების ყოველი მხარისათვის ადგენს შესაძლებლობას, უარი თქვას თავისი ვალდებულების შესრულებაზე, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მეორე მხარე თავის მოვალეობათა მნიშვნელოვან ნაწილს არ ასრულებს, იქვეა დათქმა უარის თქმის დაუშვებლობაზე; საგულისხმოა, მაგალითად, სხვა ნორმებიც: ხელშეკრულების მოშლა დამქირავებლის ინიციატივით (სსკ-ის 541-ე მუხლი), დაზღვევის შეწყვეტა ქონების გასხვისებისას (სსკ-ის 835-ე მუხლი), რომელთა მიხედვითაც, ურთიერთობის შეწყვეტამდე გარკვეული წინაპირობები უნდა არსებობდეს და იქნეს დაცული. სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ ინსტიტუტებთან შედარებისას და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ურთიერთობისათვის ამოსავალი პრინციპის – კონრაჰენტთა კეთილსინდისიერების გათვალისწინებით (სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი), შეიძლება ითქვას, რომ ნარდობის

სამართლებრივ ურთიერთობაში 636-ე მუხლი არის ის სპეციალური რეგულაცია, რომელსაც არ სჭირდება წინაპირობების დაცვა.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ თავად მოსარჩელემ ვერ შეძლო დაემტკიცებინა, თუ რა ფაქტობრივი ზიანი მიადგა მას კონკრეტული ხელშეკრულების მოშლით. სააპელაციო სასამართლოს მიერ მოპასუხისთვის დაკისრებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება უკავშირდება მხოლოდ მიუღებელ შემოსავალს. მოცემულ შემთხვევაში ასანაზღაურებელი ზიანი კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფაქტობრივ და იმ დანახარჯებს მოიცავს, რომელსაც, სავარაუდოდ მიიღებდა მენარდე, თუ მან საამისოდ გარკვეული ქმედებები განახორციელა. ამ თვალსაზრისით კი, მოსარჩელის მოთხოვნა დაუსაბუთებელია, შესაბამისად, ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმების თანახმად, იგი არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

საქმე №ას-164-160-2016

28 ივლისი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ნაკლის გამოსწორებისთვის განსაზღვრულ დამატებით ვადაში სამუშაოების დასრულების მიუხედავად პირგასამტეხლოს დაკისრების კანონიერება (სამოქალაქო კოდექსის 642-ე მუხლი)

სსკ-ის 417-418-ე მუხლებზე მითითებით, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა, ხელშეკრულების 14.1 პუნქტისა და ამავე ხელშეკრულებაზე, 2014 წლის 06 სექტემბრის დამატებითი შეთანხმების შესახებ, რომლითაც ხელშეკრულების შესრულების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2014 წლის 1 ივნისი და დაასკვნა, რომ მენარდემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დაასრულა 2014 წლის 31 ივლისისათვის, რითაც ვალდებულების საბოლოო შესრულებას გადააცილა 60 კალენდარული დღით (2014 წლის 1 ივნისიდან იმავე წლის 31 ივლისამდე). ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 60 დღის პირგასამტეხლო შეადგენს 116 400 ლარს (60 X 1940=116400), რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკისრა კიდევ მენარდეს, შესაბამისად, ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო და არ არსებობდა მისი გაუქმების თაობაზე მენარდის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეზე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მენარდის მიერ სამუშაოების დასრულების ფაქტის სამართლებრივი შეფასება, რადგან ამას უკავშირდება მოპასუხისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს მართლმომიერების დადგენა. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობასა და დასკვნებს, რომლებიც წინამდებარე გადაწყვეტილების 26-51 პუნქტებშია ასახული და მენარდის მიერ შესასრულებელ სამუშაოთა დასრულების თარიღთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენისას, ცხადია, ნარდობის ურთიერთობაში ფაქტობრივად მისალწვევი შედეგია ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობის წარდგენა შემკვეთისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების სამართლებრივი შეფასებისათვის, სსკ-ის 642-ე მუხლის დეფინიციის გათვალისწინებით, 2014 წლის 1 ივნისის მდგომარეობით დასრულებული სამუშაოები უნდა ჩაითვალოს შესრულებულად, რადგან სპეციალისტის შეფასებით, ძირითადი სამუშაოები დასრულებული იყო, ხოლო მცირე ხარვეზებისათვის 40-დღიანი დამატებითი ვადის განსაზღვრა სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ არსებითი (ძირითადი) სამუშაოები განხორციელებული იყო, ხოლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად დამატებით განსაზღვრული ვადა საკმარისი იყო. დამატებითი ვადის დადგენისას, გათვალისწინებული იქნა სემონური შემლუდებებიც, რაც აბათილებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომელიც ამ გადაწყვეტილების 50-ე პუნქტშია მითითებული. მხარეთა შორის სადავო არაა, რომ დამატებით ვადაში მენარდემ უზრუნველყო მცირე ხარვეზების აღმოსაფხვრა.

ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები, ამ ტიპის ხელშეკრულების სპეციფიკურობის გამო, იმის გათვალისწინებით, რომ პრეზუმირებულია გარკვეული ნაკლისა თუ ხარვეზების აღმოჩენა/გამოვლენა, შემკვეთის მიერ დამატებითი შესრულების მოთხოვნის შესაძლებლობასაც ად-

გენს სსკ-ის 642-ე მუხლით, თუმცა, ეს არაა ერთადერთი რეგულაცია, რადგან დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, კანონმდებელი ადგენს შესაძლებლობას, შემკვეთმა თვითონ აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება (სსკ-ის 643-ე მუხლი), ასევე, ნაკეთობის ნაკლის გამო, შემკვეთს სსკ-ის 405-ე მუხლის მიხედვით, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე (სსკ-ის 644-ე მუხლი), ხოლო, თუკი შემკვეთი არც ხელშეკრულების დამატებით შესრულებას მიიღებს საამისოდ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ და არც უარს განაცხადებს ხელშეკრულებაზე, შეუძლია შეამციროს საზღაური იმ თანხით, რა თანხითაც ნაკლი ამცირებს ნაკეთობის ღირებულებას (სსკ-ის 645-ე მუხლი). დასახელებულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და მის მონაწილეთა კეთილსინდისიერების ნაგულები პრეზუმფციის (სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი) გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, შემკვეთის მიერ კანონით განსაზღვრულ შესაძლებლობათაგან დამატებითი შესრულების მოთხოვნის არჩევა, კანონითაა დადგენილი და ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის შემადგენელი ელემენტია. სსკ-ის 642-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მენარდეს შეუძლია, უარი თქვას დამატებით შესრულებაზე, თუ იგი მოითხოვს არათანაბომიერ ხარჯებს. განსახილველ შემთხვევაში, აღნიშნული უფლება მენარდეს არ გამოუყენებია. ამდენად, კანონით გათვალისწინებული ალტერნატიული მოწესრიგებიდან შემკვეთმა თვითონ აირჩია და დამატებითი ვადა განუსაზღვრა მენარდეს, ხოლო ამ უკანასკნელმა დამატებით ვადაში სრულად აღმოფხვრა ნაკლოვანებები, რაც მხარეთა შორის სადავო არაა. მეორე კასატორის პრეტენზია (იხ. ამ გადაწყვეტილების 58.2 ქვეპუნქტი) დასაბუთებულია, რადგან შემკვეთის მიერ მენარდისათვის დამატებით განსაზღვრულ ვადაში სამუშაოების დასრულების მიუხედავად, ამ უკანასკნელს მაინც დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა, რაც დაუსაბუთებელია ზემოხსენებული მსჯელობისა და დასკვნების გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მენარდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების მართლზომიერების საკითხი შესაფასებელი იქნებოდა იმ შემთხვევაშიც, თუ დამატებითი ვადის გადაცილებით დაასრულებდა მოპასუხე ხარვეზების აღმოფხვრას, რადგან გამოსაკვლევი იქნებოდა, რა ჩაითვლებოდა სამუშაოს შესრულებად, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, შემკვეთმა, კანონით დადგენილი წესით, აირჩია დამატებითი შესრულების მოთხოვნის შესაძლებლობა, მენარდე კი დაეთანხმა მას. საბოლოოდ, მენარდემ დამატებით ვადაში უზრუნველყო ნაკლის გამოსწორება, რაც მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრებას, ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით, გამორიცხავს.

4.7. დავალევა

საქმე №ას-411-388-2014

22 აპრილი, 2015 წელი. თბილისი

განმარტების საგანი: განსხვავება დავალების ხელშეკრულებასა და საკუთრების მინდობას შორის (სამოქალაქო კოდექსის 709-ე და 724-ე მუხლები)

მოცემულ საქმეზე დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ერთი მხრივ, მ. ბ-ეს, როგორც „საკუთრების მინდობასა“ და მეორე მხრივ, მ. ნ-ს, როგორც „მინდობილ მესაკუთრეს“ შორის 2009 წლის 10 აგვისტოს გაფორმდა სანოტარო აქტი (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N.....), რომლის თანახმად, საკუთრების მიმდობმა მინდობილ მესაკუთრეს მართვისა და განკარგვის უფლებით მიანდო მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები, მიწა, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, წილები სამეწარმეო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში..). „მინდობილ ქონებაში“ იგულისხმება ყველა ის ქონებრივი და არაქონებრივი სიკეთე, რომელიც წინამდებარე აქტის შედგენისას არის, ან მომავლში იქნება საკუთრების მიმდობის სარგებლობასა ანდა მფლობელობაში. „მართვაში“ იგულისხმება

ყველა ის მოქმედება, რაც აუცილებელია მინდობილი ქონების ჯეროვანი მოვლისა და დაცვისათვის, ან სასარგებლო საკუთრების მიმდობისათვის ნაყოფის მიღების (შემოსავლის) თვალსაზრისით (გაქირავება, იჯარა, აღნაგობა, უზუფრუქტი...). „განკარგვაში“ იგულისხმება მინდობილი ქონების გასხვისება ნებისმიერი ფორმით (ჩუქება, გაცვლა, ყიდვა, გაყიდვა...) (მუხლი პირველი). ამავე ხელშეკრულებით მ. ბ-ემ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიანიჭა მ. ნ-ს, საქართველოს ნებისმერ ბანკში ეწარმოებინა ყველა სახის საბანკო ოპერაცია, ხელი მოეწერა საკრედიტო ხაზთან დაკავშირებული დოკუმენტაციისათვის, იპოთეკური და სადაზღვევო ხელშეკრულებებისათვის... (მუხლი 2.).

აღნიშნული ხელშეკრულება მიუხედავად მასში მრავალჯერ მოხსენიებული ტერმინებისა „საკუთრების მიმდობი“, „მინდობილი მესაკუთრე“ თავისი სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენს არა საკუთრების მიმდობის ხელშეკრულებას, არამედ – „რწმუნებულებას“. ამ დასკვნის საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 727-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, საკუთრების მინდობის ხელშეკრულება წარმოადგენს წერილობითი სახის ფორმასავალდებულო ხელშეკრულებას, რაც სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლის მიხედვით ნიშნავს იმას, რომ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმის დაცვა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მ. ბ-ესა და მ. ნ-ს შორის 2009 წლის 10 აგვისტოს სანოტარო წესით გაფორმებული აქტის „საკუთრების მინდობის ხელშეკრულებად“ კვალიფიკაციისათვის უნდა არსებობდეს ორივე მხარის ნების წერილობითი ფორმით გამოვლენა – ხელმოწერა, მასში გამოვლენილია მხოლოდ მ. ბ-ის ცალმხრივი ნება. ამდენად, თავისი ფორმით 2009 წლის 10 აგვისტოს სანოტარო წესით გაფორმებული გარიგება, როგორც ცალმხრივი ნების გამოვლენა, ვერ შეფასდება საკუთრების მინდობის ხელშეკრულებად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფორმის დაუცველობასთან ერთად, რაც სრულიად საკმარისი საფუძველი იქნებოდა საკუთრების მინდობის ხელშეკრულების არარსებობის ფაქტობრივი გარემოების დასადგენად, გარიგების შინაარსიც არ პასუხობს სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის მოთხოვნებს, სახელდობრ, გარიგების რამდენიმე პუნქტში, რომელშიც გაწერილია უშუალოდ მინდობილი მესაკუთრის უფლებები და მოვალეობები რამდენიმეჯერ მეორდება დათქმა იმასთან დაკავშირებით, რომ მინდობილი მესაკუთრე – მ. ნ-ი საკუთრების მიმდობის სახელითა და ხარჯით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში, რაც ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება საკუთრების მინდობის ურთიერთობისათვის დამახასიათებელ თვისებას, ვინაიდან საკუთრების მინდობის ურთიერთობიდან გამომდინარე, მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდის მხოლოდ თავისი სახელით (სკ-ის 725-ე მუხლის პირველი ნაწ.).

4.8. დაზღვევა

საქმე №ას-896-858-2014

16 მარტი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმა სადაზღვევო პრემიის გადახდის ვადის დარღვევის გამო

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2012 წლის 28 დეკემბერს, ერთი მხრივ, მ. ბ-სა და, მეორე მხრივ, შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ჯ-ს“ შორის გაფორმდა №..... სადაზღვევო ხელშეკრულება, რომლის თანახმად შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ჯ-მა“ ვალდებულია იკისრა, მ. ბ-სათვის გაეწიოს დაზღვევის მომსახურება. დაზღვევის პერიოდად განისაზღვრა 2012 წლის 31 დეკემბრიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი. სადაზღვევო თანხა განისაზღვრა 20 000 აშშ დოლარით.

ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დამზღვევის მიერ პრემიის (ხოლო განვადებისას მისი ვადამოსული შენატანის) ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში დაზღვევა ჩერდება. შეჩერებული დაზღვევა ავტომატურად უქმდება (წყდება), თუ დამზღვევი ერთ თვეში არ დაფარავს დავალიანებას. ამასთან, სადაზღვევო ანაზღაურებას არ ექვემდებარება შეჩერების პერიოდში დამდგარი შემთხვევა (ზიანი).

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ 2013 წლის 6 აგვისტოს მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რომლის დროსაც დაზიანდა მ. ბ-ას კუთვნილი დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება.

მ. ბ-ა სადაზღვევო პრემიას იხდიდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკის დარღვევით, კერძოდ, მას ავტოსტოს თვის პრემია გადახდილი აქვს არა გრაფიკით გათვალისწინებულ 2013 წლის 31 ივლისს, არამედ 2013 წლის 6 აგვისტოს. მ. ბ-ას სასარგებლოდ შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ჯ-ს“ სადაზღვევო პოლისის საფუძველზე დაზღვევისათვის გათვალისწინებული სადაზღვევო თანხა არ გაუცია.

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, 2012 წლის 28 დეკემბერს შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ჯ-ს“ და მ. ბ-ას შორის ხელშეკრულების გაფორმებით მხარეთა შორის წარმოიშვა დაზღვევის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა.

სამოქალაქო კოდექსის 799-ე, 817-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა მიერ 2012 წლის 28 დეკემბრის ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობის შეფასებისათვის სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეჩერების თაობაზე, უნდა მოხდეს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ზემოთ მითითებული ნორმების ანალიზი ერთობლიობაში. სამოქალაქო კანონმდებლობით აღიარებული უფლებათა მართლზომიერად და კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპებიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობა ხელშეკრულების შეჩერების თაობაზე ეწინააღმდეგება სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილ პრინციპებს.

რაც შეეხება ხელშეკრულების შეწყვეტას და სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევებში, სააპელაციო პალატის მითითებით, შეფასების საგანს წარმოადგენს ის გარემოება, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ხელშეკრულების შეწყვეტილად მიჩნევის საფუძველად დამზღვევის მიერ პრემიის შეტანის ვალდებულების დარღვევა, თუ მზღვეველი არ აფრთხილებს დამზღვევს წერილობით და არ განუსაზღვრავს ვადას.

აღნიშნული თვალსაზრისით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის ამოსავალ პრინციპს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების მიღწევა წარმოადგენს, სამოქალაქო კოდექსი ორიენტირებულია პირველადი მოთხოვნის – ვალდებულების შესრულების მიღწევაზე, რაც შეეხება ხელშეკრულების მოშლასა თუ ხელშეკრულებიდან გასვლას, აღნიშნულიც თავისთავად მხარეთა ნებაზე დამოკიდებული და კანონმდებელი ამომწურავად განსაზღვრავს თითოეულ ამ ინსტიტუტს. სადაზღვევო პრემიის შეტანის მარეგულირებელი ნორმები, მათ შორის სამოქალაქო კოდექსის 815-ე, 817-ე და 818-ე მუხლები, არ წარმოადგენს იმპერატიული ხასიათის ნორმებს და ცალსახად არ ადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობას, კანონმდებელი ამავე კოდექსის 817-ე და 818-ე მუხლებით ადგენს მზღვეველის უფლებას, შესაბამისი ფორმით განსაზღვროს პრემიის გადახდის დამატებითი ვადა, ასევე კანონით დადგენილი ფორმის დაცვით მოშალოს ხელშეკრულება, თუმცა მზღვეველის მიერ აღნიშნული უფლების გამოუყენებლობა მისი, როგორც ხელშეკრულების მხარის არაკეთილსინდისიერად მიჩნევის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის დათქმა, რომ სადაზღვევო შესატანი დროულად გადაუხდელობისას მზღვეველს შეუძლია, წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა, ამასთან, უნდა მიუთითოს იმ შედეგებზე, რომლებიც ვადის გასვლას მოჰყვება, არ შეიძლება განმარტებულ იქნას ამავე მუხლის მეორე ნაწილისაგან განყენებულად, რადგანაც მითითებული ნორმის მეორე ნაწილით დადგენილია მზღვეველის მიერ შეტყობინების უფლების გამოუყენებლობისათვის ერთგვარი სამოქალაქო-სამართლებრივი სანქცია, კერძოდ ის, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა მისთვის წარმოშობს სადაზღვევოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო კომპანია წერილობით გააფრთხილებს დამზღვევს პრემიის გადახდის თაობაზე და 2-კვირიანი ვადის გასვლის შემდეგ დადგება სადაზღვევო შემთხვევა. ამ ვადის გასვლამდე მზღვეველი ვალდებულია, აანაზღაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი შემთხვევა, მიუხედავად იმისა, დამზღვევს გადაცილებული აქვს თუ არა პრემიის შეტანის ვადა.

სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ განსახილველ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიას წერილობით არ გაუფრთხილება დამზღვევი პრემიის გადახდის თაობაზე, არ განუსაზღვრავს ორკვირიანი ვადა და მ. ბ-ამ თავად განახორციელა გადახდა გრაფიკით გათვალისწინებული თარიღიდან რამდენიმე დღეში, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მხარეთა შორის 2012 წლის 28 დეკემბრის დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სადაზღვევო ურთიერთობა არ შეწყვეტილა და სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების პასუხისმგებლობისაგან მზღვეველის განთავისუფლების საფუძველი არ არსებობს.

საქმე №ას-1165-1110-2014

23 იანვარი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დამზღვევის უხეში გაუფრთხილებლობის გამო სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმა

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება, რომ ავტოსატრანსპორტო შემთხვევა გამოიწვია მძღოლის უხეშმა გაუფრთხილებლობამ.

სასამართლოს აღნიშნული დასკვნა დაამყარა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილს და ჩათვალა, რომ სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევის შედეგად უნდა დაასაბუთოს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტების არსებობა-არარსებობის საკითხი. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლიობაში, ურთიერთშეჯერებით და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს დასკვნას საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობის შესახებ.

პალატამ განმარტა, რომ ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს მძღოლის ბრალეულობის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობად დაკვალიფიცირება განეკუთვნება შეფასებით კატეგორიას და იგი უნდა განისაზღვროს საგზაო მოძრაობის უშუალო მონაწილის კონკრეტული მოქმედების დადგენითა და ამგვარი მოქმედებით დამდგარი შედეგის მიმართ მისი სუბიექტური დამოკიდებულებით.

ტვირთის (წყლის მოტოციკლი) დაზღვევის პირობების 4.1. პუნქტის თანახმად, ეს დაზღვევა არ ფარავს: დანაკარგს, დაზიანებას ან ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია დაზღვეულის მიერ განზრახ ქმედებასთან ან უხეში გაუფრთხილებლობასთან.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 11-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ უდავოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ სადაზღვევო შემთხვევა არ ყოფილა გამოწვეული განზრახი მოქმედებით. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატამ ყურადღება გაამახვილა ასევე შემდეგ მტკიცებულებებზე: საქმის მასალებს ერთვის თბილისის პროკურატურის ანტიკორუფციული საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებლის წერილი სადაზღვევო კომპანია „ა. ჯ-ის“ მიმართ, რომლითაც დგინდება, რომ თბილისის პროკურატურის ანტიკორუფციულ საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის №010108192 საქმეზე, სადაზღვევო კომპანიების კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხების წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თაღლითურად დაუფლების ფაქტზე. აღნიშნული სამსახურის მიერ სადაზღვევო კომპანია „ა. ჯ-დან“ მიღებულ იქნა ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევებთან დაკავშირებით, მათ შორის ვ. ნ-სთან მიმართებით. კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით ვ. ნ-ის მიმართ არ გამოტანილა გამამტყუნებელი განაჩენი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ნ-ე უხეში გაუფრთხილებლობით არ მოქმედებდა.

პალატამ საქმის მასალებით დადგენილად ჩათვალა, რომ ვ. ნ-ე მოძრაობდა დასაშვები სიჩქარით (დაშვებული სიჩქარის გადაჭარბების ფაქტი, წარმოდგენილი საჯარიმო ქვირით არ დგინდება), ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, ის იმყოფებოდა ფხიზელ მდგომარეობაში.

საქმეში წარმოდგენილია ავტოსაგზაო შემთხვევის დათვალიერების სქემა, რომლითაც დგინდება, რომ ვ. ნ-ე მოძრაობდა მარჯვენა სამოძრაო ზოლში, ბათუმიდან თბილისის მიმართულებით, ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას შეანელა სვლა და საჭე მკვეთრად მარჯვნივ აიღო. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დათვალიერების სქემაზე არ არის აღნიშნული მუხრუჭის გამოყენების კვალი, შესაბამისად, უნდა გამოირიცხოს მოსარჩელის მიერ მკვეთრად დამუხრუჭების ფაქტი. დათვალიერების სქემით დგინდება, რომ

ავტომანქანის მისაბმელი გადავიდა მოძრაობის საწინააღმდეგო ზოლში და შეეჯახა მოძრავ ავტომანქანას. იმ პირობებში, როდესაც დადგინდა, რომ მოსარჩელე არ მოქმედებდა განზრახ, გონივრული ახსნა უნდა მოეძებნოს მოსარჩელის მოქმედებებს, რაც გამოიხატა მსვლელობისას მოძრაობის შენელებასა და საჭის მკვეთრად მარჯვნივ მომართვაში, რის შედეგადაც ავტომანქანის მისაბმელი გადავიდა საწინააღმდეგო ზოლში და გამოიწვია ავტოსატრანსპორტო შემთხვევა. მოსარჩელის განმარტებით, საპირისპირო მიმართულებიდან მომავალი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ფარების შუქმა მოჭრა თვალი და მას შეექმნა წარმოდგენა, რომ შემხვედრი ავტომანქანა გადასული იყო მის სავალ ნაწილში.

სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შემთხვევა მოხდა ღამის საათებში, რა დროსაც ცუდი მხედველობაა. დათვალიერების სქემის შესაბამისად, ავტომანქანის მოძრაობის ტრაექტორიის მიხედვით დგინდება, რომ საწინააღმდეგო ზოლში მოძრავი ავტომანქანა მიუახლოვდა გზის გამყოფ ზოლს. შესაძლოა მოსარჩელეს შეექმნა მცდარი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ავტომანქანა გადასული იყო მის სამოძრაო ზოლში, თუმცა ამგვარი წარმოდგენა არ იყო საფუძველს მოკლებული, ვინაიდან მოძრაობდა ღამის საათებში და შემხვედრი ავტომანქანა მოკლე მანძილით მიუახლოვდა გზის გამყოფ ზოლს. ვ. ნ-ის მოქმედებამ, საჭის მკვეთრად მარჯვნივ მომართვამ, გამოიწვია მისაბმელის მოცურება, რაც არ უნდა შეფასდეს უხემ გაუფრთხილებლობად.

სასამართლომ განმარტა, რომ უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც მოძრაობს არაფხიზელ მდგომარეობაში, გადაჭარბებული სიჩქარით, არღვევს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესებს და თავისი მოქმედებით აუცილებელი ყურადღებანიობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით. უხეში გაუფრთხილებლობა არის მეტისმეტი დაუდევრობა, ხოლო თუ დადგინდა, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ავტომანქანას მართავდა სათანადო წინდახედულების ფარგლებში, მისი ქმედება არ შეიძლება შეფასდეს უხემ გაუფრთხილებლობად.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ ვ. ნ-ე მოძრაობდა დასაშვები სიჩქარით, ფხიზელ მდგომარეობაში, მოძრაობდა მის სავალ ზოლში, მოძრაობისას არ არღვევდა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესებს, მაგრამ გზაზე შექმნილი სავარაუდო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, იმოქმედა გაუფრთხილებლად, რაც გამოიხატა შემდეგში: საჭე მომართა მარჯვნივ, რის შედეგადაც ავტომანქანის მისაბმელმა გადაკვეთა შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზი. საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, საპირისპირო მიმართულებიდან მომავალი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ფარების შუქით თვალის მოჭრის შემთხვევაში მძღოლმა მოძრაობის ზოლის შეუცვლელად უნდა შეანელოს სიჩქარე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – გაჩერდეს და ჩართოს საავარიო შუქსიგნალიზაცია.

სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის თანახმად, ავტოსაგზაო შემთხვევის ყველა გარემოების გათვალისწინებით, პალატამ დადგინდა მიიჩნია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეული არ ყოფილა მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობით, რის გამოც მოპასუხეს ეკისრება დაზღვევის თანხის ანაზღაურების ვალდებულება.

საქმე №ას-1306-1226-2015

1 ივლისი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დამზღვევის ბრალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომაში (სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლი)

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტები: შემთხვევის დღეს დამზღვევი მოძრაობდა დაშვებული სიჩქარით თავის სამოძრაო ზოლში, იგი ფხიზელი მართავდა ავტომობილს (არ იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ), მოძრაობის დროს არ არღვევდა საგზაო მოძრაობის წესებს. გზაზე წარმოქმნილი სავარაუდო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მან იმოქმედა გაუფრთხილებლად, გააკეთა არასწორი მანევრი, რასაც შედეგად მოჰყვა ავტოავარია. სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ ფაქტების ერთობლიობა იძლეოდა დამზღვევის მოქმედების მარტივ, და არა უხემ გაუფრთხილებლობად შეფასების საშუალებას.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ დასკვნას და დამატებით განმარტავს, რომ პასუხისმგებლობის ფარგლები, (უფრო მკაცრი ან მსუბუქი პასუხისმგებლობა), შეიძლება გარიგებით ან კანონით დაწესდეს. ამ შემთხვევაში, მხარეებს ხელშეკრულებით არ დაუკონკრეტებიათ ეს ფარგლები, ანუ არ გაუმიჯნავთ ერთმანეთისაგან უხეში და მარტივი გაუფრთხილებლობის შემთხვევები. შესაბამისად, სსკ-ი 829-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მზღვეველის პასუხისმგებლობა მხოლოდ მარტივი გაუფრთხილებლობით დამდგარი ზიანისათვის დგება. **გამორიცხვის მეთოდით, მარტივ გაუფრთხილებლობად შეფასდება ყველა ის მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას, როგორცაა: დაშვებული სიჩქარის 80-100%-ით გადაჭარბება, უმიზნოდ საპირისპირო მოძრაობის ზოლში გადასვლა, ქარაფშუტულად, სათანადო გათვლების გარეშე, დაკავებული ზოლიდან გამოსვლით იმავე ზოლში თანმხვედრი მიმართულებით წინ მოძრაობა ერთი ან რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების გადასწრება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ასევე სახანძრო და სხვა სპეციალური ტრანსპორტისათვის გზის არ დათმობა, ავტომანქანის სამართავად გადაცემა მართვის უფლების არმქონე, ან არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მესამე პირისათვის და ა.შ.**

საქმე №ას-1319-1257-2014 **30 ოქტომბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი**
განმარტების საგანი: სადაზღვევო შემთხვევის დადგომაში დამზღვევის ბრალის მიუხედავად სა-
დაზღვევო თანხის ანაზღაურება

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის თანახმად, მზღვეველმა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს დამზღვევის მიმართ საკუთარი ვალდებულებების განსაზღვრისას უნდა იხელმძღვანელოს სადაზღვევო ხელშეკრულების დებულებებით.

თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლი მზღვეველს ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან დამზღვევის განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, დაზღვევის ხელშეკრულების მხარეებმა აღნიშნულისაგან განსხვავებულ პირობაზე შეთანხმების სურვილის არსებობისას (კერძოდ, ბრალის მიუხედავად მზღვეველის მხრიდან ანაზღაურების ვალდებულება), ამის შესახებ ხელშეკრულებაში პირდაპირ უნდა მიუთითონ. თუ ხელშეკრულებით მხარეები პირდაპირ არ გაითვალისწინებენ ამ პირობას (პირდაპირ არ შეთანხმდებიან დამზღვევის ბრალით სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ), აღნიშნული შემთხვევა დარეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლით, რომელიც განზრახვი ან უხეში გაუფრთხილებლობით მომხდარი შემთხვევისას ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას გამორიცხავს.

საქმე №ას-602-570-2014 **30 იანვარი, 2015 წელი, ქ. თბილისი**
განმარტების საგანი: საგამონაკლისო შემთხვევის გამო სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმა

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დაზღვეული პირის გარდაცვალება გამოწვეული იყო დაზღვევამდე არსებული დაავადებით, რაც 2012 წლის 26 ოქტომბრის დაზღვევის პოლისისა და სს „თ. ბ-ის“ საცალო საკრედიტო პროდუქტის კლიენტი ფიზიკური პირის სიცოცხლის დაზღვევის პირობების მე-13 თავით დადგენილი გამონაკლისების მიხედვით წარმოადგენდა იმ შემთხვევას, რომლითაც გამოირიცხებოდა მზღვეველის მხრიდან დაზღვეულისათვის თანხის ანაზღაურების ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მხარეთა შორის სადაზღვევო ხელშეკრულება გაფორმდა 2012 წლის 26 ოქტომბერს, ხოლო, ბენეფიციარი შიღისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პრ ცენტრში აღრიცხვამ აყვანილ იქნა 2013 წლის იანვრიდან. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია „..... ჰ-ის“ მიერ დ. გ-ის მიმართ 2013 წლის 10 და 23 აპრილს გაცემულ წერილებზე, ამ წერილების მიხედვით, სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველად მიეთითა იმ გარე-

მოებაზე, რომ ი. გ-ზე სესხი 10000 აშშ დოლარის ოდენობით გაიცა დაავადების დიაგნოსტიკის შემდეგ, ანუ პაციენტი დიაგნოსტიკებული იყო სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე, რაც დასტურდებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა 100-ის მოკლე ანამნეზის გრაფაში მითითებული ჩანაწერით იმის თაობაზე, რომ პაციენტი ერთი წელია ავადმყოფობდა. ამასთან, სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლად მიეთითა დაზღვევის პირობების 13.1 პუნქტით დადგენილ გამონაკლისზე.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, დავის სწორად გადაწყვეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სს „თ. ბ-ის“ საცალო საკრედიტო პროდუქტის კლიენტი ფიზიკური პირის სიცოცხლის დაზღვევის პირობების 13.1 პუნქტით დადგენილ სადაზღვევო თანხის გაცემაზე უარის საფუძვლად მითითებული საგამონაკლისო გარემოებების სწორად განმარტებას. „დაზღვევის პირობების“ 13.1 პუნქტი სასამართლოს მხრიდან უნდა განმარტებულიყო, პირველ რიგში, აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერი მხარის – შპს „.....“ 3-ის“, როგორც მზღვეველის ზუსტი ნების დადგენის გზით.

საქმის მასალებით დადგინდა, რომ მზღვეველი სადაზღვევო თანხის ანაზღაურებაზე უარის 13.1 პუნქტით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევას უკავშირებდა დაზღვეული პირის გარდაცვალების გამოწვევი მიზეზის (დაავადების) დაზღვევამდე დიაგნოსტიკის გარემოებას, რასაც თავის მხრივ უკავშირებდა ჯანმრთელობის ფორმა 100-ში, მოკლე ანამნეზში მითითებული ავადმყოფობის მიმდინარეობის ერთწლიან პერიოდს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დაზღვევის პირობების 13.1 პუნქტი, თავად მოპასუხე (აპელანტი) შპს „.....“ 3-ის“, როგორც მზღვეველის პოზიციის გათვალისწინებით უნდა განმარტებულიყო იმგვარად, რომ სადაზღვევო თანხის გაცემაზე დაზღვევის პირობების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა არსებობდა მაშინ, როდესაც დაზღვეულის გარდაცვალება გამოწვეული იყო დაზღვევამდე არსებული ან/და ქრონიკული დაავადებით, რომლის დიაგნოსტიკის ობიექტური შესაძლებლობა დაზღვეული პირისთვის არსებობდა დაზღვევის მომენტისათვის (ანუ დაზღვევამდე).

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით, მართალია, არსებობდა პაციენტის (დაზღვეულის) დაზღვევამდე დაავადების ვარაუდი, თუმცა ამავედროულად დადგინდა, რომ ვინაიდან, გარდაცვალების გამოწვევი მიზეზის (ავიზინფექციის) კლინიკური სიმპტომატიკის გამოვლინება გვიან ეტაპზე ხდება, ავადმყოფი არ იყო გამოკვლეული აღნიშნულ დაავადებაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ი. გ-ი დიაგნოსტიკებული იყო 2013 წლის იანვარში, ანუ დაზღვევის შემდგომ, ამასთან, დაზღვევამდე ობიექტურად არ არსებობდა დაავადების დიაგნოსტიკის შესაძლებლობა, რაც ვერ იქნება განხილული დაზღვევის პირობების 13.1 პუნქტით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევად.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სს „თ. ბ-ის“ საცალო საკრედიტო პროდუქტის კლიენტი ფიზიკური პირის სიცოცხლის დაზღვევის პირობების მე-13 თავის 13.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისის გარემოება, რომლის საფუძველზეც სადაზღვევო კომპანია უფლებამოსილი იყო უარი განეცხადებინა ბენეფიციარის სასარგებლოდ თანხის ანაზღაურებაზე.

4.9. საბანკო გარანტია

საქმე №ას-367-348-2015

15 მაისი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საბანკო გარანტიის არსებობა

2011 წლის 12 სექტემბერს მოსარჩელესა და პრინციპალს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №... ხელშეკრულება, პრინციპალმა იკისრა იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა განსახლების მიზნით საცხოვრებელი ფართების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების ვალდებულება.

პრინციპალმა ბენეფიციარს წარუდგინა 2011 წლის 12 სექტემბრით დათარიღებული შეგებებული მოსარჩელის სახელით გაცემული №... საბანკო გარანტია 835 000 ლარზე და მოითხოვა ამავე თანხაზე წინასწარი ანგარიშსწორება, რაც განხორციელდა კიდევ.

2011 წლის 15 სექტემბერს ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის ასევე გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №... ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ამ უკანასკნელმა იკისრა იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა განსახლების მიზნით საცხოვრებელი ფართების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების ვალდებულება.

პრინციპალმა ბენეფიციარს წარუდგინა 2011 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული შეგებებული მოსარჩელის სახელით გაცემული B... საბანკო გარანტია 398 000 ლარზე და მოსთხოვა სამინისტროს ამავე თანხაზე წინასწარი ანგარიშსწორება, რაც განხორციელდა კიდევ.

2011 წლის 5 დეკემბერს პრინციპალმა ძირითად მოსარჩელეს აცნობა, რომ ვერ ხერხდებოდა სამუშაოების შესრულება, რადგან კომპანიის ყოფილი ხელმძღვანელობა, რომელთაც გააფორმეს ხელშეკრულება, იმყოფებოდა პატიმრობაში და კომპანიას არ გააჩნდა სახსრები, შესაბამისად, ბენეფიციარის 2011 წლის 6 დეკემბრის №... ბრძანებით შეწყდა 2011 წლის 12 და 15 სექტემბრის №... და №... ხელშეკრულებები მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

2011 წლის 5 დეკემბერს სამინისტრომ გარანტს აცნობა, რომ პრინციპალის მიერ წარდგენილ იქნა ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები, რომელთა საფუძველზეც მოხდა 1 233 000 ლარის გადარიცხვა. რამდენადაც პრინციპალს არ შეუსრულებია ნაკისრი ვალდებულებები, სამინისტრომ მოითხოვა საბანკო გარანტიების შესაბამისად გადარიცხული თანხის – 1 274 259 ლარის ანაზღაურება.

2011 წლის 7 დეკემბერს გარანტმა ბენეფიციარს აცნობა, რომ მოთხოვნაზე თანდართული 2011 წლის 12 დეკემბრის B... საბანკო გარანტიის ასლი არ შეესაბამებოდა მათ მიერ ამავე რიცხვში ამავე ნომრით გაცემულ საბანკო გარანტიას, კერძოდ, მათ მიერ გაცემულ საბანკო გარანტიის პირველ პუნქტში მითითებული თანხა შეადგენდა 35 00 ლარს და არა 835 000 ლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2014 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით შეგებებული მოსარჩელის (გარანტის) მიერ 2011 წლის 12 სექტემბრის 835 000 ლარზე გაცემული საავანსო გადახდის გარანტია B... და 2011 წლის 23 სექტემბერს 398 000 ლარზე გაცემული B... საბანკო გარანტია აღიარა ყალბად. გადაწყვეტილება ამ ნაწილში არ გასაჩივრებულა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 ივლისის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით ასევე დადგინდა, რომ ზემოხსენებული საბანკო გარანტიების გაყალბებაში მონაწილეობდა ასევე პრინციპალის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

განსახილველ შემთხვევაში, ქვემდგომმა სასამართლოებმა 35 000 ლარის დაკისრების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანად იმ დასაბუთებით მიიჩნიეს, რომ პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში გარანტს მართლაც ჰქონდა B... საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტია გაცემული, თუმცა, საგარანტიო თანხა შეადგენდა არა ბენეფიციარისათვის გადაცემულ დოკუმენტში აღნიშნულ 835 000 ლარს, არამედ, მხოლოდ 35 000 ლარს. ვინაიდან სისხლის სასამართლის საქმეზე დოკუმენტის გაყალბების ფაქტის მიმართ არ დადგინდა ბენეფიციარის რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედება, სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილზე დაყრდნობით, მიჩნეულ იქნა, რომ სამინისტრო, როგორც კეთილსინდისიერი მხარე, უფლებამოსილი იყო მოეთხოვა შესრულება, ხოლო გარანტი ვალდებული იყო აენაზღაურებინა იმ ოდენობის თანხა, რა ოდენობაზეც რეალურად იქნა გაცემული საბანკო გარანტია.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ქვემდგომ სასამართლოთა ამ დასკვნას და განმარტავს, რომ მართალია, სამოქალაქო კოდექსი ადგენს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტს (სკ-ის 8.3. მუხლი), თუმცა, კეთილსინდისიერებით არ შეიძლება ყოველთვის იქნას ახსნილი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილის ინტერესი, რადგანაც თავად კეთილსინდისიერება კონტრაჰენტს იცავს მაშინ, როდესაც ეს გათვალისწინებულია კანონით (მაგ: სკ-ის 312-ე მუხლი), რამდენადაც კანონმდებლის ამგვარი მიდგომა წარმოადგენს კოლიდირებულ სიკეთეთა შორის უპირატესი უფლების მქონე პირის განსაზღვრის ინსტრუმენტს და ცდილობს, ამ გზით დაიცვას ყველა იმ კეთილსინდისიერი პირის ინტერესები, რომლებიც მართლზომიერად განკარგავდნენ საკუთარ სამოქალაქო უფლებებს და გააჩნდათ ამ განკარგვის ლეგიტი-

მური შედეგის დადგომის მოლოდინი. განსხვავებით ამისაგან, კეთილსინდისიერი პირის ინტერესების დაცვა ვერ გადაწონის იმ პირის უფლებებს, რომელიც სამოქალაქო ურთიერთობაში არ შესულა და არც შესაბამისი უფლება-მოვალეობები წარმოშობია.

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს იმ უდავო ფაქტს, რომ კასატორის მხრიდან 35 000 ლარის ანაზღაურების თაობაზე შესაბამისი საბანკო გარანტიის გაცემის მიუხედავად, ეს ნება ადრესატს (ბენეფიციარს) არ მისვლია, არამედ, მას გადაეცა სრულიად განსხვავებული, არარა ნება, რომელიც ვალდებული პირისაგან არ მომდინარეობდა და თვლის, რომ ამ შემთხვევაში, კასატორსა და ძირითად მოსარჩელეს შორის საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულება, მიუხედავად ბენეფიციარის კეთილსინდისიერებისა, არ წარმოშობილა. შესაბამისად, ვერც ამ მხრივ იქნება გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს შეფასება იმის თაობაზე, რომ დაკისრებული თანხის ფარგლებში შეგებებული მოსარჩელის ნების არსებობა მის ვალდებულებას განაპირობებდა.

ამდენად, ბენეფიციარმა სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა რა გარანტისაგან თანხის ანაზღაურება, ამ მოთხოვნას მოპასუხემ იმგვარი შესაგებელი დაუპირისპირა, რომელიც ვალდებულებას გამორიცხავს (მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი), რამეთუ მან საბანკო გარანტიის სიყალბეზე მითითებით სადავო გახადა სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტი. თავის მხრივ, მხარეთა შორის უდავოა რა ის გარემოება, რომ ადრესატს გარანტის ნამდვილი ნება არ მიუღია, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ მოთხოვნის ნაწილში სამინისტროს სარჩელი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ მხარეთა შორის არა თუ რაიმე ფორმით ბათილი ხელშეკრულება, არამედ, ნების არარსებობის პირობებში (835 000 ლარი) გარიგება საერთოდ არ წარმოშობილა, შესაბამისად, მას ვერც დადასტურება (სკ-ის 61-ე მუხლი) და ვერც ნებაზე ზემოქმედების რაიმე კანონისმიერი საშუალება ნამდვილად ვერ აქცევს.

საქმე № ას-960-925-2016

27 სექტემბერი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საბანკო გარანტიაში ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შინაარსის არასწორად მითითების სამართლებრივი შედეგი

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლის შესაბამისად, აუცილებელი არ არის საბანკო გარანტიაში არსებობდეს მითითება იმ ვალდებულებაზე (ვალდებულების წარმოშობა ხელშეკრულებაზე), რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ფულადი თანხის გადახდის შესახებ მოთხოვნის წარდგენისას, მნიშვნელოვანია შემოწმდეს გამომდინარეობს თუ არა მოთხოვნა სწორედ იმ ვალდებულებიდან (ვალდებულების წარმოშობი ხელშეკრულებიდან), რომელსაც უზრუნველყოფს საბანკო გარანტია.

იმის დასადგენად, საბანკო გარანტიები რომელი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გაიცა, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ვალდებულებების (მათი წარმოშობი ხელშეკრულების) იდენტიფიცირება ზედმიწევნით შესაძლებელი იყოს, რაც იმას გულისხმობს, რომ გარანტიის ტექსტში დაცული ინფორმაცია ვალდებულებების შესახებ თუ ზუსტად იდენტური არ იქნება ამ ვალდებულებების წარმოშობ ხელშეკრულებაში მოცემულისა, მინიმუმ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას, მით უმეტეს, ისეთ არსებით პირობაში, როგორც არის ვალდებულების შინაარსი.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ერთის მხრივ, საბანკო გარანტიების ტექსტებში, ხოლო მეორეს მხრივ, თავად ხელშეკრულების ტექსტში მოცემული ძირითადი ხელშეკრულების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (ხელშეკრულების ნომერი და ლოტის ნომერი), მართალია, ერთმანეთის იდენტურია, მაგრამ განსხვავებულია ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შინაარსი, კერძოდ, გზის მონაკვეთის დასახელება, კილომეტრაჟი და შესასრულებელი სამუშაოების აღწერილობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ აღნიშნული შეუსაბამობები მხოლოდ მექანიკურ უზუსტობას წარმოადგენს, რომლებიც შეიძლება უგულვებელყოფილ იქნას საბანკო გარანტიით უზრუნველყო-

ფილი ვალდებულების იდენტიფიცირებისას, ვერ იქნება გაზიარებული. ხელშეკრულების არსებით პირობაში შეცდომა და, ამასთან, სწორედ ვალდებულების შესახებ მონაცემებში არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ისეთ უზუსტობად, რომელიც უმნიშვნელოა იმ გარემოების დასადგენად, გაცემულია თუ არა საბანკო გარანტია კონკრეტული ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით.

მოცემულ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ 2008 წლის 3 მაისის №--- ხელშეკრულების საგნის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები არ შეესაბამება საბანკო გარანტიებით უზრუნველყოფილი პრინციპალის ვალდებულების მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს, შეუძლებელია იმის დადგენა, რომ აღნიშნული გარანტიები 2008 წლის 3 მაისის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით გაიცა.

ასეთ პირობებში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბენეფიციარის მიერ გარანტისათვის წარდგენილი მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობდა 2008 წლის 3 მაისის №--- ხელშეკრულებიდან, გონივრული წინდახედულობის ფარგლების გათვალისწინებით, ვერ იქნება მიჩნეული 2008 წლის 24 ივლისს გაცემული №B--- და №B--- საბანკო გარანტიების შესაბამისად.

საქმე №ას-1217-1176-2016

10 თებერვალი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ბენეფიციარისგან უსაფუძვლოდ მიღებული საბანკო გარანტიის თანხის დაბრუნება*

2015 წლის 26 მარტს, შპს „ტ--ს“ (შემდეგში: მოსარჩელე ან პრინციპალი) და აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტს (შემდეგში: მოპასუხე ან ბენეფიციარი) შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №62 ხელშეკრულება (შემდეგში: ხელშეკრულება), რომლის საგანს წარმოადგენდა მიმწოდებლის მიერ, ქობულეთის მუნიციპალიტეტში სასაქონლო ბეტონის ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვა.

2015 წლის 26 მარტის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მოსარჩელემ მოპასუხეს წარუდგინა 15912.40 ლარზე სს „ს-კ-ია ა-ის“ მიერ გაცემული გარანტია. 2015 წლის 13 ნოემბერს ბენეფიციარმა წერილით მიმართა გარანტს პრინციპალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო, საგარანტიო თანხის ჩარიცხვის მოთხოვნით, რაც შესრულდა.

გარანტმა რეგრესული მოთხოვნის ინვოისით, პრინციპალისაგან მოითხოვა ბენეფიციარისათვის ანაზღაურებული 15912.40 ლარი, რაც პრინციპალმა აუნაზღაურა. პრინციპალმა სარჩელი აღძრა ბენეფიციარის მიმართ 15912.40 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

სსკ-ის 385-ე მუხლის თანახმად, ის, რაც ვალდებულების გარეშეა გადახდილი, შეიძლება უსაფუძვლოდ გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით უკან იქნეს მოთხოვილი. ამავე კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; სსკ-ის 991-ე მუხლი ადგენს ქცევის შემდეგ წესს: პირი, რომელიც სხვა პირის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა სხვა საშუალებითაც, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ამ თავში, მოვალეა დაუბრუნოს მას მიღებული. მოხმობილ ნორმათა ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე კონდიციური მოთხოვნის საფუძვლიანობის შეფასებისას უნდა დადგინდეს: არსებობდა თუ არა შესრულების მიღების საფუძველი. სწორედ ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობის აღდგენა კონდიციის ამოსავალი დებულება. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განხორციელებული ყოველგვარი ქონებრივი მიმოქცევა არ წარმოშობს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების შესაბამისად მოთხოვნის უფლებას. ქონებრივი მიმოქცევის წონასწორობის აღდგენის უფლების წარმოშობისათვის მნიშვნელოვანია ამ ურთიერთობის მონაწილეთა ქმედებების შეფასებაც ქონების მიმოქცევამდე.

კასატორი (ბენეფიციარი) სადავოდ ხდის ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებას, რაც მისი მითითებით დანართში აღნიშნული საავტომობილო გზების მონაკვეთებზე საქონლის მიწოდებლობაში გამოიხატა, პრაქ-

* მსგავსი კატეგორიის საქმე იხ. სუსგ საქმე №ას-1900-2018, 12.03.2019 წელი.

ტიკულად, შესრულებული სამუშაოები არ დაემთხვა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მიმართულებებსა და მოცულობებს, რაც ვალდებულების შეუსრულებლობას ადასტურებდა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას და მიუთითებს წინამდებარე განჩინების პპ:15,16, რომლითაც დადგენილია კასატორის პრეტენზიის გამოშრობის ფაქტობრივი გარემოებები, სახელდობრ, მიწოდების ადგილთან მიმართებით დადგენილია, რომ საქონლის მიწოდების ადგილს პრინციპალი ატყობინებდა ბენეფიციარის მიერ დანიშნულ მოხელეს, რომელსაც ეკისრებოდა ვალდებულება შესრულებული სამუშაოს კონტროლისა და გააჩნდა უფლებამოსილება ამ სამუშაოს მიღებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენაზე. იმავდროულად, ვალდებულების სრულად შესრულებაზე, ბენეფიციარის მხრიდან გაცემულია ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტები, ხოლო ხელშეკრულების ღირებულება – 318248,16 ლარი სრულად აქვს ანაზღაურებული პრინციპალს.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ის გარემოება, რომ მიწოდების ადგილთან დაკავშირებული მოთხოვნა პრინციპალის მხრიდან დარღვევულად არ მიიჩნევა, ბენეფიციარის სამართლებრივი პრეტენზია გარანტიის ამოქმედებისათვის პრინციპალის მხრიდან ვალდებულების დარღვევაზე მიუთითებს უმართებულა.

მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოება პრინციპალის მხრიდან ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების თაობაზე, აგრეთვე, გარანტიის მიერ საგარანტიო პირობების დაცულობით (ვადა, წარდგენის ფორმა, შესაგებლის გამოყენების შეუძლებლობა) საგარანტიო თანხის გადახდა და აღნიშნული თანხის რეგრესული წესით უკუმოთხოვნა (სსკ-ის 890-ე), ქმნის ვარგის სამართლებრივ საფუძველს ბენეფიციარის მხრიდან უსაფუძვლოდ მიღებულის უკან დასაბრუნებლად (385-ე, 976.1.,„ა“, 991-ე მუხლები).

საქმე №ას-1038-999-2016

01 თებერვალი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ბენეფიციარისგან უსაფუძვლოდ მიღებული საბანკო გარანტიის თანხის დაბრუნება

მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება მოპასუხისათვის მიეყიდა 80 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი ნიადაგის დამამუშავებელი აგრეგატებითა და სათიბელით.

მოსარჩელემ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, მოპასუხეს წარუდგინა ბანკის მიერ გაცემული 15 600 ლარის გარანტია.

ხელშეკრულება მიწოდების ვადების დარღვევისათვის შეიცავდა შეთანხმებას პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ: ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ი, რაც შეადგენდა დღეში 624 ლარს.

მოსარჩელემ ხელშეკრულება სრულყოფილად შეასრულა 2014 წლის 30 მაისს.

მოპასუხემ ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილების გამო, მოსარჩელეს მოსთხოვა 7488 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდა. მოთხოვნილი თანხა მოსარჩელემ სრულად გადაიხადა 2014 წლის 7 ივნისს.

მოპასუხემ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო, ბანკს მოსთხოვა საბანკო გარანტიის თანხის გადარიცხვა. ბანკმა მოპასუხეს გადაურიცხა საბანკო გარანტიის თანხა 15 600 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის იხელმძღვანელა სსკ-ის 976-ე მუხლით და მიიჩნია, რომ ვინაიდან მოსარჩელემ მხოლოდ მიწოდების ვადა დაარღვია, რისთვისაც გადაიხადა პირგასამტეხლო 7488 ლარი, ამით მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა და საბანკო გარანტიის თანხის მიღებით მოპასუხე უსაფუძვლოდ გამდიდრდა. სწორედ აღნიშნულ სამართლებრივ შეფასებას ხდის კასატორი სადავოდ და მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს შეფასება ეწინააღმდეგება საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნებას და მის ფუნქციონალურ დანიშნულებას სახელშეკრულებო ურთიერთობებში.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, კასატორმა წარმოადგინა სსკ-ის 393-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რაც გამოიხატა სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 976-ე მუხლის არასწორ გამოყენებასა და განმარტებაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონმდებლობა საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით – არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება – ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაცემა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი. საბანკო გარანტიის დამოუკიდებლობას ძირითადი, უზრუნველყოფილი ვალდებულებისაგან (პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის არსებული ვალდებულება), განაპირობებს მისი არააქცესორული ბუნება. თავად საბანკო გარანტია წარმოადგენს დამოუკიდებელ ვალდებულებას [სსკ-ის ის 881-ე მუხლი]. პრინციპალის ძირითადი ვალდებულების გაბათილება, შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი შეცვლა, თავისთავად არ გამოიწვევს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას. ამიტომაც, საბანკო გარანტიაში მკაფიოდ უნდა აისახოს მისი დამოუკიდებლობის წინაპირობები.

განსახილველ საქმეში, გარანტი ბენეფიციარის წინაშე კისრულობდა უპირობო ვალდებულებას „მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე შემსყიდველის პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე 5 საბანკო დღის განმავლობაში გადაეხადა გარანტიით გათვალისწინებული თანხა 15 600 ლარი. ამასთან, ნებისმიერი მოთხოვნის წარდგენის ვადა განისაზღვრა არაუგვიანეს 2015 წლის 03 მარტისა“. აღსანიშნავია, რომ საბანკო გარანტია რაიმე დათქმას პირგასამტეხლოს ჩათვლის ან გაქვითვის შესახებ არ ითვალისწინებდა.

ამდენად, დადგენილი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოპასუხემ ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილების გამო, მოსარჩელეს მოსთხოვა 7488 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდა, რომელიც მოსარჩელემ სრულად გადაიხადა 2014 წლის 7 ივნისს, ხოლო ხელშეკრულების პირობის ერთი და იგივე დარღვევის ფარგლებში თანხის მიღებით, წარმოიშვა მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრება, ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო პალატის მიერ, რადგან, გარანტი ბენეფიციარის წინაშე კისრულობდა უპირობო ვალდებულებას „ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღების მომენტიდან ხუთი საბანკო დღის ვადაში გადაეხადა გარანტიით გათვალისწინებული თანხა“. დადგენილია, რომ ბენეფიციარმა გარანტიის მოქმედების ვადაში წარუდგინა გარანტს წერილობითი მოთხოვნა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების დარღვევის გამო და მოითხოვა საგარანტიო თანხის ანაზღაურება, რითაც შეასრულა გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულება [სსკ-ის 885-ე მუხლის პირველი ნაწილი].

სსკ-ის 385-ე მუხლის თანახმად, ის, რაც ვალდებულების გარეშე გადახდილი, შეიძლება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით უკან იქნეს მოთხოვილი. ამავე კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; სსკ-ის 991-ე მუხლი ადგენს ქცევის შემდეგ წესს: პირი, რომელიც სხვა პირის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა სხვა საშუალებითაც, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ამ თავში, მოვალეა დაუბრუნოს მას მიღებული.

მოხმობილ ნორმათა სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, კონდიქციური სარჩელის საფუძვლიანობის შეფასებისას უნდა დადგინდეს: არსებობდა თუ არა შესრულების მიღების საფუძველი.

მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი შეფასების შედეგად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მიმწოდებლის ვალდებულებები უზრუნველყოფილი იყო საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით. სსკ-ის 881-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ

არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე. სსკ-ი საბანკო გარანტიას განიხილავს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის სპეციფიკურ საშუალებას, რომელიც სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ ძირითადი ვალდებულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი. ამდენად, მოსარჩელის მითითება მოპასუხის უსაფუძვლო გამდიდრებისა და მისი მხრიდან 15600 ლარის უკან დაბრუნების თაობაზე, მოკლებულია ვარგის სამართლებრივ საფუძველს და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

4.10. თავდებობა

საქმე №ას-1172-2018

08 თებერვალი, 2019 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ხელშეკრულებაში თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მიუთითებლობის სამართლებრივი შედეგი (სამოქალაქო კოდექსის 892-ე მუხლის პირველი ნაწილი)

სსკ-ის 892-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმატიული შინაარსი ითხოვს თავდებობის ხელშეკრულებაში თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური (ზღვრული) თანხის მითითებას.

სსკ-ის 327-ე მუხლის მიხედვით ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

როგორც აღინიშნა, სოლიდარული თავდებობის ორმხრივი გარიგების არსებით პირობად სსკ-ის 892-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმატიული შინაარსი მიიჩნევს შეთანხმების მიღწევას თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრულ მაქსიმალურ (ზღვრულ) თანხაზე.

გემოლანიშნული ნორმის ამგვარი მოთხოვნა თავდების ფინანსური ინტერესების დაცვის მნიშვნელოვანი კომპონენტია, ვინაიდან, ზღვრული თანხის მითითება გამორიცხავს თავდების პასუხისმგებლობის ზრდის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც უზრუნველყოფილ მოთხოვნას ერიცხება პროცენტი ან/და პირგასამტეხლო (საურავი). ნორმა იმპერატიულია, საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია, როგორც კანონსაწინააღმდეგო (მართლსაწინააღმდეგო) გარიგება (სსკ-ის 54-ე მუხლი). მიუხედავად უზრუნველყოფილი ვალდებულების ზრდისა, თავდები ყველა შემთხვევაში, პასუხს აგებს მხოლოდ თავდებობის ხელშეკრულებაში ან/და თავდების განცხადებაში მითითებული ზღვრული თანხის ოდენობამდე (898. I მუხლი).

განსახილველ შემთხვევაში, თავდებობის ხელშეკრულებებში მითითებული არაა თავდებთა პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხა. ამგვარ მითითებად სასამართლო ვერ მიიჩნევს ხელშეკრულების იმ ჩანაწერს, რომლის მიხედვით ვალდებულების მოცულობა განისაზღვრა მსესხებელსა და ბანკს შორის გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებითა და მის საფუძველზე გაფორმებული შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებებით წარმოშობილი მთლიანი ვალდებულებით. **ნორმის დანაწესი, რომლის მიხედვით ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იქნეს პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხა სწორედ კონკრეტული ოდენობის თანხის მითითების ვალდებულებას გულისხმობს და არა, ზოგადად აბსტრაქტულ ციტირებას პასუხისმგებლობის ფარგლებთან დაკავშირებით.** როგორც გემოლანიშნა, ნორმის აღნიშნული მოთხოვნა იმპერატიულია და მისი შეუსრულებლობა უკავშირდება შე-

თანხმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის წარმოუშობლობას და მასასადამე, თავდებობის არარასებობას.

ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს სსკ-ის 892-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განხორციელებულად არაა მიჩნეული ამავე კოდექსის 891-ე მუხლით გათვალისწინებული პირადი (პიროვნული) პასუხისმგებლობის ფორმა – თავდებობა.

საქმე №ას-513-490-2016

21 ოქტომბერი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ძირითადი მოვალის მემკვიდრისთვის მოთხოვნის წარდგენის გარეშე სოლიდარული თავდებისთვის ვალდებულების შესრულების მოთხოვნა

საკასაციო პრეტენზიათა არსებითობის შემოწმების მიზნით, პალატა ყურადღებას გაამახვილებს ქვემოთ მოხსენიებულ სასამართლოს მიერ დადგენილ, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

2013 წლის 9 აგვისტოს მამკვიდრებელსა და მოსარჩელეს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება და იგი მოსარჩელესა და სს „ს-ის“ შორის დადებული დაზღვევის პირობების შესაბამისად იყო დაზღვეული. სადაზღვევო პრემიას სესხის ძირ თანხასა და სარგებელთან ერთად ყოველთვიურად იხდიდა მსესხებელი;

2013 წლის 9 აგვისტოს გამსესხებელსა და მოპასუხეებს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც თავდებებმა სოლიდარულად იკისრეს სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალის ვალდებულების სრულად შესრულება;

2014 წლის 5 იანვარს გარდაიცვალა მსესხებელი, რომლის შვილი და პირველი რიგის მემკვიდრეც საქმეში მესამე პირად ჩაბმული რ. ქ-ეა. ამ უკანასკნელმა კი, დადგენილი წესითა და ვადაში მიიღო მამის სამკვიდრო;

მსესხებლის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში მისმა მემკვიდრეებმა გამსესხებელს წარუდგინეს გარდაცვალების მოწმობა, შესაბამისად, 2014 წლის 12 თებერვლამდე (სადაზღვევო კომპანიისათვის მიმართვამდე) კრედიტორისათვის ცნობილი იყო, როგორც მსესხებლის გარდაცვალების ფაქტი, ისე – მისი მემკვიდრეების შესახებ;

დაზღვევის პირობების, მამკვიდრებლის გარდაცვალების დროისა და გარდაცვალების მიზეზის გათვალისწინებით, მზღვეველმა უარი განაცხადა სესხის ანაზღაურებაზე;

მოვალის მემკვიდრე მოსარჩელის მიერ არ არის გაფრთხილებული ვალდებულების შესრულების, ასევე, მისი შეუსრულებლობის გამო მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ;

კასატორის/მოსარჩელის პოზიცია დასაბუთებულია იმგვარად, რომ მას და გარდაცვლილ მსესხებელს შორის არსებობს შეუსრულებელი ფულადი ვალდებულება, რომლის ანაზღაურებაც მას შეუძლია პირდაპირ მოითხოვოს სოლიდარული თავდებებისგან. მოსარჩელის ამ პოზიციის წინააღმდეგ მოპასუხეებმა არსებითი შედაგება წარადგინეს, რომლის დადასტურების შემთხვევაშიც, მოთხოვნის განხორციელება ფერხდება, კერძოდ, სოლიდარულ თავდებთა შესაგებლის თანახმად, კრედიტორს, რომლისთვისაც ცნობილი იყო, როგორც მოვალის გარდაცვალების, ისე – მისი მემკვიდრის თაობაზე, კანონით დადგენილ ვადაში პრეტენზია არ წარუდგენია ვალდებული პირის უფლებამონაცვლისათვის.

საკასაციო სასამართლო წინამდებარე განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.2.3.-1.2.4. პუნქტებში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით განმარტავს, რომ განსახილველ დავაში მესამე პირად ჩაბმული რ. ქ-ე, სამოქალაქო კოდექსის 1328-ე და 1421-ე მუხლების საფუძველზე, წარმოადგენს მოვალის უფლებამონაცვლეს (უნივერსალური უფლებამონაცვლეობა), რომელმაც არა მხოლოდ მამკვიდრებლის დანაშთი აქტივი, არამედ, ამ აქტივის ფარგლებში პასივიც (ვალდებულებები) მემკვიდრეობით მიიღო, შესაბამისად, მან, როგორც უფლებების, ისე – სამოქალაქო მოვალეობების ნაწილში ჩაანაცვლა მამკვიდრებელი. რაც შეეხებათ მოპასუხეებს, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახეზეა

სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა – სოლიდარული თავდებობა, რაც ჩვეულებრივი თავდებობისაგან იმით განსხვავდება, რომ კრედიტორი უფლებამოსილია, მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე მოსთხოვოს სოლიდარულ თავდებს ვალდებულების შესრულება, თუ ძირითადად მოვალე გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა, ამდენად, ამ შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას სამოქალაქო კოდექსის 891.1 და 895-ე მუხლები წარმოადგენს, ამავედროულად, სამოქალაქო კოდექსის 896-ე და 463-ე მუხლების ძალით, მოპასუხეები სოლიდარულ მოვალეებს წარმოადგენენ, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტორს შეუძლია საკუთარი არჩევით შესრულება მოითხოვოს, როგორც ერთ-ერთი, ისე ყველა თავდებისაგან, როგორც მთლიანად, ისე – ნაწილობრივ. მთლიანად შესრულებამდე სოლიდარული მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება (სკ-ის 465-ე მუხლი). სოლიდარულ თავდებობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია, რომ კანონი იცნობს თავდების უფლებადამცავ დანაწესებსაც, რომელთაგან, განსახილველ შემთხვევაში, მხედველობაში მისაღები 899-ე მუხლი (თავდების უფლება შესაგებლზე). მოხმობილი ნორმის თანახმად, თავდებს ძირითადი მოვალის ყველა შესაგებლის წარდგენის უფლება გააჩნია მაშინაც კი, თუ ძირითადი მოვალე უარს იტყვის შესაგებლის უფლებაზე, ამასთან, თუ ძირითადი მოვალე გარდაიცვლება, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, სოლიდარულმა თავდებებმა კრედიტორის მოთხოვნის საპირისპიროდ, ისარგებლეს საპროცესო უფლებით და სარჩელის წინააღმდეგ წარადგინეს მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი, რომელშიც მიუთითეს, რომ კრედიტორმა არ დაიცვა სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის წინაპირობა – მოვალის უფლებამონაცვლე ვადის გადაცილების გამო არ გააფრთხილა, გარდა ამისა, კრედიტორმა იმ დღიდან, რაც მისთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, ექვსი თვის ვადაში მემკვიდრეს, რომელმაც სამკვიდრო მიიღო, არ წარუდგინა მოთხოვნა (სკ-ის 1488-ე მუხლი), ამ წესის დაუცველობამ კი, გამოიწვია კრედიტორის მიერ მოთხოვნის უფლების დაკარგვა.

პალატა განმარტავს, რომ საპრეტენზიო ვადაში მოთხოვნის წარდგენა შეიძლება განხორციელდეს, როგორც ზეპირად, ისე – წერილობით, რის გამოც, იმის მიხედვით, თუ რა ფორმით იქნა წარდგენილი იგი, ფაქტის დამტკიცება დასაშვებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულებით, ამასთანავე, ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ფაქტის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება. განსახილველ შემთხვევაში, პალატა უარყოფს კასატორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ მისი მხრიდან დაცულია სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლის წინაპირობები. აქვე საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მხარის არგუმენტს, რომლის თანახმადაც, თუკი სააპელაციო პალატა მიიჩნევდა, რომ მოსარჩელემ ძირითადი მოვალის მიმართ დაკარგა მოთხოვნის უფლება, სამოქალაქო კოდექსის 476-ე მუხლის შესაბამისად, სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართ მას ეს უფლება კვლავ გააჩნდა, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 893-ე მუხლის პირველი წინადადებით თავდებობა აქცესორული უფლებაა, კერძოდ, თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დაუცველობით კრედიტორმა დაკარგა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა, რაც სოლიდარულ თავდებობა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების აბსოლუტური საფუძველია.

4.11. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)

საქმე №ას-1328-1254-2012

26 მარტი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ამხანაგობის წევრის მიერ წილის გასხვისების წესი (სამოქალაქო კოდექსის 933-ე მუხლი)

სამოქალაქო კოდექსის 933.1 მუხლის მიხედვით წილი ქონების ან უფლების სახით არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს ხელშეკრულების სხვა მონაწილეთა თანხმობის გარეშე. უარი თანხმობაზე დაიშვება მხოლოდ პატივსაღები მიზეზის არსებობისას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მნიშვნელობა არ აქვს, წილის გასხვისების საკითხის გადაწყვეტის რა წესი იყო გათვალისწინებული 2009 წლის 2 ოქტომბრამდე მოქმედი ამხანაგობის დოკუმენტებით, ვინაიდან სსკ-ის 933-ე მუხლი არ შეიცავს დათქმას ამხანაგობის ხელშეკრულებით სხვაგვარი მოწესრიგების შესაძლებლობის თაობაზე. სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლი ვრცელდება ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების წესზე, გარდა წილის გასხვისებისა, ვინაიდან წილის მესამე პირზე გასხვისების თაობაზე ინფორმაცია ამხანაგობის ყველა წევრს უნდა ჰქონდეს და მათი კრებაზე მიწვევა სავალდებულოა. ისეთ პირობებში, როდესაც კანონი იმპერატიულად, ამომწურავად განსაზღვრავს ქცევის წესს, მხარეთა შეთანხმებით განსხვავებული წესის დადგენა ბათილია, შესაბამისად, გ. ც-ეს წილის ლ. ნ-ისათვის გადასაცემად ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობა ესაჭიროებოდა.

საქმე №ას-381-365-2016

18 იანვარი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ამხანაგობიდან წევრის გარიცხვის შედეგად ქონებრივი რესტიტუცია

2012 წლის 27 აგვისტოს კრების ოქმის ბათილობის თაობაზე საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს დასკვნას და დამატებით აღნიშნავს, რომ პალატა ზოგადად დასაშვებად მიიჩნევს ამხანაგობიდან წევრის გარიცხვის – ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობას, თუმცა, აღნიშნული იურიდიული მოქმედება კანონით განსაზღვრული პროცედურების განუხრელი დაცვით უნდა განხორციელდეს. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ამხანაგობიდან გარიცხული წევრის საკასაციო პრეტენზია იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს ამხანაგობიდან წევრის გარიცხვის შესაძლებლობას და ამგვარი აქტი არ დაიშვებოდა. საკასაციო სასამართლო განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის ნორმები საერთო საქმიანობის ხელშეკრულების შესახებ ამხანაგობიდან გარიცხვის საკითხზე მართლაც არ შეიცავს მითითებას, მათ შორის, არც კრძალავს მას. ეს სრულიად ბუნებრივია, რამდენადაც მოცემული ურთიერთობა სახელშეკრულებო ურთიერთობაა და მისი ყოვლისმომცველი მოწესრიგება მხოლოდ კონკრეტული ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამოქალაქო კოდექსის კერძო ნაწილის ნორმებით არ შემოიფარგლება. **სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა, რომ ამხანაგობიდან გარიცხვა, მოცემულ შემთხვევაში, უთანაბრდება ხელშეკრულების შეწყვეტას ამხანაგობის წევრთან, რაც წარმოშობს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ შედეგებს.** დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით (რომელიც მითითებითი ნორმაა და ამავე კოდექსის 405-ე მუხლით დადგენილი პროცედურის დაცვის აუცილებლობაზე მიანიშნებს), ამხანაგობის წევრთან სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტისათვის საჭიროა შეწყვეტის ინიციატორმა მხარემ – კრედიტორმა (შესაბამისი წინაპირობების არსებობისას) დამრღვევს დამატებით დაუწესოს გონივრული ვადა, რომელიც საკმარისი აღმოჩნდება შესრულებისათვის. მოცემულ შემთხვევაში, 2012 წლის 20 აგვისტოს კრების გადაწყვეტილებით ინვესტორ წევრს დაევალა თანხის ამხანაგობის ანგარიშზე განთავსება, თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, მას არც თანხის ოდენობა და არც მისი განთავსების ვადა არ განსაზღვრია, ხოლო 2012 წლის 27 აგვისტოს, ვალდებულების შეუსრულებლობის მოტივით, შ.მ-ი გაირიცხა ამხანაგობიდან. თუკი ვივარაუდებთ, რომ ამხანაგობა გაურკვეველი ოდენობის თანხის ამხანაგობის ანგარიშზე განთავსების ვადად მიიჩნევა ერთ კვირას, მაშინ კრების ოქმი არ იძლევა დასაბუთებულ პასუხს ამ ვადის გონივრული ხანგრძლივობის

თაობაზე. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს 2002 წლის 24 დეკემბრის ამხანაგობის ხელშეკრულების მე-10 მუხლის რეგულაციასაც, რომელიც წევრის გარიცხვის უმთავრეს წინაპირობად შესატანის შეტანისა და ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების დარღვევას ადგენს. თავის მხრივ, დამრღვევი წევრისათვის განსაზღვრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, გამგეობა წინადადებით შევა დამფუძნებელ წევრთა საერთო კრებაზე დამრღვევი პირის გარიცხვის შესახებ (იხ. ხელშეკრულების 10.3. პუნქტი), ამავე ხელშეკრულების 4.3. და 4.4.5. მუხლების თანახმად, წევრის გარიცხვის საკითხი წყდება ყველა დამფუძნებელი წევრის თანხმობით. საკითხის სრულყოფილი ანალიზის, ასევე, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების როლის გათვალისწინებით, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს მსგავს შემთხვევაში რესტიტუციის სამართლებრივ შედეგებზე: სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლისას მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). ნორმის მეორე ნაწილი გადმოსცემს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, როდესაც ნატურით დაბრუნების სანაცვლოდ დასაშვებია გამსვლელი პირისათვის ფულადი კომპენსაციის მიცემა, თუმცა, იბადება კითხვა: დაიშვება ამხანაგობის ტიპის პირთა გაერთიანებიდან ვალდებულების დამრღვევი წევრის გარიცხვისას განხორციელებული შესატანის დაბრუნება? ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო პარალელს გაავლებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის იმ რეგულაციასთან, როდესაც კაპიტალური ტიპის საზოგადოების წევრი პარტნიორი არღვევს შესატანის შეტანის ვალდებულებას. მოხმობილი კანონის ადრე მოქმედი რედაქცია ითვალისწინებდა ვალდებულების დამრღვევი პარტნიორის გაფრთხილებას და მისთვის დამატებით სულ ცოტა ერთთვიანი ვადის დაწესებას, რომლის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაშიც იგი კარგავდა წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, კანონის დღეს მოქმედი რედაქციის 3.7. მუხლის შესაბამისად კი, პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მოცემული მაგალითით საკასაციო სასამართლო, ბუნებრივია, არ ცდილობს სპეციალური კანონის ნორმათა ანალოგიით გამოყენებას, თუმცა, **მიიჩნევს, რომ სამოქალაქო ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობა) შემთხვევაში, რესტიტუცია უნდა დაიშვებოდეს წევრის მიერ ნაწილობრივ განხორციელებული შესრულების – შენატანის ეკვივალენტური ღირებულების შესაბამისად.** საკასაციო პალატის ამ განმარტების მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს საქმეში არსებული 2002 წლის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების 10.6 მუხლიც (ამხანაგობიდან გარიცხვისას წევრს უკან დაუბრუნდება მის მიერ უკვე გადახდილი თანხა, ამასთან, დასაბრუნებელ თანხას პირგასამტეხლოს სახით გამოაკლდება 10% და სანოტარო და საჯარო რეგისტრაციისათვის საჭირო ხარჯები. თანხის უკან დაბრუნება განხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც წევრის გარიცხვის შედეგად გამოთავისუფლებული ფართი განთავსებული იქნება).

5. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანი

5.1. საზიარო უფლებები

საქმე №ას-1205-1150-2013

11 ივნისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საზიარო საგნის მართვა (სამოქალაქო კოდექსის 957-ე მუხლი)

ვინაიდან ძირითადი სარჩელის მოპასუხე თავს იცავს მხარეთა შორის სარგებლობის შეთანხმებაზე მითითებით, ანუ მან სასამართლოს ფაქტიურად წარუდგინა სამართლებრივი შესაგებელი, ამ ფარგლებში მნიშვნელოვანია განმარტოს და შემოწმდეს სამოქალაქო კოდექსის 957-ე და 958-ე მუხლების შემადგენლობა.

სამოქალაქო კოდექსის 957-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ხმათა უმრავლესობით შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება საზიარო საგნის თავისებურებათა შესატყვისი მართვისა და სარგებლობის შესახებ. ხმათა უმრავლესობა გამოითვლება წილთა მიხედვით. მითითებული ნორმის დათქმა გულისხმობს საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის ისეთ წესზე შეთანხმებას, რომელიც ემყარება სამართლიან შეხედულებებს, ემსახურება მხარეთა ინტერესების დაკმაყოფილებას და გამომდინარეობს საზიარო საგნის თავისებურებიდან. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ცალკეული მოწილის თანხმობის გარეშე არ შეიძლება სარგებლობის წილზე მისი უფლების შემცირება. ამდენად, საზიარო საგნის თანამესაკუთრების მიერ საზიარო საგნით სარგებლობაზე შეთანხმება, მათ შორის იმგვარი შეთანხმება, რომლითაც რომელიმე მოწილემ უარი თქვა თავისი წილის პროპორციულ სარგებლობაზე, წარმოადგენს გარიგების იმ სახეს, რომლითაც თანამესაკუთრებმა განკარგეს თავიანთი უფლებები (უძრავ ქონებაზე სარგებლობის უფლება) და ნების ავტონომიის პრინციპის გათვალისწინებით შეიბოჭეს თავიანთი თავი. უფრო მეტიც, კოდექსის 958-ე მუხლის თანახმად, ამგვარი შეთანხმება ვრცელდება უფლებამონაცვლებებზეც.

ისმის კითხვა: შეიძლება მხარეები შეთანხმდნენ თანასაკუთრებით სარგებლობის ისეთ წესზე, რომლითაც მესაკუთრეს სამუდამოდ ეზღუდება საკუთრებით სარგებლობა (განუსაზღვრელი ვადით შეთანხმება)?

დამსულ კითხვებზე პასუხის გაცემა ერთი შეხედვით მარტივია თუკი ვიხეილმძღვანელებთ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპით, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარეები თავად განსაზღვრავენ იმას, თუ რა სახის და რა შინაარსის გარიგება დადონ. თუმცა, ნებისმიერი გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს ბათილია (სკ-ის 54-ე მუხლი).

ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლი გამორიცხავს ისეთ ურთიერთობას, რომლითაც სარგებლობის წესით ისპობა საკუთრების უფლება. ამ ნორმის ზემოთ მოყვანილ განმარტებასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ყურადსაღებია საკუთრების სოციალური ფუნქცია, რომელიც გარკვეულწილად განსაზღვრავს საკუთრების შინაარსსა და მის სოციალურ ბოჭვას, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით...“. აღნიშნული დანაწესი ითვალისწინებს საკუთრების კანონისმიერ და სახელშეკრულებო ბოჭვას, მაგრამ მას გააჩნია თავისი ფარგლები, კერძოდ, არ შეიძლება, რომ საკუთრების ბოჭვამ, შეზღუდვამ მოსპოს საკუთრება. საკუთრების სუბსტანცია, რომელშიც იგულისხმება საკუთრების ინსტიტუტით გათვალისწინებული შინაარსის რეალიზაცია, უნდა შენარჩუნდეს, ე.ი კერძო საკუთრების შეზღუდვა არ უნდა ნიშნავდეს საკუთრების უფლების რეალიზაციის მოსპობას. არ შეიძლება, რომ პირს ფორმალურად გააჩნდეს საკუთრების უფლება, ხოლო ფაქტობრივად არა, ანუ ვერ სარგებლობდეს საკუთრების უფლებით. ამ მხრივ ყურადსაღებია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე (AFFAIRE SPORRONG ET LÖNNROTH c. SUEDE), რომლის თანახმად, საკუთრების უფლების შეზღუდვებით არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი საკუთრების უფლების არსი. ამით საკუთრების უფლება ხდება პირობითი და გაუქმებადი.“ (იხ. სუსგ №ას-439-415-2013, 30 ოქტომბერი, 2013 წ.).

შემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ შ.ს-ს და ლ.კ-ს შორის ამ უკანასკნელის მიერ ქონების შეძენისას შედგა შეთანხმება თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით სარგებლობაზე; ი.ს. უძრავი ნივთის შეძენით გახდა ამ შეთანხმებაში შ.ს-ს უფლებამონაცვლე, ვინაიდან შეთანხმება დადებულია განუსაზღვრელი ვადით, უფრო მეტიც, ლ.კ. თვლის, რომ სარგებლობის არსებული პირობით შეიძინა სადავო ნივთი, რაც მან ვერ დაადასტურა, სარგებლობის არსებულ წესზე შეთანხმება ბათილია, რადგან იგი აუქმებს საკუთრების სუბსტანციას და უსამართლოდ ზღუდავს მოსარჩელე ი.ს-ს ინტერესებს. შესაბამისად, ადგილი აქვს ლ.კ-ის მხრიდან ი.ს-ს სარგებლობის უფლებაში უსაფუძვლო ხელშეშლას, რის გამოც ი.ს-ს სარჩელი საფუძვლიანი სამოქალაქო კოდექსის 172.2 და 955.2 მუხლების გათვალისწინებით.

5.2. უსაფუძვლო გამდიდრება

საქმე №ას-1298-2018

22 მარტი, 2019 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უსაფუძვლოდ მიღებულ ქონებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი)

მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხეს (მყიდველს) გამყიდველი კომპანიისათვის უნდა გადაეხადა ავტომანქანის ნასყიდობის საფასური. დადგენილია ისიც, რომ მყიდველის ვალდებულება გამყიდველის წინაშე შეასრულა მესამე პირმა (მოსარჩელემ) 152 214,00 ლარის ოდენობით. ეს შესრულება კი სრულად შეესაბამება სსკ-ის 371-ე მუხლის დანაწესს, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არც კანონიდან და ხელშეკრულებიდან და არც ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალეს (მოპასუხეს) პირადად უნდა შეესრულებინა ვალდებულება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალესა და მესამე პირს შორის არ არის რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა ანდა იგი ბათილად იქნა ცნობილი, თუმცა კი მესამე პირმა უკვე განახორციელა მოვალის ნაცვლად კრედიტორის მიმართ შესრულება, მესამე პირს აღარ აქვს კრედიტორისგან შესრულების უკან გამოთხოვის უფლება სსკ-ის 976 II გ მუხლის თანახმად. მესამე პირს შეუძლია მხოლოდ წარადგინოს მოვალის მიმართ მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე. ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ მესამე პირი ვალდებულების შესრულებისას შეცდომით ფიქრობდა, რომ ასრულებდა თავის ვალდებულებას, თუმცა კი შეასრულა სხვა პირის ვალდებულება, ასეთ შემთხვევაშიც ვალდებულება არ წყდება და მესამე პირს შეუძლია მოვალეს წაუყენოს უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნა.

საქმე №ას-308-293-2013

27 იანვარი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები (სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი)

მოცემულ საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ნ. გ-ის (ქორწინების შემდგომ ნ. მ-ი) საკუთრებას წარმოადგენდა ქ. თბილისში, კ-ას ქ. N..-ის „ბ“ ბლოკში მდებარე №4 68 კვ.მ ბინა;

2004 წლის 18 თებერვალს ნ. გ-ის სახელით, მისმა წარმომადგენელმა ი. ხ-ა გამყიდველის კუთვნილი უძრავი ქონების ნაწილი – 68 კვ.მ ფართი საკუთრების უფლებით გადასცა მყიდველებს ბ. მ-სა და კ. ბ-ეს;

აღნიშნული უძრავი ქონება რეგისტრირებული იყო ბ. მ-ისა და კ. ბ-ის თანასაკუთრებად;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით ი. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და დადგინდა, რომ მან ჩაიდინა თაღლითობა, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ნ. გ-ეს. ი. ხ-ა მოტყუებით გაასხვისა კ-ას ქუჩა №..-ის „ბ“ ბლოკში მდებარე ნ. გ-ის

კუთვნილი 115 კვ.მ კომერციული ფართიდან 68 კვ.მ. აღებული თანხა მთლიანად მიითვისა, რითაც ასევე მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ბ. მ-ს და კ.ბ-ეს, ისევე როგორც ნ. გ-ეს;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ მოცემულ საქმეზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ი. ხ-ს შორის;

2008 წლის 30 მაისს კ. ბ-ეს, ბ. მ-სა და მყიდველ ე. გ-ეს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საგანსაც წარმოადგენდა სადავო 68 კვ.მ ფართი;

ნასყიდობის თანხა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა 150 000 ლარით, რომელიც ამავე ხელშეკრულების თანახმად, გადაიხდებოდა ხელშეკრულებაზე მხარეების მიერ ხელმოწერისთანავე. აღნიშნული უძრავი ქონება დარეგისტრირდა ე. გ-ის სახელზე.

2012 წლის 6 თებერვალს ნ. გ-ემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – ი. ხ-ის, ე. გ-ის, კ. ბ-ისა და ბ. მ-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ნოტარიუს შ. კ-ის მიერ 2003 წლის 30 მაისს დამოწმებული მინდობილობის, 2004 წლის 18 თებერვლის ნასყიდობისა და 2008 წლის 30 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა.

2003 წლის 30 მაისის მინდობილობა, რომლის საფუძველზეც ი. ხ-ა გააფორმა მესაკუთრე ნ. გ-ის სახელით ნასყიდობის ხელშეკრულება, იყო გაყალბებული, მასზე არ იყო ნ. გ-ის ხელმოწერა, რის გამოც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით ცნობილი იქნა ბათილად. ასევე, ბათილად იქნა ცნობილი 2004 წლის 18 თებერვალს ნ. გ-ის წარმომადგენელ ი. ხ-სა და, მეორე მხრივ, ბ. მ-სა და კ. ბ-ეს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. გ-ეს უარი ეთქვა 2008 წლის 30 მაისს კ. ბ-ეს, ბ. მ-სა და ე. გ-ეს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე, ამავე გადაწყვეტილებით, ნ. გ-ეს უარი ეთქვა სადავო 68 კვ.მ ფართზე საკუთრების უფლების აღდგენაზე, რაც მან საკასაციო წესით გაასაჩივრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ე. გ-ე მიჩნეულ იქნა კეთილსინდისიერ შემძენად, რის გამოც ნ. მ-ს უარი ეთქვა 2008 წლის 30 მაისს კ. ბ-ეს, ბ. მ-სა და ე. გ-ეს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და სადავო 68 კვ.მ-ზე საკუთრების უფლების აღდგენაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს ამგვარი შედავება ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების მიმართ არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ ხელყოფის კონდიქცია ჰგავს დელიქტური ვალდებულებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, მაგრამ იგი წინაპირობად არ აყენებს ბრალეულობას. ხელყოფის მოთხოვნის წამოყენების საფუძველი ხელყოფის არამართლზომიერებაში მდგომარეობს, რადგან თავად მოქმედება აკრძალული არ არის (ამ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა დელიქტთან და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნასთან), არამედ გადამწყვეტი გარემოება არის ის, რომ მოპოვებული ქონებრივი შეღავათი სხვას ეკუთვნოდა. საკასაციო სასამართლო, ასევე, დამატებით მიუთითებს, რომ განსახილველი ნორმით გათვალისწინებული „ზიანი“ წარმოადგენს არა ზიანის ანაზღაურე-

ბის შემთხვევას, არამედ, საქმე გვაქვს გამდიდრების გათანაბრებასთან. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია, რომ განსახილველი ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიგვიითებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ როგორც ხელყოფის კონდიქციისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმოყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. აქედან გამომდინარე, ამ ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება, მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, მისი ღირებულების ანაზღაურება (იხ. სუსგ ას-472-448-2013).

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი ი. ბ-ია და არა ბ-ე და მ-ი, ვინაიდან სწორედ ი. ბ-ა გააყალბა მინდობილობა და გაასხვისა ნ. მ-ის კუთვნილი ქონება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელყოფის კონდიქციის არსებობისას პასუხისმგებლობის საფუძველია სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, ანუ, ამ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ ნ. მ-ის კუთვნილი ქონება არამესაკუთრემ განკარგა. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ კ. ბ-ესა და ბ. მ-ს სადავო უძრავი ქონება ბათილი გარიგების საფუძველზე გადაეცა, ნამდვილი მესაკუთრის მიერ ნების გამოვლენის გარეშე, ამასთან არც კ. ბ-ე და არც ბ. მ-ი კეთილსინდისიერ შემძენად არ არის მიჩნეული, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათსა და ი. ბ-ს შორის დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი არ იარსებებდა. გარიგების ბათილობას კონკრეტულ სამართალურთიერთობაში უკუქცევითი ძალა აქვს და ბათილი გარიგება დადებისთანავე არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, ამდენად, ცალსახაა, რომ კ. ბ-ემ და ბ. მ-მა სხვისი სამართლებრივი სიკეთე განკარგეს, რის შედეგადაც ნ. მ-ს ქონების დაბრუნების შესაძლებლობა აღარ გააჩნია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კ. ბ-ე და ბ. მ-ი ი. ბ-თან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს ზიანის ანაზღაურებაზე. სოლიდარული ვალდებულების თავისებურება კი ის არის, რომ კრედიტორს ნებისმიერი მოვალისაგან შეუძლია ვალდებულების შესრულება მოითხოვოს (სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი).

კასატორი მიუთითებს, რომ ნ. მ-ის ზიანი გამოიხატა იმ ღირებულებაში, რაც ნივთს გააჩნდა მისი დაკარგვის მომენტში. ბინის გასხვისებისას კი, იგი ე.წ. „შავი კარკასის“ მდგომარეობაში იყო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი უსაფუძვლო გამდიდრების თავშია მოცემული, მსგავსად შესრულების კონდიქციისა, გათანაბრების მოთხოვნის ოდენობის დადგენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ამავე კოდექსის 979-ე მუხლი, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია გადაცემული საგნის მდგომარეობის გამო ან, თუ მიმღებს რაიმე მიზეზით არ შეუძლია საგნის უკან დაბრუნება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მისი საერთო ღირებულება. ღირებულება განისაზღვრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროის მიხედვით (დამატებით იხ. სუსგ № ას-1136-1067-2012). ნ. მ-ს ბ-ისა და მ-ის მიმართ მოთხოვნის უფლება მათ მიერ უძრავი ქონების განკარგვის დროიდან წარმოეშვა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლის საფუძველზე ანაზღაურებას ექვემდებარება გამდიდრება, რომელიც ხელყოფილი სამართლებრივი სიკეთის ღირებულებას უთანაბრდება. კონკრეტულ შემთხვევაში, ნ. მ-ს უნდა აუნაზღაურდეს ბინის ღირებულება იმ მოცულობით, რასაც მისი საკუთრების უფლება მოიცავდა, ანუ, მარტივად, რაც მას დაუბრუნდებოდა, ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად რომ ყოფილიყო ცნობილი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების ბათილად ცნობის შედეგად რესტიტუციის განხორციელებისას შემძენს გააჩნია უფლება, მის მიერ ნივთზე გაწეული გაუმჯობესების ხარჯების ანაზღაურება მოითხოვოს (მაგ. სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი), ამდენად, ამგვარი გაუმჯობესება გამდიდრების ნაწილი არ არის და დაბრუნებას არ ექვემდებარება, ამასთან, საუბარია არსებით გაუმჯობესებაზე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ნივთის ღირებულებას და, დაუბრუნებლობის შემთხვევაში, პირიქით, კრედიტორის გამდიდრებას გამოიწვევს.

განმარტების საგანი: სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგები (სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი)

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, მუხიანის მე-- მ/რ, კორპუსი --, ბინა N82, საკადასტრო კოდი: წარმოადგენს თ. დ-ას საკუთრებას 2008 წლის 16 ივნისიდან. თ. დ-ას საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი გახლდათ საკუთრების უფლების მოწმობა, დამოწმებული 2008 წლის 11 ივნისს. თ. დ-აზე 1996 წლის 23 მაისს გაცემული იქნა ორდერი N.....;

დ. ქ-ა და თ. ს-ე წარმოადგენენ მეუღლეებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს;

2003-2012 წლის განმავლობაში დ. ქ-ა და თ. ს-ე ცხოვრობდნენ თ. დ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში, მდებარე ქ. თბილისი, მუხიანის მე-- მ/რ, კორპუსი --, ბინა N82, საკადასტრო კოდი:;

დ. ქ-ამ და თ. ს-ემ მათ მიერ დაკავებულ ბინაში ჩაატარეს სარემონტო სამუშაოები. ბინა, როდესაც იგი დაიკავეს ძირითად სარჩელში მოსარჩელებმა იყო საცხოვრებლად უვარგისი, კარკასულ მდგომარეობაში, არ იყო ამოყვანილი ბინებს შორის გამყოფი კედლები, არ ჰქონდა არც ერთი შიდა ტიხარი, არ იყო გაყვანილი შესაბამისი კომუნიკაციები (წყალი, გაზი და ა.შ.).

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თ. დ-ას შეგებებული სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხეებისათვის, მის სასარგებლოდ, სოლიდარულად – 10 188 ლარის დაკისრება. თ. დ-ა ითხოვდა ზიანს იმ მიუღებელი შემოსავლისათვის, რასაც ის მიიღებდა 2008-2012 წლებში სადავო ფართის გაქირავების შედეგად.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს თ. დ-ას მოთხოვნაზე, კერძოდ, თ. დ-ა შეგებებული სარჩელით ითხოვდა თ. ს-ისა და დ. ქ-ასათვის სოლიდარულად 2008-2012 წლებისათვის, ბოლო სამი წლის ქირის გადახდის დაკისრებას 10193 ლარის ოდენობით, რომელიც მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შედეგად შეადგენს 7236 ლარს, როგორც სადავო უძრავი ნივთის მფლობელობის შეწყვეტამდე პერიოდში მისი კუთვნილი უძრავი ქონებით სარგებლობის შეუძლებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოთხოვნის საფუძველად მითითებულია ის გარემოება, რომ დ. ქ-ა და თ. ს-ე უკანონოდ ფლობდნენ თ. დ-ას საკუთრებას, რითიც მას მოესპო ქონებით შემოსავლის მიღება – გაქირავების შესაძლებლობა. ფაქტობრივად, თ. დ-ა მოპასუხეებისაგან ითხოვს ზიანის ანაზღაურებას ამ უკანასკნელების თ. დ-ას საკუთრებაში არსებულ ფართში ცხოვრების გამო. მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ვერ იქნება გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თ. დ-ას შეგებებული სარჩელის მოთხოვნა დელიქტური ხასიათისაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 411-ე მუხლების მიხედვით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაზე არ ვრცელდება დელიქტური ვალდებულებების ინსტიტუტი, რადგან დ. ქ-ასა და თ. ს-ის მიერ უკანონო მფლობელობის პერიოდში ბინის გამოყენებას თ. დ-ასათვის (მესაკუთრე) ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისის სახით რაიმე ზიანი არ მიუყენებია. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ უკანონო მფლობელობით ამ უკანასკნელის ქონება არ შემცირებულა, რასაც გულისხმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, კერძოდ, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი, შესაბამისად, დ. ქ-ასა და თ. ს-ის სადავო ბინაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ცხოვრებით ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის მესაკუთრეს არ მიუღია.

ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, იმის გამო, რომ თ. დ-ას მოთხოვნა უკავშირდება დ. ქ-ასა და თ. ს-ის მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მფლობელობას, სადავო შემთხვევაზე უნდა გავავრცელოთ ხელყოფის კონდიქციის სპეციალური წესი, რომელიც მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლით, კერძოდ, განსახილველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის,

სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი.

განსახილველი ნორმით გათვალისწინებული „ზიანი“ წარმოადგენს არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ, საქმე გვაქვს გამდიდრების გათანაბრებასთან. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია, რომ განსახილველი ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიგვითითებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ როგორც ხელყოფის კონდიქციისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა.

აქედან გამომდინარე, სკ-ის 982-ე მუხლში მითითებულ ზიანში იგულისხმება მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ღირებულების ანაზღაურება, ანუ საქმე გვაქვს არა ზიანის ანაზღაურებასთან, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევასთან. ამდენად, სადავო ფაქტობრივი სიტუაცია არ ითვალისწინებს ზიანის ინსტიტუტს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით.

იმის გათვალისწინებით, რომ დ. ქ-ასა და თ. ს-ის მიერ თ. დ-ას საკუთრებაში არსებული ბინის უკანონო მფლობელობის გამო, ამ უკანასკნელმა დაკარგა გარკვეული სიკეთის მიღების შესაძლებლობა, მას უფლება ეძლევა, ამოიღოს ეს ქონება ხელმყოფისაგან. აღნიშნული ქონებრივი წონასწორობის აღდგენას ემსახურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა.

განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს უსაფუძვლო გამდიდრების თავისებურებებზე.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გათანაბრების ოდენობის განსაზღვრის საკითხი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ მხრივ საყურადღებოა შესრულების კონდიქციის რეგულირების მექანიზმი, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შექმნილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიძღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით. იმის გათვალისწინებით, რომ „შესრულების დაბრუნება“ (დ. ქ-ასა და თ. ს-ის მიერ უკანონო სარგებლობით მიღებული სიკეთე) შეუძლებელია, ზემოთ მითითებული ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლების მქონე პირმა (თ. დ-ამ) შეიძლება, გამოიყენოს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა, რაც შეიძლება დადგინდეს მსგავსი ბინის ქირის ოდენობით. კონკრეტულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის განსაზღვრისას თ. დ-ა ეყრდნობა შპს „აუდიტორული ფირმა „ა-ის“ 2012 წლის 27 ნოემბრის დასკვნას, რომლითაც 2008-2012 წლებისათვის ქალაქ თბილისში, მუხიანის მე-- მ/რ, მე-- კორპუსში მდებარე N82 ბინის (სადავო უძრავი ქონების) გაქირავების შემთხვევაში სავარაუდო შემოსავალი განსაზღვრულია 13591 ლარით, შესაბამისად, ერთი თვის საიჯარო ქირად მითითებულია 283 ლარი.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თ. დ-ა ითხოვს მხოლოდ სამი წლის ქირის ანაზღაურებას, რაც შეადგენს 10193 ლარს. სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის საფუძველზე, შებოჭილია მოთხოვნის ფარგლებით.

საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ ამ ურთიერთობაზე ვრცელდება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი. ამდენად, ამ ურთიერთობაზე გამოყენებულ უნდა იქნას ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი.

საქმე №ას-184-171-2015

20 მაისი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უსაფუძვლო გამდიდრება

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 2013 წლის 27 თებერვალს ქ. თბილისში, ნოტარიუს ჯ. ა-ის სანოტარო ბიუროში გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მოპასუხემ 23,500 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ შეიძინა ქ.რუსთავში,

კ-ის ...ში, მე-.. სართულზე, N...-ში მდებარე ბინა. უძრავი ქონება საჯარო რეესტრში აღირიცხა მოპასუხის საკუთრების უფლებით. ხელშეკრულების 3.1 მუხლის მიხედვით მყიდველმა გამყიდველს ნასყიდობის ფასი სრულად გადაუხადა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებამდე, გამყიდველმა კი, მიიღო ნასყიდობის ფასი. ხელშეკრულება ხელმოწერილია უშუალოდ მხარეთა მიერ.

დადგენილია, რომ ნასყიდობის საფასური (23,000 აშშ დოლარი) ნაღდი ანგარიშსწორების გზით 2013 წლის 25 თებერვალს ჩაირიცხა გამყიდველის ანგარიშზე. შემოსავლის ორდერში თანხის შემტან პირად დაფიქსირებულია მოსარჩელე.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი რაიმე პრეტენზიას დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არ შეიცავს. შესაბამისად, ამ ნაწილში, გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

წარმოდგენილი სარჩელით და საკასაციო საჩივრით მოსარჩელე სადავოდ ხდის 2013 წლის 25 თებერვალს გამყიდველის ანგარიშზე შეტანილ 23,000 აშშ დოლარზე (ნასყიდობის საფასური) საკუთრების უფლებას და აღნიშნავს, რომ სადავო თანხის გარკვეული ნაწილი წარმოადგენდა მის დანაზოგს, ხოლო სხვა ნაწილი – პირველი მეუღლისაგან დანატოვარ თანხას.

სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ ქმნიდა თანხის დაბრუნების და შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების სსკ-ის 978-ე, 991-ე მუხლებით გათვალისწინებულ ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს. სახელდობრ, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც ნაყიდი უძრავი ქონება შეიძინა მოპასუხემ, არ დგინდებოდა, რომ რეალურად უძრავი ნივთის ნასყიდობისას გარიგების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა მოსარჩელე და ბინის გამყიდველისათვის საბანკო ოპერაციით გადარიცხულ თანხაზე ვრცელდებოდა მოსარჩელის საკუთრების უფლება, მარტოდენ საბანკო ოპერაციაში მოსარჩელის მონაწილეობა კი, არ წარმოადგენდა სარჩელის დაკმაყოფილებისა და მოპასუხისათვის ამ თანხის დაკისრების საკმარის საფუძველს. აღნიშნული კი, წარმოდგენილ სარჩელს წარუმატებელს ხდიდა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოების კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ – 23,000 აშშ დოლარი ნაღდი ანგარიშსწორების გზით 2013 წლის 25 თებერვალს ჩაირიცხა გამყიდველის ანგარიშზე, შემოსავლის ორდერში თანხის შემტან პირად დაფიქსირებულია მოსარჩელე – ამოქმედდა პრეზუმფცია სადავო თანხის კუთვნილების შესახებ მოსარჩელის სასარგებლოდ.

მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, სახელდობრ, იმის გათვალისწინებით, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხემ 23,500 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც საჯარო რეესტრში აღირიცხა მოპასუხის საკუთრების უფლებით; აგრეთვე, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ხელშეკრულების მიხედვით მყიდველმა გამყიდველს ნასყიდობის ფასი სრულად გადაუხადა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებამდე, გამყიდველმა კი, მიიღო ნასყიდობის საფასური (23,000 აშშ დოლარი), რომელიც უნაღდო ანგარიშსწორების გზით მის საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა 2013 წლის 25 თებერვალს; შემოსავლის ორდერში თანხის შემტან პირად დაფიქსირებულია მოსარჩელე, გამოსაკვლევი, მოსარჩელის საბანკო ანგარიშიდან გადარიცხული სადავო თანხის (23,000 აშშ დოლარის) დაბრუნების კონდიქციის არსებობა, უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი სსკ-ით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველით.

ამას გარდა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მყიდველის ვალდებულება ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდის შესახებ (სსკ-ის 477-ე მუხლი) შესრულდა მოსარჩელის პირადი საბანკო ანგარიშიდან თანხის გადარიცხვით, ხოლო მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი იურიდიული შედეგი (ანუ, ნასყიდობის საგანზე მოპასუხის საკუთრების უფლების წარმოშობა), საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობამ უნდა შეამოწმოს ადგილი ხომ არ ჰქონდა სსკ-ის 371-ე მუხლის შემადგენლობას, რომლის საკანონმდებლო

დანაწესი ითვალისწინებს უფლებამოსილი პირის მიმართ ვალდებულების შესრულებას მესამე პირის მიერ, ამ ურთიერთობის მომწესრიგებელ დამფუძნებელ ნორმებთან ერთობლიობაში.

საქმე №ას-390-390-2018

15 მაისი, 2018 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მესამე პირის ვალდებულება, უკან დააბრუნოს უსაფუძვლოდ მიღებული (სამოქალაქო კოდექსის 989-ე მუხლი)

2009 წლის 19 თებერვალს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ თავდაპირველ მესაკუთრეს უღიარა საკუთრების უფლება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სადავო მიწის ნაკვეთზე.

2009 წლის 20 მარტს თავდაპირველმა მესაკუთრემ აღნიშნული ქონება არუქა მოპასუხეს. ჩუქების ხელშეკრულებაში ქონების ღირებულებად მითითებული იყო 20 000 ლარი.

2009 წლის 5 აგვისტოს მოპასუხემ სადავო ქონება უ.გ-ძს 21 000 ლარად მიჰყიდა, ამ უკანასკნელმა კი, აღნიშნული ქონება 2011 წლის 14 ნოემბერს 165 000 ლარად შპს „მმმ“-ზე გაასხვისა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი მესაკუთრის სახელზე ზემოაღნიშნული საკუთრების უფლების მოწმობა, ასევე, ბათილად იქნა ცნობილი მისი გაცემის საფუძვლად არსებული საკუთრების უფლების აღიარების კომისიის გადაწყვეტილებაც.

იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, თანხის დაკისრების მოთხოვნა **სსკ-ის 989-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან და და 979-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარეობს.**

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან თავდაპირველმა მესაკუთრემ მისი საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლის გაბათილებამდე, სადავო უძრავი ქონება გააჩუქა მოპასუხეზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მიმღებისგან კრედიტორის დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო (სსკ-ის 989.1)

მოპასუხისათვის უსასყიდლოდ გადაცემისას სადავო უძრავი ნივთის ღირებულება შეადგენდა 20000 ლარს, შესაბამისად, მოპასუხემ ჩუქების გზით მიიღო 20000 ლარის ქონებრივი სარგებელი.

ამდენად, ვინაიდან, სადავო ქონების რეალურ მესაკუთრეს და მის განკარგვაზე უფლებამოსილ პირს სახელმწიფო წარმოადგენდა, სწორედ დასაჩუქრებული იქნებოდა ვალდებული, არაუფლებამოსილი პირისაგან – თავდაპირველი მესაკუთრისაგან უსასყიდლოდ მიღებული ქონების დაბრუნებაზე (სსკ-ის 989.1-ე მუხლი).

თუმცა, რადგანაც მოპასუხემ სადავო უძრავი ქონება მესამე პირზე განკარგა და ამჟამად აღარ წარმოადგენს მის საკუთრებას, ქონების ნატურით დაბრუნება შეუძლებელია. ამდენად, სსკ-ის 989-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოპასუხეს წარმოეშვა ვალდებულება, დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს ქონების ღირებულება მისი მიღების დროისათვის, რაც, განსახილველ შემთხვევაში, 20000 ლარს შეადგენს (სსკ-ის 979.2).

5.3. დელიქტური ვალდებულება

საქმე №ას-182-169-2015

27 აპრილი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ნოტარიუსის გაუფრთხილებელი მოქმედების გამო დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრება (სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი)

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ძირითადი პრეტენზია (კასაციის საფუძვლები) მატერიალური ზიანის ანაზღაურებაში ნოტარიუსის სოლიდარული ვალდებულების დადგენას შეეხება. კასაციის საფუძვლების (კასაციის მიზეზების) კანონიერებისათვის პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს სანოტარო მოქმედების შესრულებისას ნოტარიუსის ქმედების მართლზომიერება და ბრალეულობა.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ 2009 წლის 16 აპრილს ნოტარიუს ე. მ-ას მიერ დამოწმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც ჯ. ა-ამ 7000 აშშ დოლარი სამი თვის ვადით ასესხა მ. კ-ს, თვეში 5 პროცენტი სარგებლის დარიცხვით. სესხის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა ქ. თბილისში, მ-ის -- მიკრო/რაიონში, კორპუსი N6-ში, ბინა N2-ში მდებარე მ. კ-ის კუთვნილი საცხოვრებელი სახლი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 03 ოქტომბრის განაჩენით ც. გ-ე ცნობილი იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. აღნიშნული განაჩენით დგინდება, რომ ც. გ-ემ მოიპოვა მ. კ-ის პირადობის მოწმობა და 2009 წლის აპრილში ქ. თბილისში, მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრის“ მიმდებარედ განთავსებული უძრავი ქონების სააგენტოს დახმარებით დაუკავშირდა ჯ. ა-ს, რომელსაც გაეცნო, როგორც მ. კ-ი და მხარეები შეთანხმდნენ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებაზე. ც. გ-ემ ჯ. ა-ს დაათვალიერებინა მ. კ-ის კუთვნილი საცხოვრებელი სახლი, რომელიც იმ პერიოდში ნაქირავები ჰქონდათ მის ნაცნობებს და აღნიშნულის შემდეგ მან ჯ. ა-სთან ერთად მიმართა ნოტარიუს ე. მ-ას და 2009 წლის 16 აპრილს გააფორმეს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. განაჩენის მიხედვით, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გასაფორმებლად ნოტარიუსთან მივიდა ც. გ-ე, რომელმაც განაცხადა, რომ იყო მ. კ-ი და წარადგინა მისივე პირადობის მოწმობა.

დადგენილია, რომ მოსარჩელე მ. კ-მა ჯ. ა-ს 2009 წლის 28 ოქტომბერს გადაუხადა 7000 აშშ დოლარი, რის შემდეგაც გაუქმდა მოსარჩელის უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული იპოთეკა.

2009 წლის 3 ნოემბერს მოპასუხე ც. გ-სა და მოსარჩელე მ. კ-ს შორის შედგა ვალის აღიარების ხელშეკრულება, რომელიც დამოწმდა სანოტარო წესით და მოპასუხემ მოსარჩელის წინაშე აღიარა ვალი 8500 აშშ დოლარის ოდენობით და იკისრა მისი გადახდის ვალდებულება იმავე წლის 15 ნოემბრამდე.

უდავო გარემოებაა, რომ ც. გ-ეს ვალის აღიარების ხელშეკრულებაში მითითებული 8500 აშშ დოლარი არ გადაუხდია.

საქმეში წარმოდგენილი პირადობის მოწმობებით დადგენილია, რომ მოსარჩელე მ. კ-ი დაბადებულია 1944 წლის 15 ოქტომბერს, ხოლო ც. გ-ე – 1962 წლის 04 სექტემბერს.

საკასაციო პალატა მიუთითებს „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების შესრულებისას ნოტარიუსი ვალდებულია დაადგინოს სანოტარო მოქმედების მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირის ან მათი წარმომადგენლის ვინაობა, უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა, ნების თავისუფალი გამოვლენის ნამდვილობა, სანოტარო მოქმედების მონაწილეს განუმარტოს მისი უფლებები და ვალდებულებები, გააფრთხილოს სანოტარო მოქმედების იურიდიული შედეგების შესახებ. ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების შესრულებისას ნოტარიუსი ვალდებულია, არ შეასრულოს სანოტარო მოქმედება, თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მორალს ანდა საჯარო წესრიგს.

საჯარო წესრიგში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, რომლებშიც მოიაზრება ასევე საკუთრების ხელშეუხებლობა. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ იგი ვნებას აყენებს, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს. გარიგება, რითაც უარყოფილი იქნება საკუთრების ხელშეუხებლობის სოციალური ფუნქცია, უნდა ჩაითვალოს საჯარო წესრიგის დამრღვევ გარიგებად. ამ შემთხვევაში მხედველობაშია სოციალური და ეკონომიკური საჯარო წესრიგი.

მოხმობილი ბრძანების მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ნოტარიუსი ადგენს სანოტარო მოქმედების მონაწილე ფიზიკური პირის პირადობას მის მიერ წარდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით. საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ ძირითად დოკუმენტად მიიჩნევა საქართველოს მოქალაქის პასპორტი, პირადობის მოწმობა ან სამშობლოში დაბრუნების დროებითი მოწმობა. დასაშვებია სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობის დადგენა სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის ერთიანი ნიმუშის ეროვნული ან საერთაშორისო მოწმობ-

ბის საფუძველზე, რომელიც გაცემულია საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ. დასაშვებია საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მცხოვრები უცხოელის იდენტიფიცირება და პირადობის დადასტურება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან შესაბამისი პირის პირადობის (ბინადრობის) მოწმობის მონაცემების გამოყენებით. ამავე ბრძანების 19-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ ნოტარიუსს ეჭვი ეპარება წარდგენილი დოკუმენტის წარმდგენისადმი კუთვნილებაში, ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნამდვილობა ეჭვს იწვევს, ნოტარიუსი ვალდებულია უარი თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე (იხ., სუს 14.07.2014წ.-ის განჩინება საქმე N375-352-2014).

აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად ნოტარიუსის ქმედებამ, რომელმაც სათანადოდ ვერ უზრუნველყო სანოტარო მოქმედების შესრულება კანონის შესაბამისად (ვერ მოახდინა სანოტარო მოქმედებაში მონაწილე პირის იდენტიფიცირება), გამოიწვია ის შედეგი, რამაც დაარღვია უძრავი ნივთის მესაკუთრის – მოსარჩელე მ. კ-ის უფლებები, რის გამოც ნოტარიუსს ეკისრებოდა სამოქალაქო პასუხისმგებლობა მოსარჩელის დარღვეული უფლებისათვის, კერძოდ, დადგენილია, რომ ნოტარიუსის გაუფრთხილებელმა მოქმედებამ გამოიწვია სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმება და სანოტარო წესით დადასტურება არა იმ პირის მიერ ვინც გარიგების მხარე უნდა ყოფილიყო. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადასტურებით კი, მატერიალური ზიანი მიადგა მოსარჩელე მ. კ-ის კანონით დაცულ ინტერესებს.

კასატორი მოსაზრებით, ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებისას ნოტარიატის შესახებ კანონისა და შესაბამისი ინსტრუქციის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტზე მსჯელობა არ მიეკუთვნებოდა სამოქალაქო წესით განმხილველი სასამართლოს კომპეტენციას, რასაც საკასაციო პალატა არ იზიარებს და განმარტავს, რომ ნოტარიუსის გაუფრთხილებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის დაკისრების მატერიალურ საფუძველს ქმნის სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი (დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრების მარეგულირებელი ნორმა). ხოლო რაც შეეხება პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობებს, აღნიშნული გათვალისწინებულია ამავე მუხლის დისპოზიციით, რომელიც შემდეგი კომპონენტების ერთობლიობას გულისხმობს: ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მიზეზშედეგობრივი კავშირი და ბრალი. იმისათვის, რომ პირს დაეკისროს ზიანის ანაზღაურება, საჭიროა ერთდროულად არსებობდეს რამდენიმე პირობა, კერძოდ, ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, მართლწინააღმდეგობა გამოწვეული უნდა იყოს განზრახვი ან გაუფრთხილებელი ქმედებით, ქმედებას უნდა მოჰყვეს ზიანი, ქმედებასა და მიღებულ შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. ამ პირობათა ერთობლიობა სავალდებულოა ზიანის იურიდიული შემადგენლობისათვის, ანუ დელიქტური ვალდებულების წარმოშობისათვის. მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, საქმის განმხილველი სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ნოტარიუსის ქმედება სანოტარო მოქმედების შესრულებისას ატარებდა მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, რაც გულისხმობდა და მოიარებდა დადგენილი წესებისა თუ, წინდახედულობის ნორმების უგულვებელყოფის შედეგად მხარისათვის მიყენებულ ქონებრივ დანაკლისს.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების მიზნით, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ნოტარიატის შესახებ კანონის 22-ე მუხლით, რომლითაც განსაზღვრულია ნოტარიუსის ქონებრივი პასუხისმგებლობა, რომლის თანახმად, ნოტარიუსს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია მისმა განზრახვი ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ზიანის დადგენაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ორივე მოპასუხის (გ.გ-სა და ნოტარიუს ე.მ-ას) პასუხისმგებლობის საფუძველი. შესაბამისად, მ. კ-ისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად გ.გ-თან ერთად სწორად განისაზღვრა ნოტარიუსი ე. მ-ა.

განმარტების საგანი: ნოტარიუსის გაუფრთხილებელი მოქმედების გამო დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრება (სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი)

ნოტარიუსმა – ნ.ბ-ძემ 2009 წლის 10 აპრილს დაამოწმა მინდობილობა, რომლის მიხედვითაც ქ.ბ-მა ნ.დ-ს თავის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, მდებარე №39 ბინის მართვისა და გასხვისების უფლება მიანიჭა. მინდობილობის საფუძველზე 2009 წლის 22 ივლისს რწმუნებულმა, როგორც მესაკუთრის წარმომადგენელმა, პ.შ-ძესა და ხ.მ-ს სადავო უძრავი ქონება 24 200 აშშ დოლარად მიჰყიდა გამოსყიდვის უფლებით. გამოსყიდვის ვადა სამი თვით განისაზღვრა. 2009 წლის 27 ოქტომბერს სადავო ბინა საჯარო რეესტრში მოსარჩელეთა საკუთრებად აღირიცხა.

რწმუნებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 14 აპრილის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის (თაღლითობის) ჩადენაში, რაც გამოიხატა ყალბი მინდობილობის გაფორმებით.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა მტკიცება, რომ, ვინაიდან ნოტარიუსმა ზუსტად ვერ დაადგინა სანოტარო მოქმედების შესასრულებლად მასთან გამოცხადებული პირის ვინაობა, კერძოდ – ფაქტი, რომ პირადობის მოწმობა მის ხელთ მქონეს არ ეკუთვნოდა, ეს იმთავითვე მიუთითებდა ნოტარიუსის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ (გაუფრთხილებელ) ქმედებაზე.

სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული დასკვნა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, საკმარისად დასაბუთებული არაა. მართალია, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 49.1 მუხლის მიხედვით, ნოტარიუსის მოვალეობაა სანოტარო მოქმედების მონაწილე პირის ვინაობის დადგენა, თუმცა ამ მოქმედების განხორციელებისას, ნოტარიუსის ქმედების მართლსაწინააღმდეგობა და ბრალეულობა უნდა დადგინდეს მხარეთა განმარტებებისა და მათ მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შეფასების შედეგად. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლოს სათანადოდ არ გამოუკვლევიდა და არ შეუფასებია მხარეთა განმარტებები და წარდგენილი მტკიცებულებები.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო არაა, რომ ნოტარიუსმა არასწორად დაადგინა სანოტარო მოქმედების შესასრულებლად მასთან გამოცხადებული პირის ვინაობა. ამასთან, მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია ნოტარიუსთან გამოცხადებული პირისა და პირადობის მოწმობაში ფოტოსურათზე გამოსახული პირის გარეგნული მსგავსება. ნოტარიუსის შეცდომა სწორედ ამ მსგავსებამ განაპირობა. ასეთ ვითარებაში დასადგენია, მოქმედებდა თუ არა ნოტარიუსი სათანადო გულისხმიერებით და შეეძლო თუ არა მას თავიდან აეცილებინა შეცდომა, კერძოდ, მინდობილობის გაცემა იმ პირის სახელით, რომელიც მასთან არ გამოცხადებულა.

გაუფრთხილებლად იქცევა ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ გულისხმიერებას. გაუფრთხილებლობა, როგორც დელიქტი, არის სამართლით დაკისრებული გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა, რომლის შედეგად დაზარალებულს წარმოეშვა ზიანი და იგი ობიექტური მასშტაბებით განისაზღვრება. თითოეული პროფესიის, სოციალური წრის წარმომადგენელს მოეთხოვება ყურადღებისა და სხვისი ინტერესების ისე გათვალისწინება, რაც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია ამ პროფესიისა თუ სოციალური წრის ადამიანებისათვის. შესაბამისად, უნდა განისაზღვროს, არის თუ არა მოპასუხის ქმედება, ზოგადად, ნოტარიუსისათვის დადგენილი ქცევის სტანდარტიდან გადახვევა, ამასთან, გამოიჩინა თუ არა მან ის წინდახედულება და გულისხმიერება, რაც ევალუბოდა სანოტარო მოქმედების შესრულებისას.

სადავო სანოტარო მოქმედების შესრულების დროს მოქმედი საქართველოს იუსტიციის მინისტრის „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ 2005 წლის 22 დეკემბრის ბრძანების (N2359) მე-15 მუხლი განსაზღვრავს სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობის დადგენის წესს. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, თუ ნოტარიუსს ეჭვი შეეპარება, რომ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი მის წარმდგენს არ ეკუთვნის, მან უარი უნდა თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე.

მოცემულ შემთხვევაში, ნოტარიუსი განმარტავს, რომ მასთან გამოცხადებული პირისა და პირადობის მოწმობაში ფოტოსურათზე გამოსახული პირის ერთმანეთთან მსგავსების გამო, ობიექტურად შეუძლებელი იყო შეცდომის თავიდან არიდება, ამიტომ ეჭვი არ შეჰპარვია იმაში, რომ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი სწორედ მის წარმდგენს ეკუთვნოდა. როგორც აღინიშნა, ზემოხსენებულ პირთა გარეგნულად მსგავსების ფაქტი კანონიერ ძალაში შესული განაჩენითაა დადგენილი. საყურადღებოა, რომ ამ განაჩენით ნოტარიუსის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ხელახალი განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ მტკიცების ტვირთი სწორად უნდა გაანაწილოს და მხარეთა განმარტებებისა და მათ მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შეფასების შედეგად უნდა დაადგინოს, სანოტარო მოქმედების შესრულებისას მოქმედებდა თუ არა ნოტარიუსი ობიექტური წინდახედულებისა და პროფესიული გულისხმიერების ფარგლებში.

განაჩენით მსჯავრდებულ პირთან ერთად ნოტარიუსის სოლიდარული პასუხისმგებლობა შეიძლება, დადგეს სსკ-ის 463-ე მუხლის და არა ამავე კოდექსის 998-ე მუხლის საფუძველზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 998-ე მუხლი, ვინაიდან რამდენიმე პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის დელიქტური სამართლით გათვალისწინებული სოლიდარული პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც ზიანის მიმყენებლები მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით ანუ, როდესაც იკვეთება განზრახი თანამონაწილეობა. სოლიდარული პასუხისმგებლობის წინაპირობა ზიანის მიყენებაში დანაშაულებრივი თანამონაწილეობაა. შესაბამისად, იმ პირთა მიმართ, რომლებმაც, მართალია, გამოიწვიეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, თუმცა არ ჰქონდათ მართლსაწინააღმდეგო ქმედების სხვასთან ერთად ჩადენის ან მისი ხელშეწყობის ნება და არც შეგნებულად არ უსარგებლიათ სხვისთვის მიყენებული ზიანით, სსკ-ის 998-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული პასუხისმგებლობა არ დგება. მოცემულ შემთხვევაში, ნოტარიუსის ქმედებაში სსკ-ის 998-ე მუხლის წინაპირობების არსებობა არ იკვეთება, თუმცა, თუ სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, ნოტარიუსის სოლიდარული პასუხისმგებლობა ანაზღაურებაზე ვალდებული პირების სიმრავლით იქნება გამოწვეული, რაც სსკ-ის 463-ე და 464-ე მუხლების დანაწესით განისაზღვრება. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, რომ მოსარჩევეები ზიანის ანაზღაურებას მხოლოდ ნოტარიუსისგან მოითხოვენ. მოსარჩევეთა ეს მოთხოვნა სსკ-ის 465-ე მუხლიდან გამომდინარეობს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წილადი ვალდებულებისაგან განსხვავებით, თითოეული სოლიდარული მოვალე მთლიანი ვალდებულების შესრულებაზე პასუხისმგებელი, რის გამოც კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისათვის სოლიდარულ მოვალეთა ბრალის ხარისხსა და სიმძიმეს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ამ გარემოებამ შესაძლოა, გავლენა იქონიოს სოლიდარულ მოვალეთა პასუხისმგებლობის ოდენობაზე სსკ-ის 473-ე მუხლით გათვალისწინებულ უკუმოთხოვნათა უფლების რეალიზაციისას.

საქმე №ას-1165-1111-2013

29 ოქტომბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საწარმოს პასუხისმგებლობა მისი დირექტორის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მესამე პირისთვის მიყენებული ზიანისთვის

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოპასუხე საწარმოს საწესდებო კაპიტალის 50% წილის მფლობელი პარტნიორი არის სახელმწიფო, რომელმაც მის საკუთრებაში არსებულ აქციათა პაკეტი მართვის უფლებით გადასცა საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს. სწორედ ამ უკანასკნელისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო ასიგნებიდან სახელმწიფომ 8 000 000 ლარი ასესხა მოპასუხეს კონკრეტული მიზნით – საწარმოს კუთვნილი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის რეაბილიტაციისათვის, ანუ საწარმოს პარტნიორმა მიზნობრივი სესხი მისცა თავის მიერვე დაფუძნებულ საწარმოს. მოსარჩელის თავდაპირველი განმარტებით, მოპასუხემ დაარღვია სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, კერძოდ, არამიზნობრივად დახარჯა 2 138 300 ლარი, რითაც ამდენივე ზიანი მიაყენა

მოსარჩელეს, ანუ ეს უკანასკნელი მიიჩნევა, რომ არამიზნობრივად დახარჯული 2 138 300 ლარი წარმოადგენდა ზიანს. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სადავო თანხის არამიზნობრივად დახარჯვის (გაფლანგვის) ფაქტი დასტურდებოდა სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიებითა და სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით. აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ მოთხოვნა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა – დაეკისროს მოპასუხეს არამიზნობრივად გამოყენებული 2 138 300 ლარის გადახდა. მოგვიანებით, მოსარჩელემ დააზუსტა, რომ ზიანი მას მიადგა ზემოხსენებული თანხის დროულად დაუბრუნებლობით, კერძოდ, მოპასუხეს სადავო თანხა დაუყოვნებლივ, 2006 წელსვე უნდა დაებრუნებინა, ვინაიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად მისი დახარჯვის საჭიროება არ არსებობდა. მოსარჩელის მოსაზრებით, სადავო თანხის დროულად დაბრუნების შემთხვევაში, ამ თანხას გამოიყენებდა სახელმწიფო ენერჯოსისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტების, მათ შორის, სხვა ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაციისათვის. ასევე, მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მოპასუხეს სესხი გადასცა განსაკუთრებით შეღავათიანი პირობებით და რომ არა სესხის მიზნობრიობა, მოპასუხე სესხს ვერ მიიღებდა წლიური 7%-იანი სარგებლით (*იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს 18.03.2013 წლის სხდომის ოქმი*).

ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის გადაწყვეტისას არ უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 992-ე და 997-ე მუხლები და მათ საფუძველზე სარჩელი არ უნდა დაეკმაყოფილებინა. სსკ-ის 992-ე მუხლის (*პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი*) გამოყენება არასწორია იმიტომ, რომ მითითებული ნორმით დელიქტური პასუხისმგებლობა შეიძლება, დაეკისროს ზიანის მიმყენებელ პირს. **მოცემულ შემთხვევაში, თავად მოსარჩელის განმარტებისა და სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენის მიხედვით, სესხის სადავო თანხა არამიზნობრივად დახარჯეს (გაფლანგეს) საწარმოს დირექტორებმა, შესაბამისად, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა საწარმოს ვერ დაეკისრება, ვინაიდან მოსარჩელისათვის ზიანი მას არ მიუყენებია.** ამასთან, მართალია, სსკ-ის 998.2 მუხლის მიხედვით (*ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე, ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით*), დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ზიანის მიმყენებელთან ერთად, სოლიდარულად შეიძლება დაეკისროს იმ პირსაც, ვისაც ზიანი უშუალოდ არ მიუყენებია, მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, არც განაჩენით არაა დადგენილი და არც მოსარჩელე არ უთითებს, რომ ზიანის უშუალოდ მიმყენებლები საწარმომ დაიყოლია ან მათი ხელშემწყობი იყო ან კიდევ, შეგნებულად ისარგებლა მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანით, შესაბამისად, ვერც ზემოხსენებული ნორმის საფუძველზე ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა საწარმოს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, არც სსკ-ის 997-ე მუხლის (*პირი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე*) გამოყენების წინაპირობა არ არსებობს. მართალია, განაჩენით დადგენილია, რომ საწარმოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების (დირექტორების) დანაშაულებრივი ქმედებით ზიანი მიადგა მოსარჩელეს, მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც ამავე საწარმოს პარტნიორი, არ წარმოადგენს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებულ მესამე პირს, რომელსაც შეუძლია, მოთხოვნა წაუყენოს საწარმოს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, საწარმოსა და დირექტორს შორის არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა არა შრომითი კანონმდებლობის საფუძველზე, არამედ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და დავალების ხელშეკრულების ნორმებით წესრიგდება (*შდრ. სუსგ ას-319-302-2017, 28.07.2017*), შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ დირექტორი ვერ მიიჩნევა საწარმოს მუშაკად სსკ-ის 997-ე მუხლის გაგებით.

საქმე №ას-708-677-2014

9 დეკემბერი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დირექტორის პასუხისმგებლობა გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების გამო

განსახილველი დავის საგანს დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს, რომლის ფაქტობრივ საფუძველადაც მოსარჩელე მიუთითებს შემდეგს: საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე შპს „ჯ-ს“ გადასახდელო დაეკისრა 403 348 ლარი. დარიცხვის კანონიერება დადასტურებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. საწარმოს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირმა თავი აარიდა სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის გამოც ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა დამნაშავედ. სარჩელის თანახმად, ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანების აუნაზღაურებლობის გამო გადასახდელო თანხამ სასამართლოსათვის მიმართვის ეტაპზე 924 593 ლარი შეადგინა, შესაბამისად, მოსარჩელემ მოითხოვა ამ თანხის, როგორც საწარმოსათვის, ისე მისი იმდროინდელი დირექტორისათვის სოლიდარულად დაკისრება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა რა სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი, მოპასუხე დირექტორს დააკისრა გადასახადის დარიცხვის აქტით გათვალისწინებული თანხა.

ა.ჯ-ემ შუამდგომლობით მომართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა დავის საგნის არარსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა, რომელიც იმ დასაბუთებას ემყარება, რომ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად, კომპანია გათავისუფლდა 2011 წლამდე წარმოშობილი ვალდებულებისაგან, რაც აისახა სსიპ შემოსავლების სამსახურის შედარების აქტში და კომპანიას აღარ ერიცხება დავალიანება, რომლის სოლიდარულად ანაზღაურებასაც ითხოვს მოსარჩელე.

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს ა.ჯ-ის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობასა და მასზე დართულ შედარების აქტს და არ იზიარებს სსიპ შემოსავლების სამსახურის პოზიციას ამ შუამდგომლობასთან დაკავშირებით (სსიპ შემოსავლების სამსახურმა წერილობით დაადასტურა, რომ საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, შპს „ჯ-ის“ ბარათზე განხორციელდა ბიუჯეტის წინაშე არსებული საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება, ანუ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შეცვლილია დავის ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, მოსარჩელემ ისარგებლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309⁶, 309⁷, 309⁸ მუხლებით მინიჭებული უფლებით და მიმართა სასამართლოს, ამასთან, გარემოებათა შეცვლის მიუხედავად მოპასუხე მხარეს სამოქალაქო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძველზე აქვს დაკისრებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვინაიდან საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, დაკორექტირებულია გადასახადის გადახდის პირადი აღრიცხვის ბარათი და აღარ არსებობს დავალიანება, მიუხედავად სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა, არ არსებობს ა.ჯ-ისათვის ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი საფუძველი, რადგანაც სახელმწიფომ ნებაყოფლობით უარი განაცხადა იმ თანხის (დავალიანების) ამოღებაზე, რომლის გადახდის ვალდებულებაც ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე წარმოიშვა.

საქმე №ას-857-821-2014

21 დეკემბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სოლიდარული პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის (სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

ობურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ობურგეთის რაიონულ გამგეობასა და შპს „მ-ს“ შორის 2005 წლის 30 მაისს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, აგრეთვე, საჯარო რეესტრის ჩანაწერი ობურ-

გეთის რაიონის დაბა ნასაკრალოში მდებარე 150 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (საკა-დასტრო კოდი №.....) შპს „მ-ის“ საკუთრებაში აღრიცხვის შესახებ.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით, ასევე ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ჩანაწერი იმავე მიწის ნაკვეთის ოზურგეთის რაიონული გამგეობის საკუთრებად აღრიცხვის შესახებ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ოზურგეთის რაიონის დაბა ნასაკრალოში მდებარე 4260 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთის ნ. გ-ის სახელზე აღრიცხვა.

თავის მხრივ, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით (რომლითაც გაუქმდა ოზურგეთის რაიონის გამგეობასა და შპს „მ-ს“ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება) დადგენილია, რომ: ოზურგეთის რაიონის გამგეობისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებებით დაირღვა კასატორის საკუთრების უფლება;

ოზურგეთის რაიონის გამგეობასთან 2005 წლის 30 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას შპს „მ-ი“ წარმოადგენდა არაკეთილსინდისიერ შემძენს, რადგან მან იცოდა, რომ სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე იყო მოსარჩელე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, არსებობს დილიქტით მიყენებული ზიანისათვის (მიუღებელი შემოსავალი) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის სოლიდარული პასუხისმგებლობის ცალსახა საფუძველი. რაც შეეხება შპს „მ-ს“, უნდა აღინიშნოს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ არის გამოკვეთილი ზიანის დადგომაში მისი უშუალო მონაწილეობის ან ხელის შეწყობის დამადასტურებელი გარემოებები. დადგენილია მხოლოდ ის, რომ მიწის ნაკვეთის შეძენისას მან იცოდა, რომ ოზურგეთის რაიონის გამგეობა არ იყო მისი მესაკუთრე. შესაბამისად, იგი წარმოადგენდა არაკეთილსინდისიერ შემძენს.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, ზოგადად, დელიქტური ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენებით, რომელიც გამოწვეულია მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებით ან ბრალის გარეშე პასუხისმგებლობით (მაგ., მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი). ამავე დროს, დელიქტური ვალდებულების წარმოშობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედების არსებობა. აუცილებელია, აგრეთვე, ამ ქმედებით ზიანის მიყენება. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვისაც ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს სწორედ ზიანის მიყენების ფაქტი.

დელიქტური ვალდებულების ზოგადი კონცეფციის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედი პირი – დელიქტორი – თავისი მოქმედების განხორციელებაში ჯერ არ არის სამართლებრივ ურთიერთობაში იმასთან, ვისაც ის ზიანს აყენებს. აღნიშნული თეორიიდან გამომდინარე, დელიქტორი უპირველეს ყოვლისა, არის ის, ვინც ზიანი უშუალოდ მიაყენა.

თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი აფართოებს პასუხისმგებელ პირთა წრეს და მიუთითებს, რომ დელიქტურ ვალდებულებებზე პასუხისმგებელ სუბიექტებს წარმოადგენენ არა მხოლოდ შემსრულებელი (ანუ ის, ვინც ზიანი უშუალოდ მიაყენა), არამედ ისიც, ვინც შემსრულებელი დაიყოლია ან მისი ხელისშემწყობი იყო, და ასევე ისიც, ვინც სხვისთვის მიყენებული ზიანით შეგნებულად ისარგებლა.

შემსრულებელთან ერთად წამქმნებლებისა და დამხმარე პირების დელიქტურ პასუხისმგებლობას გერმანული სამოქალაქო კოდექსიც იცნობს (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 830-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი).

თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი უფრო შორს მიდის და შემსრულებელთან ერთად პასუხისმგებლობას აკისრებს აგრეთვე იმასაც, ვინც სხვისთვის მიყენებული ზიანით შეგნებულად ისარგებლა. ამით სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსხვავდება გერმანული და ფრანგული რეგულაციებისაგან და შესაძლებელია ქმნიდეს ერთგვარ გამონაკლისს დელიქტურ ვალდებულებათა ზოგადი წესიდან, რომლითაც უზრუნველყოფილია ვალდებულების არსებობის უფრო მაღალი სტანდარტი “alterum

non laedere“ (არ მიაყენო ზიანი სხვას). აბსოლუტური დაცვის სისტემამ უფლებებთან ერთად მოიცვა ასევე ფასეულობები, რომლებიც ეკუთვნის უფლებათა დაცვის სფეროს. აღნიშნული სფერო მოიცავს პირის უფლებას და, შესაბამისად, მესამე პირის ვალდებულებას, არ იყოს სხვისთვის ზიანის მიყენების „პასიური მეთვალყურე“ და არ ისარგებლოს ამ ზიანით, თუნდაც ამის თაობაზე მისთვის მოგვიანებით გახდეს ცნობილი.

აქედან გამომდინარე, განსახილველ დანაწესში (ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით) საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, იგულისხმება ორი შემთხვევა: (1) პირი, ვინც თავისი უმოქმედობით ხელი შეუწყო სხვის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ ქმედებას, რადგან სხვისთვის ზიანის დადგომა მას ანიჭებს რაიმე სარგებელს და ეს უმოქმედობა უნდა შეფასდეს, როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული (მაგალითად, მეზობელმა ისარგებლა მუშების მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, რასაც მოჰყვა მისი მეზობელი მიწის ნაკვეთის მიჯნის მოშლა); (2) მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი გახდა ზიანისა და მისი წარმომშობი მიზეზების თაობაზე, პირმა შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით (მაგალითად, შეგნებულად ბინა შეიძინა იმ პირისაგან, ვინც ყალბი საბუთების საფუძველზე აღირიცხა ბინის მესაკუთრედ და ეს შემძენისთვის გახდა ცნობილი) და ამ შემთხვევაშიც, მისი ქმედება უნდა შეფასდეს როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული.

წინამდებარე დავაში დადგენილია, რომ შპს „მ-ი“ წარმოადგენდა არაკეთილსინდისიერ შემძენს, რომელმაც შეძენის მომენტში იცოდა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ იყო სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. მიუხედავად ამისა, მან შეიძინა მიწის ნაკვეთი, რითაც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „მ-ი“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურთან ერთად წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სოლიდარული პასუხისმგებლობის სუბიექტს.

საქმე №ას-906-856-2015

12 ნოემბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი (სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი)

2014 წლის 30 ივნისს, ა. ქ-უსა (მესაკუთრე) და შპს „გ-ს“ (დამქირავებელი) შორის გაფორმდა ავტომანქანის ქირავნობის ხელშეკრულება, 1 წლით. მხარეთა შორის წლიური ქირა განისაზღვრა 1200 ლარით, გადასახადების გარეშე. ხელშეკრულებით გამქირავებელმა, მის საკუთრებაში არსებული BMW-X5 ტიპის ავტომობილი სახ. ნომრით B..., მიაქირავა საწარმოს; მოძრავი ნივთის დამქირავებლისათვის გადაცემა დადასტურდა, ხელშეკრულების ხელმოწერის დღესვე, მიღება-ჩაბარების აქტით.

2014 წლის 3 აგვისტოს, დამქირავებელმა ნაქირავები მანქანა ერთი დღით, 03.08.2014 წლის 16 სთ-დან, 04.08.2014. 16 სთ-მდე, ქირავნობით, დროებით სარგებლობაში, გადასცა მ. ქ-ეს (მფლობელი), რაც დადასტურდა მხარეთა შორის ხელმოწერილი ხელშეკრულებითა და მიღება – ჩაბარების აქტით. ქვექირავნობაზე არც ქირავნობის ხელშეკრულებაში ყოფილა რაიმე დათქმა და არც დამქირავებელს მიუმართავს გამქირავებლისათვის თანხმობის მისაღებად.

მ. ქ-მ დაქირავებული ავტომობილი სამართავად გადასცა თავის შვილს ნ. ქ-ეს, ხოლო ამ უკანასკნელმა კი ავტომობილი ათხოვა თავის მეგობარს – გ. გ-ის (მართვის უფლების არმქონე ან სამართალდამრღვევი მძღოლი), რომელმაც უშუალოდ მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა.

წინამდებარე განჩინების 1-9 პუნქტებში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დადგენილია, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა 2014 წლის 4 აგვისტოს, შედეგად, დაზიანდა სხვა პირის კუთვნილი ავტომანქანა. საგზაო ინციდენტი გამოწვეული იყო მართვის უფლების არმქონე მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით. ამ უკანასკნელის ხელთ ავტომანქანა, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, აღმოჩნდა მეგობრისაგან, რომელსაც, თავის მხრივ, ასევე არამართლზომიერად ჰქონდა მამისგან (მფლობელისაგან) მიღებული დაქირავებული ავტომანქანა. ავტომანქანის მფლობელმა, თავისი მოქმედებით, ხელი

შეუწყო ზიანის დადგომას, როდესაც დაქირავებული მანქანა, სიტყვიერი შეთანხმებით, გადასცა თავის შვილს, ამ უკანასკნელმა კი მეგობარს – მართვის უფლების არმქონე მძღოლს. შესაბამისად, ნივთის მესაკუთრისა და დამქირავებლის კავშირი დელიქტთან გამორიცხულია, აქედან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიება, რომლითაც დამქირავებლის საკუთრებად რეგისტრირებული ავტომანქანის ექსპლუატაცია აიკრძალა და მოძრავი ნივთი გადაიყვანეს დაცულ ავტოსადგომზე, უნდა გაუქმდეს, რადგან სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიანობა შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ ავტომანქანის მფლობელის, მისი შვილისა და მართვის უფლების არმქონე მძღოლის ქმედებიდან, მაღალი ალბათობით, სარჩელის დაკმაყოფილება შეუძლებელია ავტომანქანის მესაკუთრისა და დამქირავებლის წინააღმდეგ.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს, რომ სსკ-ის 992-ე და 998-ე მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საკითხი შესაძლებელია განხილული იქნეს ავტომანქანის მფლობელის, მისი შვილისა და სამართალდამრღვევი მძღოლის მიმართ; ავტომანქანის მესაკუთრისა და დამქირავებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები უნდა გამოირიცხოს შესაბამისი წინაპირობების არარსებობის გამო.

საქმე №ას-504-481-2016 **30 სექტემბერი, 2016 წელი, ქ. თბილისი**
განმარტების საგანი: სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი (სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი)

პალატა კვლავ მოიშველიებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას დელიქტური ვალდებულების ზოგადი და კერძო შემთხვევის მარეგულირებელი ნორმების ურთიერთმიმართების თაობაზე, რომლის თანახმადაც დაზარალებულ პირს არ ეკრძალება, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ერთობლივად წაუყენოს როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს, რომელიც ზიანის მიმყენებელია 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამის წინადადების საფუძველზე, ისე – სატრანსპორტო საშუალების მოსარგებლეს, რომელიც ბრალეულად მოქმედებდა და ზიანის მიმყენებელია 992-ე მუხლის საფუძველზე (*იხ. სსკ №ას-254-239-2010, 20 ივლისი, 2010წ; №ას-39-38-10, 15 ივლისი, 2010 წელი*). თავის მხრივ, დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის სოლიდარულად დაკისრების საფუძველს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი ადგენს, რომლის პირველი ნაწილის თანახმადაც, თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები*

საქმე №ას-668-635-2013 **16 ივნისი, 2015 წელი, ქ. თბილისი**
განმარტების საგანი: პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის (სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლი)

მოცემულ საქმეში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს სხეულის დაზიანებით გამოწვეული იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა სატრანსფორმატორო ელექტროქვესადგურში მაღალი ძაბვის ელექტროდენის ზემოქმედების შედეგად.

სააპელაციო სასამართლო მიერ დადგენილია, რომ 2005 წლის 31 აგვისტოს 15 საათზე თბილისში ქ.-ის ქ. N...-ში მდებარე სატრანსფორმატორო ელექტროქვესადგურში შევიდა მოსარჩელე, რომელმაც მაღალი ძაბვის ელექტროდენის ზემოქმედების შედეგად მიიღო ელექტროთერმული ტრამვა – სხეულის 17%-ზე მე-3, მე-4 ხარისხის დამწვრობა. მიღებული დაზიანებების გამო მოსარჩელეს ჩაუტარდა ორივე ხელის ამპუტაცია და მან დაკარგა შრომისუნარიანობა 2/3-ზე მეტი ნიშნით. დადგენილია, რომ ამ პერიოდში ზემოხსენებული სატრანს-

* აღნიშნულისგან განსხვავებული განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ **№ას-1085-1022-2015** საქმეზე, 27.05.2016, კერძოდ: „საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა პირველი მოპასუხის მიმართ შესაძლებელია დაეფუძნოს სსკ-ის 992-ე მუხლს, ხოლო მეორე მოპასუხის მიმართ – სსკ-ის 999-ე მუხლის პირველ ნაწილსა და ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამის წინადადებას. ამასთან, მოპასუხეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა გამორიცხულია, ვინაიდან სსკ-ის 992-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას ბრალეული მოქმედებისათვის, ხოლო 999-ე მუხლი კი – ბრალის გარეშე, შესაბამისად, ამ ნორმების შეერთება სსკ-ის 998-ე მუხლთან შეუძლებელია.“

ფორმატორო ელექტროქვესადგურის დამცავი ნაგებობა ჩამოქცეული იყო და, შესაბამისად, ტრანსფორმატორი ღია სივრცეში იმყოფებოდა. დადგენილია ასევე, რომ მოპასუხე, ზემოაღნიშნული ელექტროქვესადგურის გამოყენებით, ელექტროენერგიას აწვდიდა თავის აბონენტს.

კასატორი სადავოდ არ ხდის ზემოხსენებულ ფაქტობრივ გარემოებებს, ამიტომ ისინი სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ურთიერთობის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს არასახელმძღვანელო ზიანის – დელიქტური ვალდებულების მომწესრიგებელი ნორმები, ვინაიდან ზიანის მიყენებამდე მხარეები არ იმყოფებოდნენ ვალდებულებით ურთიერთობაში.

ზიანის მიმყენებელ პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. ამ პირობების ერთობლიობა წარმოადგენს იურიდიულ შემადგენლობას – ე.წ. გენერალურ დელიქტს (სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი).

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ზიანის მიმყენებელს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, აანაზღაუროს ზიანი „გენერალური დელიქტის“ არარსებობის შემთხვევაშიც, კერძოდ კი, მის ქმედებაში ბრალისა და მართლსაწინააღმდეგობის არქონის დროსაც.

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის კანონით გათვალისწინებულ ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მითითებული ნორმის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე ამ ნაგებობაში წარმოებული, მოთავსებული ან მიწოდებული ენერჯისაგან, ანდა ხანძარსაშიში ან აფეთქებასაშიში, შხამიანი ანდა მომწამვლელი ნივთიერებისაგან, მაშინ ამ ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, თუკი ამ საფრთხის პრაქტიკულ განხორციელებას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება ანდა ნივთის დაზიანება, აუნაზღაუროს დაზარალებულს აქედან წარმოშობილი ზიანი. იგივე პასუხისმგებლობა გამოიყენება ხანძარსაშიში ან აფეთქებასაშიში, შხამიანი ან მომწამვლელი ნივთიერების მფლობელების მიმართ, როცა ამ ნივთიერებებიდან მომეტებული საფრთხე გამომდინარეობს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან ან ნივთიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე სხვაგვარი საფუძვლით, ვიდრე ამ მუხლის პირველ ნაწილშია აღნიშნული, ნაგებობის ან ნივთის მფლობელი ვალდებულია ანალოგიურად აანაზღაუროს საფრთხის განხორციელების შედეგად წარმოშობილი ზიანი.

ზემოხსენებული კანონი მიუთითებს მომეტებულ საფრთხეზე, რომელიც გამომდინარეობს ნაგებობიდან ან ნივთიდან. საფრთხე მომეტებულად უნდა ჩაითვალოს, თუ ის ქმნის ზიანის მიყენების მომეტებულ ალბათობას იმის გამო, რომ შეუძლებელია მასზე ადამიანის მხრივ სრული კონტროლის განხორციელება.

ნებისმიერი ნაგებობა, რომელშიც ხდება ელექტროენერგიის წარმოება ან ამ ენერჯის მიწოდება, წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს, ვინაიდან ასეთი ობიექტების გამოყენება სრულად არ ექვემდებარება ადამიანის კონტროლს მათი მახასიათებელი თვისებებიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სატრანსფორმატორო ელექტროქვესადგური, რომლის მეშვეობითაც აბონენტებს მიეწოდება ელექტროენერგია, წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს, რასაც მოცემულ შემთხვევაში მხარეები სადავოდ არ ხდიან.

მხარეთა შორის დავას იწვევს ის, თუ ვინ არის სატრანსფორმატორო ელექტროქვესადგურის მფლობელი, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის მიხედვით, სწორედ მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელი აგებს პასუხს იმ ზიანისათვის, რაც ამ საფრთხის პრაქტიკულ განხორციელებას მოჰყვა შედეგად. ამასთან, როგორც აღინიშნა, ამ შემთხვევაში ზიანისათვის პასუხისმგებლობა დადგება მფლობელის ბრალის გარეშეც.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხე არ წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს – სატრანსფორმატორო ელექტროქვესადგურის მფლობელს, ვინაიდან მას ეს ნაგებობა სახელმწიფოსაგან არც საკუთრებაში და არც ბალანსზე არ გადასცემია.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ მოსაზრებას და მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მფლობელად არ ითვლება პირი, რომელიც, თუმცა ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ, და რომელსაც ნივთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს ამ პირისაგან. მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, თუ პირი ნივთს ფლობს იმ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრული ვადით ანიჭებს მას ნივთის ფლობის უფლებას ან ავალდებულებს მას ფლობდეს ნივთს, მაშინ ეს პირი ითვლება პირდაპირ მფლობელად, ხოლო უფლების მიმნიჭებელი ან ვალდებულების დამკისრებელი მიიჩნევა არაპირდაპირ მფლობელად.

მფლობელობის კოდექსისეული ცნება არსებითად ორ ნიშანზე დაიყვანება. პირველი ესაა, ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის შესაძლებლობა, ხოლო მეორე – ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვება. არაა აუცილებელი, რომ ნება მიმართული იყოს ქონების საკუთრებად ფლობისაკენ. ასე რომ იყოს, მფლობელი აუცილებლად მესაკუთრეც უნდა ყოფილიყო. მთავარია, რომ მფლობელობა, იმისდა მიუხედავად, თუ რა უფლება დგას მის უკან, მოპოვებული იყოს მფლობელის ნების გამოვლენით, ე.ი. მას სურდეს, რომ იყოს მფლობელი.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ის გარემოება, რომ სატრანსფორმატორო ელექტროქვესადგურის მიმართ მოპასუხის მესაკუთრეობის ფაქტი ვერ დგინდება, არ გამოიხატავს ამ ნაგებობაზე მის მფლობელობას.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის დ) ქვეპუნქტის თანახმად, ელექტროენერჯის განაწილების საქმიანობა არის ორი ან ორზე მეტი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მიწოდების პუნქტიდან (გადაცემის ლიცენზიატისა და ელექტროენერჯის მწარმოებლის მფლობელობაში არსებული ორი ან ორზე მეტი ქვესადგურიდან) ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიღება, გამანაწილებელი ქსელის ექსპლუატაცია და მიღებული ელექტროენერჯის საცალო მომხმარებლებზე რეალიზაცია (განაწილება), აგრეთვე ელექტროენერჯის გატარება.

ქონების ექსპლუატაცია ან მისი სხვა ფორმით გამოყენება წარმოადგენს ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის გამოხატვის ერთერთ ყველაზე უფრო ტიპურ ფორმას. ნივთით სარგებლობა უშუალოდ არის დაკავშირებული ნივთის ფლობასთან და ხშირ შემთხვევაში მოსარგებლე და მფლობელი ერთიდაიგივეა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, თუ რატომ არ ჩათვალა მოპასუხე, როგორც ელექტროქვესადგურის მოსარგებლე და ექსპლუატაციის განმახორციელებელი პირი, ამ ქონების მფლობელად.

ერთ-ერთ საქმეზე, სადაც ელექტროქვესადგურში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო სხეულის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება სოლიდარულად დაეკისრათ სს „თ.-ისა“ და შპს „გ.-ის“, უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „მფლობელობა არ შეიძლება გაიზომოს ნივთთან სივრცობრივი კავშირურთიერთობით. მფლობელობა ფაქტია და იგი გამიჯნულია საკუთრებასთან. მფლობელი შეიძლება იყოს როგორც მესაკუთრე, ისე არამესაკუთრეც, ან ორივე ერთად. მფლობელობაში შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც სანივთო, ისე სხვა უფლებებიც, მათ შორის, ნივთის გამოყენების უფლებაც. მოცემულ შემთხვევაში, როცა სს „თ.-ი“ მის კუთვნილ პროდუქციას, ელექტროდენს, მიაწოდებდა შპს „გ.-ის“ საკუთრებაში არსებულ ქვესადგურს და ახდენდა ამ ქვესადგურის გამოყენებას, ფაქტობრივად იგი იყო ამ ქვესადგურზე გარკვეული უფლების მატარებელიც.“ „მფლობელობის მიმართ გამოიყენება ორი სხვადასხვა დონის მფლობელობა: პირდაპირი და არაპირდაპირი. ნივთი შეიძლება ან მართო პირდაპირი მფლობელის ბატონობაში იმყოფებოდეს, ანდა იმავდროულად არაპირდაპირი მფლობელის ბატონობის ქვეშაც. თუ ნივთის მფლობელობა სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე ხდება (სანივთო, ვალდებულებითი), ამ ურთიერთობაში მესაკუთრე წარმოადგენს არაპირდაპირ მფლობელს, ხოლო ის, ვინც გამოიყენებს ამ ნივთს, პირდაპირ მფლობელს. მოცემულ შემთხვევაში, სს „თ.-ი“ აწვდიდა რა ელენერჯიას ქვესადგურს და იყენებდა ამ ნაგებობას თავისი პროდუქციის სარეალიზაციოდ, იგი მისი პირდაპირი მფლობელი იყო, ხოლო მითითებული ქვესადგური იყო რა

შპს „გ.-ის“ საკუთრება, მიუხედავად იმისა, რომ იგი უმეტესად უყურებდა ჰქონდა მიტოვებული, ამ ქვესადგურის არაპირდაპირი მფლობელი იყო.“ (იხ. სუსგ, საქმე №3კ/571-01, 8.08.2001წ.).

ამდენად, ანალოგიურ საქმეში, სასამართლომ სს „თ.-ი“ მიიჩნია ელექტროქვესადგურის პირდაპირ მფლობელად და მას, არაპირდაპირ მფლობელთან (მესაკუთრესთან) ერთად, დააკისრა პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია არა სადაო ელექტროქვესადგურის ყოფილი ან მომავალი მესაკუთრის ან ბალანსმფლობელის დადგენა, არამედ, იმის გარკვევა, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ზიანზე, როდესაც მომეტებული საფრთხის წყაროს (ნაგებობის ან ნივთის) მესაკუთრე არ იკვეთება ან მას საერთოდ არა აქვს აღნიშნული ქონების დაცვისა და შენახვის ინტერესი და ენერგოგამანაწილებელი კომპანია ახდენს ამ ქონების ექსპლუატაციას და სარგებლობს მისით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გაერკვია, ქვესადგურის მემკვიდრით ელექტროენერჯის გატარება საცალო აბონენტამდე და, შესაბამისად, ამ ნივთით სარგებლობა წარმოადგენდა თუ არა მოპასუხის მხრიდან მის ფლობას, მიუხედავად იმ ვითარებაში, როცა ეს არ ხორციელდებოდა იმ პირთა ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც სააპელაციო სასამართლოს ვარაუდით, შესაძლებელია ყოფილიყვნენ ნივთის მფლობელები.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ მოცემულ შემთხვევაში შეიძლება დაისვას მოპასუხის როგორც ბრალეული, ისე ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის საკითხი. ბრალეული პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს იმ თვალსაზრისით, რომ მოპასუხე, რომელიც ახორციელებდა ქვესადგურში ელექტროენერჯის გატარებას, არ იღებდა ზომებს სხვა პირთა დასაცავად, თუმცა სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლი ადგენს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ნაგებობაში მიწოდებული ენერჯიდან გამომდინარე ზიანისათვის, შესაბამისად, მფლობელის ბრალის დადგენა მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია არც იყოს მნიშვნელოვანი.

სააპელაციო პალატამ მნიშვნელოვნად ჩათვალა ის გარემოება, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და მოპასუხეს შორის 2001 წლის 28 მაისს გაფორებული მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული ქონების ნუსხაში არ ყოფილა შეტანილი ელექტროქვესადგური, რომელზედაც მოხდა უბედური შემთხვევა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული გარემოება არ გამორიცხავს მოპასუხის მიერ ქვესადგურის მფლობელობას იმ ვითარებაში, როდესაც დადგენილია მოპასუხის მიერ ამ ნივთით სარგებლობის ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა კანონიერი მფლობელობის ცნება და მიუთითა, რომ მომეტებული საფრთხის წყაროს შემცველი ნაგებობის ფლობა უნდა ხორციელდებოდეს კანონის შესაბამისად, საკუთრების ან სხვა სანივთო უფლებების საფუძველზე. აღნიშნული თვალსაზრისით, სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია იმის გარკვევა, თუ ვინ არის ელექტროქვესადგურის კანონიერი მფლობელი.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, შესაძლებელია მოპასუხე მივიჩნიოთ ელექტროქვესადგურის კანონიერ მფლობელად, კერძოდ, დავუშვათ იმის პრეზუმფცია, რომ მოპასუხე, როგორც სახელმწიფოსგან ლიცენზირებული ენერგოგამანაწილებელი კომპანია, მართლზომიერად ფლობდა სადავო ქვესადგურს. ამასთან, ასეთი პრეზუმფციის არდაშვების შემთხვევაშიც, შესაძლებელია დადგეს მოპასუხის პასუხისმგებლობის საკითხი, კერძოდ, **საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მფლობელობა შეიძლება იყოს როგორც მართლზომიერი, ისე არამართლზომიერი, თუმცა მე-1000 მუხლის განმარტებისათვის მნიშვნელობა არა აქვს მფლობელობა მართლზომიერია თუ არამართლზომიერი. აღნიშნული ნორმის გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია, თუ ვინ ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას მომეტებული საფრთხის წყაროზე.**

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კონტროლი ელექტროქვესადგურის ნორმალურ ფუნქციონირებაზე წარმოადგენს ენერგომდებლობის დეპარტამენტის პირდაპირ მოვალეობას, რაც გამორიცხავს მოპასუხის პასუხისმგებლობას.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება მითითებულ მსჯელობას და მიიჩნევს, რომ აღნიშნულ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს მოცემული დავის გადაწყვეტისათვის. სახელმწიფო ორგანოს ვალდებულება, განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი კერძო პირთა განსაზღვრულ საქმიანობაზე, არ გამოირიცხავს აღნიშნულ პირთა პასუხისმგებლობას, კანონის შესაბამისად აწარმოოს თავისი საქმიანობა და კანონით დადგენილი წესით აგოს პასუხი სხვა პირთა წინაშე.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ დავაში მნიშვნელოვანია მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილება. მოსარჩელე განმარტავს, რომ მას ზიანი მიადგა მოპასუხის მფლობელობაში არსებული ელექტროქვესადგურიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხის პრაქტიკული განხორციელების შედეგად და უთითებს უდავო ფაქტზე, რომ აღნიშნული ქვესადგურით სარგებლობს მოპასუხე. აქედან გამომდინარე, საწინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრება.

საქმე №ას-40-37-2015

24 დეკემბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლი)

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვდა ცომის საჭრელი დანადგარით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნები სსკ-ის 992-ე მუხლთან მიმართებით და მიიჩნია, რომ, რადგანაც არ არსებობდა ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წინამძღვარი, კერძოდ, მართლწინააღმდეგობა და ზიანის მიმყენებლის ბრალი, სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებელი იყო.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება აღნიშნულ შეფასებას და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოთხოვნის მთავარი დამფუძნებელი ნორმა სსკ-ის მე-1000 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებია, ხოლო ამ ნორმის განმავრცობელი სამართლებრივი წინაპირობები (დებულებები) სსკ-ის 408-ე, 409-ე მუხლებითა და 413-ე მუხლის მეორე ნაწილითაა გათვალისწინებული. შესაბამისად, სასამართლოს უნდა გამოეკვლია, სწორედ ამ ნორმებიდან გამომდინარე, რამდენად დაკმაყოფილებადი იყო მოთხოვნა. სსკ-ის მე-1000 მუხლი მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობის წესს ადგენს და, განსხვავებით დელიქტური ვალდებულების ზოგადი დანაწესისაგან, ნივთის მფლობელს, ბრალის მიუხედავად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას უდგენს, თუკი მომეტებული საფრთხის წყაროს განხორციელებამ ადამიანის სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია.

პალატა განმარტავს, რომ მე-1000 მუხლის მეორე ნაწილი გულისხმობს ნებისმიერ ისეთ ნივთს, რომელიც თავისი თვისებებით მომეტებული საფრთხის შემცველია. საფრთხე მომეტებულად უნდა ჩაითვალოს, თუ ის ქმნის ზიანის მიყენების მომეტებულ ალბათობას ადამიანის მიერ მასზე სრული კონტროლის შეუძლებლობის გამო. ცომის საჭრელი დანადგარი სწორედ ამგვარი ნივთია, რადგან იგი არ ექვემდებარება სრულ კონტროლს. მოცემულ შემთხვევაში, ერთ მხარეს დგას დასაქმებული, რომელიც მის მიერ არაკონტროლირებადი საფრთხის მსხვერპლი გახდა, მეორე მხარეს კი, საწარმო, რომელიც ამ საფრთხის წყაროს შექმნა და გამოყენებით სარგებელს ნახულობს. რადგან ეს უკანასკნელი მომეტებულ რისკს, საშიშროებას ქმნის და ამას ხელს უწყობს, ზიანისათვის პასუხისმგებლობაც მას ეკისრება.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებები იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ, თითქოს, შემთხვევა გამოიწვია მხოლოდ და მხოლოდ მოსარჩელის გაუფრთხილებლობამ, დაუსაბუთებელია. დაზარალებულის გაუფრთხილებელმა მოქმედებამ, თუ ეს დადგინდება, შესაძლოა, სსკ-ის 415-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, გავლენა მოახდინოს ზიანის ოდენობის განსაზღვრაზე და არა – პასუხისმგებლობის დაკისრებაზე. ამდენად, პასუხისმგებლობა ნივთიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის ყოველთვის დგება ბრალის მიუხედავად.

განმარტების საგანი: საწარმოო ტრავმის შედეგად დაზარალებულის კმაყოფაზე მყოფი პირის-თვის დანიშნულის სარჩოს გადაანგარიშება

საკასაციო სასამართლო განსახილველი დავის სამართლებრივი შეფასებისას ყურადღებას მიაქცევს, რომ საქმის მასალებით დადგენილია, ყოფილმა მემანქანემ საწარმოო ტრავმა მიიღო 1972 წელს, როდესაც იგი 54 წლის იყო და მან 80 %-ით დაჰკარგა შრომის უნარი, რის გამოც, ცნობილი იქნა უვარგისად მემანქანის პოზიციაზე. მემანქანის შრომის უნარის დაკარგვა საწარმოს ბრალით იყო გამოწვეული, რის გამოც, მას სიცოცხლეშივე დაენიშნა სხვაობა ხელფასსა და პენსიას შორის. მარჩენალი გარდაიცვალა 1990 წელს, 72 წლის წლის ასაკში. მოსარჩელეს მოპასუხე ყოველთვიურად უხდის სარჩოს 192.81 ლარს და ამ ფაქტზე არ დავობენ მხარეები. სარჩოს მიღების სასარჩელო მოთხოვნა ეხება, მოქმედი მემანქანის ყოველთვიური ხელფასის მიხედვით, სარჩოს გადაანგარიშებას, რადგან 2011 – 2014 წლებში რამდენჯერმე გაიზარდა მემანქანის ხელფასი და, მომატებული ხელფასის მიხედვით, მიუღებელი სარჩოს გამო, მას ადგება ზიანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მართებულად შეფასდეს, თუ როდემდე იქნებოდა ვალდებული მარჩენალი, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფი პირები, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. განსახილველ დავაში, 1972 წელს დადგა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება, როდესაც, საწარმოს ბრალით, მიღებული ტრავმის შედეგად, მისმა მემანქანემ, 54 წლის ასაკში დაჰკარგა შრომის უნარი 80 %-ით და ამის გამო ვეღარ შეასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო, პრეზუმირებულია, რომ მემანქანე იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე, რომელიც იმხანად მოქმედი შრომის კოდექსის (1973 წლის 28 ივნისის რედაქციით) მიხედვით, მამაკაცებისათვის 65 წელს შეადგენდა. ამ ეტაპზე, საკასაციო სასამართლო აღარ ავითარებს მსჯელობას, გარკვეული კატეგორიის მუშაკთა შესაძლო ასაკობრივ შეზღუდვაზე, შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან ამ ფაქტზე შედაგება კასატორს არ წარმოუდგენია სასამართლო განხილვის არცერთ ეტაპზე.

კასატორს აღიარებული აქვს ვალდებულება, მის მიერ მიყენებული ტრავმის გამო, მარჩენალდაკარგული მოსარჩელისათვის ყოველთვიური სარჩოს გადახდაზე, რასაც ასრულებს კიდეც, აღნიშნულ ფაქტზე მხარეები არ დავობენ. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დაუსაბუთებელია სასარჩელო მოთხოვნა, სარჩენის სასარგებლოდ, სარჩოს გადაანგარიშების თაობაზე, მოქმედი მემანქანის ხელფასის ცვლილების საფუძველზე, რადგან მარჩენალი გარდაიცვალა 1990 წელს, 72 წლის ასაკში. ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში, როგორც უკვე აღინიშნა, იგი იმუშავებდა საპენსიო ასაკამდე და სწორედ ამ პერიოდამდე იქნებოდა ვალდებული, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფი პირები. სსკ-ის 1006 მუხლის საფუძველზე, საწარმომ – ზიანის მიყენებელმა – სარჩოს მიცემის ვალდებულება უნდა შეასრულოს მანამდე, ვიდრე, საწარმოს ბრალით დაზარალებული თანამშრომელი იქნებოდა ვალდებული, ერჩინა მის კმაყოფაზე მყოფნი, ანუ ეხადა სარჩო სარჩენი პირებისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საწარმოს მიერ აღებული ვალდებულება, მისი ბრალით დამდგარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში, სრულდებოდა მარჩენალის სიცოცხლეში, როდესაც ამ უკანასკნელმა, საწარმოს ბრალით დაჰკარგა შრომის უნარი, და მისი გარდაცვალების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში, ცხადია, რომ 72 წლის ასაკში, ელმავლის მემანქანედ ვერ იმუშავებდა პირი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მარჩენალდაკარგული მოსარჩელისათვის ყოველთვიური სარჩოს გადახდის ვალდებულება, მოცემულ შემთხვევაში, მისი სიცოცხლის განმავლობაში კვლავაც ეკისრება საწარმოს, თუმცა, 2011-2014 წლებში გაზრდილ ხელფასებზე მისადაგებით, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული.

განმარტების საგანი: დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი); განსხვავება დელიქტით მიყენებული ზიანის გამარტივებული და ჩვეულებრივი სასარჩელო წესით განხილვას შორის

მოსარჩელემ სარჩელის ფაქტობრივ საფუძველად მიუთითა, რომ 2010 წლის 15 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით მოპასუხეები ცნობილი იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, კერძოდ, მათ ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებით მიითვისეს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, მ-ა და ც-ის ქუჩას შორის მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 945 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რითაც სახელმწიფოს მიაყენეს 283500 ლარის ოდენობის ზიანი.

ზიანის მიყენების ფაქტის და მისი ოდენობის დასამტკიცებლად მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა 2010 წლის 15 აპრილის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული განაჩენი და თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 26 ოქტომბრის წერილი, რომლითაც დგინდება, რომ 2007 წლის 25 აპრილის მდგომარეობით სადავო მიწის ნაკვეთის 1 კვ.მ ფართის ნორმატიული ღირებულება შეადგენდა 300 ლარს.

მოპასუხეებმა წარადგინეს მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებელი და სარჩელი არ ცნეს ხანდაზმულობისა და უსაფუძვლობის გამო.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2010 წლის 15 დეკემბერს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, V კარს დაემატა ახალი XXXIV³ თავი – ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი. განხორციელებული ცვლილების პროცესუალურ სამართლებრივი ანალიზის მიზნებისათვის, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელის ჩვეულებრივი წარმოებისაგან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV³ თავით გათვალისწინებული წესები გამოიყენება მაშინ, როდესაც სახეზეა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, ანუ როდესაც დანაშაულის ჩადენის შედეგად პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი დასტურდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლე აღარ იკვლევს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტსა და მიზეზობრივ კავშირს მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. დადასტურებულად ითვლება მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. აღნიშნული დასკვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰ მუხლი, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი, დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელის ჩვეულებრივი წარმოებისაგან. კანონით მინიჭებული შესაძლებლობა, საქმე განხილულ იქნას გამარტივებული წესით შემჭიდროვებულ ვადებში, მოსარჩელე მხარის დისპოზიციური უფლებაა და მას არ ეკრძალება სარჩელის წარდგენა საერთო საფუძველზე. გამარტივებული წარმოებით საქმის განსახილველად კი, მოსარჩელეს კანონი ვალდებულებას აკისრებს, სარჩელს თან დაურთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი (თუ დანაშაული გვაქვს სახეზე) ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რითაც სასამართლო

დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹⁷ მუხლის 1-ლი ნაწილი).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, მიიჩნევა თუ არა დადასტურებულად ზიანის ოდენობა და სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს თუ არა ზიანის ოდენობით, როგორც დადასტურებული ფაქტით. სსსკ-ის 309²⁰ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო ამავე კოდექსის 309¹⁷ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს უნდა დაერთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი. თუ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს მიყენებული ზიანის გაანგარიშებას, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს შეიძლება ასევე დაერთოს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება მიყენებული ზიანის ოდენობა.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გემოაღნიშნულ ნორმათა სისტემური და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე შეიძლება დასკვნის გაკეთება, **იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანის ოდენობა განაჩენით/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტით არ არის დადგენილი, ასეთ შემთხვევაში სასამართლო ამ ნაწილში მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს შეაფასებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის საფუძველზე.**

მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა წესით უნდა იქნეს განხილული დანაშაულით მიყენებული ზიანის თაობაზე წარმოდგენილი სარჩელი. აღსანიშნავია, რომ მითითებული საკითხი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით პირდაპირ მოწესრიგებული არ არის, თუმცა, საპროცესო ნორმათა ერთობლივი ანალიზი იძლევა გარკვეული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, კერძოდ, აღნიშნული საკითხი წყდება სარჩელის შეტანის ეტაპზე. გარდა ამისა, ამავე ეტაპზე წყდება სახელმწიფო ბაჟის საკითხიც. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლებიან მოსარჩელები დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის (ზიანი) ანაზღაურების სარჩელებზე. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე მხოლოდ მაშინ თავისუფლდება ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, თუ მას დანაშაულის შედეგად მიაღწია მატერიალური ზიანი. ამდენად, თუ არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, შესაბამისად, არ არსებობს დანაშაულის ჩადენისა და დანაშაულის შედეგად ზიანის მიყენების პრეზუმიცია, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს საქმის გამარტივებული წესით განხილვისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მოსარჩელის გათავისუფლების კანონით გათვალისწინებული წინაპირობები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის (დაზარალებული) მიერ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაცვა სასარჩელო და არა გამარტივებული წარმოების წესით, შეიძლება განპირობებული იქნეს სხვადასხვა გარემოებით, კერძოდ, ჯერ ერთი, ყოველთვის ვერ ხერხდება სავარაუდო დამნაშავის დროული იდენტიფიცირება, რაც აბრკოლებს მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგომას. შესაძლოა, პირი კიდევაც იქნას ცნობილი ბრალდებულად, მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით განსაზღვრული რომელიმე საფუძვლის არსებობისას შეწყდეს გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგალითად, პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე, ბრალდების მხარემ პირის მიმართ გამოიყენა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ან განრიდების მექანიზმი და ა.შ.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ შესაძლებელია, სისხლის სამართლის საქმემ არსებითი განხილვის ეტაპამდეც მიადწიოს, მაგრამ ბრალდებამ ვერ შეძლოს გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებათა სტანდარტით ბრალდებულის დამნაშავეობის დამტკიცება და ამის გამო გამოტანილი იქნას გამამართლებელი განაჩენი. სწორედ ამიტომაც, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ ყველა ზემოთ განხილულ შემთხვევაში დაუცველი არ დარჩეს კონკრეტული დაზარალებული, მისი ინტერესები და ანაზღაურდეს ის ბი-ანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იქნა მიყენებული. **ცხადია, თუკი დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის არსებობისას, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელ წინაპირობად, ზიანის მიმყენებლის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგომას ჩავთვლიდით, ამით უხეშად დაირღვეოდა დაზარალებულის უფლებები. გამოვიდოდა, რომ უფრო უპირატეს მდგომარეობაში იქნებოდა ის დაზარალებული, რომელსაც ზიანი არა დანაშაულებრივი, არამედ სხვაგვარი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით/სამოქალაქო-სამართლებრივი დელიქტით მიადგა.**

საკასაციო პალატა დასკვნის სახით მიუთითებს, რომ დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირს, საქართველოს კანონმდებლობით გააჩნია შესაძლებლობა, დარღვეული უფლების დასაცავად (ზიანის ანაზღაურება) მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს საქმის განხილვა ჩვეულებრივი სასარჩელო წესით ან გამარტივებული წარმოების წესით. ამასთან, გამარტივებული წესით საქმის განსახილველად აუცილებელია მოსარჩელის შუამდგომლობა და სარჩელზე მოპასუხის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის დართვა. **რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მოპასუხის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი ან მოპასუხის მიმართ სახეზე არაა სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილი შემაჯამებელი აქტი, აღნიშნული არ წარმოადგენს საერთო სასარჩელო წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დამაბრკოლებელ გარემოებას, თუკი მოსარჩელის (დაზარალებული) მიერ წარდგენილი მტკიცებულებები სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საკმარისია სამოქალაქო დავის ფარგლებში ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის.** ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოთ აღნიშნული პრაქტიკაც ნათლად ადასტურებს, რომ ცალკე აღებული, დაზარალებულის სასარგებლოდ კომპენსაციის დაკისრება იმ პირისათვის, რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი იქნა გამამართლებელი განაჩენი, არ წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას და არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული ნორმის დანაწესით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლა დაკავშირებულია დაზარალებულის მიერ ზიანის, ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შეტყობასთან. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის №... საქმეზე გამოძიება ლ. თ-ის, გ. ბ-ის, ი-ის, რ. ე-ის, ლ. ზ-ის, ნ. ო-ის, ა. ო-ის, ი. ჩ-ის, გ. გ-ის, ა. გ-ის, ჯ. ლ-ის, მ. ბ-ის, კ. დ-ის, ა. ძ-ი, ლ. დ-ისა და ზ. ჭ-ის მიმართ დაიწყო 2009 წლის 20 სექტემბერს და დასრულდა 2009 წლის 21 სექტემბერს. ასევე, დადგენილია, რომ 2009 წლის 31 აგვისტოს, გამოძიებლის, გ. ბ-ის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, საქართველოს სახელმწიფო ცნობილ იქნა დაზარალებულად. შესაბამისად, მოსარჩელისათვის ზიანისა და ზიანის მიმყენებელი პირების შესახებ 2009 წლის აგვისტოს თვეში უკვე ცნობილი იყო.

ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, დაზარალებულის მხრიდან ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო სარჩელები სხვა ეპიზოდებზე აღძრულია 2009 წლის სექტემბერსა და ამავე წლის ნოემბერში, რომლებიც 2010 წლის 15 აპრილის განაჩენით დაკმაყოფილებულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მოსარჩელეს შეეძლო სამოქალაქო სარჩელის აღძვრით დაეკმაყოფილებინა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სადავო ეპიზოდთან დაკავშირებითაც, რაც მან არ განახორციელა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რაც შეეხება 2010 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ (ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებას, რომელიც აღარ ითვალისწინებს სამოქალაქო სარჩე-

ლის აღძვრის შესაძლებლობას სისხლის სამართლის საქმეზე), სახელმწიფოსათვის ან სამართლებრივი ურთიერთობის სხვა სუბიექტისათვის დანაშაულით ან სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით (ადმინისტრაციული სამართალდარღვევა) მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების მიმართ, სსკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დაწყება, დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, თუ რა წესით ითხოვს დაზარალებული მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. თუ დაზარალებული ითხოვს მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას გამარტივებული წესით, მაშინ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ დღიდან, როცა ზიანის მიმყენებლის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული იქნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებული მოითხოვს დანაშაულით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას საერთო სასარჩელო (და არა გამარტივებული სამართალწარმოების წესით) წესით, მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ დღიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

საქმე №ას-752-712-2015

25 სექტემბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: წუნდებული პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა (სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლი)

დადგენილია, რომ კასატორი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს ბეტონის წარმოებასა და რეალიზაციას.

მან 2013 წლის აპრილში აწარმოა B7.5 კლასის (M100) ბეტონი და მიაწოდა მოსარჩელის სამუშაოთა მწარმოებელს. სინამდვილეში, მას უნდა მიეწოდებინა B25 (M300) მარკის ბეტონი. ბეტონის ხარისხი არ შეესაბამებოდა საქართველოში მოქმედი ნორმების რეკომენდაციებსა და შენობის პროექტს, რის გამოც მისი ექსპლუატაცია არსებული სახით დაუშვებელი იყო.

ამრიგად, უტყუარადაა დადგენილი, რომ კასატორმა აწარმოა წუნდებული პროდუქტი – ბეტონი, რომელიც მან გაიტანა სარეალიზაციოდ, არ უზრუნველყოფდა იმ საიმედოობას, რომელიც, ყველა გარემოების გათვალისწინებით მისგან იყო მოსალოდნელი [სსკ-ის 1010.1 მუხლი]. ამ პროდუქტის გამოყენებას მოჰყვა მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება-ტექნიკური საფრთხის შემცველი ისეთი ობიექტის აშენება, რომელიც ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საშიხოდ მომეტებულ რისკს შეიცავს. ამ რისკის განეიტრალება კი მისი დემონტაჟითაა შესაძლებელი. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სახლის მშენებლობაზე გაწეული ხარჯის ღირებულებაა 27 706.22 ლარი, ხოლო დემონტაჟის – 11 267.44 ლარი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას და მიიჩნევს, რომ სსკ-ის 1009-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, სამართლებრივად მნიშვნელოვანი აღარაა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტის დადგენა და სწორედ კასატორი წარმოადგენს ამ დავაში სათანადო მოპასუხეს.

კასატორის პრეტენზია, რომ დაბალი ხარისხის მარკის ბეტონის მიწოდება გამოწვეულია ბეტონის ჩაწყობისას რეგლამენტირებული ტექნოლოგიის დარღვევით მოსამზადებელ პერიოდში, დაუსაბუთებელია, რადგანაც მას აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

გარდა ამისა, კასატორის პოზიციის უსაფუძვლობას ასაბუთებს ისიც, რომ როგორც მწარმოებელი, იგი ვალდებული იყო, ბაზარზე გაეტანა უსაფრთხო პროდუქტი, ემოქმედა სათანადო გულისხმიერებით, რათა უზრუნველყო პროდუქტის უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებთან შესაბამისობა. მას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა გაეფრთხილებინა მომხმარებელი იმ თვალსაჩინო თუ არათვალსაჩინო რისკის შესახებ, რომელსაც შეიცავს პროდუქტი მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისას და წინასწარ განსაზღვრული ვადის განმავლობაში [პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-9 მუხლი].

განმარტების საგანი: წუნდებული პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა (სამოქალაქო კოდექსის 1009-ე მუხლი)

რაც შეეხება კასატორის ძირითად პრეტენზიას შერეული ბრალის დაუდგენლობასთან მიმართებით, რაც მისი მხრიდან სადავო იყო ქვემდგომის ინსტანციის სასამართლოებშიც, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 326-ე მუხლის თანახმად, წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამოდინარეობს. ამავე კოდექსის 415-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აცილებინა ან შეემცირებინა ზიანი. ამ ნაწილში, საკასაციო საჩივარის პრეტენზია იმას ემყარება, რომ „ხანძარი, რომელიც ექსპერტთა დასკვნების მიხედვით გამოწვეული იყო ენერგოკომპანიის კუთვნილ ელექტროგადამცემ ქსელში არასტანდარტული ძაბვის მიწოდებით, ვერანაირად ვერ განვითარდებოდა, თუ მოწინააღმდეგე მხარეს ჩართული არ ექნებოდა დატოვებული ტელევიზორი, რომლის კონდენსატორის გასკდომა არასტანდარტული ძაბვის გემოქმედების შედეგად ექსპერტთა დასკვნებშია მითითებული, როგორც ხანძრის გამომწვევი მიზეზი“. საკასაციო პალატა მოიხმობს სსკ-ის 1009-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტს რომლის თანახმად, წუნდებული პროდუქტის მწარმოებელი პასუხს არ აგებს იმ ნაკლისათვის, რომლის აღმოჩენა შეუძლებელი იყო მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანის დროს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მწარმოებელი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ამა თუ იმ პროდუქტის წარმოება-რეალიზაციის კომპეტენციაზე, ვალდებულია იზრუნოს პროდუქტის სანდობაზე, რადგანაც, როდესაც მწარმოებელი ახდენს ისეთი პროდუქტის რეალიზაციას, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ადამიანის აბსოლუტურ უფლებებზე – სიცოცხლე და ჯანმრთელობაზე, მისი მოქმედების კეთილსაიმედოობის სტანდარტი იზრდება. მოცემულ საქმეზე დაზარალებულის საცხოვრებელ სახლში ხანძრის წარმოქმნის ტექნიკურ მიზეზად დასახელდა სატრანსფორმატორო ქვესადგურში შემავალი მაღალი ძაბვის (10 კვ) საჰაერო ელექტროგადამცემ ხაზზე, სადენების ერთმანეთთან კუსტარულად მექანიკური გადაგრეხვის წესით მიერთების ადგილას, სუსტი კონტაქტის გამო აღძრული ინდუქციური დენების ხარჯზე ელ. გამანაწილებელ ქსელში ცვალებადი (არასტანდარტული) ძაბვის წარმოქმნის შედეგად ტელევიზორის აალება და შემდგომ ხანძარი. დაზარალებულის ბრალის ანდა შერეული არსებობის დამადასტურებელ გარემოებად, ვერ იქნება მიჩნეული კასატორის ის პოზიცია, რომ არსებული ხარვეზების მიუხედავად მოსახლეობას არ უზრუნიათ იმაზე, რომ ელექტრომოწყობილობებისათვის, რომელთაც ტოვებდნენ ქსელში ჩართულ მდგომარეობაში მოლოდინის რეჟიმში, შეეძინათ ავტონომიური დაცვის საშუალებები – მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრომოწყობილობის დაცვას (ელექტროენერჯის მიწოდების მომენტალურად შეწყვეტას) ცვალებადი ძაბვის პირობებში. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პროდუქტის საიმედოობის უზრუნველყოფა კომპანიის ვალდებულებას წარმოადგენდა და ამ ვალდებულების მოსახლეობისათვის გადანაწილება ვერც მოპასუხის ბრალის გამომრიცხველ და ვერც მოსახლეობის თანაბრალეულობის დასადასტურებლად ვერ გამოდგება. მით უფრო, კასატორის მიერ მითითებული უსაფრთხოების დამატებითი, ალტერნატიული საშუალებების გამოყენება შესაძლოა მხოლოდ წუნდებული პროდუქტის მიწოდების ვალდებულებად იქნეს აღქმული.

6. ინდივიდუალური საკუთრების სამართალი

საქმე №ას-547-520-2013

30 იანვარი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: განსხვავება იდეასა და საავტორო უფლების ობიექტს შორის („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი)

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით, აღიარებულ იქნა ნ. ს-ის საავტორო უფლება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გადაცემა „პ-ზე“.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, ნ. ს-ის მიერ 2004 წელს დაწერილი პროექტი, პირობითი სათაურით – „ტელეპროექტები“, წარმოადგენდა იდეას, რომელზეც ვერ გავრცელდებოდა საავტორო უფლება. ამ პროექტის ნაწარმოებად მიჩნევისათვის, საჭირო იყო მისთვის შესაბამისი ობიექტური ფორმის მიცემა, რაც მის აღქმასა და რეპროდუცირებას შესაძლებელს გახდიდა. ნ. ს-ის პროექტი, იდეა, პირობითი სათაურით – „ტელეპროექტები“, რომ მიჩნეულიყო ნაწარმოებად და მასზე გავრცელდებოდა საავტორო უფლებები, საჭირო იყო მისი არსებობა ობიექტური ფორმით, რაც უნდა გამოვლენილიყო „აუდიოვიზუალური ნაწარმოების“ (მაგალითად: ტელე, ვიდეო, დი-აფილმები და სხვა) სახით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს ობიექტური ფორმით, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი გამოცემა ან საჯარო გაცნობა. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საავტორო უფლება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე წარმოიშობა მათი შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა, ხოლო მე-4 მუხლის „ო“ პუნქტის თანახმად, რეპროდუცირება ნიშნავს ნაწარმოების, მომიჯნავე უფლების ობიექტის ან მონაცემთა ბაზის პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანად ან მისი ნაწილის ერთი ან ერთზე მეტი ასლის დამზადებას ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მათ შორის, ხმისა და ვიდეოჩანაწერის ფორმით. რეპროდუცირებად ასევე ჩაითვლება ჩაწერა დროებითი ან მუდმივი შენახვისათვის, ელექტრონული (ციფრული ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით.

გემოლნიშნული ნორმების თანახმად, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ **ნაწარმოები დაცვა-დია, თუკი იგი რაიმე ობიექტური ფორმით არსებობს, ანუ ნაწარმოების შინაარსი გარეგნულად გამოხატულია. კანონმდებლობა ნაწარმოების ფორმის რაიმე სტანდარტს არ ადგენს, მთავარია, იგი აღქმადი და რეპროდუცირებადი იყოს.**

მოცემულ შემთხვევაში, უდავო იყო, რომ ნ. ს-ს პროექტი დაწერილი ჰქონდა, რადგან დავის ობიექტი – ნ. ს-ის „ტელეპროექტები“ საქმეში წარდგენილი იყო წერილობითი ფორმით, შესაბამისად, იგი საავტორო სამართლით დაცვადი ობიექტებისადმი წაყენებულ ამ მოთხოვნას ცალსახად აკმაყოფილებდა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქმის მასალებში წარდგენილი 2004 წელს დაწერილი პროექტი, პირობითი სათაურით „ტელეპროექტები“, წარმოადგენდა მოსარჩელე ნ. ს-ის პროექტს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენდა საავტორო სამართლით დაცვად ობიექტს და რომელზეც უნდა გავრცელდებოდა საავტორო უფლება.

განმარტების საგანი: ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ ავტორის ქონებრივი უფლებების დაცვა

შპს „კ-ი“ სამეწარმეო სუბიექტად რეგისტრირებულია 2007 წლის 8 მაისიდან. მას ქ.ბათუმში, ხიმშიაშვილის ქ. №10-ში აქვს რესტორანი „ა-ი“.

სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის, მოსარჩელის წესდებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 17 თებერვლის №585 გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია არის ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია, რომელსაც მინიჭებული აქვს ავტორთა უფლებების დაცვა. საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე დაკისრებული აქვს ვალდებულება, დაიცვას, როგორც ქართველი ავტორების, ისე – ყველა უცხოელი ავტორისა და საავტორო უფლებების სხვა მფლობელების ქონებრივი ინტერესები;

შპს „კ-ს“ მოსარჩელესთან ან კონკრეტულად რომელიმე ავტორთან მუსიკალური ნაწარმოების გამოყენებასთან დაკავშირებით გარიგება დადებული არ აქვს.

ვინაიდან დავის საგანი ავტორის/საავტორო უფლების მფლობელის ქონებრივ ინტერესებს შეეხება, მისი რეგულირება სწორედ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით უნდა განხორციელდეს. სარჩელის შინაარსიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე მოითხოვს მის რეპერტუარს მიკუთვნებული სიმღერის საჯაროდ უნებართვოდ შესრულების აკრძალვას, ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ უფლების სუბიექტი არის ნაწარმოების ავტორი.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი ფორმალური თვალსაზრისით ადასტურებს დავის საგნის არსებობას, მით უფრო, რომ ამავე კანონის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს ავტორის, მომიჯნავე უფლების მფლობელის, მათი მემკვიდრეების, უფლებამონაცვლეების, საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელების უფლებათა მართვა კოლექტიურ საფუძველზე, რაც მოიცავს ორგანიზაციის უფლებას, შეასრულოს ქმედება, რომელიც საჭიროა მისთვის სამართავად გადაცემული უფლებების დასაცავად ან განსახორციელებლად, მათ შორის, წარმოადგინოს უფლების მფლობელი სასამართლოში და ისარგებლოს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებით, განახორციელოს სხვა საქმიანობა საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელების მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ასევე, წარმოადგინოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების ყველა მისთვის უცნობი მფლობელი, ან მფლობელი, რომლის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება და ჩართოს მათი ნაწარმოებები და დაცვის სხვა ობიექტები მოსარგებლეებზე გაცემულ ლიცენზიებში, თუმცა, **როდესაც საუბარია საავტორო უფლების დაცვაზე და მას ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია ახორციელებს, ის უფლებამოსილია, აღძრას სარჩელი კონკრეტული დარღვევის თავიდან ასაცილებლად და არა აბსტრაქტულად, დარღვევის ყოველგვარი ფაქტის დადასტურების გარეშე.** ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა თავად „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის თანახმადაც თუ ადგილი აქვს ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის საჯარო შესრულებას, ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის კანონიერ გამოყენებაზე პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოსარგებლეს, საჯარო შესრულების ორგანიზატორსა და იმ პირს შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულებით, რომელიც საკუთრების ან სარგებლობის უფლებით ფლობს ადგილს ან შენობას (*მოედანი, სტენა, დარბაზი და სხვა*), სადაც სრულდება საჯარო შესრულება. აღნიშნული წერილობითი ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ნაწარმოების ან მომიჯნავე უფლების ობიექტის კანონიერ გამოყენებაზე სოლიდარულად ეკისრებათ მოსარგებლეს, საჯარო შესრულების ორგანიზატორსა და იმ პირს, რომელიც საკუთრების ან სარგებლობის უფლებით ფლობს ადგილს ან შენობას (*მოედანი, სტენა, დარბაზი და სხვა*), სადაც სრულდება საჯარო შესრულება. სწორედ კანონის ზემოხსენებული მიზნის მიღწევის ხელშეწყობას ემსახურება 65-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაშვებული პრეზუმფცია იმის თაობაზე, რომ საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ყვე-

ლა ნაწარმოები ... რომელიც საჯაროდ სრულდება, ... ან საზოგადოებისათვის სხვაგვარად ხელმისაწვდომი ხდება, ... შედის შესაბამისი კოლექტიური მართვის ორგანიზაციის რეპერტუარში. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარგებლეს. კანონის სხვაგვარი განმარტება, ასევე, სავარაუდო უფლების დარღვევის თაობაზე აღძრული სარჩელის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებას, რომელიც დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვას მოიაზრებს და არ არის მიმართული უფლების პრევენციული და/ან აბსტრაქტული დაცვისკენ, გარდა ამისა, გაურკვეველია, რა ფორმით უნდა განხორციელდეს უფლების დაცვა, როდესაც ქვემდგომი სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ფორმირებულ იქნა იმდენად ბუნდოვნად, რომ შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელი ნაწარმოების შესრულების უფლება აეკრძალა მოპასუხეს.

იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე ვერ ასახელებს/ადასტურებს მოპასუხის მხრიდან კონკრეტული დარღვევის ფაქტს, არამედ, სარჩელით მოითხოვს მისთვის ასოციაციის რეპერტუარს მიკუთვნებული შესრულების აკრძალვას, პალატა მიიჩნევს, რომ ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება კანონის პრინციპებს, ასევე, ეჭვქვეშ აყენებს უფლების რეალურად დაცვის შესაძლებლობას, რაც სარჩელის სრულად უარყოფის საფუძველია.

საქმე №ას-140-136-2016

19 აპრილი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვა პროდუქციის რეკლამირებისას

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანია მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშნის სარეკლამო ვიდეორგოლებსა და ასახვა სარეკლამო მასალებში გამოყენების აკრძალვა.

მოპასუხე შპს-მ, მომხმარებელთა ინფორმირების მიზნით, დაამზადა ორი ვიდეორგოლი, რომლითაც მომხმარებელს მიაწოდა ინფორმაცია მის მაღაზიათა ქსელში არსებული S--ის ბრენდის ტელევიზორისა და მტვერსასარუტის ფასის (როგორც დაბალი ფასის) შესახებ. ვიდეორგოლები, 2014 წლის ივლისის თვეში გადაიცემოდა სატელევიზიო არხებით, სახელდობრ, ტელეკომპანიების – მესტროსა და კავკასიის საშუალებით.

სადავო ვიდეორგოლებში დაბალი ფასით აღნიშნული S-----ის პროდუქციის დასახელებისას, როგორც სასაქონლო ნიშანი, ისე პროდუქციის გამოსახულება ვიზუალურად რაიმე სახის დამახინჯების გარეშეა მოცემული, აუდიო ტექსტშიც, სიტყვა „ს--ი“ სწორად და მკაფიოდ ისმის.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული ვიდეორგოლები, ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე, წარმოადგენს რეკლამას, სახელდობრ, ვიდეორგოლის მეშვეობით, პირთა განუსაზღვრელი წრისათვის გავრცელდა ინფორმაცია მოპასუხე სავაჭრო კომპანიის მომსახურების შესახებ, შეთავაზებულ კონკრეტულ საქონელზე კონკრეტული ფასის, როგორც ყველაზე დაბალი ფასის მითითებით, რაც ემსახურებოდა ამ ფასის გამო საქონლისადმი ინტერესის ფორმირებას და შენარჩუნებას. ამავდროულად, ამ საქონლის რეალიზაციისათვის ხელშეწყობას.

ნიშანდობლივია, რომ მოპასუხეს სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში სადავოდ არ გაუხდია ვიდეორგოლებით რეკლამირების ფაქტი. იგი სადავოდ ხდიდა მხოლოდ ვიდეორგოლების დამზადებითა და გავრცელებით მოსარჩელის, როგორც სასაქონლო ნიშნის მფლობელის განსაკუთრებული უფლების დარღვევის ფაქტზე მოსარჩელის მითითებას. ასეც რომ არ იყოს, რეკლამირების არარსებობასთან მიმართებით, საკასაციო საჩივრის პრეტენზია გაზიარებული ვერ იქნება გამომდინარე იქიდან, რომ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, რეკლამა არის საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას. კონკრეტულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები კი, იძლევა იმგვარი დასკვნის საფუძველს, რომ მოპასუხის მიერ გაშვებული რგოლებით თავისთავად მოხდა მყიდველთა მიზიდვა, რაც რეკლამირების არსიდან გამომდინარეობს. სასაქონლო

ნიშნის არამართლზომიერად გამოყენებიდან პირდაპირ გამომდინარეობს ამ ქმედების კომერციული მიზნები და შესაბამისად, მისი განხორციელებით შემოსავლის მიღების ფაქტი.

კასატორის მოსაზრებით, მოპასუხის ქმედება არ სცილდება სამრეწველო და კომერციული საქმიანობის კეთილსინდისიერ პრაქტიკას და აქედან გამომდინარე, შედეგებით არც სასაქონლო ნიშნის მფლობელის – ნამდვილი მწარმოებლის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება რაიმე კუთხით.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, კასატორის ზემოთმითითებულ პოზიციას სამართლებრივად ვარგისი საფუძველი არ გააჩნია, გამომდინარე იქიდან, სპეციალური კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლება წარმოიშობა ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სხვა შესაძლო აკრძალვათა გარდა, იკრძალება სასაქონლო ნიშნის გამოყენება რეკლამისათვის ან საქმიან ქალაქებს.

ზემოთ მითითებული ნორმების სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენება ეწინააღმდეგება საქმიან ურთიერთობებში კეთილსინდისიერების კანონით დადგენილ სტანდარტებს და მისი აკრძალვა ლოგიკურ კავშირშია ამ უფლების რეგისტრაციის მიზნებთანაც. შესაბამისად, მესამე პირებს უფლება არა აქვთ თავისი საწარმოს ან ბიზნესის რეკლამაში გამოიყენოს სხვისი სასაქონლო ნიშანი მესამე პირის მხრიდან სასაქონლო ნიშნის განსაკუთრებული უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე.

7. საოჯახო სამართალი

საქმე №ას-1251-2018

8 თებერვალი, 2019 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრების უკან დაბრუნება (სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

მოსარჩელემ 2017 წლის 16 ივნისს სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან ჩუქებით მიღებული ნივთების გამოთხოვა.

მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მხარეებს ნიშნობა ჰქონდათ, ხოლო 2016 წლის 5 ნოემბერს ქორწილი გადაიხადეს, ამასთან, 2017 წლის 26 აპრილამდე ერთად ცხოვრობდნენ და ერთიან საოჯახო მეურნეობას ეწეოდნენ. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მხარეთა ურთიერთობა არ შეიძლება, მხოლოდ დასაქორწილებელ პირთა წინასწარ თანხმობად (ნიშნობად) ჩათვალოს. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ქონება მექორწილეთათვის სწორედ ქორწინების დღის აღსანიშნავად გადაცემული ქონებაა, რაც ამ ნივთებზე ორივე მათგანის საკუთრების უფლებას ერთდროულად წარმოშობს. წყვილის ქორწილში მისულმა სტუმრებმა ქორწინების გამო ორივე მეუღლეს გადასცეს საჩუქრები, ინდივიდუალურად გადაცემული საჩუქრებიც წყვილისთვის განკუთვნილად უნდა იქნეს მიჩნეული, რაც ქორწინებას დაუკავშირეს სტუმრებმა (წყვილის ახლობელ-ნათესავებმა).

საქმე №ას-963-2018

25 აპრილი, 2019 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობა (სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი)

მოსარჩელემ 2017 წლის 10 მარტს სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ, ქორწინების შეწყვეტის, ალიმენტის დაკისრებისა და ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების გაყოფის მოთხოვნით.

მოსარჩელემ თავისი სასარჩელო მოთხოვნა ამ განჩინების 1-9 პუნქტებში დასახელებულ გარემოებებს დააფუძნა და აღნიშნა, რომ მეუღლეები ერთად აღარ ცხოვრობენ, ოჯახის აღდგენა შეუძლებელია, მამა კი ვალდებულია, არასრულწლოვანი შვილის რჩენა-აღზრდაში მონაწილეობა მიიღოს. ამასთან, ქორწინების განმავლობაში შეძენილი სადავო უძრავი ქონების 1/2 მოსარჩელეს ეკუთვნის, როგორც წილი მეუღლეთა თანასაკუთრებიდან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ დავაში მოსარჩელის მოთხოვნა – მეუღლეთა ქონების თანასაკუთრებად გადაქცევა – სსკ-ის 1158-ე და 1164-ე მუხლებს ემყარება.

საკასაციო სასამართლო კასატორის პრეტენზიას არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სადავო უძრავი ქონება მოპასუხემ მამის ნაჩუქარი ფულით შეიძინა, იგი მოპასუხის ინდივიდუალურ საკუთრებად ვერ იქნება მიჩნეული. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ქორწინებაში მყოფი მეუღლის მიერ საჩუქრად მიღებული ნივთის საკუთრების ფორმის (ინდივიდუალური თუ საერთო) განსაზღვრისათვის, არსებითი მნიშვნელობისაა, დადგინდეს მჩუქებლის ნება. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის მამის ნება მოპასუხის ოჯახის კეთილდღეობისათვის ზრუნვისაკენ იყო მიმართული და ოჯახის საერთო მიზნებს ემსახურებოდა, რაც დასტურდება იმ გარემოებით, რომ სადავო უძრავი ქონებაში მოპასუხე თავის მეუღლესთან და შვილთან ერთად ცხოვრობდა. კასატორი თავად ადასტურებს, რომ სადავო სახლის ადგილმდებარეობა მოსარჩელის სურვილით შეირჩა, დედის სახლთან ახლოს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო საცხოვრებელი სახლი, რომელიც კასატორმა, ქორწინების განმავლობაში, მამის ნაჩუქარი ფულით შეიძინა, მთლიანი ოჯახისათვის იყო განკუთვნილი და როგორც საჩუქარი, მოკლებული იყო ინდივიდუალური მოხმარების ხასიათს.

განმარტების საგანი: არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინება თანასაკუთრების გაყოფისას (სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლი)

რაც შეეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებებს მ. რ-ის მიერ 2011 წლის 31 იანვარს შექმნილ, ქ. თბილისში, გ-ის ქ. №...-ის მიმდებარედ არსებული ბინის თაობაზე, პალატა მას ვერ გაიზიარებს და მიიჩნევს, რომ კასატორმა ამ ნაწილში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნით, ვინაიდან ქონება მეუღლეთა საქორწინო ურთიერთობის ფაქტობრივად შეწყვეტის შემდეგ, მ. რ-ის, მისი დედისა და დის მიერ ნასესხები თანხით იქნა შექმნილი, მასზე თანასაკუთრების რეჟიმი არ ვრცელდებოდა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რადგანაც ნორმა წარმოადგენს ერთგვარი საგამონაკლისო შემთხვევის დამდგენ დანაწესს, მას აღწერილობით ნაწილი არ გააჩნია და იგი ამავე მუხლის მე-2 ნაწილთან ერთად შეიძლება იქნეს განხილული, რომლის მიხედვითაც სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისი არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით; კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა – თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ (სკ-ის 1168.2 მუხლი). აღნიშნული საფუძველით სასამართლოს შეუძლია თითოეული მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც შექმნილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს (სკ-ის 1168.3 მუხლი). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ, მ. რ-ის ინდივიდუალურ საკუთრებად ქონების მიჩნევისას, შეაფასა მხოლოდ ის გარემოება, რომ ნივთის შექმნისას საერთო მეურნეობას მეუღლეები აღარ აწარმოებდნენ და ქორწინება, მიუხედავად რეგისტრაციის არსებობისა, ფაქტობრივად იყო შეწყვეტილი, თუმცა პალატას არ უმსჯელია და არ გამოუკვლევია ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, არსებობდა თუ არა მეუღლეთა ქონების გაყოფისას წილთა თანაბრობის საწყისიდან გადახვევის განმაპირობებელი იმგვარი გარემოებები, რომლებიც ქ. თბილისში, გ-ის ქუჩა №...-ის მიმდებარედ არსებულ უძრავ ნივთზე მოპასუხის ინდივიდუალური საკუთრების უფლებას იურიდიულ საფუძველს გამოაცლიდა. პალატა დამატებით მოიხიბოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკას. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე საერთო წესს და თითოეულ მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც შექმნილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს. მაგრამ იმისათვის, რომ განსახილველი ნორმის შედეგი მივიღოთ, აუცილებელია, თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს ქონების შექმნის ფაქტთან ერთად არსებობდეს ამავე კანონის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებები. განსახილველი ნორმა აკონკრეტებს, თუ რა ფაქტობრივი გარემოებები უნდა იქნეს გათვალისწინებული არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების შემოწმების დროს, კერძოდ: ერთ-ერთ მეუღლესთან არასრულწლოვანი შვილების ცხოვრების ფაქტი; მისი შრომისუუნარობის ფაქტი; მეორე მეუღლის მიერ საერთო ქონების ოჯახის ინტერესების საზიანოდ ხარჯვის ფაქტი. ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მიღებისათვის აუცილებელია, არსებობდეს ქონება, რომელიც შექმნილია თითოეული მათგანის მიერ ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტის ან მათი ცალ-ცალკე ცხოვრების დროს; ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს ამ შემთხვევაში არ ეკისრება გადაწყვეტი მნიშვნელობა; ივარაუდება, რომ ეს ქონება არ არის შექმნილი ოჯახის ინტერესებისათვის და საერთო სამეურნეო საქმიანობის გაძღოლის მიზნით, ამასთან ერთად უნდა არსებობდეს ერთ-ერთ მეუღლესთან არასრულწლოვანი შვილების

ცხოვრების ფაქტი; მეორე მეუღლის მიერ საერთო ქონების ოჯახის ინტერესების საზიანოდ ხარჯვის ფაქტი“ (იბ. სუსგ №ას-107-388-08, 29 ოქტომბერი, 2008 წელი).

საქმე №ას-1646-2018

22 მარტი, 2019 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ერთ-ერთი მეუღლის ვალის გამო მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინება (სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხილს მე-2 ნაწილი)

მეუღლეთა ქონების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა მჭიდროდაა დაკავშირებული მათი პირადი და საერთო ვალის ცნებასთან. საერთო ვალი ისეთი ვალია, რომელიც აღებულია ორივე მეუღლის მიერ ან თუნდაც ერთ-ერთის მიერ, მაგრამ ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე. თუ ვალი აღებულია ერთ-ერთი მეუღლის მიერ, მაგრამ ოჯახის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ვალი საერთოა და გადახდილ უნდა იქნეს ორივე მეუღლის თანაზიარი საკუთრებიდან. ისეთ შემთხვევაში, როცა მეუღლეთა საერთო ვალი აღემატება თანაზიარი ქონების ღირებულებას, გადახდევინება უნდა გავრცელდეს თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაზეც. პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძველად, ჩვეულებრივ, მიიჩნევა კრედიტორის მოთხოვნა მეუღლეების ან ერთ-ერთი მათგანის მიმართ თანხის გადახდის შესახებ. იყო თუ არა ვალის აღება ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა დაადგინოს სასამართლომ. სასამართლომ ყოველ შემთხვევაში უნდა გაარკვიოს ვალის აღების მიზანი და მისი გამოყენების შედეგები.

სსკ-ის 1170-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინება დასაშვებია, თუ სასამართლო იმ ვალდებულებას, რომლის გამოც აღსრულება უნდა მოხდეს, სსკ-ის 1169-ე მუხლის საფუძველზე, მიიჩნევს მეუღლეთა საერთო ვალად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი ნაწილის დათქმა, პრაქტიკულ აზრს დაკარგავდა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 1169-ე მუხლის შესაბამისად ვალებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი დგება არა მხოლოდ განქორწინების, არამედ ქორწინების პერიოდშიც და არ აქვს მნიშვნელობა მეუღლეთა შორის საერთო ქონება გაყოფილია თუ არა. საკასაციო პალატამ სსკ-ის 1170-ე მუხლის დისპოზიციამაც გაამახვილა ყურადღება და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმის მე-2 ნაწილის გამოყენებისათვის, სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან იმის დადგენა, რომ ვალი, რომელსაც მოვალეს ედავებიან, გამოყენებულია ოჯახის საერთო ინტერესებისათვის. მეუღლეთა საერთო ვალად მიჩნევისათვის აუცილებელია დადასტურდეს, რომ ვალი აღებულია ორივე მეუღლის მიერ, ან ერთი მეუღლის მიერ, მაგრამ მეორე მეუღლის თანხმობით და ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აკისრებს კანონმდებელი პასუხისმგებლობას მეორე მეუღლეს საერთო ვალის გაყოფით.

საოჯახო სამართალში, რეგისტრირებული ქორწინების პირობებში, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ ერთ-ერთი მეუღლის მიერ ვალდებულების ფარგლებში მიღებული ფულადი თანხა მოხმარდა ოჯახის საერთო ინტერესებს, ეკისრება კრედიტორს, რომელიც აღნიშნული ფულადი თანხის გადახდევინებას მეორე მეუღლის კუთვნილი წილიდან მოითხოვს. ვიდრე მოსარჩელე არ დაადასტურებს მითითებული ფაქტობრივი გარემოებების არსებობას, მიიჩნევა (პრეზუმირდება), რომ კრედიტორის წინაშე პასუხისმგებელია მხოლოდ ფულადი თანხის მიმღები მოვალე მეუღლე.

8. მემკვიდრეობითი სამართალი

საქმე №ას-218-207-2017

30 ივნისი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამკვიდრო ქონება

მოპასუხის ძირითადი საკასაციო პრეტენზია მამკვიდრებელსა და დასაჩუქრებულს შორის დადებულ ჩუქების ხელშეკრულებას ემყარება, რომელზე მითითებითაც კასატორი მიიჩნევს, რომ სადავო ქონება მის საკუთრებას წარმოადგენს და იგი სამკვიდრო მასაში არ შესულა. კასატორის მიერ წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მოიხმოს სსკ-ის 525-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, უძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ხელშეკრულებით განსაზღვრული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამ დანაწესით აღიარებს გადაცემით ჩუქებით ხელშეკრულებას, ანუ ჩუქების ხელშეკრულების დადებულად მიჩნევისათვის საკმარისად არ აღიარებს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებას და აუცილებლად მიიჩნევს საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. ჩუქების ხელშეკრულების დადებით ქონების განმკარგავმა მხარემ (მჩუქებელმა) გამოხატა ნება დასაჩუქრებულისათვის ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ, ხოლო ქონების მიმღებს (დასაჩუქრებულს) წარმოეშვა ამ ქონებაზე საკუთრების მოპოვების უფლება, რომლის რეალიზაციაც დამოკიდებული იყო მხოლოდ და მხოლოდ დასაჩუქრებულის მოქმედებაზე – უზრუნველყო სარეგისტრაციო ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაცია (*შდრ. სუსგ. საქმე №ას-1137-1093-2016; 3 ნოემბერი, 2017 წელი, №ას-534-507-2014, 29 ივნისი, 2015 წელი*). ამდენად, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ ხედვას და განმარტავს, რომ, მართალია, კანონმდებელი დასაჩუქრებულს არ ზღუდავს თავად განსაზღვროს, თუ როდის აღირიცხავს საკუთრებაში უძრავ ქონებას, თუმცა ნებისმიერი დაყოვნება უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვების სამართლებრივი რისკების შემცველია. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, მხოლოდ ჩუქების ხელშეკრულების დადება, არ ცვლის იმ უცილობელ გარემოებას, რომ ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ნამდვილი საკუთრების უფლების მოპოვება მისი რეესტრში რეგისტრაციის გზით, მამკვიდრებლის სიცოცხლეში არ მომხდარა. მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის ქონების კვლავ მჩუქებლის საკუთრებად რეგისტრაციის ფაქტმა კი, სადავო ქონება მჩუქებლის სამკვიდრო მასად აქცია.

საქმე №ას-1101-1021-2017

15 თებერვალი, 2018 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უღირს მემკვიდრედ ცნობა

2013 წლის 06 იანვარს გარდაცვლილ მამკვიდრებელს დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე, შვილები: მოსარჩელე და მოპასუხე.

თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 02 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით (იხ., ამ განჩინების პპ: 2, 3) დადგენილია, რომ ბრალდებული მამკვიდრებლის განზრახ მკვლელობის ბრალდებით ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში: 2012 წლის სექტემბერის თვის ბოლოდან იგი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მოსარჩელესთან. თანაცხოვრების დაწყების შემდეგ, მან გაიცნო მოსარჩელის მამა – მამკვიდრებელი, რომელსაც ბრალდებულმა უთხრა, რომ არ ჰყავდა ნათესავები – მშობლები და ცოლ-შვილი. მამკვიდრებელმა აღნიშნული საეჭვოდ მიიღო და აითვალწუნა იგი, რამაც მათ შორის ურთიერთობა დაძაბა. ამით განაწყენებულმა ბრალდებულმა, შურისძიების მოტივით, განიზრახა მოეკლა მამკვიდრებელი.

ამავე განაჩენის შესაბამისად, მოსარჩელე ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 375-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. მოსარჩელემ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლ-

საწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც გამოხატა შემდეგში: ფარულად დაეუფლა და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა მამკვიდრებლის მეუღლის (მისი მამის მეუღლის) კუთვნილი ოქროს ნივთები, რითაც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

ამავე განაჩენის შესაბამისად, მოსარჩელემ ჩაიდინა დანაშაულის დაფარვა, კერძოდ, 2013 წლის 06 იანვარს ბრალდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით ძვირადღირებული დანაშაული – განზრახ მოკლა მამკვიდრებელი. აღნიშნული გარემოება მკვლელობის ჩადენისთანავე ცნობილი გახდა მოსარჩელისათვის. იგი ვალდებული იყო რა, რომ ბრალდებულის მიერ განსაკუთრებით ძვირადღირებული დანაშაულის ჩადენის თაობაზე ეცნობებინა სამართალდამცავი ორგანოებისათვის და ამის საშუალებაც ჰქონდა, დაფარა ბრალდებულის მიერ ჩადენილი განზრახი მკვლელობა და არ აცნობა სამართალდამცავ ორგანოებს. მომხდარის შესახებ მან პოლიციას განუცხადა მას შემდეგ, რაც ისინი მივიდნენ მის ბინაში.

მოსარჩელე პირობით ვადამდე გათავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2014 წლის 30 იანვრის №02/14-№02/14-0006 გადაწყვეტილებით.

მამკვიდრებელმა 1994 წლის 26 მარტს შეადგინა ანდერძი. საანდერძო განკარგულების თანახმად, იგი თავის შვილს – მოსარჩელეს უნადერძებდა მთელ თავის ქონებას, რომელიც მისი გარდაცვალების დღისთვის აღმოჩნდებოდა მის კუთვნილებაში.

2014 წლის 30 იანვარს მოსარჩელის ძმამ – მოპასუხემ მიმართა თელავის სანოტარო ბიუროს ნოტარიუსს მამკვიდრებლის სამკვიდრო ქონების მიღების მოთხოვნით. 2014 წლის 30 იანვარს თელავის სანოტარო ბიუროს ნოტარიუსმა გასცა სამემკვიდრეო მოწმობა, რომლის თანახმად მოპასუხემ, როგორც აწ გარდაცვლილი მამკვიდრებლის კანონისმიერმა პირველი რიგის მემკვიდრემ, საკუთრებაში მიიღო მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონება: მდებარე ქ. თბილისი, ქ. წ--ის ქ. №67, ბ. №13-ში (შემდეგში: სადავო უძრავი ქონება), რომელიც 2014 წლის 03 თებერვალს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა მოპასუხის სახელზე.

2014 წლის 10 აპრილს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს და მოითხოვა სამკვიდრო მოწმობის გაცემა მამკვიდრებლის დანაშთ ქონებაზე (რომელსაც ანდერძი ჰქონდა დაწერილი მოსარჩელის სასარგებლოდ). მოსარჩელემ განცხადებაში აღნიშნა, რომ მამკვიდრებელი გარდაიცვალა 06.01.2013 წელს, ხოლო 09.01.2013 წელს იგი დააკავეს განზრახ მკვლელობაში თანამზრახველობისათვის და თელავის რაიონულმა სასამართლომ გაამართლა 02.10.2013 წელს. განმცხადებელს უარი ეთქვა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე.

სამართლის ნაწილში წარმოდგენილი საკასაციო პრეტენზიის (შედავება) კვლევის მიზნით, საკასაციო პალატის მოსაზრებით, ისინი პირობითად უნდა დაიყოს ორი მიმართულებით: პირველი პრეტენზია, რომელიც შეეხება უღირს მემკვიდრედ მოსარჩელის ცნობას და მამასადამე, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა კვალიფიკაციას სსკ-ის 1310-ე, 1311-ე და 529.1 მუხლების ნორმატიული დანაწესის განმარტების გზით. მეორე პრეტენზია, რომელიც შეეხება სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი ვადის არასაპატიოდ გაშვებასა და ამ ვადის გაგრძელების უარყოფას სსკ-ის 1423-ე, 14424-ე და 1426-ე მუხლების საფუძველზე.

საკასაციო საჩივარი პირველი პრეტენზიის ნაწილში, კასატორის (მოსარჩელის) მიერ დასაბუთებული სააპელაციო პალატის მიერ სსკ-ის 1310-ე, 1311-ე და 529.1 მუხლების არასწორი განმარტებისა და გამოყენების კუთხით. კასატორი მიიჩნევს, რომ სსკ-ის 1310-ე, 1311-ე მუხლები აწესრიგებენ სამემკვიდრეო ურთიერთობებს და მათი, გამოყენება სახელშეკრულებო ურთიერთობების, საკუთრივ, ჩუქების გაუქმების მომწესრიგებელ 529.1 მუხლთან ერთად იმ მიზნით, რომ 529.1 მუხლის წინაპირობები მიჩნეული იქნეს 1311-ე მუხლის წინაპირობებად მოსარჩელის უღირს მემკვიდრედ ცნობისათვის, უმართებულოა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, კასატორმა წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება), რაც სააპელაციო პალატის მიერ სამართლის ნორმათა არასწორი განმარტებასა და დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა არასწორ სუბსუმირებაში გამოიხატა.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მოსარჩელის უღირს მემკვიდრედ ცნობის ნაწილში, დაეფუძნა სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმგვარ ფაქტობრივ გარემოებებს, როგორი-

ცა: მოსარჩელის მიერ მშობლის – მამის წინაშე ჩადენილი გაუმართლებელი საქციელი, კერძოდ, სასტიკად მოკლული მამის ხსოვნისადმი სრული უპატივცემულობა. სააპელაციო პალატის მოსარებით, ასეთ ვითარებაში, შვილის სრულიად ბუნებრივი ქცევა უნდა ყოფილიყო იმგვარი მოქმედება, რაც მამის მოკვლის გამო მართლმსაჯულების აღსრულებას – მკვლელის დასჯას – შეუწყობდა ხელს და არა – პირიქით. ხოლო, მოსარჩელის დასაჯა სისხლის სამართლის წესით არ იყო სამოქალაქო კუთხით მისი ამორალური ქმედების შეფასების საპირწონე და იმის წინაპირობა, რომ სასტიკად მოკლული მამის ქონება, მკვლელისთვის ხელის დაფარების, მისი არგატქმის პირობებში, მიეღო ამ უკანასკნელს.

ამ გარემოებების სამართლებრივი შეფასების მიზნით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სსკ-ის 1310-ე მუხლის ნორმის დისპოზიცია, რომელიც ადგენს უღირს მემკვიდრედ ცნობის წინაპირობებს იმავდროულად, იძლევა მისი ფართოდ განმარტების შესაძლებლობასაც, სახელდობრ, თუკი მითითებული ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი ვრცელდებოდა უფრო მსუბუქ შემადგენლობაზე, მით უფრო, შესაბამისი შედეგი უნდა დადგეს იმ ვითარებაშიც, როდესაც სახეზე უფრო მძიმე შემთხვევა, როგორცაა განზრახ მძიმე დანაშაულის ჩადენა – მშობლის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის დაფარვა. ის, ვინც არ გაამართლებს მშობლის მოლოდინს კეთილსინდისიერ ქცევასთან დაკავშირებით, კარგავს მშობლისაგან ქონებრივი სიკეთით მიღების შესაძლებლობას.

მოცემულ საქმეზე, სააპელაციო სასამართლომ დარღვევულად მიიჩნია მშობელთან მიმართებით შვილის კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტი, რაც მამკვიდრებლის ქონების საკუთრებაში მიღებისა და ამ სიკეთით სარგებლობის უფლების ჩამორთმევის შედეგს განაპირობებდა.

იმავდროულად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ჩუქების სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელ 529.1 მუხლზე, რომელიც მოიცავს გამჩუქებლის შესაძლებლობას, მის მიერ შეცილებულ იქნეს ხელშეკრულება და მისი შედეგები ისეთი სპეციფიკური საფუძვლებით, როგორცაა დასაჩუქრებულის მხრიდან დიდი უმადურობის გამოჩენა ან მძიმე შეურაცხყოფის მიყენება. კეთილსინდისიერი ქცევის მოვალეობის დარღვევისას კი ადგენს სანქციებს, როგორცაა სამემკვიდრეო სამართალში – მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა, ჩუქების სამართლებრივ ურთიერთობაში – ნაჩუქარის ქონების დაბრუნება.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 1310-ე და 529.1 ნორმის ანალიზის პრინციპით გავრცელებას მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ, იმგვარად, რომ განხორციელებულად იქნეს მიჩნეული სსკ-ის 1310-ე მუხლის წინაპირობები მოსარჩელის უღირს მემკვიდრედ ცნობის იურიდიული შედეგის დადგომისათვის. მით უფრო, სააპელაციო სასამართლოს იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ თუკი სსკ-ის 1310-ე მუხლის სამართლებრივი შედეგი პირის უღირს მემკვიდრედ ცნობის თაობაზე ვრცელდება კანონით მოწესრიგებულ უფრო მსუბუქ შემადგენლობაზე, როგორცაა მაგალითად, მამკვიდრებლის ნების თავისუფლებაზე არაკეთილსინდისიერი ზეგავლენა და ანდერძში გამოხატული უკანასკნელი ნების დარღვევა, მითუმეტეს, უნდა გავრცელდეს კანონით მოწესრიგებულ, საქმის უფრო მძიმე შემადგენლობაზე, რომელიცაა ასახული ამ განჩინების პ – 58-ში, რომელზეც კანონის კონკრეტული მიზანი უფრო დიდი მასშტაბით ვრცელდება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უღირს მემკვიდრედ ცნობის წინაპირობებს აწესრიგებს სსკ-ის 1310-ე მუხლი. ნორმის პირველი ნაწილის დანაწესში საუბარია მემკვიდრის მიერ ჩადენილ სხვადასხვა მოქმედებებზე, რომლებმაც სამემკვიდრეო შეღავათები და უპირატესობები შექმნა თავისთვის. ასეთი ქმედებებია, მამკვიდრებლისთვის უკანასკნელი ნების განხორციელებაში ხელისშეშლა, განზრახი დანაშაულის ან სხვა ამორალური საქციელის ჩადენა მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ. ყველა შემთხვევაში, ქმედების განმხორციელებელი სუბიექტის ქმედება უნდა იყოს განზრახ ბრალეული, ხოლო თუ პირი გაუფრთხილებელი მოქმედებით აღწევს აღნიშნულ შედეგებს, მას არ შეიძლება ჩამოერთვას მემკვიდრეობა და უღირს მემკვიდრედაც არ შეიძლება მისი აღიარება. ნორმის მეორე ნახევარი კი, მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ განზრახი დანაშაულის ან სხვა ამორალური საქციელის ჩადენას ეხება. ასეთ შემთხვევაში, პირი შეიძლება უშუალოდ თავის სასარგებ-

ლოდ არ მოქმედებდეს, მაგრამ ხელს უშლიდეს მამკვიდრებელს თავისი უკანასკნელი სურვილის განხორციელებაში. რაც შეეხება ნორმის წინაპირობების დადასტურების მტკიცების სტანდარტს, ამგვარი ქმედება დადასტურებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ. ქმედებების დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაში, პირს აეკრძალება ქონებრივი სარგებლის მიღება მამკვიდრებლისაგან (სამკვიდროს მიღება).

განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ იძლევა იმის დასკვნის სამართლებრივ საფუძველს, რომ განხორციელებულად იქნეს მიჩნეული სსკ-ის 1310-ე მუხლის წინაპირობები. ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნულ დასკვნას სააპელაციო სასამართლოც იზიარებს, თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ განხორციელებული არაკეთილსინდისიერი და გაუმართლებელი ქმედება (ამ განჩინების 3-58), უნდა დაედოს საფუძვლად სსკ-ის 1310-ე მუხლის ანალოგიის წესით გამოყენებას შეგებებული სარჩელის წარმატებულობისათვის სსკ-ის 529.1 მუხლთან ერთობლივ კავშირში (ამ განჩინების 3 – 62). აღნიშნულს საკასაციო პალატა არ იზიარებს და მოიხიბობს იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლის მიხედვით სსკ-ის 1310-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის ნების თავისუფლებაზე არაკეთილსინდისიერი ზეგავლენასა და ანდერძში გამოხატული უკანასკნელი ნების დარღვევას მოქმედი პირის უღირს მემკვიდრედ ცნობამდე მივყავართ. ასეთივე იურიდიული შედეგი უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაზეც, როდესაც მემკვიდრე სიცოცხლეს მოუსპობს მამკვიდრებელს. ვინაიდან, მეორე შემთხვევაში (მამკვიდრებლის მკვლელობა), ბევრად უფრო მძიმეა სსკ-ის 1310-ე მუხლის შემადგენლობასთან შედარებით. განსახილველ საქმეზე კი, დადგენილია, რომ მოსარჩელე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 21 თებერვლის განაჩენით სახელმწიფო ბრალმდებლის სააპელაციო საჩივარი მსჯავრდებულის/მოსარჩელის მიმართ, მკვლელობის წაქეზების ნაწილში გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შესახებ არ დაკმაყოფილდა. აქედან გამომდინარე, იურიდიულ ლიტერატურაში არსებული სსკ-ის 1310-ე მუხლის უფრო მძიმე დანაშაულის მიმართ გავრცელების შესაძლებლობა (თუნდაც, თეორიული) სახეზე არ არის.

სააპელაციო სასამართლოს ზემოთ მოყვანილი არგუმენტი კი, მოსარჩელის უღირს მემკვიდრედ ცნობის მიზნებისათვის სსკ-ის 1310-ე მუხლის ანალოგიით გამოყენებასთან მიმართებით, იურიდიული თვალსაზრისით საკმარისად დამაჯერებელი არ არის და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ სამართლებრივ შედეგს არ ასაბუთებს. სააპელაციო პალატის ამ არგუმენტის დასაბუთება ვერც მოსამართლის, როგორც სამართალშემოქმედის როლის გაზრდის კვალობაზე არგუმენტირებული.

მოცემულ შემთხვევაში კი, სსკ-ის 1310-ე მუხლის ნორმატიული განმარტება, თუნდაც, მოსამართლის უფრო თავისუფალი სამართალშემოქმედების ფონზე, ვერ დაასაბუთებს მის იმგვარად ინტერპრეტირების გამართლებას და შესაბამისად, მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ მისი დიპოზიციის გავრცელებას, როდესაც მოსარჩელის მხრიდან მკვლელობის წაქეზების ნაწილში, პროკურორის ბრალდება უარყოფილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით (იხ., ამ განჩინების 3-3). კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადასტურებულია მხოლოდ მოსარჩელის მიერ ჩადენილი ქურდობა, ესე იგი, სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მის მიერ ჩადენილი ქმედება გამოხატა შემდეგში: ფარულად დაეუფლა და მართლსაწინააღმდეგოდ მისი საკუთრა მამკვიდრებლის მეუღლის კუთვნილი ოქროს ნივთები, რითაც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი. ამავე განაჩენით დადასტურებულია მოსარჩელის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა, კერძოდ, 2013 წლის 06 იანვარს ბრალდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული – განზრახ მოკლა მამკვიდრებელი. აღნიშნული გარემოება მკვლელობის ჩადენისთანავე ცნობილი გახდა მოსარჩელისათვის. იგი ვალდებული იყო რა, რომ ბრალდებულის მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის თაობაზე ეცნობებინა სამართალდამცავი ორგანოებისათვის და ამის საშუალებაც ჰქონდა, დაფარა ბრალდებულის მიერ ჩადენილი განზრახი მკვლელობა და არ აცნობა სამართალდამცავ ორგანოებს. მომხდარის შესახებ მან პოლიციას განუცხადა მას შემდეგ, რაც ისინი მივიდნენ მის ბინაში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები კი, თუნდაც მისი გასაკიცხაობის არსებობის პირობებში, არ ამართლებს მის მიჩნევას სსკ-ის 1310-ე მუხლის გამოყენების წინა-

პირობებამდ. მით უმეტეს, სსკ-ის 1310-ე მუხლის მიხედვით სარჩელის აღძვრა უღირს მემკვიდრედ ცნობასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ამ მოსაზრების, გასამყარებლად, არც სსკ-ის 529.1 მუხლით ხელმძღვანელობაა გამართლებული, ვინაიდან ეს უკანასკნელი ნორმა საერთოდ სხვა სამართლებრივ რეგულაციას შეეხება, მოქცეულია ჩუქების სახელშეკრულებო ურთიერთობების ნაწილში [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კერძო ნაწილი, სახელშეკრულებო სამართალი. 529-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია: ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩინს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ], წარმოადგენს სპეციალური ურთიერთობის მარეგულირებელ დანაწესს, ხოლო სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით [სსკ-ის 5.3 მუხლი].

საქმე №ას-187-174-2015

22 ივლისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა განქორწინებისას (სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლი)

საკასაციო საჩივრის ძირითადი საფუძვლები (კასაციის მიზეზები) იმაში მდგომარეობს, რომ მემკვიდრეობის გარდაცვალებამდე დიდი ხნით ადრე ვ. ა.-სა და ნ. ა.-ეს შორის ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო, რაც წარმოშობს კანონით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს.

საკასაციო საჩივრის საფუძვლების (კასაციის მიზეზების) საფუძვლიანობის კვლევისათვის, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს ნ. ა.-ის, როგორც 05.08.2013წ.-ს გარდაცვლილი ვ. ა.-ის რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის უფლებრივი მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა მიუთითებს მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

დადგენილია, რომ ვ. ა.-ი და ნ. ა.-ე რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარდნენ 10.01.1996წ.-ს (სააქტო ჩანაწერი N...).

05.08.2013წ.-ს გარდაიცვალა ვ. ა.-ი, რომელიც დასაფლავებულია ქ.ბათუმში, ა.-ების საგვარეულო სასაფლაოზე 12.07.1983წ.-ს გარდაცვლილი მამის – ო. ა.-ის გვერდით.

დადგენილია, რომ ვ. ა.-ის გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო, რომელსაც შეადგენდა გარდაცვალების დროისათვის მისი საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ქ.ბათუმში, რ.-ის ქ.№41-ში მდებარე №27 ბინა, რომელზედაც ვ. ა.-ს საკუთრების უფლება მოპოვებული ჰქონდა 23.05.1995წ.-ის პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე. დადგენილია ისიც, რომ პრივატიზაციის დროს ბინაში ვ. ა.-თან ერთად ცხოვრობდნენ და ჩაწერილები იყვნენ ვ. ა.-ის დედა – მ. ა.-ი (მოსარჩელე) და და – მ. ა.-ი (ტ.1. ს.ფ. 87-91). მ. ა.-ი რეგისტრირებულია და დღემდე ცხოვრობს ამავე მისამართზე (ტ.1. ს.ფ. 62).

უდავო გარემოებაა, რომ ნ. ა.-ე არ ცხოვრობდა ქ.ბათუმში, რ.-ის ქ.№41-ში მდებარე №27 ბინაში, რადგან იგი დაქორწინებიდან მალევე გადავიდა საცხოვრებლად სხვა მისამართზე. უდავოა ისიც, რომ მხარეებს შორის რეგისტრირებული ქორწინება დღემდე გაუქმებული არ არის.

დადგენილია, რომ ვ. ა.-ის გარდაცვალებიდან ანუ, 05.08.2013წ.-დან ექვსი თვის ვადაში მოპასუხე ნ. ა.-ემ აწ გარდაცვლილი ვ. ა.-ის დანაშთი სამკვიდროს მიღების მოთხოვნით განცხადებით მიმართა ნოტარიუს ნ. ფ.-ას. ვ. ა.-ის დანაშთი სამკვიდროს სრულად მიღების მოთხოვნით ნოტარიუს ნ. ფ.-ას კანონით დადგენილ ვადაში განცხადებით მიმართა მ. ა.-მაც.

კასატორი სადავოდ ხდის 05.08.2013წ.-ს გარდაცვლილი ვ. ა.-ის დანაშთ სამკვიდროზე ნ. ა.-ის მემკვიდრეობის უფლების კანონიერებას, რასაც პალატა იზიარებს და მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მიერ წარმოდგენილია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ქორწინება ოჯახის საფუძველია. მასში, პირველ ყოვლისა, ასახვას პოულობს სულიერი, მხეობრივი, ასევე, პირადი და ქონებრივი ურთიერთობების გაერთიანება. ქორწინებისთვის დამახასიათებელი იურიდიული ნიშნების გათვალისწინებით, კანონმდებელს საშუალება მიეცა შემო-

ეთავაზებიან ქორწინების შემდეგნაირი განსაზღვრება: ქორწინება მამაკაცისა და ქალის თავისუფალი, ნებაყოფლობითი და თანასწორუფლებიანი კავშირია, ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც მყარდება კანონით დადგენილი წესისა და პირობების დაცვით, წარმოშობს მეუღლეთა შორის პირად და ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს (სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხ.).

ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა ორმხრივ, პირად და ქონებრივ უფლებებს და მოვალეობებს. სწორედ ამიტომ მოცემული დავის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია შევხებით იმ საკითხის გადაწყვეტას, რაც შეეხება ქორწინებიდან გამომდინარე მემკვიდრეობის ურთიერთობებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მემკვიდრეობის უფლება წარმოადგენს პირადი ქონებრივი ხასიათის უფლებას, ერთ-ერთი ან თუნდაც რამოდენიმე მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღება, არ ნიშნავს სხვა მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღებას. სწორედ ამ უფლების სამართლებრივი ბუნების კათვალისწინებით კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ წესებსა და პირობებს, რასთანაც დაკავშირებულია და რაც განსაზღვრავს გარდაცვლილი მეუღლის სამკვიდროს მიღებას.

როგორც აღინიშნა კანონმდებელი ქორწინებად მიიჩნევს ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირს, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. თეორიულად, ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობა იმით შემოიფარგლება, რომ მეუღლეებს ერთმანეთის მიმართ წარმოეშობათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებები და მოვალეობები (სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხ.). ამდენად, კანონმდებლის მიერ განსაზღვრული მიზანი, რაც მეუღლეთა მიერ ოჯახის შექმნაში უნდა გამოიხატოს მხოლოდ რეგისტრაციის ფაქტით არ მიიღწევა. ამის კონკრეტული გამოვლინებაა ფიქციური ქორწინებიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები. როგორც კანონმდებელი განმარტავს ქორწინების ერთ-ერთი საფუძველია „ოჯახის შექმნის მიზანი“. სწორედაც თუ ქორწინებას არ ახლავს ოჯახის შექმნის მიზანი და მისი განხორციელება, იგი ფიქტიური ურთიერთობაა. მოცემულ შემთხვევაში წარმოშობილი დავაც სწორედ ამგვარი მიზნის არმქონე რეგისტრირებული კავშირიდან გამომდინარე უფლების შეზღუდვას შეეხება.

მოცემულ შემთხვევაში, იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ ვ. ა.-სა და ნ. ა.-ეს შორის 10.01.1996წ.-ს რეგისტრირებული ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო, მოსარჩელემ მიუთითა იმ გარემოებებზე, რომ ნ. ა.-ე არ ცხოვრობდა ქ.ბათუმში, რ.-ის ქ.№41-ში მდებარე №27 ბინაში, რადგან დაქორწინებიდან დროის მცირე მონაკვეთში, ნ. ა.-ე საცხოვრებლად გადავიდა სხვა მისამართზე. იგი დღემდე რეგისტრირებულია ქ.ბათუმში, ლერმონტოვის ქ.№1/9, ბინა №61-62-ში, რომელიც ირიცხება მისი შვილის – ი.ა.-ის სახელზე, ხოლო ვ. ა.-ი მუდმივად ცხოვრობდა ზემოაღნიშნულ მისამართზე დედასთან და დასთან ერთად.

05.08.2013წ.-ს კი, გარდაიცვალა ვ. ა.-ი და მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ ვ. ა.-ის დაკრძალვას რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლე – ნ. ა.-ე არ დასწრებია; იგი ასევე არ ყოფილა სამოქალაქო პანაშვიდებზე, მას არც სამგლოვიარო განცხადებები გაუვრცელებია საინფორმაციო საშუალებებით.

ნ. ა.-ის განმარტებით, ვ. ა.-ის დაკრძალვაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო მოსარჩელესთან, რომელიც წარმოადგენს ვ. ა.-ის დედას, უთანხმოებით, რითაც ნ. ა.-ე მოერიდა მათ შორის ურთიერთობის გამწვავებას და დაკრძალვის დროისათვის, მიზანმიმართულად გავიდა ქალაქიდან.

დადგენილია ისიც, რომ ნ. ა.-ეს არც მატერიალური კუთხით მიუღია მონაწილეობა ვ. ა.-ის დაკრძალვაში.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში კი, ძნელია იმისი ვარაუდი, რომ ნ. ა.-ე თავს მიიჩნევდა გარდაცვლილი ვ. ა.-ის მეუღლედ და მათ შორის, არსებობდა ის ურთიერთობა, რასაც კანონმდებელი ოჯახის ცნების მიღმა მოიაზრებს.

ამ ვითარებაში, კი მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ნ. ა.-ესა და ვ. ა.-ს შორის არსებობდა ცოლ-ქმრული ურთიერთობა და იგი არ იყო მხოლოდ იურიდიული შინაარსის მქონე, ეკისრებოდა მოპასუხეს, რომელმაც იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ მასსა და ვ. ა.-ს შორის არ იყო ფაქტობრივად შეწყვეტილი ქორწინება მიუთითა ვ. ა.-ის გარდაცვალებამდე 20 დღით ადრე მეგობრებთან ერთად ყოფნის ფაქტზე. მოპასუხის

მითითებული პოზიცია კი, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, ვერ იქნება მიჩნეული საკმარის მტკიცებულებად ოჯახური ურთიერთობის შენარჩუნების დასადასტურებლად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე, მათ შორის: უნდა მოიძებნოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას; მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებს (შემადგენლობას).

საკვანძო საკითხი მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის, დამოკიდებულია სამართლებრივ შეფასებაზე, რომელიც უკავშირდება მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას მამკვიდრებელთან ქორწინების ფაქტობრივად და არა იურიდიულად შეწყვეტის გამო.

თავის მხრივ, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საკითხის რეგულირება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლში. ნორმის დანაწესით, სასამართლოს გადაწყვეტილებით მეუღლეს შეიძლება ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის უფლება, თუ დადასტურებული იქნება, რომ ქორწინება მამკვიდრებელთან ფაქტობრივად სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.

კანონმდებლის მიზანს ამ შემთხვევაში, წარმოადგენს იმგვარი სამართალურთიერთობის მოწესრიგება, რომლის დროსაც გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით (სკ-ის 1306-ე მუხლის პირველი ნაწილი) და რომლის დროსაც დასაბუთებელია კანონით მემკვიდრეთა წრე. იმ თვალსაზრისით, რომ თუნდაც, იურიდიული მიზნებისათვის, მეუღლედ რეგისტრირებული პირის ხელში არ აღმოჩნდეს მამკვიდრებლის ის უფლებები და პრივილეგიები, რომლებიც მას გააჩნდა სიკვდილის მომენტისათვის (სამკვიდრო მასა) და ამით, გაუმართლებლად არ შეილახოს დანარჩენ მემკვიდრეთათვის კანონით მინიჭებული უფლებები.

საკასაციო პალატის მითითებული განმარტებიდან გამომდინარე უსაფუძვლოა საქმის სააპელაციო წესით განხილველი სასამართლო შემადგენლობის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საკითხის განხილვა დაუშვებელი იყო სასამართლოს წესით, მეუღლეთა განქორწინების ფაქტის დადგენამდე და პირიქით, ვინაიდან ნ. ა.-ე და ვ. ა.-ი არ იყვნენ სასამართლო წესით განქორწინებულები, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი ჩამორთვა ნ. ა.-ისათვის კანონით მემკვიდრეობის უფლება.

საკასაციო პალატისათვის მინიჭებული ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების როლის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმის გამოყენებისათვის და შესაბამისად, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევისათვის, ამავე ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, განმსაზღვრელია არა ის გარემოება არსებობდა თუ არა ქალასა და მამაკაცს შორის რეგისტრირებული ქორწინება, არამედ გადაწყვეტი მნიშვნელობისაა კონკრეტული ფაქტობრივი საფუძვლების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს შორის ცოლ-ქმრული ურთიერთობის ფაქტობრივად არარსებობაზე (საკასაციო პალატის მსჯელობა შეესაბამება მოცემული კატეგორიის დავაზე უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას.

კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ყველა ზემოთ დადგენილი გარემოებების ერთობლიობაში შეფასების შედეგად, სახეზეა ის აუცილებელი ფაქტობრივი საფუძველი, რაც საკმარისია 05.08.2013წ.-ს გარდაცვლილ ვ. ა.-სა და ნ. ა.-ეს შორის ფაქტობრივად ქორწინების შეწყვეტილად მიჩნევისათვის. შესაბამისად, დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე არსებობს იმისი სამართლებრივი საფუძველიც, რომ ნ. ა.-ეს ჩამოერთვას ფაქტობრივად შეწყვეტილ ქორწინებაში მყოფი პირისაგან მემკვიდრეობის მიღების უფლება.

სამართლებრივი წესრიგის მიზანიც ხომ იმის უზრუნველყოფაში მდგომარეობს, რომ გაუმართლებლად და დაუსაბუთებლად არ შეილახოს ვინმეს უფლება და პირიქით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე არ მოიპოვოს ვინმემ მატერიალური სიკეთე ან რაიმე უფლება.

განმარტების საგანი: მამკვიდრებლის კრედიტორების მოთხოვნათა წარდგენის ვადა (სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლი)

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, პრაქტიკული მნიშვნელობისაა იმ საკითხის გარკვევა, თუ როდიდან იწყება სსკ-ის 1488.1 მუხლით გათვალისწინებული ექვსთვიანი ვადის ათვლა. მითითებული ნორმა ადგენს, რომ ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, რაც მამკვიდრებლის კრედიტორებმა შეიტყვეს სამკვიდროს გახსნის შესახებ, თუმცა ამავე ნორმის მიხედვით, მამკვიდრებლის მემკვიდრეებმა მოთხოვნა უნდა წარუდგინონ იმ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო. ამდენად, **საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოთხოვნის წარდგენის ექვსთვიანი ვადის ათვლისათვის მხოლოდ იმის ცოდნა, რომ სამკვიდრო გაიხსნა, საკმარისი არაა, მამკვიდრებლის კრედიტორებმა უნდა იცოდნენ, ასევე, იმ მემკვიდრეთა ვინაობა, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, რათა მათ წარუდგინონ მოთხოვნა.** კანონი მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღების ორ გზას ადგენს, კერძოდ, სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით და ნოტარიუსისათვის განცხადების წარდგენით (სსკ-ის 1421-ე მუხლი). იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორებისათვის ცნობილია, როგორც სამკვიდროს გახსნის, ასევე, იმ მემკვიდრეთა შესახებ, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, მაშინ კრედიტორებმა მემკვიდრეებს მოთხოვნა უნდა წარუდგინონ სამკვიდროს გახსნის შესახებ ცნობის მიღებიდან ექვს თვეში. ამასთან, შესაძლებელია, კრედიტორებმა იცოდნენ სამკვიდროს გახსნის თაობაზე მამკვიდრებლის გარდაცვალების დღესვე, მაგრამ სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეთა შესახებ მათ ვერ შეიტყონ სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვს თვეში, მაგალითად, **იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე ნოტარიუსს განცხადებით მიმართავს სსკ-ის 1424-ე მუხლით დადგენილი ექვსთვიანი ვადის ბოლო დღეს ან კრედიტორისათვის არაა ცნობილი იმ ფაქტების თაობაზე, რომლებიც მემკვიდრის მიერ ამავე ვადაში სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებას ადასტურებს.** ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, სამკვიდროს მიღების თაობაზე კრედიტორებისათვის ცნობილი ხდება მემკვიდრეთა მიერ სამკვიდრო მოწმობის აღების შემდეგ ან მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ასეთ დროს, მამკვიდრებლის კრედიტორებმა მემკვიდრეებს მოთხოვნა უნდა წარუდგინონ გონივრულ ვადაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე.

9. შრომის სამართალი

საქმე №ას-227-216-2017

13 ოქტომბერი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კანონიერება (შრომის კოდექსის მე-9 მუხლი)

სსიპ „ს.ს.დ.ც-ის“ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015 წლის 24 აგვისტოს №17 ოქმისა და პირადი განცხადების საფუძველზე, დასაქმებული დაინიშნა ცენტრის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსად, სამი თვის გამოსაცდელი ვადით, 2015 წლის 27 ნოემბრამდე. შრომის ანაზღაურება განისაზღვრა საშტატო განრიგის შესაბამისად-1280 (ათას ორას ოთხმოცი) ლარით.

გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში, დასაქმებულმა ისარგებლა ანაზღაურებადი შვებულებით – 21 სამუშაო დღით და საბოლოოდ შვებულებიდან დაბრუნდა 2015 წლის 25 ნოემბრის შემდეგ.

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის, ს.რ-ის 2015 წლის 26 ნოემბრის მოხსენებით ბარათის მიხედვით, დასაქმებულის სამთვიანი გამოსაცდელი ვადა შეფასდა არადაამაკმაყოფილებლად. აღნიშნული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სშკ-ის მე-9 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტების, 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცენტრის დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის გ.ბ-ის, 2015 წლის 27 ნოემბრის №414/1 ბრძანებით მოსარჩელეს შეუწყდა გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება.

დასაქმებულმა 2015 წლის 25 დეკემბერს სარჩელი აღძრა ცენტრის წინააღმდეგ და სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, ასევე, 2015 წლის 27 ნოემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე სახელფასო განაცდურის – თვეში 1280 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით, დასაქმებულის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ცენტრის 2015 წლის 27 ნოემბრის №414/1 ბრძანება მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ და მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 21 სამუშაო დღისათვის შრომის – 1120 ლარის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით, დასაქმებულის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა, იგი აღდგენილ იქნა თანამდებობაზე და, მის სასარგებლოდ, მოპასუხეს დაეკისრა იძულებითი განაცდურის, ყოველთვიურად – 1280 ლარის ანაზღაურება, 2015 წლის 27 ნოემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია იმჯგულის გამოსაცდელი ვადის დანიშნულებაზე და მის სამართლებრივ ბუნებაზე, რათა წარმოჩენილი იქნეს კანონმდებლის ნება, ასახული სპეციალურ საკანონმდებლო მოწესრიგებაში დასაქმებულის გამოსაცდელი ვადით დაქირავებისას (დანიშვნისას). ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ საკონკურსო წინაპირობებით კონკრეტულ პოზიციაზე გამწესება (დაქირავება, დანიშვნა) არ გამოირიცხავს კონკურსით მიღებული დასაქმებულის პიროვნული და პროფესიული უნარ-ჩვევების, დაკავებულ თანამდებობასთან მისი შესაბამისობის შემოწმებას გამოსაცდელი ვადის განმავლობაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს: კანონმდებელმა იმპერატიულად განსაზღვრა, რომ პირის გამოსაცდელი ვადით დასაქმებისას, მხარეები წერილობით ავლენენ ნებას, კანონით დადგენილი ზღვრული ვადის ფარგლებში წარმართოს მხარეთა შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლის შემდგომი ტრანსფორმაცია ვადიან თუ უვადო ურთიერთობაში დამოკიდებულია იმაზე, თუ საპრობაციო პერიოდში რამდენად გამოავლინა პირმა (დასაქმებულმა) შესასრულებელ სამუშაოსთან შესაბამისობა, რაც უთუოდ გულისხმობს ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებულ სამუშაოზე, მის პიროვნულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებზე დამსაქმებლის შესწავლა-დაკვირვებას და მისი დასკვნის (მოსაზრების) მნიშვნელობას შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესატყვისობის თაობაზე. საპრობაციო პერიოდში დასაქმებული პირის დასაკავებელ თანამ-

დებობასთან შესაბამისობის შესახებ დამსაქმებლის დადებითი მოსაზრება, შესაძლოა საფუძვლად დაედოს, ამ უკანასკნელის მხრიდან დროებით (გამოსაცდელი ვადით) დასაქმებული პირისადმი შეთავაზებას შემდგომ ვადიან/უვადო შრომითსამართლებრივ ურთიერთობაზე.

სშკ-ის 9.3-ე მუხლი დამსაქმებელს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს შრომითი ხელშეკრულება დასაქმებულთან, რაც გამოიწვევს გამოსაცდელი ვადით დასაქმების მოდიფიცირებას ვადიან ან უვადო შრომით ურთიერთობაში, ასევე, დამსაქმებელს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, ნებისმიერ დროს აქვს უფლება, შეწყვიტოს დასაქმებულთან საპრობაციო პერიოდის დათქმით გაფორმებული ხელშეკრულება. საკანონმდებლო მოწესრიგება აკონკრეტებს, რომ იმ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაზე, რომელიც გამოსაცდელი ვადის პირობით არის დადებული, არ ვრცელდება ორგანული კანონის 38.8-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, თუ მხარეები სახელშეკრულებო პირობებში სხვა რამეზე არ შეთანხმებულან (*სშკ-ის 9.4-ე მუხლი*). ორგანული კანონის 38.8-ე მუხლი, რომელიც არ გამოიყენება მე-9 მუხლით დადგენილი გამოსაცდელი ვადით გაფორმებული ხელშეკრულებებისათვის, ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკანონიერად (ბათილად) იქნება ცნობილი დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა დამსაქმებლის მიერ, რაც კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოსაცდელი ვადით პირთან (დროებით დასაქმებულთან) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დამსაქმებლის პრეროგატივაა და მის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება, რომლის გამოყენებაც დამსაქმებელს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეუძლია.

განსახილველ შემთხვევაში, დამსაქმებლის თანხმობა, რომ 3-თვიან გამოსაცდელ ვადაში დასაქმებულს, მისი მოთხოვნით, გამოეყენებინა ანაზღაურებადი შვებულება, სშკ-ის 22.1-ე მუხლის მეორე წინადადების მოწესრიგებას სავსებით შეესაბამება, შესაბამისად, შვებულების პერიოდში, დასაქმებულთან შეჩერდა შრომითი ურთიერთობა (*სშკ-ის 36.1-ე მუხლის „მ“ ქვეპუნქტი*), რომელიც განახლდა შვებულების ამოწურვისთანავე. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დამსაქმებელს (მოპასუხეს) სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ბათილად იქნა ცნობილი დამსაქმებლის 2015 წლის 27 ნოემბრის №414/1 ბრძანება მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ და მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა 21 სამუშაო დღისათვის შრომის – 1120 ლარის ანაზღაურება. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს არ წარმოადგენს ის გარემოება, შეეძლო თუ არა დამსაქმებელს, შრომითი ურთიერთობის შეჩერების – ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების – საფუძვლის აღმოფხვრისთანავე, მეორე დღესვე, სშკ-ის 9.1-ე მუხლით გამოსაცდელ ვადაში გაეთავისუფლებინა საპრობაციო პერიოდის დათქმით დასაქმებული პირი, თუ ვალდებული იყო დამსაქმებელი, მიეცა შესაძლებლობა დასაქმებულისათვის მიეცა შესაძლებლობა, რათა მას ბოლომდე ამოეწურა გამოსაცდელი ვადის დარჩენილი ვადა, რომელიც შვებულების კანონისმიერი საფუძვლით დროებით შეჩერდა.

მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სშკ-ის მე-9 მუხლის მესამე ნაწილში კანონმდებლის ნება – დამსაქმებელს უფლება აქვს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება ან შეწყვიტოს მასთან გამოსაცდელი ვადით დადებული ხელშეკრულება, სწორედ იმგვარ აღტერნატივას სთავაზობს დამსაქმებელს, რომლითაც შესაძლებელია გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ ერთგვარ ექსპერიმენტზე, ერთი მხრივ, დასაქმებულმა გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობები, ცოდნა, კვალიფიკაცია და უნარი, დაამტკიცოს კონკრეტულ სამუშაოსთან თავსებადობა, ხოლო, მეორე მხრივ, ადგენს დამსაქმებლის, შესაძლებელია ითქვას, ერთადერთ დისკრეციულ უფლებამოსილებას, დააკვირდეს გამოსაცდელი პირის შესაფერისობას დაკავებული თანამდებობისა და განსახორციელებელი სამუშაო მოთხოვნებისადმი პირის შესატყვისობის თვალსაზრისით, რათა გადაწყვიტოს გამოსაცდელი შრომითი ურთიერთობის მოდიფიცირება (ვადიან/უვადო) ხელშეკრულებაში ან გაათავისუფლოს პირი. **კანონმდებელმა პირისათვის გამოსაცდელი ვადის ზღვრული პერიოდის – 6 თვის დაწესებით, გონივრულად და სამართლიანად მიიჩნია და დაადგინა, სამუშაოსთან შესაბამისობის**

შემოწმება დასახელებული ხანგრძლივობის პერიოდში, რაც არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, რომ მხოლოდ გამოსაცდელი ვადის ამოწურვის შემდეგ შეუძლია დამსაქმებელს შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით დასაქმებულ პირთან. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეაფასოს დასაქმებულისა და დამსაქმებლის მიერ მითითებული ფაქტები, შესაბამისად, მოსარჩელისა და მოპასუხის სტადიაზე, რადგან თუ მოსარჩელე უთითებს, რომ მასთან დამსაქმებელმა გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ისეთ დროს და იმ პირობებში შეწყვიტა ხელშეკრულება, რომლითაც მოესპო გამოსაცდელი ვადით დასაქმებულს საკუთარი სოციალური და პროფესიული უნარების გამოვლენის შესაძლებლობა, დაემტკიცებინა დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობა, მტკიცების ტვირთი გადავა მოპასუხეზე (დამსაქმებელზე), რომელმაც შესაბამის პროცესუალურ ეტაპზე, სსკ-ის 201-ე მუხლით დადგენილი წესით, სრულად, ამომწურავად და თანმიდევრობით უნდა უარყოს დასაქმებულის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო საჩივრის ფარგლებში, კასატორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა, შესაბამისად, არ არის გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს დასკვნა დასაქმებულთან უვადო შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისა და მოსარჩელის სსიპ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და იურიდიული საკითხთა განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე. აქედან გამომდინარე, რადგან პირის თანამდებობაზე აღდგენა არ მომხდარა, მისი თანამდევნი სამართლებრივი შედეგის სახით – მოპასუხისათვის იძულებითი განაცდურის დაკისრებას მოსარჩელის სასარგებლოდ, გამოეცალა საფუძველისშკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დამსაქმებელს უფლება აქვს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს (1) ან დადოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება (2) ან შეწყვიტოს მასთან გამოსაცდელი ვადით დადებული ხელშეკრულება. იმავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გამოსაცდელი ვადით დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ კანონის 38-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები (თუ თავად ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული).

საქმე №ას-142-134-2017

18 აპრილი, 2018 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: გამოსაცდელი ვადა (შრომის კოდექსის მე-9 მუხლი)

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ შრომის კოდექსის მე-9 მუხლის აღნიშნული ჩანაწერი – ნებისმიერ დროს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის უფლების შესახებ – ამავე კოდექსის 37-ე მუხლში ჩამოთვლილ გათავისუფლების საფუძველებს უნდა დაუკავშირდეს. ნორმის ასეთი განმარტება არ გამომდინარეობს სშკ-ის არც მე-9 და არც 37-ე მუხლების შინაარსიდან და პირდაპირ ეწინააღმდეგება მათ.

სშკ-ს 37-ე მუხლი უთითებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველებზე არა გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, არამედ ამ ვადის წარმატებით გავლის შემდგომ მხარეთა შორის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დადებული შრომითი ხელშეკრულებით წარმოშობილი ურთიერთობისას. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს უშუალოდ სშკ-ის მე-9 მუხლის შინაარსიდანაც, რომელიც საუბრობს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში სამომავლო შრომის ხელშეკრულების დადება – არდადებაზე და იქვე აკონკრეტებს, რომ არსებობს შრომის ხელშეკრულების არდადების მხოლოდ ერთი საფუძველი – პირის შეუსაბამობა შესასრულებელ სამუშაოსთან, რაც გულისხმობს დაკავებულ თანამდებობასთან პირის პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადი თვისებების შეუსაბამობას.

თუ სშკ-ს 37-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძველებზე მითითებისა და მათი დამტკიცების ტვირთს დამსაქმებელს დავაკისრებდით დასაქმებულთან გამოსაცდელი ვადის დასრულების შემდეგ შრომითი ხელშეკრულების არდადების შემთხვევაშიც, მაშინ გამოსაცდელი ვადა საერთოდ დაკარგავდა თავის დანიშნულებას. გამოსაცდელი ვადა კი ის ერთადერთი პერიოდია, რომლის განმავლობაშიც კანონმდებელმა დამსაქმებელს თავისუფლება მიანიჭა, არ გააგრძელოს შრომითი ურთიერთობა დასაქმებულთან, თუ მიაჩნია, რომ იგი არ შეესაბამება შესასრულებელ სამუშაოს.

გემოლნიშნულიდან გამომდინარე, შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შეუსაბამობაზე არ შეიძლება გავრცელდეს მტკიცების ის სტანდარტი, რომელიც გათვალისწინებულია სშკ-ის 37-ე მუხლით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას.

სწორედ ამიტომ, სშკ-ის მე-9.4 მუხლის შესაბამისად, გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაზე ასევე არ ვრცელდება ამ კანონის 38-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნებიც, რაც მოიცავს წინასწარი გაფრთხილების, კომპენსაციისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების ვალდებულებას.

საქმე №ას-662-629-2014

4 ივნისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურება

რაც შეეხება შეგებებული საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ არსებობს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები. ამ თვალსაზრისით პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ გარემოებებზე:

სამუშაოდან მოსარჩელის გათავისუფლების დროს მოქმედი რედაქციის შრომის კოდექსის V თავით რეგულირდებოდა შვებულების გამოყენებასა და ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები, თუმცა, დამსაქმებლის მიზებით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, გამოუყენებელი შვებულების ფულადი ანაზღაურების წესი ეროვნული კანონმდებლობით მოწესრიგებული არ იყო, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი სრულად ექცეოდა „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ კონვენციის რეგულაციის სფეროში (რეტიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 22.02.1995 დადგენილებით, ძალაშია 22.06.1997 წლიდან).

მოხმობილი კონვენციის პირველი მუხლით დადგენილია მისი გამოყენების სფერო და სუბიექტები და პირველი პუნქტის b) ქვეპუნქტის თანახმად, გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციის მიღების უფლების მქონე პირად მიიჩნევა ყველა პირი, ვინც დასაქმებულია გაზის ან ელექტროენერჯის მწარმოებელ ან გამანაწილებელ საწარმოში.

ამავე კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილია შემდეგი: პირი, რომელიც გათავისუფლებულია მეწარმის მიზებით, მაგრამ ვიდრე იგი გამოიყენებდა კუთვნილ შვებულებას, შვებულების ყოველი დღისათვის ამ კონვენციის შესაბამისად იღებს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ჯილდოს. განსახილველი ნორმის თანახმად, დასაქმებულისათვის მინიჭებული გამოუყენებელი ფასიანი შვებულების კომპენსაციის მოთხოვნის უფლების რეალიზაციისათვის ერთობლივად უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: ა) დასაქმებულის მიერ ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლების მოპოვება; ბ) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, რომელიც დამსაქმებლის ინიციატივით დასაქმებულის გათავისუფლების გზით განხორციელდა; გ) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტამდე კუთვნილი შვებულების გამოუყენებლობა/არასრული გამოყენება. თავის მხრივ, კონვენციის მე-3 მუხლი უფლების მქონე პირის კომპენსაციად განიხილავს ეროვნული კანონებითა და წესებით განსაზღვრული ხერხით გამოთვლილ ჩვეულებრივ ჯილდოს ან შესაბამისი ფულადი ეკვივალენტის დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ჯილდოს, რომელიც განსაზღვრულია კოლექტიური შეთანხმებით.

კონვენციის დებულებათა სწორი ანალიზისათვის საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, პარალელი გაავლოს ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგულაციასთან. როგორც დასაქმებულის გათავისუფლების დროს მოქმედი, ისე არსებული რედაქციის შრომის კოდექსის 22-ე მუხლით განსაზღვრულია შვებულების მიცემის წესი და ნორმის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ. დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც. ამ მხრივ, ეროვნული კანონმდებლობა აწესებს კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილ (1 წლიანი უწყვეტი მუშაობა) უფლების მოპოვების სტანდარტზე დაბალ სტანდარტს, ხოლო 24-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში ითვლება დასაქმებულის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი, აგრეთვე დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დრო. ამდენად, ერთწლიანი შრომითი ხელშეკრუ-

ლების პირობებში, გ.ლ-ს, მიუხედავად დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენისა, ფასიანი შვებულების მოთხოვნის უფლება მოპოვებულად ეთვლება.

კონვენციის მე-3 მუხლით განსაზღვრული „ჯილდოს“ გამომანგარიშების წესი მოცემულია შრომის კოდექსის 26-ე მუხლში და დადგენილია, რომ დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია – ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დაადგინა და არც შეგებებული საკასაციო საჩივრითაა სადავოდ გამხდარი ის გარემოება, რომ შრომითი ხელშეკრულება, გარდა 12 თვის შრომის ანაზღაურებისა, ჯილდოს სახით დამატებით საშვებულებო კომპენსაციას არ ითვალისწინებდა.

პალატა მიიჩნევს, რომ ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულების პირობებში, როდესაც მხარე მოითხოვს და სახეზეა გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის სამართლებრივი წინაპირობები, „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ კონვენციით განსაზღვრული გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციის გაცემის დამსაქმებლისათვის დაკისრება საფუძველს მოკლებულია, რამდენადაც ბრძანების ბათილად ცნობის შემთხვევაში, პირის უფლებრივი რესტიტუცია, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იწვევს იმ მდგომარეობის აღდგენას, რაც ხელშეკრულების უსაფუძვლოდ მოშლის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა, ასეთ ვითარებაში რესტიტუციის სამართლებრივი არსი გამორიცხავს დამსაქმებლისათვის იმაზე მეტი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას, ვიდრე ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში გვექნებოდა სახეზე. ეს გარემოება არსებითად განსხვავდება იმგვარი ვითარებისაგან, როდესაც პირი, რომელსაც ანაზღაურებადი შვებულების უფლება ჰქონდა მოპოვებული და სრულად ან ნაწილობრივ არ უსარგებლია ამ უფლებით, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდება მეწარმის მიზეზით და სადავოდ არ გახდის გათავისუფლების მართლზომიერებას. საკასაციო სასამართლოს აღნიშნული შეფასება სრულად შეესაბამება მოქმედი რედაქციის შრომის კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“–„თ“ და „ო“ ქვეპუნქტებით (დამსაქმებლის მიზეზით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველები) გათვალისწინებული რომელიმე საფუძველით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს აუნაზღაუროს გამოუყენებელი შვებულება შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად.

საქმე №ას-268-255-2016

27 ოქტომბერი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: შრომის ანაზღაურების დაყოვნებისთვის კანონისმიერი პირგასამტეხლოს დაკისრება (შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა 2011 წლის 22 თებერვლიდან უკვე შეწყვეტილი იყო და მას სასამართლოში სარჩელი ჰქონდა აღძრული მოპასუხის წინააღმდეგ სამუშაოზე აღდგენისა და 2011 წლის 22 თებერვლიდან 2012 წლის 10 აპრილამდე, ყოველთვიურად 650 ლარის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების, ასევე, აღნიშნული პერიოდისათვის ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის პირგასამტეხლოს, დაყოვნებული თანხის 0.07%-ის, ანაზღაურების მოთხოვნით. სასამართლომ 2013 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით სრულად დააკმაყოფილა სარჩელი. პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2014 წლის 7 აპრილს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა წარმოადგენს პირის სამართლის ნორმით/ნორმებით უზრუნველყოფილ უფლებას კონკრეტული მოვალისაგან მოითხოვოს შესრულება (ასევე მოქმედებისაგან თავის შეკავებას სსკ-ის 316.1 მუხლი). ამ უფლების ძალით კრედიტორს (მოსარჩელეს) კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით კონკრეტული მიზნის მისაღწევად, მხოლოდ ერთხელ შეუძლია აღძრას სარჩელი. მოსარჩელე თვითონ განსაზღვრავს დავის საგანს, ანუ მოთხოვნის ფარ-

გლებს (სსსკ-ის 3.1. მუხლი), შესაბამისად, სასამართლოც ამ ფარგლებითაა შეზღუდული (სსსკ-ის 248-ე მუხლი). მოსარჩელეს 2013 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით დამთავრებულ პროცესშივე შეეძლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე იძულებითი განაცდურის ანგარიშსწორების დაყოვნების გამო მოპასუხისათვის კანონისმიერი პირგასამტეხლოს (დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07%) დაკისრება მოეთხოვა, რაც არ გაუკეთებია. აქვე პალატა ყურადღებას ამახვილებს სსსკ-ის 266-ე მუხლის შინაარსზე, რომელიც გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს უფლებას უკარგავს, ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ თავდაპირველად აღძრული სარჩელით მოითხოვა, რომ მოპასუხეს ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07% დაჰკისრებოდა 2011 წლის 22 თებერვლიდან 2012 წლის 10 აპრილამდე. სასამართლომ მისი ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამჟამად განსახილველი სარჩელით მოსარჩელე იმავე მოთხოვნას აყენებს, იმავე საფუძველით. წინა სარჩელისგან განსხვავება მხოლოდ ასანაზღაურებელი თანხის დროის მონაკვეთშია, რაც დაუშვებელია.

გარდა ამისა, პალატას მიაჩნია, რომ მოთხოვნა დაუსაბუთებელია იმ საფუძველითაც, რომ არ არის განხორციელებული იმ ნორმებით (სშკ-ის მე-2 მუხლის პირველი და მეორე ნაწილები და 31-ე მუხლის მესამე ნაწილი) გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი წინაპირობა, საიდანაც ეს მოთხოვნა უნდა გამომდინარეობდეს. 2012 წლის 10 აპრილიდან 2014 წლის 4 სექტემბრამდე იძულებითი განაცდურის ანგარიშსწორების დაყოვნების გამო მოპასუხისათვის კანონისმიერი პირგასამტეხლოს (დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07%), 6 828 ლარის დაკისრების მოთხოვნა სშკ-ის მე-2 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებიდან და 31-ე მუხლის მესამე ნაწილიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც:

- ა) მხარეებს შორის არსებული შრომითი ურთიერთობა არ უნდა იყოს შეწყვეტილი;
- ბ) შეთანხმებული შრომის ანაზღაურება ყოველთვიურად უნდა გაიცემოდეს.
- გ) დამსაქმებელმა უნდა დაარღვიოს ძირითადი ვალდებულება – მან უნდა გადააცილოს შრომის ანაზღაურების შეთანხმებულ ვადას ან საბოლოო ანგარიშსწორების კანონით დადგენილ შვიდდღიან ვადას (სშკ-ის 34-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სშკ-ის 31-ე მუხლის მე-სამე ნაწილი ვრცელდება მხოლოდ არსებული შრომითი ურთიერთობების იმ სფეროზე, როდესაც შრომის ანაზღაურება (ხელფასი) ყოვნიანია. განსახილველ შემთხვევაში, შრომის ანაზღაურების დაყოვნების გამო, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0.07%-ის გადახდა 2011 წლის 22 თებერვლიდან 2012 წლის 10 აპრილამდე დაეკისრა და 2014 წლის 10 ივლისს აუნაზღაურდა. რაც შეეხება 2012 წლის 10 აპრილიდან 2014 წლის 10 ივლისამდე დროის მონაკვეთში მითითებული თანხის ანაზღაურების დაყოვნების გამო აღძრულ მოთხოვნას, სშკ-ის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის რეგულირების სფეროში ვერ მოექცევა, რადგან იგი უკვე აღარ წარმოადგენს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის მიმდინარე შრომითი ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ მოთხოვნას – შრომის ანაზღაურების ანგარიშსწორების დაყოვნების გამო დაყოვნებული თანხის პროცენტის ანაზღაურების შესახებ. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სადავო პერიოდში მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის მოსარჩელის მიერ მიუღებლობა, მისთვის შრომის ანაზღაურების ანგარიშსწორების დაყოვნებასთან ვერ გაიგივდება, რადგან, რეალურად, ზემომითითებული დროის მონაკვეთში მოსარჩელე შრომის ანაზღაურების ანგარიშსწორების მოცდენის სუბიექტი კი აღარ არის, არამედ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მის სასარგებლოდ დადგენილი თანხის დაყოვნების სუბიექტია და ეს ვითარება მას სშკ-ის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კანონისმიერი საურავის მიღების უფლებას არ ანიჭებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და უარყოფილი უნდა იქნეს.

საქმე №ას-1210-2018

15 თებერვალი, 2019 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: შრომის ანაზღაურება იძულებითი მოცდენის დროს (შრომის კოდექსის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ დასაქმებულის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, სხვისთვის რაიმე გამორჩენის მისაღებად, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 26.07.2016წ. განაჩენით, დასაქმებული ცნობილი იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა. განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2017 წლის 27 ივნისს.

საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ დასაქმებული 2013 წლის 25 სექტემბრიდან სამსახურებრივ უფლებამოსილებას აღარ ახორციელებდა და არც ხელფასს ეძლეოდა, ხოლო მისი ვარაუდი, სისხლის სამართლის საქმის დასრულებამდე შრომითი ურთიერთობის შეჩერების შესახებ, საფუძვლიანია სშკ-ის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ პუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, იმის გათვალისწინებითაც, რომ მასთან საბოლოო ანგარიშსწორება არ განუხორციელებიათ და არც სამსახურებრივი მოწმობის/საშვის დაბრუნება არ მოუთხოვიათ. აღნიშნულიდან კი, გამომდინარეობს მეორე ერთმნიშვნელოვანი დასკვნა იმის თაობაზე, რომ თუკი შრომითი ურთიერთობა შეჩერებული იყო სშკ-ის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის და მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტის სამართლებრივი საფუძვლით, რელევანტურია სშკ-ის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის იმ დებულების გამოყენება, რომლის მიხედვითაც, დასაქმებულის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენა არ ანაზღაურდება.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სშკ-ის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე [დისპოზიცია: თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით] დასაქმებულს კომპენსაცია უნდა მიკუთვნებოდა სწორედ იძულებითი მოცდენის პერიოდზე და არა დროის იმ მონაკვეთში, როდესაც დამსაქმებელთან შრომითი ურთიერთობა შეჩერებული იყო სშკ-ის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“, ქვეპუნქტის სამართლებრივ საფუძველზე.

მოცემულ შემთხვევაში, დასაქმებულის სარჩელი დამსაქმებლისათვის ყოველთვიურად 1440 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ 2013 წლის 23 სექტემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და დამსაქმებელს დასაქმებულის სასაგებლოდ იძულებით მოცდენილი დროის ხელფასი უნდა აუნაზღაურდეს ყოველთვიურად 1200 ლარის გადახდით (საშემოსავლო გადასახადის გარეშე) არა 2013 წლის 26 სექტემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, არამედ 2017 წლის 02 აგვისტოდან ანუ, იმ დროიდან როდესაც დამსაქმებელმა უარყო დასაქმებულის მოთხოვნა სამსახურში აღდგენის შესახებ წინამდებარე გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

საქმე №ას-1189-1131-2014

3 აპრილი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურების გარეშე შვებულების მოთხოვნა (შრომის კოდექსის 36-ე მუხლი)

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ბ. ე-ე მუშაობდა სს „თ-ში“ 2010 წლის 18 თებერვლიდან 2013 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით „ო-ის“ აბონენტთა მომსახურების ცენტრში ოპერატორის თანამდებობაზე აბონენტებთან მუშაობის სფეროში და მისი შრომის ანაზღაურება შეადგენდა 700 ლარს. დამსაქმებლის, სს „თ-ის“ 2013 წლის 24 იანვრის ბრძანებით ბ. ე-ესთან არსებული ვადიანი შრომითი ურთიერთობა შეიცვალა და იგი გადაყვანილი იქნა განუსაზღვრელი ვადაზე;

ბ. ე-ემ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით ისარგებლა 126 დღე – 2012 წლის 10 სექტემბრიდან 2013 წლის 14 იანვრამდე დროის მონაკვეთში. მოსარჩელე სამსახურში დაბრუნდა 2013 წლის 14 იანვარს;

სს „თ-ის“ შინაგანაწესის მიხედვით, ორსულობის შვებულება განისაზღვრება 477 კალენდარული დღის ხანგრძლივობით, საიდანაც ანაზღაურებადი დღეების ოდენობაა 126 კალენდარული დღე, ხოლო გართულებული მშობიარობის შემთხვევაში – 140 კალენდარული დღე;

2013 წლის 13 დეკემბერს ბ. ე-ეს ეცნობა, რომ საზოგადოებაში მიმდინარე რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეწყდებოდა მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება და იგი მიიღებდა შრომის ანაზღაურებას 2 თვის ხელფასის ოდენობით.

2013 წლის 13 დეკემბრის შეტყობინების შინაარსს ბ. ე-ე გაეცნო და უარი განაცხადა ხელმოწერაზე

2013 წლის 13 დეკემბერს ბ. ე-ემ განცხადებით მიმართა სს „თ-ის“ გენერალურ დირექტორს და მოითხოვა კუთვნილი არაანაზღაურებადი შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო;

ბ. ე-ე 2013 წლის 17 დეკემბრის №კ-387 ბრძანების საფუძველზე 2013 წლის 18 დეკემბრიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან;

2013 წლის 31 დეკემბრიდან ლიკვიდირებულ იქნა სხვადასხვა ქვედანაყოფები და საშტატო ერთეულები, მათ შორის აბონენტთა მუშაობის ჯგუფი, ხოლო 2014 წლის 21 იანვრიდან გაუქმდა „თ-ის“ აბონენტთა მომსახურების ცენტრი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გათავისუფლების შესახებ შეტყობინების მიღების დროისთვის – 2013 წლის 13 დეკემბერს, ასევე გათავისუფლების დროისთვის, ბ. ე-ე შრომის კოდექსის მე-5-ნ თავებით გათვალისწინებული შვებულების უფლებით არ სარგებლობდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქალის სოციალური ფუნქციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასევე დედათა და ბავშვთა ინტერესების მხედველობაში მიღებით, ქალთა უფლებების დაცვის მიმართ განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი განაპირობებს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობებისათვის სპეციალური რეგულაციების ასახვას როგორც საერთაშორისო აქტებში, ასევე საქართველოს კანონმდებლობაში. აღნიშნული რეგულაციებით ქალებისთვის გათვალისწინებულია შეღავათები ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის პერიოდში, რაც გარანტირებულს ხდის ქალის უზრუნველყოფას სათანადო სამუშაო პირობებით, ისევე როგორც, ზღუდავს ქალის სამუშაოდან გათავისუფლების შესაძლებლობას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების პერიოდში.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლით დადგენილია, რომ განსაკუთრებული დაცვა უნდა ჰქონდეთ ქალებს ორსულობის დროს და მშობიარობის შემდეგ გონივრული პერიოდის მანძილზე.

ევროპის სოციალური ქარტიის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ორსულობისა და ბავშვის გაჩენის შემდეგ დასაქმებულ ქალთა უფლებების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ უკანონოდ მიიჩნიონ დამსაქმებლის მიერ ქალისათვის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების შეტყობინება ქალის მიერ ორსულობის შესახებ დამსაქმებლისათვის ინფორმაციის მიწოდებიდან დეკრეტული შვებულების დასრულებამდე პერიოდის განმავლობაში ან ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ შეტყობინების გადაცემა ამ პერიოდის დასრულებისას. მართალია, აღნიშნული ნორმა რატიფიცირებული არ არის საქართველოს პარლამენტის მიერ, თუმცა „ევროპის სოციალურ ქარტიასთან“ მიერთებით (საქართველოს პარლამენტის 01.07.05წ. №1876 დადგენილება), საქართველომ იკისრა ისეთი პირობების უზრუნველყოფის ვალდებულება, რომლებიც შესაძლებელს გახდის ქარტიით გათვალისწინებული რიგი უფლებებისა და პრინციპების ეფექტურ განხორციელებას, რომელთა შორისაა ბავშვის დაბადების შემთხვევაში, დასაქმებული ქალის მიერ სპეციალური დაცვის მოთხოვნის უფლება („ევროპის სოციალური ქარტიის“ პირველი ნაწილის მე-8 პუნქტი).

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ (რატიფიცირებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1999 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით) 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დედობა და ჩვილი ბავშვის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას.

„ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის“ (რომელსაც საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 22 სექტემბრის №651 დადგენილებით) მე-11 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, გათხოვების ან დედობის გამო ქალთა მიმართ დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და მათთვის შრომის ეფექტიანი უფლების გარანტირების მიზნით მონაწილე სახელმწიფოები იღებენ საჭირო ზომებს, რათა: ა) სანქციების გამოყენების მუქარით აიკრძალოს სამუშაოდან დათხოვნა ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების საფუძველზე ან დისკრიმინაცია დათხოვნის დროს ოჯახური მდგომარეობის გამო; ბ) შემოიღონ ანაზღაურებადი შვებულება ან შვებულება ორსულობის და მშობიარობის გამო შეპირისპირებადი სოციალური დახმარების ადრინდელი სამუშაო ადგილის, უმცროს-უფროსობის ან სოციალური დახმარების დაუკარგავად; გ) წაახალისონ საჭირო დამატებითი სოციალური მომსახურების გაწევა, რათა მშობლებს მიეცეთ ოჯახური მოვალეობების შესრულების შრომით სექტორთან შეთავსების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება, კერძოდ, საბავშვო დაწესებულებების ქსელის შექმნისა და გაფართოების გზით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით გაცხადებულია, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და ნორმებს. საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით. კონსტიტუცია აღნიშნული ნორმით ერთის მხრივ აღიარებს დედათა და ბავშვთა უფლებების (მათ შორის დედის შრომის უფლების) განსაკუთრებული დაცვის საჭიროებას, ხოლო მეორეს მხრივ, ავალდებულებს კანონმდებელს მიიღოს სათანადო რეგულაციები.

შრომის კოდექსის 27-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის შესაბამისად (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო 477 კალენდარული დღის ოდენობით, საიდანაც მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში ანაზღაურებადია 140 კალენდარული დღე, ხოლო სხვა შემთხვევაში – 126 კალენდარული დღე. ამავე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება დასაქმებულს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე.

შრომის კოდექსის 30-ე მუხლის შესაბამისად, დასაქმებულს თავისივე თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლის გამო 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი.

შრომის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-3 ნაწილის შესაბამისად, დამსაქმებელი ვალდებულია, შეაჩეროს შრომითი ურთიერთობა, თუ დასაქმებული მოითხოვს შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულებას ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულებას ბავშვის მოვლის გამო. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული შვებულების განმავლობაში დაუშვებელია დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით (ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას), თანახმად შრომის კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა.

აღნიშნული ნორმები პირდაპირ და იმპერატიულად ადგენს, რომ დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ქალი ორსულობის, მშობიარობის ან ბავშვის მოვლის გამო შვებულებით და ასეთი შვებულებით სარგებლობის პერიოდში არ დაუშვას მისი სამუშაოდან გათავისუფლება შტატების შემცირების გამო.

მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის, რომ ბ. ე-ემ ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებით ისარგებლა 2012 წლის 10 სექტემბრიდან 2013 წლის 14 იანვრამდე პერიოდში, ანუ 126 დღის ოდენობით, ხოლო 2013 წლის 13 დეკემბერს მოითხოვა დეკრეტული შვებულებიდან გამოუყენებელი უხელფასო შვებულებით სარგებლობა, რისი უფლებაც მას გააჩნდა ზემოაღნიშნული ნორმების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ 2013 წლის 13 დეკემბერს მიღებული შეტყობინება შრომითი ხელშეკრულების მოსალოდნელი შეწყვეტის შესახებ, რომელიც წარმოადგენდა

სს „თ-ის“ მხრიდან გამოვლენილ ნებას სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტასთან დაკავშირებით, გამო-რიცხავდა შვებულებით სარგებლობის შესახებ გამოვლენილი ნების რეალიზების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა კვლავ ყურადღებას ამახვილებს შრომის კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის „8“ ქვე-პუნქტისა და მე-3 ნაწილის დანაწესზე, რომლის შესაბამისად, დამსაქმებელი ვალდებულია შეაჩეროს შრომი-თი ურთიერთობა, თუ დასაქმებული მოითხოვს შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულებას ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებით შვებულებას ბავშვის მოვლის გამო.

იმის გათვალისწინებით, რომ 2013 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო გაუქმებული შტატი, რო-მელზეც ბ. ე-ე მუშაობდა (სს „თ-ის“ კომერციული სამმართველოს ენერგოგასაღების დეპარტამენტის „ო-ის“ აბონენტთა მომსახურების ცენტრის აბონენტებთან მუშაობის ჯგუფის ოპერატორის შტატი, რომელიც გაუქმდა სს „თ-ის“ 2014 წლის 21 იანვრის Nკ-29 ბრძანებით 2014 წლის 21 იანვრიდან – იხ. ტომი 1, ს.ფ. 84), ხოლო ბ. ე-ე არ იყო გათავისუფლებული სამუშაოდან (იგი გათავისუფლდა 2013 წლის 17 დეკემბრის Nკ-387 ბრძანებით 2013 წლის 18 დეკემბრიდან – იხ. ტომი 1, ს.ფ. 14), დამსაქმებელს არ ჰქონდა მართლზომიერი საფუძველი, უარი ეთქ-ვა შვებულებით დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ 2013 წლის 13 დეკემბრის გან-ცხადება შვებულების შესახებ არ უნდა იქნას მიჩნეული უფლების მართლზომიერ გამოყენებად, რადგან მო-სარჩელის განზრახვა, ესარგებლა უხელფასო შვებულების უფლებით, განპირობებულ იქნა გათავისუფლების შიშით და ემსახურებოდა მისი სამსახურიდან გათავისუფლების პრევენციას, რითაც ზიანი მიადგა საზოგადო-ების სამუშაო პროცესის წარმართვას, რადგან შვებულებით სარგებლობის შესახებ განცხადების დაკმაყოფი-ლებით საზოგადოების ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის ძალაში შესვლის და კომერციული ციკლის სამუ-შაო პროცესისთვის ხელშეშლის წინაპირობა იქმნებოდა.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დასაქმებულის სუბიექტური დამოკიდებულება რეორგანიზაციისა და მოსალოდნელი გათავისუფლების მიმართ, არ შეიძლება ჩაითვალოს ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურების გარეშე შვებულებით სარგებლობის უფლების გამოყენების დამაბრკოლებელ გარემოებად. ამავე დროს უფ-ლების არსებობა ან მისი რეალიზაცია ცალკეულ ობიექტურ გარემოებებზე დამოკიდებულად მხოლოდ იმ შემ-თხვევაში უნდა ჩაითვალოს, როდესაც ასეთი გარემოებები არსებითად ცვლიან უფლების განმაპირობებელი ვითარების შემადგენლობას და ეს აშკარად გამომდინარეობს კანონიდან. **ბავშვის მოვლის გამო არაანაზღა-ურებადი შვებულების არსიდან გამომდინარე, მისი გამოყენება უფლებამოსილ პირს ნებისმიერ დროს უპი-რობოდ შეუძლია კანონით დადგენილი ხანგრძლივობით და ამ უფლების რეალიზების დამაბრკოლებელ გარემოებად არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ დასაქმებულის გაფ-რთხილება. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შვებულების გამოყენების დრო ემთხვევა რეორგანიზაციას, დამსაქმებელს წარმოეშობა ვალდებულება, შვებულებაში მყოფი, ქალი არ გაათავისუფლოს სამუშაოდან და გადაიყვანოს იგი სხვა თანამდებობაზე.** მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, რეორგანიზაციის გან-ხორციელების პერიოდში ბ. ე-ეს ჰქონდა ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურების გარეშე შვებულების გამოყენე-ბის უფლება. ასეთი უფლება მას გააჩნდა, შრომის კოდექსის 27-ე მუხლის შესაბამისად. გამომდინარე იქედან, რომ დასაქმებულის მიერ შვებულების უფლების გამოყენებით არ იკვეთება სხვა პირის უფლების დარღვევის ფაქტი, არამედ, დამსაქმებელს წარმოეშობა კანონისმიერი ვალდებულება, რომლის დაცვის მიმართ მნიშვ-ნელოვანი კერძო და საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, შესაბამისი უფლების რეალიზაცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნას არამართლზომიერად.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს სს „თ-ის“ მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ ბ. ე-ის მიერ 2013 წლის 13 დეკემბერს წარდგენილი განცხადების შინაარსიდან გამომდინარე, მას არ ჰქონდა შესაძლებ-ლობა, დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა უხელფასო შვებულებით სარგებლობასთან დაკავშირებით. ბ. ე-ის გან-ცხადების მიხედვით, იგი ითხოვს კუთვნილი დეკრეტული შვებულებიდან გამოუყენებელ არაანაზღაურებად შვებულებას. ამდენად, ნათლად არის გამოხატული დასაქმებულის ნება, ისევე როგორც მოთხოვნის სამარ-თლებრივი ბუნება, რაც, დამსაქმებელთან არსებული ინფორმაციის მხედველობაში მიღებით, სრულყოფილ

საფუძველს წარმოადგენს, განისაზღვროს გამოსაყენებელი უხელფასო შვებულების დასაწყისი (განცხადების წარდგენის მომდევნო სამუშაო დღიდან) და მისი ხანგრძლივობა (კანონით გათვალისწინებული ხანგრძლივობა გამოყენებული ანაზღაურებადი შვებულების გამოკლებით).

საქმე №ას-194-185-2016

29 ივლისი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: რეორგანიზაცია – სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეორგანიზაცია იმ შემთხვევაში წარმოშობს მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერ საფუძველს, თუ დადგინდება, რომ რეორგანიზაცია თავისი შინაარსის გათვალისწინებით, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, შტატების ან/და ხელფასების შემცირების ან სხვა ობიექტური საჭიროების გამო, დამსაქმებელს აყენებს კონკრეტული თანამდებობიდან მუშაკის გათავისუფლების აუცილებლობის წინაშე. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ რეორგანიზაციის შედეგად დასაქმებულის სამსახურიდან გაშვების ერთ-ერთ კანონისმიერ საფუძველად რეორგანიზაციამდე დასაქმებული კადრის არასაკმარისი კვალიფიკაცია შეიძლება იქნეს მიჩნეული. კერძოდ ის, რომ განახლებული ფუნქციების შედეგად იგი ვეღარ აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს და დაკავებული თანამდებობისთვის შეუფერებელია.

საქმე №ას-1276-1216-2014

18 მარტი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა (შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი)

დადგენილია, რომ ლ. კ-ის გათავისუფლების სამართლებრივ საფუძველად სადავო ბრძანებაში მითითებულია საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა.

2012 წლის 16 ივლისის თანამდებობრივი ინსტრუქციის მიხედვით ლ. კ-ეს (მენეჯერს) ექვემდებარებოდნენ ბათუმის კაპანდიბის ობიექტის სხვადასხვა თანამდებობის პირები, მათ შორის, უფროსი მზარეული. მენეჯერის ძირითადი პასუხისმგებლობა იყო: ობიექტის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა და ყოველდღიური კონტროლი; პერსონალის ორგანიზაციული მართვა; შინაგანაწესის, სტანდარტებისა და ხარისხის დაცვის უზრუნველყოფა. პერსონალის ორგანიზაციულ მართვაში იგულისხმებოდა: ობიექტებზე არსებული სასადილოების ყოველდღიური მუშაობის ხელმძღვანელობა და კონტროლი; დღის მანძილზე პერსონალის მიერ მოვალეობათა შესრულების ხარისხის კონტროლი.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ლ. კ-ის მიერ შრომითი ხელშეკრულებითა და შინაგანაწესით დადგენილი ვალდებულების დარღვევად მიჩნეულია 2014 წლის 22 იანვარს კაპანდიბის სამხედრო ნაწილის სასადილოში 20:40სთ.-ზე სასადილოს ეზოში უფროსი მზარეული – მ. ა-ის მიერ სამხედრო ობიექტიდან ცელოფანში გავიწვეული 1,976კგ. კარტოფილის, 356კგ. ძეხვის, 0,848კგ. ფარშის, ნც. კვერცხისა და 1,236კგ. საქონლის ხორცის გატანის ფაქტი, რაც საკასაციო პალატის მოსაზრებით, შრომის შინაგანაწესით ლ. კ-ისათვის დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევად ვერ შეფასდება. მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც ლ. კ-ის მხრიდან მკაცრად იყვნენ თანამშრომლები გაფრთხილებული სასადილოდან კვების პროდუქტებისა და მზა საჭმლის ნარჩენების გატანის აკრძალვის თაობაზე, რაც მათი მხრიდან ხელმოწერებითაა დადასტურებული. შესაბამისად, ერთ-ერთი თანამშრომლის მხრიდან დასახელებული პროდუქტების გატანისათვის ე.წ. კოლექტიური პასუხისმგებლობის გამოყენება, საკასაციო პალატას დაუშვებლად მიაჩნია და განმარტავს, რომ თითოეული თანამშრომელი ინდივიდუალურად შედის კომპანიასთან კერძო-სამართლებრივ ურ-

თიერთობაში და კომპანიასთან ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე ინდივიდუალურადაა პასუხისმგებელი.

ხოლო ის გარემოება, რომ ლ. კ-ე აღჭურვილი იყო მენეჯერის უფლებამოსილებით, რაც მის დაქვემდებარებაში არსებული ობიექტის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფასა და ყოველდღიური კონტროლის, პერსონალის ორგანიზაციულ მართვასა და სხვა ვალდებულებების დაცვის უზრუნველყოფას აკისრებდა, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ წარმოადგენს საფუძველს, დასაქმებულის მიმართ კონკრეტულ შემთხვევაში, სახდელის სახით პირდაპირ უმკაცრესი ზომა – „დათხოვნა“ ყოფილიყო გამოყენებული. მით უფრო, რომ შპს „ქ. კ. კ-ის“ 2013 წლის 30 ოქტომბრის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის მე-8 მუხლი ითვალისწინებდა სხვა სახის დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობასაც როგორცაა, „შენიშვნა“/„სიტყვიერი გაფრთხილება“; „წერილობითი გაფრთხილება“; „საყვედურის გამოცხადება“; „სასტიკი საყვედურის გამოცხადება“; „თანამდებობიდან დაქვეითება“ და სხვ. მართალია აღნიშნული შინაგანაწესის მიხედვით კომპანია შეუზღუდავი იყო არათანმიმდევრული პრინციპით გამოყენებინა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები და თვითონ გადაეწყვიტა რა ვითარებაში, რომელ კონკრეტულ ზომას მიმართავდა, თუმცა საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მიუხედავად კანონმდებლობით მინიჭებული მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებისა, კომპანიის ხელმძღვანელი შეუზღუდავი არ არის და არ სარგებლობს აბსოლუტური ავტონომიით, რაც საკმარისი საფუძველი იქნებოდა დასაქმებულის სამსახურიდან გასათავისუფლებლად, ვინაიდან საკითხი შეეხება დასაქმებულის კონსტიტუციურ უფლებას – „შრომის უფლება“ (კონსტიტუციის 30-ე მუხ.), ხოლო დამსაქმებლის მხრიდან ამ უფლების შეზღუდვა მართლზომიერი უნდა იყოს და ნაკარნახევი ობიექტური აუცილებლობით, რაც დამსაქმებლის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებებით კეთილსინდისიერად სარგებლობაში ვლინდება. სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლშიც ეს აზრია გატარებული და სამოქალაქო უფლების განხორციელების მართლზომიერებაში ვლინდება. სასამართლოს უპირველესი ამოცანაც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამოწმებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს და მის საფუძველზე აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომის სამართალში მოქმედ Ultima Ratio-ს პრინციპის დაცვას, რაც იმას ნიშნავს, რომ დასაქმებულის გათავისუფლება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებულის მიმართ, მის მიერ განხორციელებული გადაცდომის ხასიათიდან გამომდინარე, უფრო მსუბუქი სანქციის შეფარდებას აზრი აქვს დაკარგული. დასაქმებულის მიერ განხორციელებული ყოველი დარღვევა უნდა შეფასებულ იქნეს მისი სიხშირის, სიმძიმისა და რაც მთავარია შედეგობრივი თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სანქციის სახით პირდაპირ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ეწინააღმდეგება დასაქმებულის შრომის უფლებას. რის გამოც სადავო ბრძანება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

საქმე №ას-1159-1090-2015

3 მაისი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამო სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება

გესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 21 თებერვლის დადგენილებით მოსარჩელე ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ მოხმარების გამო, ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და ადმინისტრაციულ სახდელად 500-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა.

საწარმოს 2014 წლის 17 იანვრის №13 ბრძანებით დამტკიცდა ალკოჰოლური და ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების აკრძალვის პოლიტიკის №HR/14/001 სახელმძღვანელო, რომელიც დაეგზავნა ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

ალკოჰოლური დანარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების აკრძალვის პოლიტიკის №HR/14/001 სახელმძღვანელოს 3.1. პუნქტში მითითებულია, რომ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შეს-

რულების მიზნით, კომპანიის სამუშაო ტერიტორიაზე მყოფი დასაქმებული ყოველთვის ფხიზელი უნდა იყოს. ის არ უნდა ფლობდეს ან/და მოიხმარდეს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და არ უნდა იყოს მისი ზემოქმედების ქვეშ. 3.2. პუნქტის თანახმად, ნარკოტიკების ან ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დასაქმებული არ დაიშვება სამუშაოზე და მის მიმართ გამოყენებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები. დოკუმენტის 10.1.2. პუნქტის მიხედვით, სამუშაო ადგილზე დასაქმებულის ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შესაბამისი კომპეტენციის მქონე უწყების მიერ დადასტურების შემთხვევაში – კომპანია უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მასთან შრომითი ურთიერთობა. კომპანიის ტერიტორიაზე დასაქმებულის მიერ ნარკოტიკული ნივთიერების გამოყენების ან/და ფლობის შესაბამისი კომპეტენციის მქონე უწყების მიერ დადასტურებული ფაქტის (თუ დასაქმებული ფლობს, მოიხმარს, ყიდულობს, ყიდის) შემთხვევაში – კომპანია უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მასთან შრომითი ხელშეკრულება.

დამსაქმებელმა დასაქმებულთან 2012 წლის 1 აგვისტოს დადებული შრომითი ხელშეკრულება შეწყვიტა შრომის ხელშეკრულებითა და შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევის გამო.

საკასაციო, პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ იმ ფაქტის დადგენა, რომ დამსაქმებელმა გაურკვეველ ვითარებაში, და არა საწარმოს ტერიტორიაზე სამუშაო პროცესის დროს, მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, არ იყო საკმარისი დასკვნისათვის, რომ მან შრომითი მოვალეობა უხეშად დაარღვია. ამის გათვალისწინებით, დამსაქმებლის 2015 წლის 18 მარტის ბრძანება უკანონო იყო, რადგანაც უპირველეს ყოვლისა, არ იყო განხორციელებული შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა, დასაქმებულის მიმართ მანამდე არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინარული პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა. რასაკვირველია, დამსაქმებელს უფლება აქვს დაადგინოს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული წესები და აცნობოს ისინი დასაქმებულს {შრომის კოდექსის მე-13 მუხლი}, მაგრამ მას არა აქვს უფლება შინაგანაწესში ისეთი დებულება გაითვალისწინოს, რომელიც ეწინააღმდეგება ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებას ან კოლექტიურ ხელშეკრულებას ან შრომის კოდექსს. მოცემულ შემთხვევაში, შრომის ხელშეკრულების და შინაგანაწესის ის დებულება, რომელსაც დაეყრდნო დამსაქმებელი, ბათილია, რადგანაც ის ეწინააღმდეგება შრომის კოდექსის პირველი მუხლის მესამე ნაწილს („შრომითი ხელშეკრულებით არ შეიძლება განისაზღვროს ამ კანონით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ნორმები, რომლებიც აუარესებს დასაქმებულის მდგომარეობას“) და მე-13 მუხლის მეოთხე ნაწილს. დასაქმებულმა ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და ამისათვის მას სასამართლოს დადგენილებით ადმინისტრაციული სახდელად შეეფარდა 500-ლარიანი ჯარიმა. დამსაქმებელმა კი, იმავე დარღვევის ჩადენისათვის დისციპლინური წესითაც დასაჯა დასაქმებული და დაითხოვა სამსახურიდან, მიუხედავად იმისა რომ ამ ფაქტს შრომითი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება, ან შეუსრულებლობა არ გამოუწვევია და რაიმე სახის ზიანი არ მიუყენებია საწარმოსათვის. დასაქმებულის განთავისუფლებასთან დაკავშირებული სტანდარტი მკაცრადაა განსაზღვრული კანონით. შეწყვეტის საფუძველი აუცილებლად შრომით ურთიერთობასთან უნდა იყოს კავშირში. მოცემულ შემთხვევაში შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის უფლება დასაქმებულს ექნებოდა მაშინ, თუ სასამართლო დასაქმებულის მიმართ გამოიყენებდა ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციულ პატიმრობას, რაც გამორიცხავდა სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას {შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი}. ამით კანონმდებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ არათუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, არამედ დანაშაულის ჩადენაც კი არაა საკმარისი საფუძველი შრომითი ურთიერთობის შესაწყვეტად, თუ ის არ იწვევს შრომითი მოვალეობების შეუსრულებლობას! განსახილველ შემთხვევაში დასაქმებულს ერთ და იგივე დარღვევის ჩადენისათვის ორჯერ მოეკითხა, რაც დაუშვებელია.

საქმე №ას-630-630-2018

6 ივლისი, 2018 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამსახურიდან გათავისუფლება შინაგანაწესის განმეორებით დარღვევის გამო

ბ-ჩ---ემ სარჩელით მიმართა სასამართლოს სს „ს- --ოს“ მიმართ და მოითხოვა:

მოპასუხის 2015 წლის 9 სექტემბრის ბრძანების ბათილად ცნობა მოსარჩელისათვის საყვედურის გამოცხადების შესახებ. მოპასუხის 2015 წლის 8 ოქტომბრის ბრძანების ბათილად ცნობა მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ ხდის გათავისუფლების შესახებ ბრძანების გაუქმებისა და მისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის დაკისრების კანონიერებას.

როგორც საქმის მასალებიდან და მხარეთა განმარტებიდან დგინდება, დისციპლინური სახდელის გამოცენების წინაპირობა გახდა მოსარჩელის დაუმორჩილებლობა შრომის შინაგანაწესის მოთხოვნებთან, რომელთა თანახმადაც, კომპანიის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას ჩაცმულობის საქმიანი სტილი. ყველა თანამშრომელი ვალდებულია გაუფრთხილდეს კომპანიის ავტორიტეტს მათ შორის, პროფესიონალური იერიითაც; თანამშრომელთა ტანსაცმელი უნდა იყოს სუფთა და მოწესრიგებული; დაუშვებელია გაუპარსავი თანამშრომლის გამოცხადება სამსახურში, თუ ის არ ატარებს დაბალ და მოწესრიგებულ წვერს. აღნიშნული მოთხოვნები რეგლამენტირებულია შრომის შინაგანაწესის მე-9 მუხლით.

სადავო არ არის, რომ მოსარჩელე სამსახურში ხშირად ცხადდებოდა წვერით, სპორტული კეტებითა და მაისურით. დადგენილია, რომ მოსარჩელეს 2015 წლის 9 სექტემბერს შეეფარდა დისციპლინური სახდელი – გამოცხადება საყვედური. ამ ნაწილში, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით მოპასუხის თანამშრომლისთვის საყვედურის მიცემის შესახებ 2015 წლის 9 სექტემბრის ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნა უარყოფილი იქნა. გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით. მოსარჩელეს საკასაციო საჩივარი არ წარმოუდგენია.

შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დამსაქმებლის რეაგირება სამსახურის შიდა კომუნიკაციის სტანდარტის (ჩაცმულობა, ქცევა) დასაქმებულის მიერ დარღვევის ნაწილში, უარყოფილი არ არის.

სადავო არ არის ისიც, რომ დაწესებულების შრომის შინაგანაწესი ითვალისწინებდა აღნიშნულს და ეს შინაგანაწესი თავის მხრივ წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების ნაწილს და მას გაცნობილი იყო მოსარჩელე.

თუმცა, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს დარღვევის ხასიათს, თუნდაც ორგანოს დარღვევის შემთხვევაში და ყურადღებას მიაქცევს იმასაც, რომ დამსაქმებელს არ დაუდასტურებელია რა ზიანი მიადგა მას დასაქმებულის ამგვარი ქცევით და მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სამსახურიდან გათავისუფლება სანქციის სახით ეწინააღმდეგება დასაქმებულის შრომის უფლებას, რის გამოც, სადავო ბრძანება სწორად გამოცხადდა ბათილად.

საქმე №ას-1090-1010-2017

15 ნოემბერი, 2018 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო (შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი)

სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში დასაქმებული სარგებლობდა სამედიცინო ბიულეტენებით. 5 თვისა და 12 დღის მანძილზე (13.01.2016 წლიდან 28.04.2016 წლამდე და 25.05.2016 წლიდან 25.06.2016 წლამდე) 70 კალენდარული დღე იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე,

დამსაქმებლის ბრძანების თანახმად, 2016 წლის 5 მაისიდან 2016 წლის 10 ივნისის ჩათვლით მოსარჩელეს მიეცა კუთვნილი შვებულება 24 სამუშაო დღის ვადით. ის საავადმყოფო ფურცელზე იმყოფებოდა 25 მაისიდან ზედიზედ 25 ივნისამდე, შესაბამისად 25 მაისიდან 10 ივნისამდე როცა მოსარჩელე უნდა ყოფილიყო შვებულებაში (შვებულება 5 მაისი-10 ივნისი), იგი ამავდროულად იმყოფებოდა ბიულეტენზე, მან სამსახურში წარადგი-

ნა საავადმყოფო ფურცელი სწორედ იმის დასადასტურებლად რომ საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის დღეები (25 მაისი-10 ივნისი) არ გახარჯულიყო შვებულებაში.

2016 წლის 6 ივლისს მოსარჩელემ მიმართა ცენტრის დირექტორს განცხადებით და მოითხოვა მიმდინარე 2016 წლის ბოლომდე უხელფასო შვებულებაში გაშვება იმ მოტივით, რომ მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ, რაზეც მას ეთქვა უარი სამსახურეობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, ამავე განცხადებითვე ეცნობა მოსარჩელეს, რომ მას 6 თვის განმავლობაში გაცდენილი ჰქონდა 60 კალენდარულ დღეზე მეტი, რაც წარმოადგენდა შრომითი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ხანგრძლივ შრომისუუნარობას და დასაქმებული გაფრთხილებულ იქნა შრომითი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის ჩანაწერი კალენდარულ დღეებთან დაკავშირებით, ნორმის არსიდან გამომდინარე, უნდა განიმარტოს არა სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, არამედ, გაგებულ იქნას, როგორც სამუშაო დღეები. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველი ნორმა არ უნდა იქნას გაგებული მისი ცალკეული წინადადებების მიხედვით, რადგანაც ნორმა ადგენს სამართლებრივი ურთიერთობის მოშლის ორ დამოუკიდებელ წინაპირობას: ა) როდესაც დასაქმებულის შრომისუუნარობის ვადა ზედიზედ აღემატება 40 კალენდარულ დღეს; ბ) როდესაც 6-თვიანი პერიოდის განმავლობაში შრომისუუნარობის საერთო ვადა ჯამში აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთანავე დასაქმებულს გამოყენებული აქვს შვებულება. საკანონმდებლო დათქმა ზედიზედ 40 დღეზე მეტი ვადით, ასევე, 6-თვიან პერიოდში 60 დღეზე მეტი ვადით შრომისუუნარობის მიზეზით მოცდენის თაობაზე, წარმოადგენს შრომითი ვალდებულებების შეუსრულებლობის ისეთ ხანგრძლივ მონაკვეთს, რომელიც არღვევს შრომის ორგანიზაციულ მოწესრიგებას და პრაქტიკულად უმართავს ხდის შრომით პროცესს, რამეთუ, როგორც ზედიზედ, 40 დღეზე მეტი ვადით, ისე – ნახევარი წლის ფარგლებში 60 დღეზე მეტი ვადით პირის ჯანმრთელობის მდგომარეობით არ შეიძლება გამართლდეს დამსაქმებლის უფლებათა შეზღუდვა. რაც შეეხება შვებულების საკითხს, ვინაიდან თავად შვებულების გამოყენება წარმოადგენს დასაქმებულის უფლებას და მისი რეალიზაცია პირის ნებაზეა დამოკიდებული, სრულად იქნება ეს უფლება გამოყენებული თუ ნაწილობრივ, ვერც შემაფერხებელი გახდება დამსაქმებლისათვის ცალმხრივი ნების გამოყენებისათვის და ვერც ამკრძალავი. ნორმის სხვაგვარი განმარტება დაარღვევს იმ საკანონმდებლო ბალანსს, რომლის დაცვასაც კანონმდებელი ისახავს მიზნად. კანონის სხვაგვარი გაგება დასაქმებულს მისცემს სრულ შესაძლებლობას, კანონით განსაზღვრული ვადები ხელოვნურად გააჭიანუროს და პასუხისმგებლობას აარიდოს თავი (*საპირისპირო ვითარებაში, თუ კუმულაციურად არ არის შვებულება სრული მოცულობით რეალიზებული, დამსაქმებელი ვერასდროს გამოიყენებს შკ-ის 37.1 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით მისთვის მინიჭებულ უფლებას, თუნდაც 6-თვიან პერიოდში შრომისუუნარობის მიზეზით გაცდენილი დღეების რაოდენობა 100 იყოს*). შესაბამისად, ის ფაქტი, რომ მოცემულ საქმეში დასაქმებულის შვებულების პერიოდს ასევე დაემთხვა მისი შრომისუუნარობა, რის შესახებაც ეცნობა დამსაქმებელს, სამართლებრივად განსხვავებული შედეგის მომტანი ვერ გახდება, რადგანაც, არც შვებულებაში და არც საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის მოტივით შვებულების ვადის გაგრძელება 6-თვიანი ვადის ცვლილებას ვერ გამოიწვევს, ამასთანავე, სააპელაციო პალატის დასკვნის საწინააღმდეგოდ, რომც გავიზიაროთ, რომ კასატორის მიერ დამსაქმებელთან საავადმყოფო ფურცლის წარდგენა ფასიანი შვებულების დარჩენილი დღეების სხვა დროისათვის გადატანის მიზანს ემსახურებოდა (*იხ. შკ-ის 22.4 მუხლი: შვებულებაში არ ითვლება დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი*), მისი გამოუცხადებლობა მაინც შრომითი ურთიერთობის შეჩერებაზე მიუთითებს და ავადმყოფობის დღეებიც უნდა მიეთვალოს პირის შრომისუუნარობის 60-დღიან პერიოდს.

პალატის დასკვნით, იმ პირობებში, როდესაც 5 თვისა და 12 დღის მანძილზე 70 კალენდარული დღის განმავლობაში დასაქმებული იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნება კანონიერია და არ არსებობს მისი ბათილად მიჩნევის წინაპირობები.

საქმე №ას-773-740-2014

24 მარტი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესის დაუცველობა (შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მართალია, განკარგულებაში მითითებული არ ყოფილა, მაგრამ უდავო იყო, რომ ე.ვ.-სთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ამ მუხლის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას, თუმცა ამავე კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხსენებული საფუძველით დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელმა არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე უნდა გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტებით, კანონის ზემოაღნიშნული ნორმით დადგენილია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი და ამ წესის დარღვევით ხელშეკრულების შეწყვეტა კანონსაწინააღმდეგოა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დამსაქმებელს ე.ვ. წინასწარ არ გაუფრთხილებია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. მართალია, 2013 წლის 22 ნოემბერს პ-ამ ე.ვ.-ს გაუგზავნა წერილი, მაგრამ ეს წერილი აპელანტს ჩაბარდა 2013 წლის 25 ნოემბერს, ანუ გასაჩივრებული ბრძანების გამოცემის დღეს, ამიტომ, 2013 წლის 22 ნოემბრის წერილი წინასწარ გაფრთხილებადაც რომ მიჩნეულიყო, იგი აპელანტს კანონით დადგენილ ვადაში მაინც არ მიუღია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლზე, რომლის თანახმად, გარიგება, რომელიც არღვევს კანონით ხელშეკრულებით დადგენილ წესსა და აკრძალვებს ბათილია, ე.ი. სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ შრომითი ურთიერთობები ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი სახეა, ეს ურთიერთობები იწყება შრომითი ხელშეკრულების დადებით და წყდება, მათ შორის, ერთ-ერთი მხარის მიერ ნების გამოვლენით. დამსაქმებლის ერთპიროვნული გადაწყვეტილება შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტისაკენ, ე.ი. სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, იგი ცალმხრივი გარიგებაა და ისევე, როგორც ყველა სხვა გარიგება, კანონშესაბამისი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უდავოდ შეიძლება დადგეს მისი ბათილობის საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ, აპელანტის სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე ბრძანება ბათილად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილზე და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის ნაწილში უსაფუძვლო იყო, ვინაიდან ის თანამდებობა, რომელიც მოსარჩელეს დამსაქმებელთან ეკავა, აღარ არსებობდა, ასევე, აღარ არსებობდა არც საერთო საკითხებში თავმჯდომარის მრჩევლის ტოლფასი სამუშაო. აქედან გამომდინარე, დამსაქმებელს დასაქმებულისათვის უნდა გადაეხადა კომპენსაცია – მიუღებელი ხელფასი, ყოველთვიურად, გასაჩივრებული ბრძანების გამოცემიდან, ე.ი. 2013 წლის 25 ნოემბრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე პერიოდისათვის.

საქმე №ას-167-157-2017

2 ივნისი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის დასაბუთების მოთხოვნის წესის დაუცველობის გავლენა მოთხოვნის იძულებით განხორციელებაზე (შრომის კოდექსის 38-ე მუხლი)

2014 წლის 30 იანვარს დამსაქმებლის გენერალურმა დირექტორმა გამოსცა ბრძანება კომპანიაში გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების შესახებ. ბრძანებაში მისი გამოცემის საფუძველად მიეთითა, რომ კომპანიაში არსებული ძვირე ეკონომიკური გარემოების გათვალისწინებით, აუცილებელი იყო სამუშაო ძალის შემცირება. აქედან გამომდინარე, გენერალური დირექტორის მითითებული ბრძანებით, კომპანიის ადმინისტრაციის

ტრაციულ დირექციას დაევალა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, №1 დანართში დასახელებული დასაქმებულებისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ამავე ბრძანების მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წერილობითი შეტყობინების გაცნობიდან 3 კალენდარული დღის გასვლისთანავე შრომითი ხელშეკრულება შეუწყდებოდათ №1 დანართში მოხსენიებულ პირებს, მათ შორის, მოსარჩელეს.

ხსენებული ბრძანების საფუძველზე მოსარჩელეს გაეგზავნა შეტყობინება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. 2014 წლის 6 თებერვალს გაგზავნილი შეტყობინება ადრესატს არ ჩაბარდა ბინაზე არყოფნის გამო, განმეორებით გაგზავნილი კი, ჩაბარდა 2014 წლის 2 აპრილს.

დამსაქმებლის გენერალური დირექტორის 2014 წლის 16 აპრილის №245/ბ ბრძანებით, კასატორის მოწინააღმდეგე მხარეს, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება და დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა 2014 წლის 7 აპრილიდან. აღნიშნული ბრძანება მოსარჩელეს ჩაბარდა 2014 წლის 23 აპრილს.

2014 წლის 20 მაისს დასაქმებულმა განცხადებით მიმართა კასატორს და მოითხოვა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველების წერილობითი დასაბუთება. 2014 წლის 22 მაისით დათარიღებული დამსაქმებლის წერილობითი დასაბუთება მოსარჩელეს ჩაბარდა ამავე დღეს.

სარჩელი სასამართლოში აღიძრა 2014 წლის 4 ივნისს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის კვლევისას, როგორც მოთხოვნის წარმოშობის მომენტის (*სკ-ის 130-ე მუხლი*), ისე – მისი იძულებით განხორციელების შესაძლებლობის საკითხი (*სკ-ის 144.1. მუხლი*) სამოქალაქო კოდექსის ნორმებით უნდა გადაწყდეს, ხოლო თავად ხანდაზმულობის ვადა – შრომის კოდექსით, რამდენადაც, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის ცალმხრივი ნების გასაჩივრების სპეციალური ვადა და დადგენილია, რომ დასაქმებულს უფლება აქვს, წერილობითი დასაბუთების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. კანონის აღნიშნული დანაწესი არ არის ამომწურავი და მისი ანალიზი უნდა მოხდეს ამავე მუხლის სხვა ნაწილებთან ერთობლიობაში, კერძოდ, 38-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები იძლევა ხელშეკრულების შეწყვეტის იმ საფუძველთა ჩამონათვალს, როდესაც დამსაქმებელი უფლებამოსილია, საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე, ცალმხრივად მოშალოს შრომითი ხელშეკრულება, ამ შემთხვევაში, კანონმდებლის იმპერატიული ნებაა, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე სამი ან ოცდაათი კალენდარული დღით ადრე წერილობით ეცნობოს დასაქმებულს ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, რაც საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცული სიკეთის – თავისუფალი მეწარმეობის ხელშეწყობას ემსახურება, თუმცა, ორგანული კანონით – შრომის კოდექსით დადგენილია პროპორციული ბალანსი მეწარმე დამსაქმებლის ინტერესებსა და დასაქმებულის აღიარებულ უფლებებს შორის: იმის მიხედვით, დასაქმებულის ინფორმირების რომელ ვადას აირჩევს დამსაქმებელი, განსხვავებულ სოციალურ დაცვას ადგენს კანონი, კერძოდ, თუკი ინფორმირება 30 კალენდარული დღით ადრე განხორციელდება ურთიერთობის შეწყვეტამდე, მაშინ, გათავისუფლებული მუშაკის კომპენსაცია ერთი თვის შრომის ანაზღაურებით განისაზღვრება, ხოლო, 3-დღიანი ვადის გამოყენებისას – ორი თვის შრომის ანაზღაურებით.

შრომის კოდექსის 38-ე მუხლის სოციალური დატვირთვა ასევე დასაქმებულის უფლება, სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ წერილობითი ნების მისვლიდან ოცდაათი კალენდარულ დღეში მოითხოვოს დამსაქმებლისაგან ნების განმარტება (*იხ. შკ-ის 38.4. მუხლი*), ხოლო დამსაქმებელი ვალდებულია, მოთხოვნის წარდგენიდან შვიდ კალენდარულ დღეში დაასაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილება (*შკ-ის 38.5.*

მუხლი), წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი დასაქმებული ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ნებას სადავოდ გახდის სასამართლოში, მისი კანონიერების მტკიცების ტვირთი ცალსახად დამსაქმებელს დაეკისრება (*შკ-ის 38.7 მუხლი*). სხვა დამატებით რეგულაციას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერებიდან გამომდინარე უფლების იძულებითი დაცვის ვადასთან მიმართებით, შრომის კოდექსი არ ითვალისწინებს, რის შედეგადაც პრაქტიკაში წარმოიშვება პრობლემები იმის თაობაზე, თუ რა ვადაში შეუძლია დასაქმებულს მიმართოს სასამართლოს, თუკი იგი დამსაქმებლის მიერ გამოვლენილი ნების დასაბუთების მოთხოვნის ინსტიტუტით არ ისარგებლებს ან ისარგებლებს შემოსხენებული ვადების დარღვევით. იმ ვითარებაში, როდესაც კანონი საკითხის პირდაპირ რეგულირებას არ ადგენს, დღის წესრიგში დგება სასამართლოს მხრიდან კანონის განმარტების აუცილებლობა, რაც კანონის ბუნდოვანი ტექსტის დაზუსტებას და ნორმის მნიშვნელობის დადგენას გულისხმობს, შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, განმარტოს კანონი მაშინ, როდესაც ამის საჭიროება არსებობს და საკანონმდებლო დანაწესებით პრობლემის ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა ვერ ხდება.

დასმული საკითხისა და მოხმობილი მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კანონის ღია სივრცის შევსების მიზნით სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ნორმის ისტორიული განმარტებით და მხედველობაში მიიღოს შრომითი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი სოციალური მხარე, რამდენადაც შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარეობს შრომითი ურთიერთობის დაქვემდებარებულობის გენერალური დათქმა. ამ დაქვემდებარებული ურთიერთობიდან გამომდინარეობს ის, რომ ზოგადად შრომის კოდექსი წარმოადგენს დასაქმებულის დაცვის მინიმალურ სტანდარტს და ამ საკითხთა მარეგულირებელი ნორმების განმარტებისას უპირატესობა ე.წ. „სუსტი მხარის“ ინტერესებს ენიჭება. ორგანულ კანონში – „შრომის კოდექსში“ ცვლილებების შეტანამდე კანონმდებელი მოთხოვნის იძულებითი განხორციელების ვადებს არ ადგენდა, შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხიც სრულად ექცეოდა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განთვალისწინებულ სახელშეკრულებო მოთხოვნის სამწლიან ვადაში. თავად შრომის, როგორც სოციალურად უაღრესად მნიშვნელოვანი უფლების არსის გათვალისწინებით, კანონმდებელმა კანონში შეტანილი ცვლილებებით შეზღუდა უფლების იძულებით განხორციელების (*გათავისუფლების შესახებ ბრძანების სასამართლოში გასაჩივრება*) ვადა და იგი, დათხოვნილი მუშაკის მიერ გათავისუფლების საფუძვლის დასაბუთების მოთხოვნის შემთხვევაში, სამოცდაშვიდი კალენდარული დღით განსაზღვრა (*დასაქმებულის უფლება, შეტყობინების მიღებიდან 30-დღიან ვადაში მოითხოვოს ნების წერილობით განმარტება; დამსაქმებლის ვალდებულება – 7-დღიანი ვადის დაცვით დაასაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილება; დასაქმებულის უფლება, დასაბუთების ჩაბარებიდან/არჩაბარებიდან 30-დღიანი ვადის დაცვით მიმართოს სასამართლოს*). ისმის კითხვა: რა რეგულაცია უნდა გავრცელდეს შემთხვევაზე, როდესაც დასაქმებული არ ისარგებლებს დამსაქმებლისაგან გადაწყვეტილების წერილობითი განმარტების მოთხოვნის უფლებით ან 30-დღიანი ვადის დარღვევით გამოიყენებს ამ შესაძლებლობას? საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ასეთ შემთხვევაში უფლების იძულებით დაცვაზე სრულად უნდა გავრცელდეს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი 30-დღიანი ვადა, გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთების 7-დღიანი ვადის დამატებითი პირობის გარეშე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შრომითი უფლების დაცვის ვადის შემჭიდროება ორიენტირებულია, ერთი მხრივ, დამსაქმებლის უფლებაზე, დროულად გაერკვეს მის მიერ გამოვლენილი ნების სამართლებრივ შედეგებში (*შეეცილება თუ არა მას დასაქმებული*), ხოლო, მეორე მხრივ, იცავს გათავისუფლებული მუშაკის ინტერესებს დავის სწრაფად გადაწყვეტის, ასევე, ურთიერთობაში მეტი სიცხადისა და ბუნებრივი სტაბილურობის შეტანის მიზნით.

მოხმობილი განმარტების პარალელურად, დღის წესრიგში დგება იმ საკითხის გარკვევა, თუ როდის იწყება შემოსხენებული ვადის ათვლა: კანონით გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინების ჩაბარებიდან, დამსაქმებლის მიერ გამოვლენილი ნების ძალაში შესვლიდან თუ უშუალოდ ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ რაიმე აქტის გამოცემიდან/ადრესატისათვის გადაცემიდან. ამ შემთხვევაში, პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას და მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ ეს საკითხი არასწორად დაუკავშირა გათავისუფლე-

ბის შესახებ ბრძანების გამოცემის ფაქტს და არასწორად მიიჩნია, რომ წერილობითი შეტყობინება იყო ბუნდოვანი, რაც არ წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შრომის კოდექსის 38-ე მუხლი სამართლებრივი ურთიერთობის მოშლის წინაპირობად სამი/ოცდაათი დღით ადრე დასაქმებულის ინფორმირების აუცილებლობას განსაზღვრავს და ამ ვადის დადგომის დროისათვის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის ნამდვილობისათვის რაიმე დამატებითი აქტის გამოცემის ვალდებულებას არ უდგენს დამსაქმებელს, შესაბამისად, გაფრთხილების თაობაზე დამსაქმებლის მიერ გამოვლენილი ფორმასავალდებულო ნება იურიდიული შედეგის მატარებელია. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დამსაქმებლის მიერ გამოვლენილი ნება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებული ცალმხრივი გარიგებაა და ამავე კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, იგი ნამდვილია იმ მომენტიდან, როდესაც მეორე მხარეს მიუვა. თავის მხრივ, განსახილველ დავაში წინასწარ, წერილობით შეტყობინებაში მითითებულია რა გათავისუფლების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები, ასევე, ნების მისვლიდან 3-დღიან ვადაში ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნების, როგორც გონივრული, ისე – თუნდაც სიტყვასიტყვითი განმარტებიდან დგინდება შრომითი ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის სურვილი და მისი აღქმა ნებისმიერი საშუალო წინდახედულობის მქონე ადამიანისათვის არის შესაძლებელი, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში უფლების შესაძლო დარღვევის თაობაზე დასაქმებულმა შეტყობინების ჩაბარებიდან 3-დღიანი ვადის ამოწურვისთანავე, 2014 წლის 5 აპრილს გაიგო და, ვინაიდან დროულად არ ისარგებლა დამსაქმებლისაგან გათავისუფლების საფუძვლის განმარტების მოთხოვნით, სამოქალაქო კოდექსის 122-ე და 130-ე მუხლების თანახმად, სარჩელის წარდგენის 30-დღიანი ვადის ათვლა, დაიწყო 2014 წლის 6 აპრილს და ამოიწურა ამავე წლის 5 მაისს, სარჩელი კი, სასამართლოში რეგისტრირებულია 2014 წლის 4 ივნისს, შესაბამისად მოსარჩელის მხრიდან დარღვეულია მოთხოვნის იძულებით განხორციელების ვადა.

საქმე №ას-951-901-2015

29 იანვარი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: გათავისუფლების ბრძანების უკანონოდ ცნობის შემთხვევაში დასაქმებულის უფლებების აღდგენის ფარგლები (შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი)

საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიიჩნია განმარტოს, რომ დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების უკანონოდ (ბათილად) ცნობის შემთხვევაში, სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტში მითითებულია დამსაქმებლის ვალდებულება, რომელიც რამდენიმე შესაძლებლობას მოიცავს, თუმცა, კანონმდებლის მიერ დადგენილი წესი არ შეიძლება იმგვარად განიმარტოს, რომ სასამართლოს, დისკრეციული უფლებამოსილებით, შეუძლია მოხმობილი ნორმის დანაწესის საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენება. სშკ დამსაქმებელს ავალდებულებს „პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით“. მითითებული რეგულაციით დამსაქმებლისათვის დადგენილია უკანონოდ გათავისუფლებული დასაქმებულის პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა, ხოლო თუკი აღნიშნული შეუძლებელია, მაშინ მომდევნო რიგითობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება.

საქმე №ას-637-637-2018

29 აგვისტო, 2018 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა (შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი)

სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიზნებისთვის ტოლფასი სამუშაო ნიშნავს, როგორც ფუნქციური დატვირთვით, ისე შრომის ანაზღაურების მხრივ მსგავს თანამდებობას, განსახილველ შემთხვევაში კი, ცენტრის შიდა აუდიტის სამსახურის კოორდინატორის თანამდებობა როგორც ფუნქციურად, ისე შრომის ანაზღაურებით განსხვავებულია მოსარჩელის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობისგან. ამასთან, სა-

კასაციო სასამართლოს აღნიშნული თანამდებობის ტოლფასად მიჩნევის პირობებშიც შეუძლებლად მიაჩნია მასზე მოსარჩელის აღდგენა. ამ თვალსაზრისით, პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ უდავო გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ტოლფასად მიჩნეული თანამდებობა არ არის ვაკანტური და იგი მესამე პირს კონკურსის წესით აქვს დაკავებული, შესაბამისად, ხსენებულ პოზიციაზე მოსარჩელის აღდგენით შეილახება ამ უკანასკნელის უფლებები, რომელიც ამ თანამდებობაზე ლეგიტიმურად არის დანიშნული, რაც დამოუკიდებელ საფუძველს წარმოადგენს იმისთვის, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვას კოორდინატორის – როგორც ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნაზე.

საქმე №ას-353-338-2016

15 ივნისი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კომპენსაციის განსაზღვრა (შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი)

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის პოზიციას არ გააჩნია სამართლებრივად ვარგისი საფუძველი გამომდინარე იქედან, რომ კომპენსაცია წარმოადგენს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის თანმდევ სამართლებრივ შედეგს (სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი) იმ შემთხვევებისათვის, როდესაც არ კმაყოფილდება მოსარჩელის მოთხოვნა სამსახურში აღდგენისა ან მისი ტოლფასი თანამდებობით უზრუნველყოფის თაობაზე. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაშიც სარჩელი სადავო ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში დაკმაყოფილდა და მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე გათავისუფლებამდე არსებულ ან მის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში. პალატა აღნიშნავს, რომ სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის ნორმატიულ მიზანს სწორედ ის არის, რომ ბრძანების ბათილობის შედეგად მოსარჩელემ მიიღოს იურიდიული შედეგი და იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი შედეგი სამუშაო (ტოფასი თანამდებობა) აღგილზე აღდგენაში არ მდგომარეობს, მოსარჩელეს მიეკუთვნება სულ მცირე, კომპენსაცია.

ხოლო რაც შეეხება კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრასა და მისი განსაზღვრის კრიტერიუმებს, აღნიშნულს კანონის ნორმატიული დანაწესი არ აღგენს და იგი ყოველი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების შეფასების საფუძველზე სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება, რა დროსაც, სასამართლო ხელმძღვანელობს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, მხედველობაში იღებს იმ დროს რა დროის განმავლობაშიც უნდა ემუშავა დასაქმებულს დამსაქმებელთან, რა იყო მისი სახელფასო ანაზღაურება და სხვა. ისე რომ როგორც ამას კასატორი აღნიშნავს უპრიანი არ არის მხოლოდ სახელფასო ანაზღაურება ყოფილიყო კომპენსაციის განსაზღვრის ერთადერთი კრიტერიუმი და ისიც თუ რამდენს შეადგენდა მოსარჩელის დარიცხული სახელფასო განაკვეთი. ერთი რამ ცხადია, კომპენსაციამ შეძლებისდაგვარად უნდა უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსის აღდგენა გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის შემთხვევაში. სასამართლო არ არის შეზღუდული კომპენსაციის განსაზღვრაში, რადგან შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი არ განსაზღვრავს კომპენსაციის ოდენობას და ამ საკითხის განსაზღვრას სასამართლოებს მიანდობს. შესაბამისად, სასამართლო ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით თავად განსაზღვრავს კომპენსაციის ოდენობას. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელისათვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმად გამოიყენა დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც მოსარჩელეს უნდა ემუშავა მოპასუხე ორგანიზაციაში და მიეღო შესაბამისი ანაზღაურება. ამდენად, საკითხის იმგვარად დასმა, რომ კომპენსაციის თანხა უნდა მოიცავდეს საშემოსავლო გადასახდასაც უმართებულოა.

საქმე №ას-787-736-2017

10 ნოემბერი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: კომპენსაციის განსაზღვრა (შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი)

დაკისრებული კომპენსაციის ოდენობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კომპენსაცია შეძლებისდაგვარად უნდა უზრუნველყოფდეს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც გათავისუფლების შესახებ ბათილი ბრძანების შედეგად წარმოეშვა დასაქმებულს, ამავედროულად, მისი ოდენობა უნდა

იყოს გონივრული და არ უნდა ქმნიდეს არც ერთი მხარისათვის უსაფუძვლო გამდიდრების ობიექტურ წინაპირობებს (სსკ-ის 976-991-ე მუხლები). კომპენსაციის საკითხი ლოგიკურად წყდება იმ შემთხვევებში, როდესაც დასაქმებული ვადიანი შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უკანონოდ გათავისუფლდა. ასეთ ვითარებაში მას კომპენსაცია მიეცემა იძულებითი მოცდენის მთელი იმ პერიოდისთვის, რომელსაც დასაქმებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე მიიღებდა, მაგრამ დამსაქმებლის ბრალეული ქმედების გამო ვერ მიიღო. კომპენსაციის ოდენობის ამგვარად გამოთვლა პრაქტიკულად შეუძლებელია იმ შემთხვევებში, როდესაც დასაქმებული დამსაქმებელთან უვადო შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა. ასეთ ვითარებაში სასამართლომ კომპენსაციის ოდენობა თავად უნდა განსაზღვროს გონივრულობის ფარგლებში, ისე, რომ აღნიშნულმა რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება არ გამოიწვიოს და ამავდროულად, ზიანის ანაზღაურების მიზნით დასაქმებულისთვის ღირსეულ პირობასაც ქმნიდეს.

განსახილველ შემთხვევაში მოპასუხის შრომითი ანაზღაურება შეადგენდა 2500 ლარს, ხოლო კომპენსაცია, რომელიც მას მიაკუთვნა სააპელაციო სასამართლომ – 70 000 ლარია, ანუ იგი ამ ოდენობის სახელფასო სარგოს მიიღებდა 28 თვის განმავლობაში. პერიოდი, რომელიც მოიცავს დროს მოსარჩელის მიერ გათავისუფლებიდან სარჩელის შეტანამდე – 34 თვეა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გონივრული იქნება მოპასუხისთვის დაკისრებული კომპენსაციის 30 000 ლარით (12 თვის თანამდებობრივი სარგოთი) განსაზღვრა, ვინაიდან სასამართლო მიიჩნევს, რომ დასაქმებული აღნიშნულ პერიოდში (1 წლის ვადაში) პროფესიული უნარების შენარჩუნების გათვალისწინებით, შეძლებდა თავისი პროფესიით დასაქმებას.

10. სამეწარმეო სამართალი

საქმე №ას-1079-1036-2016

2 ივნისი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: შენატანის შეტანის ვალდებულების დარღვევა („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი)

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი ადგენს პარტნიორთა პასუხისმგებლობის პრინციპს, შესატანის შეტანის ვალდებულებასა და ინფორმაციის მიღების, ასევე, კონტროლის განხორციელების უმნიშვნელოვანეს პრინციპებს და ნორმის მე-7 პუნქტით დადგენილია, რომ პარტნიორებს შეუძლიათ, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მოხმობილი ნორმა დისპოზიციური დებულების მატარებელია და მისი აღწერილობითი ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ კანონისმიერი რეგულაციის გამოყენება დასაშვებია მაშინ, როდესაც პარტნიორები სადამფუძნებლო დოკუმენტით კანონისაგან განსხვავებულ მოწესრიგებაზე არ შეთანხმებულან.

საქმე №ას-35-32-2015

27 მარტი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სამეწარმეო საზოგადოების დირექტორის გადაყენების წესი („მეწარმეთა შესახებ“ კანონის 9¹ მუხლის მე-2 და მე-7 პუნქტები)

საწარმოს დირექტორის სტატუსისა და მისი უფლებამოსილების, აგრეთვე, მისთვის სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობის დაკისრების წესების დადგენისათვის სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს, რაც გულისხმობს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას – კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილებები საწარმოს სახელით, გამოვიდეს მესამე პირებთან ურთიერთობაში საწარმოს სახელით. მე-6 პუნქტის თანახმად კი, დირექტორი საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ის არ შეასრულებს ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

ზემოთ აღნიშნული ნორმის სამართლებრივი მიზანი სააპელაციო სასამართლომ იმგვარად განმარტა, რომ დირექტორი საწარმოსათვის უმნიშვნელოვანესი სუბიექტია; შესაბამისად, მისი საქმიანობის უარყოფითად (არაჯეროვნად და არაკეთილსინდისიერად) შეფასება და ამის შედეგად მისი თანამდებობიდან გადაყენება ვერ ჩაითვლება საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობად, რის გამოც, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ეს საკითხები უნდა განხილულიყოს საწარმოს 100% ხმების მქონე პარტნიორთა მონაწილეობით, რაც, 2014 წლის 11 იანვრის კრებაზე, არ მომხდარა (კრებას არ ესწრებოდა საწესდებო კაპიტალის 7%-ის მფლობელი პარტნიორი ი. ჩი-ი).

ზოგადად, რა თქმა უნდა, დასაშვებია დირექტორის თანამდებობიდან გადაყენებაც, მისი საქმიანობის უარყოფითად შეფასების გამო, თუმცა ამ საკითხზე პარტნიორთა კრებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, რაც ასევე არ განხორციელებულა კლინიკის პარტნიორთა 2014 წლის 11 იანვრის კრებაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დირექტორის საქმიანობის უარყოფითად შეფასებისა და მისი თანამდებობიდან გათავისუფლე-

ბის შესახებ სარჩელი და შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი, დაუსაბუთებელი იყო, რაც გამორიცხავდა მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ წინაპირობებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად დირექტორების გამოწვევის (გათავისუფლების) საფუძვლებს კანონი არ განსაზღვრავს. აღიარებული შეხედულების მიხედვით, დირექტორის გასათავისუფლებლად უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი საფუძველი, რომლის არსებობა მოცემულ საქმეზე დადასტურებული არ არის. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას.

საქმე № ას-1101-1037-2015

27 სექტემბერი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საწესდებო კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წესი

მოსარჩელის/მეორე კასატორის ძირითადი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის გაზრდის თაობაზე მიღებული უნდა ყოფილიყო ერთხმად, ვინაიდან აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება პარტნიორის (აქციონერის) ხმის უფლებას ანუ, თუ პარტნიორი ვერ შეძლებს ან მიზანშეწონილად არ ჩათვლის განთავსებული აქციების შექმნას, მისი აქციების წილი სხვა აქციონერების წილებთან მიმართებაში მკვეთრად შემცირდება. შესაბამისად, შემცირდება მისი ხმის უფლებაც, რის შედეგად, პარტნიორმა შეიძლება დაკარგოს ის განსაკუთრებული უფლებებიც, რომელიც მას მინიჭებული აქვს კანონით, თუ ის ფლობს საზოგადოებაში 5 და მეტ პროცენტს.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია, სააქციო საზოგადოების კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილება წარმოადგენს თუ არა ისეთ გადაწყვეტილებას, რომლის მისაღებადაც აუცილებელია ყველა აქციონერის თანხმობა.

საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს აღნიშნული საკითხი სათანადოდ არ აქვთ განმარტებული.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის მრავალხმობრივი გარიგება, რომლის თავისებურებას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება, ძირითადად, ხმათა უმრავლესობით, თუმცა აღნიშნული წესიდან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5¹ პუნქტითა და 9¹ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულია გამონაკლისები და, აქციონერთა ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით, დადგენილია გადაწყვეტილების ერთხმად მიღების იმპერატიული მოთხოვნა, ხოლო მე-3 მუხლის 5² პუნქტით კი აკრძალულია პარტნიორის/აქციონერის თანხმობის გარეშე ამავე პუნქტით განსაზღვრული ცვლილების შეტანა.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5¹ პუნქტის თანახმად, „თუ წესდების ცვლილება ეხება პარტნიორის ხმის უფლებას, მოგებაში/ზარალში წილს ან ლიკვიდაციისას მის უფლებებს, აღნიშნული ცვლილება მიღებული უნდა იქნეს ერთხმად, თუ წესდების შესაბამისი ნაწილით, რომელიც პარტნიორების მიერ ერთხმად იყო მიღებული, სხვა რამ არ არის დადგენილი“.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5² პუნქტის თანახმად, „თუ წესდების/პარტნიორთა შეთანხმების ცვლილება აუქმებს პარტნიორის რეგისტრირებულ უფლებას, ან მას ისეთ ვალდებულებას აკისრებს, რომელიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე, პარტნიორის თანხმობის გარეშე ამგვარი ცვლილების შეტანა დაუშვებელია“.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას კრების მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ ეს კანონი არ განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებას ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს“.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო დანაწესებთან კაპიტალის გაზრდის თაობაზე 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისობა.

საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრებაზე წესდებაში ცვლილების შეტანის გზით, საზოგადოების კაპიტალი გაიზარდა 30 000 000 ლარამდე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააქციო საზოგადოების აქციათა 90%-ის მფლობელ აქციონერთა მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

საკასაციო სასამართლო მეორე კასატორის ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში (მე-3 მუხლის 5¹ და 5² პუნქტები, 9¹ მუხლის მე-6 პუნქტი, 54-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები) არ არსებობს პირდაპირი ჩანაწერი, რომელიც დავაგადასაჩივრებდა სააქციო საზოგადოებას კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას ყველა აქციონერის თანხმობით. კანონმდებელმა აღნიშნული საკითხის განსაზღვრის თავისუფლება მიანიჭა თავად აქციონერებს, რომელთა მიერ დადგენილი წესები ასახულია წესდებაში.

მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე კომპანიის წესდების მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე ხმის მქონე აქციონერთა ხმების 50%-ზე მეტის თანხმობით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კანონში პირდაპირი ჩანაწერის არარსებობის მიუხედავად, მოცემულ შემთხვევაში შესაფასებელია, წესდების ცვლილების გზით საზოგადოების კაპიტალის გაზრდა რამდენად არის შემხებლობაში აქციონერის ხმის უფლებასთან, მოგებაში/ზარალში მის წილთან ან ლიკვიდაციისას მის უფლებებთან („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5¹ პუნქტი); ხომ არ აუქმებს აქციონერის რეგისტრირებულ უფლებას, ან მას ისეთ ვალდებულებას ხომ აკისრებს, რომელიც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მის რეგისტრირებულ უფლებაზე („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5² პუნქტი); ამ გადაწყვეტილების შინაარსი ხომ არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე აქციონერისათვის ანდა ხომ არ ხელყოფს აქციონერის არსებით ინტერესებს („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-9 პუნქტი).

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების სადავო გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმად, საზოგადოების 30 000 000 ლარით განსაზღვრის შემდეგ, საზოგადოების გაუნაღდეგელი (განუთავსებელი) აქციების შევსების შესაძლებლობა მიეცა ყველა აქციონერს 15 დღის ვადაში, 2013 წლის 4 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ვადაში საზოგადოების შეუვსებელი კაპიტალის შევსების და, შესაბამისად, შესატყვისი აქციების მიღების უფლება მიენიჭათ საზოგადოების აქციონერებს ისე, რომ მათ შორის აქციათა გადანაწილების პროპორცია დარჩა უცვლელი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების სადავო გადაწყვეტილებით აქციონერის გაუნაღდეგელი აქციების შეუვსებლობა არ იწვევდა აქციონერის რეგისტრირებული უფლების გაუქმებას (მაგ: აქციათა შემცირებას, აქციონერის გარიცხვას და სხვა).

ამასთან, საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების სადავო გადაწყვეტილება კაპიტალის გაზრდის თაობაზე უშუალოდ არ შეხება მოსარჩელის მიერ განხორციელებულ შენატანებს და აქციათა რაოდენობას. მას საკუთრებაში კაპიტალის გაზრდამდე ჰქონდა 400 ცალი აქცია (ტ. I. ს.ფ. 189) და კაპიტალის გაზრდის შემდეგაც, თუ არ შეავსებდა კაპიტალს თავისი წილის პროპორციულად დარჩებოდა იმავე რაოდენობის აქციები (იხ. ტ. I, ს. ფ. 230). ამ გადაწყვეტილებით მისი აქციების რაოდენობა არ შემცირდებოდა.

მეორე კასატორის არგუმენტი, რომ, თუ აქციონერი საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში ვერ შეძლებს ან მიზანშეწონილად არ ჩათვლის განთავსებული აქციების შეძენას, მისი აქციების წილი სხვა აქციონერების წილებთან მიმართებაში მკვეთრად შემცირდება და, შესაბამისად, შემცირდება მისი ხმის უფლებაც, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, არ წარმოადგენს კაპიტალის გაზრდის უშუალო, პირდაპირ და გარდაუვალ შედეგს. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კაპიტალის გაზრდის შემდეგ, მოსარჩელის მიერ აქციათა გადანაწილების პროპორციულად აქციების შევსების შედეგად, მისი წილის პროცენტულობა არ შემცირდებოდა და დარჩებოდა იგივე, შესაბამისად, მისი ხმების მოცულობაც იქნებოდა მისი შენატანის შესატყვისი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების სადავო გადაწყვეტილება კაპიტალის გაზრდის თაობაზე არ წარმოადგენს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ იწვევს აქციონერის ხმის უფლების ან წილის შემცირებას.

რაც შეეხება კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილების „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9¹ მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხს, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ 2013 წლის 19 ნოემბრის აქციონერთა საერთო კრების სადავო გადაწყვეტილებით ყველა აქციონერს მიეცა გაუნაღებელი აქციების შევსების შესაძლებლობა აქციათა განაწილების პროპორციულად, რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით რომელიმე აქციონერისთვის არ შექმნილა არათანაბარი მდგომარეობა და არ შელახულა მათი არსებითი ინტერესები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კანონით დადგენილი არ არის საზოგადოების მიერ კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილების ერთხმად მიღების იმპერატიული მოთხოვნა და, ამასთან, სახეზე არ არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 5¹ და 5² პუნქტებით, აგრეთვე, 9¹ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა.

საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ კანონის ისეთი ინტერპრეტაცია, რომლითაც დადგინდება აქციონერთა მიერ სააქციო საზოგადოების კაპიტალის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილების ერთხმად მიღების იმპერატიული წესი, შეიძლება გახდეს კაპიტალური საზოგადოების განვითარების დამბარკოლებელი ფაქტორი, ვინაიდან აქციონერი, რომელსაც არ შესწევს უნარი განახორციელოს დამატებითი შენატანი ან შეავსოს განუთავსებელი აქციები მისი წილის პროპორციულად, უმრავლეს შემთხვევაში, ხმას მისცემს მსგავსი გადაწყვეტილების წინააღმდეგ თავისი პროცენტული წილის შესანარჩუნებლად, რაც, საბოლოო ჯამში, დააზიანებს კაპიტალური საზოგადოების განვითარების პროცესს. ასეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, უმთავრესია, რომ აქციონერები არ იქნენ ჩაყენებულნი არათანაბარ მდგომარეობაში და თანაბრად მიეცეთ თავიანთი ქონებრივი უფლებების განხორციელების შესაძლებლობა.

საქმე №ას-1307-1245-2014

6 მაისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისთვის

მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად არის ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „ლ.-...“-ს 2010 წლის 20 მაისის კამერალური საგადასახადო შემოწმების აქტით დაერიცხა 786 657 ლარი. საწარმომ ეს აქტი გასაჩივრა, თუმცა მისი საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

საწარმოს დარიცხული თანხა არ გადაუხდია და, საურავების ჩათვლით, მისი დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ შეადგენს 2 223 370 ლარს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 19 მარტის განაჩენით შპს „ლ.-...“-ის პარტნიორებს ლ. ბ-ესა და მ. ჭ-ეს მსჯავრი დაედოთ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადების განზრახ თავის არიდებისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული. განაჩენის თანახმად მსჯავრდებულებმა 2008-2009 წლების საანგარიშო პერიოდში განზრახ თავი აარიდეს გადასახადის 786 657 ლარის გადახდას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „ლ.-...“-ის პარტნიორი ლ. ბ-ე იმავდროულად წარმოადგენს კომპანიის დირექტორს.

სსიპ შემოსავლების სამსახური წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მოითხოვს შპს „ლ.-...“-ის პარტნიორისა და დირექტორის ლ. ბ-ისა და პარტნიორის მ. ჭ-ის მიმართ, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით როგორც კომპანიის ძირითადი საგადასახადო დავალიანების, ისე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის დაკისრებას და მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის

თქმის ნაწილში არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლი და მე-8 მუხლის 23-ე ნაწილი, არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და არასწორად განმარტა მხარეთა მტკიცების ტვირთი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია, ეკისრებათ თუ არა კომპანიის პარტნიორებსა და დირექტორს პირდაპირ და უშუალოდ, მთელი მათი ქონებით პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის, იმ შემთხვევაში თუ დადასტურებულია, რომ კომპანიას აღნიშნული ვალდებულებების შესრულება არ შეუძლია; უფლებამოსილია თუ არ სსიპ შემოსავლების სამსახური მოითხოვოს მათგან კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების (როგორც ძირითადი საგადასახადო ვალდებულებების, ისე მასზე დარიცხული საურავის) ანაზღაურება და რა სამართლებრივი საფუძველით.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისათვის საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს თავად სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მითითებული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე, კერძოდ, შემოსავლების სამსახურმა კომპანიის დირექტორისა და პარტნიორებისაგან მოითხოვა დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოთხოვნის საფუძველად მითითებულია ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენებით დადგინდა კომპანიის დირექტორისა და პარტნიორების მხრიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისაგან განზრახ თავის არიდების ფაქტი, რის შედეგადაც სახელმწიფოს მიადგა ზიანი, რის გამოც მოთხოვნილია სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, გადასახადებისაგან თავის არიდების გამო, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, არ შეიძლება გაზიარებულ იქნას კასატორის – სსიპ შემოსავლების სამსახურის მოსაზრება და სააპელაციო (და პირველი ინსტანციის) სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მოთხოვნა კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის მიმართ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველი შემთხვევა უნდა დარეგულირდეს კრედიტორების (მათ შორის, სახელმწიფოს, როგორც საგადასახადო ვალდებულებების კრედიტორის) წინაშე კომპანიის ვალდებულებებისათვის დირექტორისა და პარტნიორის პასუხისმგებლობის თაობაზე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმებით, კერძოდ, ამ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით და მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით.

კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის სხვადასხვა სამართლებრივი მდგომარეობის გამო, კომპანიისა და მისი კრედიტორების წინაშე მათი პასუხისმგებლობის შინაარსის განსასაზღვრად აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ კომპანიის ვალდებულებებისათვის ერთის მხრივ, პარტნიორებისა და, მეორეს მხრივ, კომპანიის დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველები.

ზოგადად კითხვაზე, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა კომპანიის ვალდებულებებისათვის, პასუხი ცალსახაა. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საზოგადოების მთელი ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ვალდებულებებისათვის საზოგადოების პარტნიორები და, მით უფრო დირექტორი, ჩვეულებრივ შემთხვევაში, პირადი ქონებით პასუხს არ აგებენ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმა ეკონომიკური თვალსაზრისით ცალსახად გამართლებულია, რადგან იურიდიული პირის დაფუძნების ერთ-ერთი უმთავრესი უპირტესობა სწორედ ქონების გამიჯვნის პრინციპია, რომელიც მიზნად ისახავს, ერთის მხრივ, კომპანიის დამფუძნებელთა პირადი ქონების დაცვას კომპანიის კრედიტორთა მოთხოვნებისაგან და, მეორეს მხრივ, კომპანიის ქონების დაცვას დირექტორებისა და პარტნიორების მიერ აღნიშნული ქონების პირადი სარგებლობისათვის უკანონო გამოყენებისაგან.

შეზღუდული პასუხისმგებლობა, თანამედროვე ეკონომიკური თეორიის მიხედვით, არ წარმოადგენს პრობლემას კომპანიის ნებაყოფლობით კრედიტორებთან მიმართებაში, რომლებსაც გააჩნიათ მოლაპარაკების საშუალება (bargaining power), რათა ხელშეკრულების მეშვეობით თავიდან აიცილონ რისკები, რომლებიც

წარმოიშობა კომპანიასთან გარიგებაში შესვლის დროს. თუმცა ეს თეორია არ ითვალისწინებს არასახელშეკრულებო (არანებაყოფლობით) კრედიტორებს, როგორც არიან დელიქტის საფუძველზე წარმოშობილი კრედიტორები, რომლებსაც არ შეუძლიათ შევიდნენ კომპანიასთან, მის დირექტორებთან და პარტნიორებთან წინასწარ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მათ მიმართ დელიქტიდან გამომდინარე კომპანიის ვალდებულებების წარმოშობამდე. იგივე შეიძლება ითქვას საგადასახადო ვალდებულებების შედეგად წარმოშობილი კრედიტორზე სახელმწიფოს სახით, რომელიც, საგადასახადო ვალდებულებების არანებაყოფლობითი ხასიათიდან გამომდინარე, ასევე არასახელშეკრულებო კრედიტორების რიგს მიეკუთვნება.

მხედველობაში ჰქონდა რა საგადასახადო ვალდებულებების არანებაყოფლობითი ხასიათი, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა, რომ ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებს შეუძლიათ მიუთითონ ლეგიტიმურ საჯარო ინტერესზე, როცა ისინი იყენებენ განსაკუთრებულ ზომებს მათი საგადასახადო მოთხოვნების აღსასრულებლად შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე იურიდიული პირებთან მიმართებაში დამატებითი გარანტიების შექმნით. იმავე მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა გერმანიის ფედერალური საგადასახადო სასამართლოც, როდესაც დაადასტურა, რომ საგადასახადო ვალდებულებების აღსრულებისათვის გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება გერმანიის საკონსტიტუციო სამართლით განმტკიცებულ თანასწორობის პრინციპს.

მრავალ ქვეყანაში ასეთი დამატებითი ღონისძიების სახით გამოიყენება კომპანიის დირექტორებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, პარტნიორების პირდაპირი და უშუალო პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის, იმ შემთხვევაში თუ დადგენილია, რომ კომპანიას აღნიშნული ვალდებულებების შესრულება თავად არ შეუძლია.

საქართველოს კანონმდებლობა ასეთ პირდაპირ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს. თუმცა მეწარმეთა შესახებ კანონი ითვალისწინებს კონკრეტულ შემთხვევებს, როცა კომპანიის ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა შესაძლებელია კომპანიის დირექტორებსა და პარტნიორებსაც დაეკისროთ.

საწარმოს ვალდებულებებისათვის პარტნიორისა და დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის, ასევე, საკასაციო სამართალწარმოების ბუნების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს შემდეგზე:

ა. კომპანიის პარტნიორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი კომპანიის კრედიტორების წინაშე კომპანიის პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას ითვალისწინებს მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით, რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.

პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის აღნიშნული წესი გამომდინარეობს იმ დოქტრინიდან, რომელსაც სამეწარმეო სამართალში „კორპორატიული საფარველის გაჭოლის“ ან სხვაგვარად „გამჭოლი პასუხისმგებლობის“ დოქტრინა ეწოდება.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების საჭიროება, როგორც წესი, წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულება წარმოეშვა კომპანიას, მაგრამ იგი არ არის გადახდისუნარიანი. კრედიტორი, გადახდისუნარიანი პირის ძიებაში, უჩივის კომპანიის პარტნიორს და მიუთითებს, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო, ის პირადად აგებს პასუხს კომპანიის სახელით წარმოშობილი ვალდებულებებისათვის. ასეთ შემთხვევაში, როდესაც კომპანია გადახდისუნაროა და კრედიტორი ითხოვს გადახდას პარტნიორისაგან, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, ვალდებულების შეუსრულებლობით წარმოშობილი დანაკარგი მესამე პირს თუ პარტნიორს დააკისროს. ყოველ ასეთ შემთხვევაში შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპის უპირობო გამოყენება გამოიწვევდა შედეგს, რომელიც ყოველთვის კრედიტორს აზარალებს.

„გამჭოლი პასუხისმგებლობის“ გამოყენების საფუძველები პირველად განმარტებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების მიერ. აღნიშნული განმარტების მიხედვით, გამჭოლი პასუხისმგებლო-

ბა გამოიყენება, როდესაც პარტნიორის მხრიდან ადგილი აქვს მოტყუებას, შეცდომაში შეყვანას ან მართლ-საწინააღმდეგო მოქმედებას (fraud, misrepresentation, illegality). მოგვიანებით სამოსამართლო სამართალი განეწესა აღნიშნულ თემაზე და გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძველად მიიჩნია ისეთი შემთხვევები, როცა კომპანია წარმოადგენს პარტნიორის ხელში „ინსტრუმენტს“, პარტნიორის „ალტერ ეგოს“ ან „ფიქციას“.[3]

გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული საფუძველია კომპანიის „არაადექვატური კაპიტალიზაცია“. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების მიზნებისათვის არაადექვატური კაპიტალიზაცია არ გულისხმობს კანონით დადგენილი მინიმალური კაპიტალის ქონას (მრავალ ქვეყანაში, საქართველოს ჩათვლით, ასეთი მოთხოვნა კომპანიების მიმართ აღარ არსებობს). არაადექვატურ კაპიტალიზაციაში იგულისხმება ის შემთხვევა, როცა კომპანიის კაპიტალი ძალიან მცირე ან შეუსაბამოა იმ კომპანიის საქმიანობის სახისათვის და იმ რისკების დასაზღვევად, რომელსაც კომპანიის ბიზნეს საქმიანობა წარმოშობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ იგულისხმება მოსალოდნელი ეკონომიკური საჭიროებები და არა ფორმალურ-სამართლებრივი მოთხოვნები. „არაადექვატური კაპიტალიზაციის“ ელემენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასახელშეკრულებო (არანებაყოფლობით) კრედიტორებთან მიმართებაში პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისას.

გამჭოლი პასუხისმგებლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“. ამ ელემენტის დარღვევაა როცა არ ხდება დირექტორებისა და პარტნიორების კრებების მოწვევა და/ან ჩატარება, როცა პარტნიორებისა და დირექტორების მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები არ არის ნათლად გამიჯნული, როცა ხდება პარტნიორებისა და კომპანიის ქონების აღრევა, როცა კომპანიის სახსრები გამოიყენება პარტნიორთა პირადი მიზნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნევა კომპანიის ხარჯებად ბუღალტრული ანგარიშგების წესების დარღვევით, ან როცა არ ხდება სათანადო ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.

საგადასახადო ვალდებულებების კონტექსტში გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როცა კომპანიის პარტნიორების საქმიანობა მიმართულია გადასახადებისაგან თავის არიდების სქემების შექმნისაკენ და კომპანია გამოიყენება, როგორც გადასახადებისაგან თავის არიდების „ინსტრუმენტი“.

როგორც უკვე აღნიშნა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი კომპანიის პარტნიორთა გამჭოლ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მაშინ, როდესაც ისინი ბოროტად იყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას.

საკასაციო პალატას მიჩნია, რომ აღნიშნული ნორმა ფართოდ განიმარტება და თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენებას (მაგ., კორპორაციის, როგორც მხოლოდ პარტნიორის მიზნის მისაღწევი „ინსტრუმენტის“ დანიშნულებით გამოყენება; „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“; კორპორაციის, როგორც პარტნიორის „ალტერ ეგოს“ არსებობა), არამედ თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებლობის ელემენტის, ბოროტად გამოყენებას, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მართლოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ:

პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენება სახეზეა, როცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი საზოგადოებაში უშუალოდ ხელმძღვანელობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისაგან თავის არიდებას, ანუ როცა საზოგადოება პარტნიორის მიერ გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით.

კომპანიის პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის ბოროტად გამოყენების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს.

მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ლ. ბ-ე და მ. ჭ-ე წარმოადგენდნენ საზოგადოების პარტნიორებს.

სააპელაციო სასამართლომ ლ. ბ-ისა და მ. ჭ-ის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლო განაჩენის საფუძველზე დაადგინა, რომ ლ. ბ-ემ და მ. ჭ-ემ განზრახ თავი აარიდეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით, კერძოდ 786 657 ლარის გადასახადების გადახდას.

აღნიშნული გარემოების დადგენისას სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹⁷-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 309²⁰-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოცემულ საქმეში მოპასუხეთა მიმართ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო განაჩენში აღნიშნული ფაქტები დადასტურებულად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რასაც ვერ დაეთანხმება საკასაციო სასამართლო. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაზე არ ვრცელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმები, რადგან მოცემულ საქმეში კომპანიის პარტნიორების პასუხისმგებლობის საფუძველია არა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი (დელიქტური ვალდებულება), არამედ ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმა – „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი. შესაბამისად, კომპანიის პარტნიორების მიმართ სისხლის სამართლის განაჩენის არსებობა საკმარისი არ არის მათთვის სადავო ვალდებულების უპირობოდ დაკისრებისათვის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლევის გარეშე არ შეიძლება ჩაითვალოს უტყუარად დამტკიცებულად. ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის სასამართლოს განაჩენი სამოქალაქო სამართალწარმოებისას წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ მტკიცებულებას და იგი საჭიროებს შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

ლ. ბ-ეს და მ. ჭ-ეს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები არ გაუსაჩივრებიათ, ამიტომ, ზემოაღნიშნული მსჯელობის მიუხედავად, საკასაციო სასამართლოსთვის მათ მიმართ სააპელაციო სასამართლოს მიერ სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დადგენილ ფაქტები სავალდებულოდ მიიჩნევა.

სასამართლოს განაჩენით კი, დადასტურებულია, რომ ლ. ბ-ე და მ. ჭ-ე იყვნენ შპს „ლ.-...“-ის დამფუძნებელი პარტნიორები. ლ. ბ-ე იმავდროულად ახორციელებდა საზოგადოების ხელმძღვანელობას (წარმოადგენდა საზოგადოების ერთადერთ დირექტორს), ხოლო მ. ჭ-ე იყო კომპანიის მიერ შემოტანილი საქონლის ექვედიტორ-რეალიზატორი. შპს „ლ.-...“-ის საქმიანობის საგანს წარმოადგენდა თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში სარეალიზაციოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემოტანა. კომპანიის მიერ შემოტანილი საქონლის რეალიზაციას და მომწოდებლებთან ძირითად მოლაპარაკებებს ახორციელებდა მ. ჭ-ე, რომელიც ამავედროულად კომპანიაში შემოსული ნავაჭრი თანხების მოძრაობის მაკონტროლებელი იყო. კომპანია არ აწარმოებდა ბუღალტრულ აღრიცხვას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, კომპანიის მიერ წარმოებული ბუღალტრული აღრიცხვა არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. საქონლის რეალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და რეალიზებული საქონელი არ შეესაბამებოდა სალარო აპარატში ამოჭრილ მონაცემებს. კომპანიის მიერ მითითებული საქონლის სარეალიზაციო ფასები აბსოლუტურად შეუსაბამო იყო ბაზარზე ჩამოყალიბებულ ფასებთან. კომპანიას არ ჰქონდა სრულად ასახული საქონელი. იქიდან გამომდინარე, რომ სარეალიზაციო ფასები არ შეესაბამებოდა რეალობას, ადგილი ჰქონდა შემოსავლის შემცირების ფაქტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. ბ-ის და მ. ჭ-ის ქმედებები წარმოადგენს პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებას და იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მათ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის.

ბ. კომპანიის დირექტორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი

დადგენილია, რომ კომპანიის ერთ-ერთი პარტნიორი ლ. ბ-ე ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის დირექტორს. აღნიშნული ფაქტისა და კომპანიის ვალდებულებებისათვის დირექტორის პირადი პასუხისმგებლობის საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია იმსჯელოს ასევე კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხზეც.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, კომპანიის დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ეწოდება ფიდეუციური მოვალეობები და რომლებიც, სხვასთან ერთად, მოიცავს დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის („ზრუნვის მოვალეობა“). აღნიშნული მოვალეობა ხშირ შემთხვევაში განმტკიცებულია როგორც კანონით, ისე კომპანიის წესდებით.

ძირითადი მიზანი, რომელიც მისაღწევადაც მიმართულია კომპანიის ხელმძღვანელთა საქმიანობა, არის მოგების მიღება. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პარტნიორების ძირითადი მიზანი, რის გამოც ისინი ახორციელებენ ინვესტიციებს კომპანიაში, არის საკუთარი ინვესტიციიდან სარგებლის მიღება, რაც გამოიხატება კომპანიის მომგებიანი საქმიანობის შედეგად დივიდენდების განაწილებაში. რაკი კომპანიას ეკისრება საგადასახადო ვალდებულებები, ზრუნვის მოვალეობა ამ ვალდებულებების მინიმიზაციას კომპანიის დირექტორთა საქმიანობის განუყოფელ ნაწილად აქცევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი გახდა მათი მხრიდან კომპანიის ოპერაციების ისე დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, რომ მიღწეულ იქნას მაქსიმალური საგადასახადო ოპტიმიზაცია. აღნიშნულიდან კი გამომდინარეობს კითხვა, რა მასშტაბით შეუძლია კომპანიის ხელმძღვანელს დასახოს და განახორციელოს საგადასახადო ოპტიმიზაციის გეგმები და სად გადის ზღვარი, რომლითაც განისაზღვრება ზრუნვის მოვალეობასთან დირექტორის ქცევის შესაბამისობა სამეწარმეო ურთიერთობების კონტექსტში.

ზრუნვის მოვალეობა მოითხოვს დირექტორისაგან მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიწვევს კომპანიის მოგების გაზრდას. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მატარებელიც და მცდარიც, თუმცა „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციიდან გამომდინარე, თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში საკმარისად მიაჩნდა, ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის კომპანიის დირექტორი დატყუილი პირადი პასუხისმგებლობისაგან.

თუმცა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების კონტექსტში ისმის კითხვა, შეიძლება თუ არ კომპანიის მომგებიანობის გაზრდის მიზნით მისი ხელმძღვანელი პირები ჩაერთონ ისეთ საქმიანობაში, რომელიც შედეგად იწვევს საწარმოს მიერ გადასახადების დამალვას, გადასახადებისაგან თავის არიდებას, მიუხედავად იმისა, რომ გადასახადებისაგან თავის არიდებით შესაძლებელია ყველაზე კარგად იქნას მიღწეული მთავარი მიზანი – კომპანიის მოგების გაზრდა. აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ცალსახად უარყოფითია. არსებობს ორი მიზეზი, რომლის გამოც ხელმძღვანელს არა აქვს მოვალეობა დაადგეს ამ გზას: პირველი, გადასახადებისათვის თავის არიდების სქემის განხორციელება იწვევს მისი განმხორციელებლების პირად სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას; მეორე, გადასახადებისათვის თავის არიდების ფინანსური შედეგები შესაძლებელია კატასტროფული აღმოჩნდეს კომპანიისათვის და „მართებული ბიზნეს გადაწყვეტილების“ მიღების სტანდარტი დირექტორს აკისრებს მოვალეობას არ ჩაერთოს გადასახადებისათვის თავის არიდების უკანონო სქემებში.

მართალია, არსებობს მოსაზრება, რომ გადასახადებისაგან თავის არიდების სქემების განხორციელება კომპანიის ხელმძღვანელებს აკისრებს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და, აღნიშნულიდან გამომდინარე, მათ კერძო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე კომპანიის წინაშე პასუხისმგებლობა არ უნდა ეკისრებოდეთ, მაგრამ უკანასკნელ ხანს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დანერგილი სამარ-

თლებრივი პრაქტიკის მიხედვით, კომპანიის ხელმძღვანელების მიერ სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ჩადენა, განსაკუთრებით კორუფციული ქმედებები, დირექტორთა საჯარო ვალდებულებებს, რომ იმოქმედონ კანონის ფარგლებში, გარდაქმნის კომპანიის წინაშე ზრუნვის მოვალეობის შემადგენელ შიდა ვალდებულებადაც[6]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომპანიის ხელმძღვანელებს აქვთ ვალდებულება გაზარდონ კომპანიის მოგება, მაგრამ ეს უნდა განახორციელონ მხოლოდ კანონით დადგენილი ქცევის წესის ფარგლებში.

მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შპს „ლ.-...“-ის პარტნიორი ლ. ბ-ე იმავდროულად წარმოადგენდა კომპანიის დირექტორს. ამიტომ საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კომპანიის გადასახადებისაგან თავის არიდებაში მონაწილეობით ლ. ბ-ემ, როგორც კომპანიის დირექტორმა დაარღვია ზრუნვის მოვალეობა კომპანიის წინაშე, რაც იწვევს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შედეგებს, კერძოდ, აღნიშნული მუხლის შესაბამისად, ზრუნვის მოვალეობის დარღვევით საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის დირექტორი პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

საზოგადოების უარი დირექტორის მიმართ რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე ან საზოგადოების კომპრომის ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. უფრო მეტიც, თუ ანაზღაურება აუცილებელია, საზოგადოების დირექტორის ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ის მოქმედებდა პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

ამრიგად, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად, საზოგადოება ვალდებულია მოითხოვოს ზრუნვის მოვალეობის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება დირექტორისაგან.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო მიერ დადგენილია, რომ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების შესრულების საშუალება კომპანიას არ გააჩნია.

ამგვარ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ: ა) საწარმოს გააჩნია საგადასახადო ვალდებულება; ბ) საწარმოს არ შესწევს ამ ვალდებულების გადახდის უნარი; გ) სახეზეა ისეთი ვითარება, როცა ანაზღაურება აუცილებელია სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის დასაკმაყოფილებლად, კომპანია ვალდებულია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება დირექტორისგან. მოცემულ შემთხვევაში კომპანიას ასეთი მოთხოვნა დირექტორის მიმართ არ დაუყენებია.

ასეთ პირობებში, „მეწარმეთა კანონის“ მე-9 მუხლის მე-6 პარაგრაფის შესაბამისად, კრედიტორი უფლებამოსილია მოთხოვოს საზოგადოებას დააყენოს დირექტორის მიმართ ანაზღაურების მოთხოვნა. იმავე კანონის ნორმებიდან გამომდინარე, საზოგადოების სახელით დირექტორის პასუხისმგებლობის მოთხოვნის უფლება აქვთ როგორც საზოგადოების სხვა დირექტორებს (დირექტორთა საბჭოს), ისე პარტნიორებსაც.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ საწარმოს ჰყავს სამი პარტნიორი, რომელთაგან ერთი იმავდროულად საწარმოს ერთადერთი დირექტორია, მეორე პარტნიორი კი თავად არის პასუხისმგებლობის ობიექტი.

ასეთ ვითარებაში სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს კითხვას, საწარმოსათვის მისი დირექტორის მიმართ პასუხისმგებლობის დაყენების მოთხოვნას კრედიტორის მხრიდან რაიმე შედეგი ექნება თუ არა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამკარაა, რომ საწარმოსათვის მისი დირექტორის მიმართ პასუხისმგებლობის დაყენების მოთხოვნას არავითარი შედეგი არ ექნება, შესაძლებელია კრედიტორმა უშუალოდ მოითხოვოს მის მიმართ საზოგადოების ვალდებულების ანაზღაურება საზოგადოების დირექტორისაგან. აღნიშნული გამომდინარეობს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შინაარსიდან, რომელიც საწარმოს უარს დირექტორისაგან რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე ბათილად მიიჩნევს თუ ასეთი ანაზღაურება საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად აუცილებელია. ამიტომ ასეთი აუცილებლობის არსებობის პირობებში, სახელმწიფოს, როგორც კრედიტორს უფლება უნდა მიენიჭოს უშუალოდ მოითხოვოს ანაზღაურება დირექტორისგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს საწარმოს ვალდებულებების მიმართ კომპანიის დირექტორის პასუხისმგებლობის სუბსიდიურობა, ე.ი. მის მი-

მართ კრედიტორის მხრიდან მოთხოვნა შესაძლებელია დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას კრედიტორის დაკმაყოფილების საშუალება არ გააჩნია.

გ. კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობის მოცულობა

კომპანიის კრედიტორის წინაშე პარტნიორებისა და დირექტორის ვალდებულების მოცულობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სსიპ შემოსავლების სამსახურის პოზიციას, რომ კომპანიის ძირითად საგადასახადო ვალდებულებასთან ერთად კომპანიის პარტნიორსა და დირექტორს ლ. ბ-ეს და პარტნიორს მ. ჭ-ეს უნდა დაეკისროთ საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებული საურავის გადახდის ვალდებულებაც შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან ანუ, პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთი და იმავე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არის მიმართული, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩება.

წარმოშობის საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ კანონისმიერ და სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს. კანონისმიერად ითვლება პირგასამტეხლო, რომელიც ნორმატიული აქტითაა დადგენილი. მაშასადამე, პირგასამტეხლოს კვალიფიკაციისათვის კანონისმიერ ან სახელშეკრულებო პირგასამტეხლოდ – გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ ვისი ნებით არის იგი წარმოშობილი (კანონმდებლის თუ მხარეთა შეთანხმებით).

კანონისმიერი პირგასამტეხლოს სახელშეკრულებო პირგასამტეხლოსაგან განმასხვავებელ ერთ-ერთ ძირითად ნიშნად მისი კონკრეტული ხასიათი გვევლინება. ყოველი ასეთი კანონისმიერი პირგასამტეხლო გათვალისწინებულია იმ კონკრეტული შემთხვევისათვის, რომლისთვისაც არის იგი დადგენილი კანონმდებლის მიერ. მეორე განმასხვავებელ ნიშნად, მისი განსაზღვრულობა გვევლინება – კანონმდებელი ყოველთვის ადგენს მის კონკრეტულ ოდენობას, ან წესს, რომლის მიხედვითაც უნდა იქნას იგი განსაზღვრული.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი შემთხვევის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრული კანონისმიერი პირგასამტეხლო, კერძოდ, აღნიშნული მუხლის განმარტების თანახმად, საგადასახადო სანქცია, რომელიც პირს ერიცხება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადაუხდელობისათვის (საურავი).

კომპანიის პარტნიორისა და დირექტორის ლ. ბ-ისა და პარტნიორის მ. ჭ-ის პასუხისმგებლობის ფორმასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის/კასატორის მსჯელობას, რომ კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობა კომპანიის ვალდებულებების მიმართ კომპანიასთან ერთად სოლიდარულია, რადგან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის შინაარსიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე კომპანიის ვალდებულებების მიმართ სუბსიდიურია, ხოლო ერთმანეთის მიმართ შესაძლებელია სოლიდარული იყოს.

განმარტების საგანი: დირექტორის პასუხისმგებლობა საზოგადოების ვალდებულებისთვის („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი)

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2013 წლის 25 იანვარს ტ. გ.-ესა და შპს „დ.-ს“ შორის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაიდო უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ნასყიდობის საგანი უნდა ყოფილიყო ქ.-ში, ჭ.-ის ქ.-ში მდებარე მშენებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მე-6 სართულზე მდებარე 59,80 კვ.მ №.. ბინა.

ამავე ხელშეკრულების თანახმად, ნასყიდობის თანხის პირველი შესატანის ოდენობა უნდა ყოფილიყო 9000 აშშ დოლარი, რომელიც მოსარჩელე ტ. გ.-ემ იმავე დღეს შპს „დ.-ის“ დირექტორ ი. დ.-ეს გადაუხადა.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მხარებს შორის საბოლოოდ წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება არ შედგა იმ მიზეზით, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ, 2013 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით, ტ. გ.-ეს უარი ეთქვა უფლების რეგისტრაციაზე, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილი უფლების საგანზე რეგისტრირებული იყო სხვა უფლება, რაც გამორიცხავდა უძრავ ნივთზე ქ.-ში, ჭ.-ის ქ. №...-ში მდებარე №.. ბინაზე ტ. გ.-ის უფლების რეგისტრაციას.

2014 წლის 30 მაისს, ერთი მხრივ, შპს „დ.-ის“ დირექტორ ი. დ.-ესა და, მეორეს მხრივ, ტ. გ.-ეს შორის შედგა №-- შეთანხმების ოქმი, რომლის თანახმად შპს „დ.-მა“ აღიარა, რომ მას გააჩნია ტ. გ.-ის დავალიანება 9000 აშშ დოლარის ოდენობით და აიღო ვალდებულება, აღნიშნული დავალიანება დაეფარა 2014 წლის 20 ივნისამდე, თუმცა ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ტ. გ.-ე სადავოდ ხდის ზემოაღნიშნული დავალიანების მხოლოდ შპს „დ.-ისათვის“ დაკისრების ფაქტს და მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 463-464-ე მუხლებისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს ვალდებულების შესრულება საზოგადოებისა და მისი დირექტორისათვის სოლიდარულად უნდა დაეკისრებინა.

სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია კასატორის პრეტენზია ი. დ.-ის, როგორც შპს „დ.-ის“ დირექტორის მიმართ იმასთან დაკავშირებით, რომ ამ უკანასკნელმა კეთილსინდისიერად არ შეასრულა თავისი მოვალეობა და საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხი უნდა აგოს სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ, საზოგადოების უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნებზე ან/და საზოგადოების კომპრომისი ბათილია, ვინაიდან ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორ ტ. გ.-ის, დასაკმაყოფილებლად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის განმარტებასთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილური პრაქტიკა, რომელსაც სავსებით შეესაბამება სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ აღნიშნული ნორმა ადგენს დირექტორის პასუხისმგებლობის წესს, თუმცა ნორმის შინაარსის შესაბამისად, კრედიტორის წინაშე საზოგადოების დირექტორის პასუხისმგებლობა დგება ისეთ შემთხვევაში, როდესაც: 1) დირექტორის ბრალეული მოქმედებით გამოწვეული ზიანისათვის კრედიტორის მიმართ საწარმოს გააჩნია ვალდებულება; 2) საწარმოს არ შესწევს ამ ვალდებულების შესრულების უნარი; 3) არსებობს ისეთი ვითარება, როცა ანაზღაურება აუცილებელია კრედიტორის დასაკმაყოფილებლად; 4) თავად საწარმო არ აყენებს დირექტორის მიმართ პასუხისმგებლობის მოთხოვნას.

მოსარჩელეს არ წარმოუდგენია ზემოაღნიშნული წინაპირობების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება, შესაბამისად, შპს „დ.-თან“ ერთად სოლიდარულად ი. დ.-ისათვის 9000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე კასატორის პრეტენზია დაუსაბუთებელია.

საქმე № ას-457-436-2015

6 ივნისი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ფიდუციური ვალდებულების დარღვევის გამო დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრაზე უფლებამოსილი პირი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, კომპანიის დირექტორს აკისრია განსაკუთრებული მოვალეობები კომპანიის წინაშე, რომლებსაც ეწოდება „ფიდუციური მოვალეობები“, და სხვასთან ერთად მოიცავს დირექტორის მოვალეობას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.

ფიდუციური მოვალეობები, კერძოდ, ზრუნვისა და ერთგულების მოვალეობა, დირექტორს გააჩნია საზოგადოების წინაშე, შესაბამისად, ამ მოვალეობების დარღვევისათვის მისი პასუხისმგებლობა დგება საზოგადოების, და არა საზოგადოების პარტნიორების ან რომელიმე პარტნიორის მიმართ. აღნიშნული გამომდინარეობს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის იმავე მე-9.6 მუხლიდან, რომლის შესაბამისადაც, დირექტორი საკუთარი მოვალეობების დარღვევისაგან წარმოშობილი ზიანისათვის პასუხს აგებს საზოგადოების წინაშე, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

შესაბამისად, თუ დირექტორის მიერ მისი მოვალეობების (ზრუნვის ან ერთგულების მოვალეობის) დარღვევის გამო კომპანიას ზიანი მიადგა, დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის უფლება აქვს, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულ კომპანიას. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ამ უფლებას არ გამოიყენებს, მაშინ კომპანიის სახელით და მის სასარგებლოდ სარჩელი შესაძლებელია აღძრას კომპანიის პარტნიორმაც, მათ შორის, უმცირესობაში მყოფმა პარტნიორმა („მეწარმეთა შესახებ“ კანონი, მუხლი 46.5), თუმცა ასეთი სარჩელის აღძვრისას, მან უნდა მიუთითოს დირექტორის ქმედებით კომპანიისათვის, და არა პირადად მისთვის, მიყენებულ ზიანზე.

მოცემულ შემთხვევაში, დირექტორის წინააღმდეგ პარტნიორმა სარჩელი აღძრა საკუთარი სახელით და მიუთითებდა უშუალოდ მის მიმართ მიყენებულ ზიანზე. პარტნიორი ზიანად მიიჩნევდა საწარმოს მიერ გაუცემელ დივიდენდს, რომელსაც, მისი მითითებით, საზოგადოების პარტნიორთა კრება გასცემდა დირექტორის მიერ სწორი ფინანსური დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში. ასეთი სახით, პარტნიორის მოთხოვნას დირექტორის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად, სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.

საქმე № ას-245-230-2014

23 ოქტომბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დირექტორის მიერ საზოგადოებისთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებულ დავებზე მტკიცების ტვირთის განაწილება

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას საზოგადოების მიერ სარჩელის საფუძვლიანობის დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებების გაქარწყლების ვალდებულება ეკისრება დირექტორს, რომელმაც უნდა დაადასტუროს, რომ მას არ მიუძღვის საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის დადგომაში ბრალი და, რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით. საკასაციო სასამართლოს მითითების შესაბამისად, მოპასუხემ უნდა გააქარწყლოს დირექტორის მიერ ვალდებულების კანონშეუსაბამოდ შესრულება, თუმცა ეს არ გამოირიცხავს მოსარჩელის ვალდებულებას, ადასტუროს მოთხოვნის მართებულობა. ამდენად, მტკიცების თვალსაზრისით, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე მოსარჩელე საზოგადოების ვალდებულებას წარმოადგენს ზიანის არსებობის ფაქტის დამტკიცება, მან უნდა მიუთითოს და წარადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს საწარმოს მატერიალური დანაკლისის ფაქტს, რომელიც დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგია, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობითი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებულია გააქარწყლოს ეს

გარემოება იმგვარად, რომ იგი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს და თუნდაც მატერიალური დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეს მდგომარეობა არ არის დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგი.

საქმე №ას-687-658-2016

06 ნოემბერი, 2018 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დერივაციული სარჩელის წარდგენა

დერივაციული სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე გამოდის საწარმოს წარმომადგენლად. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ არ განახორციელა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, პარტნიორს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება, პარტნიორის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში, არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ, ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. **სამეცნიერო დოქტრინაში ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომ თუ აქციონერი საერთო კრებას მიმართავს და მიიღებს უარს სარჩელის წარდგენაზე, ეს აქციონერს სარჩელის წარდგენის უფლებას შეიძლება საერთოდ ართმევდეს. ამიტომაც, საერთო კრებისათვის მიმართვა არ უნდა წარმოადგენდეს სარჩელის დასაშვებობის წინაპირობას, თუ მისთვის წინასწარ სავარაუდო იყო, რომ მას შედეგი არ მოჰყვება. მით უმეტეს, პრაქტიკულ განხორციელებას იქნება მოკლებული საზოგადოების მინორიტარ პარტნიორთა (უმცირესობა) უფლება დაიცვან საზოგადოების ინტერესები სასამართლოსადმი დერივაციული სარჩელის აღძვრით. განსახილველი სარჩელიც აღძრულია პირველი კომპანიის მინორიტარი პარტნიორის მიერ დირექტორების (თავდაპირველი მოპასუხე და მოპასუხე) მიმართ, დავის საგანზე, რომელიც შეეხება კომპანიისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას კომპანიისავე სასარგებლოდ. შესაბამისად, პირველი კასატორის პრეტენზია, რომ სარჩელის აღძვრამდე პროცედურული წესი არ ყოფილა დაცული, ზემოქმედებას ვერ იქონიებს პარტნიორის უფლებაზე დერივაციული სარჩელის აღძვრის თვალსაზრისით.**

საქმე № ას-457-436-2015

6 ივნისი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელებზე სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, საწარმოს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდის სახით განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც გულისხმობს როგორც დივიდენდის გაცემას არგაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების, ისე გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრის უფლებამოსილებასაც. ანალოგიური პრინციპია დადგენილი მოცემულ შემთხვევაში შპს „ს-ის“ წესდებითაც.

ამრიგად, როგორც კანონით, ისე კომპანიის წესდებით, გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრა წარმოადგენს სრულად პარტნიორთა კრების დისკრეციას. საწარმოს პარტნიორთა აღნიშნული დისკრეციის ფარგლებში კი სასამართლო შეიძლება შეიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელე პარტნიორთა კრების მხრიდან გასანაწილებელი დივიდენდის ოდენობის განსაზღვრისას საკუთარი უფლებამოსილების არამართლზომიერ გამოყენებაზე უთითებს, კერძოდ, მოსარჩელე პარტნიორი სარჩელში უნდა უთითებდეს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც სასამართლოს შეუქმნის საწარმოს პარტნიორთა კრების მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას არაკეთილსინდისიერი მოქმედების, მოტყუების ან პირადი დაინტერესების არსებობის ვარაუდის საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ დამატებითი დივიდენდის გაცემის თაობაზე სასამართლოში სარჩელის წარდგენამდე, შპს-ს ნებისმიერი პარტნიორი ვალდებულია აღნიშნული საკითხის განხილვა, უპირ-

ველეს ყოვლისა, მოსახოვოს პარტნიორთა კრებას. თუ დივიდენდის განაწილების საკითხის განსახილველად პარტნიორთა კრების მოწვევის შესახებ მისი მოთხოვნა საწარმოს მიერ არ კმაყოფილდება, პარტნიორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოთხოვნით, რომ სასამართლომ დაავალდებულოს კომპანია მოიწვიოს პარტნიორთა კრება.

საქმე №ას-201-201-2018

8 ოქტომბერი, 2018 წელი, თბილისი

განმარტების საგანი: საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შემთხვევაში უფლებების აღდგენის მატერიალურსამართლებივი საფუძვლის განსაზღვრა

სარჩელი ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ მოპასუხეებმა მოსარჩელე თავისი ნების საწინააღმდეგოდ გაიყვანეს საზოგადოების პარტნიორთა შემადგენლობიდან, რის თაობაზეც მისთვის უცნობი იყო. მოსარჩელემ მოგვიანებით გაარკვია, რომ იგი გაურიცხავთ საზოგადოების პარტნიორობიდან 1996 წლის 15 მარტის კრების N2 ოქმით, რომელიც გაყალბებულია, მოსარჩელე კრებას არ ესწრებოდა, მისთვის ოქმი არავის გაუცვნია და არც თავისი ხელმოწერით არ დაუდასტურებია მისი შინაარსი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ იმ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს, საზოგადოების კაპიტალის 20% წილის მესაკუთრედ ცნობა, ითვალისწინებს როგორც დელიქტური სამართლის, ისე – უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები. იმის გათვალისწინებით, რომ კონდიქციიდან გამომდინარე მოთხოვნები სუბსიდიური ხასიათისაა, ისინი ბოლოს მოწმდება, კერძოდ, თუ სხვა სამართლებრივი საფუძვლით სარჩელი წარუმატებელი იქნება, დამატებით მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შემოწმდეს მისი საფუძვლიანობა კონდიქციური სამართლის ნორმების შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ, პირველ რიგში, სარჩელის საფუძვლიანობა დელიქტური ნორმების საფუძველზე უნდა შემოწმდეს, კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მოთხოვნის საფუძვლიანობა სააპელაციო სასამართლოს სსკ-ის 992-ე, 998-ე და 408.1 მუხლებზე დაყრდნობით უნდა ეკვლია და ამ ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებები დაედგინა.

კასატორი (მოსარჩელე) სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასაც აკრიტიკებს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხანდაზმულობა წარმოშობილი და გაუქმრწყლებელი (შეუწყვეტელი) მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებაა, ამიტომ სასამართლოს ჯერ უნდა შეემოწმებინა მოთხოვნის წარმოშობის სამართლებრივი წანამძღვრები და ამის შემდეგ ემსჯელა ხანდაზმულობაზე. აღნიშნული განპირობებულია იმითაც, რომ, თითოეული მოთხოვნა, სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით, მისთვის განსაზღვრულ ხანდაზმულობის ვადას ექვემდებარება.

სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის ხანდაზმულობის შესამოწმებლად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 15.1 მუხლით (*ამ კანონის მიხედვით პრეტენზიების ხანდაზმულობის მოგადი ვადა არის ხუთი წელი, რომელიც აითვლება მათი წარმოშობიდან, თუ კანონი სხვა რამეს არ განსაზღვრავს*) იხელმძღვანელა, რომელიც აწესებს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას, რის გამოც მითითებული კანონიდან წარმოშობილი პრეტენზიის (მოთხოვნის) განხორციელების ვადა 5 წელია, თუმცა ნორმა აზუსტებს, რომ ის გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით ამ თუ იმ მოთხოვნის განხორციელების სპეციალური ვადა ან მისი ათვლის განსხვავებული წესი არ არის განსაზღვრული. ამდენად, ხანდაზმულობის მარეგულირებელი სხვა ნორმა, შესაძლოა, უფრო სპეციალური იყოს მოთხოვნის საფუძვლიდან გამომდინარე, ვიდრე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მითითებული ნორმა.

პალატა განმარტავს, რომ დელიქტური სამართლის ნორმების გამოყენებისას, მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოება სსკ-ის 1008-ე (*დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ*) მუხლით დადგენილი წესით უნდა შემოწმდეს, კერძოდ, პარტნიორის საზოგადოებიდან უკანონო გარიცხვა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე უფლების დარღვევაა, მაგრამ იმ შედეგს, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს, საზოგადოების

20% წილის მესაკუთრედ ცნობას, ითვალისწინებს სსკ-ის 992-ე მუხლი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ხანდაზმულობისათვის უპირატესად გამოსაყენებელი ნორმა სსკ-ის 1008-ე მუხლი იქნება, მისი, ამ შემთხვევაში, სპეციალურობიდან გამომდინარე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ხანდაზმულობის ვადასთან შედარებით. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მიზანშეწონილია ნორმათა ერთობლიობის დაცვითი ფუნქციისა და მიზნებიდან გამომდინარე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც პარტნიორის გარიცხვის მოთხოვნით საწარმოს მიერ აღძრულ სარჩელზე გამოიყენება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით დადგენილი სპეციალური ვადა, განსხვავდება მოცემული შემთხვევისაგან, რაც განპირობებულია იმით, რომ, როგორც აღინიშნა, ამ შემთხვევაში უფლება, რომელიც დაირღვა, სამეწარმეო სამართლიდან გამომდინარეობს, თუმცა დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი დელიქტური სამართლის ნორმებია.

სსკ-ის 1008-ე მუხლი მოთხოვნის წარმოშობის მომენტის განსაზღვრის ზოგადი წესისაგან განსხვავებულ წინაპირობას განამტკიცებს. სსკ-ის 130-ე მუხლი (*ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ*) ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისის სუბიექტური ფაქტორის განსაზღვრისას პოზიტიურ ცოდნასთან ერთად ბრალეულ არცოდნასაც ითვალისწინებს – დრო, როდესაც უფლებამოსილი პირისათვის უფლების დარღვევის შესახებ ცნობილი გახდა ან გარემოებათა გათვალისწინებით უფლების დარღვევის ფაქტი უნდა შეეტყო. სსკ-ის 1008-ე მუხლი კი, მხოლოდ პოზიტიურ ცოდნაზე უთითებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნის წარმოშობის მომენტის განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, დადგინდება პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის თუ თავისი ნებით გასვლის წინაპირობები.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მოთხოვნა წარმოშობილია და არ შეწყვეტილია, მან უნდა იმსჯელოს რამდენად განხორციელებადია ის. ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტისას, სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ უფლების დარღვევის დაგვიანებით შეტყობის შესახებ მტკიცების ტვირთი უფლებადარღვეულ პირს ეკისრება. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცებით, მან 2008 წელს შეიტყო მისი საზოგადოებიდან გარიცხვის თაობაზე, რასაც, მისი მოსაზრებით, ადასტურებს ის გარემოება, რომ, დივიდენდის გაცემაზე უარის თქმის შემდეგ, საზოგადოების დირექტორის მიმართ პარტნიორთა კრების მოწვევის წერილობით მოთხოვნაზე 25.02.2008 წელს მიიღო პასუხი, რომ იგი აღარ იყო საზოგადოების პარტნიორი. სწორედ ამის შემდეგ სამეწარმეო რეესტრის მეშვეობით გაარკვია, რომ 1996 წელს იგი გაურიცხავთ საზოგადოების პარტნიორობიდან. მოპასუხის შედავებაზე კი, რომ ამდენი წელი მოსარჩელე საწარმოს მართვაში არ მონაწილეობდა და მას არც დივიდენდი არ მიუღია, მოსარჩელე უთითებს სადავო პერიოდში (1996-2007 წლებში) საწარმოში დივიდენდის საერთოდ გაუნაწილებლობის შესახებ, შესაბამისად, ის არცერთ პარტნიორს არ მიუღია. ვინაიდან დადგენილია და მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ 1996-2007 წლებში საწარმოში დივიდენდი მართლაც არ განაწილებულა, პალატა სარწმუნოდ მიიჩნევს მოსარჩელის განმარტებას, რომ იგი საწარმოს 2008 წლამდეც მიმართავდა დივიდენდის გაცემის მოთხოვნით, თუმცა, რეალური ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, უარყოფით პასუხს იღებდა.

ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, იმ გარემოების დამტკიცების ტვირთი, რომ მოსარჩელემ უფლების დარღვევის თაობაზე 2008 წლამდე შეიტყო, მოპასუხეს ეკისრება.

11. სამოქალაქო პროცესი

საქმე №ას-665-621-2017

11 ოქტომბერი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საგნობრივი განსჯადობა

ვ-ლეს 2010 წლის 12 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის №1/ბ-693-10 განაჩენით საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა და დაეკისრა ჯარიმა 600 000 ლარი.

დაკისრებული ჯარიმა მსჯავრდებულმა 2010 წლის 13 აგვისტოს №44504 საგადახდო დავალებით გადაიხადა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აგვისტოს განაჩენით, რომელიც დადგენილ იქნა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, დაკმაყოფილდა მსჯავრდებულის შუამდგომლობა და შთანთქმის პრინციპის გამოყენებით საბოლოოდ მსჯავრდებულს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 28 მარტის განაჩენით, მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 აგვისტოს განაჩენი მსჯავრდებულის მიმართ დარჩა უცვლელი. ამავ განაჩენით უარი ეთქვა მსჯავრდებულს გადახდილი ჯარიმის დაბრუნებაზე, იმ დასაბუთებით, რომ კანონიერი საფუძვლების შესაბამისად გადახდილი ჯარიმის მსჯავრდებულისათვის დაბრუნების მექანიზმს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (შემდეგში: მოპასუხე ან სამინისტრო) წინააღმდეგ და მოითხოვა 2010 წლის 13 აგვისტოს №44504 საგადახდო დავალებით სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი 600 000 ლარის უკან დაბრუნება.

განსახილველ შემთხვევაში, იმგვარი მოცემულობა, რომ მოსარჩელემ უფლების დასაცავად აღძრა სამოქალაქო სარჩელი, ხოლო სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას იხელმძღვანელა სსკ-ის 976-ე-991-ე მუხლებით, ვერ გახდება დავის სამოქალაქო წესით განსჯადად მიჩნევის საფუძველი.

მოცემულ საქმეზე დავის კატეგორიის დადგენისათვის საჭიროა ზუსტად განისაზღვროს მომდინარეობს თუ არა დავის საგანი ადმინისტრაციული სამართლიდან (იხ., სუსგ №ას-292-279-2015, 30 ოქტომბერი, 2015 წელი).

განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ თანხა, რომლის დაკისრებასაც მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხეზე გადახდილი იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში კანონიერ ძალაში შესული განაჩენის აღსრულების მიზნით (ჯარიმის თანხა). შესაბამისად, მოცემული დავა მატერიალური თვალსაზრისით, კერძო-სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით შემოწმებას ექვემდებარება სწორედ ადმინისტრაციული წესით. სარჩელის სამართლებრივი საფუძველი თანხის უკან დაბრუნების შესახებ არ გამომდინარეობს სამოქალაქო კანონმდებლობიდან, რამდენადაც შესამოწმებელია განაჩენის აღსრულების საკითხი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს სამოქალაქო კანონმდებლობასთან.

საქმე №ას-419-402-2016

28 ივლისი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა დამოუკიდებელი სარჩელით

მოცემულ შემთხვევაში, კასატორი საკასაციო საჩივრით ადვოკატის ხარჯის მოთხოვნას დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით იმ გარემოებით ამართლებს, რომ დავალების ხელშეკრულების შინაარსის თანახმად, მხარეები იმთავითვე შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურების გაწევის საფასურის დავის დასრულების შემდგომ გადახდაზე, რის გამოც კასატორი მოკლებული იყო შესაძლებლობას, ძირითადი დავის პროცესში მოეთხოვა სასამართლოს გარეშე ხარჯის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას და მიუთითებს, რომ კასატორის არგუმენტაცია ვერ უზრუნველყოფს იმ სამართლებრივი შედეგის

მიღწევას, რაც მხარის იურიდიულ ინტერესშია. კასატორი თავადვე მიუთითებს საკასაციო საჩივარში, რომ მოსარჩელე მოქმედებდა დავალების ხელშეკრულების ფარგლებში და მათ იურიდიული მომსახურების გაწევამ შეთანხმებისთანავე განსაზღვრეს თანხის გადახდის წესი. თავისთავად, ცხადია, რომ წინასწარვე იყო განსაზღვრული დავალების ხელშეკრულების არსებითი პირობაც – გაწეული მომსახურების საფასური. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იურიდიული მომსახურების ხარჯის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლიანობისთვის განმსაზღვრელია არა გადახდის წესი, ანუ, თუ როდის გადაიხდიდა მოსარჩელე ამ თანხას – დავის დასაწყისში, მის დასრულებამდე თუ დასრულების შემდგომ, არამედ – როდის გამოხატა ნება შესაბამისი იურიდიული ინტერესის მქონე პირმა, რომლისთვისაც იმთავითვე ცნობილი იყო ამგვარი ხარჯის გაწევის აუცილებლობის თაობაზე. კონკრეტულ შემთხვევაში უდავოა, რომ მოსარჩელე, რომელიც მოქმედებდა ადვოკატთან დადებული ზეპირი დავალების ხელშეკრულებით, ინფორმირებული იყო სასამართლოს გარეშე ხარჯის არსებობის თაობაზე, თუმცა მას დავის მიმდინარეობის განმავლობაში სასამართლოს წინაშე არ გამოუხატავს ნება, მის მიერ გასაწევი სასამართლოს გარეშე ხარჯის წაგებული მხარისათვის დაკისრების თაობაზე. სასამართლო კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს გარეშე ხარჯს მოწინააღმდეგე მხარეს მხოლოდ დაინტერესებული პირის ამგვარი ქმედებისადმი შესატყვისი ნების გამოხატვის შემთხვევაში აკისრებს.

საპროცესო ხარჯების დაკისრების წესის მარეგულირებელი ნორმათა ანალიზი, ასევე საკასაციო სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა, ქმნის ცალსახა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იმის თაობაზე, რომ **დაინტერესებულ მხარეს აქვს სრული შესაძლებლობა, ისარგებლოს ზემოხსენებული საპროცესო მექანიზმებით და მოითხოვოს საქმის განხილვასთან დაკავშირებით მის მიერ გაწეული პროცესის ხარჯების ანაზღაურება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ ისარგებლებს ამ შესაძლებლობით, იგი კარგავს პროცესის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, ვინაიდან ასეთ მოთხოვნას მატერიალურსამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი სარჩელის დავის საგანი.**

საქმე №ას-734-702-2016

20 იანვარი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასამართლოსგარეშე ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა ზედა ინსტანციის სასამართლოში

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს საკასაციო პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო პალატას არ უმსჯელია მოწინააღმდეგე მხარის მიერ გაღებული იურიდიული მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი მტკიცებულებების საქმისათვის დართვის თაობაზე, ისე მიიღო იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც, თავის მხრივ, არ წარმოადგენს მასში მითითებული საზღაურის რეალურად ანაზღაურების დამადასტურებელ დოკუმენტს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იურიდიული მომსახურების ხარჯი მხარეს შეიძლება წარმოემვას საქმის ნებისმიერი ინსტანციის წესით განხილვისას, შესაბამისად, მას უფლება აქვს, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ისე, ხარჯის გაზრდის შემთხვევაში, ზემდგომ სასამართლოებში მოითხოვოს შესაბამისი ინსტანციისათვის გაწეული მომსახურების ანაზღაურება, თავის მხრივ, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ **სასამართლოსგარეშე ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარმოადგენს დავის მატერიალური მოთხოვნის მიმართ გავლენის მქონე მტკიცებულებას და მასზე არ შეიძლება გავრცელდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლით გათვალისწინებული ახალი მტკიცებულების დასაშვებობის რეგულაცია, რადგანაც ზემდგომი სასამართლოს მხრიდან იურიდიული მომსახურების ხარჯის გაწევის დამადასტურებელი ხელშეკრულების მიღება არ იწვევს ამავე კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებული შევიბრებილობის პრინციპის დარღვევას.**

საქმე №ას-930-888-2013

19 ივნისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სხდომაზე არასაპატიოდ გამოუცხადებლობის შედეგების განმარტება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი)

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 22 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2013 წლის 7 თებერვლის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია, რომ მას უწყება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით არ ჩაჰბარებია და დაასკვნა, რომ მოსარჩელეს კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული რწმუნებულების მიხედვით, მოსარჩელეს წარმომადგენელზე უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით ჰქონდა მინიჭებული. სასამართლოსათვის ცნობილი არ იყო, რომ ამ უკანასკნელს შეწყვეტილი ჰქონდა წარმომადგენლობის უფლებამოსილება. ამის შესახებ სასამართლოსათვის არ უცნობებია არც მოსარჩელე მხარეს და არც მის წარმომადგენელს, მათ შორის არც სატელეფონო შეტყობინების ჩაბარებისას.

სატელეფონო შეტყობინების ჩანაწერის შინაარსით კი დგინდებოდა, რომ მოსარჩელის წარმომადგენლისათვის ცნობილი იყო, რომელი დავის თაობაზე ბარდებოდა სასამართლო უწყება, რომელ მხარეებს შორის იყო დავა და რომელ სასამართლოში უნდა გამოცხადებულიყო. შესაბამისად, პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია, რომ სასამართლოს მოხელემ არასრულად და კანონის მოთხოვნათა დარღვევით ჩააბარა სასამართლო უწყება.

რაც შეეხება გამოუცხადებლობის შედეგების თაობაზე გაუფრთხილებლობას, სასამართლომ გაითვალისწინა როგორც სატელეფონო შეტყობინების შინაარსი, ასევე – ის გარემოება, რომ ადრესატი იყო ადვოკატი, იურიდიული განათლების მქონე პირი, რომლისთვისაც კარგად იყო ცნობილი სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შედეგები.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ამ მსჯელობას და განმარტავს, რომ საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა ან განსხვავებული ინტერპრეტაცია არც სასამართლოს და არც მხარეთა შეხედულებაზე არაა დამოკიდებული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარისა და ადვოკატისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების განსხვავებულ წესს არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ნორმის განმარტება იმგვარად, რომ ადვოკატმა ისედაც იცის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები და აღარ უნდა ეცნობოს, არ არის მართებული. საპროცესო ნორმის ამგვარი ინტერპრეტაცია არასწორია იმიტომაც, რომ ის მძიმე ტვირთად დააწებოდა თავად მხარეს. **მხარეებს, ისევე, როგორც მათ წარმომადგენლებს, უწყება უნდა ჩაბარდეთ დადგენილი ფორმით, რა დროსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სიზუსტეს. სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს რამდენად სწორად არის წერილობითი ფორმით შედგენილი თუ ტელეფონით გადაცემული უწყება ჩაბარებული, ანუ რამდენად შეესაბამება უწყების შინაარსი სსსკ-ის 72.1 მუხლის მოთხოვნებს.**

საქმე №ას-214-199-2014

8 აპრილი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უცხო ქვეყნის მოქალაქის საქმის განხილვაზე მოწვევის წესი

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ დ.ტ.ის რეგისტრაციის მისამართია რუსეთის ფედერაცია, ქ.მოსკოვის ოლქი.

აპელანტი სადავოდ ხდიდა იმ გარემოებას, რომ მოპასუხე დ.ტ. დადგენილი წესით არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე, რაც ქვემდგომმა სასამართლომ არ გაიზიარა და ჩათვალა, რომ დ.ტ.ის მიმართ გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში იყო შესული, კერძოდ, პალატამ საქმის მასალებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გზავნილი დ.ტ.ს რამდენჯერმე გაეგზავნა რეგისტ-

რაციის მისამართზე, თუმცა ვერ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ეს უკანასკნელი იქ არ ცხოვრობდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად კი, რუსეთის ფედერაციაში მოსკოვის ოლქში, ტალდომსკის რაიონში გავრცელებულ გაზეთ „...“ 2013 წლის 3 ოქტომბერს გამოქვეყნებული საქალაქო სასამართლოს საჯარო შეტყობინება ამავე წლის 10 ოქტომბერს ადრესატისათვის ჩაბარებულად მიიჩნია.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული განჩინების ამ დასკვნებს და მიუთითებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით განმტკიცებულ იერარქიის პრინციპზე. მითითებული კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

პალატა მიუთითებს „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1993 წლის 22 იანვრის მინსკის კონვენციაზე, რომლის ხელშემკვრელ მხარესაც წარმოადგენს როგორც საქართველო, ისე რუსეთის ფედერაცია. მითითებული კონვენციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქენი, აგრეთვე მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირნი, სარგებლობენ ყველა სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე თავის პირად და ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით ისეთი სამართლებრივი დაცვით, როგორც ხელშემკვრელი მხარის საკუთარი მოქალაქენი. კონვენციის ფარგლებში ხელშემკვრელ მხარეებს ნაკისრი აქვთ ვალდებულება, პირისათვის დოკუმენტის გადაცემის, ასევე მისამართისა და სხვა მონაცემთა დადგენის თაობაზე, კერძოდ, კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, იუსტიციის დაწესებულება, რომელსაც მოთხოვნა წაუყენეს, დოკუმენტს გადასცემს ამ სახელმწიფოში მოქმედი წესის შესაბამისად, ხოლო მე-2 პუნქტით განსაზღვრულია შემდეგი: თუ დოკუმენტის გადაცემა დავალებაში მითითებული მისამართით შეუძლებელია, იუსტიციის დაწესებულება, რომელსაც მოთხოვნა წაუყენეს, თავის ინიციატივით იღებს აუცილებელ ზომებს მისამართის დასადგენად. საყურადღებოა ასევე კონვენციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის დათქმა, იმის შესახებ, რომ ხელშემკვრელი მხარეები თავიანთ კანონმდებლობათა შესაბამისად, თხოვნის საფუძველზე ეხმარებიან ერთმანეთს იმ პირთა მისამართების დადგენაში, რომლებიც ცხოვრობენ მათ ტერიტორიაზე, თუ ეს საჭიროა მათი მოქალაქეების უფლებათა განხორციელებისათვის, ამასთან, მომთხოვნი ხელშემკვრელი მხარე ატყობინებს მეორე მხარეს მის ხელთ არსებულ მონაცემებს თხოვნაში მითითებული პირის მისამართის დასადგენად.

კონვენციით განსაზღვრული ზემოაღნიშნული დებულებების შესაბამისად, **საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავის განხილვაში რუსეთის ფედერაციის მოქალაქე მოპასუხის მოწვევისათვის, რომელსაც ქონება საქართველოს ტერიტორიაზე აქვს და ედავებიან უფლებაში, გამოყენებული უნდა ყოფილიყო არა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავის დებულებანი, კონკრეტულად კი, საჯარო შეტყობინების მომწესრიგებელი ნორმა, არამედ, ადრესატისათვის ფოსტით შეტყობინების გადაცემის შეუძლებლობის გამო, მისი მოწვევა უნდა განხორციელებულიყო საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული მხარის დაბარების ყველაზე ოპტიმალური საშუალების გამოყენებით, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელებული საჯარო შეტყობინება, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, დ.ტ.ის მიმართ სამართლებრივი შედეგის მომტანად ვერ იქნება მიჩნეული.**

უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ სასამართლო შეტყობინების განხორციელების თაობაზე, თავის ერთ-ერთ განჩინებაში საკასაციო პალატამ არ ჩათვალა მხარე ინფორმირებულად, როდესაც მას ერთი ქვეყნიდან ეგზავნებოდა სასამართლო შეტყობინება გამომგზავნისათვის ცნობილ მისამართზე გზავნილში დასახელებულ მისამართზე ადრესატის არყოფნის გამო. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება ადრესატისათვის კორექსონდენციის უშუალოდ ჩაბარება, საქმის განმხილველ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სახელმწიფოთა შორის სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი

დახმარების შესახებ გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით. ამ წესის დარღვევის გამო, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ არ მომხდარა პროცესის თაობაზე მხარის დადგენილი წესით ინფორმირება (იხ. სუსგ Nა-2257-შ-73-09, 2 მარტი, 2010 წელი).

საქმე №ას-557-528-2014

6 აპრილი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უწყების ჩაბარება ადრესატის ოჯახის წევრისთვის (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილი)

კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველად მიიჩნევს შემდეგს: სასამართლო შეტყობინების მიმღები პირი არის კასატორის ძმისშვილი და იგი ვერ იქნება მიჩნეული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის სუბიექტად; შესაგებლის წარდგენის დროისათვის კასატორი იყო ავად, მკურნალობდა ექიმის მეთვალყურეობის გარეშე და მას ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ გააჩნია; სასამართლომ არასწორად გაიზიარა სააპელაციო საჩივარში მითითებული 10 000 ლარის გადახდის ფაქტი, რადგანაც საქმეში მოპასუხეს არ წარმოდგენია ფულადი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, მატერიალური ნორმით დადგენილი რეგულაციიდან გამომდინარე კი, სასამართლო ვალდებული იყო თანხის გადახდის ფაქტი გამოეკვლია და ამგვარად დაედგინა სადავო გარემოება, შესაბამისად, აპელანტის მოთხოვნა იურიდიულად არ არის დადასტურებული; ამ დარღვევების გამო, სასამართლოს უარი უნდა ეთქვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე და დაენიშნა სხდომა.

საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ შპს „ტ.ე.ს.“ სააპელაციო საჩივარი 2014 წლის 10 თებერვლის განჩინებით მიიღო განსახილველად, განჩინების სარემოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტით აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს შესაგებლის წარდგენის საპროცესო ვადა განესაზღვრა 5 დღით, ხოლო მე-4 პუნქტი შეიცავს ამომწურავ განმარტებას შესაგებლის წარდგენის ვადის დარღვევის ნეგატიური შედეგების თაობაზე.

განჩინების შესაბამისად, საქმეში წარმოდგენილ გზავნილში, რომლითაც ნ.ა.ს. გაეგზავნა სააპელაციო საჩივარი, ზედმიწევნითაა ასახული სასამართლოს დავალება (შესაგებლის წარდგენის ვადა, მისი წარუდგენლობის შედეგები და სხვა).

საქმეში წარმოდგენილი საფოსტო შეტყობინების თანახმად, სარჩელში მოსარჩელის მიერვე მითითებულ მისამართზე კორესპოდენცია 2014 წლის 13 თებერვალს ჩაბარდა ადრესატის ძმისშვილ ს.ა.ს. მითითებული მიმღები პირის პირადი ნომერი, ხელმოწერა და აღნიშვნა – „ოჯახის წევრი“.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ ს.ა. არ არის მისი ოჯახის წევრი. ამ კუთხით პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაცხებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

მართალია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავი – სასამართლო შეტყობინება და დაბარება არ იძლევა განსაზღვრებას ამ თავის მიზნებისათვის თუ ვინ შეიძლება იქნას მიჩნეული ოჯახის წევრად, თუმცა, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ 70-78-ე მუხლების ერთობლივი ანალიზი იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ ოჯახის წევრად განიხილება ყველა ის პირი, ვინც ცხოვრებს მხარის მიერ მითითებულ საკუთარ მისამართზე. მისამართის მითითებისას რისკი იმისა, რომ შეიძლება შეტყობინება არაუფლებამოსილ პირს ჩაბარდეს, ეკისრება მისამართის მითითებელს, შესაბამისად, მასვე ევალება იმ გარემოების სარწმუნო მტკიცებულებებით დადასტურება, რომ შეტყობინების მიმღები არ არის მასთან მცხოვრები ის პირი, ვინც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავის მიზნებისათვის არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ოჯახის წევრად.

საქმე №ას-885-835-2015

11 მარტი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უწყების ჩაბარება ადრესატის ოჯახის წევრისთვის (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილი)

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ მისი წარმომადგენლისათვის გაგზავნილ სასამართლო უწყებაზე ხელმოწერი პირი არაა წარმომადგენლის დეიდაშვილი და, შესაბამისად, მისი ოჯახის წევრი. პალატა, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ აპელანტის წარმომადგენელს სასამართლო უწყება გაეგზავნა მის მიერ სარჩელში მითითებულ მისამართზე (ქ.ქუთაისი, გ.სააკაძის 1ი). სწორედ მითითებულ მისამართზე ეგზავნებოდა და ბარდებოდა მას ყველა სასამართლო გზავნილი. პალატა განმარტავს, რომ სსსკ-ის 74.1 მუხლის მიზნებისათვის, უნდა მივიჩნიოთ, რომ ნებისმიერი ქმედუნარიანი პირი, რომელიც მხარის მიერ მითითებულ მისამართზე უწყებას ჩაიბარებს, ამ უკანასკნელის ოჯახის წევრია. ასეთი ვარაუდის დაშვების გარეშე ამრი დაეკარგებოდა ზემოხსენებული ნორმის დანაწესს.

საქმე № ას-1082-1032-2014

30 ივლისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: უწყების ჩაბარება ორგანიზაციისთვის (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-8 ნაწილი)

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით ორგანიზაციისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. მოქალაქეს ან ორგანიზაციას სასამართლო უწყება შესაძლოა ასევე გადაეცეს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზავლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

დასახელებული ნორმის ანალიზით დასტურდება, რომ კანონმდებელი ორგანიზაციისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარების ნამდვილობას უკავშირებს ობიექტურ ფაქტორს. ნორმის ამ ნაწილით კანონმდებელი შეგნებულად არ აზუსტებს კონკრეტული პირის უფლებამოსილებას შეტყობინების ჩაბარებაზე და ალტერნატიულად ჩამოთვლის იმ პირთა ვინაობის ზოგად დასახელებას, რომელთაც უფლება აქვთ, შეტყობინება ჩააბარონ ორგანიზაციის სახელით. ამ პირთა წრეს განეკუთვნებიან: კანცელარია ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურული ერთეული ანდა პირი, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირი, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. უფლებამოსილ პირად გარდა ზემოაღნიშნულისა, შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი პირი, რომელიც რაიმე ფორმით იმყოფება შრომით ურთიერთობაში ორგანიზაციასთან. თავის მხრივ, შრომითი ურთიერთობა დამსაქმებლისა და დასაქმებულის იმგვარი ურთიერთობაა, რაც დასაქმებული პირის ნებისმიერ თანამდებობაზე მუშაობის მიუხედავად, ავალდებულებს მას კეთილსინდისიერად განახორციელოს ხელმძღვანელობისათვის შეტყობინების ჩაბარება. ნორმის ზემოაღნიშნული დანაწესის საპირისპიროდ განმარტება არ გამომდინარეობს სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპიდან.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ საფოსტო გზავნილი კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა და 2013 წლის 8 ნოემბერს ჩაბარდა კომპანიის უფლებამოსილ პირს – შპს „ა. ... ს-ის“ მთავარ გეოლოგს რ. ზ-ეს, რომელიც ორგანიზაციაში ახორციელებდა გეოლოგიურ საქმიანობას სხვადასხვა ტერიტორიაზე.

საკასაციო პალატის განმარტებით, მიუხედავად გზავნილის მიმღები პირის თანამდებობისა, ის ფაქტი, რომ მხარე შრომით ურთიერთობაში იმყოფება შპს „ა. ... ს-ის-თან“ (რაც კასატორს სადავოდ არ გაუხდია), სწორედ რომ რ. ზ-ის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის სუბიექტად მიჩნევის წინაპირობაა და სასამართლო შეტყობინების ჩაბარების ბარათზე ამ პირის მიერ ხელის მოწერა, სასამართლოს აძლევს

სრულ შესაძლებლობას, მხარე ჩათვალოს ინფორმირებულად და განახორციელოს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო გზავნილის ჩამბარებელი პირი – რ. ზ-ე, არ წარმოადგენდა გზავნილის ჩამბარებაზე უფლებამოსილ პირს, რადგან მას არ ჰქონდა კომპანიისაგან მინიჭებული უფლებამოსილება ჩამბარებინა სასამართლო აქტები, ვერ იქნება გაზიარებული.

საქმე №ას-1018-979-2016

21 აპრილი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების ძალა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

შპს „ა-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ჯ-ის“ მიმართ ზიანის (მიუღებელი შემოსავალი) ანაზღაურების მიზნით მოპასუხისათვის 1 058 816,34 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2002 წლის 2 აპრილს მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელეს მოპასუხის კომპანიაში უნდა შეექმნა კვების ბლოკი, ამ მიზნით მან შეიძინა და განათავსა ინვენტარი მოპასუხის ტერიტორიაზე. მომსახურების ყოველთვიური ღირებულება შეადგენდა 14 553 ლარს, ხოლო, დღგ-ს ჩათვლით – 17 172,54 ლარს. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ – 2005 წლის 31 დეკემბერს მოპასუხემ მოსარჩელეს არ დაუბრუნა ინვენტარი, რაც საბოლოოდ სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა კვების ბლოკის მოწყობისათვის შეძენილი ინვენტარის, დანადგარებისა და მოწყობილობების დაბრუნება ან მათი ღირებულების ანაზღაურება. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, 2011 წლის 21 თებერვალს მოპასუხემ მოსარჩელეს ჩაურიცხა კუთვნილი ქონების ღირებულების შესაბამისი თანხა, თუმცა, აუნაზღაურებელია ის ზიანი – მიუღებელი შემოსავალი, რომელსაც მოსარჩელე მიიღებდა 2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 8 აგვისტოს დასკვნით, მოპასუხის ქმედებით მიყენებული ზიანი 1 058 816,34 ლარს შეადგენს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მოცემული საქმე განხილულ იქნა ზემდგომი სასამართლოების მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და დადგინდა თანხის დაკისრების ფაქტობრივი საფუძვლის არსებობა, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აპრილის განჩინებით არ იქნა გაზიარებული, კერძოდ, საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

საქმის ხელახლა განხილვისას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით დანიშნა ექსპერტიზა, ხოლო, 2016 წლის 7 ივლისის საოქმო განჩინებით არ გაიზიარა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა ექსპერტიზის დასკვნის, როგორც კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საქმიდან ამორიცხვის თაობაზე, 2016 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით კი, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის სახით დაეკისრა 2 387 ლარის გადახდა. ზიანი, რაც შემოსავლის მიღების შეუძლებლობაში გამოიხატა. ეს ფაქტი სასამართლომ დაამყარა საკუთარი ინიციატივით ჩატარებულ საექსპერტო კვლევას და მოპასუხის შედავების გათვალისწინებით, ვინაიდან მოთხოვნა ნაწილობრივ იყო ხანდაზმული, სარჩელი მხოლოდ არახანდაზმული მოთხოვნის ნაწილში დააკმაყოფილა.

კასატორი (მოპასუხე) სადავოდ ხდის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივლისის საოქმო განჩინებას, რომლითაც მისი შუამდგომლობა სასამართლოს ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევისა და საქმიდან ამორიცხვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ, საკასაციო სამართლოს მიერ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემდგომ, 2015 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით, საკუთარი ინიციატივით დანიშნა ექსპერტიზა შემდეგი საკითხების დასადგენად:

- ა) მხარეთა შორის სადავო ნივთების გაქირავებით რა შემოსავალს მიიღებდა აპელანტი 2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე იმ დროს ბაზარზე არსებული ფასების გათვალისწინებით;
- ბ) იყო თუ არა შესაძლებელი, სადავო ნივთების კომერციული მიზნით ექსპლოატაცია 2002 წლის 2 აპრილიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე;
- გ) რა მოგებას იღებდა აპელანტი მას და მოპასუხეს შორის 2002 წლის 2 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში 2002 წლის 2 აპრილიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე კვებითი მომსახურების სადავო ინვენტარის გამოყენებით;
- დ) რა მოგებას მიიღებდა მოსარჩელე სადავო ინვენტარის გამოყენებით მსგავსი კვებითი მომსახურების გაწევის შედეგად 2006 წლის 6 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე ბაზარზე არსებული ფასების გათვალისწინებით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დემოკრატიული წესწყობილების უმთავრეს ამოცანას მართლმსაჯულების მხარეთა თანასწორობის საწყისზე განხორციელება წარმოადგენს, რაც სამართალში სამართლიანი სასამართლოს კონცეფციითაა დამკვიდრებული და იგი გარანტირებულია არა ერთი შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტით. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით აღიარებულია რა სასამართლო წესით უფლების დაცვის საყოველთაო პრინციპი, მისი კონკრეტული რეალიზაცია ასახულია საპროცესო კანონმდებლობაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 (1) მუხლი ადგენს სამართალწარმოების ისეთ ფუნდამენტურ პრინციპს, როგორცაა შეჯიბრებითობა და განსაზღვრავს, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამ წესისაგან გამონაკლისი (ნორმის მე-2 ნაწილი) გამართლებულია, თუ ეს შესაბამისი საპროცესო მოქმედების მარეგულირებელი ნორმითაა გათვალისწინებული, ასევე, მხარეთა თანასწორობის საყოველთაო უფლების დაცვის მიზანს ემსახურება. შეჯიბრებითობა, როგორც სამართლიანი სასამართლოს ქვაკუთხედი, არაერთ საპროცესო ნორმაშია გადმოცემული და იგი, ბუნებრივია, მათ შორის მტკიცების ტვირთზე ახდენს გავლენას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიარებულია რა ფაქტზე მიმთითებული მხარის ვალდებულება, წარადგინოს ამ ფაქტის დამადასტურებელი განკუთვნიანი მტკიცებულებები, სასამართლო არ არის უფლებამოსილი ჩაერთოს ამ პროცესში, რამეთუ აქსიომატურია, რომ მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები (იხ. სსსკ-ის 83-ე, ასევე, 103-ე მუხლები). როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს აქტიური როლი ამ თვალსაზრისით გამონაკლის შემთხვევაშია დასაშვები, მაგალითად, როდესაც მხარე თავად ვერ უზრუნველყოფს მტკიცებულების მოპოვებას და დასაბუთებულ შუამდგომლობას წარუდგენს საქმის განმხილველ შემადგენლობას (სსსკ-ის 103.2 მუხლი), ასევე, საოჯახო საქმეთა განხილვისას დამვებული ინკვიზიცია (სსსკ-ის 354.1 მუხლი) და სხვა, ამასთანავე, საგულისხმოა, რომ ამ დანაწესებით სარგებლობისას არ უნდა იქნას დარღვეული მხარეთა თანასწორობის სამართლიანი ბალანსი (სსსკ-ის მე-5 მუხლი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი ექსპერტის დასკვნას პროცესის მიზნებისათვის დასაშვებ მტკიცებულებათა ნუსხას მიაკუთვნებს, თუმცა, როგორც წესი, მისი მოპოვება და მტკიცების

საგანში შემავალი ფაქტის დადასტურება, მხარის ვალდებულებაა. კანონმდებლობა სასამართლოს ანიჭებს ასევე ექსპერტიზის დანიშვნის უფლებას საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, თუმცა, ეს უფლება არ არის შეუზღუდავი და მსგავსი საპროცესო მოქმედება ამავე კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 173-ე მუხლის მოთხოვნათა განუხრელად დაცვის გზით უნდა შესრულდეს, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ:

- ა) საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს არ გააჩნია სპეციალური ცოდნა და აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის/მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია;
- ბ) საქმეში არსებული ექსპერტის დასკვნა არ არის სრული ან გაურკვეველია და ამ დასკვნის არსებობა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის უმთავრესი წინაპირობაა;
- გ) სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, აგრეთვე თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელემ სარჩელს დაუროთო ექსპერტიზის დასკვნა, სადაც საუბარია 2006 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 21 თებერვლამდე მიუღებელ შემოსავალზე და კვლევის შედეგებს საფუძვლად უდევს მოსარჩელის მიერ სადავო ინვენტარის ქირავნობა-იჯარით გაცემის შედეგად მისაღები მოგების ანგარიში. ამ გამოანგარიშებას არ დაეთანხმა მოპასუხე და შესაგებლით სადავო გახადა ზიანის ოდენობა, ხოლო 2015 წლის 17 აპრილის განჩინებით საკასაციო პალატამ არ გაიზიარა ექსპერტიზის ხსენებული დასკვნა და აღნიშნა, რომ მოსარჩელის მტკიცების საგანში შედიოდა არა ზოგადად ინვენტარის ექსპლუატაციით (როგორცაა, მათ შორის გაქირავება), არამედ, სამეწარმეო ფარგლების გათვალისწინებით ქონების გამოყენების გზით შემოსავლის მიღების დადასტურება.

სააპელაციო პალატამ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ განჩინებით განსაზღვრა რა კვლევის საგანი, ერთ შემთხვევაში, ზემდგომი სასამართლოს მიერ უარყოფილი ფაქტების (იხ. ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილის 1.4.2. პუნქტის „ა“-„ბ“ ქვეპუნქტები), ხოლო, მეორე შემთხვევაში – მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულების საკუთარი ინიციატივით მოპოვებით, დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი და ამ დარღვევას შედეგად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა. თავად მტკიცებულების იურიდიულ ძალასთან მიმართებით პალატა ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მიიჩნევს, რომ მას, როგორც საპროცესო წესების დარღვევით მოპოვებულს, იურიდიული ძალა არ გააჩნია.

საქმე №ას-1155-1101-2014

4 მაისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: მტკიცებულებათა დასაშვებობა

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ მოსარჩელების მიერ მოპოვებული ფარული აუდიო ჩანაწერი მოცემულ საქმეში საპროცესო – სამართლებრივი თვალსაზრისით არ წარმოადგენს დასაშვებ მტკიცებულებას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ აკონკრეტებს, თუ რა სახით მოპოვებული მტკიცებულება ჩაითვლება კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებად, შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს მტკიცებულების მოპოვება ხომ არ ეწინააღმდეგება რაიმე კანონს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცულია სამართლებრივი სიკეთე – კომუნიკაციის თავისუფლება, რაც გულისხმობს კომუნიკაციის დაცვას გარეშე პირთა არასასურველი მონაწილეობისაგან. კომუნიკაციის თავისუფლება ინდივიდს აძლევს შესაძლებლობას, თავად განსაზღვროს კომუნიკაციის შინაარსი და პარტნიორი, რაც უზრუნველყოფს ადამიანის იმგვარ თავისუფალ თვითგამოსახვას, რომელიც თავისუფალია გარეშე წამკითხველისა და მარეგისტრირებელი სუბიექტის ჩარევით განპირობებული თავშეკავებისაგან.

აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულია არა მხოლოდ აზრის გამოხატვა, არამედ მისი ადრესატამდე მისვლა. შესაბამისად, აზრის თავისუფლება დაცული უნდა იყოს მესამე პირთა მხრიდან მისი შინაარსის გაცნობისაგან. ადამიანის უფლებები ირღვევა, როდესაც ინდივიდი ცხოვრობს იმის შეგრძნებით, რომ მისი ნებისმიერი სიტყვა, რაიმე, თუნდაც, გაუზარებელი და სპონტანური აზრის გამოხატვა, განვითარების პროცესში არსებული დიალოგისას გამოთქმული წინასწარი პოზიცია, ან რაიმე ფორმულირება, რომლის ნამდვილი შინაარსის გაგება მხოლოდ კონკრეტული სიტუაციის ცოდნის შემთხვევაშია შესაძლებელი, სხვა გარემოებებში და სხვა კონტექსტში შეიძლება იქნას გამოყენებული. ინდივიდმა კერძო საუბრები უნდა აწარმოოს იმის ეჭვისა და შიშის გარეშე, რომ საიდუმლო ჩანაწერს ვინმე მისი ნებართვის გარეშე და ნების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს.

კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულია კომუნიკაციის მონაწილე ყველა პარტნიორი, როგორც გარე, ასევე შიდა ჩარევისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულია არა მხოლოდ მესამე პირთა მეშვეობით განხორციელებული ჩარევა, არამედ, კომუნიკაციის ერთ-ერთი მონაწილის მხრიდან დანარჩენ მონაწილეთა თანხმობის გარეშე პირადი კომუნიკაციის განსაჯაროება.

განსახილველ შემთხვევაში, საქმე ეხება პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრების ფარულ აუდიოჩანაწერს. ვინაიდან საუბარი, მეორე მხარის ნებართვის გარეშე, ფარულად არის ჩაწერილი, ამიტომ იგი კანონდარღვევითაა მოპოვებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ჩანაწერი დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნას მიჩნეული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის კონტექსტში. მითითებული დასკვნის საფუძველს კი წარმოადგენს ის გარემოება, რომ პირადი საუბრის ფარული ჩაწერა, ხოლო შემდეგ სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენა, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობას, ასევე კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ეხება.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის N1165 რეზოლუციაში „Right to Privacy“ (1998) განმარტებულია, რომ „ევროპული კონვენციის მე-8 მუხლმა უნდა დაიცვას ინდივიდის პირადი ცხოვრება არა მარტო საჯარო ხელისუფლების, არამედ კერძო პირების მხრიდანაც“. თუმცა, იმის მიხედვით, პირადი ცხოვრების რომელ სფეროს შეეხება საქმე, დაცულობის ხარისხი განსხვავებულია. განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის ინტიმური სფერო, რომელიც აბსოლუტური დაცვით სარგებლობს. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება კერძო საუბარს, რომელიც კერძო სფეროს განეკუთვნება და რომელიც არ სარგებლობს აბსოლუტური პრივილეგიით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შეზღუდვა დასაშვებია, ანუ მასში ჩარევა შესაძლებელია საამისო დაცვის ღირსი ინტერესისა და კანონიერი მიზნის არსებობის პირობებში. შესაბამისად, კერძო სფეროში ჩარევის დროს, ჩარევა გამართლებული და დასაბუთებული უნდა იყოს უპირატესი საყოველთაო ინტერესის არსებობით, ანუ ჩარევის მართლზომიერების დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა ისეთი დაცვის ღირსი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე უფრო მაღლა დგას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალურთიერთობის ფარგლებში სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების დადასტურების მიზნით მტკიცებულების შესაქმნელად პირად სფეროში ჩარევა და ამით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის უფლების შეზღუდვა გამართლებული არ არის. ამგვარი დასკვნა, პირველ რიგში, გამომდინარეობს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან, რომე-

ლიც, თავის მხრივ, სამოქალაქო უფლება-მოვალეობების მიმართ გარკვეულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. სამოქალაქო უფლება-მოვალეობათა მატარებელი სუბიექტები თავისუფალნი არიან სამოქალაქო ურთიერთობებში, შესაბამისად, ისინი ვალდებული არიან, გამოიჩინონ შესაბამისი სამოქალაქო სამართლებრივი წინდახედულობა და მტკიცებულება პირთა თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობის ფარგლებში მოიპოვონ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მხარე სათანადოდ არ უზრუნველყოფს სამართალურთიერთობას მტკიცებულებებით, არ გულისხმობს იმას, რომ მას შემდგომ აღნიშნული მტკიცებულების შექმნის უფლება მეორე მხარის პირად ცხოვრებაში ჩარევის გზით წარმოეშობა. ამგვარი სახით მოპოვებულ მტკიცებულებათა ლეგიტიმაციის პირობებში მივიღებთ არა სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე დამყარებულ საზოგადოებას, არამედ კონსტიტუციურ ღირებულებათა დაუშვებელ ხელყოფას, რა დროსაც, განსაკუთრებით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობის უფლება იქნება შეზღუდული, რაც დაუშვებელია. **ამგვარი შეზღუდვა (ჩარევა) გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი თვითდახმარების ან „თვითდახმარებასთან მიახლოვებულ“ ფარგლებში მოქმედებს. მაგალითად, თუ ფარული ჩანაწერი ერთადერთი გზა საკუთარი უფლების დასაცავად, იმის გამო, რომ სხვაგვარად პირი საკუთარ უფლებას ვერ დაიცავს ან არსებობს რეალური საშიშროება ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების, ასეთ ვითარებაში ფარული ჩანაწერის გზით მტკიცებულების შექმნა დასაშვებია. ამდენად, თუ პირზე ხორციელდება ზეწოლა, მუქარა შანტაჟი, საკუთარი უფლებების დაუშვებელი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, კონსტიტუციურ ღირებულებათა მრავალმხრივი აწონ-დაწონვის შედეგად, შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს სხვის პირად სფეროში ჩარევა, თუმცა, აღნიშნული დაუშვებელია მაშინ, როდესაც სხვის პირად სფეროში ჩარევა თვითდახმარებას კი არ ემსახურება, არამედ მეორე მხარისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. პირად სფეროში ჩარევა კი საჭირო გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ უფლება-მოვალეობათა კრედიტორმა თავის დროზე არ იზრუნა შესაბამისი მტკიცებულების (ხელშეკრულების, ხელწერილის, და ა. შ.) შექმნაზე. ასეთ ვითარებაში, როდესაც გაუმართლებელია ჩარევა პირად სფეროში, ამგვარი გზით მოპოვებული მტკიცებულება, დაუშვებელი მტკიცებულებაა. მისი დაშვება შესაძლებელია მხოლოდ მეორე მხარის თანხმობით, ამასთან, თანხმობა უნდა ეხებოდეს არა მტკიცებულების ფორმალურ დასაშვებობას, არამედ იმას, რომ მტკიცებულების შინაარსი სასამართლომ გადაწყვეტილებას დაუდოს საფუძვლად. ამგვარი თანხმობის არარსებობის პირობებში, დაუშვებელია ფარულ ჩანაწერს გადაწყვეტილება დაეფუძნოს, მაშინაც კი, თუ ფარული ჩანაწერიდან უტყუარად დასტურდება ის გარემოება, რომლის დადასტურების მიზანსაც ფარული ჩაწერა (კერძო სფეროში ჩარევა) ემსახურებოდა.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო გარემოების დასადგენად ფარული აუდიო-ჩანაწერი, როგორც კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, არ შეიძლება იქნას გამოყენებული.

საქმე №ას-58-56-2016

26 თებერვალი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი)

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ პრეიუდიციული ძალის მატარებელი არ არის გადაწყვეტილების/განჩინების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ყველა გარემოება, ასევე, პრეიუდიციული ძალა არ ვრცელდება ამ ფაქტების სამართლებრივ შეფასებაზე. ეს საკითხი უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, სასამართლოს მიერ დადგენილი რომელი ფაქტები ამართლებს სარეზოლუციო ნაწილში ჩამოყალიბებულ დასკვნებს.

საქმე №ას-898-860-2014

9 ოქტომბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ექსპერტიზის დასკვნის შეფასება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლი)

განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 27 მაისის განჩინებით და-ნიშნა კალიგრაფიული ექსპერტიზა სადავო დოკუმენტებზე შპს „ჯ. ი. ჰ-ის“ დირექტორ მ. თ-ის ხელმოწე-რის არსებობა-არარსებობის ფაქტის დადგენის მიზნით. სსიპ „ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2013 წლის 1 აგვისტოს დასკვნის თანახმად, შეუძლებელი იყო დასკვნის გაცემა იმის თაობაზე, სადავო დოკუმენტებზე არსებული ხელმოწერები შესრულებული იყო თუ არა მ.თ-ის მიერ, გამოსაკვლევი ხელმოწერის მოკლე, მარტივი აგებულებისა და ინფორმაციული ნიშნების სიმცირის გამო. ამდენად, ხელმოწერის სიყალბე ექსპერტს არ დაუდგენია, შესაბამისად, სასამართლომ მართებუ-ლად შეაფასა სადავო მტკიცებულებები (ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი) საქმეში არსებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად.

საკასაციო პალატა იზიარებს ქვედგომი სასამართლოების შეფასებას, რომ ექსპერტის დასკვნით არ დას-ტურდებოდა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მ.თ-ს ხელი არ მოუწერია ხელშეკრულებასა და მიღე-ბა-ჩაბარების აქტზე და მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობდა, ამ თვალსაზრისით სასამართლოს მსჯელობა შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის მოთხოვნებს, ხოლო გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნები დამაჯერებელია და არ არსებობს კასატორის პრეტენზიათა გაზიარე-ბის წინაპირობები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც ექსპერტს ხელმოწერის ადრესატი-სათვის კუთვნილების საკითხი კატეგორიული დასკვნით არ უარუყვია, ეს გარემოება იძლევა მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პრეზუმფციის (გარაუდის) დაშვების საფუძველს, რომლის გაქარწყლებაც იმ მხარეს ეკისრება, რომლის წინააღმდეგაც მოქმედებს ეს გარაუდი, ამდენად, სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხემ ვერ წარადგინა ხელშეკრულების ნამდვილობის გამაბათილებელი მტკიცებულებები, არ ეწი-ნააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნებს და, კონკრეტულ შემთხვევაში, არც სასამართლოს წარმოუშობდა ვალდებულებას, დაენიშნა განმეორებითი ექსპერტიზა.

საქმე №ას-572-531-2017

15 ნოემბერი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელი ფულადი ვალდებულების ხანდაზმულად აღიარების შესახებ (სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი)

აღიარებითი სარჩელის ლეგალურ დეფინიციას შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსე-ბობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგე-ნის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყ-ვეტილებით მოხდეს. აღიარებითი სარჩელის დასაშვებობის საკითხთან მიმართებით, განსაკუთრებით მდიდა-რია საკასაციო სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკა: არაერთ დავაზე განიმარტა, რომ ამ კატეგორიის სარჩელი, ბუნებრივია, სრულად უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით გან-საზღვრულ ფორმალურ-შინაარსობრივ მოთხოვნებს, თუმცა, ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქ-ტით დაწესებულია დამატებითი მოთხოვნა ამ ტიპის სარჩელებისათვის – იურიდიული ინტერესი, რომელსაც სასამართლო სარჩელის დასაშვებობისას ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ამოწმებს, ხოლო, დაშვების შემთხვევაში, სწორედ ამ ინტერესის ნამდვილობაზე დამოკიდებული სარჩელის წარმატებულო-ბა. გასათვალისწინებელია, რომ დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემოწმება განეკუთვნება სამართლის საკითხს, რა დროსაც პასუხი უნდა გაეცეს მთავარ კითხვებს: აქვს მოსარჩელეს ნამდვილი იური-დიული ინტერესი დავის მიმართ? უზრუნველყოფს მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას?

იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის სუბიექტური ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას უნდა ემსახურებოდეს აღიარებითი სარჩელი. იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს განეკუთვნება შემდეგი: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილების შედეგად სრულად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა. აღიარებითი სარჩელის საფუძვლიანობის განხილვისას მნიშვნელოვანია, გაირკვეს, ხომ არ არსებობს მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობები, რადგან ამგვარი წინაპირობების არსებობისას, მოსარჩელე ვერ შეძლებს თავისი ნამდვილი მიზნის (უფლების დაცვის) აღიარებითი სარჩელით მიღწევას, აღნიშნული კი, თავის მხრივ, საფუძველს აცლის აღიარებით მოთხოვნას. ამავდროულად, მხედველობაშია მისაღები საპროცესო ეკონომიის პრინციპი, რომელიც უფლების რეალური დაცვის ხელშეწყობის საშუალებაა და ემსახურება იმას, რომ დარღვეული უფლების დაცვა მხარემ ერთი და არა რამდენიმე სარჩელის აღძვრის გზით უზრუნველყოს.

ამდენად, ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ვალდებულების ხანდაზმულად აღიარების შესახებ სარჩელი, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც დავა არ მიმდინარეობს დავალიანების ანაზღაურების თაობაზე, დაუშვებელია.

საქმე №ას-956-921-2016

2 ნოემბერი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი)

სამეწარმეო სუბიექტის საბანკო ანგარიშების დაყადაღებისას, როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენების დროს, სააპელაციო სასამართლოს, რომელსაც საქმის წარმოების ამ ეტაპზე მიმართა მოსარჩელემ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, 20.09.2016წ. განჩინებაში არ უმსჯელია იმავდროულად მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაზე (სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილი), რომელიც უნდა მოეთხოვა პირისათვის, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებულ განჩინებაში ასეთი მსჯელობა და დასკვნები არაა ასახული. დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, დადგენილია სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილება, რომელმაც უნდა შეაფასოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართებულობის საკითხი, ცხადია, ამ საპროცესო სამართლებრივი ეტაპის მიხედვით, არა საქმის არსებითი განხილვის, არამედ მოსარჩელის მოთხოვნის წარმატების შემთხვევაში, მისი აღსრულების შესაძლებლობის დაცვის ფარგლებში. სსსკ-ის 199-ე მუხლი თითქოსდა იმპერატიულად არ ადგენს სასამართლოს ამგვარ ვალდებულებას, მაგრამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს სასამართლოს მეტად სპეციფიკური დისკრეციული უფლებამოსილება, კერძოდ, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. აღნიშნული დეფინიცია მოიცავს იმპერატიულ ელემენტსაც, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, იმავდროულად უზრუნველყოფა მოთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. კანონმდებლის აღნიშნული ნება სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველ ნაწილში ფორმულირებულია ზედმიწევნითი სიზუსტით და სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილება ეხება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობის გადაწყვეტას, ხოლო თუ ასეთი ღონისძიების გამოყენებას სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, კანონმდებელი „და“ კავშირებითი სიტყვით ვალდებულებას ადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ

„იმავედროულად“ უნდა მოსთხოვოს მოსარჩელეს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფა, როგორც მოწინააღმდეგე მხარის ინტერესის დამაბალანსებელი საპროცესო სამართლებრივი საშუალება. აღნიშნული დანაწესი ერთგვარ სამართლებრივ წონასწორობას ადგენს, ერთი მხრივ, მოსარჩელის ინტერესის დაცვასა და, მეორე მხრივ, მოპასუხის შეზღუდულ უფლებას შორის.

საქმე №ას-1470-1390-2017

11 იანვარი, 2018 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი)

სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მომთხოვნმა მოპასუხემაც უნდა დაასაბუთოს უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების აუცილებლობა. ამასთან, დასაბუთება უნდა იყოს საფუძვლიანი, დასაბუთებული ვარაუდი გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას არა მარტოდენ ეჭვის, ან ფორმალური ანალიზის საფუძველზე, არამედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ლოგიკურ დასკვნას მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ. მომთხოვნილი ნორმით გათვალისწინებული საპასუხო უზრუნველყოფა არის მოპასუხის ინტერესების სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს გაუმართლებელი ღონისძიებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. სასამართლო უფლებამოსილია, სარჩელის უზრუნველყოფის გარანტირება მოახდინოს როგორც თავისი ინიციატივით, ასევე მოპასუხე მხარის განცხადების საფუძველზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში, მისი გამოყენება დამოკიდებულია მოსალოდნელ, შესაძლო ზიანის წარმოშობის საფრთხესთან. ასეთი საფრთხის ვარაუდს უნდა ქმნიდეს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რამაც შესაძლოა მხარეს ზიანი მიაყენოს.

საქმე №ას-845-789-2017

22 დეკემბერი, 2017 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ფორმალურად შედგენილი შესაგებლის წარდგენის სამართლებრივი შედეგი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი)

სარჩელის პასუხად მოსარჩელის დედამ წარადგინა ფორმალურად შედგენილი შესაგებელი, რომელშიც მხოლოდ ისაა მითითებული, რომ მოპასუხე არ ცნობს სარჩელს, ხოლო მის წინააღმდეგ ფაქტობრივ გარემოებებში მითითებული პრეტენზიები უარყოფილია სიტყვებით: „არ ვეთანხმები“, რაც მარტივ შედაცვასაც კი არ წარმოადგენს, რადგან სსსკ-ის 201-ე მუხლი ადგენს „მოპასუხის საპროცესო თავდაცვის ძირითადი ინსტრუმენტის – შესაგებლის ინსტიტუტს და ნორმის მე-4 და მე-5 ნაწილებით განსაზღვრულია, რომ პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა“ (იხ. სუსკ № ას-1067-1026-2016, 23.06.2017 წ.).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საერთო სასამართლობაზე ზედმიწევნით უნდა დაიცვან სსსკ-ის 201-ე მუხლის დანაწესი და, ზემოხსენებული შემთხვევის მსგავსად, ფორმალურად წარდგენილი შესაგებელი, შესაძლოა, ამავე მუხლის მე-7 ნაწილით შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარდგენასაც გაუთანაბრდეს, რა შემთხვევაშიც სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ამ კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელე უთანასწორო მდგომარეობაში

დგება და მის მიერ საპროცესო კოდექსის შესაბამისად წარდგენილი სარჩელისა და თანდართული მტკიცებულებების პირობებში, კვლავ უწევს მტკიცების ტვირთის დაძლევა ისეთი შესაგებლის წინაშე, რომელიც ფორმალურად, ანუ კანონის მოთხოვნათა დაუცველად არის შეტანილი.

საქმე №ას-955-917-2014

24 ივლისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

საკასაციო პალატა მოიხმობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლს, რომლის პირველი და მე-2 ნაწილებით დადგენილია, რომ სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ნორმით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად მტკიცებულების შეფასების გზით პალატა მიიჩნევს, რომ რ.პ-მ საჩივრის განხილვის ეტაპზე უზრუნველყო მისი საპატიო მიზეზით სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის დადასტურება, მტკიცებულებაში ნათლადაა ასახული, როგორც ავადმყოფობის ფაქტი, ისე სამუშაოდან გათავისუფლების აუცილებლობა და მხოლოდ ის გარემოება, რომ იგი სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ არაა ხელმოწერილი (მით უფრო, როდესაც ხელმოწერილია მკურნალი ექიმის მიერ და დადასტურებულია სამედიცინო დაწესებულების ბეჭდით), არ შეიძლება მასში მოცემული ინფორმაციის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს. შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ რ.პ-ის მიერ წარდგენილი მტკიცებულება აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საქმე №ას-156-152-2016

8 აპრილი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიოდ მიჩნევის წანამძღვრებს და ასეთად მიიჩნევს ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებას, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საპროცესო მოქმედების შესრულებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, განიმარტოს კანონმდებლის დათქმა – „პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე“.

აღნიშნული დანაწესი გულისხმობს, რომ სამედიცინო ცნობაში გასაგებად უნდა იკითხებოდეს მხარის ჯანმრთელობის ისეთი მძიმე მდგომარეობის არსებობა, რომელიც რეალურად შეუშლის ხელს მხარეს გადაადგილებაში და სასამართლოსთან კომუნიკაციაში. აღნიშნული ეჭვს არ იწვევს, როდესაც დგინდება მხარისათვის სტაციონარული სამედიცინო მომსახურების გაწევის ფაქტი ან მკურნალი ექიმის რეკომენდაცია წოლითი რეჟიმის დაცვის თაობაზე, თუმცა გასათვალისწინებელია ისეთი შემთხვევაც, როდესაც სამედიცინო დოკუმენტი შეიცავს მხოლოდ პაციენტისათვის დასმულ დიაგნოზს. ეს დიაგნოზი კი, თავისთავად მეტყველებს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმეზე.

საქმე №ას-914-880-2016

13 მაისი, 2019 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი პალატის მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ იყო მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი, რამდენადაც სისხლის სამართლის საქმის განხილვაში აპელანტის წარმომადგენლის მონაწილეობის მიზეზით სამოქალაქო საქმეზე სხდომა რამდენჯერმე გადაიდო, გარდა ამისა, სამოქალაქო საქმეთა პალატის მხრიდან მხარე მართლაც გაცილებით ადრე იყო ინფორმირებული სხდომის დროისა და ადგილის შესახებ და ვერც დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრით და ვერც საკასაციო საჩივრით ვერ ხსნის იგი, თუ რატომ არ სცადა სისხლის სამართლის საქმის განხილვის გადადება, რატომ მიანიჭა უპირატესობა იმ სხდომას, რომლის შესახებაც უფრო გვიან ეცნობა და რა მიზანს ემსახურებოდა ერთი და იმავე საფუძვლით სააპელაციო სასამართლოში რამდენჯერმე გამოუცხადებლობა, რაც საკასაციო პრეტენზიის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველია.

საქმე №ას-555-526-2015

23 ოქტომბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ერთ-ერთი მოპასუხის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი შედეგის გავრცელება სხვა თანამოპასუხეებზე

შპს „ე-ომ“, სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოითხოვა ამხანაგობა „ჩ-ე 11-ისა“ და მისი წევრების: თ. მ-ის, მ. ო-ის, ბ. ტ-ის, ლ. წ-ისა და ა. ქ-ისათვის 12 334,89 ლარის სოლიდარულად დაკისრება იმ საფუძვლით, რომ 2009 წლის 17 თებერვალს მხარეთა შორის გაფორმებული ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები მოსარჩელემ ჯეროვნად შეასრულა, ხოლო მოპასუხეებმა არ აანაზღაურეს სამუშაოების შესრულების ღირებულება, დავალიანებამ შეადგინა 12 334,89 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2013 წლის 1 ნოემბერს, მოპასუხეების მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის შესაბამისად, გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ 12 334,89 ლარის გადახდა;

ამავე სასამართლოს 2013 წლის 26 დეკემბრის საოქმო განჩინებით გაითვალისწინა ლ. წ-ის საჩივარში მითითებული გარემოება, რომ მას საქმის მასალები არ ჩაბარებია კანონით დადგენილი წესით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის საფუძველზე გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განაახლა საქმის წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი, ასევე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ საოქმო განჩინების გაუქმება და მოპასუხეებისათვის თანხის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მარტის განჩინებით შპს „ე-ოს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2013 წლის 26 დეკემბრის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ ხდის პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ განჩინებას, რომლის დამოუკიდებლად ან კერძო საჩივრის წარდგენის გზით გასაჩივრებასაც კანონი არ ითვალისწინებს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უპირველესად სწორედ ამ წინმსწრები საპროცესო აქტის კანონიერება უნდა შეფასდეს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ქვემდგომი სასამართლოების შეფასებას იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში, არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, ვინაიდან თითოეული მოპასუხე, მათ შორის ლ. წ-ე, სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით იყვნენ ინფორმირებული (მით უფრო იმ პირობებში, რომ პირებს, რომლებსაც უშუალოდ/ოჯახის წევრის მეშვეობით ჩაბარდათ სარჩელი და თანდართული მასალები, საჩივარი არ წარუდგენიათ და ამ გზით სადავოდ არ გაუხდიათ საკუთარი ინფორმირების ფაქტი).

საკასაციო პალატა ასევე იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმ ნაწილში, რომლის თანახმადაც, მატერიალური სამართლის ნორმაზე დაყრდნობით სასამართლომ არასწორად გააუქმა ყველა სოლიდარული მოვალის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სამოქალაქო კოდექსის 466-ე მუხლით განსაზღვრული მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი არ წარმოადგენს საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის მიზნებისათვის სარჩელისაგან სოლიდარულ მოვალეთა თავდაცვის საპროცესო საშუალებას, იგი იმგვარი მატერიალურ-სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც ვალდებულებაზე ზემოქმედების საშუალებას იძლევა და სოლიდარულ მოვალეს ანიჭებს შესაძლებლობას, კრედიტორის მოთხოვნისაგან დაიცვას თავი. მატერიალური სამართლის ნორმები დავის გადაწყვეტის ფუნდამენტს წარმოადგენს, რომლებიც იძლევიან ამა თუ იმ ურთიერთობის რეგულირების აბსტრაქტულ შემადგენლობას. სასარჩელო მოთხოვნის წარდგენისას სასამართლოს მოვალეობა საპროცესო წესების დაცვით (შეჯიბრებითობა, მტკიცების ტვირთის განაწილება და სხვა) დაადგინოს მატერიალური ნორმის შემადგენლობა – იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები და ამ გზით გადაწყვიტოს დავა. რაც შეეხება საპროცესო ურთიერთობის მიზნებისათვის თანამონაწილეობის საკითხს, იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლით რეგულირდება და ნორმის პირველი ნაწილით კანონმდებელი გვთავაზობს თანამონაწილეობის საფუძვლებს. თეორიაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, თანამონაწილეობა დაყოფილია სავალდებულო და ფაკულტატურ თანამონაწილეობად და სავალდებულო თანამონაწილეობა სახეზეა მაშინ, როდესაც სარჩელის საგანს საერთო უფლება წარმოადგენს (სსსკ-ის 86.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არაა, თუმცა, საგულისხმოა, რომ 86-ე მუხლის მე-2 ნაწილის ძალით, თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ განსახილველი დავის ფარგლებში შესაფასებელია მესამე პირის მოთხოვნის საფუძვლიანობა სოლიდარული მოვალეების მიმართ (სკ-ის 937.1 მუხლის პირველი წინადადებით განსაზღვრული სოლიდარული პასუხისმგებლობა და არა ამხანაგობის წევრთა ურთიერთვალდებულება), ამდენად, სარჩელის მატერიალური უფლების მარეგულირებლად საპროცესო წესებთან ერთად გვევლინება სამოქალაქო კოდექსის 465-ე და 469-ე მუხლები. მითითებული ნორმების თანახმად კი, კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება. სარჩელის შეტანა ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ კრედიტორს არ ართმევს უფლებას შეიტანოს სარჩელი დანარჩენ მოვალეთა მიმართაც. მითითებულ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, პალატა მიდის დასკვნამდე, რომ თუკი ლ. წ-ის საჩივარი საფუძვლიანი იქნებოდა, ის დანარჩენი მოპასუხეების მიმართ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი მაინც ვერ გახდებოდა. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია, რომ არც საქმის მასალებით ირკვევა და არც ქვემდგომ სასამართლოებს დაუდგენიათ ლ.წ-ის სახელზე სხვა თანამოპასუხეების მხრიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების საკითხი (სსსკ-ის 87-ე და 98-ე მუხლები). ზემოაღნიშნული მსჯელობიდან

გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ე-ომ“ წარმოადგინა დასაბუთებული პრეტენზია, რის შედეგადაც სახეზეა გასაჩვრებული აქტების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

საქმე №ას-954-916-2014

10 მარტი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი)

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როგორც წესი, მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან. სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯი და სასამართლოს დავალებით ფაქტების კონსტატაციამდე გაწეული ხარჯი წარმოადგენს საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი და ამავე კოდექსის 44-ე მუხლი). ასეთი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამასთან, ეს მტკიცებულებები სასამართლოს უნდა წარედგინოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებული ხარჯების გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულებები აპელანტს გადაწყვეტილების გამოტანამდე სააპელაციო სასამართლოსათვის არ წარუდგენია და არც ამ ხარჯების დაკისრება მოუთხოვია მოწინააღმდეგე მხარისათვის. აპელანტმა მხოლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ წარდგენილ განცხადებას დაურთო ექსპერტიზის ჩატარებაზე ხარჯის გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მიუხედავად იმისა, რომ ეს მტკიცებულებები მისთვის მანამდეც ხელმისაწვდომი იყო. რაც შეეხება ფაქტის კონსტატაციამდე გაწეული ხარჯის დამადასტურებელ მტკიცებულებას, ასეთი საქმეში წარმოდგენილი არაა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დროს ვერ იმსჯელებდა ზემოხსენებული ხარჯების მოპასუხეზე დაკისრების თაობაზე და შესაბამისად, ვერც დამატებით გადაწყვეტილებას გამოიტანდა ამ ხარჯების შესახებ.

საქმე №ას-69-63-2015

19 მარტი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლი)

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის სიტყვასიტყვითი ანალიზით ირკვევა კანონმდებლის ნება – უზრუნველყოფილ იქნას გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად არ არის მიქცეული, ანუ შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, დასაშვებია ნებისმიერი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება. კანონის ამგვარი განმარტება დასახელებული ნორმის მიზნებიდან გამომდინარეობს, რამდენადაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი მართლწესრიგის აღსრულებამდე სავალდებულოა კრედიტორის ინტერესების გონივრულ ფარგლებში დაცვა, რათა სამართალწარმოება ფორმალური ხასიათის მატარებელი არ გახდეს, ხოლო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული გადაწყვეტილება, აღსრულების ზოგადი წესისაგან განსხვავებული წესის გამო, მსგავსი ღონისძიების გატარებას სასამართლოს მხრიდან არ საჭიროებს, ვინაიდან მისი აღსრულების ეს სპეციალური წესი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის სპეციალურ სახედვე გვევლინება.

საქმე №ას-720-685-2015

29 დეკემბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემდგომ სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის გასათვალისწინებელია არა მხოლოდ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებების იურიდიული მართებულობა მოთხოვნასთან მიმართებით, არამედ ისიც, თუ რამდენად აბათილებს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული, ამავე საჩივარში მითითებული გარემოებები გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია, წინამდებარე განჩინების 18-21 პუნქტებში მითითებული გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამ გარემოებათაგან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, დასაქმებულის უფლებაზე, ინდივიდუალურად, გასაგებად, არაორაზროვნად ყოფილიყო გაფრთხილებული დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველზე, რაც უკავშირდება კონსტიტუციის 30-ე მუხლით გარანტირებულ შრომის უფლებას. დამსაქმებლის სააპელაციო საჩივრით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გაბათილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები არ დგინდება დაუსწრებელი გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული მსჯელობის მიხედვით, რომელიც ძირითადად სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის პროცესუალურ-სამართლებრივ შედეგებს ეხება, ხოლო რაც შეეხება იმ გარემოებას, თუ რატომ მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები დადგენილად, კერძოდ, რომ დამსაქმებელმა უზრუნველყო დასაქმებულის დროული გაფრთხილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე არ არის დასაბუთებული.

საქმე №ას-121-117-2016

17 მარტი, 2016 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: დაუსწრებელი გადაწყვეტილება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

მიუხედავად იმისა, რომ საქმის მომზადების მიზნით პირველი ინსტანციისათვის დადგენილი წესები თითქმის მთლიანად ეხება სააპელაციო სასამართლოსაც, სააპელაციო შესაგებელს გააჩნია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოსათვის დამახასიათებელი თავისებურებები, რაც პირველ რიგში ვლინდება მტკიცებით საქმიანობაში. სააპელაციო შესაგებელი, როგორც მტკიცებითი საქმიანობის განსახორციელებელი საპროცესო საშუალება, არ შეიძლება გავიგვივოთ სარჩელის წინააღმდეგ მიმართულ შესაგებელთან. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგან სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან თავისუფლდება მოსარჩელე. აღნიშნული ფაქტი შეიძლება იყოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა. შესაბამისად, სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობას საქმის მომზადების ეტაპზე, როგორც იურიდიულ ფაქტს, არ შეიძლება მოჰყვეს ისეთივე შედეგები, რადგან აპელაციაში მტკიცებითი საქმიანობის განხორციელების თავისებურებიდან გამომდინარე იხილება იგივე სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტები და მტკიცებულებები, ხოლო ამ სტადიაზე შესაგებლის წარუდგენლობით არ განისაზღვრება პირველ ინსტანციაში შესაგებლის წარუდგენლობის მსგავსად მტკიცების საგანი.

სააპელაციო საქმისწარმოების მომწესრიგებელი ნორმებით შესაგებლის წარუდგენლობისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუთვალისწინებლობა, წარმოადგენს ე.წ. კანონმდებლის კვალიფიციურ დუმილს. ზუსტად ეს პრინციპები უნდა გავითვალისწინოთ სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილის განმარტებისას, რომელიც არა დესკრეციულ, არამედ ნორმატიულ ფაქტობრივ შემადგენლობას მოიცავს, რაც თავისთავად ითვალისწინებს არა უპირობოდ პირველ ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ წესების „გადმოღებას“, არამედ მისი ნორმატიული ხასიათის გათვალისწინებით, სააპე-

ლაციო საქმისწარმოების შეფასების გზით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინაპირობების სწორ დიფერენცირებას.

დიდ პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებისას სსსკ-ის 232¹ მუხლით გათვალისწინებული დანაწესის გამოყენებაზე დათქმის არარსებობა კანონის ხარვეზს არ წარმოადგენს და ამით კანონმდებელმა სწორად და საფუძვლიანად გააანალიზა სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვის სპეციფიკა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების არსი.

დიდი პალატა აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია, გარდა პირველ ინსტანციაში მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და ეფექტურად გამოყენებული უფლების დაცვის საშუალებებისა, გამყარებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც წარმოადგენს უფლების დაცვის შესახებ მიღებულ მართლმსაჯულების აქტს. სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ მხარეთა კანონიერი ნდობის მომენტი ბუნებრივად განაპირობებს საქმეში მონაწილე მხარეთა რწმენას გადაწყვეტილების სამართლებრივ დასაბუთებულობასა და კანონიერებაზე. ასეთ პირობებში, მხარე, რომელიც ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებას, ლოგიკურად და მართებულადაც ასკვნის, რომ სასამართლოს მიერ მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების მოტივაცია საკმარისს უნდა წარმოადგენდეს სააპელაციო სასამართლოში მისი უფლებების დასაცავად და პოზიციის გამოსახატავად.

დიდი პალატა ზემოთჩამოყალიბებული მსჯელობების საფუძველზე ასკვნის, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს სააპელაციო ინსტანციაში სამოქალაქო საქმის წარმოებისას სააპელაციო საჩივარზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, შესაბამისად, შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მიზანშეუწონელია.

12. სხვადასხვა

საქმე №ას-838-802-2014

19 მარტი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების განვითარების პირობები („ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის 10¹ მუხლი)

მოცემული დავის საგანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების გადაწყვეტილების (ოქმის) ბათილად ცნობა, რომლის საფუძველზეც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ მის ერთ-ერთ წევრს, ა.გ.ს ნება დართო, მის-სავე საკუთრებაში არსებული ფართიდან (სარდაფიდან) ვაჟა-ფშაველას გამზირზე გაეთხარა გასავლელი, გაეჭრა კარი და მოეწყო კიბე. მოსარჩელის მოთხოვნა კი, მიმართულია ამ კრების გადაწყვეტილების ბათილად ცნობისაკენ იმ საფუძველით, რომ კრების გადაწყვეტილება არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, ამასთან, ზიანს აყენებს მოსარჩელის, როგორც ამავე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის უფლებებს.

აკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს ვ.ლ.ის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის არასწორად გამოყენების თაობაზე, კერძოდ იმას, რომ სასამართლოს, ნაცვლად „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლისა, უნდა ეხელმძღვანელა ამავე კანონის მე-10 მუხლით, რომელიც სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი სპეციალური ნორმაა.

საკასაციო პალატა მიუთითებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებაზე, რომ ქ. თბილისში, მდებარე მრავალბინიანი კორპუსის კედელი, რომელზეც ა.გ.მ მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული სარდაფის კარის ღიობი გაჭრა, წარმოადგენს მზიდ (საყრდენ) კედელს. აღნიშნული ფაქტის შეფასებით დადასტურებულია, რომ ა.გ.მ განახორციელა ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის რეკონსტრუქცია ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებაში არსებული მზიდი (საყრდენი) კედლის დემონტაჟის გზით.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების განვითარების ცნებას, ასეთად მიიჩნევა ქმედება, რომელიც მიმართულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების გაუმჯობესებისაკენ, ფუნქციური ცვლილებებისაკენ ან რეკონსტრუქციისაკენ. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, წევრთა საერთო ქონების განვითარების დეფინიციაში გადმოცემული შინაარსი ასევე უნდა გავრცელდეს ინდივიდუალური საკუთრების საგნის განვითარებაზეც, ვინაიდან კანონმდებელი სხვაგვარ განმარტებას არ გვთავაზობს.

მოცემულ შემთხვევაში დასტურდება, რომ სახეზეა სწორედ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების განვითარება, რომლის რეგულირებისათვის სააპელაციო სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა კანონის 10¹ მუხლით, რომლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამხანაგობის წევრის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების ისეთი განვითარებისათვის, რომელიც გავლენას ახდენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაზე, საჭიროა ამხანაგობის წევრთა 2/3-ის გადაწყვეტილება იმ შემთხვევისათვის, თუ სამშენებლო სამუშაოები ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების დემონტაჟს.

რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას კანონის მე-10 მუხლის გამოყენების თაობაზე, ამ ნორმით რეგულირდება საერთო ქონების განვითარების პირობები, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ სარდაფის კედელში კარის ღიობის გაჭრისათვის ა.გ.ს ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობა არ ესაჭიროებოდა, კანონის სწორად გამოყენებიდან გამომდინარეობს.

განმარტების საგანი: სადგომზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება („საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლი)

საკასაციო საჩივრის ძირითადი საფუძვლები (კასაციის მიზეზები) იმ გარემოებას ემყარება, რომ საქმის სააპელაციო წესით განმხილველმა სასამართლომ სამართალწარმოების დისპოზიციურობის პრინციპის (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი) დარღვევით განიხილა მოცემული დავა და თვითნებურად იმსჯელა ნივთზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე თავდაპირველი მოსარჩელის სასარგებლოდ.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორი თავის საკასაციო პრეტენზიას იმ გარემოებაზე ამყარებს, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ თვითნებურად იმსჯელა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგზე და შესაბამისად, სადგომზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და მიუთითებს, რომ როგორც მოცემულ საქმეზე დადგენილი ქ. თბილისში, თ.ის ჩიხი №4-ში განლაგებულ საცხოვრებელ სადგომზე ნ. ე.-ის მემკვიდრეების (ნ. ჯ.-ე, მ., თ. ნ. და ნ. ე.-ეები) სარგებლობის უფლება წარმოდგება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის 11 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის გარიგებიდან.

ამასთან, დადგენილია, რომ უძრავი ქონების რეგისტრირებულმა მესაკუთრეებმა: ი. ე.-ემ და ი. კ.-ამ გამოიყენეს მათთვის, როგორც მესაკუთრეთათვის, კანონით მინიჭებული უფლებამოსილება მოეთხოვათ სადგომზე მოსარგებლეების მფლობელობის შეწყვეტა მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის სანაცვლოდ. აღნიშნულმა კი, თავის მხრივ, გამოიჩინა მოსარგებლის სარჩელის რაიმე ფორმით დაკმაყოფილების შესაძლებლობა. ამავდროულად, მესაკუთრეს ეკისრება მოსარგებლისათვის განხორციელებული მიშენება-დაშენების ან/და არსებითი გაუმჯობესების ხარჯების საბაზრო ღირებულების სრული ოდენობით ანაზღაურების ვალდებულება. მესაკუთრის მითითებული ვალდებულება გამომდინარეობს მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის მომწერიგებელი სპეციალური კანონის მე-6 მუხლით დადგენილი წესიდან, რომლის თანახმად, მესაკუთრე, რომელიც მოსარგებლეს მოსთხოვს ნივთზე მფლობელობის შეწყვეტას, ვალდებულია აუნაზღაუროს მოსარგებლეს მის მიერ განხორციელებული მიშენება-დაშენების ან/და არსებითი გაუმჯობესების ხარჯები საბაზრო ღირებულების სრული ოდენობით.

დასახელებული ნორმით ხელმძღვანელობა კი, განპირობებულია ერთი პროცესუალური გარემოებით: როგორც მოცემული საქმის მასალებით ირკვევა პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელი აღიძრა მოსარგებლის მიერ, რომელმაც, მოითხოვა, ქ. თბილისში, თ.ის ჩიხი №4-ში განლაგებულ მოპასუხეთა საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ საცხოვრებელ სადგომზე, კერძოდ, 31,67კვ.მ ფართზე, მასზე დაშენებულ 46,71კვ.მ სხვენზე, 14,52კვ.მ დამხმარე სათავსოსა და საერთო სარგებლობის 11,28კვ.მ ფართზე საკუთრების უფლების გადაცემა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა გარემოებებთან ერთად მიუთითა, რომ მან სადავო მისამართზე მდებარე საცხოვრებელ სახლში განლაგებულ 22,80კვ.მ ფართის მქონე ერთ ოთახზე სარგებლობის უფლება მოიპოვა ფართის თავდაპირველი მესაკუთრის – ს. ი.-აგან, ხოლო დროთა განმავლობაში კი, იმის გამო, რომ ოჯახი იყო მრავალსულიანი, მოსარჩელემ 22,80კვ.მ ფართის ოთახი, როგორც ძველი და ავარიული თითქმის მთლიანად დაანგრია, ამოაშენა ახალი კედლები და დააშენა სხვენის სახით პატარა ოთახი, სადაც ცხოვრობს ოჯახთან ერთად. ამავე საქმეში აღიძრა მესაკუთრის შეგებებული სარჩელი საცხოვრებელი სადგომის ღირებულების (კანონით დადგენილი პროპორციის შესაბამისად) ანაზღაურების სანაცვლოდ თავდაპირველი მოსარჩელის მფლობელობიდან სადგომის გამოთხოვის თაობაზე. შეგებებულ სარჩელთან დაკავშირებით წარდგენილ შესაგებელში კი, თავდაპირველმა მოსარჩელემ/მოსარგებლემ განმარტა, რომ საცხოვრებელი სადგომი იყო ავარიულ მდგომარეობაში და იგი მთლიანად დაინგრა, ფაქტიურად მოსარგებლემ ააშენა ახალი სადგომი, რაზედაც გასწია ხარჯი, რომელიც არ იყო გაანგარიშებული ექსპერტის

მიერ. გასაჩივრებული განჩინებით ის გარემოებაცაა დადგენილი, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილ საინვენტარიზაციო გეგმაზე, თ.ის ჩიხი N4-ში მდებარე უძრავი ქონება შედგებოდა სულ ორი ოთახისაგან და მისი საერთო ფართი მოიცავდა ჯამში, 49,9კვ.მ.-ს, რაც მკვეთრად განსხვავდება მითითებულ მისამართზე ამჟამად მდებარე საცხოვრებელი სახლის მონაცემებისაგან (იხ. მოდავე მხარეთა მიერ საქმის მასალებში წარმოდგენილი დასკვნები), ხოლო აუდიტორული ფი. „სალომეს“ მიერ შედგენილი დასკვნის მიხედვით კი, თავიდან არსებული 22,80კვ.მ. ფართი დღეისათვის შეადგენს 31,67კვ.მ.-ს, ამ ოთახის თავზე დაშენებულია 46,71კვ.მ. სხვანი, 14,52კვ.მ. ფართის სათავსო და საერთო სარგებლობის 11,28კვ.მ. ფართის სათავსო.

ამდენად, ცხადია მესაკუთრის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, დღის წესრიგში, უნდა დამდგარიყოს მოსარგებლისათვის მიშენება-დაშენებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების საკითხი. მხარეთა ეს პოზიციები ასახულია გასაჩივრებულ განჩინებაში მხარეთა მოსაზრებების მითითებისას.

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მესაკუთრის სასარგებლოდ დავის გადაწყვეტის შემთხვევაში, სამართლებრივი ბალანსი მოითხოვს, რომ დაცული იქნეს მოსარგებლის უფლება სადგომზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე და სპეციალური კანონის ეს მოთხოვნა („საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი) არ არის დამოკიდებული მოსარჩელის მიერ ახალი, დამოუკიდებელი მოთხოვნის აღძვრაზე, გამომდინარე იქიდან, რომ სადგომზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების საკითხი წარმოადგენს მესაკუთრის სარჩელის დაკმაყოფილების თანამდევ სამართლებრივ შედეგს, ისე, რომ მისი ანაზღაურების საკითხის დასმა არ არის დამოკიდებული მოსარგებლის მიერ ამგვარი მოთხოვნის აღძვრაზე. მით უფრო, რომ ხარჯების ანაზღაურების ნაწილში მოსარგებლემ წარმოადგინა დასაბუთებული პრეტენზია. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კანონის მითითებული დანაწესი ითვალისწინებს, მხოლოდ იმგვარი ხარჯების ანაზღაურების სავალდებულობას, რომლითაც არსებითად გაუმჯობესდა მესაკუთრის სასარგებლოდ გასათავისუფლებელი სადგომი და არა სადგომზე გაწეული ყოველგვარი ხარჯები, როგორცაა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები და სხვა. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა განპირობებულია მესაკუთრის უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილებით.

საქმე №ას-1161-1107-2013

29 მაისი, 2015 წელი, ქ. თბილისი

განმარტების საგანი: საცხოვრებელი სახლის უსასყიდლოდ გადაცემა(პრივატიზაცია) (საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის თებერვლის №107-ე დადგენილება)

სააპელაციო პალატამ ქ. თბილისში, (ამჟამად) ქ.№23-ში მდებარე №43 ბინის 1/5-1/5 ნაწილის კასატორებისათვის მიკუთვნებაზე უარი იმ საფუძვლით დაასაბუთა, რომ მ.და ნ.ბ-ბი პრივატიზაციის განხორციელებისას სადავო ბინაში რეგისტრირებული არ ყოფილან, რაც, „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის N107 დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმად, გამორიცხავდა მოსარჩელეთა უფლებას უძრავ ქონებაზე. ამ კუთხით სააპელაციო პალატამ მიუთითა ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორთა პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად იქნა მიჩნეული, კანონის არასწორ გამოყენება-განმარტებას ემყარება.

წინამდებარე დავის სწორად გადაწყვეტის მიზნით პასუხი უნდა გაცეს მთავარ კითხვას: მ.და ნ.ბ-ბი წარმოადგენენ პრივატიზაციის უფლების მქონე სუბიექტებს?

საკასაციო პალატა მიუთითებს „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის N107 დადგენილების პირველ პუნქტზე, რომლის თანახმადაც, საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაცია წარმოადგენს მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) ნებაყოფლობითი შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას. ამავე დადგენილების მე-5

პუნქტით განსაზღვრულია პრივატიზაციის განხორციელების სუბიექტების ცნება, ასევე პრივატიზაციის განხორციელების წესი და ნორმის პირველი წინადადებით დადგენილია, რომ საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან.

მოხმობილი ნორმების ანალიზით დგინდება, რომ საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაციისას თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ის პირები, ვინც წარმოადგენენ ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლებს ან მათი ოჯახის წევრებს. აღნიშნული ნორმატიული აქტი არ აყენებს საცხოვრებელი სახლის (ბინის) არც ერთ დამქირავებელს ან მისი ოჯახის წევრს პრივილეგიურულ მდგომარეობაში.

აღნიშნული ურთიერთობის სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის, სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამოყენებულ უნდა იქნეს „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი“, ასევე „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი“ (ძალადაკარგულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1505-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად), რადგან სადავო ურთიერთობა წარმოშობილია მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე.

„საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის“ 290-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომით სარგებლობა ხორციელდება საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც იდება დამქირავებელს – საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციასა და დამქირავებელს – მოქალაქეს შორის, რომლის სახელზეც გაცემულია ორდერი. ანალოგიურ დანაწესს შეიცავდა სსრ საბინაო კოდექსის მე-60 მუხლის პირველი აბზაცი, თუმცა სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა ქირავნობის ხელშეკრულების წერილობითი ფორმის დაუცველობისას ამ ხელშეკრულების ბათილობას არ ითვალისწინებდა, რადგანაც, მიუხედავად ხელშეკრულების ფორმისა, შესახლების მომენტიდან უკვე წარმოიშობოდა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა. ამავე კოდექსის 57-ე მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში საცხოვრებელი სადგომის მიცემის გადაწყვეტილების საფუძველზე სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მოქალაქეს აძლევს ორდერს, რომელიც მოცემულ საცხოვრებელ სადგომში შესახლების ერთადერთი საფუძველია. „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის“ 62-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადების თანახმად კი, განსაზღვრულია, იმ პირთა უფლება-ვალდებულებები, რომლებიც დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან და მასთან ერთად ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ არა აქვთ დადებული საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის შესახებ ხელშეკრულება, ისინი სარგებლობენ ყველა უფლებით და ეკისრებათ ყველა მოვალეობა საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ამავე აბზაცის მე-2 წინადადებით ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სოლიდარული პასუხისმგებლობა იყო დაწესებული დამქირავებლის იმ ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც იყვნენ სრულწლოვანები.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებით განისაზღვრა უფლება, რომლის რეალიზაციის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი“. ქირავნობის ურთიერთობის ნამდვილობისათვის განმსაზღვრელი იყო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის ფაქტი, რომელიც, ერთ შემთხვევაში, წარმოიშობოდა წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სხვა შემთხვევაში – დამქირავებელთან მცხოვრები ოჯახის წევრობის ინსტიტუტით და ამ უკანასკნელებს გააჩნიათ ყველა ის უფლება, რომლითაც სარგებლობს დამქირავებელი. ამდენად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებით მინიჭებული უფლება ვრცელდება დამქირავებელთან ერთად მცხოვრებ ოჯახის ყველა წევრზე და საერთო უფლებებთან ერთად მათ ეკისრებათ სარგებლობიდან გამომდინარე მესაკუთრის ყველა ვალდებულება.

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას იმის შესახებ, რომ პრივატიზაციის დროისათვის სადავო ბინაში ცხოვრობდა სამივე მოსარჩელე, ასევე, ნ. და თ.კ-ბი. საქმეში წარმოდგენილი შესაგებლით მოპასუხეებს ეს გარემოება სადავოდ არ გაუხდიათ, მიუთითეს მხოლოდ

ის, რომ მემკვიდრეებმა დათმეს თავიანთი წილები და თანხმობა განაცხადეს, თ.კ-ის საკუთრებად გაფორმებულიყო უძრავი ქონება.

საქმეში წარმოდგენილი სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით დადგენილია, რომ ნ.კ. დაეთანხმა ბინის ძმის – თ.კ-ის სახელზე რეგისტრაციას, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ნ.კ-ის მიერ კუთვნილ წილზე უარის თქმად. ეს გარემოება დადგენილია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით და ამ ნაწილში იგი არ გასაჩივრებულა, საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკაზე, სადაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: პრივატიზაციის უფლების მქონე ერთ-ერთ პირზე საკუთრების უფლების აღრიცხვა, არ ნიშნავს იმას, რომ მასთან მცხოვრებმა ოჯახის წევრებმა უარი განაცხადეს საკუთრების უფლების მოპოვებაზე. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ პრივატიზაციის განხორციელებაზე ოჯახის ყველა წევრის ნების არსებობა გულისხმობს საკუთრების უფლების მოპოვებას ოჯახის ყველა წევრის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს მხოლოდ ერთ-ერთ დამქირავებელზე. ამ შემთხვევაში არ შეიძლება საკუთრების ინსტიტუტი განვმარტოთ მხოლოდ უძრავი ნივთების შეძენის იურიდიული დეფინიციის ფარგლებში. კონკრეტულ შემთხვევაში მას გააჩნია სოციალური დანიშნულება, რაც პოზიტიურ-სამართლებრივი სახით ვლინდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებაში პირველ აბზაცში (იხ. სუსგ № ას-934-877-2012 24 დეკემბერი, 2012 წელი).

გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ მ.ბ. და ნ.ბ. ბინის პრივატიზაციის დროისათვის არასრულწლოვნები იყვნენ და ცხოვრობდნენ დედასთან – ნ.კ-თან. პრივატიზაცია განხორციელდა 1993 წლის 1 მარტს, ამ დროისათვის სადავო სადგომში რეგისტრირებული იყვნენ თ. და ნ.კ-ები. სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი გარემოებები, ასევე მოსარჩელის მითითება, პრივატიზაციის დროისათვის ბინაში 5 პირის ცხოვრების თაობაზე იურიდიულად დასაბუთებულს ხდის კასატორების მტკიცებას თითოეულისათვის, ქ. თბილისში, (ამჟამად) ქ.№23-ში მდებარე №43 ბინიდან 1/5-1/5 წილის მიკუთვნების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც სახეზე არ არის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობები, პალატა უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს დავა.

საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს ასევე გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებულ შეფასებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან (სუსგ Nას-1148-1077-2012, 15 თებერვალი, 2013 წელი) და განმარტავს, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება პრივატიზაციის დავებთან დაკავშირებით დამკვიდრებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას. როგორც სააპელაციო სასამართლოს მიერ მოხმობილ განჩინებაში, ისე საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია განვითარებული მსჯელობა იმის თაობაზე, რომ პრივატიზებულ ბინებზე საკუთრების უფლება მიეცემა ყველა იმ პირს, რომელსაც ბინის პრივატიზაციის დროისათვის საცხოვრებელ ფართობზე უფლება მოპოვებული ჰქონდა (ცხოვრობდა და ჩაწერილი იყო სადავო ბინაში) (მაგ: იხ. სუსგ-ებები Nას-155-146-05, 5 აგვისტო, 2005 წელი; Nას-516-838-05, 14 ნოემბერი, 2005 წელი; Nას-265-594-05, 14 ივნისი, 2005 წელი; Nას-284-610-05, 26 ივლისი, 2004 წელი). საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კანონმდებლობა ბინაში (ორდერში) არასრულწლოვნის ჩაწერის შესაძლებლობას აღიარებდა, თუმცა, სრულწლოვანებამდე პირის მიერ გარიგების დადება, სსრ „სამოქალაქო სამართლის კოდექსის“ მე-14 მუხლით იყო რეგულირებული და ნორმის პირველი წინადადებით დადგენილი იყო შემდეგი: თხუთმეტიდან თვრამეტი წლის ასაკამდე არასრულწლოვანი გარიგებას სდებს მშობლის, მშვილებლის ან მზრუნველის თანხმობით, მაგრამ მას უფლება აქვს დამოუკიდებლად დადოს წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგება, განკარგოს თავის ხელფასი ან სტიპენდია, განახორციელოს საავტორო უფლებები თავის ნაწარმოებზე, აღმოჩინაზე, გამოგონებაზე, რაციონალიზატორულ წინადადებასა და სამრეწველო ნიმუშზე.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, არასრულწლოვანი პირის მიერ ორდერში ჩაწერისა თუ ქირავნობის ხელშეკრულების დადების ნების გამოვლენის შემთხვევაშიც კი, კანონი ამ უფლების რეალიზაციისათვის ითვალისწინებდა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის აუცილებლობას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ასეთ ვითარებაში არასრულწლოვნების უფლების გადაწყვეტისას კანონიერი წარმომადგენლის ნების არარსებობამ არ უნდა იქონიოს გავლენა ამ პირის უფლებრივ მდგომარეობაზე, მით უფრო, როდესაც სახეზეა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით აღიარებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები (არასრულწლოვნების ბინაში ცხოვრება; არასრულწლოვნების კანონიერი წარმომადგენლების ბინაში ცხოვრება და ჩაწერა).

წინამდებარე საქმეზე დადგენილი გარემოებების (ორდერის გაცემის დროისათვის კასატორები დაბადებულნი არ ყოფილან, ხოლო პრივატიზაციის განხორციელებისას არ იყვნენ სრულწლოვანები, დედასთან ფაქტობრივად ცხოვრებით მათ მოიპოვეს დამქირავებლის უფლებები ბინაზე) ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შეფასების გზით პალატა მიდის დასკვნამდე, რომ მ.და ნ.ბ-ებს მოპოვებული აქვთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებით გათვალისწინებული საკუთრების უფლება ქ. თბილისში, (ამჟამად) ქ.№23-ში მდებარე №43 ბინაზე.

ISBN 978-9941-8-1948-3



9 789941 819483